ალექსანდრე ფოცხიშვილი

ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1979

წინამდებარე წიგნი პირველი ნაბიჯია ქართული გრამატიკული აზრის ისტორიის შექმნის გზაზე. მასში განხილულია ქართული გრამატიკული აზრის ისტორია მე-19 საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე.

ძირითადად ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოდგენილია ყველა გრამატიკოსი, მოცემულია მათი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და დადგენილია ის მაგისტრალური ხაზი, რომლის მიხედვითაც წარიმართა ანტონ ბაგრატიონის მიერ დაწყებული ქართული ენის კვლევის საქმე.

70101—093
П————————218—79
М-602(08)—79

©გამომცემლობა „განათლება", 1979

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ენათმეცნიერების ფესვები ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა ნააზრევში უნდა ვეძიოთ. პირველი გრამატიკებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეიქმნა და ამ მეცნიერების საფუძვლის ჩაყრა-განმტკიცებას ემსახურებოდა. მიუხედავად ასეთი ხანდაზმული ასაკისა, ენათმეცნიერების (resp. გრამატიკის) ისტორიის მრავალი საკითხი ჯერ კიდევ მოელის თავის მკვლევარს.

ბევრია გასაკეთებელი ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიის კვლევის საქმეშიც. წინამდებარე ნაშრომში ნაწილია იმ სამუშაოსი, რომელიც უნდა შესრულდეს ამ ამოცანის უახლოეს მომავალში გადასაწყვეტად.

შრომა აგებულია ავტორთა მოღვაწეობის ქრონოლოგიურ თანამიმდევრობის პრინციპზე, მასში გაშუქებულია ქართული გრამატიკული აზრის განვითარების ყველა ძირითადი საკითხი მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე.

წიგნის მიზანია: გამოკვეთილად უჩვენოს მიმართულება იმ ღერძული ხაზისა, რომელსაც გაჰყვნენ მეცნიერთა თაობები და, რომელმაც მიგვიყვანა ქართული ენის გრამატიკული წყობის შესწავლისა და ქართული ენათმეცნიერული ცოდნის განვითარების დღევანდელ დონემდე; გამოავლინოს ის ძირითადი საფეხურები, რომლებიც აზრთა განვითარების ზეაღმავალ კიბეზე ამ მეცნიერებას ჰქონდა.

დადგინდა სამი ასეთი საფეხური:

1. ქართული გრამატიკული აზრის ბალავერი და სათავე ანტონ ბაგრატიონის გრამატიკაა, განსაკუთრებით მისი მეორე რედაქცია.

2. შემდეგი საფეხური — შემაერთებელი რგოლი ანტონსა და მე-19 საუკუნის გრამატიკოსებს შორის — გაიოზის "გრამატიკა" იყო.

3. მესამე და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული გრამატიკული აზრის განვითარების გზაზე ი. ჭართველიშვილის გრამატიკაა.

ანტონ ბაგრატიონი არა მხოლოდ ქართული ენის პირველი გრამატიკის შემქმნელი და ამდენად ქართული გრამატიკული აზრის ფუძემდებელია, არამედ იგი უდიდესი წარმომადგენელია მე-18 საუკუ-

ნის ქართული მეცნიერებისა საერთოდ. თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის მანძილზე ანტონმა უდიდესი ამაგი დასდო ქართველი ხალხის განათლებისა და კულტურის აღორძინების საქმეს.

ჩვენ არას ვიტყვით ანტონზე როგორც გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეზე, „რომელიც დაამშვენებდა მსოფლიოს, რომელიც გნებავთ, ეკლესიის უმაღლეს საბრძანებელს“ (კ. კეკელიძე): არც მისი საღვთისმეტყველო შრომების ჩამოთვლას შევუდგებით. ვიტყვით, მხოლოდ, რომ მე-18 საუკუნის საქართველოს არც ერთი მეცნიერული დარგი არ დარჩენილა, რომელშიაც ანტონს არ ეთქვას თავისი ფუძემდებლური სიტყვა და არ შეექმნას მნიშვნელოვანი შრომები.

იგი ავტორია საქართველოს ისტორის ნარკვევისა: მისი „წყობილსიტყვაობა“ სინამდვილეში პირველი ისტორიაა ქართული ლიტერატურისა; მას ეკუთვნის ორიგინალური შრომა „სპეკალი“, რომელშიაც განხილულია ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები; ანტონს მნიშვნელოვანი აზრები აქვს გამოთქმული ლოგიკის შესახებ[1] და ამ მეცნიერების მიღწევები შესანიშნავად გამოიყენა ენათმეცნიერული საკითხების კვლევისას[2]. ანტონმა 246 შენიშვნა დაურთო მის მიერვე თარგმნილ ეოლფის ფიზიკას[3], რითაც წვლილი შეიტანა ამ მეცნიერების წინსვლისა და ჩვენში მისი შესწავლა-გავრცელების საქმეში.

ისიც საგულისხმოა, რომ ეოლფის ფიზიკა ერთი უველაზე უფრო ათეისტური სახელმძღვანელო იყო იმ დროის მსგავს ნაშრომთა შორის და სათარგმნად სწორედ ამ წიგნის არჩევა მშვენიერად მეტყველებს ანტონის თეორიულ მრწამსზე.

ორიგინალურს გარდა ანტონს ეკუთვნის მრავალი ნათარგმნი შრომა, რომელთა მეტი წილიც სემინარიის სახელმძღვანელოებად იყო განკუთვნილი. ანტონი თვითონ ჩამოთვლის ამ შრომებს: „... პირველად პარაკლიტიკოსისა, რომელა ნუგეშისცემითი ელინურისგან; მეორე სათვეოისა ყოვლისა და ტვიბიკონისა სლავენურისაგან ენისა; მესამე ათთა წიგნთა კურციოსისთა, რომელა ისტორია ალექსანდრე დიდისა რუსულისაგან; მეოთხე ლოღიკისა და ყოვლისა მეტაფისიკასა და იტიკაისა ფილოსოფიისა ლათინურისაგან; მეხუთე ფისიკაისა თეორეტიკებრისა ახლად თარგმნილისა რუსულისგან; მეექვსე გან-

---

[1] Г. М. Каландаришвили. Очерки по истории логики в Грузии. Тб., 1955 г., გვ. 93 და შემდეგ.

[2] იხ. ა. ფოცხიშვილი, ანტონ პირველი და მისი გრამატიკა თანამედროვე ენათმეცნიერების თვალით, „ლიტ. საქ.“, 1970 წ., 20/III.

[3] ვ. პარკაძე, გამოჩენილი ფიზიკოსები, თბ., 1967 წ., გვ. 102.

საზღვრებისა ყოვლისა ფილოსოფიისა, რომელა საზღვარი რომელსა შინა წერილ არიან საზღვარნი 1263 მოკლედ განმარტებითურთ; მეშვიდე რიტორიკაისა მიხითარისგან ქმნილისა სომხურისგან; მერმე დასასრულ კატეღორიათა არისტოტელითთა სომხურისგანეე... და აქვე განაგრძობს... ხოლო ჩვენისამებრ ენისა წერილნი არა ფრიად მცირენი მაქვნ და სადაც ვისმენ ვითარმედ არს წერილი რომელიმე არა გვაქვს, დიდითარე მეცადინეობითარე ვპოვებ და დავაწერინებ. ჟეშმარიტად თუ სთქვა კნინღა სიგლახაკისა ნაწილი მოვიღეთ ამ ძალით" [1].

მაგრამ როგორი დიდი დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეს ანტონს ლიტერატურის. ისტორიის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ფიზიკისა თუ სხვა მეცნიერების წინაშე. ყველაფერი ეს მაინც ცოტაა იმასთან შედარებით, რაც მან გააკეთა ქართული ენათმეცნიერების, კერძოდ, ქართული გრამატიკული აზრის განვითარების საქმისათვის.

ანტონს არავითარი საგანგებო საენათმეცნიერო განათლება არ მიუღია, მიუხედავად ამისა, მაინც შეძლო შეექმნა ისეთი მეცნიერული შრომა, რომელსაც თავისი მნიშვნელობა ორასი წლის განმავლობაში არ დაუკარგავს და რომლის ბევრმა პირველხარისხოვანმა დებულებამ და გონებამახვილურმა მიგნებამ გაგება და აღიარება მხოლოდ მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ჰპოვა.

ანტონი გულნატკენი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მას არ უფასებდნენ შრომას და ვერ უგებდნენ: „ჩვენნი რომელნიმე არა თუ შემეწეოდნენ, არამედ მბასრობდენმცა ზედა დამსხმელნი სიცილისანი. ვითარმედ არა საჭირო არს და არცაღა სახმარ ენისა მიმართ ჩვენისა ღრამმატიკაჲ" (გვ. 220). სხვაგან კი კვლავ მწარედ ჩიივის: რა მადლობაც გრამატიკისათვის მივიღე, ახლაც იმას მოველიო.

ანტონი პრაქტიკული საქმეებიდან მთელ თავისუფალ დროს მეცნიერებას ახმარდა.

პრაქტიკული საქმეები კი ანტონს უამრავი ჰქონდა.

იგი სრულიად ახალგაზრდა, ოცდაოთხი წლის ჭაბუკი, 1744 წელს საქართველოს კათალიკოსად დასვეს. ამავე წლიდან ქართლ-კახეთის სამეფოთა გაერთიანებით აღმოსავლეთ საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასაც ჩაეყარა საფუძველი.

მამა-შვილის — თეიმურაზისა და ერეკლეს — გონივრული საგარეო და საშინაო პოლიტიკის მეოხებით, პოლიტიკურად, ეკონომიურად და სამხედრო თვალსაზრისით გაერთიანებულ და გაძლიერებულ სამეფოს კიდევ უფრო მტკიცეს გახდიდა ქრისტიანული რელიგიის სიყვარულითა და თავდადების გრძნობით შემუდროებული ქართველი ხალხის

[1] ანტონ I, ღრამმატიკა, თბ., 1885 წ. გვ. 220.

მხარდაჭერა, რადგან იმ დროს ქართველი კაცის გონებაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ქრისტიანული რელიგიის სიყვარულსა და საქართველოს დაცვას გულისხმობდა.

სწორედ მაშინ, როცა ბევრი საეპისკოპოსოს წინამძღოლი იბრძოდა კათალიკოსობისათვის და დამოუკიდებლობისაკენ მიილტვოდა, ერის სულიერი მთლიანობის შექმნას ესაჭიროებოდა მტკიცე ნებისყოფისა და ხალხთა ნდობით აღჭურვილი კათალიკოსი, რომლის სიტყვასა და ნება-სურვილს დაემორჩილებოდა მთელი საქართველოს საეკლესიო სამწყსო.

ანტონი მართლაც რომ ასეთი პიროვნება გამოდგა.

მან სასწრაფოდ ალაგმა თავგასული ეპისკოპოსები, შეუმცირა მათ საეკლესიო შემოსავალი სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ. ამით ბევრი სასულიერო პირი საბოლოოდ გადაიმტერა, რომელთაც მოგვიანებით დიდი როლი შეასრულეს კათალიკოსობიდან მისი გადაყენების საქმეში, მაგრამ ანტონმა ორი დიდი საქმე გააკეთა: ხელი შეუწყო ცენტრალიზებული სასულიერო და სახელმწიფო მმართველობის დადგენას და სამეფო სალაროს გაზრდას მიაღწია.

ნათქვამიდან ნათლად ჩანს ამ მრავალმხრივ განათლებული და ქართველი ხალხისათვის თავდადებული მოღვაწის დამსახურება, რაც თავის მხრივ, იმაზედაც მიუთითებს, თუ რა ტიტანური მუშაობა უნდა გაეწია გრამატიკის შესაქმნელად. მით უფრო, რომ არ შეეძლო ესარგებლა ქართულ ენაზე არსებული რაიმე საყურადღებო შრომით, თანაც არ არსებობდა არავითარი გრამატიკული ტერმინოლოგია.

პირველი და მეორე გრამატიკების შეპირისპირებით შესწავლა ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას აგვლენს. აშკარად იგრძნობა, განსაკუთრებით პირველ გრამატიკაში, ტერმინოლოგიის სიჭრელე. ავტორი ზოგჯერ ერთი ცნების გამოსახატავად ორ, სამ და ხან მეტ ტერმინს ხმარობს (აღალმა, სახე, გვარი, ხატი), ზოგჯერ კი ერთი და იმავე ტერმინით რამდენიმე ცნებას გამოხატავს („ნათესავი" ხან სქესია, ხან კიდევ — გვარი).

ანტონის გრამატიკების განხილვისას მკვლევრები მიუთითებენ, რომ: „ანტონ პირველმა თავისი გრამატიკის პირველი ვრცელი რედაქცია დაწერა 1753 წელს სომეხი გრამატიკოსის მხითარ აბა სებასტიელის გრამატიკის უშუალო გავლენითა და გამოყენებით" [1]. მეო-

[1] ელ. ბაბუნაშვილი, სახელთა ბრუნება ანტონ I „ქართულ ღრამმატიკაში", „მაცნე", 1969 წ., № 1, გვ. 160; მისივე, ანტონ I და ქართული გრამატიკა საკითხები, თბ., 1970 წ., გვ. 6—7; А. Шарадзе. О грамматической литературе грузинского языка, С.-П., 1872; გვ. 21—23; ი. აბულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. III, თბ.,

რე კი პირველის შევსებულ-შესწორებული სახეა". საკითხების განლაგებითაც და მსჯელობითაც პირველს იმეორებს"[1].

ერთი სიტყვით, მიიჩნევენ, რომ პირველი ქართული გრამატიკა დაიწერა სომხური გრამატიკის ავტორის — მხითარ სებასტიელის — უშუალო გავლენითა და შემწეობით.

ანტონის პირველი გრამატიკის წინასიტყვაობაში ლაპარაკია, რომ გრამატიკის მეცნიერებას იგი გააცნო ფილიპე ყაითმაზიშვილმა სომხური გრამატიკის მეშვეობით, მაგრამ ეს განცხადება როდი ნიშნავს იმას, თითქოს ქართული გრამატიკა „სომხურის უშუალო გავლენითა და გამოყენებით" იწერებოდა.

გრამატიკული აზროვნების ისტორია სათავეებს ბერძნული სამყაროდან იღებს[2]. ბერძნული გრამატიკული მოძღვრება (ძირითადად დიონისე თრაკიელიდან მომდინარე) იყო ის წყარო, რომლიდანაც სათავე აიღო ლათინური ენის გრამატიკამ და ამ უკანასკნელის მეშვეობით თითქმის მთელს მსოფლიოში გავრცელდა.

სომხური გრამატიკული აზროვნება ორი წყაროთი სარგებლობდა: პირდაპირ ბერძნულით (დიონისე თრაკიელიდან)[3] და ლათინურით, რომელიც ასაზრდოებდა მხითარისტთა სკოლას. ამიტომ სომხურშიცა და მისი მეშვეობით ქართულშიც თავიდანვე იგრძნობოდა ბერძნულ-ლათინური სიო.

ასე მაგალითად: ანტონი ქართულში პირველი ბრუნვის სახელად ხმარობს წრფელობითსაცა და სახელობითსაც. პირველი („წრფელობითი") ბერძნულ ტრადიციას უწევს ანგარიშს, იგი ბერძნული „ორთე"-ს თარგმანია; ხოლო მეორე („სახელობითი") ლათინურის კალკს წარმოადგენს (ნომინატიუს — „ნომენ" — სახელი).

ბერძნულ-ლათინურის თარგი უფრო კარგად ჩანს მეტყველების ნაწილთა სახელდებისა და განსაზღვრება-განმარტების დროს და არანაკლებ ყველა სხვა ზოგადი ცნების ქართულად გადმოცემისას.

ამის გამო იყო, რომ ანტონის გრამატიკის შეფასებისას უცხოე-

1938 წ., მისივე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X, თბ., 1940, გვ. 143; იხ. აგრეთვე ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, თბ., 1977 წ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960 წ. გვ. 382.

[1] ელ. ბაბუნაშვილი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970 წ., გვ. 10.

[2] ინდური გრამატიკული მოძღვრება, პანინიდან მომდინარე, მსოფლიო გრამატიკული აზრის განვითარებისათვის თითქმის მე-18 საუკუნემდე შეუმჩნეველი დარჩა.

[3] Адонц Н. Дионисий фракийский и его армянские толкователи, СПб., 1915 г.

ლი ავტორები (მ. ბროსე, ჟ. გატეირასი) ხაზს უსვამდნენ მის ბერძნულ-ლათინურ წარმომავლობას.

ის, რომ ანტონის გრამატიკის ბევრი განსაზღვრა დაემთხვა სომხური გრამატიკის ანალოგიურ ადგილს, იმას როდი ნიშნავს, რომ ქართული გრამატიკა იწერებოდა სომხურის გავლენით, იგი იწერებოდა ისე, როგორც თვით სომხური, ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრების გავლენით.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიგონოთ ანტონის განცხადება, რომ მან არისტოტელეს „კატეგორიები" სომხურიდან თარგმნა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „კატეგორიები" ანტონმა სომხურიდან აიღო. ანტონი სომხურიდან თარგმნიდა გრამატიკული მოძღვრების იმ ზოგად ცნებებს, რომლებიც სომხურში ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრებიდან იყო თარგმნილი ისევე, როგორც ევროპის ყველა ენაში.

ტერმინოლოგიური დამთხვევა რომ მთავარი არაა, შემდეგიდანაც ჩანს: ანტონის გრამატიკის ზოგადი ცნებების აბსოლუტური უმრავლესობა ემთხვევა რუსული ენის გრამატიკის ცნებებს ტერმინოლოგიურად და მათი განსაზღვრებაც აბსოლუტურად ერთნაირია (არსებითი სახელი — имя существительное, ნაცვალსახელი — местоимение, ნათესაობითი — родительный, მიცემითი — дательный, მოქმედებითი — творительный და მრავალი სხვა). რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსულმა გრამატიკულმა მოძღვრებამ იგი სომხურიდან აიღო.

ამ დამთხვევების მიზეზი საერთო წყაროს არსებობაა და ეს საერთო წყარო ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრებაა.

როგორ უნდა შეფასდეს თავისთავად ეს „გამოყენებები", „გავლენები", თარგმანები თუ კალკები, რომლებიც საკმაოდ ბლომად გვხვდება ანტონის გრამატიკაში (განსაკუთრებით პირველში), ხომ არ ამცირებენ ისინი გრამატიკების შემქმნელის — ანტონის — როლს?

ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრების ჩამოყალიბების შემდეგ მათგან სესხებისა და კალკის გზას ვერ ასცდა ვერც ერთი ენის გრამატიკა და ეს გზა არა თუ დასაგმობი და მავნებელი იყო, არამედ აუცილებელი და სიცოცხლისუნარიანი. სხვადასხვა ენის გრამატიკათა შემქმნელთ შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოეყენებინათ ცოდნის ის უდიდესი მარაგი, რაც ბერძნებმა და რომაელებმა საუკუნეების განმავლობაში დააგროვეს და, თუ რომელიმე შესასწავლი ენის გრამატიკის ავტორი ნიჭიერი და ღრმა მოაზროვნე აღმოჩნდებოდა, ეღებულობდით საფუძვლიან შრომას, რომელიც იქცეოდა ქვაკუთხედად მოცემული ენის გრამატიკული წყობის შემდგომი კვლევისათვის.

სწორედ ასეთი ბედნიერი გამონაკლისი იყო ქართული ენის პირველი გრამატიკის ავტორი ანტონ ბაგრატიონი, რომელმაც გასაოცარი ნიჭისა და ალღოს წყალობით პირველსავე ქართულ გრამატიკაში ბერძნულ-ლათინური საგრამატიკო მოძღვრების ზოგადსაგრამატიკო დეფინიციების გვერდით შეიტანა და დაადგინა ქართული ენის სისტემის ისეთი ელემენტები, რომელთა დადგენა-აღმოჩენა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს; ეს გარემოება მით უფრო დიდ ფასს იძენს, თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ ყველა ის ენა, რომელთა გრამატიკების ცოდნასა და გამოყენებაზე ანტონი მიუთითებს (ბერძნული, ლათინური, სომხური, რუსული, გერმანული, ფრანგული, იტალიური), დიდად განსხვავებული წყობისაა, ამიტომ ანტონი მათგან ბევრით ვერაფრით ისარგებლებდა.

ამ ასპექტში რად ღირს: თანხმოვანთა კლასიფიკაცია, მოთხრობითი ბრუნვის ფორმისა და ფუნქციის აღმოჩენა-დადგენა, და საერთოდ ქართული ბრუნების სისტემის შემუშავება ოთხი ჯგუფით: კუმშვისა და კვეცის შემჩნევა; სიტყვათწარმოებითი ჯგუფების ჩამოყალიბება და მაწარმოებელ აფიქსთა აბსოლუტური უმრავლესობის მითითება; ზმნის ძირითადი კატეგორიების დადგენა, თითქმის ყველა პირის ნიშნის აღმოჩენა; მწკრივთა მაწარმოებლების შემჩნევა; კაუზატივის ფორმისა და ფუნქციის პოვნა, მრავალპირიანობაზე მითითება; ქვემდებარისა და დამატების ბრუნვების დადგენა და მრავალი სხვა.

ანტონის პირველი გრამატიკა 1753 წელს დაიწერა. მაშინ მხოლოდ სომხურისა და ლათინურის გრამატიკულ მოძღვრებას ვიცნობდი და ბევრი რამ გამოუცდელობის გამო არასწორად დავწერეო, — მიუთითებდა ანტონი.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ I გრამატიკა უკმარისად მიიჩნია, რამაც განაპირობა ახალი გრამატიკული ნაშრომის შექმნის საჭიროება.

1767 წელს ანტონი წერს მეორე გრამატიკას და მეტად საინტერესო წინასიტყვაობას უმძღვარებს მას:

„ორგზის არა ეჰრიდე შრომად ქმნისადმი ღრამმატიკაისა.

პირველად მიზეზი ქმნისა და შრომისა ჩემისა წინა დამიდვიეს თქვენდა[1], ხოლო მეორედ ამისათვის, ვითარმედ მრავალნი რაიმენი ჰსჩნდეს ვინაითგან არა სახმარ-იყვნენ ქართულებრისადმი ენისა და მრავალნი ესახმარებოდნენ და ეჭირებოდენცა. რომელნი არა მოხსენებულ-იყვნენ ღრამმატიკასა შინა ჩვენსა პირველ-ქმნილსა, ამად რომელ დაღათუ ფრიად ეჰშვერ განსჯისადმი თვითოთა სიტყვის ნაწილთა, რომლისა მოწამე არს ჰეშმარიტებაი, მაგრა, ვინაითგან ახალი

[1] მხედველობაში აქვს პირველი გრამატიკის წინასიტყვაობა.

იყო ცნობისა მის ქვემდებარეობაი ჩვენი, არა საკვირველ-არს, რათა სრულიად ვერ სადამე განყოფითი და სავსე იდეა იქმნამცა ჩვენ შორის მაშინ.

გარნა ოდეს როსიასა შინა ყოფასა ჩემსა მრავალთა სხვა და სხვა ენათაგან გარდმოღება ვჰყავთ სათთვეოთა წიგნისა და პარაკლიტიკოსისა, ტვიბიკონისა და ალექსანდრე დიდისა ისტორიათა კვინტოს-კურციოსისგან ქმნილთა, ათთა წიგნთა და ფილოსოფიისა სრულის და განსაზღვრებისა ფილოსოფიისა წიგნებთა, უმეტეს დახელოვნებულ-იქმნა გონება. ეგ სახედ მოვიწიე რა ქვეყნადვე ჩვენდა რიტორიკაიცა გარდამოვიღე და კატიღორიანი არისტოტელისანი და მუნვე როსიასა ყოფასა ჩემსა ვიკითხვიდი ელინურისა და ლათინურისა და ფრანციულისა და იტალიანურისა და გერმანიულისა და რუსულისა ენათა მეცნიერთად, კვალად ვითარიმე იყო გვარი ხმარებად ნაწილთა სიტყვისათა და სახეთა მათთა ენათა მათ შორის თქმულთა და მომიგებდიან და საცნაურ ჩემდა ჰყვიან, ესრეთ დახელოვნებულ იქმნა უმეტეს გონება ხელოვნებისა ამის მიმართ“ (გვ. 2).

პირველსა და მეორე გრამატიკას შორის სხვაობა დიდია. თუ პირველი გრამატიკის ცნებათა განსაზღვრებები ძირითადად ლათინურ-სომხურ გრამატიკულ ტრადიციას მისდევდა, მეორე გრამატიკაში დამატებითაა გათვალისწინებული ბერძნული, ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული, რასაც დაერთო საკმაოდ ძალუმი ნაკადი დასავლური (განსაკუთრებით ლეიბნიც-ვოლფისა და მათგან გამოსული ბაუმაისტერის, ფილოსოფია-ლოგიკის წიაღიდან მომდინარე) ნახევრად ენათმეცნიერული ცნებებისა და საბოლოოდ მივიღეთ მეტად საინტერესო გრამატიკული ნაშრომი.

როგორც ცნობილია, ენათმეცნიერება მისი შორეული წინაპრის „ტექნე გრამატიკეს“ ჩასახვისთანავე სასიცოცხლო უჯრედების ძირითადსავე ნაწილში ლოგიკა-ფსიქოლოგიის ელემენტებს შეიცავდა და ამ ელემენტებიდან განთავისუფლება მას აღარასდროს არ ეწერა. ამის მიზეზი თვით ენის ბუნება გახლდათ. იგი ხომ — ადამიანის საკუთრებაა, თვით აზროვნებისათვის აუცილებელი მარეალიზებელი პირობაა და, რა გასაკვირია, თუ აზროვნების შემსწავლელ დისციპლინათა გავლენის დიდი კვალი ანტონის გრამატიკასაც დასჩენოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს ლეიბნიც-ვოლფის მოძღვრება და მისი ბრწყინვალე პოპულარიზატორი — ბაუმაისტერი — მთელს დასავლეთ ევროპაში დიდ პატივში იყვნენ. ამან გამოხმაურება ჰპოვა რუსეთშიც, სადაც დიდი მოწონებით სარგებლობდა ბაუმაისტერის შრომები ფილოსოფიის, ლოგიკისა და მეტაფიზიკის დარგში.

განსაკუთრებით დიდად ბაუმაისტერის მოძღვრება აისახა ანტონის მეორე გრამატიკაში.

ქვეშოთ მკითხველი იპოვის, თუ როგორ შემოიჭრა ბაუმაისტერის მოძღვრების ელემენტები მეორე გრამატიკაში „წიგნისა“ და „ლექსის“ განსაზღვრისას და რამდენად დიდი მნიშვნელობისაა ეს ფაქტი, რადგან არცერთ წინამორბედ და არც მის თანამედროვე გრამატიკებში ანტონს იგი არ შეეძლო ეპოვა.

ამიტომ ბაუმაისტერისაგან თუ სხვა მეცნიერთაგან მომდინარე დებულებები (რომლებიც ძირითადად ენისა და აზროვნების ურთიერთობას ეძღვნება). უნდა შეფასდეს ენის ფაქტებისადმი თვით ანტონის დამოუკიდებელი მიდგომის დამადასტურებლად და იმის ნიშნად, რომ ანტონს აინტერესებს არა მხოლოდ გრამატიკის საკითხები და, **რომ იგია არა მხოლოდ პირველი გრამატიკის ავტორი, არამედ ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი საერთოდ.**

მეორე გრამატიკა, პირველთან შედარებით, დაიხვეწა საილუსტრაციო მაგალითების ჩვენება-ინტერპრეტაციის თვალსაზრისითაც.

თუ პირველ გრამატიკაში ანტონი ზოგჯერ პირდაპირ მისდევდა ბერძნულ-ლათინურ-სომხურის განსაზღვრება-ტერმინოლოგიას და ამა თუ იმ გრამატიკულ მოვლენასაც ქართულში მათი მიბაძვით პოულობდა, მეორე გრამატიკაში იგი უკვე დახელოვნებული გრამატიკოსია და სრულიად თამამად ეპაექრება მის ყოფილ მასწავლებლებს. აი, რას ამბობს იმის თაობაზე თვითონ:

„შესაძლებელ არს ჩვენისამებრ ენისა, რამეთუ ითხოვონმცა მმუფლებელი სახელი სახელ-ზმნათა ანუ უჩინოთა, დაღათუ ჩვენ წელიწადსა 1754 ახლად ქმნილსა ღრამმატიკასა შინა ნაწილსა მესამესა ვჰსთქვენით განურჩეველად მონებად მიმღეობანი და მაშინ წოდებულნი იგი ჩვენგან უჩინონი, რომელ არიან სახელ-ზმნანი უფალთა სახელთა მიმართ, მაგრამ მარტოდ სომხურისა ენისა ქცეულებისა მიმართ მიმხედველთა და არა ჩვენისა ენისა გრძლად განმჰსჯელთა საბლითა მეცადინეობისათა იძულებით მოვათრიენით სახელნი და თქმულნი იგი სიტყვისა ნაწილნი და უქმენით სახელნი თქმულთა მათ ნაწილთა სიტყვისათა, რათა სომხურისათანა ენისა ყოვლითურთ მჰსგავსებაი აქვნდესმცა ენასა ჩვენსა, რომელი ესე სიჭაბუკემან და გამოუცდელობამან ჰქმნა საქმისამან.

აქა ეაჩვენებ მაშინდელთა მათ მაგალითთა ცთომასა.

სახელ-ზმნისა, რომელსაც მაშინ სომეხთაებრ ვუწოდეთ უჩინოი და სახელისა მმუფლებელისა მისისა თანხმობისა. **„შესლვა პეტრესი ტაძრად იქმნა ნაყოფიერ“.** ესრეთ ოცნებულ-იქმნა მაშინ, რეცა ნათესავობითად ბრუნვეილი იგი სახელი რომელა „პეტრესი“, რამეთუ

იყოსმცა უფალ ლექსისა ამის რომელა **„შესვლა“**. მაგრა არა ეგრეთ არს, არამედ ესრეთ. **„ნაყოფიერ იქმნა შესვლა პეტრესი ტაძრად.**

ამას შინა **„ნაყოფიერ“** არს სახელ-ზმნა სხმით გარდასვლითი და უფალი ზმნისა მის რომელა იქმნა, ხოლო საძიებო არს სახელ-ზმნა, რომელა **„შესლვა“** და **„ტაძრად“** არს ძიება სახელ-ზმნისა მის, რომელა **„შესლვა“**, **„პეტრესი“** არს განმათვისებელი შესვლისა“ (გვ. 217—218 — ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ნაყოფიერ იქმნა“-ს ინტერპრეტაციას (რომ ნაყოფიერ არის უფალი „იქმნა“ ზმნისა“, თუმცა ასეთი ინტერპრეტაცია რატომღაც ჩვეულებრივი იყო იმ დროს, ალბათ, იმის გამო, რომ შედგენილი შემასმენლის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდათ), ამ წინადადებაში „პეტრესი“-ს ახლებური გარჩევა უფრო დამაკმაყოფილებელია. მართლაც, თუ შესვლა **საძიებო** იქნება (ე. ი. დამატება), პეტრესი მისი **განმათვისებელია** (განსაზღვრებაა).

ანტონი განაგრძობს: „ჰსწამებს ამას ზედა ჰეშმარიტება, რათა მიმღეობათა მათგან თქმულთა, თუ სადამე არა იწარმოესმცა ზმნათა შეუძლებელ არს გაგონება, ამად რომელ **არა არს ჩვეულება ენისა მებრ ჩვენისა, რათა ნაცვლად პიროვანისა ზმნისა დაიდვნესმცა სიტყვასა შინა მიმღეობანი** და უხმარ არს და ყოვლითურთ შეუგვანებელ ესე ვითარნი წინ-განჰსჯილნი საქმენი. მაშინ ოდეს იგი ვჰსჯიდი ნაწილთა სიტყვისათა და სიტყვათა შინა წყობათა მათთა, შედგომილ ვიყავ ქცევასა სომეხთა ენისასა რაოდენთამე მიზეზთა ძალით: პირველად ვითარცა გამოუცდელი და მხოლოდ ენისა ოდენ სომეხთასა მხედველი; ბეორედ ვერ მიმნდობელი თავისა ჩემისა, ვითარმედ 1753 წელიწადთა შინა არა სადა მასმიოდა, რათა ყოფილიყომცა ჩვენისამებრ ენისა ღრამმატიკაი. ...მესამედ თურმანიცა მაქვნდა ვითარმე მათდამი რომელნიც სომხურითა ენითა შემეწეოდეს ქმნასა ჩვენისამებრ ენისა ღრამმატიკისასა“ ახლა კი, როცა ამდენი შრომა ვთარგმნე სხვა ენებისგანო (ჩამოთვლის ნათარგმნ შრომებს — ა. ფ.) ...„გამოვიცადე და ამათ მიერ ვითარცა ჰეშმარიტებისა მცნობელი მივენდე თავსა ჩემსა. ამისდამი ვითარმედ არა დავაკლდი მადლსა მას, რომელნიც იყვნეს პირველ ჩემსა საუკუნესა ამას შინა ღრამმატიკოსობასა შინა კმად დახელოვნებული და ამათ მიერ ღრამმატიკოსობისა მიმართ დასამტკიცათა დავამტკიცებ და უკუთქმადთა უკუვსთქვამ“ (გვ. 219—220).

მართლაც, ანტონი უკვე აღარ ეთანხმება მათ: „ჰაზრობენ რომელნიმე რათა არსებითმანცა სახელმან ითხოვოსმცა ბრუნვილი მაგალითებრ: სიყვარული ღვთისად და წადილი კეთილისად. ხოლო განმარტებენ ესრეთ: ესე გვარსა შინა არიან ზმნანი არსებითნი. მაგ.: სიყ-

ვარული იგი, რომელი არს ღმერთისად და წადილი იგი რომელ არს კეთილისად... მე უკვე თქმულსა მასა ბაზრსა არა ვაყენებ. თვით იციან მეჯაზრეთა ესე გვართა, მაგრა ესრეთ ვჰსჯი მე, ვითარმედ: თქმულსა მას — სიყვარული ღვთისად, წადილი კეთილისად, თვინიერ ზმნისა არათუ არსებითისა არ ძალუძს შესაძლოად სიტყვასა შინა" (გვ. 228—229. ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

208-ე გვერდზე ანტონი ეკამათება ღრამმატიკოსებს, რომელნიც „იტყვიან ვითარმედ რეცა სახეცა იმდევროს ზმნის-ზედამან, მაგალითებრ: მხოლო არს პირველი სახე, და ჩემებრ სხმით — გარდასვლითი".

„ესენი დაღათუ არიან სახელნი, — შენიშნავს ავტორი, — მაგრა პირველ სახე იგი ხმეულ-არს მრავალჯერ სიტყვასა შინა ზმნის-ზედად და სხმით-გარდასვლითი იგი ზმნის-ზედად კეთებულ — არს ებრ თქმისა მიერ".

ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მეორე გრამატიკაში ანტონი სრულიად განთავისუფლდა გავლენისაგან და მისი ყოველი დებულება ენათმეცნიერული თვალსაზრისით უნაკლო და მისაღები იყოს. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ 1767 წელს ანტონი უკვე აღარაა ახალბედა მეცნიერი, რომელსაც საკუთარი თავის იმედი არა აქვს. იგი დარწმუნებულია საკუთარ ცოდნასა და ძალაში, თუმცა როგორც ქვემოთაც შევნიშნავთ, მაინც უთმობს ზოგ რამეში თავის „თანაშემწეებს", თუ „დამხმარეებს", რის შედეგადაც გრამატიკებში კარგა ხანს შემოგვრჩა შემასმენლობითი ბრუნვა და იქნებ ზოგი სხვაც, მაგრამ მთლიანობაში აღებული ანტონის გრამატიკა უდიდესი მოვლენაა არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთოდ ენათმეცნიერული აზრის ისტორიაში.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ანტონის გრამატიკა მძიმე ენითაა დაწერილი და მას ნამდვილად ემჩნევა ხელოვნურობის კვალი.

მკვლევარმა ალ. კალანდაძემ ანტონი ქართული კლასიციზმის ფუძემდებლად მიიჩნია და მისი ენის სიმძიმის სათავეც კლასიცისტების მიერ აღორძინებული სტილის თეორიის ნორმებს დაუკვემდებარა[1].

ანტონის პოლიტიკური მოღვაწეობის თავისებურებები ბევრ რამეში იქნებ მართლაც მოგვაგონებს კლასიციზმის წარმომადგენელთა თეორიული მრწამსის პრაქტიკული განხორციელების ცდას, რაც სახელმწიფო მმართველობაში შეუზღუდველი მონარქიის დაცვაში გამოიხატა; იქნებ ლიტერატურულ სარბიელზედაც მისი მოღვაწეობა კლასიციზმის დოგმათა ჩარჩოებშია. ამის შესახებ გადაჭრით არაფრის

[1] ალ. კალანდაძე, ანტონ ბაგრატიონი და ქართული კლასიციზმი, „ცისკარი", 1971 წ., № 2; მისივე, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1972 წ.

თქმა შეგვიძლია, მაგრამ ერთი ნამდვილად აშკარაა, ანტონის ენის სიმძიმის სათავე თვით ამ მეცნიერების სირთულეში სულაც არაა საძებნი, როგორც ალ. კალანდაძეც შენიშნავდა — ძნელად გასაგები შეიძლება იყოს წიგნის შინაარსი, — გადმოსაცემი მეცნიერების საკვლევ პრობლემათა არსი, მაგრამ არა ის ენა, რომელიც სწორედ ამ მეცნიერების გაგების გაიოლებას უნდა ემსახურებოდეს, თუმცაღა ისიც სათქმელია, რომ ქართული გრამატიკის მეცნიერებას ანტონი ქმნიდა და ყოველი საქმე დასაწყისში რთულია.

ანტონის ენის სირთულე განაპირობა იმ სიცარიელემ, რომელიც ქართულ მეცნიერებაში შეიმჩნევა ი. პეტრიწიდან მოყოლებული თითქმის მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისამდე.

საკმარისია თვალი გადავავლოთ ქართული მეცნიერების განვითარების გზებს ზოგადად და დავრმწუნდებით ნათქვამის სისწორეში.

მე-11—12 საუკუნეების საქართველოს საერთო აღმავლობა, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებასა და კულტურას შეეხო, ამ დროის ქართული მეცნიერების სათავეებთან ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელსა და განსაკუთრებით ი. პეტრიწს ვხედავთ; მე-13 საუკუნიდან მოყოლებული, თითქმის მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში (ყოველ შემთხვევაში მე-17 საუკუნის მეორე ნახევრამდე), ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემას მოჰყვა ქართული მეცნიერების დაკნინებაც. უფრო მეტიც, ამ ხანებში ჩვენ დროდადრო ქართული სახელმწიფოებრივი აღორძინების მოწმენიც ვართ, მაგრამ ეს არ ითქმის ქართული მეცნიერების შესახებ, რომლის აღორძინება სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI მოღვაწეობით იწყება ძირითადად და, რომელმაც თავის მწვერვალს მე-18 საუკუნეში ანტონ პირველის მოღვაწეობაში მიაღწია.

ანტონის მოღვაწეობა ძირითადად ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ლიტერატურის, ისტორიისა და, რაც მთავარია, გრამატიკის სფეროებზე გავრცელდა. საჭირო გახდა ამ მეცნიერებათა არა მხოლოდ შექმნა თუ აღორძინება, არამედ მათი ტერმინოლოგიის შემუშავებაც და მთელი ხუთი თუ ექვსი საუკუნის სიცარიელემ ანტონი ი. პეტრიწის, ეფრემ მცირისა და სხვათა ენამდე მიიყვანა. ანდა სხვანაირად როგორ მოიქცეოდა, თუ მათ შორის არავინ ჩანდა გარდამავალ რგოლად.

როგორც ცნობილია, ი. პეტრიწის, ეფრემ მცირესა და სხვათა ენა თავის დროზედაც საკმაოდ მძიმე იყო, მეტ წილად იმის გამო, რომ ძირითადად ნათარგმნი ტექსტებით საზრდოობდა და, რა გასაკვირია, თუ ეს ენა, ანტონის მიერ აღდგენილი, მძიმე და ხელოვნური აღმოჩნდებოდა ექვსი საუკუნის შემდეგ და კიდევ უფრო მძიმე გვეჩვენება დღეს — რვა საუკუნით გვიან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ

„მძიმე ენას“ სულაც არ შეუშლია ხელი მისი მომდევნო გრამატიკოსებისათვის, აეღოთ ანტონისგან ყველაფერი, რაც ქართული ენის სისტემის დამახასიათებელ სურათს ქმნიდა და, თუ ბევრ რამეში ანტონს ვერ გაუგეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ჩაწვდნენ აზრის სიღრმეს და არა იმიტომ, რომ რთული იყო მისი ენა.

მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ანტონის ენა, მაინც ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, თითქოს ანტონი მოითხოვდა ეწერათ „გაუგებრად“, ასეთი მოთხოვნა არ შეეძლო წამოეყენებინა საერთოდ არასდროს არავის და მით უფრო ანტონს და რომ ეს ასეა, ამის საუკეთესო მაგალითია გაიოზის ქართული გრამატიკა.

თუ ვისმე ჰქონია ანტონის „შიში“ და მორიდება, უპირველესად გაიოზს, რაც მის გრამატიკაში არა ერთ ადგილას შეინიშნება, მაგრამ მისივე გრამატიკის ენა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ანტონი არავის უკრძალავდა „მსუბუქი“ ენით წერას, პირიქით, როგორც გადმოგვცემენ, ანტონი ყოველთვის ქებით იხსენიებდა გაიოზის უნარს — ეწერა გასაგებად და იოლად შესასწავლად შეგირდთათვის.

გაიოზის გრამატიკა ანტონის გრამატიკისაგან განსხვავდებოდა არა მხოლოდ ენის სისადავით, არამედ მისი აგებულებითაც და მეთოდიკური მიზანდასახულობითაც.

ეს გრამატიკა ყოველმხრივ შეესაბამებოდა სწორედ სასკოლო მოთხოვნილებებს. მასში აღარ იყო ის განმეორებები, რომლებიც ანტონის გრამატიკას, მისი აგების თავისებური პრინციპის გამო, აუცილებლობით თან სდევდა. გაიოზმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინა მოსწავლე ახალგაზრდობის გონებრივი შესაძლებლობები და გრამატიკიდან თითქმის მთლიანად ამოიღო სასულიერო ტექსტები, რომლებიც ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის ილუსტრირებას ემსახურებოდა და ამძიმებდა წიგნის ენას.

გაიოზმა გრამატიკის ენა სამეტყველო ქართულს დაუახლოვა და ამით იგი კიდევ უფრო რაციონალური გახადა სწავლებისათვის.

ვიდრე გაიოზის გრამატიკას უფრო დეტალურად განვიხილავდეთ უნდა აღვნიშნოთ, თუ რა პირობებში იწერებოდა იგი. გაიოზმა, ქართულთან ერთად, რუსული განათლება მიიღო და ამ გზით თავიდანვე ეზიარა ევროპული მეცნიერების მიღწევებს. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ თავისი გრამატიკის შექმნისას ეყრდნობოდა ანტონის ფუნდამენტურ შრომას. ამიტომ ჩვენ უფლება არა გვაქვს გაიოზის დამსახურება გადაჭარბებულად შევაფასოთ; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გაიოზის გრამატიკა გახდა ფორმალური მოდელი შემდგომი დროის ქართული გრამატიკებისა. გაიოზის გრამატიკიდან ბევრი აი-

ღო ი. ქართველიშვილმა, რომლის ნაშრომიც შემდეგი საფეხურია ჩვენი მეცნიერების განვითარების გზაზე.

ი. ქართველიშვილმა საბოლოოდ დახვეწა ქართული ბრუნების სისტემა და, როგორც ქვემოთ მის მიერვე შედგენილი ბრუნვის ნიშნების სქემა გვიჩვენებს, თითქმის უშეცდომოდ მოგვცა ყველა ბრუნვის ნიშანი, ყველა ნიუანსით.

ი. ქართველიშვილის დამსახურებაა ქართულ ზმნაში ძირითადად ორი უღლების გამოყოფა („ვინიანისა“ და „მანიანისა“), რომელიც, მართალია, თვით უღლების დასახასიათებლად არაფერს იძლევა, მაგრამ ქართული ზმნის თავისებურებების აღწერის მიზნით მეტად ფასეულია.

ბევრი სხვა ტერმინოლოგიური თუ აზრობრივი სიახლე შემოიტანა ქართულ გრამატიკაში ი. ქართველიშვილმა. მის შრომას ეყრდნობა სოლ. დოდაშვილის გრამატიკა და ამ უკანასკნელის მეშვეობით პლატონ იოსელიანის გრამატიკაც.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული გრამატიკული ლიტერატურა ძირითადად სწორედ ჩამოთვლილი გრამატიკებით საზრდოობდა და ასე შემზადდა ნიადაგი ახალი ქართული გრამატიკული მოძღვრებისათვის, რომელსაც საფუძველი მე-20 საუკუნის ოციან წლებში ჩაეყარა.

I. ქართული გრამატიკული აზრის შესწავლის ცდები

ქართული გრამატიკული აზრის უცხოელი მკვლევრები (მ. ბროსე, ა. შეგრენი, ჟ. გატეირასი); ალ. ცაგარელი და ქართული გრამატიკული აზრის შესწავლა; ქართული გრამატიკული აზრის მიმოხილვა მე-19 საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში; ჩვენი დროის მკვლევრები ქართული გრამატიკული აზრის შესახებ.

ქართული გრამატიკული აზრის პირველ ისტორიკოსადაც ანტონ ბაგრატიონი გვევლინება. იგი არაერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რა. იყო გაკეთებული მის მოღვაწეობამდე და რა გააკეთა მან. ანტონი საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს იმ მიზეზებსა და მიზნებზე, რამაც მისი მეორე გრამატიკის დაწერა განაპირობა და საგანგებოდ აღნიშნავს, რაა ახალი ამ გრამატიკაში.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, რა თქმა უნდა, ანტონს, ალბათ, არც უფიქრია გრამატიკული აზრის ისტორიკოსის როლში გამოსულიყო. ამიტომაც ამ საკითხის მკვლევარს ბევრი დარჩა გასაკეთებელი ანტონამდელი გრამატიკული აზრის სათავეების საძიებლად და კიდევ უფრო მეტი თვით ანტონისა და შემდეგი დროის გრამატიკოსთა ნააზრევის შესწავლ-დასაფასებლად.

პირველი შრომა, რომელიც ქართული გრამატიკული აზრის ისტორიას მიეძღვნა. არის მ. ბროსეს საკმაოდ ვრცელი სტატია, გამოქვეყნებული „სააზიო ჟურნალში", 1833 წელს პარიზში.

ამ სტატიაში განხილულია ანტონ პირველის გრამატიკა [1], რომელიც მისთვის 1832 წელს დავით ბაგრატიონის გრამატიკასთან ერთად თეიმურაზ ბაგრატიონს გაუგზავნია პეტერბურგიდან.

სტატიის დასაწყისში მითითებულია ხელნაწერის გადაწერის დრო (1813 წ.) და მოხსენებულია გადამწერი — გ. პაიჭაძე. მასში ვრცლა-

[1] M. Brosset. Notice et analyse raisonnée du kommencement de la Grammaire géorgienne du patriarche Antoni I, intitulée L'art Libéral ou Préceptes grammaticaux NJAS XI 1833. P. 385—414.

დაა მოცემული ანტონის ბიოგრაფია. სამწუხაროდ, ზუსტი არ არის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები. ბროსე წერს, რომ ანტონს ეკუთვნის „ერთი ადრეული გრამატიკა, რომელსაც არ ვიცნობთ“.

მ. ბროსე კრცლად ეხება ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხს და ხაზს უსვამს ანტონისეულ მოსაზრებას, რომ ქართული დამწერლობა შექმნა ფარნავაზ მეფემ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე-მესამე საუკუნის მიჯნაზე და უკვირს, „ნუთუ ქართველებს — ამ ძველ ერს — მანამდე არ ჰქონიათ დამწერლობა...“. მისი აზრით, ფარნავაზამდე ქართველები, უეჭველია, სარგებლობდნენ რომელიღაც დამწერლობით, მან მხოლოდ მხედრული დამწერლობა შეუქმნა ქართველებსო.

ანტონის შრომის საკუთრივ გრამატიკულ მასალას ბროსე საფუძვლიანად განიხილავს და ბევრ კრიტიკულ შენიშვნასაც იძლევა.

ბროსეს განსაკუთრებით არ მოსწონს ქართული ენის ბრუნების ანტონისეული დახასიათება. „კამათს იწვევს ბრუნვათა რიცხვი და მრავლობითის წარმოებაცო“. სრულიად მართებულია ბროსეს შენიშვნა ქართულში სქესის კატეგორიის საკითხზე; რეცენზენტს არ აკმაყოფილებს ქართული ენის ბგერათშედგენილობის ანტონისეული დახასიათება. იგი სრულიად ზედმეტად მიიჩნევს ანტონის მიერ შემოტანილ ჳ და ჶ ასოებს.

მ. ბროსე სამართლიანად იწუნებს გრამატიკის ენას, „რომელიც შორსაა ძველი წიგნების ენის კლასიკური სიწმინდისგანო“.

ბროსე არაფერს ამბობს ქართული ზმნისა და სიტყვათა შეწყობის ანტონისეულ მოსაზრებებზე. და, რაც მეტად დასანანია, მის სტატიაში თითქმის არაფერია ნათქვამი იმ გონებამახვილურ მიგნებებზე, რომლებიც ასე უხვად იყო ანტონის გრამატიკაში.

მეორე უცხოელმა ავტორმა აკად. ა. შეგრენმა[1] 1838 წელს „პეტერბურგის გაზეთში“ გამოაქვეყნა რეცენზია, რომელიც მიზნად ისახავდა ბროსეს ორი გრამატიკული ნაშრომის[2] განხილვას, მაგრამ ავტორი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა და სტატიის დასაწყისში მოიხილა ორიგინალური ქართული გრამატიკული ლიტერატურა.

ეს წერილი ფაქტიურად პირველი სამეცნიერო სტატიაა, რომელშიაც განხილულია იმ დროისათვის ცნობილი თითქმის მთელი ქართული გრამატიკული ლიტერატურა.

---

[1] ა. შეგრენის შესახებ იხ. ალ. ფოცხიშვილი, ქართული კულტურის მეგობარი, გაზ. „კომუნისტი“, 1971 წ. 23. VI.

[2] L'art Libéral ou Grammaire géorgienne, par M. Brosset jeune. Paris, 1834, 2. Eléments de la Langue géorgienne, par M. Brosset, jeune. Paris, 1837.

ამ სტატიიდან პირველად გახდა ცნობილი, რომ არსებობს 1829 წელს დაწერილი იოანე ბაგრატიონის გრამატიკა (შეგრენის კუთვნილება). ამავე სტატიაში იყო მოხსენებული პირველად გრამატიკა, ხუცური შრიფტით დაბეჭდილი, უთავფურცლოდ და ავტორის მიუთითებლად, გამოცემული 1816—1817 წლებში, თბილისში, რომლის ავტორადაც ა. შეგრენი იესე ჩუბინოვს ასახელებდა, ალბათ, იმავე მ. ბროსეს მიერ 1838 წელს გამოცემული თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნების „კატალოგზე დაყრდნობით.

აი, რას წერდა ანტონის გრამატიკის შესახებ ა. შეგრენი: „გასული საუკუნის შუა წლებში ანტონის მიერ შექმნილი გრამატიკა ყველა არსებულ ადგილობრივ გრამატიკაზე პირველი და უძველესია, როგორც ეს ქართველთა მიერაა აღიარებული და ამასთან ყველა ენაზე დაწერილ შრომებში განიხილება როგორც ძირითადი, და, იგი ნამდვილად იმსახურებს გარკვეული თვალსაზრისით იმ დიდ პატივს, რომლითაც ქართველებს შორის დღესაც სარგებლობს. ადგილობრივ გრამატიკებს შორის ეს არის ყველაზე დაწვრილებითი და მისი ძირითადი დამსახურებაა ენობრივი ფორმების სრული ამოწურვა... ავტორი აქვე შენიშნავს, რომ ზოგჯერ ამ გრამატიკაში ჰირს „ხეებს უკან ტყის დანახვა“ და განაგრძობს, „...მაინც ხსენებული ნაშრომი განსაკუთრებით, როგორც პირველი ცდა სრული ქართული გრამატიკისა, დასაფასებელი და აუცილებელი შეუცვლელი საშუალებაა იმისათვის, ვისაც სურს შეისწავლოს ქართული ენა“.

სრულიად სწორ შეფასებას აძლევს ა. შეგრენი მაჯოს გრამატიკას, რომელიც იყო „...ნაკლოვანებებით სავსე ადგილობრივი ლიტერატურის ცოდნის გარეშე და მხოლოდ დიალექტებზე დაყრდნობით შედგენილი გრამატიკა“ [1].

ასევე სწორადაა შეფასებული ვარლამის გრამატიკა, როგორც „უბადრუკი წიგნი“ და გ. ფირალოვის „თვითმასწავლებელი“, რომელიც „არაფრით სჯობს ვარლამის შრომას“.

შემდგომ ავტორი ეხება ფატერს: რადგან ამ სამი „ნაწილობრივ ღარიბი, ნაწილობრივ არასაიმედო წყაროთი“ (მაჯო, ვარლამი, ფირალოვი) სარგებლობდა ფატერი, მისი (ე. ი. ფატერის) შრომა, ავტორის გონებამახვილობის მიუხედავად, მეტად ზერელე გამოვიდაო“ [2].

რეცენზიის ბოლოს საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული ბროსეს ორივე შრომის შინაარსი.

---

[1] A. Siögren. Liberarisihe Anzeige (st Pet. Zeit), 1838, № 97, გვ. 1—2.

[2] იქვე, გვ. 3.

საკუთარი კომენტარებისაგან ავტორი თავს იკავებს.

ერთი წლით ადრე (1837 წლის 29 აპრილს) დაუწერია პლატონ იოსელიანს „შესავალი" თავისი შრომისა — „პირველ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისანი რუსულისა თარგმანითურთ შედგენილნი სახმარად სასულიეროთა სასწავლებელთა შინა საქართველოს სემინარიისათა მასვე სემინარიასა შინა ფილოსოფიისა მასწავლებლისა ღვთისა მეტყველების კანდიდატის პლატონ იოსელიანის მიერ".

„შესავალში" პ. იოსელიანი განიხილავს ყველა შრომას, რომლებიც გამოუყენებია გრამატიკაზე მუშაობისას და იძლევა ამ შრომების მოკლე, მაგრამ მაინც საინტერესო შეფასებას.

ავტორი აღნიშნავს, რომ დასახელებული შრომის შედგენისას მან გამოიყენა შემდეგი მასალა:

1. „ანტონ პირველის ორი ხელნაწერი გრამატიკა. ერთი, პირველდაწყებითი ცდა (ენის ამ განმაახლებლისა — сего преобразователя языка) — ამიტომ უსრული და მეტად სუსტი ნაშრომი. მეორე, უფრო დაწვრილებით შედგენილი თვით კათალიკოსის მიერ, თუმცა მკაცრი სისტემის უქონელი. ამ შრომაში აბნეულია უღლების (იგი რვა უღლებას გულისხმობს) საკითხები. ყოველივე ამის მიუხედავად ანტონ კათალიკოსი რჩება ქართული გრამატიკის შემქმნელად.

2. თელავის. სემინარიის ყოფილი რექტორის, შემდეგ კი ასტრახანის არხიეპისკოპოსის გაიოზის ნაბეჭდი გრამატიკა, რომელიც დაიწერა 1889 წელს პოლტავის ოლქის ქ. კრემენჩუგში. ისიც უკმარია, რადგან უსისტემოდაა დაწერილი. მეთოდური თვალსაზრისით ძველია, არაა მოსწავლეთა ასაკს შეთანასწორებული; აძნელებს ზმნათა განსაზღვრას, თვლის რა ექვს უღლებას — სხვაგვარ უმართებულობებთან ერთად.

3. ბატონიშვილი დავითის გრამატიკა — პირველი ორის შემოკლება, რომელიც განსაკუთრებულს არაფერს შეიცავს.

4. გრამატიკა, რომელსაც დღემდე ასწავლიან თბილისის სემინარიაში და რომელიც პირველად დაიბეჭდა თბილისში. იგი არის კარგი შემოკლება ანტონის გრამატიკისა, მაგრამ მას აქვს სხვა ნაკლი: არა აქვს ორი უკანასკნელი ნაწილი [1].

სხვა ნაბეჭდი თუ ხელნაწერი გრამატიკები არ შეიცავენ რაიმე მნიშვნელოვანს".

1840 წელს ბროსე წერს კრიტიკულ წერილს პ. იოსელიანის ზე-

[1] იგულისხმება ი. ქართველიშვილის გრამატიკა.

მოხსენებულ ნაშრომზე, რასაც ვგებულობთ თვით იოსელიანის „პასუხიდან“[1].

მართალია, ბროსეს რეცენზია ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ და მისი შინაარსის სრულად წარმოდგენა ძნელდება, მაგრამ მეტი წილი შენიშვნების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ „პასუხის“ მიხედვით.

ქართული გრამატიკული აზრის შესახებ პირველი წერილი ქართულად იბეჭდება ჟურნ. „ცისკარში“ 1857 წელს. წერილი ხელმოუწერელია და მასში ძირითადად განხილულია დ. ჩუბინაშვილის გრამატიკა, რომელიც გამოიცა პეტერბურგში რუსულ ენაზე 1855 წელს.

რადგან დ. ჩუბინაშვილის გრამატიკას ამ შრომაში არ ვეხებით ამ სტატიაზეც ბევრს აღარაფერს ვიტყვით, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სტატიის ავტორი გაკვრით ეხება პ. იოსელიანსაც და ყოველგვარი საბუთის გარეშე წერს: „უფ. იოსელიანის ღრამმატიკა არის თითქმის ვოსტოკოვის ღრამმატიკითგან ნათარგმნი“ [2].

რა თქმა უნდა, ვოსტოკოვის გრამატიკასთან პ. იოსელიანის გრამატიკას საერთო არაფერი ჰქონდა.

ასევე სხვა საკითხთან დაკავშირებით შეეხო ქართულ გრამატიკებს დ. ბაქრაძეც წერილში „წიგნი მიწერილი თავად ალექსანდრე ჭამბაკურიან-ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა“[3].

წერილის ავტორი, „ცისკრის“ უკვე ხსენებული წერილის ავტორის მსგავსად, ქართულ გრამატიკათა უმრავლესობას ქართული ენის კანონების გაუთვალისწინებლობას უჩივის.

რადგან ამ წერილში საერთოდ უარყოფილია გრამატიკის საჭიროება, თითქოს გასაკვირიც არ უნდა იყოს ავტორის ასეთი განცხადება: „პირველი გრამატიკა დაგვიწერა ანტონმა, რომელმაც გზა გაუხსნა სქოლასტიკას საქართველოში. შემდეგ ანტონისა გრამატიკები დაგვიწერა უფალ-დოდაევმა, იოსელიანმა და ჩუბინოვმა. თვით იმათი კანონები არ არიან ქართულისა ენისა თვისებაზედ დამყარებულნი, არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ამ მაშვრალთ ამაო შრომა დაუდვიათ [4]. თუ ვიფიქრებთ, რომ იმათ კანონებს არავინ კითხულობს, გარდა ახალ მოსწავლეთა ყრმათა, რომელთაცა იძულებით აკითხებენ და რომელნიც მეორესვე დღეს ივიწყებენ“ (გვ. 327).

---

[1] აკად. კ. კეკელიძის სახ. თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტი, პ. იოსელიანის არქივი, № 38.

[2] „ცისკარი“, 1857 წ., № 5, გვ. 41.

[3] „ცისკარი“, 1860 წ., № 8.

[4] საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ დაახლოებით ასეთივე აზრს აკითარებდა ი. გოგებაშვილი წერილში „საგრამატიკო შენიშვნა“, „ივერია“, 1886 წ., № 21.

ქართული გრამატიკული აზრის შეფასება გადმოცემულია აგრეთვე დავით ყიფიანის საკმაოდ ვრცელ წერილში „გრამატიკის შესამუშავებელ-მისაღებად“, რომელიც გამოქვეყნდა „საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს.

დ. ყიფიანი წერს: „ქართული ენის გრამატიკათაგანი პირველი ანტონ კათალიკოსისა, რასაკვირველია, იმ დროს რომ ენა იხმარებოდა — მაღალი წერა — იმ ენისა არის. გაიოზისა — ანტონის გრამატიკის შემოკლებული მიბაძვაა. აგრეთვე უფ. დოდაევისა, უფ. პლატონ იოსელიანისა ენის არევნარევია — მაგრამ უფრო ძველებურის ენისა, რომელიც ეხლა იხმარება თვითონ პლატონ იოსელიანისა და ორიოდე იმგვარ მეცნიერთაგან. ეს გრამატიკები რუსულ გრამატიკებს გვაგონებენ: იმავე დაწყობილებითა, იმავე განსაზღვრებებითა“ [1].

სტატიის ავტორი მ. ბროსესაც ეხება და კვლავ ზოგადი ფრაზებით აკრიტიკებს მის შრომებს: „...მასუკან ჩვენ გვაქვს შეცდომებით სავსე ბროსეს ორი გრამატიკა“, თუმცაო „თავისი ღირსება იმათაც აქვსთ, რომელთაც თავის დროზე გამოვარჩევთ იმ ურიცხვ შეცდომებისაგან, რომელიც ჩვენგან არ მოეკითხება იმ პატივსაცემ ფრანცუზსა, მეტადრე როდესაც სულ ორიოდე წელიწადი ყოფილა მას უკან, რაც იმან ქართულის ენის სწავლას მიჰყო ხელი და [2] გრამატიკა ისეთი შეადგინა, რომელთაცა რამდენიმე ახალი კანონი ამოიპოვა და შეიტანა საუკუნოდ ჩვენი ენის შეკანონიერებაში.

ბოლოს ერთი გრამატიკაც არის კიდევა რუსულად დაწერილი უფ. დავით ჩუბინოვისა. ეს გრამატიკა სხვებზე მომეტებულად არის შესანიშნავი, რადგანაც ესაა პირველი და ჯერ უკანასკნელი, რომელიც ჰეშმარიტი კანონების ამოპოვებაზე არის დამკვიდრებული, უფრო ცოცხალი ენის კანონების ამოპოვებაზე, თუმცა მაინც ეს ცოცხალი ენა ძველ ენასთან არის ისე გადარეული, რომ ცოცხალი ენის ბედისა ალარა გაგვეგება რა, არც ჩვენ და არც უფ. ჩუბინოვს. ამ მოპოვებაში უფ. ჩუბინოვი — ისე არეულ-გადარეულა, რომა სიტყვების მნიშვნელობაც სულ აურევია. ამ გრამატიკაზე ერთი კრიტიკა იყო დაბეჭდილი „ცისკარში“ რომლის სიბრიყვე და უაზრობა ყველას უნდა ახსოვდეს“ [3].

ასეთი საერთო შეფასების შემდეგ, კონკრეტული მაგალითების მიმოხილვისას, ავტორი სამართლიან შენიშვნას იძლევა იმის თაობაზე,

---

[1] „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 3, გვ. 72.

[2] აქაც უზუსტობაა: ბროსეს მეორე გრამატიკა დაიბეჭდა 1837 წელს, ქართულის შესწავლა კი მან თითქმის 13 წლით ადრე დაიწყო.

[3] „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., გვ. 73. სტილი და ორთოგრაფია-პუნქტუაცია ყველგან დაცულია.

რომ ანტონმა სრულიად უკანონოდ სცადა ქართული ბგერების „შეორმოცება“, რადგან მას სურდა შემოეღო არ არსებული ასო ჳ და სხვა.

აქედან მოყოლებული ოცზე მეტი წელი გავიდა, ვიდრე ქართულ პერიოდულ პრესაში კვლავ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, კანტიკუნტად რაიმე დაიწერებოდა ქართული გრამატიკული აზრის შესაფასებლად.

სამაგიეროდ 1873 წელს პეტერბურგში რუსულად დაიბეჭდა პროფ. ალ. ცაგარლის წიგნი, რომელიც საგანგებოდ მიეძღვნა ქართული გრამატიკული ლიტერატურის მიმოხილვას [1].

ეს წიგნი, დღემდე ერთადერთი ნაშრომია, რომელშიც მიმოხილულია იმ დროისათვის ცნობილი მთელი ქართული გრამატიკული ლიტერატურა; განხილულია უცხოური ლიტერატურა ქართული ენის შესახებ და მოცემულია ავტორის მოსაზრებები ქართული ენის ფონეტიკა-მორფოლოგიის საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგ რამეში ამ წიგნს თავისი მნიშვნელობა ჯერაც არ დაუკარგავს და მასზე ახლაც მიუთითებენ, ბევრ შემთხვევაში მასში შეიმჩნევა უზუსტობანი.

უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ალ. ცაგარლის მიერ ანტონის გრამატიკული მოძღვრების განხილვა, რომელიც მის წიგნში 35 გვერდზეა მოცემული.

მაგრამ ამ ოცდათხუთმეტი გვერდიდან ანტონის საკუთრივ გრამატიკულ ნააზრევს, იმ სიახლესა და თავისებურებებს, რამაც ანტონის, როგორც გრამატიკოსის მნიშვნელობა განაპირობა, მცირე ადგილი ეთმობა.

ალ. ცაგარელი იწყებს ანტონის ბიოგრაფიით [2]; წყარო, რომელსაც პატივცემული ავტორი ეყრდნობა, ნაკლებ სანდოა. ამ წყაროს მიხედვით იგი (ერისკაცობაში არჩილი) დაიბადა 1714 წელს; ჰყავდა მეუღლე; შემდეგ გაეყარა მას; გადასახლდა იმერეთში და შედგა ბერად ანტონის სახელით; კათალიკოსად აკურთხეს 1747 წელს; ბოლოს, კათოლიკობა დასწამეს და 18 თვის პატიმრობის შემდეგ გაისტუმრეს რუსეთში თავის ნათესავებთან. რუსეთიდან ანტონი ერეკლე მეორემ უკან გამოიწვია 1764 წელს და კვლავ დასვეს კათალიკოსად. გარდაცვალა 1788 წელსო [3].

[1] Ал. Цагарели. О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873 г.

[2] ანტონის ბიოგრაფია დაწერილია ოთხფურცლიან ქაღალდზე და ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში, S—3181.

[3] ამ ცნობებიდან სინამდვილეს შეეფერება მხოლოდ გარდაცვალების თარიღი, სხვა თითქმის ყველა მცდარია.

ბიოგრაფიული ცნობების შემდეგ (გვერდები: 1—2) ცაგარელს მოაქვს ანტონის პირველი გრამატიკის შესავალი „ექვსი სიტყვა“ (გვერდები: 3—10), რომელსაც მოსდევს მეორე გრამატიკის წინასიტყვაობა (გვერდები: 10—11). შემდეგი ხუთი გვერდი დათმობილი აქვს მსჯელობას — ჰყავდა თუ არა ანტონს წინამორბედი? შემდეგ (გვერდები: 15—21) მოდის კრიტიკული შენიშვნები: კერძოდ, მითითებულია, რომ ანტონის შეხედულებამ გრამატიკაზე, როგორც ხელოვნებაზე, განსაზღვრა მისი შრომის თავისებურება; — ანტონისათვის გრამატიკა და გრამატიკოსი ენის კანონების დამდგენები არიან და ამიტომაც მას (ანტონს) „შემოაქვს“ ენაში ბევრი „სიახლე“ — ზოგი ასო; თანდებულს სვამს წინ და მისი ენის სიმძიმეც მისი თეორიიდან გამოდისო.

ალ. ცაგარელი ანტონის სხვა ბევრ ნაკლზედაც მიუთითებს, მისი აზრით, ანტონის გრამატიკაში მასალა უსისტემოდაა განაწილებული. „ძირითად გრამატიკულ კანონზომიერებებს აკლიათ მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობა და განსაზღვრულობა, შეიმჩნევა ნაწილთა შორის არასწორი და არაზუსტი ურთიერთშეხამება. მაგრამ მთავარი ნაკლი ანტონის გრამატიკული შრომებისა არის ზედმეტი სიუხვე ანალიზისა და სიმცირე სინთეზისა. მის გრამატიკაში იშვიათადაა დაცული დაქვემდებარება ნაკლებ მნიშვნელოვანისა მეტად მნიშვნელოვანისადმი — გრამატიკული თვალსაზრისით — კერძოისა — ზოგადისადმი. ავტორი არ იძლევა ჯერ ზოგად, გვაროვნულ ცნებებს, ან წესს და შემდგომ კერძოს, სახეობრივს, რომლებიც შეეიდოდნენ პირველში, როგორც კერძო—ზოგადში ისე, რომ ფაქტები და ფორმები ენისა იყოს ბუნებრივ-ლოგიკურად გააზრებული და განაწილებული. მაგ.: II გრამატიკის 197-ე პარაგრაფში ლაპარაკია, რომ ქართული ენის ნათესაობით ბრუნვას აქვს ექვსი ნიშანი და ჩამოთვლილია: **-ისი, -ისა, -სა, ძსა, ჳსა, -ს**; მაშინ როცა საკმარისი იყო ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად დაესვა მისი ზოგადი ნიშანი **-ისა** და შემდეგ თქმულიყო იმ მეტად იშვიათ გადახვევებზე, რომლებიც გვხვდება **-იხი, -ძსა, -ჳსა** სახით. თანაც თქმულიყო, რომ ნათესაობითის დაბოლოება **-ისა** (ხალხურ მეტყველებაში) იკუმშება (сокращается) ხან **-სა**-დ და ხან **-ს**-დ. ყველაფერი ეს იქნებოდა გასაგები და ლოგიკური იმის მაგიერ, რომ ცალკეული შემთხვევები ზოგადი ნიშნიდან გადახვევებისა, ცალკეული შეკვეცები და გადახვევები ზოგჯერ წმინდა ფონეტიკური ხასიათისა, რომელთაც არავითარი გრამატიკული მნიშვნელობა არ ახლავთ, ჩავთვალოთ, როგორც ცალკეული ნიშანი და დავაყენოთ სრული ნიშნის გვერდით. ამით მოიგებდა არა მხოლოდ მეცნიერული მხარე, არამედ სასწავლო-პედაგოგიურიც“ (გვ. 17).

ალ. ცაგარელი ანტონს აკრიტიკებს ქართულში სქესის „აღმოჩენისა“ და ზოგი სიტყვის მრავალგვარი დაწერილობისათვისაც.

წიგნში მოცემულია ანტონისა და მხითარის გრამატიკის ზოგი ადგილის პარალელური ტექსტები იმის დასამტკიცებლად, თუ რა ურთიერთობაა მათ შორის (გვ. 22—30), დაბოლოს ალ. ცაგარლის ხელში არსებული ხელნაწერი ნუსხების აღწერილობა და მეორე გრამატიკის სარჩევი, რასაც მოსდევს ორივე გრამატიკის შეპირისპირების ზერელე ცდა. ალ. ცაგარელი სრულიად სამართლიანად აცხადებს, რომ ვერ იპოვა ვერავითარი საბუთი იმის დასამტკიცებლად, თითქოს ანტონმა ისარგებლა ლომონოსოვის გრამატიკით; სამაგიეროდ ანტონის მეორე გრამატიკაში შეიმჩნევა ევროპელ მეცნიერთა (განსაკუთრებით ბაუმაისტერის) გავლენაო (გვ. 30—35).

სამწუხაროდ, ალ. ცაგარელს არა აქვს მოცემული ანტონის გრამატიკის დადებითი მხარეების შეფასება; იგი მეტად ზოგადად მსჯელობს ანტონის გრამატიკის თავისებურებებზე მხითარის გრამატიკისაგან განსხვავებითაც. ცაგარელი წერს: „...ის, რაც შეადგენს ენის გრამატიკულ თავისებურებას: ბგერობრივი თავისებურებები, ეტიმოლოგიური (წაიკითხეთ მორფოლოგიური — ა. ფ.) ფორმები და სიტყვათწარმოება — ზოგადი მნიშვნელობით, ძირითადად ბრუნება და უღლება — გადმოცემული აქვს ავტორს (ე. ი. ანტონს — ა. ფ.) დამოუკიდებლად, ქართული ენის სულის გათვალისწინებით“ (გვ. 21). ამის გამო სრულიად სამართლიანად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ალ. ცაგარელმა ამ ნაშრომში, ისევე როგორც მარი ბროსემ თავის სტატიაში, გვერდი აუარა ანტონის გრამატიკის დადებითი მხარეების გამომზიურებას.

ალ. ცაგარლის შრომაში ანტონის გრამატიკა გაკრიტიკებულია მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ენათმეცნიერული მიღწევების პოზიციებიდან, რაც აგრეთვე არ მიგვაჩნია მართებულად, — ახალი აღმოჩენები და მიღწევები იმას როდი ნიშნავს, უგულებელვყოთ წინაპართა დამსახურება.

ავიღოთ თუნდაც ის ერთადერთი მაგალითი, რომელზე დაყრდნობითაც ალ. ცაგარელი ანტონს უსაყვედურებს ზოგადისა და კერძოს შორის გაურკვევლობას, მთავარისადმი მეორეხარისხოვანის დაქვემდებარებულობის უგულებელყოფას: მხედველობაში გვაქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნები.

ალ. ცაგარელი წერს: იმის მაგიერ, რომ მოეცა ძირითადი მაწარმოებელი და შემდეგ ეთქვა იმ მეტად იშვიათ გადახვევებზე, რომელიც გვხვდება ენაში **-ისა, -ჲსა, -ჳსა-ს** სახით, ან შემდეგში მოეხსენებია ის შეკვეცები, რომლებიც გვაქვს ხოლმე ხალხის მეტყველებაში **-ხა**

და -ს-ს სახით, ანტონმა მოგვცა ექვსი დაბოლოებაო:[1] -ისი, -ისა, -სა, -ჲსა, -ჳსა, -ს.

ეს სწორია: მოცემული ექვსი თუ შვიდი ნიშანი, ძირითადად -ის ნიშანზე დაიყვანება, მაგრამ ისიც სწორია, რომ ანტონის მიერ შემჩნეული ყველა ვარიანტი ენაში ნამდვილად არსებობდა, ხოლო, ის, რომ ანტონმა ზოგი პოზიციური ვარიანტი ძირითად ფორმად მიიღო, ეს ფონეტიკის განვითარების მაშინდელი დონით აიხსნება. თუმცა ფონეტიკური მიზეზების ძიება ანტონის მახვილ მეცნიერულ ალღოზე მიუთითებს. ამ მხრივ მან ბევრად გაუსწრო თავის დროის შესაძლებლობებს.

აი, რას წერს იგი ნათესაობითის -ჳსა ნიშნის შესახებ: **„ხოლო პოვნილარს სახელი საზოგადო კილურ-მექონი პირველისა ხმოვანისა, რომელა „სიტყუა“ იბრუნვის რა ნათესაობითად, მიიღებს ნიშანსა მე-ნ-სა, მაგალითებრ: „სიტყჳსა“** მაგრა მიზეზი ამისი ესე არს, ვითარმედ ასო კილურ უ იცუალების ახოდ ამად ჳ და კილური თვისი ა ესპობის ჩვეულებისაებრ, ვინაიცა ყოველი სახელი საზოგადო უა მექონი კილურად ესთა იბრუნვის“ (ხაზი ჩვენია — ა. ფ., გვ. 135).

მართალია, აქ ანტონს გამორჩა ის ფაქტი, რომ ჳ მიღებულია ფუძის ბოლოკილური „უ“-სა და ბრუნვის ნიშნის „ისა“-ს თავკილური ხმოვნის შეერთებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ, თუ შეიძლება ითქვას, ცოტაღა დარჩა ნათესაობითი ბრუნვის ამ ნიშნის სწორ ანალიზამდე.

უნდა ითქვას, რომ ალ. ცაგარელის — ამ ავტორიტეტული მეცნიერის — შრომაში მოცემულმა ანტონის გრამატიკის შეფასებამ დიდი გავლენა იქონია შემდგომი დროის მკვლევრებზე. ისინი უსიტყვოდ იზიარებდნენ მის მოსაზრებებს. შედეგად კი მივიღეთ თითქმის უგულებელყოფა იმ უდიდესი დამსახურებისა, რაც ანტონს უთუოდ მიუძღვის ქართული გრამატიკული აზრის წინაშე.

ალ. ცაგარლის ამავე ნაშრომში, სულ თერთმეტ გვერდზე, განხილულია შემდგომი დროის ათი გრამატიკოსის შრომა. აქედან იოანე ბაგრატიონი მხოლოდ დასახელებულია აკად. ა. შეგრენთან დაკავშირებით. ხოლო იოანე ქართველიშვილზე ნათქვამია, რომ „თავადი იოანე გრიგორის ძე გრუზინსკის წიგნების კატალოგში იხსენიება „ქართული გრამატიკა შედგენილი იოანე ქართველიშვილის მიერ თბილისში 1809 წელს, მე არ მინახავს ის წიგნი“ (გვ. 39).

---

[1] სინამდვილეში შვიდი; ექვსი საზოგადო სახელთათვის: ისი, -იხა, -სა, -ჲსა, -ჳსა -ის, და მეშვიდე მხოლოდ საკუთართათვის -სი;

ალ. ცაგარელმა აკად. ა. შეგრენის ზემოთ ნახსენებ წერილზე დაყრდნობით, როგორც უკვე ვთქვით, იესე ჩუბინაშვილს მიაწერა იოანე ქართველიშვილის შრომა. ამის გავლენით ზოგიერთი მკვლევარი დღესაც ამტკიცებს, რომ გრამატიკის ავტორი იესე ჩუბინაშვილია და არა იოანე ქართველიშვილი.

მისივე ენით რომ ვთქვათ, ალ. ცაგარლის შრომაში უგულებელყოფილია მნიშვნელოვანისა და არამნიშვნელოვანის პროპორციული შეფარდების აუცილებლობის პრინციპი: გაიოზის გრამატიკას ეთმობა ერთი გვერდი, ხოლო დავით ბაგრატიონისას — ორნახევარი. მაშინ როცა, როგორც ვნახავთ, მეორეს ახალი არაფერი უთქვამს, პირველის დამსახურება კი მეტად დიდია. ასევე არათანაბარია შეფარდება ვარლამისა და ქართველიშვილის (ცაგარლის მიხედვით — ი. ჩუბინაშვილის) გრამატიკათათვის დათმობილ ადგილებს შორისაც — თითო გვერდი; ხოლო ს. დოდაშვილის გრამატიკას სულ 18 სტრიქონი ეძღვნება; როგორც სხვა შემთხვევაში პ. იოსელიანის გრამატიკის განხილვისასაც (გვ. 44—45) აღნიშნულია მხოლოდ ნაკლოვანი მხარეები და არაფერია ნათქვამი იმაზე, რაც მან შეიტანა ქართულ გრამატიკაში.

ალ. ცაგარლის ამ წიგნის მეშვეობით ქართული გრამატიკული ლიტერატურის სიაში მოხვდა გოდერძი ფირალოვის „თვითმასწავლებელი“, რომელიც 1820 წელს გამოქვეყნდა პეტერბურგში.

რადგან ამ შრომაზე სხვაგან ვერ შეეჩერდებით, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული გრამატიკული ლიტერატურის სიაში მისი შეტანა უბრალოდ გაუგებრობაა და დღეიდან ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს.

ალ. ცაგარლის ცნობით, გ. ფირალოვი, გიორგი მეცამეტის მდივანი ყოფილა ამ უკანასკნელის სამეფო ტახტზე ასვლამდე, მაგრამ, როგორც „კალმასობაში“ ვკითხულობთ, იგი სასახლის კარის მოხელეთა შურის გამო დაუთხოვიათ და გადასახლებულა რუსეთში, სადაც მას შეუქმნია „თვითმასწავლებელი“ და სხვა სალიტერატურო შრომები (გვ. 41).

„თვითმასწავლებლის“ სრული სათაური ასეთია: „თვითმასწავლებელი, რომელი იპყრობს თვის შორი ღრამმატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონს რუსულსა და ქართულს ენასა ზედა. შეთხზული მსახურებლისა სახელმწიფოსა კოლეგიასა შინა უცხოს მხრისათა, ნადვორნის სოვეტნიკის და კავალერის გოდერძი ფირალოვისაგან — პეტერბურგში 1820 წელს“. ასეთივე სათაური აქვს წიგნს რუსულ ენაზედაც, თანაც პირველად რუსული სათაური მოდის.

ალ. ცაგარელი შენიშნავს, რომ „წიგნი იწყება „წინასიტყვაო-

ბით", რომელიც დაწერილია რუსულ და ქართულ ენებზე, შემდეგ მოდის ორ სვეტად პარალელური რუსული და ქართული გრამატიკა, სასაუბრო, ზნეობის სწავლა და ლექსიკონი. ყველაფერი ეს გადმოცემულია სიტყვა-სიტყვითი ქართული თარგმანით, რომელიც ხშირად უზუსტო და გაუგებარია" (გვ. 41).

ერთი სიტყვით, „სასაუბროს" ყველა კომპონენტი დაწერილია რუსულ ენაზე და შემდეგ მოცემულია მისი ქართული თარგმანი. ამის გამო, რა თქმა უნდა, სრულიად გაუმართლებელია მისი განხილვა ქართული ენის გრამატიკებში მით უფრო, რომ ქართული თარგმანი მეტად სუსტადაა შესრულებული.

ალ. ცაგარელს მოაქვს ერთი შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ თარგმნის რუსულ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას ფირალოვი — „Я Вам весьма обязан" **„მე თქვენდამი ფრიად შეკრული ვარ"**. ეს თარგმანი კარგად მეტყველებს იმაზე, რომ ამ „თვითმასწავლებლით" რუსულის სწავლაც შეუძლებელია.

ალ. ცაგარელი მიუთითებდა, რომ ამ წიგნში „ქართული ენის გრამატიკას არავითარი ყურადღება არ ექცევა, მხოლოდ აქა-იქ აღნიშნავს ავტორი ზოგ რასმე თითქოს არც თუ დიდ განსხვავებას რუსული გრამატიკიდან და იმასაც შენიშვნებშიო" (გვ. 43).

ყველაფერი ეს ალ. ცაგარელმა იცის და მისი დასკვნაც შესაფერისია: „მისი შრომა სხვა არა არის რა, თუ არა რუსული გრამატიკული კატეგორიების ზოგადი განსაზღვრებების გადმოცემა, რუსული ბრუნებისა და უღლების მოკლე მიმოხილვა, ზოგჯერ ქართულ გრამატიკაზედ მითითებით" (გვ. 43).

ყოველივე ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, სრულიად გაუგებარია ალ. ცაგარლის მიერ ამ „თვითმასწავლებლის" ქართულ გრამატიკულ ლიტერატურის სიაში შეტანა.

და მიუხედავად იმისა, რომ ამ შრომას სათანადო განაჩენი ალ. ცაგარელმა გამოუტანა, ძალიან ხშირად ახლაც, როცა სურთ რომელიმე გრამატიკული კატეგორიის შესახებ ძველი ავტორების აზრიც გადმოგვცენ, სხვებთან ერთად გ. ფირალოვსაც მოიხსენიებენ ხოლმე, რაც გაუმართლებლად გვეჩვენება.

ერთადერთი, რაც აღნიშვნად ღირს, ამ წიგნში ისაა, რომ გრამატიკული ტერმინი „ლექსი" უმეტესწილად შეცვლილია „სიტყვა" ტერმინით და ლექსიკონშიც „სლოვო" თარგმნილია ტერმინით „სიტყვა".

ალ. ცაგარლის ამ წიგნის შემდეგ ქართული გრამატიკული ლიტერატურის მიმომხილველი პირველი შრომა კვლავ უცხოელს ეკუთვნის.

1881 წლის ივლისში ფრანგულ ჟურნალ: „Revue de Linguistique de Philologie comparée"-ს მე-5 ნომერში დაიბეჭდა ახალგაზრ-

და ფრანგი მეცნიერის ჟ. გატეირასის წერილი: „Sur les langues de la famille géorgienne“.

წერილის პირველი ნაწილი წარმოადგენდა ქართული გრამატიკული აზრის ისტორიის მიმოხილვას, მაგრამ ძირითადად ევროპელი ავტორებისას, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა, მ. ბროსეს. ქართველ ავტორთაგან გატეირასი მხოლოდ ანტონს ასახელებს (თუმცა ალ. ცაგარლის წიგნს იცნობს) და ამბობს, რომ ანტონის გრამატიკა შედგენილია ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრების გავლენითო.

უცხოელთაგან განსხვავებით ქართველი ავტორები თითქმის ყველა ალ. ცაგარლის მოსაზრებების გავლენას განიცდიდა და ქართული გრამატიკული აზრის შეფასებასაც ცაგარლის შეხედულებების გამეორებით იძლეოდა.

ასე მაგალითად, დიმიტრი ყიფიანმა 1882 წელს დაბეჭდილ გრამატიკაში წინამორბედ ავტორთა შორის იესე ჩუბინაშვილიც მოიხსენია: „მისი წიგნი ჩემს დროს ერთადერთი გრამატიკა იყო, რომლითაც ქართულ ენას ვსწავლობდითო“.

შეიძლება ავტორმა ქართული ენის გრამატიკა მართლაც ამ წიგნით ისწავლა, მაგრამ წიგნის ავტორად ი. ჩუბინაშვილი საკუთარი მოსაზრებებით არ დაუსახელებია, აშკარაა, ალ. ცაგარლის ცნობებს ეყრდნობოდა, თუმცა არ მიუთითებს მას.

ძველი ქართველი გრამატიკოსების ნაღვაწის გაბიაბრუებასთან გვაქვს საქმე მიხ. ნასიძის წერილში: „ორი საგრამატიკო საგანი“ [1]. ავტორი წერს: „...რაც შეეხება გავრცელებულ აზრს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს შემუშავებული გრამატიკები, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს, დიდი შეცდომაა. დასამტკიცებლად ჩვენის აზრისა მოვიწვევ ჩემს მობაასეს, რათა გადავსინჯოთ ჩვენი გრამატიკები და დავაკვირდეთ ამ ორს საგრამატიკო ახსნას: 1. რა გვარად იცვლება, ბრუნავს ჩვენს ენაში არსებითი სახელი და 2. რა გვარად იცვლება და ტრიალებს ზმნა.

ყოველი ენის გრამატიკას, როგორც ყოველ კაცს, ზოგადი თვისებებიც აქვს და კერძონიც. ყოველი კაცი არის ჯერ კაცი ზოგადი და მერე ივანე, პეტრე ან ქართველი, რუსი, ნემენცი — კერძოდ, ყოველის ენის გრამატიკაში არსებითი სახელი არის სახელი საგნისა, ნივთისა ან პირისა. ზმნა — სახელი მოქმედებისა. ყველგან არის სამი პირი: პირველი, მეორე, მესამე. რაც კი ჩვენს ქართულ გრამატიკაში ზოგადია, სხვასთან საერთოა — ეს, გექონდეს სიცოცხლე, ჩვენს გრამატიკოსებს კარგად, საფუძვლიანად შეუმუშავებიათ, ან უკეთ

[1] „ივერია“, 1886 წ., № 17.

ვიქვათ უთარგმნიათ უცხო ენებიდან და რადგან ჩვენ გვინდა გავიგოთ, რამდენად შეამუშავეს ამ ბბ-მა ჩვენი ქართული გრამატიკა, ამიტომ ავუქციოთ ფეხი ყველას ასეთს ზოგადს ადგილებსა და გავსინჯოთ ის, რაც ჩვენთვის, ქართველებისათვის საინტერესო და საჭიროა კერძოდ, პირველი ქართულის გრამატიკის საგანი არის: რამდენი ბრუნვა აქვს არსებითს სახელს? ამას ანტონი კათალიკოზი ეუბნება — რვა; სოლომონ დოდაევი — რვა; პლატონ იოსელიანი — ექვსი; დ. ჩუბინაშვილის რუსულად შედგენილი ქართული გრამატიკა — რვა; მონთობანისა — რვა; დიმიტრი ყიფიანი — ოთხი" (გვ. 17).

თვითონ ნასიძე, რომელიც ასე კარგად აკრიტიკებს სხვის ნაშრომს, ადგენს ხუთ ბრუნვას **(სახელობითს, ნათესაობითს, მიცემითს, მოთხრობითსა და წოდებითს)** და ერთხელაც არ ამბობს იმას, რომ ხუთივე ეს ბრუნვა უკვე დიდი ხნით ადრე იყო დადგენილი მისგან დაწუნებული გრამატიკოსების მიერ.

ასევე იწუნებს მ. ნასიძე ძველი გრამატიკოსების ნააზრევს ზმნის უღლების საკითხებშიაც და შეცდომათა წყაროს ეძებს იმაში, რომ მათ ვერ გაარჩიეს ზმნათა სრული და უსრული სახე, რომლის სწორ გაგებასაც, თავისი აზრით, თვითონ იძლევა რუსული ზმნის ფორმათა გათვალისწინებით, უფრო სწორად, ქართულზე გავრცელებით[1].

1886 წელს ჟურნალ „თეატრში" იბეჭდება ზ. ჭიჭინაძის ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილი. აი, რას წერს ის: „...შევიტყვეთ ქუთაისში და თბილისში წრეები შემდგარა, რომელთაც ჰსურთ ქართული ენის გრამატიკული ტერმინები და ფორმები გაარჩიონ და ერთხელ ღა სამუდამოდ საგრამატიკო ლიტერატურაც დააარსონ და დაამტკიცონ. ამ საგნის შესახებ ქუთაისიდან წერილიც იბეჭდება „დროებაში" და საზოგადოებასაც აცნობეს რამდენიმე საგრამატიკო ტერმინი და მასთან ერთად ქართულ ლექსთა წყობის ზოგიერთი ფორმები. ქუთაისელთა მიბაძვით, თუ ნამდვილის საქმის სიყვარულით, თბილისშიც აღძრეს ამ საყურადღებო საქმისადმი ბაასი და პირველად მ. ნასიძემ დაწერა წერილი (ლაპარაკია ზემომოტანილი სათაურით „ივერიის" ნომრებში დაბეჭდილ წერილზე — ა. ფ.), ამიტომ ვალად ვრაცხ ჩემს თავს, რომ აქ პატარა ბიბლიოგრაფიული შენიშვნა დავწერო ყველა იმ გრამატიკებისა, რომელნიც კი საყურადღებონი არიან ქართულსა ენასა და ადვილად მოსაპოვებელნი, ამის დაწერას მე მით უფრო ვბედავ რადგან მ. ნასიძისა და სხვების წერილებში მხოლოდ მოხსენებულია

[1] იხ. ი. გოგებაშვილი, საგრამატიკო შენიშვნა, „ივერია", 1896 წ., № 26; დაბრიყვებული ბრუნვები, „ივერია", 1886 წ., № 50; ივ. ჯავახიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა, თბ., 1956 წ., ნ. ახვლედიანი, გრამატიკის საკითხები მე-19 საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაში, თბ., 1950 წ.

ჩუბინოვის, დოდაევის, იოსელიანის, ქართველი კათოლიკების (ე. მონთობნის — ა. ფ.) დ. ყიფიანისგან გამოცემული გრამატიკები და რაფ. ერისთავის შედგენილი ქართული გრამატიკის სქემა.

ზემომოყვანილ გრამატიკებს გარდა, ქართულ ენაზე არსებობენ შემდეგი გრამატიკები:

1. გრამატიკა ერცელი, შედგენილი ანტონ კათალიკოზისაგან და დაბეჭდილი 1885 წელს თფილისს.

2. ქართული გრამატიკა შედგენილი ზურაბ შანშოვანისაგან... ალ. ცაგარლის მიერ 1881 წელს პეტერბურგს გამოცემული.

3. შემოკლებული გრამატიკა ანტონ კათალიკოზისა... ეს ხმარებული იყო მე-18 საუკ. საქართვ. სკოლებში.

4. შეადგინა დავით ბატონიშვილმა გრამატიკა, თავის პაპას ერეკლეს მიუძღვნა. ეს გრამატიკა დაუბეჭდავია, ამის ხელნაწერი 1875 წ. თფილისიდამ ჩუბინაშვილმა წაიღო პეტერბურგში.

5. შეადგინა დავით რექტორმა. ამას თვითონ ხმარობდა თავის სკოლაში [1].

6. შეადგინა ვარლამ ეგზარქოსმა და 1802 წელს პეტერბურგში დაბეჭდა. ამ გრამატიკის ერთი ეგზემპლიარი „წერა-კითხვის სამმართველოს“ მივჰყიდე.

7. რუსულ-ქართული გრამატიკა შეადგინა და დაბეჭდა გოდერძი ფირალოვმა 1827 წ. ეს გრამატიკა სახელმძღვანელოდ ყოფილა მიღებული.

8. საგრამატიკო კანონები შედგენილი ივანე ბატონიშვილისაგან. ამ კანონებიდან რამდენიმე პარაგრაფი „კალმასობაშია“ ჩართული.

9. გრამატიკა არი დავით ქართველიშვილისაგან შედგენილი, რომელიც 1812 წ. დაუბეჭდავს თბილისში. ეს გრამატიკა-კითხვა-მოგებით ყოფილა დაწერილი და იმ დროს სახელმძღვანელოდ მიღებული. ეს გრამატიკა „წერა-კითხვისა სამმართველოს“ მივჰყიდე.

10. გრამატიკა შედგენილი და დაბეჭდილი 1787 წ. ქ. კრემენჩუგს. ეს გრამატიკა პატარა ზომის არის. დაბეჭდილია ხუცურ-მხედრული ასოებით და ეკუთვნის გაიოზ არხიმანდრიტს, რომელიც დღეს „წერა-კითხვის სამმართველოშია“ დაცული.

ამას მოჰყვება რამდენიმე საჟურნალო სტატიის დასახელება და მე-14 ნომრად ისევ „გრამატიკა შედგენილი უცნობი პირისაგან. ეს გრამატიკა ბევრი ტერმინითა და მასალით განირჩევა სხვა გრამატიკებისაგან. სხვათა შორის ბოლოში შეკრებილია და ანბანზე ასხმული ქართული ზმნები. რიცხვი 700 იყო. ეს გრამატიკა დღეს, „წერა-კით-

[1] იგულისხმება თელავის სემინარია — ა. ფ.

ხვის სამმართველოს“ ეკუთვნის. ამ ზემოხსენებულ გრამატიკებს გარდა არსებობს კიდევ მრავალი სხვადასხვა ხელთნაწერი გრამატიკები, რომლებიც მე თვითონ მაქვნდა და რომლებიც დღეს „წერა-კითხვის სამმართველოს ეკუთვნის“ [1].

ზაქარია ჭიჭინაძის ამ წერილიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი ცნობები:

1. არსებულა დავით რექტორის გრამატიკა, რომელიც მისსავე სკოლაში იხმარებოდაო. ზ. ჭიჭინაძის ეს ცნობა უნდა მომდინარეობდეს დავით რექტორის მიერ 1810 წელს შედგენილი ქართული წიგნების კატალოგიდან, რომელშიც დასახელებული აქვს საკუთარი გრამატიკაც. ამ ვარაუდს ისიც აძლიერებს, რომ, როგორც ჩანს, ზ. ჭიჭინაძეს არ უნახავს ეს გრამატიკა, თორემ რაიმე ცნობას მაინც მოგვაწვდიდა მის შესახებ, ისევე როგორც ამას სხვა შემთხვევაში აკეთებს.

ამ გრამატიკის ხელნაწერი ჯერ მიკვლეული არაა.

2. ზ. ჭიჭინაძე არ ასახელებს ი. ჩუბინაშვილის გრამატიკას და საგანგებოდ იხსენიებს დავით ქართველიშვილის გრამატიკას. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იგულისხმება ი. ქართველიშვილის გრამატიკა.

3. არსებულა უცნობი ავტორის გრამატიკა მეტად საინტერესო დანართით — ქართულ ზმნათა ცხრილით. ეს გრამატიკაც აღმოჩენილი არ არის.

„ივერიაში“ სხვადასხვა სათაურით დაბეჭდილია ორი საკმაოდ ვრცელი სტატია „ესომ“-ის ფსევდონიმით, რომელიც ძირითადად ბიბლიოგრაფიული ხასიათისაა[2]. სინამდვილეში ეს ერთი წერილია გაგრძელებებით, ხოლო სათაურის სხვადასხვაობა გამოწვეულია მასში გახილულ საკითხთა მრავალფეროვნებით.

პირველ წერილში მოცემულია მაჯოს, ნორჩიას, ბროსეს (ა. შეგრენის აზრი ამ უკანასკნელზე)... გრამატიკათა მიმოხილვა და იმ მეცნიერთა აზრებია გადმოცემული (ლეიბნიცი, ბოპი, მიულერი, შლეგელი, ცაგარელი...), რომლებიც ცდილობდნენ დაედგინათ ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის. მეორე ნაწილში გაკრით მოცემულია ზოგადი მიმოხილვა გრამატიკული აზრის ისტორიისა, საერთოდ, და შემდეგ კი ქართული გრამატიკული აზრისა: ლაპარაკია იოანე და ექვთიმე მთაწმიდელებზე, პეტრიწზე და ნათქვამია, რომ მათი გრამატიკული ნაშრომები დაკარგულიაო.

---

[1] ჟურ. „თეატრი“, 1886 წ., გვ. 178.

[2] მეცნიერთა აზრი ქართული ენის შესახებ „ივერია“, 1888 წ., № 232; მოკლე ისტორია ქართული გრამატიკისა, „ივერია“, 1889 წ., № 9 და № 10. „ესომ“-ის ფსევდონიმით წერდა მ. ჯანაშვილი.

პირველი სისტემატური ნაშრომი გრამატიკისა არისო ანტონ I გრამატიკა.

აქვე მოცემულია ანტონის ბიოგრაფიის ცაგარლისეული ვარიანტი და იმავე ავტორის უკვე ხსენებული წიგნიდან გადმოწერილი ანტონის გრამატიკის წინასიტყვაობა და ანტონის შესახებ თხრობა დამთავრებულია სიტყვებით: „ჩვენ რასაკვირველია, დაწვრილებით არ განვიხილავთ ანტონის ერცელ გრამატიკას, 1885 წელს ეს თხზულება ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით დაიბეჭდა. მსურველს ადვილად შეუძლია შეიძინოს და ზედმიწევნით გაეცნოს“. დასასრულს ავტორი წერს: „ანტონის გრამატიკას ბევრი ნაკლოვანება აქვს. ანტონს ჰგონია, რომ ყველა ენები ერთგვარ წესზედ არიან გამოჭრილიო. ამიტომ, რაც აკლია ქართულ ენას, ის შემოუღია და თან ქართული მართლწერა უცხო მართლწერისთვის უნაცვლებია. მაგ.: თანდებულები სიტყვის ბოლოდან თავში წამოუსკუპებია (თვის სახელსა, მებრ კაცისა, იმის მაგიერ, რომ ეწერა: სახელისთვის, კაცისამებრ და სხვა). ხშირად ანტონი აჭიანურებს სიტყვას. თვითონ ენა მეტად მძიმეა და ხშირად გაუგებარი. აქა-იქ საოხუნჯო სიტყვებიც მოეპოვება. ქართული ენის ერთ ბრუნვაზე წერს — თოკით ხომ ვერ მოვათრევდი, თუ კი ენაში არ არისო! (არა იძულებით საბლითა მეცადინეობისათა მოვათრიოთმცა შემასმენლობითი!). ერთი სიტყვით, დასძენს ცაგარელი, ანტონს გრამატიკა არ მიაჩნია მეცნიერებისგან გამორკვეული ენის ზრდისა და განვითარების კანონთა კრებულად, პირიქით, იგი თვითონ ენას უმორჩილებს მზა-მზარეულ ქცევებსა და ფორმებს“ („ივერია“, № 9).

ამას მოჰყვება ჩამოთვლა იმავე შრომებისა, რაც ალექსანდრე ცაგარელთან გვაქვს იმავე თანმიმდევრობითა და იმავე შენიშვნებით.

როგორც ვხედავთ, მ. ჯანაშვილის ეს წერილი არის ალექსანდრე ცაგარლის ზემოთ განხილული წიგნის ცოტა შემოკლებული თარგმანი, იმ განსხვავებით, რომ ის, რაც მ. ჯანაშვილის პირველ სტატიაშია, ცაგარლის წიგნის II განყოფილებას შეადგენს და, პირუკუ.

მ. ჯანაშვილმა ძირითადად გადმოიტანა ცაგარლის შენიშვნები ანტონის მიმართ და თავისიც მიუმატა. კერძოდ, საოხუნჯო სიტყვების შესახებ ბრალდება თვითონ მ. ჯანაშვილს ეკუთვნის. ავტორი ალ. ცაგარლის შეხედულებების ზეგავლენის ქვეშ რომ არ ყოფილიყო შეუძლებელია მოტანილი მაგალითი გამოეყენებინა იმის დასამტკიცებლად, რომ „ანტონს ჰგონია, ყველა ენები ერთგვარ წესზედ არიან გამოჭრილი, ამიტომ რაც აკლია ქართულ ენას იგი შემოუღიაო“.

ანტონს რომ ჰგონებოდა, ყველა ენა ერთგვარ წესზე არის გამოჭრილიო, მაშინ ხომ აღარ დასჭირდებოდა იმის მტკიცება, „ენაში არ არის და თოკით ხომ ვერ მოვათრევო?“.

ძირითადად ამავე არგუმენტებზეა აგებული წინამორბედ ქართველ გრამატიკოსთა კრიტიკა კ. დოდაშვილის სტატიაშიც [1].

ავტორის თქმით, „ქართული ენის შესასწავლად, თუმცა მრავლად არის დაწერილი გრამატიკა, მაგრამ ყოველი მათგანი ასეა შედგენილი, თითქოს ენა არსებობდეს გრამატიკისათვის და არა გრამატიკა ენისათვის. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი მრავალია. უმთავრესი მათგანი, რასაკვირველია, საგნის სიძნელეა — ამასთან გრამატიკის შეუმუშავებლობას ის გარემოებაც ხელს უწყობდა, რომ ქართველი გრამატიკოსები და უცხოელებიც, რომელთაც ჰსურვებიათ დაეწერათ ჩვენთვის გრამატიკა ანუ შეემუშავებინათ რომელიმე ნაწილი მისი, სრულიად არ დაჰკვირვებიან ქართული ენის სიტყვების ანატომიას, ყოველს მათგანს წინადვე სცოდნის ერთ-ერთი ინდო-ევროპული ენა, მიხვედრილა ბერძენ-რომაელების გრამატიკის საზოგადო გეგმას და მსგავსად თითქოს შედარებით გამოუპრია ჩვენთვის ამ გეგმაზე ქართული გრამატიკა. აგლომერაციულ (წაიკითხეთ აგლუტინაციურ — ა. ფ.) ელემენტებისა ასხმა-აკინძვა, როგორც ვნახავთ და დაურწმუნდებით, უმთავრეს თვისებას შეადგენს ქართული ენისა. სამწუხაროდ ამ თვისებებისათვის სრულიად არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ჩვენი გრამატიკის მკვლევარ-მაძიებელთ“ (გვ. 115).

ავტორი რომ გულდასმით გასცნობოდა ანტონის გრამატიკას, დაინახავდა, თუ როგორ მშვენივრად ერკვეოდა იგი „აგლომერაციულ“ ელემენტთა „ასხმა-აკინძვის“ თავისებურებაში. რის მაგალითადაც გამოდგებოდა ანტონისეული დაშლა სიტყვებისა: შე-მი-კრავ--ს, განმი-ბან-იეს; მი-დგამ-ს და მისთანანი (გვ. 193—195). მაგრამ საინტერესოა თვით ავტორი როგორ შლის ქართულ სიტყვებსა და როგორ ასხამს „აგლომერაციულ“ ელემენტებს: მისი აზრით, „აღსანიშნავია სხვადასხვა ვარიაციები მიცემითსა და ნათესაობითის ბრუნვათა ელემენტების გადასმისა პრეფიქსობაში და სუფიქსობაში:

წყალი სა-წყალ-ი სი-სა-წყლ-ე.

ცინვა სა-ცინვო (სა-ცინო) ს-სა-ცინო

მამა—მამა-არი. ხი-მამრი სა-სი-მამრ-ო

მამა-მთილი მამა-მთილ-ისა-სა“ (გვ. 116).

ხაზგასმული აფიქსები მას ბრუნვის ნიშან-ვარიაციებად მიაჩნია.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დოდაშვილი სრულიად მართალია, როცა ანტონის რვა უღლებას იწუნებს. როგორც არამყარ საფუძველზე (ბოლომარცვლის ხმოვნებსა, ორხმოვნებსა და თანხმოვნებზე) დაყრ-

---

[1] კ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა, „მოამბე“, 1894 წ., № 4.

დნობილს. „კათალიკოზის აღნიშნულ ნიშნებთაგანო,— წერს კ. დოდაშვილი,— ზოგია სუფიქსების ხმოვანი ბგერა, როგორც მაგალითად ა, ე, ო, თუმცა უსუფიქსო ზმნებში იგივე ხმოვანნი შეიძლება იყვეს ძირეულიც (აქ იგულისხმება ზმნები: ვლესავ, ვაკეთებ, ვათბობ— ა. ფ.), დანარჩენ ნიშანთაგანში ზოგი სიტყვის ძირის კუთვნილებას შეადგენს, როგორც: უ, ო ვსცურ; ვჰკმთ. ზოგი არის ფორმის დამაბოლოებელი სუფიქსი. მაგალითად ი: გან-ვ-ჰ-ხდ-ი; ზოგი ნიშანი კიდევ შეადგენს მთელს მარცვალს. ე. ი, ძირის ბგერას და დამაბოლოებელ სუფიქსს, მაგ.: — სიტყვაში „ვიტყვი" (ანტონის ტრანსკრიბციით „ვიტყჳ"), ამასთანავე ნიშნად აქვს მიღებული ქართულში არ არსებული ბგერა ჳ რომელიც უდრის არაბულ სუქუნს და რუსულ ъ-ს" (გვ. 117, ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

კ. დოდაშვილი განაგრძობს: „არხიეპისკოპოზმა გაიოზმა, ანტონის შეგირდმა, 1789 წელს კრემენჩუგში გამოსცა თავისი გრამატიკა, რომელშიც გვინიშნავს რვის მაგიერ ექვს უღელილებას. ვარლამი კია პირველი საქართველოს ეგზარხოსი, თავის გრამატიკაში გვაძლევს 7 უღვლილებას. თუმცა სიმოკლისათვის მოჰყავს მაგალითები მარტო სამი უღლებისა.

ყველა ზმნის შესახებ მოსაზრებები გაიოზისა, ვარლამისა, აგრეთვე ბატონიშვილის დავითისა და სხვა მათთა მიმდევართა ფრიად ცოტა რითიმე განირჩევა ანტონისებური თეორიისაგან. ამით ყველას ნიშნებად მიღებული აქვსთ იგივე „ხმოვანნი, ნახევარ-ხმოვანნი და შუა-ხმოვანნი". როგორც ანტონ კათალიკოზს.

შესანიშნავია, რომ არც ერთი მათგანი არ გვეუბნება, თუ ზმნების უღლებაზე დაყოფისათვის რა მიზეზით ანუ რა საბუთით მიუღიათ ზოგან ფორმის დამაბოლოებელი სუფიქსი, ზოგან ძირეული ხმოვანი, ზოგან სუფიქსთა ხმოვანი და არა მათი თანხმოვანნი ანუ მთლად სუფიქსები" (გვ. 117).

სრულიად სამართლიანი შენიშვნაა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ კ. დოდაშვილის ერთი მეტად მნიშვნელოვანი მიგნება: მან იცის, რომ ზმნის უღლების საკითხში ერთ მხარეს არიან ანტონი, გაიოზი, ვარლამი, დავითი და სხვანი, ხოლო მეორეზე — ქართველიშვილი (მასთან იასე ჩუბინაშვილი), ს. დოდაშვილი, იოსელიანი და დ. ყიფიანი.

აი, რას წერს თვითონ: „მაშინ, როდესაც ერთი რიგი გრამატიკოსებისა იკარგებოდა რაღაც საბორძიკო ანტონის მიერ ნაანდერძევს ნიშნებში, მეორე რიგი გრამატიკოსებისა სოლომონ დოდაშვილი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები იასე ჩუბინაშვილის (უნდა იყოს იოანე ქართველიშვილის — ა. ფ.) მეთაურობით უკვირ-

დებოდა ქართულ ზმნებში პრეფიქსების შეცვლას. მათ შენიშნეს, რომ ზმნებს აწმყოს პირველი პირის ფორმაში ხან ვ—მიუძღვით, ხან—მ.

შენიშნეს თუ არა ეს, მაშინვე დაადგინეს ორი უღლება.

პირველ უღლებას აკუთვნეს ზმნები პრეფიქსით ვ და მეორეს პრეფიქსით მ. ასე და ამგვარად დღემდე თვით ბბ. ქუთათელაძე, ჟორდანია და ხუნდაძემდე ჩვენი გრამატიკოსები მედგრად დასდგომიან ამ კლასიფიკაციას და ყურს უყრუებენ ყველას ამ საგნის შესახებ" (გვ. 122).

აქ სწორადაა შემჩნეული, რომ მ-ანისა და ვ-ინის უღლებისად ზმნები (ანტონის მიმდევართა რვა თუ ნაკლები უღლებისაგან განსხვავებით) პირველად იოანე ქართველიშვილის გრამატიკაშია მოცემული და არა გაიოზისაში, როგორც ეს ზოგ მკვლევარს ჰგონია.

ალ. ცაგარლის ხსენებული შრომა იყო გზისმკვლევი ენათმეცნიერულ საკითხებში რუსეთში მოღვაწე მეორე დიდი ქართველი მეცნიერის — ალ. ხახანაშვილისთვისაც, როცა ეს უკანასკნელი ანტონის, გაიოზის, დავითისა და იოანეს მოღვაწეობას იხილავდა. ამიტომაც ალ. ხახანაშვილს ახალი არაფერი უთქვამს. ხოლო, თუ როგორ აფასებდა იგი კერძოდ ანტონს, კარგად ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „ანტონ I საქართველოს კათალიკოს-პატრიარხი ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთ უველაზე უფრო გამოჩენილ ადამიანთა წყებას ეკუთვნის. ამ მეტად ენერგიულ წინამძღვარს, რომლის ცხოვრება გასაოცარი მრავალმხრივობითა და თავისებურებებით გამოირჩეოდა, აგვიწერენ, როგორც რკინის ნებისყოფისა და ღრმად მოაზროვნე პიროვნებას. კეთილშობილ პატრიოტსა და ქრისტეს მოძღვრების დაუცხრომელ დამცველს ქართველი ხალხისათვის იმ მძიმე ეპოქაში.

ხან ღვთისმსახური, ხან დიპლომატი, მოაზროვნე-თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი-მოღვაწე, ავტორი ფილოსოფიური და ფილოლოგიური ტრაქტატებისა; მართლმადიდებლური ეკლესიის თავგამოდებული დამცველი და კათოლიკურისაც შემწყნარებელი; საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელი და საქართველოდან გაძევებული — ანტონ I არაჩვეულებრივად ორიგინალური პიროვნებაა მე-18 საუკუნის მოღვაწეთა შორის" [1].

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ალ. ხახანაშვილმა არ გაიზიარა ანტონის ბიოგრაფიის ცაგარლისეული ვარიანტი და, როგორც ჩანს, ძირითადად თ. ჟორდანიას გამოკვლევას დაეყრდნო.

ქართველოლოგიაზე მოთხრობილია ს. ბულიჩის ცნობილ წიგნში

---

[1] Ал. Хаханашвили. Очерки по истории груз. словесности, т. III. Москва, 1905г., გვ. 242 და შემ. გვ. 474—479.

„ნარკვევები ენათმეცნიერების ისტორიისა რუსეთში“ [1] და დათმობილი აქვს ხუთი გვერდი.

გრამატიკოსებიდან მასში, ალ. ცაგარელზე დაყრდნობით, მოხსენებულია: შანშოვანი, ანტონი, დავითი და გაიოზი. ნახსენებია ქრისტეფორე გურამიშვილის ქართული ანბანი (დაბეჭდილი 1737 წელს) და გაიოზისა (მოზდოკს დაბეჭდილი 1797 წელს).

ჩამოთვლილია აგრეთვე ქართული წიგნები, რომლებიც რუსეთში დაიბეჭდა.

1920 წლიდან იწყება ახალი ეტაპი ქართული გრამატიკული აზრის ისტორიის შესწავლაში, ამ წელს ქართული უნივერსიტეტის კედლებში შედგა პირველი სადოქტორო დისერტაციის დაცვა. დისერტანტი იყო ქართველოლოგიის ახალი ეტაპის შემქმნელი და მედროშე აკ. შანიძე.

უკვე მის დისერტაციაში [2], თუმცა მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად ნაჩვენები იყო ის არასწორი გზა, რომელიც აირჩია ანტონ I-მა ქართული ზმნის პრეფიქს-სუფიქსთა დადგენა-დიფერენციაციაში.

ანტონს და შანშოვანს ახსენებს ივ. ჯავახიშვილიც თავის ფუნდამენტურ შრომაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა [3] და, სამართლიანად შენიშნავს, რომ, ალბათ, ბევრი საინტერესო იმალება ანტონის გრამატიკაში და ჯერად გაუშიფრავია მძიმე ენის გამოო.

პროფ. ილ. აბულაძემაც უძღვნა წერილი ამ საკითხს [4]. მისი წერილი ძირითადად შანშოვანის გრამატიკის წყაროსთან მიმართებას იხილავდა.

დღემდე არსებულ გამოკვლევებს შორის აღსანიშნავია ილ. ცერცვაძის [5], ლ. ლეჟავას, თ. ბეროზაშვილის, ელ. ბაბუნაშვილისა და მ. მაჭავარიანის სტატიები [6].

---

[1] С. Булич. Очерки по исторiи языкознания в России, 1904 г., стр. 474—479.

[2] აკ. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბ., 1920 წ. (იხ. აგრეთვე. თხზულებანი, ტ. I, თბ., 1960 წ.).

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937 წ.

[4] ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1940 წ., 10, გვ. 152).

[5] ილ. ცერცვაძე, ბრუნვათა საკითხი მე-18 და მე-19 საუკუნის გრამატიკოსებთან (სახელთა ბრუნების ისტორია ქართველურ ენებში, თბ., 1956 წ.).

[6] ლ. ლეჟავა, თ. ბეროზაშვილი, ელ. ბაბუნაშვილი, მ. მაჭავარიანი, ანტონ პირველის გრამატიკა მე-18 ს. გრამატიკულ აზროვნებასთან დაკავშირებით. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომები. თბ., 1948 წ.

ილ. ცერცვაძის შრომა ეხებოდა ბრუნების საკითხს მე-18—19 საუკუნის ქართველ გრამატიკოსებთან, ხოლო დანარჩენი ოთხი შრომა იხილავდა მხოლოდ ანტონს. და ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მშვენივრად გაართვეს თავი საკმაოდ ძნელსა და რთულ ამოცანას.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ამ შრომებში ჭარბობს ფაქტების აღნუსხვა. მათ შეფასებასა და მათთვის გრამატიკული აზრის ისტორიაში სათანადო ადგილის მიკუთვნებას კი ნაკლები უურადღება ეთმობა.

1948 წელს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ პატარა წერილი გამოაქვეყნა ლუბა მეფარიშვილმა[1], რომელშიც პირველად გვამცნო იოანე ბატონიშვილის (ბაგრატიონის — ა. ფ.) გრამატიკის თბილისის ხელნაწერთა ფონდში არსებობის ფაქტი. მკვლევარი სვამდა საკითხს ამ გრამატიკისა და ს. დოდაშვილის გრამატიკებს შორის ურთიერთობის შესახებ.

ასევე საგაზეთო წერილი უძღვნა შ. ძიძიგურმა სოლომონ დოდაშვილის საგრამატიკო მოძღვრებას 1955 წელს გრამატიკოსის დაბადებიდან ასორმოცდაათ წლისთავზე [2].

საგანგებოდ იოანე ბაგრატიონის გრამატიკას მიეძღვნა ნ. გოგუაძის გამოკვლევა [3].

ეს არის პირველი წერილი, რომელშიაც მიმოხილულია იოანეს გრამატიკა მთლიანად და იგი, შეძლებისდაგვარად, შედარებულია ამავე ავტორის „კალმასობაში“ მოთავსებულ გრამატიკულ ნაწილთან. თვით „კალმასობის“ გრამატიკული ნაწილის შესახებაც პირველი ცნობები აქ გვხვდება.

მართალია, ზოგ დასკვნებში ავტორს ვერ დავეთანხმებით, მაგრამ საერთოდ შრომა მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული და ბევრი უცნობი ფაქტია შიგ გამომზეურებული.

1964 წელს საკმაოდ ვრცელი (94 გვერდი) საგანგებო შრომა მიუძღვნა ანტონისა და ქართული სალიტერატურო ენის ურთიერთობის საკითხს აკ. შანიძემ[4].

შრომაში ძირითადად განხილულია ანტონის გავლენა ქართული

---

[1] ლ. მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი, იოანე ბატონიშვილის გრამატიკა, „სახ. განთ.“, 1948 წ., № 47.

[2] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ს. დოდაშვილი და ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორია, „ლიტ. გაზ.“, 1955 წ., № 22.

[3] ნ. გ ო გ უ ა ძ ე, იოანე ბატონიშვილის „გრამატიკა“, საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, თბ., 4, 1962 წ.

[4] აკ. შ ა ნ ი ძ ე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თბილისი, 1964 წ., ცალკე ამონაბეჭდი.

ნაბეჭდი წიგნების ორთოგრაფიაზე და მითითებულია იმ შედეგზე, რაც ამ გავლენამ გამოიღო.

ანტონის გრამატიკულ შეხედულებას იგი ამ შრომაში არ ეხება, სხვაგან კი („ქართული გრამატიკის საფუძვლები") რამდენჯერმე მიუთითებს ანტონის ამა თუ იმ დებულებაზე.

ზ. შანშოვანსა და ანტონს ცალ-ცალკე პარაგრაფი მიეძღვნა არნ. ჩიქობავას წიგნში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია". შანშოვანის გრამატიკას დაეთმო 9 გვერდი, ანტონისას კი — 13, რომელშიაც ანტონის ბიოგრაფიის მოკლე ცნობები უფრო ცაგარლისეულ ვარიანტს უჭერს მხარს. ადგილის სიმცირის გამო, ფაქტია, ავტორი ვერ შესძლებდა მთელი სიგრძე-სიგანით განეხილა ანტონის შრომა და მოეცა მისი ნაკლისა და დადებითი მხარეების საფუძვლიანი შეფასება; მაგრამ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, იგი მაინც იძლევა გრამატიკის მიმოხილვას, ურთავს მას კრიტიკულ შენიშვნებს და არ ივიწყებს დადებით მხარეებსაც.

აი, რას წერს ავტორი: „ანტონის გრამატიკაში, მიუხედავად სხვაგვარი წყობის ენათა გრამატიკების გავლენისა, მაინც აისახა ქართული ენის დამახასიათებელი რიგი თავისებურება: 1. მოთხრობითი ბრუნვა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული... 2. სახელთა ბრუნების ერთგვაროვნება (ერთი ბრუნება)... სახელთა ფუძის კეცა და კუმშვა... 3. ზმნის უღლილება მ-გ თავსართით („პირნაკლი")... და არა ერთი სხვა" (გვ. 100).

ავტორი იმაზედაც მიუთითებს, რომ „ბევრი ტერმინი, ანტონის გრამატიკაში რომ გვხვდება, ახლაც ხმარებაშია და იმავე სახით; საკმარისია დავასახელოთ: „სახელი", „ზმნა", „ნაცვალსახელი", „ზედშესრული", („ზედსართავის" პარალელურად ხმარებული), „მიმღეობა", „თანდებული", „კავშირი", „ზმნისზედა" („ზმნისსართის" ნაცვლად გამოყენებული), „შორისდებული", „უღლილება", „ბრუნვა", „მხოლოობითი", „მრავლობითი", „პირი"", „რიცხვი"... ბრუნვათა სახელები: „წრფელობითი", „მიცემითი", „დაწყებითი", „მოთხრობითი", მოქმედებითი", „წოდებითი"... ანტონის „ქართული ღრამატიკა" საფუძვლად დაედო არა ერთს გრამატიკას, რომლებიც მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში შეიქმნა: არხიმანდრიტ გაიოზის გრამატიკა (1789), არქიეპისკოპოს ვარლამის გრამატიკა (1802 წ.), იესე ჩუბინაშვილის გრამატიკა (1818 წ.) [1] ანტონის გრამატიკის შინაარსის გამარტივებულ გამოცემას წარმოადგენდა ან ძირითად მომენტებში ანტონის გაგებას ემყარებოდა" (გვ. 101).

[1] უნდა იყოს იოანე ქართველიშვილის გრამატიკა, — ა. ფ.

არნ. ჩიქობავა ანტონის გრამატიკას ზოგ კერძო საკითხთან დაკავშირებით ადრე დაბეჭდილ შრომებშიც ეხებოდა[1].

მკვლევარმა ნ. აბესაძემ 1967 წელს წერილი უძღვნა ხუცური შრიფტით მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში ორჯერ დაბეჭდილი ანონიმური გრამატიკის ავტორობის საკითხს[2] და, სამწუხაროდ, მივიდა არასწორ დასკვნამდე: ნაშრომი მიაკუთვნა რედაქტორ-გამომცემელს — იესე ჩუბინაშვილს. ამ სტატიას დაწვრილებით იოანე ქართველიშვილის გრამატიკის ანალიზისას შევეხებით.

1968 წელს ჟურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნებული ნ. კოტინოვას სტატია „ქალმასობის“ გრამატიკას ეხება.

მასში ძირითადად სწორადაა წარმოდგენილი ის საკითხი, რომ „იოანეს გრამატიკის ყველა მონაკვეთი ძირითადად ანტონის გრამატიკის ქარგაზეა აგებული.

მეორე ცნობილი წინამორბედი, რომლის გრამატიკული ნაშრომისაგან აგრეთვე დავალებულია იოანე ბაგრატიონის ქალმასობისეული გრამატიკა, ეს არის გაიოზ რექტორი. იოანეს გრამატიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, გრამატიკულ ტერმინთა განმარტებანი, ემყარება გაიოზ რექტორის გრამატიკას“[3].

მაგრამ მკვლევარს გამორჩენია იოანეს გრამატიკის მესამე, უფრო სწორად, მეორე წინამორბედი — დავით ბაგრატიონი.

იოანეს გრამატიკა სინამდვილეში, პირველ რიგში ეყრდნობა სწორედ დავითისა და შემდეგ — გაიოზის გრამატიკას.

იოანესა (იგულისხმება I გრამატიკა) და დავითის გრამატიკების შედარებამ დაადასტურა, რომ უმცროს ძმას უფროსისაგან ალაგ-ალაგ მთელი გვერდები გადმოუწერია.

რაც შეხება ანტონის გავლენას, მისი ნახვა, რა თქმა უნდა, აქაც შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ თვით დავითიცა და გაიოზიც მისგან გამოდიან.

ნ. კოტინოვა წერს: „რაც შეეხება „ქალმასობაში“ წარმოდგენილ ქართულ გრამატიკას, მისი არსებობის შესახებ მიგვანიშნებს ალ. ცაგარელი იმავე წიგნში. იგი აღნიშნავს, რომ პროფ. შეგრენს სცოდნია ამ გრამატიკის არსებობა, თუმცა ხელთ არა ჰქონია“ (გვ. 133).

---

[1] მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, 10, 1939; რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში? სახ. ბრუნ. ისტორ. ქართველურ ენებში, I, თბ., 1956 წ.

[2] ნ. აბესაძე, მასალები ერთი ნაბეჭდი ქართული გრამატიკის ავტორის საკითხისათვის, მაცნე, 1967 წ., № 1.

[3] ნ. კოტინოვა, იოანე ბაგრატიონის „ქალმასობა“ და მისი გრამატიკული ნაწილი, „ცისკარი“, 1968 წ., № 8, გვ. 134.

აკად. ა. შეგრენს არ შეეძლო სცოდნოდა „კალმასობის“ გრამატიკული ნაწილის შესახებ რაიმე, თუნდაც იმიტომ, რომ „კალმასობა“ როგორც თვითონ ნ. კოტინოვა წერს, აღმოაჩინა დ. ბაქრაძემ და დაიბეჭდა პირველად 1862 წელს, შეგრენი კი ამ დროისათვის 7 წლის მკვდარია.

შეგრენს ხელთ ჰქონდა იოანეს 1829 წელს დაწერილი, ე. ი. მეორე გრამატიკა, რომელიც არ უნახავს ალ. ცაგარელს და მხოლოდ შეგრენის მიხედვით მოიხსენია აღნიშნულ წიგნში.

უფრო გვიან დაბეჭდილ სტატიაში ნ. კოტინოვა უკვე სხვანაირად მსჯელობს: „ალ. ცაგარელი მოკლედ შენიშნავს, რომ 'პროფესორი შეგრენი წერს თავის წიგნში (უნდა იყოს სტატიაში — ა. ფ.) იოანე ბაგრატიონის 1829 წელს პეტერბურგში დაწერილი ხელნაწერი გრამატიკის შესახებ, რომელიც მას ხელთ ჰქონდა. ალ. ცაგარელი აქვე (№ 16 შენიშვნაში) გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მას თვითონ ეს გრამატიკა არ უნახავს, და დასძენს, რომ მისთვის ცნობილია აგრეთვე იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“ მოცემული გრამატიკაც, რომელიც აგრეთვე ხელთ არა აქვს“ [1].

სინამდვილეში ალ. ცაგარელი № 16 შენიშვნაში წერს: „Я весьма сожалею, что не имею под руками книгу «Калмасоба» приписываемую ц—чу Иоанну, в которой трактуется между прочим и а грамматике».

როგორც ვხედავთ, აქ კალმასობის გრამატიკის გარდა არავითარ სხვა გრამატიკაზე ლაპარაკი არაა.

აი, ალ. ცაგარლის აზრი იოანეს II გრამატიკაზე: „Шегрен говорит, что он «сам имеет рукописную груз. грамматику, составленную царевичем Иоанном в 1829 г. в СПб. Я не видел экземпляра этой грамматики“[2].

ნ. კოტინოვას ერთმანეთთან შეუდარებია იოანეს I და II გრამატიკა და მისულა ასეთ დასკვნამდე: „იოანე ბაგრატიონის კალმასობისეული გრამატიკის შედარებამ მისივე სასკოლო გრამატიკასთან, გვიჩვენა, რომ **მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა როგორც სტრუქტურის, ისე შედგენილობის თვალსაზრისით**“. კალმასობისეულ გრამატიკას „მეცნიერული გრამატიკის პრეტენზია აქვს. მასში უფრო დაწვრილებით და ამომწურავადაა განხილული გრამატიკული

---

[1] ნ. კოტინოვა, იოანე ბაგრატიონის სასკოლო გრამატიკასა და კალმასობისეული გრამატიკის ურთიერთმიმართებისათვის, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1971 წ., № 4.

[2] Ал. Цагарели. О грамм. лит., გვ. 43. ალ. ცაგარელი მიუთითებს შეგრენის ზემოთ განხილულ სტატიაზე, რომელიც დაიბეჭდა 1838 წელს და რომლიდანაც მას მოაქვს ეს ცნობა.

ცნებები და სტრუქტურა ქართული ენისა, სასკოლო გრამატიკა კი მოწოდებულია იყოს მოკლე, სხარტი და გასაგები შემსწავლელთათვის“ [1].

არას ვამბობთ ე. წ. „სასკოლო“ და „მეცნიერული“ გრამატიკების ასეთ დაპირისპირებაზე, მაგრამ უნდა მოვიტანოთ ნ. კოტინოვას მეორე დასკვნა, რომელიც მას გაუკეთებია ამ გრამატიკების სხვაობათა კონკრეტული აღნიშვნის შემდეგ: **„მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი განსხვავებული ნიშნებისა, დასახელებული ორი გრამატიკა ძირითადად ერთნაირია.** ამას გვიჩვენებს აღნიშნულ თხზულებათა ენა, სტილი, კალიგრაფია, გრამატიკის მთლიანი შედგენილობა“ [2].

როგორც ვხედავთ, ავტორის აზრები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

სტატიაში გათვალისწინებული არ არის ის მდგომარეობაც, რომ I გრამატიკა დაწერილია დავითისა და გაიოზის გრამატიკების შეჯვარებით, ხოლო II გრამატიკაში იოანე ერთხელაც აღარ მიმართავს გაიოზს და ამ გრამატიკებში არსებული ყველა სხვაობა და მსგავსებაც სწორედ ამ საყრდენი დებულების გათვალისწინებით უნდა დადგენილიყო, რის შესახებაც იხილეთ აქვე — იოანეს გრამატიკების განხილვისას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ელ. ნიკოლაიშვილის საკანდიდატო დისერტაციად წარდგენილი მონოგრაფია: „გაიოზ რექტორი და მისი „ქართული ღრამმატიკა“.

ავტორმა საფუძვლიანად შეისწავლა გაიოზის საგრამატიკო მოღვაწეობა, შეადარა მისი გრამატიკა ანტონის შრომას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, და მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები.

შეიძლება ავტორს ყველაფერში არ დავეთანხმოთ[3], მაგრამ ფაქტი ისაა, რომ გაკეთებულია სასარგებლო საქმე და, რაც მთავარია, იგი პირველი ცდაა ქართველ გრამატიკოსთა მონოგრაფიული შესწავლისა.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა ელ. ბაბუნაშვილის მონოგრაფიაზე: „ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები“[4].

წიგნს ერთვის ანოტაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკის“ ორივე რედაქცია, გარკვეულია მათი ურთიერთმიმართება, დადგენილია ის წყაროები, რომლებითაც სარგებლობდა ანტონი თა-

---

[1] ნ. კ ო ტ ი ნ ო ვ ა, ხსენებული სტატია, გვ. 70; ხაზი ჩვენია, — ა. ფ.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 70, ხაზია ჩვენია — ა. ფ.

[3] რაზედაც საუბარი გვექნება ქვემოთ, როცა გაიოზის გრამატიკა განიხილება.

[4] ელ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები. თბ., 1970 წ.

ვისი გრამატიკის შედგენისას და გაანალიზებულია ანტონის გრამატიკული ნააზრევი".

სამწუხაროა, რომ ავტორს მიზნად არ დაუსახავს, ეჩვენებინა ის ადგილი, რომელიც ანტონს ეკუთვნის ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში, ან მოეცა ანტონის ენათმეცნიერული მოღვაწეობის შეფასება. მართალია, ერთ ადგილას ავტორი ამბობს: „ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკის" მნიშვნელობა არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, არამედ იმითაც, რომ მისი გავლენა შემდგომი დროის გრამატიკებზე დიდზე დიდი იყო და გრამატიკული აზრის განვითარების ისტორია საქართველოში სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ ანტონის გრამატიკა გამოწვლილვით არ იქნება შესწავლილი. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ანტონის გრამატიკულ კანონებსა და მისი სამი სტილის თეორიას მეტნაკლებად და შეძლებისდაგვარად ანგარიშს უწევდა ყველა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი თუ პოეტი, დაწყებული მისი თანამედროვეებიდან, ვიდრე მე-19 საუკუნის I ნახევრამდე" (გვ. 3).

მაშასადამე, ანტონის მთავარი დამსახურება ის ყოფილა, რომ მას დაუწერია პირველი სრული სასკოლო გრამატიკა.

ვფიქრობთ, პატ. ავტორიც დაგვეთანხმება, რომ ანტონის გრამატიკა მეტია, ვიდრე სასკოლო გრამატიკა. უფრო მეტიც, მის გრამატიკებში განხილული ბევრი საკითხი გრამატიკის ფარგლებს სცილდება და ზოგადენათმეცნიერულ დონემდე ადის: ისიც ხომ ფაქტია, რომ სკოლისათვის ეს გრამატიკა სიდიდის გამო არ გამოდგებოდა; რაც კარგად შეამჩნიეს ჯერ კიდევ გაიოზმა და შემდეგ მომდევნო გრამატიკოსებმა, რომლებმაც მოგვცეს მისი შემოკლებული ვარიანტი, რის გამოც ნამდვილად დაზარალდა ქართული ენის გრამატიკული მხარის შესწავლის საქმე.

უთუოდ სწორია ე. ბაბუნაშვილის განცხადება,, რომ „ქართული გრამატიკული აზროვნების საწყისებთან დგას ანტონ პირველის, პირველი ქართული გრამატიკის ავტორის, მონუმენტური ფიგურა"[1].

მაგრამ, ჩვენი აზრით, საკმარისი არ იქნება, თუ ვიტყვით: ანტონის გრამატიკა თუ არ შეისწავლეთ, „გრამატიკული აზრის განვითარება საქართველოში სრულად არ იქნება წარმოდგენილიო".

არა! ქართული გრამატიკული აზრის განვითარების კვლევა სრულიად წარმოუდგენელია და საერთოდ შეუძლებელია ანტონის ღრმად შესწავლის გარეშე.

---

[1] ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970 წ., გვ. 1.

რაც შეეხება ანტონის გრამატიკის კანონებისა და სამი სტილის თეორიის გავლენას, ამის გამო ხომ ანტონს, თვითონ ხსენებული ავტორიცა და ზოგი სხვა მეცნიერიც რიგ შემთხვევაში უპრყოფითად აფასებენ.

ერთი სიტყვით, საჭირო იყო ანტონის შესახებ მეტი დადებითი თქმულიყო.

დასანანია, რომ ანტონის წყაროების ძიებისას ავტორმა საჭიროდ არ ჩათვალა გამოეყო ანტონის გრამატიკის ბერძნულ-ლათინური პლასტი და მხითარისეული ნაწილი ცალ-ცალკე. ამის გამო ახლა აღარ გაირჩევა, ანტონმა რა აიღო ტრადიციული ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრებიდან თუნდაც მხითარის გზით და რა — საკუთრივ მხითარიდან და წიგნში მოტანილი უამრავი სომხური ტექსტი (საერთო მოცულობით 17 გვერდი) ვის ეკუთვნის, მხითარს თუ ბერძნულ-ლათინურ გრამატიკულ მოძღვრებას, არ ჩანს.

სასურველი იყო ბაუმაისტერიდან მომდინარე ფილოსოფია-ლოგიკის გავლენაც გამხდარიყო კვლევის ობიექტი. ამით უფრო ნათელი გახდებოდა განსხვავება პირველსა და მეორე რედაქციებს შორის.

თვალში გეცემათ ერთი გარემოებაც: ავტორი, რა თქმა უნდა, ამჩნევს ანტონის გრამატიკაში არსებულ ბრწყინვალე ენათმეცნიერულ მიგნებებს, მაგრამ მათზე რატომღაც სქოლიოებში მიუთითებს.

უნდა ითქვას, რომ ავტორს საკმაოდ დაწვრილებით განუხილავს ანტონის ორივე გრამატიკა, შეუდარებია მხითარის გრამატიკისათვის, გაუანალიზებია ანტონის დებულებები და მიუღია საინტერესო დასკვნები.

განსაკუთრებით კარგად აქვს გაანალიზებული ავტორს ანტონის გრამატიკის ყველაზე უფრო ბუნდოვანი და რთული ადგილი — ზმნის უღლება.

II. ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან

ჰყავდა თუ არა ანტონს წინამორბედები? ზურაბ შანშოვანმა თარგმნა სომხური ენის გრამატიკა ქართულად — მას ქართული ენის გრამატიკა არ დაუწერია.

ქართული გრამატიკული აზროვნების სათავეები ჯერჯერობით წყვდიადითაა მოცული. ჩვენამდე არ მოღწეულა მე-18 საუკუნეზე ადრინდელი არცერთი შრომა, რომელშიაც საგანგებოდ იყოს გაშუქებული გრამატიკის საკითხები.

გრამატიკული ლიტერატურის უქონლობას უჩიოდა თავის დროზე ივანე ჯავახიშვილიც. იგი წერდა: „საერთოდ უნდა ითქვას, რომ მომავალში ხელნაწერების შესწავლამ შესაძლებელია ძველ ქართველ გრამატიკოსთა და მთარგმნელების დაკვირვება აღმოაჩინოს კიდევაც და მაშინ ამ საკითხზე მსჯელობა გაადვილდეს, მაგრამ ჯერჯერობით ზურაბ შანშოვანის 1738 წლისა და ანტონ კათალიკოსის 1753 და 1767 წ.წ.-ზე უწინარესი არცერთი ქართ. გრამატიკული ნაშრომი აღმოჩენილი არ არის“ [1].

მართლაც და საინტერესოა, მე-18 საუკუნეზე ადრე ქართველებს არაფერი შეუქმნიათ გრამატიკული აზროვნების სფეროში?

გრამატიკა (გრამმატიკე) ბერძნული სიტყვაა და დღევანდელი გრამატიკების პირველწყაროც ანტიკური ხანის საბერძნეთში, კერძოდ ალექსანდრიის სკოლის (I საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) გრამატიკოსებთან უნდა ვეძიოთ. მართალია, ძველი ინდურის (სანსკრიტის) გრამატიკა პანინმა სამი საუკუნით ადრე დაწერა და ამავე ხანებში მოგვცა ბევრი საინტერესო მოსაზრება არისტოტელემაც, მაგრამ, რადგან პანინის გრამატიკას საზოგადოდ გრამატიკული აზრის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, ხოლო არისტოტელესა და სხვა ფილოსოფოსთა მოძღვრებაში ნახსენები სახელი, ზმნა და ზოგი შემდგომში მეტყველების ნაწილად სახელდებული ენის ერ-

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937 წ., გვ. 4.

თეულები ლოგიკისა და პოეტიკის საკითხთა გარკვევას ემსახურებოდა, გრამატიკის ისტორიას ალექსანდრიის სკოლის წარმომადგენელ დიონისე თრაკიელიდან ვიწყებთ. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გრამატიკა, რომელიც ბერძნული ენის ფონეტიკა-მორფოლოგიას განიხილავდა, პრაქტიკულ მიზნებს (სწორად წერასა და კითხვას) უფრო ისახავდა, ვიდრე მეცნიერულს; არც სკოლაში სასწავლად იყო იგი თავდაპირველად განკუთვნილი.

მომდევნო საუკუნეებში თრაკიელის გრამატიკა ითარგმნა ლათინურ ენაზე, მიესადაგა ამ უკანასკნელის ბუნებას და დაახლოებით მეოთხე საუკუნიდან სასკოლო დისციპლინებს შორის აუცილებელ საგნად იქცა.

ამ პერიოდიდან, უფრო ლათინურის მეშვეობით, გრამატიკა გავრცელდა ევროპის თითქმის ყველა ენაზე. თავდაპირველად იგი დიონისე თრაკიელის გრამატიკის თარგმანი უფრო იყო, ვიდრე ლათინური ენის გრამატიკული ბუნების ნამდვილი ამსახველი. დროთა განმავლობაში კი ყოველი ენის გრამატიკა სწორედ იმ ენის წყობის ამსახველი გახდა, რომელი ენის გრამატიკაც იყო.

მაგრამ რამდენადაც დიდად დაშორდა დღევანდელი გრამატიკა დიონისე თრაკიელის გრამატიკულ სისტემას, იმდენად ნაკლებ განსხვავებულია სასკოლო გრამატიკები თავისი წინამორბედისაგან.

შორს რომ არ წავიდეთ: სახელი, ზმნა, ნაცვალსახელი, კავშირი, ზმნიზედა და ზოგი სხვა მეტყველების ნაწილი, რომელიც ასე დამკვიდრებულია თანამედროვე სასკოლო გრამატიკებში, დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან იღებს სათავეს.

ბერძნული წყაროების მიხედვით ზოგ ბერძენ მოღვაწეს მე-4 საუკუნეში ქალაქ ფოთის მახლობლად მიუღია სწავლა-განათლება. თუ დავუშვებთ, რომ ამ „სასწავლებელში" სწავლა შესაძლოა ქართულ ენაზე იყო და ასწავლიდნენ გრამატიკასაც, როგორც ერთ-ერთ ძირითად საგანს იმ შვიდი დისციპლინიდან, რომლებიც ძველ სკოლებში ისწავლებოდა, მაშინ ქართული გრამატიკული აზრის ისტორია მე-4 საუკუნიდან მაინც უნდა დაგვწყო, მაგრამ, რადგან ამ მხრივ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი და დასადგენი, რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია.

სამაგიეროდ დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მე-10-12 საუკუნეების საქართველოში არა თუ იცნობდნენ, არამედ ჰქონდათ კიდეც საკუთარი გრამატიკული ლიტერატურა, რასაც თუნდაც კვლავ ის ფაქტი მოწმობს, რომ ჩვენში არსებობდა გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომელთა ფუნქციონირებაც აუცილებლად მოითხოვდა გრამატიკის სწავლებას, რომ არაფერი ვთქვათ ამ დროის ქართული კულტურისა და მეცნიერების საერთო მა-

ღალ დონეზე, რაც განაპირობებდა ჩვენი წინაპრების გრამატიკულ ცოდნასაც.

მაგრამ არსებობს სხვა პირდაპირი საბუთებიც:

1. ილარიონ მოძღვარი ათონის ივერიის მონასტრის ქართულ წიგნთა აღწერილობაში 1836 წელს წერს: „...იმავე თავშიდ მეტყველებს წმინდა ეფთვიმე მთარგმნელი ვითარმედ: „ბერძნულს ენას კეთილად მოუვალს ართრონი და ქართულს ენას არ მოუვაო“[1].

ართრონის (არტიკლის) ბერძნულ ენაში არსებობისა და ქართულში არ არსებობის საკითხი წმინდა ენათმეცნიერული (გრამატიკული) საკითხია. ასეთი აზრის ავტორი ენათმეცნიერული მოვლენების ზედმიწევნით მცოდნე ჩანს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, ექვთიმეს (ათონელის) რა სახის ნაშრომზე მიუთითებს ილარიონ მოძღვარი. სად ლაპარაკობს ექვთიმე ართრონზე, გრამატიკული ხასიათის რომელიმე ნაშრომში, თუ სხვაგან აქვს ეს აზრი გამოთქმული შენიშვნის სახით [2].

2. მაგრამ მთავარი მნიშვნელობა მაინც ქართული ენათმეცნიერული აზრის უდიდესი წარმომადგენლის, ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული გრამატიკის ავტორის — ანტონ ბაგრატიონის ცნობებს ენიჭება.

ანტონის პირველი გრამატიკის შესავლის განხილვისას პროფ. ალ. ცაგარელი წერს: „ამ შესავლიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ანტონი უარჰყოფდა ძველ ქართულ ლიტერატურაში გრამატიკის არსებობას, მაშინ როცა თვითონ იმოწმებს მე-12 საუკუნის ერთ ქართველ

---

[1] Ал. Цагарели. О грамм. лит..., СПб., 1873 г., დანართი, გვ. 3. აღწერილობა პირველად გამოვიდა 1867 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე მ. ბროსეს თარგმანით.

ილარიონი იყო იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ მე-2-ის კარის მოძღვარი.

როგორც ცნობილია, თბილისიდან გაქცევის შემდეგ სოლომონი თურქეთში გადავიდა და გარდაიცვალა ქალაქ ტრაპიზონში 1815 წელს.

ილარიონი სოლომონის გარდაცვალების შემდეგ წავიდა ათონს და იქ დამკვიდრდა.

[2] ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომელიც ექვთიმე ათონელს მიეწერება, გრამატიკული ხასიათის ნაშრომი აღმოჩენილი არ არის. ცალკეულ გრამატიკულ შენიშვნებზე მიუთითებს ივ. ჯავახიშვილიც: „თვით ის ცალკეული გრამატიკული დაკვირვებანი, რომელიც ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს და სხვებსაც სქოლიოების თუ კიდურწერილობის სახით მოეპოვებათ, არავის ამოუკრეფია“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937 წ., გვ. 4.).

გრამატიკოსს — იოანე პეტრიწს — და რამდენიმე სხვას უწოდებს გრამატიკოსს“ [1].

ამავე აზრს იმეორებს ალ. ცაგარელი 1881 წელს გამოცემულ ზურაბ შანშოვანის გრამატიკის წინასიტყვაობაშიც: „ანტონ კათალიკოსი თავის 1751 წელს (უნდა იყოს 1753 წელი — ა. ფ.) შედგენილი გრამატიკის წინასიტყვაობაში ამბობს, რომ მას არ გაუგონია თითქოს ძველ ქართულ ლიტერატურაში არსებობდა გრამატიკა, რომ არც მთარგმნელმა მამებმა, არც გვიანდელმა მწერლებმა არ დაგვიტოვეს ჩვენ იგი“ [2]. ალ. ცაგარელს იქვე მოაქვს ეს შესავალიც: „წმინდა მამათა ქართველთა მეთარგმანეთა მოჰფინა ღმერთმან სული თვისი და გადმოღებითა წიგნთათა იღვაწეს საღმთოთა წერილთა და წმიდათა მოძღვართა და ბუნებისა და ზესთა ბუნებისა წერილთა გადმოთარგმანებითა რაოდენიცა ქმა; და ამათნი იგი ნათარგმანები წერილნი მრავალნი ჰგიან დღეინდლად დღემდე; დაღათუ მრავალნი აკლნნ ცოდვათა ჩვენთა თვის, თხრობითა ნათესავისა ჩვენისათა უცხო ნათესავთაგან, ხოლო რომელნიცა აკლნნ — პოებულ არიედ იგინი წმიდასა ქალაქსა (იერუსალიმს) და წმიდასა მთის (ათონის) მონასტერსა ჩვენ ქართველთასა; გარნა ღრამმატიკაი არა სადა ვისმინეთ, არც ნაწთთა წიგნთა შინა მყოდ, შემდგომად აოხრებისა და არცა პირველ, რათა იყოსმცა ჩვენსა ზედა ენასა“ [3].

ამ შესავლის შემდეგ ალ. ცაგარელს და მასზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილსაც, აკვირვებდათ ანტონის ცნობა, რომ „...ვნებითი ჯერარს განრჩევად უხმოისა ამის მიერ, რომელა ვ რამეთუ ესე იოანე ფილოსოფოსისაგან ქმნული კანონი არს, მაგალითებრ: ჰამვად, წერვად, შეწირვად [4]“ და ის, რომ თავად ანტონი პირველი გრამატიკის შესავალში არსენს (ალბათ იყალთოელს — ა. ფ.), ეფრემს (ალბათ, მცირეს — ა. ფ.) და პეტრიწს გრამატიკოსების სახელით მოიხსენიებდა.

აი, რას წერდა ამის თაობაზე ალ. ცაგარელი: „პირველი, რაც იქცევს ჩვენს ყურადღებას არის წინააღმდეგობა ანტონის სიტყვებში მის მოღვაწეობამდე ქართული გრამატიკის არსებობის თაობაზე. ჩვენ ვნახეთ, რომ ანტონი უარჰყოფს ძველ ქართულ ლიტერატურაში

---

[1] იგულისხმება ანტონის პირველი გრამატიკა, 1753 წელს დაწერილი, და რომელიც ჯერაც არ გამოქვეყნებულა. 1885 წელს ს. ერისთავის გამოცემულ გრამატიკას საფუძვლად დაედო ანტონის II გრამატიკა, რომლის საბოლოო რედაქცია 1767 წელს დაუსრულებია ავტორს.

[2] მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა ქმნული ზურაბ შანშოვანისგან 1737 წელს, 1881 წ., გვ. 13—14.

[3] იქვე, გვ. 12—13.

[4] ა ნ ტ ო ნ I, ღრამმატიკა, თბ., 1885 წ., გვ. 169.

გრამატიკის არსებობას, ამასთან 288-ე პარაგრაფში ამბობს:.. (აქ მოტანილია ზემოთ ამოწერილი ციტატი — ა. ფ.)... მიუხედავად იმისა, რომ — განაგრძობს ალ. ცაგარელი — ეს წესი განუსაზღვრელი კილოსათვის ხელოვნურია და სქოლასტი-გრამატიკოსის აზროვნების ნაყოფია[1] და, რომ ასეთი ენებითის ფორმა არ იცის ქართულმა ენამ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომელიც მცდარობის მიუხედავად, გვიჩვენებს, რომ პეტრიწის შრომა იყო საგანგებო დანიშნულების გონებამახვილური გრამატიკული ტრაქტატი"[2].

პროფ. ცაგარელი კითხულობს: „როგორ შევუთანხმოთ ეს ადგილები ანტონის ნათქვამს: „რომ, ვიყავ რა ღვთის ხელით მირონცხებული პირველმა აღმოვაჩინე გრამატიკის კანონები"[3]. „ამას გარდა უნდა აღინიშნოსო, — განაგრძობს ალ. ცაგარელი, — რომ მე-17 საუკუნემდე ქართული გრამატიკის უარყოფა ანტონს გარკვეულად არ გამოუთქვამს: გაუგებარია, იგი უარჰყოფდა გრამატიკის არსებობას ძველ ლიტერატურაში საერთოდ, თუ ეს უარყოფა მხოლოდ ნათარგმნ გრამატიკებს შეეხებოდა, რომელთაც ანტონი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა? თუ ეს ასეა, მაშინ წინააღმდეგობა თავისთავად ქრება, რამეთუ შეიძლება, არსებობდა პეტრიწის გრამატიკა, მაგრამ არა თარგმნილი უცხო ენიდან, არამედ ორიგინალური. ხოლო პირველ შემთხვევაში, ანუ მაშინ, თუ ანტონი საერთოდ უარჰყოფდა ყოველგვარი ქართული გრამატიკის არსებობას და ამავე დროს იმოწმებს ძველ გრამატიკოსებს — საკითხი იღებს სხვაგვარ სახეს და ჩვენ ვალდებული ვართ, გამოვასწოროთ ან ავხსნათ ამ წინააღმდეგობის სათავე"[4].

ალ. ცაგარელი აანალიზებს ანტონის მოსაზრებაში ბევრ საინტერესო დეტალს და დაასკვნის: „ერთი სიტყვით, წინამორბედთა გრამატიკული დამსახურების უარყოფა თუ დამცირება, უეჭველია, ანტონს გამოუვიდა „გრამატიკულ ხელოვნებაზე" თავისი შეხედულების გაზვიადებით და ტერმინების „გრამატიკა" და „გრამატიკოსი" დაბნეული გაგებით. ერთი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ანტონს ჰყავდა წინამორბედნი, რასაც თითონაც აღიარებს და რაც, სხვათა შორის, ჩანს იქიდანაც, რომ იგი არაერთხელ იმეორებს: „ახლად შედგენილი ჩემ მიერ ახალი ღრამმატიკა", მაგრამ რომლებიც, ალბათ, ვერ შეედრებოდნენ მის შრომებსო"[5].

[1] გაუგებარია ვის ეკუთვნის ეპითეტი „სქოლასტი-გრამატიკოსი" ანტონს თუ პეტრიწს?

[2] А. Цагарели. О грамм. лит..., გვ. 12.

[3] იქვე, გვ. 12.

[4] А. Цагарели. О грамм. лит..., გვ. 12.

[5] იქვე, გვ. 14—15.

ვფიქრობთ, ეს ე. წ. წინააღმდეგობა გაქრებოდა. აეტორებს რომ ყურადღება მიექციათ ანტონის II გრამატიკის 128. 129 და 130-ე პარაგრაფებისათვის.

როგორც ცნობილია, ანტონი ქართული გრამატიკის შედგენის დროს უცხოურ გრამატიკებს იშველიებდა. ანტონმა შესანიშნავად იცოდა, რომ უცხოური ენებისათვის ანგარიშის გაწევა მხოლოდ ზოგადი განსაზღვრებების გადმოცემისას შეიძლებოდა: არც შესაძლებელი იყო და არც საჭირო საილუსტრაციო მასალის გადმოტანა. ამიტომ საილუსტრაციო მასალად ანტონს ან საღვთო წიგნებიდან ამოწერილი ციტატები მოჰქონდა (დედნის ზუსტი დასახელებით), ან საერო ხასიათის წიგნების მისეული თარგმანიდან (ცალკე ზუსტი მითითებით), ან იძლეოდა მათ პერიფრაზირებას (მიუთითებლად) დაბოლოს, ხშირად თითონ თხზავდა საჭირო მასალებს.

ის ადგილი, რომელზედაც გვინდა ყურადღება შევაჩეროთ, სწორედ უკანასკნელის მაგალითია.

ანტონი იძლევა კავშირის განსაზღვრას და გამოჰყოფს მის ჯგუფებს. ერთი ჯგუფი იწოდება მიზეზობითად (მასში ერთიანდება: რამეთუ, ამისათვის, ნაცვლად...). კავშირის ამ ჯგუფებში მოცემული სიტყვების ენაში გამოყენების საილუსტრაციოდ ანტონს მოაქვს შემდეგი ტექსტი: „რამეთუ მორჩილება არს დედა და მეშუ კეთილისა სწავლისა, ამისათვის ღირს მესწავლეთა დამორჩილებაი მოძღვართა ხელოვანთა. ნაცვლად მეფობისა მესწავლეო დიდ-გვარო, მოიგე მორჩილება ვიდრემდის იყოს ყოფაი შენი სხოლასა შინა, უკეთუ ზედმიწევნილთა სწავლულ იყო; ხელოვნებასა სრულად ნუ ჰზვაობდე, არამედ ნაცვალ სიმდაბლისა (sil!) მოიგე სიმდაბლეი... ნუ უკვე ჰგონო შენ, ვითარმედ შემდგომად სამღთოთა თარგმანთა ქართულისაებრ ენისა, ყოფაი ღრამმატიკისა, მაგრა ჰსცთები, რამეთუ არვინ-სადა ჩვენგანთა იხილეს ესე. ნუ უმე მცირედთა მათ ფურცელთა ღრამმატიკისათა აქა და იქი, ვისგანმე ურთიერთარს მძღვანებულთა იოცნებენ რამეთუ იყოსმცა ღრამმატიკაი, არამედ არა არს ნამდვილ... ოდესმე შეტყოდეს მე ჩვენთანანი არა საკმარებასა ღრამმატიკისასა, მაგრა იხილონ რა წინამდებარე ესე, შეუძლო მათგან თქმად პირველნი იგი ლექსნი“ [1]... და იქვე 128-ე პარაგრაფში: „დაღათუ ჰგონიეს უმეცრებით ხუთ ან ექვს ფურცელედი იგი ღრამმატიკა ყოფად, მაგრა უმეცრებითა ხცდებოდეს საცინელი“ და შემდგომ: „უკეთუმცა, საყვარელო ჩემო, სურვილ-იყავ ქართულისა ღრამმატიკისა სწავლად ვერ სადმე გეხილვა სავსებით აქამომდე ღრამმატიკაი ქართულად შემდგომად

[1] ანტონ I, ღრამმატიკა, გვ. 110.

წმიდათა თარგმანთა ჩვენთა. ხოლო თუმცაღა ჰსთქუას ვინ ყოფაი ჰსტყუის... ხოლო დაღათუ იყომცა, არა ესე-გვარ, აღერიამცა ენაი ქართველთა უწრთველთა მწერალთა“ [1].

ამ ადგილების დაკვირვებით წაკითხვის შემდეგ, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია ლაპარაკი რაიმე წინააღმდეგობაზე ანტონთან. იგი აშკარად ამბობს, რომ მთარგმნელი მამების შემდეგ გრამატიკა ნამდვილად არ შექმნილა; ხოლო ის ფურცლები, რომლებიც აქა-იქ შეუკრებიათ და ერთიმეორისათვის გადაუცია თ არ არის ნამდვილი (სრული) გრამატიკაო, ამიტომაც მეუბნებოდნენ მე „არასაკმარებასა ღრამმატიკისასა“, მაგრამ ამ წიგნის ნახვის შემდეგ ვეღარ იტყვიანო ამას.

მაშასადამე:

1. **მე-10-12 საუკუნეებში** (მთარგმნელი მამების მოღვაწეობის პერიოდში) **ქართულ ენაზე გრამატიკა გვქონია—ეს უეჭველია.** ძნელია იმის მტკიცება ნათარგმნი იყო იგი, თუ ორიგინალური.

2. ანტონის დრომდე მოღწეულა ამ გრამატიკის ფრაგმენტები („ფურცლები“), რომელსაც ანტონი გრამატიკად არ თვლიდა, თუმცა აქა-იქ იმოწმებდა მას. ეს ფრაგმენტები სხვებისთვისაც ყოფილა ცნობილი და ისინიც მას არასაკმარისად თვლიდნენ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თეიმურაზ ბაგრატიონისაგან მომდინარე ერთი ცნობა.

თეიმურაზის ცნობილი კატალოგის [2] (შედგენილია 1835 წელს) საფილოსოფოსო და საგრამატიკო წიგნების განყოფილებაში პირველ ნომრად (საერთო ნომერი 224) მითითებულია „ღრამმატიკა სულ ძველი მოკლედ“, მას მოსდევს გრამატიკები ანტონის, გაიოზის, დ. ბაგრატიონისა და სხვათა.

როცა ავტორი წერს „სულ ძველიო“· იგულისხმება მართლაც დიდი სიძველე, რადგან მან ძალიან კარგად იცოდა ანტონის გრამატიკის შედგენის თარიღი, და, რადგან ეს გრამატიკა მოკლეც ყოფილა, იქნებ ის იყო ანტონის „ფურცლები“[3].

აქვე შეიძლებოდა დაგვემატებინა ერთი ცნობაც.

დავით ბაგრატიონი თავისი გრამატიკის წინასიტყვაობაში, რომე-

---

[1] ანტონ I, ღრამმატიკა, გვ. 109.

[2] იგი პირველად ფრანგულად 1838 წელს გამოსცა მ. ბროსემ პეტერბურგში; არსებობს ქართული ბეჭდური გამოცემა, შესრულებული სოლ. იორდანიშვილის მიერ.

[3] ამ მიზნით საგულდაგულოდ შევისწავლეთ ჩვენს ხელნაწერთსაცავებში არსებული ყველა ფრაგმენტი გრამატიკა, რომ არაფერი ვთქვათ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან შრომაზე, მაგრამ, ვერაფერს მივაკვლიეთ.

ლიც ერეკლე II-ისადმია მიძღვნილი, წერს... „შევთხზენ ადვილგასაგონი ესე ძველთაგან და ახალთა ღრამმატიკათა კითხვა-მოგებით მცირე ესე წიგნი".

საინტერესოა, რას გულისხმობს ავტორი ტერმინ „ძველში". ანტონის I გრამატიკას, თუ რომელიმე სხვას, იქნებ თეიმურაზის კატალოგის „სულ ძველს"? თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დავითის გრამატიკის საგანგებო შესწავლამაც სანუგეშო ჯერ ვერაფერი მოგვცა. მასში ანტონის გრამატიკების გარდა (ვგულისხმობთ ორივე გრამატიკასა და „სიმეტნეს"), სხვა რომელიმე გრამატიკის კვალი არ აღმოჩნდა,

ეი ყველაფერი, რაც ვიცით კლასიკური თუ მომდევნო ხანის გრამატიკული აზრის შესახებ.

კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ანტონიდან მოდის და მე-17-18 საუკუნეებს ეხება.

I გრამატიკის წინასიტყვაობაში ანტონი მოგვითხრობს, რომ ძველი გრამატიკა დიდ ხანს უძებნია ვახტანგ VI-ს და საბა ორბელიანს, ვახუშტი ბატონიშვილსა და ბევრ სხვასაც, მაგრამ, როცა გრამატიკის პოვნის ყველა შესაძლებლობა ამოუწურავთ, მიუმართავთ ერთი თბილისელი მოქალაქე ზაქარიასათვის, რომელიც მათი თხოვნით შესდგომია გრამატიკის თარგმნას არჩილის (1647—1712) მეფობის დროს; ამ თარგმანს უწოდეს „გრამატიკა", სინამდვილეში კი ის არაა გრამატიკაო[1].

ანტონის ამ ცნობის გარშემო საკმაოდ ვრცელი მოსაზრება აქვს გამოთქმული ალ. ცაგარელს ზ. შანშოვანის გრამატიკის შესავალში.

იგი სვამს კითხვას, ხომ არ იყო ერთი და იგივე პირი შანშოვანი და ზაქარია?

ეს საკითხი მას აინტერესებს იმასთან დაკავშირებით, რომ გაარკვიოს: იცოდა თუ არა ანტონმა შანშოვანის გრამატიკის არსებობა და იყენებდა თუ არა მას.

ასეთი კითხვის დასმა გამოუწვევიათ შანშოვანისა და ანტონის გრამატიკათა ტერმინოლოგიურ დამთხვევას.

მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი კითხვისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგან:

---

[1] ციტატი მოგვაქვს ალ. ცაგარლის შრომის მიხედვით. ამ ზაქარიას პ. მურადიანი აიგივებს ი. ბატონიშვილის „კალმასობაში" გამოყვანილ ზაქარია მადინაშვილთან. იხ. „კალმასობა", ტ. II, 1948 წ., გვ. 204, (პ. მურადიანის აზრით — მატინიანი)— П. М. Мурадян. Армяно-грузинские литературные взаимоотношения в XVIII веке, Ереван, 1966 г., გვ. 108—109.

1. როგორც თვით ალ. ცაგარელიც შენიშნავს, ანტონის ცნობით, ზაქარიას „გრამატიკა" უთარგმნია არჩილის მეფობის ხანაში, შანშოვანის გრამატიკა კი თარგმნილია 1737 წელს, როცა არჩილი ცოცხალი არ იყო. ამიტომ ამ ავტორთა იგივეობის საკითხი მოხსნილია.

2. ანტონის გრამატიკის გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი დიდი პატივით ეკიდება ყველას, ვისაც ოდნავი დახმარება გაუწევია მისთვის და მიუთითებს ყველა პირზე, ვისაც რაიმე უთქვამს ქართული გრამატიკული აზრის სფეროში, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონი აუცილებლად მოიხსენებდა შანშოვანსაც. მისი ნათარგმნი შრომა რომ ენახა, მით უფრო, რომ ეს შრომა მის ბიძაშვილს — ვახუშტის — ბიძის, ვახტანგის დაკვეთით გადაუწერია.

3. გამატიკული ტერმინოლოგიის მსგავსება, თუ ზოგჯერ დამთხვევაც კი, ამ შემთხვევაში გადამწყვეტ ფაქტორად ვერ ჩაითვლება, თუმცა ეს საკითხი ალ. ცაგარლისათვის გადაუწყვეტელი იყო, რადგან იგი არ იცნობდა შანშოვანის გრამატიკის წყაროს.

მაგრამ ჩვენთვის, რაკი ვიცით, რომ ზურაბმა თარგმნა სვიმონ ჯულაელიანის გრამატიკა[1], საკითხი სრულიად ნათელია: ეს „დამთხვევა" ვლინდება გრამატიკის ზოგადი საკითხების გადმოცემისას. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა, რადგან ორივე ავტორი ბევრ შემთხვევაში ახდენდა სომხური ტერმინების კალკირებას, მით უმეტეს, რომ თვით სომხური გრამატიკები ტერმინოლოგიურ სხვაობას ვერ მოგვცემდნენ, რადგან, ისინი ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრებიდან იღებდნენ სათავეს.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, შანშოვანსა და ანტონს შორის დამთხვევა სრულიად უმნიშვნელოა. რასაც თვით ალ. ცაგარლის მიერ მოტანილი ანტონისა და შანშოვანის გრამატიკული ტერმინების პარალელური სია ამტკიცებს.

ამ სიაში დასახელებულია 57 ტერმინი, რომელთაგან ავტორები ერთმანეთს ემთხვევიან მხოლოდ 14 შემთხვევაში. ამათში შედის ისეთი ტერმინები (ასო, მარცვალი, ლექსი, სიტყვა, პირი, ნათესავი...), რომლებიც სომხურშიც ბერძნულ-ლათინურის სათანადო ტერმინების კალკირების გზით იყო შესული და რომელთა სხვა შესატყვისის დაძებნა სრულიად წარმოუდგენელი იყო.

ვიმეორებთ, ანტონისა და ზურაბის გრამატიკებს ამ 14-ოდე ტერმინის გარდა არაფერი აკავშირებთ და სრულიად აშკარად შეიძლება ითქვას, რომ ანტონი შანშოვანის შრომას არ იცნობდა. უფრო მეტიც,

[1] იხ. ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტ-ის ადრ-დელი ძეგლები, საქ. სახ. მუზ. შრომები, № 10, თბ., 1940 წ.

შანშოვანის ამ გრამატიკას არც არავინ იცნობდა მთარგმნელისა და ვახუშტის გარდა და, რომ ალ. ცაგარელს შემთხვევით არ გამოეცა ის, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში სრულიად შეუმჩნეველი დარჩებოდა, რადგან მას არცერთხელ არ იხსენიებს არც ერთი ავტორი, რომელსაც რაიმე საერთო ჰქონია გრამატიკულ აზრთან[1].

რაკი სიტყვამ მოიტანა, უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ამ გრამატიკაზე იმიტომაც რომ მასზე საბოლოოდ დავამთავროთ მსჯელობა.

1881 წელს პროფ. ალ. ცაგარელმა პეტერბურგში გამოსცა ზ. შანშოვანის წიგნი „მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა ქმნული ზ. შანშოვანისგან 1737 წელსა". როგორც გამომცემელი გვატყობინებს, ხელნაწერი მას მიუღია თბილისელი კერძო მფლობელი, ვინმე ციცქიშვილისაგან. მისი ზუსტი პირი გადაუღია და დედანი პატრონისათვის დაუბრუნებია[2].

ზურაბ შანშოვანი თბილისელი მოქალაქე ყოფილა და ემიგრაციაში გაჰყოლია ვახტანგ VI-ს. ვახტანგისავე თხოვნით მოსკოვში ყოფნისას ხელი მიუყვია სომხურიდან თარგმანისათვის. უთარგმნია პორფირის „ხუთნი ხმანი", არისტოტელის „ათნი ქვეთქმულება" ანუ „კატეღორია" და „პერი-არმენია". როგორც თავად აცხადებს, ქართული კარგად არ სცოდნია და თარგმანთა მეტი წილი ვახუშტი ბაგრატიონის დახმარებით გაუწყვია.

მაგრამ, როგორც ვახუშტი ამბობს, გრამატიკა შანშოვანს დამოუკიდებლად უკეთებია და მას (ვახუშტის) შიგ წილი არ უძევს: „და კვალად მცირე ესე ღრამმატიკა, რომელი თავსა იმავე წიგნისასა წერილ არს[3], ბრძანებითა მისივე მეფისათა ჰყოფდა, შემდგომად უარჰყო ქმნა მისი, ვით ნაკლულეული არს „სვინტაქსი", მე ვიეთისგანმე ვიხელთე უცნობლობითა მისითა, რამეთუ არა ენება მას ამის უსრული მოცემა — არამედ უკეთუ უსრული არს, გარნა გზა რაიმე იხილვების მისგან. მე მისივე ნათქვამობით მისივე თარგმნილითა თანა დავწერე"[4].

ამ ციტატაზე დაყრდნობით ალ. ცაგარელი ფიქრობს, რომ გრამატიკა

---

[1] ვერ დავეთანხმებით ელ. ნიკოლაიშვილს, რომელიც არნ. ჩიქობავაზე მითითებით ფიქრობს, რომ ზ. შანშოვანის „გრამატიკის გავლენის კვალი მომდევნო ხანის ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში უთუოდ იგრძნობა (იხ. გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, გვ. 39); როგორც ვთქვით, არავითარი წყაროებით არ დასტურდება, რომ შანშოვანის გრამატიკას იცნობდა ან ანტონი, ან ვინმე მის შემდგომ ავტორთაგანი.

[2] იგი ეპოვა ამბ. გაჩეჩილაძემ და ამჟამად ინახება აკად. კ. კეკელიძის სახ. თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

[3] შანშოვანი თარგმანები ერთ წიგნადაა აკინძული და იგი გრამატიკით იწყება.

[4] „მოკლე ღრამმატიკა...", გვ. 9.

ნამდვილად ეკუთვნის ზ. შანშოვანს, მაგრამ იგი გადაუწერია ვახუშტის, „ვახუშტის მონაწილეობა ამ შრომაში არ ჩანს“ [1]. პროფ. ილ. აბულაძის აზრით კი, რომელმაც შანშოვანის გრამატიკა შეუდარა მის დედანს — სვიმონ ჯუღაელიანის გრამატიკას, „ქართულში ზოგან ზედმეტი ადგილებია, რომელთაც სრულიად არ მოეპოვებათ პარალელები სომხურში... და შესაძლოა იგი გრამატიკის გამომამზადებელ ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნოდეს. ზურაბი, როგორც სხვა შემთხვევებიდან ჩანს, მის დამატებას ვერ შესძლებდა“ (ხაზი ჩვენია — ა. ფ.) [2].

შანშოვანის გრამატიკა იწყება თავით „ღრამმატიკისათვის“. „ღრამმატიკა არს ხელოვნება რაიმე ცნობისათვის წერილთა მეტყველებისათვის“ (გვ. 3). გრამატიკის ასეთი განმარტება, რომ იგი ხელოვნებაა და დაწერილის შეცნობას ემსახურება, ჩვეულებრივი იყო მაშინდელი გრამატიკებისათვის, რომლებიც სათაეს დიონისე თრაკიელის მოძღვრებიდან იღებდნენ.

გრამატიკა „განიყოფების ორად: სამოქმედოდ და საქმედ, ვითარცა — ნიეთი და სახოვნება“.

გაუგებარია რას ნიშნავს გრამატიკის ასეთი გაყოფა, რას შეესაბამება იგი; მით უფრო რომ „სამოქმედოს ავტორი ჰყოფს ორად: წიგნი, მარცვალი, ლექსი და სიტყვა — თანამედროვე ტერმინოლოგიით: ბგერა, მარცვალი, სიტყვა, წინადადება, ე. ი. „სამოქმედო“ მოიცავს გრამატიკის მთელ ობიექტს, რას ნიშნავს საქმე? — ამაზე პასუხი არ არის გაცემული.

ფონეტიკის მიმოხილვისას ავტორი, მართალია, ძირითადად ყველა ქართულ ბგერა-ასოს ჩამოთვლის (სულ ოცდაცხრამეტს), მაგრამ, როგორც კი საქმე მათ დაჯგუფებაზე მიდგება, სერიოზულ შეცდომებს უშვებს: ჳ და ჲ ხმოვნებში შეუტანია; თანხმოვნებში გამოირჩევიან „ბოხნი“ (ფ, ხ, ქ, ყ...), წვრილნი (მ, პ, ნ, ზ...) და საშუალნი (ბ, გ, დ...), ჯ, ჰ, ჶ არც ერთ ამ ჯგუფში არ შედის, „არამედ ფშვინვიერებისა მიერ აღმოითქმიან“[3]. ამავე დროს ზ, ლ, ნ... და სხვა ბგერები „მრჩობლად ითქმიან, რომელ ორს შეხმობილს ასოს ძალს მისცემენო“.

ფონეტიკისა და მარცვლის საკითხის განხილვის შემდეგ ავტორი გადადის ლექსის (ე. ი. სიტყვის) განსაზღვრაზე: „ლექსი არის ხმა იოტიანი და მნიშვნელი თვინიერ თანა შეთხზვისა, ანუ ზე-სამნიშნო, და დამნიშნელი თვინიერ თანა შეთხზვისა, ვითარცა: ხორცი, სიტყვა,

---

[1] „მოკლე ღრამმატიკა...“, გვ. 9.

[2] ილ. აბულაძე. ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, გვ. 153.

[3] ზ. შანშოეანი, „ღრამმატიკა...“, გვ. 6.

დაემკვიდრა, იქმნა, ჩვენ; ხოლო ზე-სამნიშვნო, ვითარცა იგი, ელ, და შორის“ (გვ. 7).

თავი რომ დავანებოთ ზოგადი განმარტების (...არს ხმა იოტიანი...) ბუნდოვანებას, სრულიად გაუგებარია, რას ნიშნავს „ზე-სამნიშნაო“-ს ჯგუფი? თუ იგი დამხმარე სიტყვების მომცველია, როგორ მოხვდა მასში „იგი“ ან „ელ“. ეს უკანასკნელი ხომ ცალკე სიტყვა არაა.

ლექსის განსაზღვრას მოჰყვება სიტყვის (ე. ი. წინადადების) განსაზღვრა, სიტყვა „არს შერწყმულობა ლექსთა, განმცხადებელი გონებისა, ზრახვისა... ხოლო კერძონი სიტყვისანი (ანუ სიტყვის ნაწილნი, დღევანდელი მეტყველების ნაწილ. — ა. ფ.) არიან რვა: სახელი, ზმნა, შეწყნარება (ე. ი. მიმღეობა — ა. ფ.), სახელდართული (პირის ნაცვალსახელები — ა. ფ.), იოტი (გაურკვეველია.— ა. ფ.), ართრონი (იგი არტიკლს ნიშნავს, მაგრამ აქ თანდებულის შესატყვისადაა წარმოდგენილი — ა. ფ.), ზმართული (ზმნიზედა —ა. ფ.) და შემკვრელი (კავშირი — ა. ფ.).

როგორც ვხედავთ, დღევანდელი თვალთახედვით წარმოდგენილია შვიდი მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნიზედა და კავშირი. რაც შეეხება მერვეს — იოტს, იგი არნ. ჩიქობავას აზრით, ართრონს უნდა უდრიდეს, თუმცა მისთვისაც საკითხი მთლად ნათელი არაა: „იოტი არს კერძო (ე. ი. ნაწილი) სიტყვისა სასრბოლო (ე. ი. ცვალებადი) წინწყობილი და ქვეწყობილი სასრბოლოსა კერძოთა სიტყვისა საპირისპირო: კაცი ესე და ეს კაცი. აქ იოტი ნაწევრის (ართრონის) როლში გამოდის... ამასვე გვაფიქრებინებს ტო-ქა-ვინ... ი, ე, ჰეი-ს სამჯამაო, სადედაო და ზიარ იოტად მიჩნევა... ოღონდ „ვინ“ აქ უადგილო ჩანს, ასევე „რომელ“ და კიდევ უფრო „თავადმა“, „რაჟამს“ [1].

„იოტი“ მართლაც ართრონის მაგიერებას ეწევა, თუმცა აშკარაა, მას ქართული ენის გრამატიკასთან საერთო არაფერი აქვს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ილ. აბულაძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სვიმონ ჯუღაელი არ უნდა სცნობდეს მხითარ სებასტიელის გრამატიკას და ამდენად ლათინურ საგრამატიკო სკოლასაც [2].

მეტყველების ნაწილებში შორისდებულის შეუტანლობა და ართრონის შეტანა ამ აზრის სისწორეზე მიუთითებს.

არც სხვა მეტყველების ნაწილთა განსაზღვრა-გამოყოფის საქმეა უკეთ.

---

[1] არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965 წ., გვ. 86.

[2] ილ. აბულაძე, დასახელებული შრომა, გვ. 154.

სახელის განსაზღვრის ერთი ნაწილი შანშოვანთან რატომღაც ნეგატურად არის დახასიათებული — „არს კერძო სიტყვისა სასრბოლო, თვინერ ჟამისა და პირისა“ — მაგრამ ამ დახასიათებაში მას ბრალი სულაც არ მიუძღვის, ისე როგორც მეტყველების ნაწილთა ყველა სხვა განსაზღვრა-დახასიათებაში, რადგან სიტყვა სიტყვით თარგმნის მხოლოდ იმას, რაც ჯულაელთან გვქონდა „სახელთაგან რომელნიმე არიან საქვედახონი და რომელნიმე „საზედახონი“. პირველის მაგალითია: კაცი, ქვეყანა... მეორის — პოხილი, კეთილი და სხვა.

სახელებს ახასიათებს ექვსი თანმყოლი, ე. ი. კატეგორია: 1. რაოდენი (დღევანდელი — საზოგადო და კერძო), 2. ნათესავი (სადედაო, სამამაო, ზიარი და არავინ), 3. ნაკვეთი (მარტივი, ურილი და ზეურილი), 4. სახე (პირველსაჩინო და გამომკვირვალო), 5. რიცხვი (სამხოლო და სამრავლო), 6. სრბოლი (სასწრფელო, სანათესაო, სამიცემადო, სამოქმედო, საძიებო, სადასაბამო, სამეტყველო, საშორისო, საგარემყოფო, საწოდებო — სულ ათი).

ჩამოთვლილი ათი ბრუნვა, რა თქმა უნდა, სომხური ენისათვისაა შექმნილი. დასახელებულ ბრუნვათაგან, სანათესაო, სამიცემადო, სამოქმედო, საწრფელო და საწოდებო ბრუნვების გარდა, ქართულმა არ იცის.

აბა რა გასაკვირია მოთხრობითი ბრუნვის არარსებობა ამ სიაში, მსგავსი ბრუნვა სომხურს ხომ არ ჰქონდა.

ზმნის განსაზღვრა შეიძლება ითქვას უნაკლოა: „იგი არის ლექსი სასრბოლო (ე. ი. ფორმის მცვლელი — ა. ფ.) რომელ მყოფსა რაიმეს ანუ ქმნასა, ანუ ვნებასა დანიშნავს ჟამითურთ და პირითურთ“.

ამ განსაზღვრას მოსდევს უკვე სრულიად უსაფუძვლოდ ზმნების დაყოფა: 1. ს ა ა რ ს მ ყ ო ფ ო დ (ვარ, ვდგეარ, ვიმყოფები, ვიქმნები), 2. ს ა გ ა რ მ ყ ო ფ ო დ (თქვა მოვიტანო, ვაქო), 3. ბ უ ნ ე ბ ი ს პ ი რ ა დ (მიყვარს, მიყვარდა, შევიყვარე) და 4. მ დ ე ბ ა რ თ ა პ ი რ ა დ (შემიყვარია, შეგიყვარია, შემიყვარის).

ფრჩხილებში ჩასმული ზმნების ცალ-ცალკე გამოყოფას, რა თქმა უნდა, არავითარი საფუძველი არა აქვს და ქართული ზმნის სტრუქტურის სრული გაუგებრობის შედეგია მხოლოდ.

ზმნის კატეგორიებია:

1. ნ ა თ ე ს ა ვ ი
   1. სამოქმედო (განვაღო)
   2. საენებო (განვიღო)
   3. საშუალო (დავემკვიდრო)
   4. ზიარი (ვშვა)

II ნაკეთი	1. მარტივი (ვიგონო)	
	2. ყრილი (მოვიგონო)	
	3. ზეყრილი (ზემოვიგონო)	
III. სახე	1. პირველსამგზავსო (მომიხსენო)	
	2. გამომჭვირვალო (მოვახსენებინო)	
IV. რიცხვი	1. სამხოლოო (ვქნა)	
	2. სამრავლო (ვქნათ)	
V. პირი	I (ვიტვირთო)	
	II (იტვირთო)	
	III (იტვირთოს)	ა. უსრული (ვბანდი)
VI. დრო	1. მყოფი (ვბან)	ბ. სრული (დავბანე)
	2. ყოფილი ——→	გ. მარადისსრული (დამიბანია)
	3. მყოფადი (დავბანო)	დ. ზესრული (დამებანნა)
VII. კილო	1. სასამძღვრო (შეეიტყო)	
	2. საბრძანებო (შეიტყვე)	
	3. სანეტარო (ნეტართუმცა შემეტყო)	
	4. საქვედასო (თუმცა შემეტყო)	
	5. უჩინო (შეტყობა)	

VIII. სქესი (გვარი)—„არის შესახედავი სრბოლთა ზმნათა და არიან: ა, ე, ი, ო, რომელთაგანნი სამნი ესენი: ა, ე, ო, არიან სამოქმედოსანი. რომელი იმყოფებიან დასასრულთა მარცვალთა წყობათა შინა სამყოფოთა ზმნათა შინა ვითარცა: ვთქვა, მივსცე, გაველო, თქვა, მისცე, გააღო; თქვას, მისცეს, გააღოს". ი სავნებითოსია (ითქვას, განიღოს), (გვ. 20—23).

შემდეგ ზმნის უღლების პარადიგმებია მოტანილი და, როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, შანშოვანს შემჩნეული აქვს „სახმარ არს ცნობად რამეთუ ზმნანი რომელნიმე ქართულისა ენითა სახელდართულითა ითქმიან ანუ სახელდართულის მაგიერ თვითოს ასოსა ჩართვითა ითქმიან, ვითარცა: გბან, მბან, ვბან, გბანს... დამბანე... დავბანე. მანი ვინის ალაგს არს" [1]. თუმცა მისი სწორი კვალიფიკაცია მოცემული არაა. ამიტომაც ვერ დავეთანხმებით პ. მურადიანს, რომელიც ფიქრობს, რომ შანშოვანმა შენიშნა ქართული ზმნის მრავალპირიანობა[2].

[1] არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965 წ., გვ. 45.

[2] В армянском глаголе, в частности, отсутствует многоличность (за редким исключением). Переведя, излагая эту часть грамматики Шаншованн про-

მოკლედ ასეთია ქართული ზმნის შანშოვანისეული ანალიზი; როგორც ვხედავთ, ზოგადი საკითხები (კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების გამოყოფა), ასე თუ ისე, მისაღებია, მაგრამ, როგორც კი ამ კატეგორიების მიხედვით ქართული ზმნის მასალის განაწილებაზე მიდგება საქმე, ავტორი მეტწილად ცდება. მიზეზი? — კვლავ იგივეა. ეს კატეგორიები იყო ჯუღაელიანის გრამატიკაში და ავტორს მათი მხოლოდ კალკირება (რაც მეტად სუსტად შეასრულა) დასჭირდა. მასალის განაწილება კი ვერ შეძლო.

ასეთივე მდგომარეობა აქვს სხვა მეტყველების ნაწილთა მიმართაც. მაგ.: „შეწყნარება (მიმღეობა) არს ლექსი სასრბოლო ჟამიერი, თვინიერ პირისა, რომელი მოქმედებასა ანუ ვნებას დანიშნავს“ (გვ. 57).

რომელია შეწყნარების მაწარმოებლები? — მწე, ლი, რე, ნე, ბო (შემწე, შემწყნარებელი, შემწყნარე, მოურნე, სადებო), როგორც ვხედავთ, არცერთი მაწარმოებელი სწორად არაა მოძებნილი.

მეტ-ნაკლებად სწორადაა მოცემული ზმნიზედის განმარტება („ზმართული არს ლექსი უსრბოლოჲ, რომელი ზემდებარებით ზმნისა და შეწყნარებისა და საზემდებარო სახელისა ვითარებასა მათსა დანიშნავს“).

მაგრამ როგორც კი იწყება ქართული მასალის მოშველიება, ყველაფერი თავდაყირა დგება. შანშოვანის აზრით, ზმართულს სდევს: ნაკეთი, სახე და დანიშნულება. ნაკეთი სამია: 1. მარტივი („სწრაფლ“), ყრილი („მსწრაფლ-მსწრაფლი“) და 3. ზეყრილი („მსწრაფლ-მსწრაფლად“); სახე ორგვარია: 1. პირველ სამსგავსო („მარტო“), 2. გამომჭვირვალო („მარტივად“).

სრულიად გაუგებარია, რატომაა ყრილი „მსწრაფლ-მსწრაფლი“ და ზეყრილი — „მსწრაფლ-მსწრაფლად“ ან რატომაა პირველ სამსგავსო (ე. ი. მარტივი ფუძე) „მარტო“ და რა მოტივითაა გამომჭვირვალი (რთული ფუძე) „მარტივად“.

ზმნიზედათა 36 ჯგუფში ასევე დაუსაბუთებლად აქვს განაწილებული თითქმის ყველა მეტყველების ნაწილი და კავშირის 12 ჯგუფშიც უკეთ როდია საქმე, თავი რომ დავანებოთ ქართულში ართრონის ძებნას [1].

ყოველივე ზემოთქმულიდან ვასკვნით, რომ **შანშოვანმა კი არ დაწერა ქართული ენის გრამატიკა, მან თარგმნა სომხურის გრამატიკა ქარ-**

являет полную самостоятельность, что на наш взгляд заслуживает большего внимания»; იხ. დასახ. შრომა, გვ. 114.

[1] უფრო დაწვრილებით ამ გრამატიკის ყველა მეტყველების ნაწილის ანალიზი იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს წიგნში, „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“, თბ., 1965 წ., გვ. 80—88.

თულად და ამ გრამატიკის ქართული ენის გრამატიკად ჩათვლა იხევე არ შეიძლება, როგორც ვთქვათ, ქართულად თარგმნილი სომხეთის გეოგრაფია არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს გეოგრაფიად.

ამ გრამატიკის სომხურიდან თარგმნაზე მიუთითებდა ილ. აბულაძეც თავის ნაშრომში; ასეთივე აზრისაა პ. მურადიანიც: „Шаншованц переводит текст целиком, не исключая и грамматических терминов... Как можно заметить из данного сопоставления (ამას წინ უსწრებს ქართულისა და სომხურის პარალელური ტექსტები — ა. ფ.) мы имеем дело с дословным переводом грамматических терминов и слов“ [1]. დაახლოებით ასეთსავე აზრს გამოთქვამს არნ. ჩიქობავაც: „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორი თარგმნიდეს გრამატიკას: ვთქვათ ბრუნვებია გამოსაყოფი, იღებს სომხური ენის სახელობითს „უღაღაკანს“ (წრფელობითს); ქართულში ადვილად იქმნება შესატყვისი; ასევე წყდება ნათესაობითისა და მიცემითის საკითხი...“ [2]

ქართული გრამატიკული აზრი, ამჟამად ცნობილი მასალების მიხედვით, სათავეს იღებს ანტონ ბაგრატიონის საგრამატიკო შრომებიდან.

[1] И. Мурадян, დასახელებული შრომა, გვ. 112—113.

[2] არნ. ჩიქობავა, დასახელებული შრომა, გვ. 87.

III. ანტონ ბაგრატიონი – ქართული გრამატიკული (resp. ენათმეცნიერული) აზრის ფუძემდებელი

ბიოგრაფიული ცნობები; ზოგადი ცნობები ანტონის გრამატიკებზე; მეორე გრამატიკა (1767 წ.); ა. გრამატიკის ზოგადი ცნებები (წიგნი, მარცვალი, ლექსი, სიტყვა); ბ. სახელი; გ. ბრუნება ზოგადად; დ. ნაცვალსახელი, ე. ზმნა, ვ. მიმღეობა, ზ. თანდებული, თ. ზმნიზედა, ი. კავშირი, კ. შორისდებული, ლ. სინტაქსის ხაკითხები, მ. დანართი.

ანტონის ცხოვრებასა და შემოქმედებას არა ერთი ავტორი შეხებია. ბიოგრაფები ძირითადად ემთხვევიან ერთმანეთს: განსხვავება ვლინდება დაბადების თარიღსა, ცოლიანობის საკითხსა, კათალიკოსობიდან გადაყენების მიზეზსა და ზოგ სხვაში. ზოგს ანტონის ერისკაცობის სახელიც შეუცვლია და მას არჩილს უწოდებს [1].

ბიოგრაფთაგან ყველაზე სარწმუნოა თ. ჟორდანია[2] რომლის გამოკვლევიდანაც ვგებულობთ, რომ ანტონი — ერისკაცობაში თეიმურაზი — დაიბადა 1720 წელს. იგი იყო შვილი იესე ბაგრატიონისა (ვახტანგ VI-ის ძმისა).

ეს ის იესეა, რომელიც წლების განმავლობაში ეცილებოდა ქართლის ტახტს ვახტანგ VI-ს და, როცა კი ხელში ჩაიგდებდა, სამეფო კარი გარყვნილების ბუდედ იქცეოდა. თ. ჟორდანიას თქმით, იესე ყველაზე უფრო უსინდისო და გულზვიადი მეფე იყო გამაჰმადიანებულ ქართველ მეფეთა შორის. და თითქოს ბუნებამ მისი ცოდვების გამოსყიდვა იკისრაო, იესეს ბრწყინვალე შთამომავლობა მისცა. მისი შვილთა შვილები არიან ძმები პეტრე და რომან (რევაზ) ბაგრატიონები. პირველი — ინფანტერიის გენერალი, რუსეთის არმიის გამოჩენილი მხედართმთავარი, ბოროდინოს გმირი; მეორე — გენერალ-მაიორი, სამამულო ომის აქტიური მონაწილე და უფრო ადრე თურქეთის წინააღმდეგ მებრძო-

[1] არჩილი ერქვა მის ძმას, უფრო გვიან ბატონიშვილად წოდებულს.

[2] Т. Жордания. Антоний I Католикос Грузии и архиепископ Владимирский и Ярмпольский (Духовный вестник Грузинского экзархата, 1891—92 г.).

ლი, რომლის შვილიც, აგრეთვე გენერალი — პეტრე — იყო თავისი დროის გამოჩენილი ფიზიკოსი და გამომგონებელი. მის მიერ აღმოჩენილ მინერალს დღემდე „ბაგრატიონიტს“ უწოდებენ [1].

თეიმურაზი უზნეო მამას სულაც არ დამსგავსებია. სათნო დედის (ერეკლე II-ს მამიდის) წყალობით იგი თვინიერი და კეთილი ხასიათის ყმაწვილი გამოდგა.

1727 წელს გარდაიცვალა თეიმურაზის მამა — ქართლის მეფე იესე. ამ დროს ვახტანგი უკვე რუსეთშია, ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ქართლის ბაგრატიონთაგან ფაქტიურად მხოლოდ თეიმურაზია. მით უფრო, რომ მას ჩქარა გარდაეცვალა დაც.

როგორც გადმოგვცემენ, დედა თეიმურაზს სამეფოდ ამზადებდა და ამიტომ სწავლა-განათლების მისაღებად იმ დროისათვის ცნობილ საგანმანათლებლო ცენტრში — გარეჯის მონასტერში მიუბარებია, სადაც იგი საღმრთოსა და საერო დისციპლინებს ეუფლებოდა საგანგებოდ დაქირავებული მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

თხუთმეტი წლის თეიმურაზი ქართლის გავლენიანი თავადის გივი ამილახვრის ქალზე დანიშნეს, მაგრამ ეს ქორწინება არ შედგა, ვინაიდან ამილახვრის ქალი სპარსეთის შაჰმა თავისი ჰარამხანისათვის გაითხოვა. ამ ამბავმა საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო სამეფო გვირგვინისათვის გამზადებული ჰაბუკი და საერო ცხოვრებაზე სამუდამოდ ხელი ჩააქნევინა.

1738 წელს იგი დედასთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა. მაგრამ ასტრახანიდან უკან დაბრუნდა და გელათის მონასტერში ანტონის სახელით ბერად შედგა.

განათლებული და დიდგვაროვანი ანტონი მალე დაწინაურდა, ჯერ გელათის მონასტრის წინამძღვრად, ხოლო 1740 წელს ქუთაისის მიტროპოლიტად.

1742 წელს, აღმოსავლეთ საქართველოში ყოფნისას, მას კათალიკოსობაც შესთავაზეს. მაგრამ უარი განაცხადა ამ დიდებაზე და უკანვე დაბრუნდა ქუთაისში. ხოლო ორი წლის შემდეგ, 1744 წელს, ის მაინც დათანხმეს ხელთ აეღო კათალიკოსის სკიპტრა. ამ წელს მოხდა საქართველოს ისტორიაში გაუგონარი შემთხვევა: ჭინმე თამაზაშვილმა ხანჯლით განგმირა კათალიკოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე და მცხეთის კათედრა დაობლებული დარჩა.

ამას ისიც დაემთხვა, რომ ამავე წელს ნადირ-შაჰმა ქართლისა და კახეთის ფორმალური დამოუკიდებლობა აღიარა და პირველის ტახტზე თეიმურაზ II, ხოლო მეორისაზე მისი შვილი ერეკლე II დასვა.

---

[1] ვ. ბ ა რ კ ა ძ ე, პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი, თბ., 1967 წ.

თეიმურაზმა და ერეკლემ კათალიკოსად ანტონი მოიწვიეს. ამით მეორე საქმეც კეთდებოდა — ქართლის თავადების გულის მოგება, რომლებიც განაწყენებული იყვნენ კახეთის ბაგრატიონთაგან ქართლის ტახტის ხელში ჩაგდების გამო [1].

ანტონი ამ დროისათვის 24 წლისაა და ეს პირველი შემთხვევა იყო საქართველოს ისტორიაში, როცა უმაღლესი მღვდელთმთავრის — კათალიკოსის სკიპტრა ასე ახალგაზრდას გადასცეს. ალბათ, ეს გახდა საბაბი იმისა, რომ ზოგმა ისტორიკოსმა მისი დაბადების წლად 1714 გამოაცხადა, ხოლო კათალიკოსად კურთხევა 1747 წლით დაათარიღა, რადგან, როგორც ცნობილია, კათალიკოსი 30 წელზე ნაკლებისა არ უნდა ყოფილიყო.

იმავე 1744 წლის შემოდგომაზე შედგა თეიმურაზ მეორის ქართლის მეფედ კურთხევის ცერემონიალი მცხეთის საკათედრო ტაძარში. გადმოგვცემენ, რომ ეს რაღაც არაჩვეულებრივად მომხიბლველი სანახაობა რამდენიმე დღეს გაგრძელებულა და ყველაფრის თავი და თავი, როგორც ორგანიზაციის, ისე ხელმძღვანელობის მხრით, ახალგაზრდა კათალიკოსი ყოფილა [2].

ანტონი მთელი თავისი უზარმაზარი ენერგიით შეუდგა თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

როგორც მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფია გვასწავლის, ქრისტიანული რელიგია პროგრესული მოვლენა იყო ჩასახვისა და განვითარების პირველ ხანებში საერთოდ. საქართველოში კი მისი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ამ რელიგიამ უთუოდ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისა და ჩვენი ერის გადარჩენის საქმეში, მე-18 საუკუნის ბოლომდე. ცნობილია, რომ თავიანთი მეფობის ხანაში თეიმურაზ II-სა და ერეკლეს თავდადებული ბრძოლა უხდებოდათ ირან-ოსმალეთისა და ჩრდილო კავკასიელი მუსულმანი ტომების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ერთიანი რწმენით აღუურვილ ქართველ ხალხს და ამნაირი მისიის შესრულება რელიგიას ეკისრებოდა. ხოლო ამნაირი რწმენის აღდგენა და გამოჭედვა შეეძლო დიდად განათლებულ, ავტორიტეტულ და ძლიერი ნებისყოფის მქონე პიროვნებას — ასეთი იყო სწორედ ანტონ I.

აიღო თუ არა ხელში კათალიკოსის კვერთხი, ანტონი სასწრაფოდ შეუდგა ქართლ-კახეთის მთელ ტერიტორიაზე სასწავლებლების ორგა-

---

[1] თეიმურაზ II, რომელიც ქართლის ტახტზე ავიდა, კახეთის ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა.

[2] ალ. სარაჯიშვილი, თეიმურაზ მეფის კურთხევა, „ჯეჯილი", 1904 წ., № 12, 1905 წ., № 5.

ნიზაციას. მისი შრომის ნაყოფი გახლდათ სემინარიები თბილისსა (1755 წ.) და თელავში (1782 წ.), ამ სასწავლებლებისათვის მან დაწერა, თარგმნა და გადმოაკეთა ბევრი სახელმძღვანელო. თვითონვე ასწავლიდა თბილისის სემინარიაში; ამ სემინარიებში ისწავლებოდა მისი გრამატიკაც.

ქართველთა შორის სწავლა-განათლების საქმის უკეთ დაყენების დაუოკებელმა სურვილმა ანტონი დააკავშირა მაშინ თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან. ისინი ევროპიდან იყვნენ მოსულნი და ამ საქმეში დიდი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ. ასეთმა კავშირმა, საბოლოოდ, მისი პიროვნული ტრაგედია გამოიწვია: 1755 წლის 16 დეკემბერს იგი გადააყენეს კათალიკოსობიდან და მხოლოდ მის შემდეგ, რაც მოინანია დანაშაული, შეიწყალეს და რუსეთს წასვლის ნება მისცეს.

რუსეთში ანტონი წარუდგა იმპერატორ ელისაბედსა და წმინდა სინოდს, დაამტკიცა მართლმადიდებლური ეკლესიისადმი ერთგულება და მიიღო ვლადიმირისა და იარიმპოლის მთავარეპისკოპოსობა, სადაც 1762 წლამდე დარჩა.

რუსეთში ყოფნის დროს ანტონი უზარმაზარ მეცნიერულ და ლიტერატურულ მუშაობას ეწევა: თარგმნის სახელმძღვანელოებს და ხვეწს ადრე დაწერილ შრომებს. ამ პერიოდში შეიმუშავა მან გრამატიკის II ვარიანტი.

1762 წელს, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლემ იგი გამოიწვია საქართველოში და კვლავ ჩააბარა კათალიკოსის გვირგვინი, რასაც სიკვდილამდე — 1788 წლამდე — აღარ გამოთხოვებია.

1772 წელს იგი კიდევ ერთხელ მიემგზავრება რუსეთში, ამჯერად დიპლომატიური მისიით „გეორგიევსკის ტრაქტატის“ შესამუშავებლად.

როცა ანტონის პიროვნებას ეცნობით, თვალში გხვდებათ წინააღმდეგობითა და უიღბლობით სავსე მისი ცხოვრების გზა: ყმაწვილობის პერიოდში ტრაგიკული ბედის მქონეს ისიც დაემატა, რომ იგი ერთი ყველაზე უპირველესი და უგანათლებულესი კათალიკოსი, რომელსაც ეს თანამდებობა 36 წლის განმავლობაში ეჭირა, ერთ დროს თანამდებობიდან ჩამოგდებული და სამშობლოდან გაძევებული იყო.

ქართულ ენაზე პირველი მეტად მაღალ დონეზე დაწერილი გრამატიკის ავტორი, წიგნების ბეჭდვის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მრავალი ორიგინალური სახელმძღვანელოს ავტორი და გადმომქართულებელი ამ ენის განვითარების შემაჩერებლად იყო გამოცხადებული.

დაბოლოს, თავად პოეტს და ლიტერატურის ისტორიკოსს, უდიდეს ბიბლიოფილსა და კულტურის მოამაგეს ვეფხისტყაოსნის დაწვაც თუ მტკვარში გადაგდებაც კი დასწამეს — „უსაზღვროა უგუნურება ბოროტთა კაცთა“.

როგორც აღვნიშნეთ, ანტონის ორი გრამატიკიდან ჩვენ მეორეს განვიხილავთ, მაგრამ იმისათვის, რომ მკითხველს თუნდაც ზერელე წარმოდგენა მაინც ჰქონდეს პირველ გრამატიკასა და მის დამატებაზე— „სიმეტნეზე“ — აქ მოვიტანთ მათ სარჩევებს თავების დასახელებითა და მცირე განმარტებებით.

პირველი გრამატიკა[1] — 1753 წ.

1. წინასიტყვაობა შედგება „სიტყვებისაგან“. პირველი „სიტყვა“ მთლიანად საღმრთო წიგნებიდან ამოღებული ციტატების გროვაა, რომლებიც ერთმანეთთან თითქმის არავითარ კავშირში არ იმყოფებიან. ყველა ციტატი ზუსტადაა მითითებული.

2. მეორე „სიტყვა“, „მიზეზი პირველი ყოფისა, ამის წიგნის“. აქაც კვლავ საღმრთო წერილიდან ამოკრებილ ციტატებთან გვაქვს საქმე, თუმცა შიგადაშიგ ლაპარაკია სწორედ იმაზე, თუ რა მიზეზით დაწერა ეს წიგნი.

3. მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე „სიტყვებიც“ ამავე წესითაა დაწერილი. მეოცე გვერდიდან (რვა დაუწერელია — ა. ფ.) იწყება საკუთრივ გრამატიკა ასეთი სათაურით:

„დასაბამი პირველისა ნაწილისა, რომლის წოდებულ კარი ღრამატიკისა, რომლისა შორის მარტივად დადებულ სახელთა ბრუნვანი შეუღლვანი ზმნათანი და შეკრებანი სხვათა სიტყვის-ნაწილთანი, რომელნიც ზეპირ სწავლად უხამს ყე ახალ-გრამატიკოსთა სწავლის შინათა: ხოლო ზედ-კიდებულ მერმეცა საზღვართა კითხვანი წვალებისათვის და გარემოთა (ესე იგი მდევართა) ნაწილთა სიტყვისათა ზოგებითსა შინა (ესე იგი საზოგადოსა) ხოლო ჯერ არს მათიცა ზეპირგამოხატვაი გონებასა სწავლისა შინათასა“.

პირველი ნაწილი

თ ა ვ ი (მ ე პ ი რ ვ ე ლ ე) „ბრუნვათა თვის სახელთასა“, იწყება „მარიამის“ ბრუნებით. შემდეგ ნაბრუნებია: „არსება“, „მზე“, „ტაძარი“, „ანტონი“, „ოქრო“, „კუ“;

თ ა ვ ი მ ე ო რ ე — „ბრუნვათა თვის კერძოობითთა სახელებთა“.

---

[1] ვიყენებთ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ქართულ ხელნაწერთა ფონდის ე—8 ნუსხას. ამ ხელნაწერით უსარგებლნია ალ. ცაგარელსაც ზემოთ დასახელებული შრომის დაწერისას.

ნაბრუნებია: „რომელიმე“, „ვინ“, „ვინმე“, „ზოგი“, „რაიმე“, „ერთი“; საკითხავ სახელთა: „რომელი“, „ვინ“;

თავი მესამე — „ბრუნვათა თვის ნაკლსახელთასა“ — (ე. ი. ნაცვალსახელთასა — ა. ფ.) „მე“, „ჩვენ“, „შენ“, „თქვენ“, „ეგ“, „ეგენი“, „ეს“, „ესენი“, „ის“, „ისინი“, „ჩემი“, „ჩვენი“, „მისი“, „მათი“, „თვისი“, „თვისნი“, „რომელი“, „რომელნი“;

თავი მეოთხე — „შეუღლვილებისათვის ზმნათასა, ხოლო პირველ შეუღლილებისათვის ზმნისა არსებითისა, სახე პირველ; ნაუღლებია: „ვარ“, „ვიყავ“, „ვიქნები“;

თავი მეხუთე — „უღლვილებისათვის შემოქმედებით ზმნათასა გარნა პირველად წინა უღლვილებისათვის“. ნაუღლებია: „შევიყვარებ“, „დავცემ“, „აღვამაღლებ“.

თავი მეექვსე — „თვის მეორისა ზმნათა უღლვილებისა“. ნაუღლებია: „შევკრავ“, „განვბან“, „აღვიხვამ“, „ვასვამ“.

თავი მეშვიდე — „თვის მესამისა ზმნათა უღლვილებისა“. ეს უღლება იწყება მეოთხე გვარის აღლამის მაგალითის ჩვენებით — „აღვსწონ“ ყველა სქესში. მერე მიდის ამავე უფლების მეექვსე გვარის მაგალითი: „განვჰყოთ“ აგრეთვე ყველა „სქესში“, ბოლოს მოდის: „მესამის უღლვილების პირველის გვარის „გამყოი“. მაგალითი: „სხმით-გარდასვლითთა იქმნების ესთა“: საზღვრებით სქესის აწმყოი“. ნაუღლებია: — „ვაჭნობ“, „აჭნობ“, „აჭნობს“; ამავე ზმნის სხმით-გარდავლითი ვნებითი—„ვიჭნობი“.

და მოჰყვება თავის დაუსახელებლად „მაგალითი მეოთხე უღლვილებისა მეოთხე აღალმისა“; (ნაუღლებია: „ვსწუხ“ და მას მოსდევს „მაგალითი მეოთხისა უღლვილებისა მეოთხისა აღალმისა, მეოთხისა გვარისა“ ნაუღლებია: „მსურს“)... და...

თავი მეცხრე—„თვის მეხუთისა ზმნათა უღლვილებისა“. ნაუღლებია: მეხუთე უღლვილების პირველი გვარის ზმნა „განვხდი“. მას მოსდევს მისივე ვნებითი; შემდეგ ნაუღლებია მეხუთისივე მეორე აღალმის — უმეშვეობითი — „გავვარდები“; მეხუთე უღლების მესამე გვარისა „ვსძარცვი“ და დანომრვისას „მეათე“ გამოტოვებულია და მას მოჰყვება...

თავი მეთერთმეტე — „თვის პირნაკლებათა ზმნათა და უღლვთა მათთა“. მაგალითებად მოტანილია: „თოვს“ „თენდების“.

თავი მეათორმეტე — „თვის თანდებულთა“

თავი მეათსამმეტე — „თვის ზმნიზედათა“ (ვითარებითნი, რაოდენობათა, ჟამობითნი, ადგილობითნი, შემკრებლობითნი, განკი-

დებულებითნი, წართქმითი, უკუთქმითი, გამოცხადებითნი, უცხადოებითნი, საკითხვითნი, მისწრაფლობითნი, სიხშირებითნი, ხარისხებითნი, ჩვენებითნი, მრჩობლითნი, წინააღრჩევითნი, დასაყენებლად, ეთანამდებობითნი, ანაზღობითნი, მყუდროებითნი და ესე ესე).

თ ა ვ ი მ ე ა თ ო თ ხ მ ე ტ ე — „თვის შორისდებულთა“ (სანეტაროდ, განცხრომითად, შეწყალებითი, სასალმად, შინაგან მგზნებარებითად, ვალდებითად, უხამსობად, ბასრობითად. შორის წილებად, იდუმალებითად, განმხნობად).

თ ა ვ ი მ ე ა თ ხ უ თ მ ე ტ ე — „თვის კავშირთა“ (საერთწმახნონი, საგანწვალვონი, გარმიმღეობითნი, დაწყებითნი, საუსრულონი. წინააღრჩევითნი, მიზეზობითნი, უკუთუობითნი, ზედმოღებითნი, მეტნობითნი, საიქვონი).

სიმეტნე

ღრამმატიკისა პირველსა კერძოსა

„კითხვა გებანი ღრამმატიკისათვის და ნაწილთა მისთა, რომელთა ზეპირ უხმს ყე გამოხატვაი გონებათა შინა სწავლის შინათა ქვემო ამისა: ღრამმატიკისა ნაწილისათვის“.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — განხილულია ზოგადი საკითხები: გრამატიკისა — წიგნი, მარცვალი, ლექსი, სიტყვა და სხვა.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე — „თვის სახელისა და მდევართა მისთა (ესე იგი) გარემოთა მისთა“.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე — „თვის ნაცვალსახელისა (ნაკლსახელისთა)“;

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე — „თვის ზმნისა“;

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე — „თვის მიმღეობისა“;

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე — „თვის თანდებულისა, ზმნიზედისა, შორისდებულისა და კავშირისა“;

თ ა ვ ი შ ე შ ვ ი დ ე — „თვის თანხმობისა ნაწილთა სიტყვისათა“;

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე — „თვის ძიების მისაღებელთა სიტყვის ნაწილთა“;

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე — „შეწყობილ წერისათვის აღმოკითხვისა და აღმოცნობისა“.

როგორც ვხედავთ, „სიმეტნე“ არის მთელი გრამატიკის შემოკლებული სახე. მასში განიხილება მორფოლოგიაც, სინტაქსიცა და ორთოგრაფიაც.

„განსაზღვრებისათვის და განწვალებათა და მდევართა სიტყვის ნაწილთასა. ანტონის მიერ სრულიად საქართველოსა მამათ მთავრისა დავითიანისა ახლად გარდამოცემით შრომილი“.

თავი პირველი — „თვის ღრამმატიკისა და უმთავრესთა ნაწილთა მისთა“;

თავი მეორე — „თუ რაი არს წიგნი“;

თავი მესამე — „თვის მარცვლისა“;

თავი მეოთხე — „თვის ლექსისა“;

თავი მეხუთე — „თვის სიტყვისა“;

თავი მეექვსე — „თვის სახელისა და წვალებისა მისისა“;

თავი მეშვიდე — „სახელის მდევართა თვის, ესე იგი გარემოთა საზოგადოს შორისთა“;

თავი მერვე — „პირველისა და მეორისა სახელისა გარემოთა თვის ნაწილოვანსა შინა. ესე იგი სახელის ნათესავისა და ნაკვეთისა თვის“;

თავი მეცხრე — „მესამისათვის სახელისა გარემოსა, ესე იგი სახისათვის“;

თავი მეათე — „თვის მეოთხისა სახელისა გარემოსა, ესე იგი რიცხვისა“;

თავი მეათერთმეტე — „მეხუთესათვის სახელისა გარემოსა, ესე იგი მდევრისა რომელა ბრუნვაი და განკვეთ-კერპოვნებათა მისთა“;

თავი მეათთორმეტე — „მეექვსისა თვის სახელის გარემოსა რომელა ბრუნებაი კანონებითთა თვის სახელთა“;

თავი მეათსამმეტე — „ნაცვალ-სახელისათვის და წვალებისა მისისა“;

თავი მეათოთხმეტე — „თვის გარემოთა ნაცვალსახელისათა“;

თავი მეათხუთმეტე — „თვის ზმნისა და წვალებისა მისისა“;

თავი მეათექვსმეტე — „თვის გარემოთა ზმნათასა, ხოლო პირველად ნათესავისათვის, ნაკვეთთა და სახეთა“;

თავი მეათშვიდმეტე — „რიცხვისათვის, პირთა და ჟამთა ზმნათასა“;

თავი მეათრვამეტე — „სქესთა თვის და უღლვათა ზმნათასა“;

თავი მეათცხრამეტე — „გამოსვლათათვის ჟამთასა და ნაკვეთ-გვარობათა ზმნების პირებთა აწმყოსა შინა საზღვრებითსა და სრულსა“.

თ ა ვ ი მ ე ო ც ე — „ზმნათათვის კანონიანთა რომელთამე რომელ არიან ქვეშე ათთა სახეთა უღლვილთასა“;

თ ა ვ ი მ ე ო ც დ ა ე რ თ ე — „სხვადასხვათა მიერ ჩვენთა ღრამმატიკოსთა სხვადასხვაობისათვის დანაკვთებულთა ენათასა“ (აქ ლაპარაკია იმაზე, რომ „ჩვენი ღრამმატიკოსნი ნეტარ ხსენებულნი იგი სხვადასხვა ნაკვეთად ღრამმატიკოსობდეს თარგმანებისა შინა წერილთა ჩვენთასა, რამეთუ სხვადასხვა არს ნაკვეთი თითოეულსა თარგმნისა მიერ გარდმოღებულისა ჩვენდა წერილსა...)“;

თ ა ვ ი მ ე ო ც დ ა ო რ ე — „სახელ ზმნისათვის თუ ვითარ, ანუ რაოდენითა კერპითა გამოვალნნ ზმნათაგან“;

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ს ა მ ე — „თვის პირნაკლებთა ზმნათასა“;

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ო თ ხ ე — „მიმღეობისათვის (ესე იგი მიმღებელობისათვის), რომელთა შემწყნარებელობაი ანუ მიმთვალველობაი და გარემოთა, ესე იგი მდევართა მისთა“;

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ხ უ თ ე — „საზღვრისათვის თანდებულისა დჳ ვითარებისა მისისა“;

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ე ქ ვ ს ე — „საზღვრებისათვის ზმნიზედაისა და ვითარებისა მისისა“;

თ ა ვ ი მ ე ო ც დ ა შ ვ ი დ ე — „შორის-დებული“;

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე რ ვ ე — „კავშირთათვის“.

მესამე ნაწილი

„შ ე თ ხ ზ ვ ა ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ნ ა წ ი ლ თ ა ს ი ტ ყ ვ ი ს ა თ ა დ ა მ ე ქ მ ე ო ბ ი ს ა მ ა თ ი ს ა ანტონის მიერ სრულიად საქართველოს მამათ მთავრისა დავითიანისა ახლად გარდამოცემით შრომილი, რომლისა საუკუნო იყავნი კურთხევაი“;

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — „თვის თანხმობისა ოთხთა ნათესავთა ნაწილთა სიტყვისათა საზოგადოსა შორის“;

თ ა ვ ი მ ე ო რ ე — „პირველს თანა თანხმობისა რომელ არს ზმნისა სახელსა თანა კერძოანსა შინა“;

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე — „მეორისათვის თანხმობისა, რომელ ზედშესრულისა სახელისა არსებითისა თანა“;

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე — „მესამისათვის თანხმობისა, რომელა კვლამოღებითისა ნაკლ-სახელისა წინამსრბოლისა თანა“;

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე — „მეოთხისათვის თანხმობისა რომელ არს სიტყვის გებისა მკითხველისა თანა“;

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე — „მიღებათათვის ბრუნვათათვის ნაწილთა სიტყვისა საზოგადოს შინა“.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე — „ბრუნვის მიღებათა თვის ზმნათა შემოქმედებითთა კერძოობითსა შინა“.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე — „ბრუნვის მიღებისათვის ზმნათა უმეშვეობითთა კერძოობითსა შორის“.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე — „დაყენებისათვის ზმნების ძიებათასა ვითარ იგი ოდესმე უჩინოსა მიერ ზმნისა დაიყენების და ოდესმე ძალით დაიდების“.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე — „მმართვისათვის მიმღეობისა საზოგადოსა შინა“;

თ ა ვ ი მ ე ა თ ე რ თ მ ე ტ ე — „მმართვისათვის მიმღეობისა, რომელი განიკიდების ელ მარცვლაისად“;

თ ა ვ ი მ ე ა თ ო რ მ ე ტ ე — „მმართვისათვის მიმღეობისა, რომელი განიკიდების ულ მარცვლად. ხოლო ილ მარცვალიცა ემდევრების ულ მარცვალსა ნიშანსა ნამყოსა მიმღეობისასა“:

თ ა ვ ი მ ე ა თ ს ა მ მ ე ტ ე — „მმართვისათვის მიმღეობათა თვის, რომელთა ერთვიან სა და ად მარცვალნი“.

თ ა ვ ი მ ე ა თ ო თ ხ მ ე ტ ე — „სახელთა თვის ზედშესრულთა და ბრუნვის მიღებათა მათთა თვის“.

თ ა ვ ი მ ე ა თ თ ხ უ თ მ ე ტ ე — „განკარგვისათვის ნაწილთა სიტყვისათა შეთხზვაობასა შინა რომელთამე მაგალითებითა“.

ამ თავშია ცნობილი სამი სტილის თეორია. იგი ასეთი სათაურით იწყება:

„სხვადასხვა შესახედავთა თვის ძველთა შეთხზვაობათასა ზედდადებითა რომელთამე სიტყვათათა აღმოღებული წერილთაგან ქართველთა ენისათა სრულიად საქართველოსა არხიეპისკოპოსისა მიერ ანტონისა და ყოვლად ბრძნისა მხითარ მოძღვარისა მიერ სომეხთასა სომეხთა ენისა წერილთაგან აღმოღებული მაგალითად დებული ყმათა თვის“.

როგორც ჩანს, აქ უნდა ყოფილიყო მეთექვსმეტე თავი, რადგან მომდევნო თავს მეჩვიდმეტე ნომერი უზის.

თ ა ვ ი მ ე ა თ უ ჩ ვ ი დ მ ე ტ ე — „ვიეთთა თვისმე საცნოთა შესაბამთა შეთხზვაობათა მიმართ სიტყვათასა“.

დამეტნებაი მესამის ნაწილის

„ცნობა რომელთამე შესატყვის წერათა თვის გამოღებათა და აღმოცნობათა, რომელნიცა აღიყვანებიან სამჭერდველსა ხელოვნებისა მიმართ“.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — „შესატყვის წერისათვის“;

თ ა ვ ი მ ე ო რ ე — „გამოღებისათვის“;

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე — „აღმოცნობისათვის“.

თუ პირველი გრამატიკის წერისას ანტონს არჩევანის საშუალება არა ჰქონია და იძულებული იყო ენობრივ ერთეულთა (ფონემა, მარცვალი, სიტყვა, წინადადება) განსაზღვრისას ძირითადად მაინც ბერძნულ-ლათინურ-სომხური გრამატიკებიდან მომდინარე პოსტულატებს დაჰყრდნობოდა, მეორე ვარიანტის წერისას იგი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ახლა იგი იცნობს ქართულის გარდა, ექვსი უცხოური ენის გრამატიკას და ჩახედულია არა ერთი და ორი ევროპელი გამოჩენილი მეცნიერის ფილოსოფიურსა და ლოგიკურ შრომებში; მას შეუძლია მოიწონოს, ან დაიწუნოს ამ მეცნიერთა მოსაზრებები, კრიტიკულად შეაფასოს ისინი, აირჩიოს მისთვის ჭეშმარიტი დებულება. ერთი სიტყვით, იგი დამოუკიდებელია. სწორედ ამის შედეგია ის სიახლე, რაც მეორე გრამატიკაში უხვადაა, და რაც თვით ანტონის გამჭრიახი გონების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს.

გრამატიკის უპირველეს განსაზღვრაში ანტონი ორიგინალური არაა — „ღრამმატიკა არს შემძლებელობა მართლ-უბნობად და წესიერ წერად“ (გვ. 115). მაგრამ ის აქ არ ჩერდება და განაგრძობს: „ნივთნი უკუე ღრამმატიკისანი არიან თქმაობანი კაცობრივნი, ხოლო თქმაობა უკუე კაცობრივი ორთა სახეთა მიერ განიყოფების, ე. ი. საუბრისა მიმართ და წერისა. ხოლო წარმოსდგებიან ესენი მრავალთა სიტყვათაგან და სიტყვანი მრავალთა ლექსთაგან და ლექსნი მარცვალთაგან და ეგსახედ მარცვალნი — წიგნთაგან... (გვ. 115).

ამრიგად, გრამატიკის საგანი ყოფილა ადამიანის ენა საერთოდ („თქმაობანი კაცობრივი“), რომელიც იყოფა სამეტყველოდ (სასაუბროდ) და წერითად. ეს ენა შედგება წინადადებებისაგან (ანტონის მიხედვით სიტყვებისგან — ა. ფ.). წინადადებები (ანუ სიტყვები—ა. ფ.)— სიტყვებისაგან (ლექსებისგან — ა. ფ.); სიტყვები (ანუ ლექსები — ა. ფ.) — მარცვლებისაგან; მარცვლები — წიგნთაგან. ამიტომაც, ანტონის აზრით, „ღრამმატიკა გარე-შეცულ ჰყოფს თვის შრომას ოთხთარე ნაწილთა უმთავრესთა — 1. წიგნი, 2. მარცვალი, 3. ლექსი, 4. სიტყვა“ (იქვე).

აშკარაა, ავტორი ვერ ანსხვავებს ობიექტს შემსწავლელი მეცნიერებისგან — რაც ენის ნაწილები იყო (წიგნი, მარცვალი, სიტყვა, წინადადება), ახლა გრამატიკის ნაწილებად გამოაცხადა, მაგრამ ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ანტონის გრამატიკა უფრო ფართო დისციპლინაა, ვიდრე გრამატიკა ჩვეულებრივი წარმოდგენით, რომელიც „გვასწავლიდა შეუცდომლად წერასა და კითხვას“, ან რომელიც იყო „ემპირია,

ცოდნა, ან ხელოვნება იმისა, რასაც ამბობენ პოეტები და პროზაიკოსები“ [1].

როგორც ზემოთაც ვნახეთ, ანტონისათვის გრამატიკა ენის ყველა ასპექტის მომცველია (წინადადება, სიტყვა, მარცვალი, ფონემა), ამიტომაც მას არ ჰყოფნის ჩვეულებრივი გრამატიკული ცნებები და ხშირად ლოგიკურსა და ფილოსოფიურ (თუ ფსიქოლოგიურ) ცნებებს მიმართავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ენისა და აზროვნების ურთიერთობას ეხება. და თუნდაც ის ფაქტი, რომ ანტონთან დაისვა საკითხი ენისა და აზროვნების ურთიერთობისა, თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია.

ანტონი არ იფარგლება გრამატიკის მოტანილი განსაზღვრით და მისი ნაწილების გამოყოფით: „ითქვა ვითარმედ შედგებიან სიტყვები ლექსთაგან, გარნა სხვადასხვაობისამებრ ერთმანერთის თანაშეთხზულობენ, ხოლო შესაბამ არს ლექსნი იგი ნათხზნი კეთილ კარგიერ კანონისა ქვეშე დადებად და წესიერ თანხმობად და ლექსნი სიტყვათა შინა წესიერ დანაკვეთებად, ანუ ბრუნვადნი და ანუ უღლუადნი და განპიროვნებადნი თვითეულსა დროსა შინა და სქესსა ანუ სხვანი“ (იქვე): ე. ი. წინადადებაში სიტყვები, მიუხედავად სხვადასხვაობისა, ერთმანეთს შეეთხზვიან ზუსტად კანონების მიხედვით; ისინი უნდა იყვნენ წესიერად „დანაკვეთებულნი“, ნაბრუნები, ნაუღლები, სწორად განაწილებულნი დროის, სქესის, პირისა და სხვა „თვისებათა“ მიხედვით.

რის შემდეგაც „...ესრეთ ნივთთა ამათგან სიტყვითთა აღიგების პალატი აზნაურისა ცნობისა სხვა და სხვისა, ანუ წალკოტი განკარგული ხილნართამიერ და ყვავილთა თქმაობითთა და აღწერითთა, რომელთა შორის განისვენებენ ჰაზრნი მაღალ გონებათა კაცთანი სამთავე მიმართ კაცობრივთა ცნობათა ქვემდებარე ქმნილთანი. ესე იგი ნივთთა ცნობისა — მიმართ — ნივთთა მიზეზისა ცნობისა მიმართ, და ნივთთა და მიზეზთა ძალისა განზომისა და რაოდენობისა ცნობისა მიმართ. გარნა ესე ყოველნი ღრამმატიკისა ხელოვნებითა განიგებიან“ (იქვე, გვ. 116).

შემეცნების ტრიადაზე („ნივთთა ცნობა“, „მიზეზთა ცნობა“ და მათი „ძალის განზომისა და რაოდენობის ცნობა“) „აპელაცია“ უკვე ნათქვამის — აზროვნებასთან კავშირის ძიების — ილუსტრირება უნდა იყოს მხოლოდ[2]. უფრო საინტერესოა ენის ცალკეულ ნაწილთა ანტო-

---

[1] იხ. ალ. ფოცხიშვილი, ნარკვევები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიიდან, თბ., 1960 წ., გვ. 25.

[2] შეადარეთ ბაუმაისტერის: «Познание человеческое есть троякое: ибо мы понимаем только одни настоящие или прошедшие явления; или познаем начало и причину с-их происшествий или, наконец, постигаем количество оных и силы измерить можем». Логика, М., 1804 г., გვ. 8.

ნისეული განსაზღვრანი საერთოდ და, კერძოდ, ამ განსაზღვრათა ვარიაცია პირველსა და მეორე გრამატიკაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ანტონის მეტად სწორი დებულება: რომ ენა შედგება უპირველესად სიტყვებისაგან (წინადადებებისაგან), სიტყვები — ლექსთაგან და ა. შ. მართლაცდა, ენა ხომ წინადადებაში ვლინდება. ცალკეული სიტყვებით გაგებინების შესაძლებლობა იშვიათად იქმნება, ისიც კონკრეტულ სიტუაციით უნდა იყოს შეპირობებული. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ენის გამოვლენის მთავარი ფორმა სიტყვები (ე. ი. წინადადებებია), ენის ნაწილთა განხილვას ანტონი, სრულიად სამართლიანად უმცირესი ერთეულით — „წიგნით“ იწყებს.

გრამატიკის მეორე ვარიანტით „წ ი გ ნ ი ა რ ს ღ რ ა მ ი, ნ ა კ ე თ ი რ ა ი მ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ყ ო ვ ლ ი ს ა წ ე რ ი ლ ი ს ა (ხაზი ავტორისაა — ა. ფ.), ხოლო ახალი ესე განსაზღვრება ჩვენი არ შეიწუნარებს ეგ-ფერთა ლექსთა, რომელნიც სახელმოდგამსა ხმასა დაჰნიშვნენ“. პირველი ვარიანტით „წ ი გ ნ ი ა რ ს ღ რ ა მ ი რ ა ი მ ე მ დ გ მ ო ე ბ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ნ ა დ ა ს ო ს ი, ხ ო ლ ო ა ს ო ი ი თ ა რ გ მ ნ ე ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ა დ ე ს ე ა რ ს უ კ ვ ე ა ღ მ ო ო ხ ვ რ ა დ რ ა ი მ ე ნ ე ბ ი თ ი (და ნ ა წ ე ვ რ ო ბ ი თ ი), რ ო მ ე ლ თ ა ც ა ძ ა ლ უ ძ თ ა ღ მ ო ხ ვ რ ა დ კ ა ც თ ა“.

მეორე ვარიანტში „ყოვლისა წერილისა“ წევს პირველ ვარიანტში მოცემული „ასოს“ მაგიერებას და იქმნება ილუზია კითხვის დასმისა: ხომ არ არის აქ ლაპარაკი „ასოზე“ დღევანდელი გაგებით? — მაგრამ, ვფიქრობთ, რომ, არა.

მეორე ვარიანტში „ყოვლისა წერილისა“ ანტონის მრავალსიტყვაობის ნაყოფი უფროა, ვიდრე რაიმე ჭეშმარიტი მნიშვნელობის მატარებელი, რადგან „ღრამმატიკაში“ სხვაგან არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა, რომ „დაწერილი“ გრაფების მნიშვნელობით საგანგებოდ იყოს ნახსენები. პირველ ვარიანტში მოტანილი „ასო“ კი განსაზღვრული მნიშვნელობის მატარებელი ჩანს; ეს არის უმცირესი ერთეული ელემენტი (კავშირი) ნაწევრობითი ოხვრისა, რომლისგანაც შედგება ხმა (ცნება).

ვფიქრობთ, რომ აქ „ასო“ არ უდრის ბგერის წერილობითს ნიშანს. იგი უფრო ბგერის სუბსტანცია ჩანს: „ასო უკვე იწოდა ძველთაგან ღრამმატიკოსთა ვითარმედ რეცა ნებით რაიგე, ვითარ იგი ასონი რომელნიც სტიხიონი, ესე იგი: ცეცხლი, ჰაერი, წყალი, ქვეყანა არიან დასაბამნი და მაწარმოენი სხეულთანი, ეგ — სახედ ასონი არიან დასაბამნი და მაწარმოენი ხმათანი“ — ხმა პირველი ვარიანტის მიხედვით უდრის „მოგონებას“ (ანუ ცნებას).

ე. ი. ზოგადი განსაზღვრის მიხედვით „ასო“ არის „სხეულის“ უმ-

ცირესი ნაწილი და აქედან ცნების შემადგენელი უმცირესი ნაწილი. სხვა უფრო კერძო მნიშვნელობით „ასო“ ხმოვანს უდრის, რადგან საერთოდ უმცირესი ნაწილია. „...უ. ესე საკუთრად არა აქვს ენასა ჩვენსა მით რომელ, ასოთაგან, რომელა: ო, ვ. წარმოდგების ვითა ომიკრონისაგან და ვიპსილონისა ელადებრ“. (გვ. 117), იგულისხმება უ-ს ასომთაერული დაწერილობა.

რომ დავაზუსტოთ: ანტონთან „ასოს“ ძირითადად ორი მნიშვნელობა აქვს:

1. ის არის ენის უმცირესი ნაწილი — სუბსტანცია — შესატყვისი გამოხატულების სფეროში აგრეთვე უმცირესი ნაწილის — „წიგნისა“.

„წიგნი“ და „ასო“ ერთმანეთს არასდროს უდრის, თორემ ხომ უაზრობა იქნებოდა ანტონის განსაზღვრა: „ასო არის წიგნი შემძლებელი ნაწევრობითის ოხვრისა“, მაშინ გამოვიდოდა: „ასო“ უდრის „ასოს“.

2. „ასო“ ნიშნავს ხმოვანს. ალბათ, იმიტომ, რომ გამოხატულების პლანში წმინდად ცალკე არსებული უმცირესი ნაწილი ენისა სწორედ ხმოვნებია.

აი, რას ამბობს ანტონი: „განისაკუთრეს უკვე თვითეულმან ნათესავმან რაოდენნიმე ასონი, ხოლო ასოთა ვიტყვი რომელნი შემძლებელნი არიან ნაწევრობით ოხვრად და დაჰსძინეს მათ ზედა წიგნნი. ეგ-ზომნი უხმონი, რაოდენნიცა ეხმარებოდეს ენასა მათსა. ხოლო ენამან ჩვენმან ქართველთაგან მიიღო პირველთაგან ჩვენდა ოხვრისათვის სანაწეეროისა ასონი ხუთნი, მათ რომელ მაშინდელთა მოძღვართა ხუთნი ოდენ ხმოვანნი ასაჭიროვნეს ენასა სუფთა ქმნილსა ფარნავაზისაგან ქართლოსიანისა პირველისა მეფისა ქართველთასა, ხოლო დაჰრთნეს მას ზედა წიგნნი უხმონი რიცხვით ოცდა ათხუთმეტნი...“ (გვ. 116).

როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთს უპირისპირდება ასო — ხმოვანი და წიგნი — თანხმოვანი და ამის შემდეგ ეფიქრობთ, არასწორად ამტკიცებენ, რომ ანტონთან „ასო“ უდრის ბგერას საერთოდ[1].

„წიგნი“ რაღაა?

ისიც ორი მნიშვნელობითაა ნახმარი. ზოგადად, ფართო მნიშვნელობით „წიგნი“ მნიშვნელობის მქონე ბგერაა. ცნების უმცირესი ელემენტის — „ასოს“ — გამომხატველი (სხვათა შორის ამავე მნიშვნელობით ხმარობს მას ი. ბატონიშვილიც „ქალმასობის“ გრამატიკულ ნაწილში: „წიგნი არს რაიმე მნიშვნელი ასოსი“ (ზ. ჭიჭინაძის გამ., თბ.,

[1] ელ. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970 წ., გვ. 29—30.

1862 წ., გვ. 127), კერძო, ეიწრო მნიშვნელობით კი უხმოს (თანხმოვანს) უდრის, რა თქმა უნდა, აგრეთვე მნიშვნელობის მქონეს.

„წიგნი" — ტერმინთან რომ მნიშვნელობის ელემენტია დაკავშირებული ეს კარგად ჩანს ანტონის გრამატიკის მეორე ვარიანტში ჩამატებული აზრიდან, სახელდობრ: „...ახალი ესე განსაზღვრება ჩვენი არ შეიწყნარებს ეგ-ფერთა ლექსთა, რომელნიც სახელ-მოდგმასა ხმას დაჰნიშვნენ" (ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

თუ მოვიგონებთ განმარტებას — „წიგნი არის ღრამი ნაკვეთი რაიმე მნიშვნელი..." — ყველაფერი ნათელი გახდება, რადგან, როგორც ცნობილია, ბგერის მნიშვნელობის მქონე ერთეულად (ფონემის პრაღის სკოლისეული განსაზღვრა) გამოცხადებას ხელს უშლის ენაში ომონიმების არსებობა[1] — აკი ანტონიც გვაფრთხილებს: ეგ ჩვენი განსაზღვრა „სახელ-მოდგამ ხმას" (ომონიმებს)[2] არ შეიწყნარებსო. „სახელ-მოდგამი ხმის გადმომცემ ლექსზე „ომონიმზე" საგანგებოდ შეჩერება, ეფიქრობთ, ანტონს მხოლოდ იმიტომ დასჭირდა, რომ ხაზი გაესვა წიგნის განსაზღვრაში მნიშვნელობის მქონე ელემენტის არსებობისათვის, სხვანაირად სრულიად წარმოუდგენელია მისი საჭიროება „ღრამმატიკის" ამ ნაწილში.

სხვა ადგილას ანტონი, ეფიქრობთ, კიდევ უფრო ცხადად მიუთითებს „წიგნის" მნიშვნელობაზე „...უხმონი ითქმიან წიგნად და ბრჯგუდ, რომელთაცა ზედა ნიშანი ესე სიბორჯგვისანი ∧ დაგვისხამნ, ანუ ღრამად, უხმოდ არა თუ არა რაიმეს მნიშვნელობისათვის, არამედ თაეით თვისით ვერ გამოღებისათვის ხმისა" (გვ. 117); ე. ი. უხმო ბგერები (თანხმოვანები — ა. ფ.) იწოდებიან „წიგნად", ბრჯგუდ, ღრამად არა იმიტომ, რომ რაიმეს არა ნიშნავენ არამედ იმიტომ, რომ დამოუკიდებლად ვერ იწარმოებიანო.

ეფიქრობთ, რადგან, ანტონის გრამატიკიდან მოტანილი აზრების სხვაგვარად გაგება შეუძლებელია, ცხადია, „წიგნის" ანტონისეულ განსაზღვრაში ფონემის თანამედროვე განსაზღვრის ელემენტებია მოცემული.

ასეთია „წიგნის" ზოგადი განსაზღვრა.

---

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952 წ., გვ. 142.

[2] „სახელ-მოდგამი"-ს მნიშვნელობა განმარტებული აქვს პლატონ იოსელიანს თავის „ღრამმატიკაში": „არიან სხვანიცა ლექსნი წოდებულნი სახელ-მოდგამად ამისათვის, რომელ იხმარებიან სხვათა და სხვათა მნიშვნელობათა შინა ეითარცა: სერი (ნადიმი) და სერი (ბორცვი); ჭვაბი (კლდისა ნაპრალი) და ჭვაბი (საგბოლველი); ხელი (ნაწილი კაცისა სხეულისა) და ხელი (შემკრებლობითად)", პირველი დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა, 1863 წ., გვ. 25.

	ზმნის ხმასთან	
	ხოლმეობითი ფორმა	ფორმა მწირად ყოფილი
ა ხმოვანთან წყებითები	ბ, გ, ვ, ფ	—	ფ	—	—	—	—	ბ, ქ, ქ, ღ ყ, ჩ, ჭ	—
ი ხმოვანთან წყებითები	—	ვ	—	—	—	—	—	—	—
სხვასხვა ხმოვანთან წყებითები	—	—	—	დ, ტ, თ	ზ, ს, ც, ძ, წ	—	ე, ვ, ჩ, ჭ, ჯ	—	—
	—	—	—	—	—	—	—	—	ჰ

ამას მოჰყვება ბგერათა (ძირითადად თანხმოვანთა) კლასიფიკაცია, რომელიც თვალსაჩინოების მიზნით, სქემის სახით წარმოვადგინეთ.

ეს კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად თანხმოვანთა წარმოების ადგილი უდევს, კომენტარებს არ საჭიროებს და შესანიშნავად მეტყველებს მისი შემქმნელის უდიდეს ენათმეცნიერულ ალღოზე.

მოცემული სქემა, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ემთხვევა თანხმოვანთა საკლასიფიკაციოდ გამოყენებულ დღევანდელ სქემებს და ეს მით უფრო საინტერესოა, რომ იგი მხოლოდ მეორე გრამატიკაშია, რომელშიც სხვა ენების გრამატიკებიდან სესხება თითქმის მინიმუმამდე იყო დაყვანილი და ანტონი დამოუკიდებლად აზროვნებდა.

ხმოვნების წარმოქმნაზე ანტონს არაფერი აქვს ნათქვამი გარდა იმისა, რომ ისინი გრძლად წარმოითქმიანო, წინააღმდეგ მოკლე ანუ ნახევარხმოვნებისა, რომლებსაც შეადგენენ *ŭ, ă, ĭ, ĕ* და ამათთან ერთად მითვლილი *h, ch*, თუმცა ეს უკანასკნელები სხვაგან (გვ. 118) თანხმოვნებად ითვლებიან, ვინაიდან ვერ აწარმოებენ მარცვალს.

ანტონის აზრით, ამ ბგერების (*ŭ, ă, ĕ, ch*) წარმოსათქმელად აუცილებელია ხორხის მონაწილეობა, რაც შეხება კ-ს. იგი „ბაგეებთა შინაგან კერძოთა მჭირსედ შეხებით“ წარმოითქმის.

გრამატიკის შემდეგ ნაწილს ქმნის მარცვალი.

ანტონის აზრით: „მარცვალი არს ოხერა რაიმე ნაწევროვანი ასოისა ძალით შედგმული, ანუ მარტივი“ (გვ. 118). ეს ნიშნავს: მარცვალი არის ჰაერის ერთი ამოსუნთქვა, ჰაერის ერთი ტალღა — დანაწევრებული, რომელიც შეიძლება ხმოვანთან ერთად სხვა ბგერებისგანაც შედგებოდეს ან მხოლოდ ხმოვნისგან (მარტივი). მაგ.: „ხარ“ და „კაც“ „შედგმული მარცვალია“, ხოლო „იქმნების მრავალჯერ, რამეთუ ერთი ასოი (ე. ი. ხმოვანი) მოვიდესმცა მარცვლად, რომელი მრავალსა ადგილსა იპოების და არს იგი მარტივი“.

ანტონმა იცის, რომ ზოგჯერ ერთი მარცვალი ნიშნავს „საკუთრად ნიეთს“ („და“, „ცა“, „მე“) და არიან „ლექსნი“. მაგრამ ზოგჯერ, თუ სიტყვისგან ცალკე ვიხმართ, მარცვალი საერთოდ არაფერს ნიშნავს (მა, პა, უა და სხვა).

მარცვლისათვის აუცილებელია, რომ მასში იყოს ასო (ე. ი. ხმოვანი), ცალკე აღებული ხმოვანი არაა მარცვალი, ისე როგორც ცალკე აღებული მარცვალი, რომელიც ერთი ამოსუნთქვით წარმოითქმის, სიტყვა არ იქნება, თუ საგანს არ აღნიშნავს.

საინტერესოა ანტონის განცხადება, რომ „თ ვ ი ს ე ბ ა მ ა რ ც ვ ლ ი ს ა ა რ ს, რ ა თ ა ა ქ ვ ნ დ ე ს ხ მ ო ვ ა ნ ი ძ ა ლ ი თ ა დ[1], ანუ

[1] „ძალითად“ ნიშნავს გულისხმობას. ზმნა ძალითადაა, როცა იგი ჩაეარდნილია, მაგ.: „დედა მოვიდა, ძმა კი — არა“. — ა ქ, მეორე წინადადებაში, „მოვიდა“ „ძალითად“ არის.

მოქმედებითად. მაგრამ მოქმედებითად უხშირეს. „-მა-რი-ამ“-ში ყველა მარცვალი მოქმედებითადაა წარმოდგენილი, ხოლო „ბრ-ძე-ნი“-ში სამი მარცვალია და პირველში ბრ ხმოვანი იგულისხმებაო. ბრ-ში შემდეგ ანტონი ალადგენს მის მიერ შემოღებულ ასო გ-ს

სრულიად სხვანაირად, ახლებურადაა დასმული და გადაწყვეტილი, ჩვენი აზრით, ანტონთან სიტყვის საკითხიც (მხედველობაში გვაქვს, რა საკვირველია, კვლავ მეორე გრამატიკა).

სიტყვის (ანუ ლექსის) განსაზღვრა იქ შემდეგი ფორმულირებითაა მოცემული „ლ ე ქ ს ი ა რ ს ნ ი შ ა ნ ი მ ო გ ო ნ ე ბ ი ს ა ე ბ რ. ჩ ვ ე ნ ი ს ა“ (უნდა იყოს „მოგონებისა ნებისაებრ ჩვენისა“ — ასეა დედანში — ა. ფ.).

როგორც ვხედავთ, განსაზღვრაში ერთი საკმაოდ ძნელად გასაგები სიტყვაა — „მოგონებისა“.

ამ ტერმინში არნ. ჩიქობავა „წარმოდგენას“ გულისხმობს. მკვლევარი წერს: „ლექსი (ე. ი. სიტყვა) ანტონს განსაზღვრული აქვს, როგორც „ნიშანი მოგონებისაებრ ჩვენისა“ და მიუთითებს: „ესე განსაზღვრება ფილოსოფოსთაგან დადებულ არს (ბაუმეისტერის ლოღიკა, თავი 2, § 55, გვ. 163).

სიტყვა (ე. ი. წინადადება) „არს შეერთება ლექსთა ცხადმყოფი მოგონებისა (§ 167), ამრიგად: წინადადება ს ი ტ ყ ვ ა თ ა შ ე ე რ თ ე ბ ა ა, ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს („მოგონების“) ნიშანია (ბაზი ჩვენია — ა. ფ.) წინადადებაც წარმოდგენას გადმოგვცემს, მაგრამ, რაკი სიტყვები ერთდება, შესაძლებელი ხდება განსჯა (ე. ი. მსჯელობა § 167)“ [1].

ელ. ბაბუნაშვილის აზრით: „სიტყვა... ჩვენი აზრის, იდეის (ცნება? წარმოდგენა? — ე. ბ.) ნიშანია. „ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩვენისა“, II, 64) [2]. ეს განსაზღვრა ფილოსოფიურია, წერს ანტონი და იმოწმებს ბაუმეისტერის ლოგიკას, რომელიმე საგნის იდეა (resp. ცნება, წარმოდგენა — ე. ბ.), განაგრძობს ანტონი, ჩვეულებრივ, სიტყვით აღინიშნება, მაგალითად, კაცის არსება, რომლის ცნებაც (resp. იდეა, წარმოდგენა — ე. ბ.) შეიძლება გვქონდეს, აღინიშნება სიტყვით „კაც“ და სხვა. საგნის ამ იდეებს (resp. ცნებებს, წარმოდგე-

---

[1] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიელ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965 წ., გვ. 94.

[2] მითითებულია იმ ხელნაწერის გვერდები, რომლითაც ავტორი სარგებლობდა (S—2256)—კ. კეკელიძის სახელობის საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ნებს — ე. ბ.) ჩვენ ნებისმიერად შევაერთებთ ამ საგნის აღმნიშვნელ სიტყვასთან და გავაგონებთ მსმენელს“ [1].

ამ ამონაწერიდან ძნელი გასაგებია, რა არის „მოგონება“: ა ზ რ ი, ი დ ე ა, ც ნ ე ბ ა თუ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა. მართალია, სქოლიოში ელ. ბაბუნაშვილს მოაქვს ანტონის მითითება: იდეა მოგონებას ნიშნავსო, მაგრამ „აზრი“ და „წარმოდგენა“ საიდან მოვიტანეთ, მთლად ნათელი არაა. ვფიქრობთ, ერთერთი მაინც უნდა განმარტებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, როგორაა ტოლფასოვანი ტერმინები: ა ზ რ ი, ი დ ე ა, ც ნ ე ბ ა და წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა, რომელთაც „მოგონება“ გადმოგვცემს.

ჩვენი აზრით, ტერმინ „მოგონების“ უფრო ზუსტ განსაზღვრას ვპოულობთ ა. ფრანგიშვილის ნაშრომში „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“. მართალია, აქ ავტორი ინილავს ანტონის მხოლოდ „სპეკალს“ (ეს გასაგებიცაა: ამ თხზულებაშია თავმოყრილი ანტონის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ნააზრევი), მაგრამ ტერმინ „მოგონების“ მნიშვნელობა „სპეკალსა“ და „ღრამმატიკაში“, როგორც მოსალოდნელიც იყო, სრულიად ემთხვევა ერთმანეთს.

ა. ფრანგიშვილი „სპეკალის“ ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის განხილვისას წერს: „გრძნობადი შემეცნების ძალების განხილვას, კერძოდ: „თნებას“, „მიდმოგონებას“ (დისკურსიული აზროვნება) და გაგონებას — გონებას (ინტუიტური აზროვნება) „სპეკალის“ ეს ნაწილი, იმასთან შედარებით, რაც იყო ცნობილი ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში მანამდე, ახალს თითქმის არაფერს ამბობს. იგი ძირითადად იმის გამეორებაა, რაც ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში ადრევე იყო ცნობილი და თავის არსებით ნაწილში — აღორძინების ხანაში სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში იყო უკვე განზოგადებული“ [2].

მაშასადამე, რაციონალური შემეცნების ძალები ანტონთან გამოიხატებიან ტერმინებში „თნება“, „მიდმოგონება“ და „გაგონება“ (გონება), აქ „მოგონებაზე“ ლაპარაკი არაა, მაგრამ, რადგან ა. ფრანგიშვილის აზრით, „სპეკალი“ იმეორებს საბას ლექსიკონში მოტანილ განმარტებებს, ჩვენც ამ ლექსიკონს მივმართოთ.

ბუდეში „მოგონება“ საბასთან ნათქვამია: „ესე არს მიმოგანყოფაი გონებისა სხვათადასხვათა წინააღმდგომთა მოგონებათა მიმართ“. რო-

---

[1] ელ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, სიტყვის ბრუნება ანტონ პირველის „ქართულ ღრამმატიკაში“, მაცნე, 1969, გვ. 166; ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, გვ. 78—79.

[2] ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1959 წ., გვ. 273—274.

გორც ვხედავთ, განმარტება საკმაოდ ბუნდოვანია. მეორე ადგილას „მოგონება“ საბასთან „მიმოგონების“ ბუდეში გვხვდება, სადაც აღნიშნულია „ესე არს მოგონებისა ნელიად მოგონება, ხოლო მ ი დ მ ო გ ო ნ ე ბ ა — მყის არა თანა მიდრეკა, არამედ, ვითარცა ბიჯებით სვლით მიწევნა საგონისთა“. „მოხსენების“ ბუდეში კი საბა წერს: „მოხსენება, ე. ი. არს იგრძნობს, იქმნების თნება გონიერთა გონებისა მიერ და იქმნების მოგონება, რამეთუ გრძნობაი თავით თვისით იხსნებიან“.

ამ განმარტებათა ურთიერთშეჯიბრების შემდეგ ა. ფრანგიშვილს გამოაქვს ასეთი დასკვნა: სულხან-საბას მრწამსი ასეთია: „სული გრძნობის ორგანოების მეშვეობით იღებს შთაბეჭდილებებს გრძნობადი საგნების შესახებ, ე. ი. „გრძნობს“ და გრძნობის საფუძველზე „იქმნებიან თნება“, ე. ი. არანამდვილი ცოდნა გრძნობადი საგნების შესახებ, ცოდნა დამყარებული გრძნობად მონაცემებზე, თნება გრძნობად საგნებს ეხება, მაგრამ არსებობს არაგრძნობადი — გონიერი ან როგორც გამგონებლობის განსაზღვრაშია ნათქვამი „გულისხმისსაყოფელი“, გონიერთა გულისხმისსაყოფელთა წედომა უკვე გონიერების მიერ ხდება და იქმნების მოგონება (ცნება) ის, რაც უპირისპირდება თნებას“ (გვ. 134—135).

მაშასადამე, „მოგონება“ ყოფილა „ცნება“. იგი გონიერების სფეროშია, წინააღმდეგ „თნებისა“, რომელიც გრძნობადს განეკუთვნება.

„მოგონების“ ასეთ განმარტებას მხარს უჭერს ქრ. ბაუმეისტერიც, რომლის „ლოღიკის“ ანტონის მიერ მითითებულ პარაგრაფში ვკითხულობთ: „ცნებებს, რომლებისგანაც შედგება ჩვენი გონება(აზრი) სხვებს ვატყობინებთ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ, მაშასადამე, ს ი ტ ყ ვ ე ბ ი წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ ც ნ ე ბ ა თ ა ნ ი შ ნ ე ბ ს და გადმოიცემიან ბგერების საშუალებით“ [1].

ერთი სიტყვით, განსაზღვრა: **„ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩვენისა“** უნდა გავიგოთ: „სიტყვა არის ცნების ნიშანი ჩვენი ნებით“.

თუ რას ნიშნავს „ჩვენი ნებით“, ეს საკითხი ანტონთან უფრო გასაგებადაა წარმოდგენილი: „ხოლო ითქვა რა ნებისაებრ ჩვენისა, ესე არს ესე, ვითარმედ რაიცაღა გვნებავს ვიტყვით ნებისაებრ ჩვენისა და შევაერთებთ ნებითა ჩვენითა გამოხატვასა თანა ლექსსა მნიშვნელსა არსისა მისთანა რომლიცა გვაქვს გამოხატული გონებასა შინა და ლექსითა მისთანა შეერთებულითა ვაგულისხმებთ მჰსმენელთა“ (გვ. 120),

[1] «Понятия, составленные в уме нашем, мы изъясняем другими словами, и так слова суть знаки понятия и произносятся живым голосом». Хр. Баумайстер. Логика, М. 1802 г., гг. 46.

ე. ი. ჩვენს გონებაში არსებულ ცნებებს შევარქმევთ სიტყვას ჩვენი ნების მიხედვით, რაც გვსურს, ანუ საგნისადმი სახელის შერქმევა თავისუფალია, ნებისმიერია. ასეთ გაგებას მხარს უჭერს ბაუმაისტერიც: «...ნიშანია, ის, რაც რომელიმე საგნის (ან ამა თუ იმ საგნის) ცნებას ცხადყოფს (აღძრავს, წამოატივტივებს)". „...ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული დავარქვათ საგანს, რაც გნებავთ სახელი, ანუ როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, სიტყვები არიან აზრის (ანუ ცნების — ა. ფ.) ნებისმიერი ნიშანი"[1].

თუ ნათქვამს შევაჯამებთ, მივიღებთ: „სიტყვა არის ცნების ნებისმიერი ნიშანი", რაც იმას ნიშნავს, რომ აღსანიშნისადმი აღმნიშვნელი სრულიად თავისუფალია, ნებისმიერია.

ამას კი სოსიური ასე იტყოდა: „ქავშირი, რომელიც აერთებს აღმნიშვნელს აღსანიშნთან, ნებისმიერია, ანუ... უბრალოდ ენობრივი ნიშანი ნებისმიერია"[2].

სიტყვის განსაზღვრას ანტონისეულ ამ სიახლესთან დაკავშირებით მისი გრამატიკის მკვლევარი ელ. ბაბუნაშვილი სქოლიოში შენიშნავს „როგორც ჩანს ანტონი „თესეის" თეორიის მომხრეა და არა „ფუსეის"[3]

ჩვენის აზრით, ანტონთან პრობლემა უფრო ღრმად დგას, ვიდრე „თესეი" — „ფუსეის" საკითხია. მიემართოთ კვლავ სოსიურს: „ნიშნის ნებისმიერობას ახლა უკვე აღარავინ ხდის სადაოდ, მაგრამ ხშირად გაცილებით იოლია ჭეშმარიტების აღმოჩენა, ვიდრე მისთვის ადგილის მიჩენა. ეს პრინციპი იქვემდებარებს ენის შესახებ მთელს მეცნიერებას, მისი შედეგები ამოუწყვეტელია"[4].

ჩვენ ანტონის უდიდეს დამსახურებად მიგვაჩნია სწორედ ის, რომ მან ნიშნის ნებისმიერობის დებულებას ადგილი მიუჩინა ქართული ენის გრამატიკაში, რომელიც, როგორც ადრე ვთქვით, უფრო ფართო პლანით იყო შედგენილი, ვიდრე უბრალო გრამატიკის სახელმძღვანელო.

სიტყვის (ე. ი. ლექსის) განსაზღვრას ანტონთან გვერდით უდგას წინადადების (ე. ი. სიტყვის) განსაზღვრა. რადგან პირველი მეორის შემადგენელი ნაწილია: „სიტყვა არს შეერთება ლექსთა ცხადმყოფი მოგონებისა" (გვ. 121).

---

[1] «Знаком называется то, что возбуждает собою понятие этой, или другой вещи»... В нашей воле состоит называть вещи каким угодно именем, или, как говорят философы, слова суть знаки мысли произвольные». იქვე. გვ. 47.

[2] Фердинанд де Соссюр. Курс общей линг., М., 1939 г., იქვე. გვ. 79.

[3] ე ლ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970 წ., გვ. 79.

[4] Фердинанд де Соссюр. Курс общей линг., М., 1939 г. იქვე. გვ. 79.

ავტორი იქვე შენიშნავს, რომ ენის უკვე დასახელებულ უმთავრეს ნაწილთა (წიგნი, მარცვალი, ლექსი, სიტყვა) შორის „სიტყვა უაღრეს არს“, სწორედ იმიტომ, რომ სიტყვა (ე. ი. წინადადება) არის ლექსთა (ე. ი. სიტყვათა) შეერთება მოგონებათა (ე. ი. ცნებათა) კავშირის გამოსავლენად: „...ამისთვის შეიწყობის სიტყვაი და დაითხზვიან ლექსნი მარტივნი შესაბამ თვითეულისა მოგონებისა კაცობრივისა, რამეთუ შესაძლებელ იქმნესცა განსჯაი“(გვ. 122). ე. ი. ლექსთა ურთიერთშეწყობა ემსახურება მსჯელობას, რაც ნიშნავს თვით საგნის განსაზღვრას და მისთვის რაიმე ნიშნის მიწერას[1].

სიტყვა (ე. ი. წინადადება) არის სრული და არასრული. წინადადების ეს ორი სახე ერთმანეთს უპირისპირდება იმის მიხედვით, რომ პირველი გადმოგვცემს ისეთ აზრს, რომელიც აღარ მოითხოვს დამატებით მსჯელობას: „კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯის გულისა თვისისა გამოიღოს კეთილი“. არასრული წინადადება კი მოითხოვს რაღაცით შევსებას, დამატებას, რათა მსჯელობა იყოს დასრულებული: „რომელმან იგი წინა განმზადებული მისთვის სიხარული“. არასრულია, რადგან მოითხოვს — „დათმინა ჯვარი და სიკვდილი შეურაცხყო და მარჯვნით საყდართა ღვთისათა დაჰსჯდა“.

ანტონს მოაქვს რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რით განსხვავდება სრული წინადადება არასრულისაგან. იმ მაგალითების გაანალიზების შემდეგ აშკარაა, რომ აქ რაიმე გრამატიკული ნიშანი არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს. მთავარია მსჯელობის დასრულება — ლოგიკიდან მომდინარე პოსტულატი.

იქვე იძლევა ავტორი სიტყვის (ე. ი. წინადადების) „განწვალებას“, „სიტყვანი იწვალებიან კვალად, რომელსაცა ესე გვარსა წვალებასა ფილოსოფოსთა სახელ-ჰსდევს ქვეშე განწვალებად, რომელნიც აქა მოიხსენებიან: 1. საზღვრებითი; 2. ბრძანებითი; 3. საწადი; 4. ვიპოტეტიკაი; 5. განუსაზღვრებელნი“ (გვ. 123).

ეს „განწვალებანი“ ემთხვევა ზმნის სქესებად (ცილოდ) დაყოფას:

1. „საზღვრებითი არს განმრჩევი მოქმედებისა რაიმესა, ანუ ვნების დროთა ქვეშე, ე. ი., ანუ აწმყოთა, ანუ ნამყოთა ანუ მყობადთა აწმყოთა, მაგალითად, „ვხედავ კაცთა, ვითარცა ხეთა მიმომავალთა“. ნამყოთა, მაგალითად, „იხილა რაიესო ნათანაილ მომავალი მისა“ და სხვა.

2. „ბრძანებითი არს დანიშვნა საქმისა ბრძანებით ანუ

[1] ანტონი აქაც ბაუმაისტერის ლოვიკაზე მიუთითებს.

ველრებით დროთა ქვეშე აწმყოთა, ანუ მყოობადთა. მაგ.: „იხილენით ცანი განმხილნი“ და სხვ.

3. „საწადიარს, რომელითა წადილსა ჩვენსა შინაგანსა ცხადჰყოფს აწმყოთა ანუ ნამყოთა დროთა ქვეშე: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

4. „ვიპოტეტიკაი ანუ თუობითი არს რომელი ნიადაგ არს თავსა შორის თვისსა არასრულ და შესრულდების სხვათა სიტყვათა მიერ საზღვრებითთა ანუ ბრძანებითთა: „უკეთუ-გინდეს შესვლად ცხოვრებასა დაიმარხენ მცნებანი“.

5. „განუსაზღვრებელი დროებით არს, რომელი ქვემდებარესა არცა ერთსა ცვალებასა შინა განარჩევს პირობითად: შეყვარებად ღმერთი, ქმნად სიმართლე. ესენიო მუდამ მოითხოვენ საზღვრებითთან ანუ ბრძანებითთან შეერთებას, რათა დამთავრებულად, გასაგებად გადმოიცენო: სათანადო არს შეყვარებად ღმერთი, ქმნად სიმართლე“ (გვ. 123).

ასეთია წინადადების (ე. ი. სიტყვის) სახეები.

როგორც ცნობილია, ძველ გრამატიკებში დღევანდელი მეტყველების ნაწილები გაგებული იყო, როგორც სიტყვის (ე. ი. წინადადების) ნაწილები. ამიტომ ანტონის გრამატიკაშიც მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრება სწორედ წინადადების (ე. ი, სიტყვის) უკვე მოტანილ სახეობათა ჩამოთვლა-განსაზღვრას მოსდევს, რითაც საკითხთა განხილვის სხვა თანამიმდევრობაც (წიგნი, მარცვალი, ლექსი, სიტყვა) კარგადაა დაცული.

მეტყველების რვა ნაწილს გამოყოფს ანტონი, იმ დროს მიღებულ ტრადიციისდაგვარად, ესენი არიან: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული.

სახელი

„ჰნიშვნენ ნიადაგ რაობასა, ანუ ვითარებასა ნივთისასა ერთი ნაწევროვანი ოხვრითა. მაგალითებრ: „ცხოველი, კაცი, სხეული, თეთრი, დიდი და სხვანი. ხოლო ლექსნი ესე გვარნი იწოდებიან სახელად“ (გვ. 120). მეორეგან — „სახელი არს ნაწილი სიტყვისა გამრჩევი წოდებით თვითოისა მყოფთა არსებისა“ (გვ. 124). და აქვე უმატებს ავტორი: „ითქვა რა განსაზღვრებასა შინა. განირჩევა წოდებით თვითოისა მყოფთა არსებისა. ამისათვის ვითარმედ სახელი მყოფისა რაიმესა, რომელისაცა არს სახელი, არსებასა მისსა არა განსაზღვრებით და შინაგან საცნაურობით განარჩევს, არამედ წოდებით ანუ ზედწოდებით...“ (იქვე).

მაშასადამე, სახელი გადმოგვცემს არა ნივთის არსს, მის შინაგან შედგენილობას, რაც ქმნის ცნების შინაარსს. არამედ არის მისი დასახელება, განუსაზღვრელად. აქ ხაზი კვლავ იმ დებულებას ესმის, რომ სიტყვა საგნის პირობითი ნიშანია და არა მისი არსის დამახსიათებელი და იქიდან გამომდინარე.

პირველ განსაზღვრაში ყურადღებას იქცევს მითითება იმაზე, რომ ის არის „ერთი ნაწევრობითი ოხერის“ შედეგი — საკითხავია, როგორ უნდა გავიგოთ „ერთი ნაწევრობითი ოხერა“, რომელიც ყველა მეტყველების ნაწილს ახლავს. ვფიქრობთ. აქ მინიშნებაა იმაზე, რომ სიტყვა სამეტყველო სუნთქვის ერთი რგოლია, ფონეტიკურად ერთ მთლიან ოდენობას შეადგენს. იმ მთლიან ჯაჭვში, რომელსაც წინადადება წარმოადგენს.

თუ ორიე განსაზღვრას, ამ კომენტარით, შევაერთებდით, ასეთ აზრს მივიღებდით: „სიტყვა, რომელიც წარმოადგენს ფონეტიკურ მთლიანს და სახელდებით ნიშნავს საგნის რაობასა და თვისებას, იწოდება სახელად“.

ამ განსაზღვრიდან აშკარად ჩანს, რომ ანტონი ხედავს სხვაობას, ერთი მხრით საგნის რაობასა და, მეორე მხრით, საგნის თვისებას შორის: ამიტომაცაა რომ ჩამოთვლისას იგი ცეცხლს, ჰაერს, წყალს ერთად ასახელებს, ხოლო: თეთრს, გრძელს, კეთილს — ერთად..

მაგრამ ანტონი აქ არ ჩერდება, მომდევნო პარაგრაფში განაგრძობს: „სახელი უკუე იწვალების ორად. ე. ი. არსებისა—მიმართ და ზედშესრულისა. არსებითი არს თავით თვისით მდგომარე საუბარსა შინა და წერილსა, ხოლო ზედშესრული არს არა თავით თვისით მდგომარე, არამედ მოსრული არსებასა ზედა. მაგალითებრ, არსებითისა: ფარნავაზ... მაგ.: ზედშესრულისა: მეფე... ამისთვის იზედ-წოდებიან რომელნიმე სახელნი ზედშესრულად, მით რათა არსებასა ზედა შესლვითა ჰნიშვნენ რაოდენობასა, ანუ ვითარებასა არსებისასა: ფარნავაზ რომელ არს არსება, შესაძლებელ არს, რათა იყოს გრძელ ანუ მოკლე, თეთრ ანუ შავ, მეფე ანუ მხედარ, მაგრამ შეუძლებელ არს, ვინაითგან კაცი არს, რათა არა იყოსმცა საჭიროდ არსება. ხოლო სიგრძე იგი ანუ სიმოკლე, რომელია რაოდენობა, მეფობა და მხედრობა და სხვანი, რომელ არიან ვითარებანი. შესაძლებელ არიან ფარნავაზის ზედა არა ყოფად, მით რომელ შესაძლებელ არს, რათა იყოსმცა ფარნავაზ არა გრძელ და არცა მოკლე, არცა მეფე და არცა მხედარ, მაშასადამე შემთხვევით არიან რაოდენობა და ვითარებანი ესე და არა არიან საჭირო ყოფად, მაშასადამე არა არიან მდგომარე თავით თვისით საუბარსა შინა და წერილსა“ (გვ. 125).

მოტანილი საკმაოდ ერცელი ამონაწერი, კარგად მეტყველებს იმაზე,

რომ ანტონს არსებითისა და ზედსართავის ურთიერთობა სწორად ესმის. ამ ამონაწერში მშვენივრადაა დახასიათებული არსებითი სახელის ეს ორი ჯგუფი, რომელთაგან ცოტა გვიან ორი მეტყველების ნაწილი მივიღეთ.

სახელის განსაზღვრის შემდეგ, ანტონი იძლევა მის ჯგუფებს — „სახელი არსებითი იწვალებს სამთა მიმართ საქმეთა, ე. ი.1. მხოლოობითისად, 2. საზოგადოისად, 3. შემკრებლობითისად" (იქვე).

მხოლოობითში (რომელიც სათვითოოდაც იწოდება) ავტორი საკუთარ სახელებს გულისხმობს: ფარნავაზ, მირიან, ვახტანგ, მცხეთა, მტკვარი. ეს სახელებიო „არს მნიშვნელი ნივთისა განუყოფლად და განუჩრელად[1] „...ხოლო ფარნავაზ სახელი იგი არათუ მრავალსა არსებასა დაჰნიშნავს, არამედ მხოლოდ ერთსა ოდენ განუკვეთელსა არსებასა: ხოლო მ ტ კ ვ ა რ ი, არათუ მრავალთა მდინარეთა, არამედ მხოლოდ ერთსა ოდენ განუკვეთელსა არსებასა, ესე იგი რომელსამე მდინარესა" (გვ. 125). „საზოგადო არს მნიშვნელი ნივთისა არსებისა საზოგადოდ"... (იქვე).

„შემკრებლობითი არს მნიშვნელი ნივთთა მრავალთა ერთობასა შინა რაიმესა შეერთებულთა — ერი, გუნდი, არვე".

ზედსერულიც სამად იყოფა: „1. დადებითისა მიმართ, 2. შემსგავსებითისა, 3. უდადებითესისად".

„დ ა დ ე ბ ი თ ი არს მნიშვნელი ნივთისა მარტივად ვითარებისა, ანუ რაოდენობისა: კ ე თ ი ლ ი, ბ ო რ ო ტ ი, გ რ ძ ე ლ ი, მ ო კ ლ ე, მ ე ც ნ ი ე რ ი და სხვა". „შ ე მ ს გ ა ვ ს ე ბ ი თ ი არს მნიშვნელი ნივთისა ვითარებისა შემსგავსებითა მეორისა ნივთისათა: კ ე თ ი ლ ე ბ რ ი, ბ ო რ ო ტ ე ბ რ ი, გ რ ძ ე ლ ე ბ რ ი, მ ო კ ლ ე ბ რ ი. „უ დ ა დ ე ბ ი თ ე ს ი არს აღმატებითად მნიშვნელი ვითარებისა ერთისა ნივთისა სხვათაგან ნივთთა აღრად ანუ დარედ: უკეთილესი, ანუ ყ ო ვ ლ ა დ კ ე თ ი ლ ი, უ ბ ო რ ო ტ ე ს ი, ანუ ყ ო ვ ლ ა დ ბ ო რ ო ტ ი. უ გ რ ძ ე ს ი, ანუ ყ ო ვ ლ ა დ გ რ ძ ე ლ ი, უ მ ე ც ნ ი ე რ ე ს ი, ა ნ უ ყ ო ვ ლ ა დ მ ე ც ნ ი ე რ ი, და სხუანი".

იქვე ანტონი შენიშნავს: „ხოლო, თუ სადამე სახელი იგი იყოსმცა მნიშვნელი ნივთისა დარე ყოფისა ზედაიდებულნი იგი მარცვალნი უ ანუ ესი — ამცირებენ მას, მაგ.: უმეცარი. უუმეცრესი — ყოვლად უმეცარი, ფრიად უმეცარი" (გვ. 126). ერთი შეხედვით, ანტონის შენიშვნა ჭეშმარიტად მოგვეჩვენება. საქმე ისეა წარმოდგენილი თითქოს უ-ესი

---

[1] ეს განმარტება, როგორც ელ. ბაბუნაშვილი აღნიშნავს, სომხურის კალკი ყოფილა. იხ. მისი, სახელთა ბრუნება, ანტონ პირველის „ქართულ ღრამმატიკაში". მაცნე, 1969 წ., № 5, გვ. 167.

აქ აღმატებითს კი არა, „დამცირებითს“ ხარისხს აწარმოებდეს, მაგრამ თუ საქმეს იმ კუთხით შევხედავთ, რომ ყოველი ხარისხი იზომება ნეიტრალური ფორმის საპირისპიროდ, იგულისხმება უ მ ე ც რ ე ს ი მცირესთან შედარებით, აღმატებული მცირეა და უ-ესი ამიტომ ამ მაგალითშიც აღმატებით (უდადებითეს) ხარისხს აწარმოებს.

სახელს აქვს ხუთი მდევარი[1]: ნ ა თ ე ს ა ვ ი (სქესი). ნ ა კ ვ ე თ ი (მარტივი და რთული ფუძე) ს ა ხ ე (წარმოქმნა), რ ი ც ხ ვ ი და ბ რ უ ნ ვ ა.

ყოველი სახელი სქესის მიხედვით არის ან მ ა მ რ ო ბ ი თ ი (მამა, ძმა, ბიძა), ან მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი (დედა, დაი), ან უ მ ე შ ვ ე ო ბ ი თ ი (ცეცხლი, წყალი) ან ს ა ზ ო გ ა დ ო (შვილი, ლეკვი);

ნ ა კ ვ ე თ ი სახელს აქვს ან მარტივი (მართალი), ან რთული (მართლმადიდებელი). ყოველ სახელს აქვს „პირველსახე და ძირი“ მაგ.: ცა. ან „სხმითგარდასვლითი“ ც ი ე რ ი. ყოველი სახელი ან მხოლობითია — მ ო ძ ღ ვ ა რ ი ან მრავლობითი — მ ო ძ ღ ვ ა რ ნ ი. ყოველი სახელი იბრუნვის: ჯ ვ ა რ ი, ჯ ვ ა რ ს ა, ჯ ვ ა რ ი თ...

ყოველ სახელს (არსებითსაც და ზედსართავსაც) აქვს ხუთივე მდევარი. მაგ.: „ქ ა ლ-წ უ ლ — ნათესავისამებრ არს საზოგადო, ნაკვეთისამებრ — ჰრთული; სახისამებრ — პირველი სახე, რიცხვისამებრ — მხოლობითი და ბრუნვისამებრ — წრფელობითი“.

ნ ა თ ე ს ა ვ ი (ანუ სქესი) ოთხგვარია, როგორც უკვე ჩამოვთვალეთ, მაგრამ აქვე მოდის მეტად მნიშვნელოვანი განმარტება: „ა რ ა რ ა ი მ ე ა ქ ვ ს ნ ი შ ა ნ ი ჩ ვ ე ნ ი ს ა მ ე ბ რ ე ნ ი ს ა ს ა ხ ე ლ ს ა ა რ ს ე ბ ი თ ს ა მ ა მ რ ო ბ ი თ ა დ თ ქ მ უ ლ ს ა დ ა ა რ ც ა ღ ა მ დ ე დ რ ო ბ ი თ ა დ თ ქ მ უ ლ ს ა“ (გვ. 128 — ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

მაშასადამე, იმის თქმა, რომ ანტონმა ვერ გაიგო სქესის ბუნება და იგი ქართულში შემოიღო, ვფიქრობთ, სწორი არაა. ზემოთ მოტანილი შენიშვნა აშკარა საბუთია იმისა, რომ ანტონმა მშვენივრად იცის, რომ ქართულში გრამატიკულად სქესი არა გვაქვს და არსებითი სახელები ამ თვალსაზრისით „ფორმით“ ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

ანტონი განაგრძობს: „ხოლო ზედშესრულთა სახელით მდედრობითად აქვს რომელთამე დამაბოლოებელი ა, მაგ.: ჰ ა ბ უ კ ა, უ ფ ა ლ ა, მ ე ფ ა, წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ უ ე ლ ა, ყ რ მ ა ა: ყველა ამ მაგალითს აქვს სათანადო მითითება, თუ საიდანაა ისინი ამოღებული და იქვე ნათქვამია: „ძველსა დაბეჭდილს საწინასწარმეტყველოს შინა ა,ებრაელა (იერემ. იგივე თავი, რიცხვი 3), მოაბელა (ისაია, 15,1)... მაშასადამე ყოველსა ზედშესრულსა სახელსა მდედრისა ქვემდებარისა მიმართ მოღებულსა ე შესაბამების მდედრობითი“ (გვ. 128).

[1] პირველ რედაქციაში მითითებულია ექვსი. მეექვსედ ჩათვლილია „ბრუნება“. მდევარი „კატეგორიას“ ნიშნავს და ერთ ადგილას მას „შენარდგენი“ (გვ. 185) ენაცვლება.

ერთი სიტყვით, ანტონმა იცის, რომ სქესს ქართულში არავითარი ნიშანი არა აქვს. მაგრამ როცა რაღაც ნიშანს მაინც ეძებს, იგი ანგარიშს უწევს ენის (ძველი ქართულის) მონაცემებს. ძველ ტექსტებში კი, როგორც ვიცით, ასეთი ნიშნების ჩანასახები იყო მე-11 საუკუნიდან.

ვფიქრობთ, ანტონი ამ შემთხვევაში სრულიად სწორად იქცევა და „ბრალდება" — ქართულში სქესის დამკვიდრებისა ძალაში შეიძლება დარჩეს, თუ მხედველობაში მივიღებთ სამეტყველო ენას, რომელიც არ ხმარობდა ჰაბუკა ებრაელა და მსგავს ფორმებს.

ნაკვეთის გარჩევისას ანტონი მარტივისა (ქვეთილ) და ჰრთულის (ქვეთილ-მხდარი) გვერდით ასახელებს ზედჰრთულს (ღვთის-მეტყველ-მხრობელი). „ჰრთულის" თავისებურება ისაა, რომ „....ანუ ორთაგან და ანუ სამთა მარტივთა ლექსთა ურთიერთარს დაზავებულთაგან წარმოდგების ერთ-სახელყოფად..." (გვ. 129).

სახის (ანუ სიტყვათწარმოების) განსაზღვრა და ილუსტრირება ანტონთან თითქმის უნაკლოდაა გაკეთებული: სახელს სახის თვალსაზრისით ორი ჯგუფი აქვს — პირველ-სახე და სხმით-გარდასვლითი.

„პირველ-სახე არს, რომელი თვისსა დანიშნულებასა შინა მდგომარეობს უცვალებლად, ხოლო სხმით-გარდასვლითი არს, რომელი ჰსცვალებს მარცვალთა მიერ თვისსა დანიშნულებასა შინა უცვალებლად მდგომარესა სახელსა და სხვისა. რაიმესა სახისა მიმართითა დანიშნულებითა წარმოდგების. მაგ.: არსი, გვამი, პირი და „სხვანი რომელ არიან თვისსა დანიშნულებასა შინა უცვალებლად მდგომარენი" (გვ. 129 — ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

პირველი სახენი ითქმიან პირველ სახედ და ძირად სხმით-გარდასვლითთაო, შენიშნავს ანტონი, და უმატებს, მათ „დასხმად მარცვალნი რაიმე ესე გვარნი, რომელნიცა თავით თვისით ჰნიშნენ არა რაიმესა მაგ.: ება, ოვანი, სა. ესენი არა რაჲმესა მნიშნელნი შესაძლებელ არიან დასხმად სახელთა ზედა პირველ სახელთა და სხვაგვარისა შესახედავის მიმართ განსხვავებად არს-ება, გვარ-ოვანი და სხვა". (გვ. 129).

იქვეა მეორე საინტერესო შენიშვნა: „დაეკვეთების რამეთუ სხმით-გარდასვლითი იგი გამრჩობლ-სხმით-გარდასვლითდესმცა, მაგ.: არსება, რომელ არს სახელი სხმით-გარდასვლითი, შესაძლებელ არს, რათა ძირ იქმნეს მრჩობელ-სხმით-გარდასვლითისა,... მაგ.: არსებითი, და სხუანი".

შემდეგ მოდის ჩამოთვლა იმ აფიქსებისა (მარცვლებისა), „რომელნიცა სახელთა ზედა პირველ სახეთა დაისხმიან და თვისისგან მნიშვნელობისა გარდაიყვანენ, არიან აქა მოხსენებულნი, მაგალითებრ": სა, ითი, უ, უუ, ესი, აკი, კი, აგი, გი, ალი, იანი, ოვანი, ევნი, ელი, ული,

ეთი, მ, ი, ივ, იერი, იელი, ეული, ანი, ვილი, ული, იარე, ილი, არე, ლი, არე, ლე, მო, ოსანი, ედ, ო, ნი, მე, სი, ება, ობა, ა, ნა, ოს, ია, შესა, ის, ო, ვე, ცა, ცგ, ანე"

როგორც ვხედავთ, მეტი წილი აფიქსებისა სწორადაა შემჩნეული და გამოყოფილი.

ამ აფიქსების შემწეობით იწარმოება სახელთა ახალი 18 ჯგუფი:

1. მ ო გ ე ბ ი თ ი — სა, ითი, სამღვდელო, ბრუნებითი; პირველ სახეს თუ სა დაესმის, „ეუკანების მას ოდესმე ბოლოდ კერძო კი, ესე ო მაგ.: სა-მეფ-ო. ჲ. ზ ე ს თ ა ო ბ ი თ ნ ი — უ, უუ, ესი უაღრესი... შესაძლებელია, მარტო ბოლოს დაესვას ესი და გვექნეს აღრესიო; 3. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ნ ი — აკი, კი, აგი, ალი მარცვალაკი, გუშაგი, და ციალი; 4. ნ ა თ ე ს ა ვ ო ბ ი თ ი — რომელ სახელსა ვისამე, ანუ მშობლობით, ანუ მამულობით, ანაკვთებენ: იანი, ოვანი, ევანი, ითი, ელი, ური, ული. დავითიანი, ბაგრატოვანი, ორბელითი, მცხეთ-ელი, აბანო ტფილის-ური[1], ელექტროული; 5. შ ე მ ც ვ ე ლ ო ბ ი თ ი (გვიჩვენებს საქმის შეცვლასა მას შინა) — ეთი, ავი, მგ, ივ; სპარსეთი, მადლი შესაწირავი, სფერო, მგგრგულივ; 6. ა რ ს ე ბ ი თ ი — ოვანი, იერი, იელი: მიზეზოვანი, ციერი, ხორციელი. 7. თ ა ნ ა შ ე უ ო ფ ი თ ი — ანი, ოვანი, ვილი: ზეთიანი, ფეროვანი, შემურვილი. 8. ს ა ხ ე ლ-ზ მ ნ ა ს ხ მ ი თ ი (ვითარმედ სახელ ზმნა-სხმითი (ვითარმედ სახელ-ზმნანი ისხმით-გარდასვლითდებიან), მაგ.: იერი, ილი, ელი, არე, იელი, ლი, არე, ალე, მგ, ოლი, ობა, ითი: შვენიერი, წუხვილი, ფიცხელი, მგსწრაფლი, მგცინარი, ბრწყინვალე, მჭსრბოლი, ქმნობა, ქმნილი. 9. ქ ო ნ ე ბ ი თ ნ ი, ოვანი, იანი, ოსანი, ვილი, ური, ევანი, მო, მე, ასი; ხმოვანი, გვირგვინიანი, ცხენოსანი, ჩაფხუტი მოოქროვილი, მოყვასი მოგზაური, სიტყვა სხეულევანი, ჭაბუკი მოყმე, ამირიკის მენავე. 10. ა ღ მ ა ტ ე ბ ი თ ი — ება, ობა, სი: ხატება, აობა, სიმართლე. 11. მ დ ე დ რ ო ბ ი თ ა დ — ა, ნა: უფალა, მთავრინა. 12. მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ი თ ი — მე, მჲ, ე: მესაჭურჭლე, მ-ფარავი. 13. შ ე მ ს გ ა ვ ს ე ბ ი თ ა დ — შესა, სა, ვის, ო: შესაბამ, სავად; შესატყვის, შესადრო. 14. უ ღ ვ ლ ი თ ი — მე, მო, ვე; მეგზაჲე, მოვალე. 15. ი გ ი ვ ე ო ბ ი თ ი (რამეთუ ზედდასხმით სახელსა იგივე ჰყოფენ): ვე, ც, ცა; კაციე, ცხოველიცა, არსებაც როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილია ამჟამად ნაწილაკებად ცნობილი აფიქსები და გარკვეულია მათი ფორმალურ-ფუნქციური ბუნება. 16. წ ე ს ე ბ ი თ ნ ი — მე, ე, მეორე, მესამე — გარკვეულია რიგითი რიცხვითი სახელების წარმოება. 17. შ ე დ გ ო მ ო ბ ი თ ი — ანე, ანი: ქრისტეანე, ვასილიანი. 18. უ კ უ თ ქ მ ი თ ა დ — უ, ი, ო, ვი: უსმი, უმკაცრო, უთქვი.

[1] მოვიგონოთ კ. გამსახურდიას მოთხოვნა, რომ ვწეროთ: „ტფილისური უნივერსიტეტი".

რა თქმა უნდა, ამ ჯგუფთაგან ბევრი ზედმეტია; ბევრი უბრალოდ გაუგებრობის შედეგია და საერთო არაფერი აქვს სიტყვათწარმოებასთან: ბევრ შემთხვევაში ცდება ანტონი ფუძისეული და აფიქსისეული ფორმების დიფერენციაციის დროსაც; ხშირია გამეორებები; მაგრამ აქვე მკითხველი დაინახავდა ბევრ მეტად გონებამახვილურ მოგნებას.

ერთი მაგალითი:

ანტონი **იან** სუფიქსიან წარმოებას რამდენიმე ჯგუფში ათავსებს და თუ მათ შინაარსობლივ მხარეს ჩავუკვირდებით, შეიძლება შემთხვევითად არ მოგვეჩვენოს ასეთი დანაწილება — მართლაცდა გვირგვინიანი და ზეთიანი ძნელად თუ მოხვდებიან ერთსა და იმავე ჯგუფში, ან მევალე და მებაღეც არა გვგონია ერთი რიგისანი იყვნენ.

რიცხვის შესახებ ანტონი მიუთითებს, რომ არის ერთობით, ე. ი. მხოლობითი და მრავლობითი; მრავლობითის მაწარმოებლად გამოყოფილია: **ნი, ები, ცბ, ანე** — „ბუნებანი“, „ნათესავები“, „ზღვცბ“: ზოგჯერ გვაქვს მრავლობითი და არ გულისხმობს მრავალ საგანსო: „მთიები“, „ხორცნი“ და სხვა.

ბრუნვა სახელის მდევართაგან ერთ-ერთი ძირითადია.

რვა ბრუნვა შემოვიღე ქართულშიო, გვეუბნება ანტონი, და მიუთითებს, რომ ქართულს, სხვა ენების მსგავსად, არ ახასიათებს წესი, რომლის მიხედვითაც ზოგი სახელი თავის ბრუნვას მიიღებს და შემდეგ სხვა სახელს ალარ შეუძლია მისი მიღება. „ხოლო სათანადო უკვე არს თქმად ვითარმედ მებრ რომელთამე ენათა არა არს ქართულებრ რამე თვითომან სახელმან განითვისოსმცა საკუთრად ბრუნვაი და იგი სხვამან არღარა მიიღოსმცა“ (გვ. 6). ერთი სიტყვით, ქართულში სახელები ერთნაირად იბრუნვიან.

ბრუნვათა დასახელება იწყება წრფელობითი. იგი დაბოლოებას, არ შეირყევს და ბოლოვდება ან თანხმოვანზე, ან ხმოვანზე. „დასაბამ ბრუნვათა არს წრფელობითი რომელსა აქვს მდგმოებაი თვისისამებრ ნაკვეთისა და შესახედაოისა შეურყეველად, რომელიც დაბოლოვდების, ანუ უხმოთა მიერ ანუ ხმოვანთა. მაგალითი: მარიამ, ანუ არსება. ანუ მზე და სხვანი“ (გვ. 6).

ამას მოჰყვება ბრუნვათა ჩამოთვლა შემდეგი რიგით:[1] **ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი,**

---

[1] აქ უნდა აღინიშნოს ერთი შეუსაბამობა: ანტონი წინასწარ ამბობს, რომ ნათესაობითს აქვს ექვსი ნიშანიო. მაგრამ ჩამოთვლის შეიდს — „აქენნ ყოველთავე ბრუნვათა თითოეულთა რაოდენნიმე ნიშანნი მხოლობითთაცა და მრავლობითთა, ვარნა ნათესაობითისა ბრუნვასა მხოლობითსა საზოგადოსა აქენნ ნიშანნი ექვსნი“ (გვ. 7) ჩამოთვლის კი ისე, როგორც ჩვენ მოგვაქვს, ამას გარდა 134-ე გვერდზე უკეთ ხუთ ნიშანზე ლაპარაკობს.

მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი. ბრუნვებს აქვთ რამდენიმე ნიშანი, მაგრამ ყველაზე მეტი შვიდი — აქვს ნათესაობითს. აი, ეს ნიშნებიც:

1. -ისი ისრაილისი
2. -ისა მზისა
3. -სა ჯვარისა
4. -ჲსა ოქროჲსა
5. -ისა სიტყჳსა
6. -ის ჯვარის
7. -სი პეტრესი

შემდეგ მოდის ბრუნვის ნიმუშები.

მხ. რიცხ.	მრ. რიცხ.
წრფ. მარიამ	მარიამ-ნი
ნათ. მარიამ-ისა[1]	მარიამ-ებ-ისა
მიც. მარიამ-ს	მარიამ-ებ-ს
შემს. მარიამ-ი	მარიამ-ნ-ი
დაწყ. მარიამ-ის-გან	მარიამ-ებ-ისგან
მოთხრ. მარიამ-მან	მარიამ-ებ-მან
მოქ. მარიამ-ითა	მარიამ-ებ-ითა
წოდ. მარიამ	მარიამ-ნ-ო

ანტონი ორივე ფორმას იცნობს, ებ-იანსაც და ნარ-თან-იანსაც, მაგრამ პარადიგმებში რატომღაც არ გვხვდება თანიანი ფორმები.

ბრუნვის პარადიგმათა განმარტებისას ანტონი გვეუბნება: თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები (საზოგადოცა და საკუთარიც — ანტონთან საზოგადონიცა და სათეითონიც) ისე იბრუნვიან, როგორც ითქვა, და უმატებს, ზოგი ბრუნვა ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ ისინი წინადადებაში ერთმანეთისაგან განირჩევიანო) „...მაგრა სიტყვისა ქსვასა შინა განირჩევიან რაულადცა არიან დაბრუნვილი“ (გვ. 7).

ამის შემდეგ მოდის თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა ბრუნება. ესენი ნათესაობითში მიიღებენ — ისა ფორმასო. მაგალითებში მიუთითებს: აბრამ-ისა, დავით-ისა, ღმერთ-ისა...

ა-ფუძიანი სახელების განხილვისას ანტონი ასხვავებს საზოგადო სახელებს, რომლებიც ამ ხმოვანს მოიკვეცენ და საკუთრებს, რომლებიც არ მოიკვეცენ და მიიღებენ ხი დაბოლოებას: ანნა-სი, იერემია-სი, ნინა-სი და სხვა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანტონი ა-ზე დაბოლოებულ სახელებს უთანაბრებს ე-ზე დაბოლოებულებს („... ბოლოდ უკუე მექონსა სახელ-

[1] დეფისით დაყოფა ჩვენია — ა. ფ.

სა ხმოვანისა ე მხოლოობითად მითვე სახეებითა აქვს ბრუნვაი ნათესაობითსა შინა, რაითაცაღა აქვს ა.განმკიდურესა სახელსა საზოგადოსაცა და სათვითოსა“ (გვ. 10). გათანაბრება ეხება საკუთარ სახელებსაც.

ბრუნვათა თავისებურების გადმოცემისას ანტონს არ გამოპარვია კუმშვაც „...რამეთუ სახელსა რაიესაცა ეკიდურების ხმოვანი ი, ამას ოდესმე. თუ სადმე აქვს საზოგადოსა სახელსა საშუალ ხმოვანი რაივე მიმღე არს იგი ბრუნვათა შინა მერყეობისა. მაგალითი: ნათელი, ნათლისა, ნათლისაგან, ნათლითა, ანა, აქა. ბრუნუასა შინა მიიღო მერყეობა ჰსპობითი ასომან ამან ე“ (გვ. 11).

ამ ადგილას კუმშვის შესახებ მეტი არაფერია ნათქვამი, მაგრამ ამით როდი კმაყოფილდება იგი. 196-ე პარაგრაფში ანტონი კუმშვაზე უფრო დაწვრილებით ჩერდება და ასახელებს სამივე ხმოვნის (ა, ე, ო) კუმშვის მაგალითებს ნათელი, ტაძარი, გოდოლი (ნათ. ნათლისა. ტაძრისა, გოდლისა).

ანტონისათვის, დღეს სახელობითი ბრუნვის ნიშნად გაგებული, ი-ხმოვანი ფუძისეულია. იგი საგანგებოდ ჩერდება ი-ფუძიან სახელთა ბრუნებაზე, მაგრამ იქვე დაურთავს მეტად მნიშვნელოვან შენიშვნას: „ხოლო სახელსა წრფელობითსა, რომელსამე მრავალჯერ ი აქვს ბოლოდ, ვითა იცის ჩვეულებამან ენისა ჩვენისამან, მაგრამ, თუ სადმე აღვიღო ი წრფელობითისა სახელისა უკანაი ასოი ნიეთსა მასვე გვაჩვენებს სახელი, რომლისაცა დადებული იყო პირველ. მაგალითები: გიორგიეს თავი შენი ღმერთ“ (გვ. 11); ე. ი. თუ წრფელობითის ი-ს ჩამოვაშორებთ სახელს, იგი მაინც მიუთითებს საგანზე. რასაც ადრე აღნიშნავდა. აქ აშკარადაა ნათქვამი, რომ ი ხმოვანის მიუხედავად, წრფელობითის ფორმა მიუთითებს საგანზე. ფუძეა და ამიტომ. ერთი სიტყვით. შემჩნეულია მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: სიტყვის საგნობრიეი მნიშვნელობა დაკავშირებულია ფუძესთან.

ანტონმა იცის, რომ საკუთარი სახელები, რომლებიც ი-ზე ბოლოვდებიან, არც იკუმშებიან და არც იკვეცებიან, ნათესაობითში კი მიიღებენ -სი დაბოლოებას.

ასე აბრუნებს ანტონი „ოქროს“:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
წრფ. ოქრო	ოქრო-ნი
მიც. ოქრო-სა	ოქრო-ებ-ისა
ნათ. ოქრო-ს	ოქრო-ებ-ს
შემ. ოქრო-	ოქრო-ნ-ი
დაწყ. ოქრო-სა-გან	ოქრო-ებ-ისა-გან
მოთხ. ოქრო-მან	ოქრო-ებ-მან
მოქ. ოქრო-თა	ოქრო-ებ-ითა
წოდ. ოქრო-ო	ოქრო-ნ-ო

ე. ი. -ო და -უ-ფუძიან სახელთა ბრუნებაც ძირითადად სწორად აქვს ანტონს წარმოდგენილი. ისინი არც არაფერს იკვეცენ და არც იკუმშვიან. აი ბრუნვის ფორმებიც.

ამათგან განსხვავებით საკუთარი სახელები ნათესაობითში ღიღებენ **ხი** ნიშანს.

თუ ნათქვამს შევაჯამებთ, სახელთა ბრუნებაც შემდეგ ჯგუფებს გვაძლევს: 1. თანხმოვანფუძიანები (კუმშვადი და უკუმშველები); 2. ხმოვანფუძიანები (კვეცადები ა და ე ხმოვანზე დაბოლოებულნი: უკვეცელები -ო და უ ხმოვანებზე დაბოლოებულნი).

ამას უნდა დაემატოს საკუთარ სახელთა ბრუნების მეტად გონებამახვილურად გამოცნობილი საიდუმლოებაც — თანხმოვანფუძიანები იბრუნვიან ისე, როგორც საზოგადო სახელები, ხოლო ხმოვანფუძიანები — როგორც ო და უ-ზე დაბოლოებულნი და ნათესაობითში დაირთავენ -ხი ნიშანს.

როგორც ვხედავთ, ქართული ენის არსებით სახელთა ბრუნება წარმოდგენილია ძირითადად შეუცდომლად.

არ უნდა დაგვავიწყდეს ანტონის მსჯელობა ე. წ. კერძობით სახელთა (ალბათ გამონაკლისთა) ბრუნებაზე. ეს ის სახელებია, რომელთაც არა აქვთ წოდებითი. აი, რამდენიმე მაგალითი.

მხ. რიცხვი

წრფ. რომელი-მე, ვინ-მე, რაჲ-მე
ნათ. რომლ-ისა-მე, ვისი-მე, რაჲ-სა-მე
მიც. რომელ-სა-მე, ვის-მე, რაჲ-მე-ს
შემ. რომელი-მეჲ, ვინ-მე, რაჲ-მეჲ-
დაწყ. რომლი-სა-გან-მე, ვის-გან-მე, რაჲ-სა-გან-მე
მოთ. რომელ-მან-მე, ვინ-მე-მან, რაჲ-მე-მან
მოქ. რომლ-ითა-მე, ვის-ითა-მე, რაჲ-თა-მე

მრ. რიცხვი

წრფ. რომელ-ნი-მე, ვიეთ-ნი-მე, რაჲ-მე-ნი
ნათ. რომელ-თა-ნი-მე, ვიეთ-თა-ნი, რაჲ-მე-თა-ნი
მიც. რომელ-თა-მე, ვიეთ-თა-მე, რაჲ-მე-თა
შემ. რომელ-ნი-მე, ვიეთ-ნი-მე, რაჲ-მე-ნი
დაწყ. რომელ-თა-გან-მე, ვიეთ-თა-გან-მე, რაჲ-მე-თა-გან
მოთ. რომელ-თა-მე, ვიეთ-ებ-მან-მე, რაჲ-მ-ებ-მან
მოქ. რომლებ-ითა-მე, ვიეთ-ებ-ითა-მე, რაჲ-მ-ებ-ითა

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ მიუხედავად ზოგი გონებამახვილური მიგნებისა. ავტორს აურევია მე ნაწილაკის, ბრუნვის ნიშნებისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნების თანამიმდევრობა. მრავლობითში ხან თან-ს ხმაროპს და ხან ებ-ს: ხან ბრუნვის ნიშანს სვამს წინ, ხან — ნაწილაკს; ან კიდევ მრავლობით რიცხვში ერთდროულად აქვს მოცემული თა-ნიანი და ნარ-იანი მრავლობითი (მაგ.: რაიმეთანი) ამას გარდა, ზოგი ფორმა ხელოვნურია და ძველი ქართულისათვისაც უცნობი.

ანტონი აქვე აკეთებს ერთ საინტერესო შენიშვნას, საქმე ეხება კითხვითი ნაცვალსახელების დაჯგუფებას. მისი აზრით, **რა?** იხმარება უსულო საგნების მიმართ, ხოლო **რომელიმე** და **ვინ?** — სულიერების მიმართ. „...ხოლო აქა საუწყებელ არს, რამეთუ **რაიმე** დაიდების ქსუასა შინა ნიშნად უცოცხლოთა საქმეთა. მაგალითი: ქ უ ა რ ა ი მ ე, ც ნ ო ბ ა რ ა ი მ ე და სხუანი. გარნა რ ო მ ე ლ ი მ ე და ვ ი ნ მ ე რეცა დადებულ მრავალთა შორის მნიშუნელად საქმეთა ცოცხალთა. მაგ.: კ ა ც ი ვ ი ნ, კ ა ც ი ვ ი ნ მ ე, ს ი ბ რ ძ ნ ი ს-მ ო ყ უ ა რ ე, რ ო მ ე ლ ი მ ე ლ ო მ ი და სხუანი“ (გვ. 15).

მოტანილი მაგალითები საქმის ვითარებას მეტად ზუსტად წარმოგვიდგენს: **ვინ** ნახმარია ადამიანთან, ხოლო **რომელი** ლომთან და **რაიმე** ქვასთან. ე. ი. გათიშულია ადამიანი დანარჩენებისაგან.

რიცხვით სახელთაგან ანტონი „**ერთს**“ აბრუნებს და ბრუნვათა პარადიგმის მოცემის შემდეგ განმარტავს: „**იქმნების უკვე სახელებრ ბრუნვა რიცხვთაცა**“ (გვ. 15). სრულიად სწორი და ზუსტი აზრია.

გაოცებას იწვევს მომდევნო პარაგრაფი, რომელშიაც ლაპარაკია „ბრუნვა საკითხავთა სახელთა“-ზე და მაგალითად დასახელებულია **ვინ, რომელი.**

საქმე ისაა, რომ ეს სიტყვები ადრე ანტონს რატომღაც სახელთა (არსებით სახელთა) ჯგუფში აქვს შეტანილი და გაოცებასაც ეს იწვევს. წესით კი ისინი უნდა მომხვედრიყვნენ პარაგრაფში, სადაც მოცემულია ნაცვალსახელთა ბრუნება. მაგრამ უფრო საკვირველი ისაა, რომ **რომელი** მოხვდა აგრეთვე ნაცვალსახელთა ჯგუფში და ბრუნებისას იმეორებს ადრე მოტანილ ფორმებს.

აღნიშნულს გარდა ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს ბრუნებას ანტონი საკმაოდ კარგად აშუქებს. იგი ამ პარაგრაფში განიხილავს შემდეგ ნაცვალსახელებს: მე, შენ, თქვენ, თქუენ, იგი. იგინი, ეს, ესენი, ეგე, ეგენი, იმას, იმათ, ჩემი, ჩუენი, მისი, მათი, თვისი, თავიანთი... როგორც ეხედავთ, ძირითადად სამი ჯგუფია: პირის, ჩვენებითი და კუთვნილებითი, მაგრამ სწორედ ეს ჯგუფები ქმნიან სირთულეს ნაცვალსახელთა ბრუნებაში რაშიც ანტონი სწორად გაერკვა. მან იცის, რომ მე ნაცვალსახელი ფუძემონაცვლეა და მას ნათესაობითში ჩემ (ჩემი შეესატყვისება).

ასევე სწორად აქვს გაგებული ანტონს მესამე პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუძემონაცვლეობა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მას ყველგან არასწორად აქვს მოცემული. კერძოდ, იგი ურევს პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმებს კუთვნილებითისაში და ამიტომაცაა, რომ ნათესაობითმა მასთან ასეთი სახე მიიღო: ჩემი, შენი, თქუენი, მისი, მათგანი და სხვა.

საინტერესოა თვით ანტონის მოსაზრება ნაცვალსახელთა ბრუნებაზე: „გარნა საცნო არს ვითარმე არს რამეთუ ბრუნუასა შინა ამის ნაცუალსახელისა მრავალ-გზის მ ი ც ე მ ი თ ი მსგავს არს წრფელობითისა და ესე განირჩევის ზმნათაგან... ხოლო შემასმენლობითიცა და მოთხრობითი უმრავალჯერეს მსგავს არიან წრფელობითისა. მაგრამ ანუ ქსვასა შინა განირჩევიან ზმნათაგან და ანუ ზემოთ მიცემულთა მახვილთა მიერ და კლებულთაგანაცა მხოლოობითისაცა შინა და მრავლობითსა“ [1] (გვ. 17).

ასეთია ანტონის მოძღვრება ქართული ენის ბრუნვათ სისტემაზე მისი გრამატიკის პირველ ნაწილში. როგორც ვხედავთ, აქ რიცხვზე საგანგებოდ ლაპარაკი არაა. სამაგიეროდ, ამ საკითხს იგი ერთ თავს მიუძღვნის მეორე ნაწილში, სადაც ლაპარაკია სახელთა რიცხვზე ზოგადად. ანტონს შემჩნეული აქვს ისეთი შემთხვევები, როცა ფორმა მრავლობითია, მაგრამ გაგება მხოლოობითისაა, მაგ.: დ ა ვ ი თ ნ ი, ხ ო რ ც ნ ი და სხვა.

საგანგებოდ მიუთითებს, რომ ზოგ ენას, მსგავსად ქართულისა, არა აქვს ორობითი რიცხვიო.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ანტონის ნააზრევი ბრუნვათა ფუნქციების შესახებ.

ამ ნაწილს იგი ბრუნვის განსაზღვრითა და ბრუნვათა რაოდენობის დადგენით იწყებს და წერს: „ბრუნვა არს ცვალება მიმოხრითი სხვისა და სხვისა მიმართ მდგმოებისა და ერთისა და მისივე სახელისა“ (გვ. 134), ე. ი. ბრუნვა არის სახელის ერთისა და იმავე ფუძის სხვადასხვანაირად მიმოხრითი ცვლა. ანტონი დასძენს: „რვას რიცხვსა შინა შემოვიყვანენ მე, დაღათუ ბრუნვანი ქართულისამებრ ენისა, მაგრა, თუ სადამე გამოცდილ ყოფილ-ვიყამცა, მაშინ სხვისა და სხვისამებრ ენისა ბრუნვისა მიმართსა განსჯასა შინა, მაშინ სამართლად მჰსჯელი დავსხმიდი ბრუნვათა სახელისთა შვიდთა, მაგრა მაშინდელთა მათ ჩემთანა

[1] როგორც ცნობილია, ანტონმა საგანგებო ნიშნები შემოიღო იმ შემთხვევების ურთიერთ განსასხვავებლად, როცა ქვემდებარე და დამატება ფორმებით ემთხვეოდნენ ერთმანეთს (იხ. აკ. შ ა ნ ი ძ ე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თბილისი, 1964 წ.).

მშრომელთა პატივს-ვჰსცემ და დაუთმობ ამას და რვათავე დავაწესებ ბრუნვათა სახელისათა“ (გვ. 134).

რა თქმა უნდა, გულუბრყვილო არგუმენტია ერთი ზედმეტი ბრუნვის შემოტანის გასამართლებლად, მაგრამ ცოტა ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ მან ძალიან კარგად იცის შემასმენლობითის ზედმეტობა ქართულში.

წრფელობითი ბრუნვის რაობით იწყებს ანტონი.

ბრუნვათა დასაბამი არის წრფელობითი, თუმცა უფრო სამართლიანი იქნებოდა იგი წოდებულიყო სახელობითადო, ხოლო თვითონ წრფელობითი ეს არის სახელის მდგომობა უცვალებლად, მარტივად, მაგალითად: ცხოველი, კაცი, ფარნავაზ.

წრფელობითს მოსდევს ნათესაობითი, რომელიც გადმოგვცემს არა „არსისა არსებას“, არამედ არსებისაგან ქონებულსა რაიმესა.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმების განხილვისას ავტორი, როგორც ზემოთაც ვთქვით, ხუთ ძირითად ნიშანს წარმოგვიდგენს. ესენია: 1. **-ისი**; 2. **-ისა**, 3. **-ს**; 4. **-ჲსა**; 5. **-ჳსა**.

თანხმოვანფუძიანებს (საზოგადოცა და საკუთართაც) ნიშნად მოუდით **-ისი**, **-ისა** ან **-ის**. ა და ე-ზე დაბოლოებულნი დაირთავენ **-ისა** და **-ის** ნიშნებს.

ანტონი ცალკე გამოყოფს სახელს — „ს ი ტ უ ჭ ა“. რადგან ეს სახელი ა-ს მოიკვეცს და **ისა-ს** დაირთავს, ვღებულობთ „ს ი ტ უ ჳ ს ა“ (სიტუისა>სიტყჳსა). ეს სიტყვა ანტონთან ცალკეა განხილული და **ჳს**, დაბოლოება მასთან იმიტომაც მივიღეთ როგორც ერთ-ერთი ნიშანი ნათესაობითისა.

საინტერესო ფაქტია. ანტონმა იცის, რომ აქ რაღაც თავისებური მოვლენაა, მაგრამ ზუსტად ვერ ერკვევა ამ ფონეტიკური მოვლენის არსში. აი როგორ ინტერპრეტაციას იძლევა თვითონ: „...მაგრა მიზეზი ამისა ესე არს, ვითარმედ ასო კიდური ჭ იცუალების ასოდ ამად ჳ და კიდური თჳსი ა ესპობის ჩვეულებისამებრ“... (გვ. 135).

საინტერესო სურათს იძლევა ნათესაობითი მრავლობით რიცხვში. მისი ნიშნებია: 1. **-თა**; 2. **-თ**; 3. **-ებისა**; 4. **-ების**; 5-**ებთ**, 6. **-ებთ**; ანტონი აქვე დასძენს, ამ ნიშანთა გარჩევა აუცილებელია, რადგან მეორე ნიშანი წარმოდგა პირველისაგან. ხოლო მესამე (-ებისა) მაშინ გვაქვს ნათესაობითში, თუ წრფელობითში გვაქვს -ებ. თუ წრფელობითში გვაქვს **-ები**, იბრუნვის **-ების** ნიშნით.

ამრიგად, **-ებისა** და **-ების** ნიშნები ნაწარმოებნი არიან წრფელობითისაგან, ხოლო, თუ სადმე გვექნება ფორმა „ნ ა თ ე ს ა ვ ე ბ თ ა“ ეს იქნება წრფელობითისა და ნათესაობითის მრავლობითიო. ერთი სიტყვით, ანტონმა იცის, რომ **-თა** ნიშანი წრფელობითში არ გვხვდება, ამი-

ტონ მას ნათესაობითის მრავლობითს უწოდებს, აგრეთვე იცის, რომ, თუ ამ ფორმით ვაწარმოებთ ხმოვანზე გათავებული სიტყვების მრავლობითს, ისინი ბოლო ხმოვანს არ მოიკვეცენ (დ ე დ ა-თ ა), ი და ჯ-ზე დაბოლოებულნი კი მოიკვეცენო (კ ა ც-თა, მ ო გ უ ლ-თ ა); აგრეთვე ი და ჯ-ზე დაბოლოებული საკუთარი სახელები ისე იბრუნვიან, როგორც ხმოვანფუძიანები.

ამის შემდეგ ანტონი გადადის ნათესაობითის ფუნქციათა დახასიათებაზე. იგი აღნიშნავს, რომ ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული სახელი გვხვდება მსაზღვრელად და ისე, რომ იგი თავის ფორმასაც არ კარგავს და შეეთანხმება კიდეც სიტყვას მრავლობითში, მაგ.: „ძენი ლევისნი". ამ შესიტყვებაში „ძენი" (წრფელობითი მრავლობითისა) შეიწყობს „ლევისნი" ფორმას, რომელიც არის მხოლოობითიცა და მრავლობითიც. ამის გვერდით შეიძლება გვქონდეს ფორმა „ძენი ისრაელთანი", რომელშიც „ისრაილთანი" წრფელობითიცაა და მრავლობითიც ნათესაობით ბრუნვაში დასმული.

ანტონმა იცის, რომ ნათესაობითი მსაზღვრელად (განმათვისებელი) როცა შებრუნებულია, ე. ი. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი წყობითაა, იბრუნვის, როგორც შეთანხმებული მსაზღვრელი, თუმცა ასეთი თანხმობა არა გვაქვს დაწყებით ბრუნვასთანო; აგრეთვე სახელს შეიძლება ახლდეს რამდენიმე განსაზღვრება: „კაცმან მშვიდობისა ჩემისამან". აი, ანტონის მსჯელობაც: „ლექსი ესე მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა განმათვისებელ არს კაცმან ლექსისა, ხოლო ლექსი ესე ჩ ე მ ი ს ა გ ან განმათვისებელ არს მშვიდობისა და თანხმობილი არს მოთხრობითად ბრუნვილისა და ლექსისათანა, რომელა კ ა ც მ ა ნ და სხუანი" (გვ. 138).

მარტო ნათესაობითი არ შეიძლება ვიხმაროთ, გვაფრთხილებს ანტონი, რადგან ცალკე აღებული, ეთქვათ: „სიტყჳსა". არა ვიცით, თუ რაიმე არს „სიტყჳსა", მაგრა ოდეს იგი ითქვას, ვითარმედ „ლექსი სიტყჳსა", ანუ „ნაწილი სიტყჳსა", მაშინ შეგვექმნების ჩვენ იდეა განყოფითი, ვითარმედ „ნაწილი", ანუ „ლექსი", ქონებული არს „სიტყჳსა" (გვ. 138).

ნათესაობითის შემდეგ მოდის **მიცემითი** ბრუნვა, რომელიც აგრეთვე არ ნიშნავს „არსისა არსებას" „...არამედ მისდა მიმართებადსა რაიმესა, ესე იგი, საწადსა, ანუ სახედველს, ანუ მისაცემელსა, რომლისა ძლით ითქმის მიცემითად" (გვ. 138).

მიცემითის ნიშნებია: 1. -ს; 2. -ხა; 3. -დ; 4. -ად; 5. -და; 6. -დად; 7. -მი; 8. -მიმართ, 9. -მდე.

მიუხედავად ასეთი სიმრავლისა, ანტონმა შესანიშნავად იცის, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ პირველი ოთხი გამოიყენება, რა

თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მასთან მიცემით-ში გაერთიანებულია თანამედროვე ვითარებითიც.

აი რას წერს ანტონი ამის თაობაზე: „ჩვეულება არს ჩვენისამებრ ენისა, ვითარმედ ნიშანი 1, 2, 3, 4, ესრეთ უკვე იქმოდნენ ბრუნვასა მიცემითად“. (გვ. 138). აი ეს ნიშნებიც: ს; სა; დ; ად. როგორც ვხედავთ, აქ ზედმიწევნით სრულადაა წარმოდგენილი მიცემითისა და ვითარებითის ნიშნები.

ამის შემდეგ ავტორი მსჯელობს იმაზე, რომ მიცემითში სახელი არც იკვეცება და არც იკუმშება, თუ დაირთავს პირველ და მეორე (ს, სა) ნიშნებს, თანაც გახაზავს: „ორთავე ნიშანთა ამათ მიცემითისათა თანასწორობით მიიღებენ“ (გვ. 138). სწორია ანტონი, როცა შენიშნავს, რომ დ -ად ნიშნებიც ვერ კვეცენ ფუძის ხმოვანს. მაგრამ არაფერს ამბობს ამ ნიშნებთან ფუძის კუმშვაზე.

მრავლობით რიცხვში მიცემითის ნიშნად დასახელებულია -თ, -თა, -ებთ, -ებთა — ფორმები და ისიცაა ნათქვამი, რომ კვეცის თვალსაზრისით მიცემითი მრავლობითსა და მხოლობითში ერთნაირი არისო. როგორც სხვაგან, აქაც ანტონი გვაფრთხილებს -ებთ და -ებთა ფორმები მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა წრფელობითი მრავლობითს აწარმოებს ებ-ით.

ყველაზე უფრო საინტერესოდ შემასმენლობითი ბრუნვის განსაზღვრა-დახასიათებაა წარმოდგენილი.

როგორც ცნობილია, ანტონს ყველაზე დიდ შეცდომად ქართული ენის გრამატიკაში ამ ბრუნვის შემოტანას უთვლიდნენ. მაგრამ, თუ ანტონის გრამატიკას გულდასმით ჩავიკითხავთ, შეიძლება სრულიად სხვანაირი სურათი დავინახოთ. მოვუსმინოთ მას: „...შემასმენლობითი, რამეთუ სახელი იგი, რა წრფელობითი იკანკლედების ეს-გუარ, ვითარ-მედ არღა წრფელობითად დაჰნიშნავს არსისა არსებასა, არამედ შეასმენს ანუ საყვარელ ანუ საძაგელ და ანუ სხუა, რაიმე ყოფად ხატითა რაითამე სხვითა. მაგალითებრ: სარწმუნოება. ცნობა... გარნა არ შეიქმნების იდეა განყოფითი ამით მჰსმენლისა შორის ვიდრემდის არა ითქვას მაგალითებრ: მაქვს სარწმუნოება, შევიყვარე იაკობი, მოვიძულე ესავი“, და სხვა (გვ. 140). მთელი ეს მოსაზრება რომ ნაძალადევია, და „საბლით მოთრეული“, კარგად იცის ანტონმა და აქვე გვაწვდის საკუთარ აზრს: „ჰაზრი ესე არა ჩემი არს აწინდელი განჰსჯილი, არამედ ამისათვის სხვა არს აზრი ჩემი, რომელიც შემდგომთა შინა იჩვენების: არა არს ჩვენთა შინა საუბარ წერილთა შესაბამმშვენიერთა პოვნილ ბრუნვა ესე რომელა შემასმენლობითი და არც იპოვების გვარი რაიმე, რა შემასმენლობითად იბრუნოსმცა სა-

ხ ე ლ ი". ამის შემდეგ ანტონი კიდევ დიდ ადგილს უთმობს იმის მტკიცებას, რომ შემასმენლობითი ქართულს არა აქვს და ბოლოს ასკვნის: „ვინაითგან არა სირცხვილ არს ენისა მის მიმართ, რამეთუ სიტყვასა შინა ძიებად ნათესავისა დაეკვეთოსმცა წრფელობითი, ვითარ იგი ვჰსცანთ იტალიანთა და ფრანცისთამებრ ენისა და ოდესმე ლათინურისამებრცა, რა აყენებს, რამეთუ ჩვენისამებრ ენისა ძიებად ნათესავისამებრ სიტყვასა შინა იყოსმცა წრფელობითი და არა იძ უ ლ ე ბ ი თ ს ა ბ ლ ი თ ა მ ე ც ა დ ი ნ ე ო ბ ი ს ა თ ა მ ო ვ ა თ რ ი ო თ მ ც ა შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ო ბ ი თ ი" (ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

მიუხედავად ამისა, ანტონი ქართულში მაინც გამოყოფს ბრალდებით ბრუნვას, რამაც განაპირობა შემდგომი დროის მკვლევართა საყვედური[1].

სწორად ესმის ანტონს მოქმედებითის ფუნქციაც. იგი გადმოგვცემს არა „არსისა არსებასა", არამედ „საშუალო რაიმეს ერთისა რისთვისმე დასასრულისასა", ე. ი. რაიმე საშუალებას (ინსტრუმენტს, საგანს) რაიმეს შესასრულებლად. მოქმედებითის ნიშნებია: 1. -ითა; 2. -თა; 3. -თ; 4. -ჲთა; 5. -მიერ.

თ და მისი მსგავსი ნიშნები, რომ ხშირად გვხვდება ანტონთან ამის მიზეზია შემდეგი გარემოება: სიტყვაში „ფერით" ანტონი გამოყოფს „ფერი-თ" ელემენტს, ე. ი. „ფერი" სიტყვის ი ფუძისეულადაა გაგებული.

მოქმედებითის მრავლობითი -თა და თ ნიშნებით ხასიათდება. ეს ნიშნები აქვს მათ მხოლობითშიცო. მრავლობითში კი მაშინ გვაქვს, როცა წრფელობითი სიმრავლეს -ებ ნიშნით აწარმოებს: ე კ ლ ე ს ი ე ბ ი თ ა, მ ო ც ი ქ უ ლ ე ბ ი თ ა.

რადგან მოქმედებითის ნიშნად ანტონმა -მიერ გამოყო, საჭირო იყო მას დასძებნოდა მაგალითიცა და განსაზღვრაც. ავტორს შეურჩევია შემდეგი მაგალითები: მ ო ძ ღ უ ა რ თ ა — მ ი ე რ, წ ე რ ი ლ თ ა მ ი ე რ და იცის, რა რომ მოძღუართა და წერილთა მოქმედებითი არაა, წერს: „...ანუ პირველად იქცეს ნათესაობითად და მერმეღა იბრუნოს მოქმედებითად" (გვ. 144).

დ ა წ ყ ე ბ ი თ ი ბრუნვაც არ გადმოგვცემს „არსისა არსებასა, არამედ ქვემდებარეობასა მისსა რაიცაღ, ე. ი. ანუ წარმოობისა, ანუ გამოკრთოლვისა და ანუ აღხოცისა ქვე-მდებარედ, მაგალითებრ, ა ღ მ ო ს ა ვ ლ ი თ ნ ა თ ე ს ა ვ ი ს ა გ ა ნ, ს ა ხ ი ს გ ა მ ო" (გვ. 144). ბრუნვის

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1959 წ., გვ. 5.

ფუნქცია სწორადაა გაგებული, მაგრამ არის კი იგი ცალკე ბრუნვა?! მისი ნიშნებია: 1. -თი; 2. -თ; 3. -გან; 4. -გამო.

პირველი და მეორე ნიშანი დაწყებითის ყოველგვარი ცვლილების გარეშე ეკვრის წრფელობითსო და მაგალითებად ასახელებს: ევროპა-თ ქალაქი-თი. ნიშანი -თი დაწყებითის წარმოებისას მეწყვილედ ითხოვს მიცემითს -მდე და -ად ფორმით: ქალაქითი ქალაქამდე. ასეთი წყვილი ფორმები მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში გვხვდება და სხვაგან არასდროსო — სამართლიანად შენიშნავს ანტონი.

მესამე და მეოთხე ნიშნები პირდაპირ წრფელობითს კი არ დაერთვიან, არამედ ახლავენ ან ნათესაობითს, ან მოქმედებითს: ნათესაის აგან; სახისა-გამო, ორღანო-თ-გან და სხვა.

სრულიად სწორია ანტონის შენიშვნა ამ უკანასკნელი ფორმის გამო: იგი ჯერ მოქმედებითია და მერე აწარმოებს დაწყებითსო.

შემდეგი ბრუნვა **მოთხრობითია**, რომელიც გამოიყენება ქვემდებარედ და რომლის მრავლობითის ფორმა აქვს მიცემითსა და ნათესაობითსო — ორივე შენიშვნა ზუსტია და მეტად ფასეული. მოთხრობითს საკუთარი ნიშანი არა აქვს, არამედ ბრუნვის ნიშნადა აქვს ნაცვალსახელი -მან. იგი მესამე პირის ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმაა. რადგან, როგორც ადრე ვთქვით, ი ავტორს ფუძისეულად მიაჩნია, ამ ხმოვნის კვეცაზე აქაც ლაპარაკობს: კაც-ი-მან. სხვა მოთხრობითში არაფერი არ ისპობაო. მოთხრობითი ბრუნვის მრავლობით რიცხვს ორივე ფორმით იცნობს ავტორი. ჰსთქვით ქართველთა, კაც-ებ-მან.

ეს ბრუნვაც არ გადმოგვცემს „არსისა არსებას".

ქართული ენის პირველ გრამატიკაში მოთხრობითი ბრუნვის შემოტანა, მისი ფორმისა და ფუნქციის დადგენა უდიდეს მიგნებად უნდა ჩაითვალოს; განსაკუთრებით დიდია ეს აღმოჩენა იმ პირობებისათვის, რომელშიაც ანტონს უხდებოდა მოღვაწეობა — იგი ხელმძღვანელობდა იმ ენათა გრამატიკული ლიტერატურით, რომელთაც ეს ბრუნვა არ გააჩნდათ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ უფრო გვიან აკად. მ. ბროსემ, რომელმაც ქართული ენის გრამატიკა დაწერა ფრანგულად, ბრუნვათა რიცხვიდან ამოიღო მოთხრობითი, ძირითადად ევროპულ ენათა გრამატიკების გავლენით. ამავე ბრუნვის წინააღმდეგი იყო, როგორც ცნობილია, დ. ჩუბინაშვილიც და სულ ახლახან იგივე ბრუნვა ბრუნვათა რიგში არ შეიტანა კ. ჩხენკელმა გერმანულად დაწერილი ქართული ენის გრამატიკაში[1].

[1] Tschenkeli K. Einführung in die georgische Sprache, Bd. I (Theor. T.), Bd. II (Prakt. T.), Zürich, 1959 J.

მერვე ბრუნვაა წოდებითი, ისიც არ ნიშნავს „არსისა არსებას“. მისი ნიშანია ჶ და ო; ისინი შეიძლება ერთად შეგხვედნენ: ჶ მამაო. მრავლობითში გვაქვს წრფელობითის მრავლობითი, ბოლომოკვეცილი (იგულისხმება ი-ს მოკვეცა — ა. ფ.) მაგალითად: „ა რ ს ნ ო უ ო ვ ე ლ ნ ო“

ხშირად წოდებითის მაგიერ გამოიყენება წრფელობითი: ლაზარე, გამო გარე! და სხვა.

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

მკითხველი, ალბათ, შეამჩნევდა, რომ ნაცვალსახელებზე ანტონი ადრე შედარებით ზერელედ შეჩერდა. ბრუნებასთან დაკავშირებით ამ მეტყველების ნაწილზე ზემოთ ნაჩვენებზე მეტი არაფერია მართლაც ნათქვამი. მაგრამ სხვაგან, სადაც იგი მეტყველების ნაწილთა ფუნქციებს ეხება, ფართოდ განიხილავს მათ.

„არიან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწევროვანი ოხვრითა დაჰნიშვნენ პირობითადრე განრჩეულად არსებასა, მაგ.: მე, შენ, იგი, ესე, ეგ, ისი და სხვანი. ხოლო ესენი იწოდებიან ნაცვალსახელად“ (გვ. 120). მეორეგან ნაცვალსახელი ასეა განმარტებული: „ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა, განმრჩევი ზედწოდებით არსებისა პირობითად „და სხვაგან „ნაცვალსახელი ესე, მნიშვნელი პირობითად განმრჩევი არსებისა ვინაითგან ნაცვლად სახელისაცა მიიღების...“ (გვ. 148). ანტონი აზუსტებს: „ითქვა ვიფარმედ განმრჩევი ზედწოდებით არსებისა პირობითად, ამისათვის რომელ გვესმოდეს რა: მე, შენ, იგი პირობითად ზედწოდებით განირჩევის არსება და ცხად-იქმნების სამობით ქვემდებარება არსებისა“ (გვ. 148).

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია, ნაცვალსახელი არსების პირების მიხედვით გამრჩევია. მას ნაცვალსახელი იმიტომ ჰქვია, რომ იხმარება ნაცვლად სახელისა, რომელიც არის სახელდება-ნიშანი (გარჩევა) ყოველი არსებისა. როცა ვამბობთ — მე, შენ, იგი, პირების მიხედვით გამოვხატავთ არსებას და გასაგებს ვხდით არსების (ანუ საგნის მოვლენის) სამობით მყოფობას, იმას, რომ საგანი შეიძლება წარმოვადგინოთ სამ სხვადასხვა პირში.

პირის ნაცვალსახელთა განსაზღვრისას ანტონი წერს: „ნაცვალსახელისა ამის მიერ მე, იგულისხმება პირი, ანუ გვამი პირველი, რომელიცა არს მეთქვი... შენ, გულსხმებულ-გვიყოფს პირსა მეორესა, რომლისადმი არს თქმაი“... ხოლო ნაცვალსახელი იგ გულისხმობს მესამე პირს, „რომლისთვისაც არს თქმაი“ — „მე ვ ჰ ს წ ე რ, შ ე ნ ი კ ი თ ხ ა ვ, ი გ ი გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ს“ (გვ. 148).

ნაცვალსახელის ჯგუფებია: 1. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ა რ ს ე ბი-

თი — მე, შენ, იგ, ჩვენ ოქვენ, იგინი: 2. მ ო გ ე ბ ი თ ი[1] — ჩემი, შენი, მისი, თქვენი, მათი; 3. ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი — ეს, ეგ, ის, ანუ, ესე, ეგე, ისი.

ამ ჯგუფთან დაკავშირებით ანტონი იძლევა მეტად მნიშვნელოვან განმარტებას: „...ხოლო რაჟამს იგი ითქვას ესე, იჩვენების მახლობელი პირისა პირველისა, ე. ი. მეთქვასა და ოდეს ითქვას ეგე, იჩვენების მახლობელი პირისა მეორისა, როჟლისადმი არს თქმა, და ოდეს ითქვას ისი, იჩვენების მახლობელი პირისა მესამისა, რომლისთვის არს თქმა“ (გვ. 149).

4. კ ვ ლ ა მ ო ღ ე ბ ი თ ი — „...ნაცვალსახელად ზედწოდებული იგინი, რომელნი კა ნაცვლად წინამსრბოლისა სახელისა წარმოდგომით დაიდებიან და წამოაყენებენ წინა მსრბოლსა სახელსა. მაგ.: **რომელი**... „ცხოველ არს უფალი ღმერთი, რომელმან დამიცვა მე ანგელოსისა მისისა მიერ“. „სიტყვასა ამას შინა შესრული კვლამოღებითი, ე. ი. **რომელმან** ნაცვლად სახელისა წმიდისა **ღვთისა** დაიდების და წარმოაყენებს მას“ (გვ. 149).

ნაცვალსახელის ბუნება უთუოდ სწორადაა ახსნილი, თუმცა ტერმინი კ ვ ლ ა მ ო ღ ე ბ ი თ ი ვერ შემორჩა თანამედროვე ქართულს.

„მდევარნი ვიეთნიმე ნაცვალსახელთანი რიცხვსა შინა არიან ექვს“-1. ნათესავი, 2. ნაკვეთი, 3. სახე, 4. პირი, 5. რიცხვი, 6. ბრუნვა.

ამათგან ხუთი, ნაცვალსახელს საერთო აქვს სახელებთან, განსხვავებაა მეექვსეში — პირში.

ანტონის აზრით, ნაცვალსახელი იცვლება პირის მიხედვითაც.

პირის მიხედვით რომ ნაცვალსახელი იცვლებოდეს, მაშინ ყოველ ნაცვალსახელს უნდა შეეძლოს სამივე პირის მნიშვნელობით ფუნქციონირება, ვთქვათ, მე უნდა მიუთითებდეს სხვადასხვა შემთხვევაში როგორც პირველ, ისე მეორე და მესამე პირზე. ასეთი რამ კი, როგორც ცნობილია, არც ერთმა ენამ არ იცის.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაცვალსახელის პირის მიხედვით ცვალებად მეტყველების ნაწილად წარმოდგენა დიონისე თრაკიელიდან მოდის და მას იმეორებს ყველა შემდგომი დროის გრამატიკოსი.

ანტონის აზრით, ნაცვალსახელებს აქვთ ნათესავი სამი: საზოგადო, უმეშვეობითი და მდედრობითი, თუმცა ავტორი ამ აზრს არ ასაბუთებს.

ნაკვეთის მიხედვით ნაცვალსახელი შეიძლება იყოს მარტივი (მე, შენ) ან რთული (თვით-მე; თვით-შენ): შეიძლება იყოს ზე რთული (თვით იგი-ზიარი). სახე კვლავ ორია: პირველი სახე (ჩემი. შენი), სხმითგარდასვლითი (საჩემო, საშენო), მრჩობელ სხმით-გარდასვლითი (იგივეობა).

რიცხვიც ორი აქვს ნაცვალსახელს: მხოლოობითი და მრავლობითი.

ბრუნვის მიხედვით, ანტონის თქმით, ნაცვალსახელები არ განსხვავ-

[1] „მოგება“ ესე არს საქონლის შოვნა... (საბა).

დებიან სახელთაგან: „ბრუნვანი ნაცვალსახელთანი არიან მსგავსად სახელისა“ [1] (157), თუმცა ისიც იცის, რომ ნაცვალსახელთა ბრუნებას აქვს მრავალი თავისებურება, რომელთა საჩვენებლადაც ანტონს მოაქვს მრავალი მაგალითი და ნაცვალსახელთა ბრუნებას საერთო ჯამში ეთმობა სამჯერ მეტი ადგილი, ვიდრე სხვა სახელთა ბრუნებას ერთად აღებულს; ნაბრუნებია შემდეგი ნაცვალსახელები: **მე, შენ, იგი, ესე, ეგე, ის, ჩემი, მისი, თვისი, რომელ, ვინ, რომელიმე, ვინმე, ზოგი, რაიმე** და **მათი** — ამ ნაცვალსახელთა ბრუნება მოცემულია მხოლოობით რიცხვში. მრავლობითშია ნაბრუნები: **ჩვენ, თქვენ, იგინი, ესენი, ეგენი, ისინი, ჩვენი, მათი, თვისნი, რომელნი, ვიეთნი, რომელმენი, ვიეთნიმე, ზოგნი, რაიმენი.**

ამის გამო ანტონს არ გამორჩენია არც ერთი თავისებურება ნაცვალსახელთა ბრუნებაში და მისი განცხადება, რომ ნაცვალსახელთა ბრუნება სახელის ბრუნვებისგან არ განსხვავდებაო, უნდა გავიგოთ, რა თქმა უნდა, ფორმის ცვლისა და არა ფუძის ცვლის თვალსაზრისით, რადგან ნაცვალსახელებშიაც ბრუნვის ნიშნები აბსოლუტურად იგივე დარჩა. რაც სახელებში გვქონდა.

ანტონი საგანგებოდ მიუთითებს იმაზე, რომ ნაცვალსახელებს არსებითებს (ე. ი. პირის ნაცვალსახელებს) წრფელობითის შემდეგ ფუძე ეცვლებათ და ასევე ემართებათ ჩვენებითებსაც სამსავე პირში.

ანტონმა იცის, რომ პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელები (მრაელობითში) ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავენ (გვ. 153). ასევე იცის მან მე და შენ ნაცვალსახელთა ბრუნვა-ურთიერთობა. საგანგებოდ აქვს ანტონს მითითებული, რომ: „...სამთავე პირთა თვის ბრუნვისა შინა გვაქვს მცნობელობაი და გულისხმის-ყოფაი ვითარმედ ბრუნვათა შინა ასონი რომელნიმე ესპობიან და რომელნიმე ერთვიან, ესე ცნობაი მხოლობითისთვისცა და მრავლობითთა“ (გვ. 153). ანტონმა ისიც იცის, რომ ნაცვალსახელთაგან წოდებითი ბრუნვა მხოლოდ მეორე პირს აქვს.

მართალია, დღევანდელი თვალსაზრისით თუ შევხედავთ საკითხს, ანტონთან ხშირად არეულია ნაცვალსახელთა ჯგუფები მნიშვნელობის ნიხედვით (განსაკუთრებით პირისა და ჩვენებითი), მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ბრწყინვალედ გაართვა თავი სახელთა შორის ამ ყველაზე რთული მეტყველების ნაწილს და მისი ფორმაცვალების საკითხი ძირითადად სრულად და სწორად წარმოგვიდინა როგორც ძველი, ისე ახალი ქართულის თვალსაზრისით.

რატომღაც ნაცვალსახელების ბრუნვასთან ერთად განიხილავს ან-

[1] ამიტომ ვერ დავეთანხმებით ელ. ბაბუნაშვილის განცხადებას: „ნაცვალსახელი იბრუნეის, ოღონდ თავისებურად, ჩვეულებრივი არსებითი სახელისგან განსხვავებულად“ (ელ. ბაბუნაშვილი, დასახ. შრ., გვ. 121), ხაზი ჩვენია — ა. ფ.

ტონი რიცხვითი სახელის ბრუნვასაც. აი, მისი მსჯელობა: „იქმნების სახელებრ ბრუნვაი რიცხვთაცა —

მხ.	მრ.
წრფ. ერთი	ერთნი
ნათ. ერთისა	ერთთანი
მიც. ერთს	ერთთა
შემას. ერთი	ერთნი
დაწყ. ერთისგან	ერთთაგან
მოთხრ. ერთმან	ერთებმან
მოქ. ერთითა	ერთებითა
წოდ. ერთო	ერთნო

ამას წერს ანტონი „გრამატიკის“ მე-14 პარაგრაფში და ამის შემდეგ მიუღებელია ელ. ბაბუნაშვილის განცხადება: „რაც შეეხება რიცხვით სახელს, ანტონი მას არსად არ განიხილავს თავის გრამატიკაში“[1].

ვფიქრობთ, ანტონი სრულიად სწორად მოიქცა, როცა რიცხვითი სახელის შესახებ, სახელის სხვა ჯგუფებთან შედარებით, ცოტა თქვა, რადგან, როგორც ვიცით, რიცხვითი სახელის მორფოლოგია განსაკუთრებულს ახალს არაფერს იძლევა, ეს კარგად ჩანს თანამედროვე სასკოლო გრამატიკებიდანაც.

ზმნა

„...არიან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწეეროვანი ოხვრითა ჰნიშნენ ქვეშე დროისა მოქმედებათა ანუ ვნებათა არსებისათა: „ვ ე ს ა ვ“, „ვ ი რ წ მ უ ნ ე ბ“, „ჰ ს რ ბ ა“, „წ ე რ ა“, „ქ ვ ე თ ა“ და სხვანი ესეგვარნი ლექსნი იწოდებიან ზმნად“ (გვ. 121). მეორეგან ზმნა „არის“ „...ნაწილი სიტყვისა ცხადმყოფი არსების ყოფისა, ქმნათა და ვნებათა მისთა დროებითად“ (გვ. 155). ამ ორი განსაზღვრების შეერთება ასეთ სურათს მოგვცემდა: „ზმნა არის ნაწილი წინადადებისა, რომელიც წარმოადგენს ერთ ფონეტიკურ მთლიანს და გადმოგვცემს საგნის არსებობას, მოქმედებას ან ვნებას დროში გადმოცემულს“.

ანტონის აზრით, ზმნა შეიძლება ვაწარმოოთ სახელისგან (ვჰმყოფობ, ვჰსცხოველობ); ზედსართავისაგან (ვმოძღვრობ, ვორატო-

[1] ელ. ბაბუნაშვილი, ანტონ ბირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970 წ., გვ. 80—81; ხაზი ჩვენია — ა. ფ. ეგეკე აზრი გამოთქვა, იქნებ გაიმეორა ელ. ნიკოლაიშვილმაც (იხ. გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა გვ. 38).

რობ); სახელ-ზმნისაგან (ვაწყინებ, ვაყენებ); მიმღეობისაგან (ვჰმადიდებლობ. ვჰდიდებულებ) თანდებულისაგან (ვჰზესთაობ. ვჰპირის-ვჰპირობ); კავშირისაგან (ვჰმხოლოებ, ვჰნაცლოებ); შორისდებულთაგან (ჰვვალალებ, ვვაებ): დაბოლოს ზმნები იწარმოებიან ნაცვალსახელთაგან, რადგან ზმნას ყოველთვის ახლავს პირი. ერთი სიტყვით, ზმნა იწარმოება ყველა მეტყველების ნაწილთაგან, გარდა ზმნიზედისა: თუ რა დააშავა ამ უკანასკნელმა, უცნობია.

საგულვებელია ისიც, რომ ერთი და იმავე ზმნის ძირისგან შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა უღლების ზმნები. „შეუვარება" — ძირისგან შეიძლება მივიღოთ მეორე უღლების — „შევიყვარებ"; მეოთხესი — „შეევიყვარები"; მეხუთესი — „ვყვარობ"; მერვისა — „მიყვარს" და სხვანი. ასევე მრავალფეროვანი იქნება მისი ვნებითიც, რადგან ისიც, ჩვეულებრივ იმავე ძირისგან იწარმოება.

ზმნები იყოფიან პირიანებად (პირობითად) და უპიროებად. პირიანი ზმნა იყოფა სამი პირის მიხედვით. უპირო—განუსაზღვრელია. „ნაწილი ესე სიტყვისა პიროვანი... თვით თვისით სიტყვა არს მექონი ძალით (ე. ი. გულისხმობით) სახელთა უფლისაცა და საძიებოისა, მაგალითებრ: „ვჰსწერ". ამას შინა ჰპოებ უფალსა სახელსა, ე. ი. პირსა პირველსა და საძიებოსაცა ზმნისასა, ე. ი. რაიმესა" (გვ. 156). აქ სრულიად ნათლადაა ნათქვამი. რომ „ვწერ" ფორმა ორპირიანია და რომ პირველი პირი სუბიექტურია. ხოლო სხვა (საძიებო) „რაიმე" ობიექტური — შენიშნულია ზმნის მრავალპირიანობა.

და უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ, ანტონის აზრით, ყველაფერი ეს (სუბიექტისა და ობიექტის არსებობა) ზმნაში ისეა გადმოცემული, რომ მათი გამოხატვა ცალკე სიტყვებით აღარაა საჭირო.

ამით ისიცაა ნათქვამი, რომ ქართული ენის სისტემაში ზმნას რთული ბუნების გარდა, ღირებულების თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ზმნის განმარტებაში მთავარია დროის ფაქტორი, თუ ზმნა პირიანია, აუცილებლად რომელიმე პირს გადმოგვცემს.

ზმნას ემდევრებიან (ე. ი. ზმნის კატეგორიებია): 1. ნათესავი (გვარი); 2. ნაკვეთი (ახალი ზმნის ფუძის წარმოქმნა); 3. სახე (კონტაქტი); 4. რიცხვი; 5. პირი; 6. დრო; 7. სქესი (ქილო) და 8. უღლება (უღლება).

ზმნა იყოფა: არსებითად („ვარ", „ხარ"...); 2. შემოქმედებითად („შევიყვარებ"); 3. ვნებითად („შეევიყვარები"); 4. უმეშვეობითად (საშუალოდ — „ვჰგალობ"). უმეშვეობითი თავის მხრით, იყოფა ხატ-შემოქმედებითად და ხატ-ვნებითად.

ზმნის ასეთი დაყოფა ემთხვევა ნათესაეის ანუ გვარის კატეგორიას. თუმცა, როცა ცალკე იგი ნათესავის კატეგორიას განიხილავს, წერს: „ნათესავი ზმნათა იწვალების შემოქმედებითისად, ვნებითისად და უმეშვეობითისად[1] (გვ. 159), რაც ემთხვევა დღევანდელ მოქმედებითს, ვნებითსა და საშუალოს[2].

ნ ა კ ე თ ი ზმნას შეიძლება ჰქონდეს მარტივი („ვ ჰ მ ო ყ ვ ა რ ე ბ“). ჰრთული („ს ი ბ რ ძ ნ ი ს-ვ მ ო ყ ვ ა რ ე ბ“) და ზედდადებულისად („გ ა ნ ვ ჰ ს ჯ ი“, „წ ა რ ვ ჰ ს წ ე რ): შესაძლებელია ზედ-ჰრთულიც („კ ე თ ი ლ-ს ი ბ რ ძ ნ ი ს-ვ მ ო ყ ვ ა რ ე ბ“).

როგორც უბრალო შეხედვითაც ჩანს, ლაპარაკია ახალი ფუძის წარმოქმნაზე ორი გზით: ფუძის გაორკეცება-გასამკეცების გზით (მარტივი და საპირისპირო: ჰრთული, ზედ-ჰრთული) და ზმნისწინის დართვით (ზედდადებულისად).

ანტონი ასე განმარტავს თითოეულ მათგანს: „ითქმიან ესენი, ჰრთულ, ვითარმედ ორთა იდეათა არსთასა და ანუ მოქმედებათა და ვნებათა მათთასა შეგვიქმენ, მაგალითებრ: შეუყვარება და სიბრძნე (სიბრძნის მოყვასი) მოგვართმენ სხვასა იდეასა. ეგ-სახედ მჭევრი და მეთქვეობა (მჭევრმეთმეობ). სახელი და დადება (სახელდებ)... ხოლო დაღათუ შევრთჲთ რა ურთიერთმანეთს და ორობასა მათსა დავაერთლექსებთ და ჰრთულ-ვყოფთ, მარა ორთავე იდეათა შეგვიქმენ“ (გვ. 159).

მაშასადამე, ვთქვათ „ს ა ხ ე ლ ი“ და „დ ა დ ე ბ ა“ თვითეული ცალ-ცალკე ცნებას გადმოგვცემენ და თუ მათ ერთ ფუძეში შევაერთებთ სულერთია, ისინი მაინც ორ იდეას (ორ ცნებას) შეგვიქმნიან. ასევე შეგვეძლო გვეთქვა სამფუძიან კომპოზიტებზედაც.

რაც შეეხება, ზედდადებულს, იქ მდგომარეობა სხვანაირია: „ესენი („განვჰსჯი“, „დავჰსდებ“...) ითქმიან ზედდადებულად, რამეთუ ზმნაი, თუ სადმე იყოსმცა მარტივ შეგვიქმნის იდეასა მარტივსა. გარნა ოდეს კერძოკნი ეს სახენი ზედ-დაედვნესმცა, შესაბამებისაებრ მისისა, მაშინ ანუ ცვალების მნიშვნელობაი თვისი ანუ ეორკეცების და იდეანმცა იორკეცოს ჩვენს შორის. ხოლო თუ სადმე კერძოკნი თავით თვისით მოიღებოდენმცა მნიშვნელად, მაშინ იორკეცების მნიშვნელობა იგი და იქმნების ვითა ჰრთულ ...ხოლო უკეთუ კერძოკნი თავით თვისით მნიშვნელობისა არ იყვნენ მოღებულ რომელნიმე ამათნი აორკეცებენ ზმნათა მნიშვნელობასა და იდეასა შეორკეცებულ შეგვიქმენ.

[1] პირველ გრამატიკაში პირის ჭონაზეცაა ლაპარაკი, მაგრამ რატომღაც მეორე გრამატიკაში იგი აღარ ჩანს. იქნებ იმიტომ, რომ ანტონის გაგებით ზმნაში შედის უპირო ფორმებიც.

[2] ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

რომელნიმე ავითარებენ, რომელნიმე ჰსცვალებენ და ოდესმე დაიდებიან სამკაულად მათდა“ (გვ. 159).

პირველთ, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეთ, განეკუთვნებიან: **უკან, ქვე, ზე, ზესთ, გარე, წინა, ნაცვალ...** (გარეაქცევ, ქვემოვიღებ...) და სხვა.

ესენი მაორკეცებელნი არიან, რადგან თვითეულ მათგანს ცალკე მნიშვნელობაც აქვთ და კერძოკნი დამნიშვნელნიც ჰქვიათ.

მეორენი, რომელნიც დამოუკიდებლად მნიშვნელობის მქონენი არ არიან, ორ ჯგუფად გაიყოფიან, რადგან ზოგჯერ მრჩობლ იქმნებიანო. მხედველობაში აქვს მარტივი ზმნისწინები: **ად, შთა, გა, გან, მი, მო, შე, წარ, და, გარდა;** და რთული ზმნისწინები: **გარდამო, წარმო, შთამო, მიდმო** ანუ **მიმო, აღმო, შემო, გამო, განმო.**

პირველი ჯგუფის კერძოკნი, როგორც დამოუკიდებელი სიტყვები, როცა ზმნას დაერთვიან, რთული ზმნების მსგავსად. ორკეც იდეას შეგვიქმენ. ხოლო მეორენი, რომელნიც არ არიან სიტყვები და არიან მხოლოდ „ნიშანნი ზმნების მამრჩობლებლად და მაორკეცებლად გამოიყენება“ (160). ამავე კერძოკებზე ნათქვამია, რომ „კერძოკნი ესე დაღათუ თვით თვისით არიან უნიშნონი, არამედ არიან დამნიშვნელისამი, ესე იგი ზედდადებითა სხვათა ნიშნოვანთათა და მცვალებელნი მათისა მნიშვნელობისა“ (იქვე).

ერთი სიტყვით, ანტონი მსჯელობს როგორც მნიშვნელობის ცვლაზე ზმნისწინების დართვით, ისე გამრჩოლება-გაორკეცებაზე. განვითარებაზე და სამკაულად გახდომაზე.

ძნელი გასაგებია: ანტონმა იცის ზმნისწინის ყველა ფუნქცია და გამრჩობლება, გაორკეცება, განვითარება თუ სამკაულად გახდომაც ამას გულისხმობს, თუ მან მხოლოდ მნიშვნელობის ცვლის ფუნქცია შენიშნა და ყველა ჩართული ტერმინი მხოლოდ მრავალსიტყვაობაა.

ერთი კი ფაქტია, როგორც ირ. ვეშაპიძეც აღნიშნავს[1], ანტონმა, ყველა ზმნისწინი (მარტივებიცა და რთულებიც) შენიშნა, გამოყო, გამოაცალკევა თანდებულთაგან და იმ ზმნისწინთაგან, რომლებიც ზმნასთან ერთად არიწერებიან (დღევანდელი გაგებით ზმნიზედებისგან).

რიცხვიორი აქვს ზმნას: მხოლობითი და მრავლობითი. აქვე ანტონი შენიშნავს, რომ ჩვენს ენასო შეუძლია ერთ ფორმაში გადმოგვცეს ისეთი მოქმედება, რომელშიც მოქმედი ერთია, ხოლო სამოქმედო შრავალი (მიყვარან). ასეთი შესაძლებლობა აქვს ყველა მოქმედებით გვარის ზმნას ოთხივე სქესში (ცილოში).

[1] ი. ვეშაპიძე, ზმნისწინები ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, თსუ, შრომები, 99, თბ., 1961 წ., გვ. 4—8.

ავტორი იცნობს რიცხვნაკლებ ზმნებს. ესენი არიან „...პირნაკლნი მეექვსისა ხატისა ქვეშენი (რომელნიც), ნიადაგ მხოლოობითობასა შინა ჰგიან„ (გვ. 162).

უჩინო სქესის ფორმებიც არ დაიმდევრებენ მრავლობითს რიცხვს, ამასთან მათ საერთოდ არა აქვთ პირი.

საინტერესოა „ე ჰ მ უ ს რ ა ვ“ ზმნის გარშემო გამოთქმული მოსაზრება. იგი თვით გადმოგვცემს მრავლობითს, თუმცა რაიმე ნიშანი არა აქვსო (იქვე).

ს ქ ე ს ი ხუთია: 1. ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი (თხრობითი), 2. ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი, 3. ს ა წ ა დ ი (ნატვრითი), 4. ვ ი პ ო ტ ე ტ ი კ ა (უკუთუობითი“) და უ ჩ ი ნ ო (განუსაზღვრელი), რომელიც აერთებს შემდეგ ფორმებს: „კ ვ რ ა დ“, „კ ვ რ ა დ ი“: მიმღეობას — „მ კ ვ რ ე ლ ი“, „შ ე კ რ უ ლ ი“. „შ ე ს ა კ ვ რ ე ლ ი“; სახელზმნას — „კ რ ვ ა“.

„ოდეს ზმნანი, ანუ ყოფასა არსებათასა და ანუ მოქმედებათა და ენებათა მათთასა ცხად-ჰყოფენ დანიშვნით, რომელსა შორის ყოველნი დრონი მათნი ცხადად და პირობითად განრჩეულობენ მოქმედებისა ანუ ვნებისა ჩვენებითა და არა რაიმეთა თუობითა მოკიდებულობენ, მაშინ წოდებულ სქესი საზღვრებითი“ (გვ. 165—6).

ე. ი. თხრობითი კილოსათვის მთავარია, რომ ყოველი მოქმედება, თუ ვნება გადმოცემული იყოს ცხადად და უთუოდ.

ხოლო „უკეთუ ზმნათაგან მოქმედებანი და ვნებანი დაინიშვნიან უცხადოდ, ე. ი. ბრძანებისა, ანუ ვედრებისა, ანუ მასწავლებლობისა, ანუ თხოვისა ქვემდებარედ დაიდების არსება. რომელიმე პიროვანი, მაშინ სქესი იგი იწოდების ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა დ...“ (გვ. 166).

ანტონი აქვე შენიშნავს. რომ ბრძანებითის II პირი უდრის ნამყოს სრულს, ხოლო III — მყობადს (დღევანდელი კავშირებით მეორეს). ბრძანებითი შეიძლება იყოს წარმოთქმითი და უკუთქმითი.

„...უკეთუ ზმნათაგან მოქმედებანი და ანუ ვნებანი დაინიშვნიან უცხადოდ ე. ი. წადილისა ქვემდებარედ დაიდებიან რომელნიმე არსებანი პიროვანნი, მაშინ სქესი იგი წოდებულ ს ა წ ა დ ა დ“ (იქვე).

„...უკეთუ მოქმედებანი ...დაინიშვნიან უცხადოდ თუობითის ქვემდებარედ... მაშინ სქესი იგი წოდებული ვ ი პ ო ტ ე ტ ი კ ა დ ანუ თ უ ო ბ ი თ ა დ.

ვიპოტეტიკა საწადისაგან განირჩევა შორისდებულებით: ვაშათუ, ნეტართუმცა (იქვე).

ხოლო „...უკეთუ ზმნათაგან მოქმედებანი და ვნებანი განირჩევიან ცხადად არსებათა მიერ ურიცხვოდ და უპიროდ, სქესი იგი წოდებული გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ე ლ ა დ, ანუ უ ჩ ი ნ ო დ, მაგალითებრ: ყ ო ფ ა დ, ს მ ა დ, ჭ ა მ ა დ. წ ე რ ვ ა დ. და სხვანი“, მას აქვს მხოლოდ აწმყო და

მყობადი და ვერ განასხვავებს გვარს, მაგრამ, თუ ცალკეა, „...მაშინ ვნებითი ჯერ არს განრჩევად უხმოისა ამის მიერ რომელია ვ. რამეთუ ესე იოანე ფილოსოფოსისაგან ქმნული კანონი არს: „ჰ ა მ ე ვ ა დ“, „წ ე რ ვ ა დ“ „შ ე წ ი რ ვ ა დ“ (გვ. 168-9).

ს ა ხ ე (ანუ კაუზატივი?). ჯერ საჭიროა დავაზუსტოთ ამ კატეგორიის არსი.

ელ. ბაბუნაშვილის აზრით, „სახე“ ანტონთან ნიშნავს ზმნის ფუძეს: „ზმნის ფუძე („სახე“) შეიძლება აგრეთვე იყოს „პირველსახე“ (ვბრწყინავ, ვჰსჭამ) და „სხმითგარდასავლითი“ (ვაბრწყინებ, ვაჭამებ)[1]. მას „სახე“ ფუძედ აქვს გაგებული სახელებთანაც (გვ. 84), და ფუძედვე გაუგია „ნაკვეთიცა“: „ფუძე სახელის („ნაკუწთი“) ორივე რედაქციის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი, თუ ის სხვა სახელს ან ზმნის ძირს არ უკავშირდება (კაც, კეთილ...), რთული, თუ ორი სახელი ერთმანეთს ერთი მთლიანის აღმნიშვნელად დაუკავშირდება“ [2].

ჩვენი აზრით, აქ ზოგი რამ დაზუსტებას მოითხოვს.

სინამდვილეში ანტონი სახელებთან „სახეში“ ფუძის წარმოებასაც ვულისხმობს და ერთიმეორეს უპირისპირებს მარტივ ფუძეს (ძირი) — პირველ სახე და ნაწარმოებს — სხმით-გარდასავლითი. იქვეა ჩამოთვლილი წარმომქმნელი აფიქსები და წარმოქმნის შედეგად მიღებული ჯგუფები.

ნაკვეთში, უეჭველია, იგულისხმება თხზვა. ამ „კატეგორიაში“ ერთიმეორეს უპირისპირდება კვლავ მარტივი ფუძე, ერთი მხრით, და რთული (ორი ფუძისგან შედგენილი) ან ზერთული (სამი ფუძისგან შედგენილი), მეორე მხრით.

მსგავსი მდგომარეობაა ზმნასთანაც. სახელისდარად ზმნაც იძდევრებს „სახესა“ და „ნაკვეთს“.

„ნაკვეთი“, როგორც ვნახეთ, მარტივისა და რთული ფუძის შეერთებას (თხზვას) გულისხმობს.

რაც შეეხება „სახეს“, იქ მდგომარეობა უფრო რთულია.

ანტონის თქმით, „სახესა ზმნათასა აქვს წვალებაი ორთა მიმართ რაიმეთა, ესე იგი პირველსახისადმი და სხმით-გარდასავლითისა. პირველი სახე არს თქმანი ესე „ვ ჰ ს წ ო ვ“, „ვ ჰ ს ვ ა მ“, „ვ ჰ ს ც ე ნ დ ე ბ ი“, ხოლო სხმით-გარდასავლითი არს რომელიცა პირველ სახეობისგან გარდავალს სხვისა მნიშვნელობისა მიმართ და მოქმედებასა არღარა დაჰნიშნავს უსაშველოდ. მაგალითებრ: „ვაწოებ“, „ვასმევ“, „ვაცენებ“ და სხვანი“. ხოლო იქცევის სხმით-გარდასავლითი მრჩობელი-სხმით გარ-

[1] ელ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970 წ., გვ. 135.

[2] იქვე, გვ. 111.

დასვლითად მაგ.: „ვაწროებინებ“, „ვასმევინებ“, „ვაცემინებ“ და სხვა ხაზგასმა ავტორისაა — ა. ფ. გვ. 160).

ე. ი. „სახე“ მოიცავს ზმნის „მდგომარეობას“, „ფორმას“ — პირველსახესა და სხმით-გარდასვლითს. პირველსახეა: „ვსწრ ო ვ“, „ვ ა ც ე ნ დ ე ბ ი“... სხმით-გარდასვლითია — „ვ ა წ რ ო ვ ე ბ“, „ვ ა ც ე ნ ე ბ“... და პირველსახისგან გადავა სხვა მნიშვნელობაზე, თანაც მოქმედებას „ა ღ ა რ ა დ ა ჰ ნ ი შ ნ ა ვ ს უ ს ა შ უ ა ლ ო დ“.

აქ, ვფიქრობთ, აშკარადაა ნათქვამი, რომ სხმით-გარდასვლითი მოქმედებას დანიშნავს შუალობით.

მაშასადამე, ერთი მხრით, მოქმედება უშუალოდ და, მეორე მხრით,—შუალობით. ამიტომ გაუმართლებელია აქ „ფუძე“; ანდა „ფუძე“ რარიგად შეიძლება იყოს ზმნის კატეგორია? („მდევარი“ ხომ „კატეგორიის“ ადეკვატური ტერმინია ანტონთან).

დასკვნა მხოლოდ ასეთია — „სახე“ კაუზატივია, თუმცა უფრო რთულად გაგებული, ვიდრე იგი თანამედროვე ქართულ გრამატიკებშია მოცემული. ამ კატეგორიასთან ერთად მოცემულია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ანტონს შუალობითი ფორმები სამპირიანად აქვს გაგებული: „შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ზ მ ნ ა პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ხ ე თ ვ ი ს ს ა ქ მ ე ს ა ს ხ ვ ი ს ა მ ი მ ა რ თ დ ა ჰ ნ ი შ ნ ა ვ ს (ო რ პ ი რ ი ა ნ ი — ა. ფ.) დ ა ს ხ მ ი თ-გ ა რ დ ა ს ვ ლ ი თ ი, ა რ ა თ უ თ ვ ი ს ს ა მ ა რ ტ ო დ, ა რ ა მ ე დ თ ვ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ი ს ა ს ს ხ ვ ი ს ა დ მ ი (ს ა მ პ ი რ ი ა ნ ი—ა. ფ.). მ ა გ.: ვ ა ს ვ ა მ, ე ს ე ი გ ი ა რ ს ა მ ა ს რ ა ი მ ე ს ა, მ ა ს ვ ი ს მ ე ს ხ ვ ა ს ა ვ ა ს ვ ა მ დ ა ა მ ი ს თ ვ ი ს წ ო დ ე ბ უ ლ ა რ ს ს ხ მ ი თ-გ ა რ დ ა ს ვ ლ ი თ ი“ (გვ. 38).

პირველი სახისგან სხმით-გარდასვლითი ა ხმოვნით იწარმოება („ვ ს ვ ა მ“ — „ვ ა ს ვ ა მ“). ინებ-იც აქვს სხმით-გარდასვლითს „მაკეთად“ (ვასმევინებ), თუმცა „ა ს ა შ უ ა ლ ო და ბ ო ლ ო დ ‘ ი ნ ე ბ მ ა რ ც ვ ა ლ აქვნ მ რ ჩ ო ბ ლ-ს ხ მ ი თ გ ა რ დ ა ს ვ ლ ი თ ს ა“ (იქვე).

სხმით-გარდასვლითს ჩვეულებრივ მოქმედებითი და უმეშვეობითი (საშუალო) გვარის ზმნები აწარმოებენ, თუმცა ეს ფორმები უჩვეულო არ არის ვნებითებისთვისაც (გაანალიზებულია ვნებითი („შ ე ვ ი კ ვ რ ე ვ ი ნ ე ბ ი“). სხმითგარდასვლითს არჩევს უჩინო სქესის ფორმებიც (სახელზმნა და მიმღეობა).

ზოგ ზმნასთან (მაგ.: „ვ რ ო ნ ი ნ ე ბ“) გარეგნულად გვაქვს მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი, მნიშვნელობით კი — არა.

პ ი რ ი სამია: „ვინც უბნობს“ — მე, „ვისადმიც არს უბნობა“ — შენ და „ვისთვისაც არს უბნობა“ — იგი. ყველა ზმნა ვერ იგუებს სამსავე პირს — ისინი იწოდებიან პ ი რ ნ ა კ ლ ზმნებად. პირი შეიძლება აკლდეს, როგორც პირველი, ასევე მეორე და მესამეც.

პირნაკლ ზმნებში ანტონი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, დღევანდელი გაგებით ობიექტური წყობის ზმნებს („გ-ხ ა ტ ა ვ“, „გ-ხ ა ტ ა ვ ს“, „მ-ხ ა ტ ა ვ“, „მ-ხ ა ტ ა ვ ს“), „თ ო ვ ს“, „თ ე ნ დ ე ბ ა“ ტიპის ზმნებსა და ბრძანებითი კილოს ფორმებს, რომელთაც ჩვეულებრივ პირველი პირი არა აქვთ.

ზმნის შედგენილობაში ერთდროულად გამოიყოფა: 1. ძირი; 2. ასოები მაუღლებელნი; 3. წიგნნი მაპიროვნენი[1] და 4. ნიშანნი მამრავლენი (მაგ.: შე-ვ-ჰკრ-ავ-თ ზმნაში ვ მაპიროვნეა., ა მაუღლე, თ მამრავლე და კრ ძირი (გვ. 170).

პირის ნიშნები კილოების მიხედვით შეიძლება სხვადასხვა იყოს.

თხრობით კილოს (საზღვრებით სქესს) აწმყოში პირის ნიშნად მოუდით: I-ში ვ, II-ში ვ-ს შემდგომი ასო დასაწყისში, ხოლო მესამე პირის ნიშანი ბოლოშია და ხან ს გვაქვს, ხან — ნ.

აქ ყურადღებას იქცევს მეორე პირის ნიშნის საკითხი: ის, რომ პირის ნიშნად მიჩნეულია ვ-ს შემდგომი ბგერა (ასო) გამომდინარე პირველი პირის ფორმიდან (მაგ.: ვ-წერ ფორმაში ვ პირველი პირის ნიშანია. მეორე პირში ნიშნად იგულისხმება მისი მომდევნო ასო). ერთი სიტყვით, მეორე პირის ნიშნად მოსალოდნელია ქართული ენის თითქმის ყველა ბგერა, რადგან თითქმის ყველა მათგანია მოსალოდნელი ვ-ს მომდევნოდ პირველ პირში. ორიოდე მაგალითში ანტონი მართლაც უშვებს ასეთ შესაძლებლობას და „შ ე-ვ-ი-ყ ვ ა რ ე ბ“ ფორმაში ი-ს მიიჩნევს II პირის ნიშნად, ხოლო „დ ა ვ ვ ა რ დ ე ბ ი“ ფორმაში ვ-ს (გვ. 171). მაგრამ მიუხედავად ამ მაგალითებისა, ანტონმა შესანიშნავად იცის, რომ საკითხი ასე არ უნდა იქნეს გაგებული. უფრო მეტიც, ამ განსაზღვრაში მას ქვეცნობიერად მითითებული აქვს ე. წ. ნულ ფ ო რ მ ა ზ ე, თუმცა მის სწორ მეცნიერულ კვალიფიკაციას ვერ იძლევა.

იმავე პირებში მრავლობითი რიცხვის ნიშნებად გვევლინებიან I-სა და II-ში თ, ხოლო III-ში ენ, უნ, ან, ყე, ნ.

ზმნათა ერთ წყებას პირის ნიშნებად მოუდით მ და გ I-სა და II პირში შესაბამისად („გ-ჰ რ წ ა მ ს“, „გ-წ ა დ ს“): ლაპარაკია იმაზედ, რომ მეორე პირში გვაქვს მ („მ-ყ ო ფ“) გვ. 175—176). მესამე პირში კი აქვთ „ჰ ს-წ ა დ ს“, „ჰ-რ წ ა მ ს“, „უ-ყ ვ ა რ ს“, ე. ი. ზოგჯერ გვრჩება იგივე თანხმოვნები, რაც მეორე პირის ძირს ჰქონდა, (ანუ ნულ-ფორმა), ან ჰ ბგერას ემატება ს („ჰ ს-წ ა დ ს“), ან უ და ე („უ-ყ ვ ა რ ს“, „ე-ხ ი ლ ა“). მრავლობითი რიცხვის ნიშნად (ანუ როგორც ზუსტად უწოდებს ანტონი მამრავლებად) I-ში აქვთ გუ, გჳ., II-ში თ, გ, პირის ნიშანთან ერთად („გ-რ წ ა მ-თ“).

[1] აქაც „წიგნი“ და „ასო“ ტოლფარდოვანი კი არ არის, არამედ ერთმანეთს უპირისპირდება.

ცალკე უნდა აღინიშნოს ანტონის არაჩვეულებრივი ლინგვისტური ალღოს ნაყოფი: „...არს ზმნაი რომელიმე აწმყოჲ საზღვრებითისავე სქესისა, უმეშვეობითი, რომელსა აპიროვნებს ხ, პირველსა პირისა ნიშანსა ზედა დადებული, მაგალითებრ: ხუალ, და მრავლობითადცა ეს-გუარვე აპიროვნებს, მაგალითებრ: ხუალთ, რომლისა მესამე პირი იხილვების მრავლობითად სხვითა ნიშნითა, მაგალითებრ: ვლელან, და ხხუანი“, ჰ-ნიშანი ზმნას შეიძლება მოუვიდეს მესამე პირში დამოუკიდებლად („მ-ს უ რ ს“, „გ-ს უ რ ს“, „ჰ-ს უ რ ს“), ზოგჯერ ჰ-ს ემატება ხ („მ-წ უ უ რ ს“, „გ-წ უ უ რ ს“, „ჰს-წ უ უ რ ს“).

როგორც ცნობილია, პირის ნიშნის ეს ორმაგი ვარიანტები დამწერლობის ძეგლებითაა დადასტურებული და იმ დროინდელია, როცა ჰაემეტრბის ჰ გადადიოდა ს-ში[1].

ყველა ჩამოთვლილი ნიშანი გვაქვს აწმყოში. ნამყო სრულსა და უსრულში ზოგი სხვა ნიშანიც გვაქვს: მაგ.: ნამყო უსრულში საწადსა და ვიპოტეტიკაში მრავლობითი რიცხვის III პირში გვაქვს ედ (გვ. 184). ნამყოს ნიშნად აქვს ა („ჰ ს წ ე რ ა“, „ქ უ ე თ ა“) და ო („გ ა ნ ჰ ყ ო“), ხოლო მამრავლად III-ში ს („ჰ ს წ ე რ ე-ს“, „ჰ ქ უ ე თ ე-ს“[2]) ვნებითი გვარის ზმნებს კი: ენ, ნენ, ნეს (მაგალითები არ ახლავს, გვ. 197).

სხვა ნიშანიც გვაქვს მამრავლად ვნებითისათვის — ნედ („შ ე ი ყ ვ ა რ ნ ე დ“) და ნენ („ი ნ ე რ გ-ნ ე ნ“), (გვ. 196).

თუ ყველა ჩამოთვლილ ნიშანს სქემის სახით წარმოვადგენთ, ასეთი სურათი გვექნებოდა.

პ ი რ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი

მხოლობითი	მრავლობითი
I ვ, მ ————	I ვ, გუ, გვ ———— თ
II ი, ხ, გ, ჰ ————	II ი, ხ, გ, ჰ ———— თ
III ჰ, ჰს, უ, ე————ს, ა, ო, ნ	III————ნ, ედ, ნედ, ს, ენ, ნედ, ნეს ყე, ჭყნ, ჯნ

როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია თითქმის ყველა ნიშანი, რომლებიც დღეისთვისაა ცნობილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა დღევანდელი ინტერპრეტაციითა და გააზრებით, უპირველეს ყოვლისა, ანტონთან მასალის ანალიზის სიმცირე შეიმჩნევა. იგი ვერ გაერკვა იმ ზღვა ფორმებში, რაც ქართული ენის ზმნის პირისთვისაა დამახასიათებელი, მაგ-

[1] იხილეთ, ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, თბ., 1971 წ., გვ. 19—24.

[2] ასეთ და მსგავს მაგალითებში, როცა მწკრივის ნიშნად ე ხმოვანი გვაქვს მართლაც, ძნელია სხვაგვარი დასკვნის გამოტანა.

რამ თავისთავად ფაქტი ზმნის თითქმის უველა ნიშნის გამოყოფისა, უდიდეს ენათმეცნიერულ აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს.

ანტონმა მოგვცა ობიექტური მაჩიროვნენი სრულად, მაგრამ ვერ გათიშა ისინი სუბიექტურთაგან.

მრავალი ზმნის აგებულებაში გაურკვეველობამ ანტონი აიძულა მაპიროვნე ნიშნებად გამოეყო: ნეს, ნედ, ჭშნ, ჯნ და სხვა, თუმც ზოგი ზმნის ფუძეს მშვენივრად შლის:

I შე-მ-ე-კრ-ა	შე-გჭშ-კრ-ა
II შე-გ-ე-კრ-ა	შე-გ-ე-კრ-ა-თ
III შე-ე-კრ-ა	შე-ე-კრ-ა-თ

(პარ. 267).

ავტორის ლინგვისტური ინტუიციის დიდ უნარზე მიუთითებს ხ და ჰ. ჰს — პრეფიქსების გამოყოფა II და III პირისათვის.

უ ღ ლ ე ბ ა მეტად ფართოდაა წარმოდგენილი ანტონის გრამატიკაში. ამ კატეგორიის არსის გამოსაელენად აღებულია მოქმედებითი გვარის ზმნა. იქვეა მოცემული ამავე ზმნის ვნებითი (თუ ასეთი აქვს) ან სამუალო (უველა კილოში). მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვთ უღლების რვა სახე მაუღლებელი ბგერებით: ა, ე, წ, ი, უ, ო, ჯ, ჭ. ამავე ხმოვნებს მიიღებენ უმეშვეობითნი (სამუალო გვარი) ზმნებიცა და ვნებითნიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელნი დაირთავენ შავნებითებელ ი-ს („ვ-უ-ვ ა რ-ო ბ“, „ვ-ი-უ ვ ა რ-ე ბ ი“).

პ ი რ ვ ე ლ უღლილებას აქვს 7 ხატი. 1. ხატი „აწმყოში („შ ე ვ კ რ ა ვ“) ნამყო სრულში შუაზე მიიღებს ა ხმოვანს („შ ე ვ კ ა რ“), ხოლო მყოობადში ა-ს ბოლოში დაირთავს („შ ე ვ კ რ ა“); 2. ხატი აწმყოში მიიღებს კლავ ა-ს („ვ ე ს ა ვ“), ნამყოში დაირთავს ვ-ს („ვ ი ე ს ვ ე“), ხოლო მყოობადში — ო-ს („ვი ე ს ვ ო“) და ასე შემდეგ.

თუ პირველ უფლებას 7 ხატი აქვს, მეორეს აქვს 15; მესამეს — 7; მეოთხეს — 10; მეხუთეს — 8; მეექვსეს — 4: მეშვიდეს — 1; მერვეს — 7.

ძნელია იმის დადგენა, თუ რა პრინციპს ემყარება უღლებაში ხატების გამოყოფა. მაუღლებელი ნიშნებიც არაა ყოველთვის ერთი ღირებულების: იგი ხან თემისნიშნისეული ხმოვანია („ვ ე ს-ა ვ“; „ვ ი რ წ-მ უ ნ ე ბ“), ხან — ფუძისა „ვ ჰ რ ე კ“, „ვ ჰ ზ ე ზ“), ხან პირის ნიშანი („მ ი ნ დ ა“).

უღლებას ანტონი იწყებს „არის“ ზმნით“, მისი ტერმინოლოგიით „ორსებითით“.

თვალსაჩინოებისათვის ჩვენ მოვიტანთ ორიოდე ზმნის უღლებას ანტონისეული სქემით:

არსებითი ზმნა

საზღვრებითი სქესი (თხრობითი კილო)

აწმყო	ნამყო უს.	ნამყო სრ.	ნამყო უსრულესი	ნამყო უსრულესი
ვარ ვართ	ვიყვ ვიყვთ	ვიყავ	ვყოფილ-ვარ	ვყოფილ-ვიყავ
ხარ ხართ	იყვ იყვთ	იყავ	ყოფილ-ხარ	ყოფილ-იყავ
არს არიან	იყვს იყვან	იყო	ყოფილ-არს	ყოფილ-იყო

ბრძანებითი სქესი

აწმყო	მყობადი
იყავ, ნუ ხარ	იყოფოდე, ნუ იყოფოდე
იყოს, ნუ არს	იყოფოდეს, ნუ იყოფოდეს

საწადი სქესი (ნატვრითი კილო) იწარმოება მყობადს „ვაშათუ“ სიტყვის მომატებით (ვაშათუ ვიყო), ხოლო ვიპოტეტიკა (თუობითი) — „უკეთუს“ (უკეთუ ვიყო)

მოქმედებითი გვარის ზმნა „კრვა“

საზღვრებითი სქესი

1. აწმყო ————	შევჰკარ
2. ნამყო უსრული (უწყვეტელი)	შევჰკრვიდი
3. ნამყო სრული (წყვეტილი)	შევჰკარ
4. ნამყო უსრულესი (თურმეობითი I)	შემიკრავს
5. ნამყო უსრულესი (თურმეობითი II)	შემეკრა
6. მყობადი (წყვეტილის კავშირებითი)	შევჰკრა

ბრძანებითი სქესი

აწმყო	მყობადი
I ————	I ————
II შეჰკარ, შეჰკრათ	II შეჰკრვიდე, შეჰკრვიდეთ
III შეჰკრას, შეჰკრან	III შეჰკრვიდეს, შეჰკრვიდენ

საწადი სქესი

აწმყო და მყობადი	ნამყო უსრული
I ვაშათუ შეჰკრვიდე	I ვაშათუ შეჰკრვიდი
II ვაშათუ შეჰკრვიდე	II ვაშათუ შეჰკრვიდი
III ვაშათუ შეჰკრვიდეს	III ვაშათუ შეჰკრვიდეს

ნამყო სრული და უსრულესი	ნამყო უსრულესი
I ვაშათუ შემიკრვიეს	I ვაშათუ შემეკრა
II ვაშათუ შეგიკრვიეს	II ვაშათუ შეგეკრა
III ვაშათუ შეუკრვიეს	III ვაშათუ შეეკრა

ვიპოტეტიკა

ამ კილოს ფორმები იწარმოებიან ისე, როგორც საწადნი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ვაშათუ“ სიტყვას ცვლის „უკეთუ“.

უჩინო სქესი

აწმყო	კრვად
მყობადი	კრვადი
აწმყ. მიმღეობა	მკვრელი -ისა, -ს.
ნამყო სრული	—
ნამყო უსრულესი	შეკრული
ნამყო უსრულესი	—
მყობადი	შესაკვრელი
სახელ-ზმნა	კრვა—ისა, სა

ამის შემდეგ წარმოდგენილია ამავე ზმნის ვნებითის ფორმები („შ ე ვ ი კ რ ვ ი“) და მისი უღლების პარადიგმები, რითაც მთავრდება პირველი უღლების პირველი ხატის ზმნათა უღლების ჩვენება.

ამავე უღლების მხოლოდ მეორე („ვ ჰ ბ ა ნ“) და მესამე („ა ღ ვ ი ხ ვ ა მ“) ხატის ზმნათა პარადიგმული სქემაა მოცემული და გადადის პირნაკლ ზმნებზე.

პირნაკლ ზმნებად ავტორს, უპირველეს ყოვლისა, მიაჩნია ობიექტური წყობის ზმნები: მართლაც, შეიძლება მე შენ მ-ხ ა ტ ა ვ. მე ის მ ხ ა ტ ა ვ ს, მაგრამ მე მე კომბინაცია არ შეიძლება. ე. ი. ამ ზმნის უღლებას აკლია I პირი. ასევე შენ მე გ ხ ა ტ ა ვ, შენ ის გ-ხ ა ტ ა ვ ს, მაგრამ შენ შენ კომბინაცია აღარა გვაქვს და მას აკლია II პირი. ამ ზმნათა ეს თავისებურება მშვენივრად აქვს შენიშნული ანტონს და მათ უღლებასაც საგანგებო ადგილს უთმობს.

პირნაკლ ზმნებს აქვთ ექვსი ხატი:

I მე შენ შეგკრავ	ის შენ შეგკრავს
II შენ მე შემკრავ	ის მე შემკრავს

ამ ფორმებს აქვთ ყველა დრო, უღლება და კონტაქტორ, შენიშნავს ავტორი.

რაც შეეხება სამ დანარჩენ ხატს,

III შენ მე შემეკრჯ	შენ მას შეეკრჯ
IV მე შენ შეგეკრჯ	მე მას შევეკრჯ
V შენ მე შემეკრჯ	ის მე შემეკრჯს

მათ აკლიათ დროთაგან: ნამყო სრული, უსრულესი, უუსრულესი და მყობადი. სქესთაგან — ბრძანებითი, საწადი, ვიპოტეტიკა და უჩინო, არც მიმღეობა და სახელზმნა აქვთ. ყველა ამ ნაკლს ისინი პირველი ორი ხატიდან შეივსებენ.

საინტერესოა ავტორის მსჯელობა პირნაკლიან ენებითის შესახებ: „ვინაიდან პირველსა ხატსა ქვეშე ჰსჩანან ორნი მოქმედნი, ესე იგი პირი პირველი და მესამე — ივნების პირი მეორე და სათანადო არს აქა, რაითამცა იყოს ერთი ვისიმე ენებული, რომელ პირი მეორე, ორთა ნამოქმედებთა, რომელიცა მაგალითითა ამით იჩვენების: „შეიკრვი ჩემგან, შეიკრვი მისგან“. ასე განმარტავს ანტონი ყველა (ხუთივე) ხატის ენებითის ფორმაში მოცემული მოქმედებისა და სამოქმედოს ურთიერთდამოკიდებულებას.

პირნაკლ ზმნათა მეექვსე ხატს ქმნის ზმნები, რომელთაც აკლიათ I და II პირი („თ ო ვ ს“, „თ ე ნ დ ე ბ ი ს“).

პირნაკლ უღლებას მოჰყვება კონტაქტის ფორმიან ზმნათა უღლება. საშუალი გვარის ერთი წყება ზმნები („ვ ჰ ბ რ წ ყ ი ნ ა ვ“, „ვ ს თ ქ ვ ამ“, „ვ ს ჯ მ უ ნ ა ვ“, „ჰ ს ჩ ა ნ“) თავისი შუალობითი კონტაქტით („ვ ა ბ რ წ ყ ი ნ ე ბ“...) და მთავრდება პირველი უღლება.

თუ დავაკვირდებით, ყველა განხილული ზმნა და ახალი ნაწარმოები ფორმა ამ უღლებაში გაერთიანდა იმ ნიშნით, რომ მაუღლებელ ხმოვნად ჰქონდა ა: „შ ე ვ კ რ ა ვ“, „ვ ბ რ წ ყ ი ნ ა ვ“ და მისთანანი.

ამას მოჰყვება მ ე ო რ ე უ ღ ლ ე ბ ა, განხილულია თხუთმეტივე ხატი და მოცემულია მხოლოდ მეშვიდე ხატის ზმნს („ვ ა წ ყ ე ნ“) უღლების პარადიგმები.

მ ე ს ა მ ე უ ღ ლ ე ბ ი დ ა ნ მხოლოდ მესამე ხატია („ვ ჰ გ ე ე მ“) განხილული.

მ ე ო თ ხ ე უ ღ ლ ე ბ ა, როგორც ვნახეთ, 10 ხატს შეიცავდა, მაგრამ იქ, სადაც ამ უღლების პარადიგმებია წარმოდგენილი, ნათქვამია, რომ ეს უღლება განიყოფება სამ გვარად. პირველ გვარში ერთიანდება

10 ხატი. ხოლო მეორესა და მესამეში — თითო-თითო: „გ ს უ რ ი ს“ და „ვ ჰ ს წ ა დ ნ ო ი“.

ამავე უღლებაშია განხილული საშუალი გვარის რამდენიმე ზმნა, რომელთაგან ყურადღებას იპყრობს „ვ ჰ ზ ი“: „სათანადო არს და სჯულიერ სამართალ რათა „ვ ს ჯ დ ე ბ ი“ ზმნაი გასხმით-გარდასვლითდეს ესრეთ. მაგალითებრ: „ვაჯდინებ“, მაგრა არა ჩვეულ ვართ ჩვენ წერილთა შინა ესრეთ თქმასა, არამედ „ვ ს ჯ დ ე ბ ი“. ზმნაი იქცევის სხმით-გარდასვლითად, მაგალითებრ: „დავსვამ“ და მრჩობელ-სხმით-გარდასვლითად, მაგალითებრ: „დ ა ვ ა ს მ ე ვ ი ნ ე ბ“ (გვ. 67).

მ ე ხ უ თ ე უ ღ ლ ე ბ ა, რომელიც რვა ხატს მოიცავდა, წარმოდგენილია მეექვსე ხატით („ვჰყოფ“).

მ ე ე ქ ვ ს ე უ ღ ლ ე ბ ი ს მაუღლებელი ხმოვანი უ, როგორც ადრეც თქვა, ქართულში არა გვაქვს დამოუკიდებლად, იგი შედგება -ო-სა და ვ-საგან, რის გამოც ამ ასოზე დაბოლოებული ზმნებიც ცოტანია და ყველა ისინი უმეშვეობითი (საშუალო) სქესისანი არიანო: „ვ ჰ ხ უ რ“, „ვ ჰ ს ც ი ქ უ“, „ვ ჰ ს უ ქ“, „ვ ჰ ს წ უ ხ“ (ნაუღლებია „ვ ჰ ს ც ი ქ უ“).

მ ე შ ვ ი დ ე უ ღ ლ ე ბ ა მხოლოდ ერთ („ვჰსძარცვ“) ზმნას მოიცავს.

მერვე უღლების ზმნათა საუღლებლად, როგორც ადრეც ვნახეთ, ავტორმა საგანგებოდ შემოიღო, ე. წ. თანხმოვანთგანმკვეთი ხმოვანი გ. რადგან ასეთი ბგერა ქართულში არასდროს გექონია, ამ უღლებაში გაერთიანებულია ოდენ თანხმოვანზე დამთავრებული ზმნები: **„ვ ჰ ნ ე რ გ“, „ვ ი ქ მ“, „მ ჰ რ წ ა მ ს“, „ვ ლ ე რ ლ“, „ვ რ ე ც ხ“** [1]...

დ რ ო სამი აქვს ზმნას: **აწმყო, ნამყო** და **მყოობადი**. ნამყო თავის მხრივ, ასხვავებს ოთხ დროს: **ნამყო უსრულს, ნამყო სრულს, ნამყო უსრულესსა** და **ნამყო უუსრულესს**. ნამყო უსრული დღევანდელი უწყვეტელია: ნამყო სრული — წყვეტილი; უსრულესი — თურმეობითი I და უუსრულესი — თურმეობითი II. მათ შორის განსხვავებას ქმნის დროული მანძილი მოქმედების შესრულებასა და მთქმელის მიერ ამბის გადმოცემის მომენტს შორის: უსრული ახლო წარსულია; სრული — შორი; უსრულესი — უშორესი, ხოლო უუსრულესი — ფრიად უშორესი (გვ. 164).

დრო თავისებურებებს გვიჩვენებს კილოების (სქესის) მიხედვითაც: საზღვრებითს (თხრობითს) ყველა დრო აქვს; ბრძანებითს — აწმყო და მყოობადი, საწადსა და ვიპოტეტიკას აწმყო აკლიათ და მყოობადს დაიდებენ აწმყოდ; აკლიათ ნამყო სრული და შეივსებენ უსრულესით; უუსრულესი აქვთ.

[1] უღლება უფრო დაწვრილებით იხილეთ ელ. ბაბუნაშვილის დასახ. შრომაში, გვ. 146 და შემდეგ.

აწმყო ახლანდელ დროს გადმოგვცემს. იგი ცენტრალურია დროთა წარმოების თვალსაზრისით. უღლების 8 ჯგუფი აწმყოს მიხედვით გამოიყოფა.

უწყვეტელი (ნამყო უსრული) აწმყოსაგან იწარმოება, მისი მაწარმოებელია: იდ, დი და ოდი; ზოგჯერ ი („შევიკრვი“) და ჯ („ვჰსძარც-ჯ“). ვნებითიც მსგავსად იწარმოება — მისი ნიშანია ოდი,. მასაც ზოგჯერ მოუდის ი („შევიკრ-ი“) და ჯ (ვისრჯ).

ახალს არაფერს იძლევა ბრძანებითი კილო.

რაც შეეხება საწადსა და ვიპოტეტიკას; შემოქმედებითი გვარის ზმნებში უწყვეტელს აწარმოებენ დე, იდე, ჯდე; ვნებითს ოდე — მაწარმოებლით.

ნამყო სრული (ე. ი. წყვეტილი) დროც აწმყოს ძირის „საშუალობით“ იწარმოებაო და იქვე დასძენს რომ „...ვინაიდგან ნამყოდ სრულად დროებითნი სხვაობენ აწმყოდ დროებითთაგან, ითქმიან საშუალობითა, აწმყოდ დროებითთა. ზმნათა ძირთაგან პირველად წარმოებად ზმნანი ნამყოსა სრულსა დროსა შინანი“ (გვ. 187). აქ საგანგებოდ ხაზგასმული „საშუალობით“ სწორედ იმაზე მითითება უნდა იყოს, რომ წყვეტილის წარმოება უშუალოდ აწმყოსაგან არ შეიძლება. ნამყო სრულს აწარმოებს: ა („შევჰკარ“, „განვჰყავ“) ე („შევიყვარე“, „ვეც“), ოდა („მსუროდა“), ი („განვარდი“), უ („ალვიხუ“), წ („ვისურვწ“, „ვსძარცვწ“); ჳ („დავადგჳგ“), ჳდ დად („ვჰსდევჳდ, განვჰხდიდ“).

ამ დროში ძირითადად (უღლებათა უმრავლესობა) „ერთშესახედავყოფად ჰსჩანან“ (განვჰბანე, განვანათლე, აღვჰსწონე), აგრეთვე „ერთმორფობითა და ნაკვთობით იგივეობენ“ მოქმედებითი და ვნებითი („ვისურვე“, „შევიყვარე“, „აღვიარე“).

ანტონი აქვე აღნიშნავს ბრძანებითის წარმოების იმ თავისებურებას, რომ მისი II პირი წყვეტილს ემთხვევა. იქვეა გადმოცემული გამონაკლისი. („იქმნების იშვიათ“), „მოვედ“ ზმნის ბრძანებითის ფორმა რომ II პირს გადმოგვცემს („მოვედ თავით შენით, ტრედო ჩემო“). (გვ. 191).

ნამყო უსრულესი და უსრულესი იწარმოებიან ნამყო სრულისგან. პირველის (ე. ი. თურმეობითი I) ნიშანია ს („წამიკითხავს“), იეს („მიწერიეს“), ია („წარმიღია“). აქვეა მითითება იმაზე, რომ იეს და ია ფორმები ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთსო „...მაგრა პირველითა ნიშნითა უშესაბამეს არს თქმად[1]“... (გვ. 192).

[1] ასეთი ადგილი მრავლადაა ანტონის გრამატიკაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ანტონი ცდილობს სალიტერატურო ენის ნორმების დადგენასაც.

განსაკუთრებით ფასეული გვეჩვენება ანტონის დაკვირვება ვნებითი გვარის ზმნათა უღლებაზე უსრულეს (თურმეობით I) დროში: რომ იგი იუღლის დამხმარე ზმნით და რომ „პირველადი" (საუღლებელი) ზმნა წარმოდგენილია მიმღეობის სახით, ხოლო „არსებითი ზმნა" (დამხმარეა) აწმყო დროის ფორმით.

მ ე ო რ ე ს — ნამყო უსრულესს (ე. ი. თურმეობით II) აწარმოებს ა. ზოგჯერ ნა („შ ე მ ე უ ვ ა რ ა", „მ ე ხ ი ლ ნ ა"). ვნებითი აქაც „არსებითი ზმნის" დახმარებით იწარმოება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ნამყო სრულ დროშია წარმოდგენილი („შ ე წ უ ნ ა რ ე ბ უ ლ ი ყ ო").

მ უ ო ბ ა დ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი ა: ა, ო, ე („ვ ჰ ქ მ ნ ა", „ვ ჰ კ ვ ე თ ო", „გ ა ნ ვ ა რ დ ე"). იგივე ნიშნები აქვს ვნებითსაც.

ნ ა თ ე ს ა ვ ი (ე. ი. გვარი)[1] სამია: შემოქმედებითი, ვნებითი და უმეშვეობითი (საშუალი).

თვით ზმნის განმარტებაში („ზმნა არს ნაწილი სიტყვისა ცხადმყოფი არსებისა ყოფისა და ქმნათა და ვნებათა მისთა") გადმოიცემა ზმნის გვარების მიხედვით სამად დაყოფაო, მიუთითებს ანტონი (გვ. 157), რადგან ზმნა გადმოგვცემს არსების ყოფას გვექნება (ვარ, ხარ, არს...), არსების მოქმედებას, რომელსაც არსდევს ვნება (ა დ ე რ კ უ ბ ნ ო ბ ს...), ან ვნებას კაცობრივს. სულიერს: („ვ ი ხ ა რ ე ბ", „ვ ს წ უ ხ") — ყველა ეს ზმნა უმეშვეობითნი (ანუ საშუალი) გვარისანი არიან.

ამათ გარდა, ზმნები გადმოგვცემენ მოქმედებას, რომელსაც ახლავს ვნება. (ფარნავაზ „ჰ ს წ ყ ლ ა ვ ს") — ასეთი ზმნები მოქმედებითი გვარისანი არიან, იმიტომ, რომ „...დაჰნიშნავს ცვალებასა ქვემდებარისა მდგმოებისასა, რომლისაცა მიზეზი იპყრობის თვით ქვემდებარესა შინა ცვალებულსა" (გვ. 157).

ვნებითი გვარი გადმოგვცემს ქვემდებარის ცვალებას, მაგრამ ცვლილების მიზეზი ქვემდებარე არაა („იაზონ იწყალის").

ვნებითი ივნებითება ი ნიშნით და ღებულობს ებ და ჱგ მარცვლებს (გვ. 177).

ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა არის მოქმედებისა და ვნების აღმნიშვნელი დასახელებით „წ ე რ ა", „ნ ა თ ლ ღ ე ბ ა". იგი ნათესავის (ე. ი. სქესის) გარდა მიიღებს სახელის ყველა მდევარს (ე. ი. კატეგორიას). აგრეთვე „შეიწყნარებს" ზმნის მდევართაც (გვარს, ნაკვეთსა და რიცხვს), ამიტომაც „სამართლიანად იზედწიდა ჩვენგან სახელ-ზმნადო"(გვ. 197). მიუხედავად იმისა, რომ სახელზმნის მდევრებში გვარია შეტანილი, ანტონი

[1] ანტონი 158-ე გვერდზე ხმარობს ტერმინ „გვარსაც" (იხ. ო. დ ე ი ს ა ძ ე, გვარი ქართული ენის ძველ გრამატიკებში, ჭეთაისის პედ. ინსტ. შრომები, ტ. 25-ე, 1963 წ.).

იქვე მიუთითებს, რომ „...სიტყვათა შინა ძალითა (ე. ი. გულისხმობით) განირჩევიან შემოქმედებითნი და ვნებითნი სახელ-ზმნანი, მით რომელ ბუნებაი სიტყვისა განირჩევს მათ გარნა, მითვე მორფითა და ნაკვთითა იგივეობენ“ (197).

უმეშვეობითადაც იქმნების სახელ-ზმნა: „ს ლ ვა“, „ჯ დ რ მ ა“... სახელ-ზმნა, აგრეთვე განუსაზღვრელი სქესი ზმნისა, ზოგჯერ პირველ სახის მაგიერ ითქმის სხმით-გარდასულითადო. მაგ.: შ ე ყ ვ ა რ ე ბ ა, მ ო წ ყ ა ლ ე ბ ა, ა ღ ყ ვ ა ვ ე ბ ა.

აქ საუბარია ზმნების ზმნისწინიან ფორმებზე, (შე-ყვა-რება), რომელიც მას მარტივი ყ ვ ა რ ე ბ ი ს საპირისპიროდ სხმით-გარდასულითად მიიჩნია.

იქვეა ერთი საინტერესო შენიშვნაც: „სახელ-ზმნა სახელებრ შეეალს სიტყვასა შინა უ ფ ლ ა დ (ე. ი. ქვემდებარედ) ზმნისა, მაგ.: „ქ ვ ე ყ ო მ ა შ ე ე მ თ ხ ვ ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ე ლ თ ა ქ ა ლ ა ქ ს ა“, აგრეთვე საძიებოდ (ე. ი. დამატებად) „ა მ ც ნ ო უ ფ ა ლ მ ა ნ ღ მ ე რ თ მ ა ნ ა რ ა ჰ ა მ ა ხ ი ს ა ც ნ ო ბ ა დ ი ს ა ა დ ა მ ს“ (გვ. 198).

საგანგებო თავი (მე-20) ეძღვნება განუსაზღვრებელი სქესის (ე. ი. კილოსა) და სახელ-ზმნის ურთიერთობას. ანტონი სწორად შენიშნავს: რომ განუსაზღვრელი სქესი იწარმოება სახელ-ზმნისაგან ად ნიშნით აწმყოში („წ ე რ ა დ“, „შ ე კ რ ვ ა დ“) ხოლო მყობადში იგი იცვლება იდ ნიშნითო („წ ე რ ა დ ი“, „შ ე კ რ ვ ა დ ი“), რომელიც შემდეგ შეიძლება იბრუნოს კიდეც (გვ. 199).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ანტონის გრამატიკაში ქართული ზმნის ანალიზის მეცნიერული შეფასება პირველად თ. ბეროზაშვილის წერილშია მოცემული. ავტორი სხვა ბევრ საინტერესო მომენტებთან ერთად ჩერდება ანტონის შენიშვნებზე პირნაკლ ზმნათა შესახებ. თ. ბეროზაშვილის აზრით, ანტონს, მოცემულ ადგილას, აქვს მითითება ქართული ზმნის მრავალპირიანობაზე. თ. ბეროზაშვილი წერს: „ანტონისავე დამსახურებაა ობიექტისა და მისი ნიშნის შემჩნევა ზმნაში. მართალია, თავისი წიგნის თეორიულ ნაწილში იგი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ პირველ ნაწილში, სადაც მოცემულია ბრუნებისა და უღლების პარადიგმები, ანტონი აღნიშნავს პირნაკლ ზმნებს — შ ე გ კ რ ა ე, შ ე გ კ რ ა ე ს — აკლია II პირი, შ ე მ კ რ ა ვ, შ ე მ კ რ ა ვ ს — აკლია პირველი პირი“[1].

---

[1] უფრო გასაგები იქნებოდა თმუღიყო: აკლია მეორე პირის კომბინაცია მეორესთან და პირველი პირისა — პირველთან, რადგან შეგკრავ, შეგკრავს გულისხმობს: შენ მე; შენ იგი და გვაკლია: შენ შენ; ასევე მეორე შემთხვევაში: შეკგრავ, შეგკრავს— მე შენ; მე ის; გვაკლია: მე მე.

რას წარმოადგენს ეს პირები? პირველიცა და მეორეც ობიექტებია. ამის შესახებ ანტონი ამბობს: **„პირველში ჰსჩანან ორნი მოქმედნი — პირი პირველი და მესამე, ივნებს პირი მეორე, მეორეში ჰსჩანს ერთიცე ვნებული, რომელია პირი პირველი ორთა ნამოქმედებთა — პირველისა და მეორისა პირისათა“**. მაშასადამე, ზმნაში ერთდროულად ჩანს მოქმედიცა და მოქმედების ობიექტიც, ე. ი. რამდენიმე პირი. ეს შენიშვნა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მრავალპირიანობა — სუბიექტის გარდა ობიექტის პირის აღნიშვნა ზმნაში, ქართული ენისათვის სპეციფიური მოვლენა, ანტონმა შენიშნა [1].

მეტად გონებამახვილური დაკვირვებაა ახალგაზრდა მკვლევრისა, მით უფრო, როცა ანტონს ყველაფერი ასე გასაგებად როდი უწერია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მკვლევარმა ანტონს უფრო მეტი მიაწერა, ვიდრე მას ნამდვილად ჰქონდა: **„ანტონისეე დამსახურებაა ობიექტისა და მისი ნიშნების შემჩნევა ზმნაში“**. არა, ანტონს ეს დამსახურება არა აქვს, მიუხედავად ზემოთ მოტანილი განცხადებისა, რომლისგანაც ჩანს, რომ ანტონმა იცის, „შ ე გ კ რ ა ვ“ ნიშნავს: მოქმედია პირველი პირი და ვნებული მეორე. რომ აქვე ეთქვა ანტონს: პირველი პირის ნიშანი არა გვაქვს, მეორე კი გ-თი („შ ე-გ-კ რ ა ვ“) გადმოიცემაო, მაშინ იქნებოდა ჩვენი მკვლევარი მართალი. ან სხვაგან პირის ნიშნების დასახელებისას ვთქვათ, მ-ს შესახებ ეთქვა, იგი ვ-სგან განსხვავებით ვნებულს გადმოგვცემსო.

ანტონმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოაჩინა თითქმის ყველა ნიშანი პირისა (როგორც სუბიექტურის, ისე ობიექტურის). მაგრამ გაუდიფერენცირებლად. მისთვის ვ და მ პირველი პირის ნიშნები სრულიად ერთ სიბრტყეზე დგანან. თუმცა მან ისიც იცის, რომ ზმნაში შეიძლება აზრობლივად ერთდროულად გადმოიცეს როგორც მოქმედი, ისე ვნებული: სუბიექტი და ობიექტი. ანტონის გრამატიკის ეს ადგილი მეტად დიდი მნიშვნელობის მქონეა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, რადგან იგი მშვენიერი ილუსტრაციაა წმინდა ფორმალური ანალიზისა. ანტონმა დაინახა, რომ ზმნაში „მ ს უ რ ს“, პირველსა და მეორე პირში („მ-ს უ რ ს, გ-ს უ რ ს“) სხვადასხვა თანხმოვნებია. ასეთი მოვლენა მეორდება სხვა ზმნებშიც, და დაასკვნა: მ და გ მაპიროვნებელი ნიშნებია, ზუსტად ასევე მოიქცა იგი ვ ნიშნის გამოყოფის დროსაც.

ამ საკითხის მოგონება იმიტომ დაგვჭირდა, რომ სწორად გაგვეაზრებინა ანტონის გრამატიკიდან სახელ-ზმნის მომდევნო თავი, რომელიც იწოდება: „თ ვ ი ს ზ მ ნ ა თ ა კ ა ნ ო ნ ი ე რ თ ა რ ო მ ე ლ თ ა მ ე რ ო მ ე ლ ნ ი ც ა რ ვ ა თ ა უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ მ ო ს რ უ ლ ნ ი

[1] თსუ სტუდ. სამეც. შრომების კრებული, თბ., 1948 წ., გვ. 38.

ორთა უღვლილებათა ქვეშე შეიცვიან". ამ თავში ნათქვამია:

კანონიერ ზმნად ვუწოდებ მას, რომელიც მარტივად გვიჩვენებს არსების (საგნის) ყოფასა და შესმენას, ე. ი. ანუ მოქმედებას ანუ ვნებას. მაგ.: „პეტრე „ჰსწერს" ვჰსცანთ პეტრეს მიმართ შესმენაი მოქმედებისა, ხოლო — ებისტოლე იწერების პეტრესგან — ვჰსცანთ ებისტოლესა მიმართ შესმენაი ვნებისა" (გვ. 199). აქ გაუგებარი, ვფიქრობთ, არაფერია. ასევე არსებათა მიმართ—„...რაიმესა საქმესა შესმენილად, ესე იგი ფარნავაზისა მიმართ მეფობისა სუფევასა და ითქმის „ფარნავაზ სუფევს" და სხვა ყველა ის კანონიერი არისო.

მაგრამ ამის გარდა შემოქმედებით ზმნას აქვს თვისება, როცა „...ორთა ვიეთმე მიმართ სხვადასხვაგვარად იცხადების, მაგ.: სიყვარული არს საქმე, რომელიც ორთა ვიეთმე მიმართ იცხადების, მაგალითებრ: შემყვარებლისა მიმართ და შეყვარებულისა, ხოლო საქმე ესე ითქმის ესრედ, ვითარმედ ამას უყვარს იგი და იგი შეიყვარების ამისგან"... (გვ. 200).

ანტონი განაგრძობს: „დაეკვეთების ვითარმედ ერთი რაიმე საქმე სამთა ვისთმე მიმართ იცხადებოდეს, მაგ.: მღვდელ-მოქმედება არს საქმე ერთი და ესე შესაძლებელ არს სამთა ვიეთმე მიმართ განცხადებად, მაგალითად: პეტრე ამღვდელ-მოქმედებს სამღვთოსა საიდუმლოისა მას რომელსამე მოწაფესა თვისსა. ხოლო პეტრე და რომელი მოქმედებს პეტრეს მიერ, არიან ორნი. 1. პეტრე — მოქმედი საშუალებითა მოწაფისათა; 2. მოწაფე —მოქმედი უსაშვალოდ, ხოლო 3—საღმთო საიდუმლო, რომელიც იმოქმედების პეტრესაგან საშუალებითა მოწაფისათა"... (გვ. 200). ასეთ ზმნას ანტონი სხმით-გარდასვლითს უწოდებს.

ერთი სიტყვით, ანტონთან შენიშნულია ზმნის ორპირიანობაც და სამპირიანობაც. მაგრამ ეს ფაქტი მასთან თეორიულად გააზრებული ბოლომდე ვერ არის, რაც, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ამცირებს თვით ფაქტის შემჩნევის დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას.

კანონიერი და უკანონო ზმნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, რომ უკანასკნელნი ზოგ განსაკუთრებულობას გვიჩვენებენ მიმოხრაში, საჭიროებენ დროსა და სქესში „ადგენას" ან აკლიათ პირი, თუ აქვთ უჩვეულო პირის ნიშანი.

უკანონო ზმნებია: „მიხმს", „მიღირს" — აკლიათ დრონი: სრული, უსრულესი და უუსრულესი, მყობადს კი აწარმოებს საწადისა და ვიპოტეტიკის მსგავსად. უკანონოა არსებითი „ვარ", რადგან აწმყოს გარდა სხვა დრო არა აქვს და იძულებულია სხვა ზმნებიდან შეივ-

სოს. ყველა მსგავსი ზმნა უკანონოთა ჯგუფში ექცევა. უკანონონი არიან ზმნები: „მ ს უ რ დ ა“. „მ წ ა დ დ ა“, „მ რ წ ა მ დ ა“, „მ წ უ ყ უ რ ე ო დ ა“, რადგან ისინი მნიშვნელობით სრულნი არიან, მაგრამ ბრძანებითად ვერ გამოდგებიან. როცა ყოველი კანონიერი ზმნა სრული დროისა მეორე პირში ბრძანებითის ფორმაცაა. უკანონოა „ხ-ე ა ლ“ ზმნა უჩვეულო პირის ნიშნის (ხ-ს,) გამო. ასევე უკანონოა ზმნა „მ ო ვ ე დ“, რადგან იგი პირველი პირის ფორმაა და გადმოგვცემს მეორე პირის ბრძანებითს, ეს კი ეკალება მეორე პირს.

როგორც ითქვა, ანტონი უკანონოებს აკუთვნებს ობიექტური წყობის ყველა ზმნას და ამავე ჯგუფშია, რაღა თქმა უნდა, „თ ე ნ დ ე ბ ა“. „თ ო ვ ს“ ტიპის ზმნები, რომლებიც „ორმხრივ“ უკანონონი არიან — არა აქვთ I და II პირი და აკლიათ მრავლობითი რიცხვი (გვ. 162).

მიმღეობა

მიმღეობის სხვადასხვა განსაზღვრას იძლევა ანტონი. პირველი განსაზღვრა ასეთია: „არიან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწევროვან ოხვრითა ჰნიშნავნენ ქვეშე დროისა სახელ-წოდებით ქმნათა, ანუ ვნებათა არსებისათა, მაგ.: „მ რ წ მ უ ნ ე ბ ე ლ ი“, „მძ უ ლ ვ ე ლ ი“, „შ ე უ ვ ა რ ე ბ უ ლ ი“, „ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი“, „კ ვ ე თ ი ლ ი“ და სხვანი. და ესე გვარნი უკვე ლექსნი იწოდებიან მიმღეობად“ (გვ. 121).

მეორე განსაზღვრა თითქმის ემთხვევა ზმნის განსაზღვრას: „მიმღეობა არს ნაწილი სიტყვისა ცხადმყოფი ნივთის ყოფისა (ზმნის განსაზღვრასთან გვაქვს „არსებისა ყოფისა“ — ა. ფ.) და ქმნათა და ვნებათა მისთა დროებითად“ (გვ. 203).

ამ განსაზღვრას ახლავს ანტონის შემდეგი განმარტება: „ითქვა რა განსაზღვრებასა შინა ვითარმედ ც ხ ა დ მ ყ ო ფ ი ნივთის-ყოფისა, ამისათვის ვითარმედ ვითარ იგი სახელი ეგ სახედ ესეცა ერთსა ქვემდებარესა რაიმესა გვიჩვენებს და შეიწყნარებს რომელთამე მდევართა სახელისათა“ (იქვე). ე. ი. სახელის მსგავსად, მიმღეობაც ერთს მოქმედს (ქვემდებარეს) გამოხატავს და მიიღებს სახელის კატეგორიებს.

ანტონი განაგრძობს: „...ი თ ქ ვ ა ქ მ ნ ა თ ა დ ა ვ ნ ე ბ ა თ ა მ ი ს თ ა დ რ ო ე ბ ი თ ა დ, ამისათვის ვითარმედ გვაჩვენებს ცვალებულსა, რომელიცა წარიწერების დროსა რომელსამე შინა ანუ მოქმედებისა ანუ ვნებისა ამით მიიღებს რომელთამე მდევართა ზმნათასა“ (გვ. 203).

ერთი სიტყვით, მიმღეობას აქვს თვისებები სახელისაცა და ზმნისაც.

საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული ანტონს მიმღეობის წარმოებისა და ფუნქციის თაობაზე: „წარმოებს მიმღეობა ძირთა მათგან გარდა

ნაცვალსახელისა, რომელთაგანცა წარმოებს ზმნა. ხოლო ნაცვალსახელისაგან არ იწარმოების იმისთვის, ვითარმედ ნაცვალსახელისგან წარმოებაი ზმნისა არს პირობითი ყოფა ზმნისა, გარნა მიმღეობა არ შეიწყნარებს პირთა" (იქვე).

„ნიშანნი მიმღეობისნი არიან: ელი, ული, ედი, ული, მან, რი, არი, არე, უარე, ლი, ლე, ულ". ესენი აწმყო დროის მიმღეობის ნიშნები არისო.

ზოგჯერ ნიშანი მოუდის თავშიცა და ბოლოშიცო — „მან-ს ი ტ ყ ვ-ან დ ი".

განსაკუთრებულ ნიშნებს (ე. ი. ზმნისწინებს) მიმღეობა ზმნისებრ მიიღებს.

წინადადებაში მიმღეობა ზედსართავის მსგავსად მოქმედებს.

ვნებითის მიმღეობა შეიძლება იყოს ნამყოსა და მყობადის დროისანი.

ნამყოს ნიშნებია: ული („ქ მ ნ უ ლ ი"), ილი („გ ა ნ ჯ ი ლ ი"), ნა („ნ ა ს ი ტ ყ ვ ი"), არი („ნ ა-ქ მ-ა რ ი").

მყობადის ნიშნებია: თავში ხა ან თავში ხა და ბოლოში ელი, ცლი. ჲრი („შ ე-ს ა-ყ ვ ა რ ი", „ს ა-ყ ვ ა რ-ე ლ ი", „ს ა-ძ უ ლ ვ-ე ლ ი"...).

მიმღეობას აქვს სხმით-გარდასვლითი ფორმებიც („მ ა ვ ა ს ხ ე ბ ი-ნ ე ბ უ ლ ი").

მიმღეობას სამი დრო აქვს: შემოქმედებითისა და უმეშვეობითისათვის აწმყო. ხოლო ვნებითს აქვს ნამყო და მყობადი.

თანდებული

მეტყველების ნაწილთა ჩამოთვლისას თანდებული ასეა განსაზღვრული: „არიან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწევროვანი ოხრვითა ჰნიშნვნენ საქმისა გარემოთა ცხად-ყოფით, რომელსამე ადგილსა, მაგალითებრ: შორს, ახლოს, წინაშე, საშუალო და სხვა" (გვ. 121).

უფრო ადრე კი თანდებული იყო: „...ნაწილი სიტყვისა რომლითა ცხადებიან გარემონი არსებისანი". მესამე ადგილას (გვ. 96) თანდებული არის „განმავითარნი სახელთანი", რითაც ხაზი ესმის მათს სიახლოეს ზმნისწინებთან, რომლებიც იყო „განმავითარნი ზმნათანი".

ეს განსაზღვრებები ტოლფასოვანი არ არიან.

ანტონთან „საქმე" მოქმედებას ნიშნავს და ამიტომ პირველი განმარტება ზმნიზედას უფრო მიესადაგება, ვიდრე თანდებულს — აკი ამბობს: „რომელნიცა... ჰნიშვნენ საქმისა გარემოთა ცხადყოფით". რაც შეეხება მეორე განსაზღვრას, იგი მართლაც კარგად გადმოგვცემს თანდებულის ბუნებას („არსების გარემოთა ცხადყოფა").

მესამე განსაზღვრა იმ ადგილიდანაა ამოღებული, სადაც საუბარია თანდებულიან ბრუნვებზე, ამიტომაც იქ თანდებულის „მნიშვნელობის“ მხარეზე არაფერია ნათქვამი და მხოლოდ „ფორმალურად“ განისაზღვრება („განმავითარნი სახელთანი“).

განსაზღვრის „კომენტარებში“ ანტონი წერს: „ვჰსთქვი ვითარმედ იცხადებიან გარემონი არსებისანი, ამად რომელ თანდებულთა მიერ არა დაინიშვნიან არსნი არცა საქმენი მათნი ამისათვის ვითარმედ ეგვრდივებიან მათ“. ე. ი. თანდებული დაერთვის (მიეკვრის-ეგვრდივების) სახელს, მაგრამ მის არსს ან მოქმედებას არ გადმოსცემს.

ანტონი განაგრძობს: „ითქმის რა ვითარმედ კაცი, ამით შეიქმნების იდეაი კაცისა არსებისა ჩვენ შორის, მაგრა ზესთა, ზენა. ქვე, წინარე, უწინარეს, შემდგომად, მებრ, თვითნიერ, თვის და სხვა. ამით შეიქმნების ჩვენ შორის იდეაი კაცისა გარემოთა ანუ სხვისა რომლისამე არსის მით (ალბათ — მიმართ), რამეთუ ანუ ადგილისა, ანუ დროისა, ანუ შემსგავსებისა, ანუ ესე გვარისა რაიმეისა, რომელნიცა ეგარემოებიან კაცსა იდეასა შეგვიქმენ“ (გვ. 205).

მაშასადამე, როდესაც ვიტყვით სიტყვას „კაცი“, ჩვენ შეგვექმნება ცნება კაცისა, როგორც არსებისა. ჩამოთვლილ თანდებულთა თანხლებით, მართალია, თვით კაცის ცნებას არაფერი ემატება, მაგრამ, სამაგიეროდ, იქმნება კაცის ცნება გარემოს, ადგილის, დროის ან სხვა რაიმე მდგომარეობის მიხედვით.

ანტონისათვის თანდებულები ძირითადად ორ ჯგუფს ქმნიან: 1. „რომელნიც ბრუნვის მაკეთნი არიან“ და 2. რომელნიც „მიიღებენ“ განსაზღვრულ ბრუნვას.

პირველთა („ბრუნვის მაკეთთა“) რიგში იგი აქცევს გან, გამო და მიერ თანდებულებს, რომლებიც აწარმოებენ დაწყებითს (გან, გამო) და მოქმედებითს (მიერ).

მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან დანარჩენები, რომლებიც სხვადასხვა ბრუნვას მოითხოვენ.

ანტონთან თანდებულიანი ბრუნვებია: ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, მოქმედებითი და წოდებითი. მათ შორის თანდებულები ასე ნაწილდებიან: 1. ნათესაობითს მოითხოვს: შორის, ზედა, ქვეშე, წინაშე, გარდა, წინა, მარჯვნით, გარეგანით, გარდა, ნაცვლად, შემდგომად, ვიდრე პირის-პირ.

2. მიცემითს მიიღებენ: მებრ, შინა, ახლორე, თვინიერ, ვიდრე და სხვანი. ანტონი აქვე შენიშნავს, ბევრი თანდებული „რომელთაცა მიიღეს ნათესაობითი, მიცემითიცა მიიღესო“.

3. ხოლო შემასმენლობითის მიმღე თანდებულები (ვითარ-

ცა, ვითარ, ვითა, ეგ-სახედვე, რეცა, ესრეთ და სხვა) წრფელობითის. ნათესაობითისა და მიცემითის მიმღე არიანო.

4. დაწუებითს თანდებულები განისაკუთრებენ და სხვა ბრუნვას აღარ დაერთვიან, ესენია: კიდე, შორის, ფარულად, იდუმალ.

5. მოქმედებითს, მოითხოვს ურთ თანდებული.

აშკარაა, რომ ბევრი თანდებული არც თუ მთლად მართებულად ერთდროულად რამდენსამე ბრუნვას მოითხოვს, ბევრი საერთოდ ამოირიცხებოდა თანდებულთა სიიდან, უფრო ჩაღრმავებული კვლევის დროს.

ასეთი „შეცდომები“, ანტონის როგორც მკვლევრის უზუსტობაზე მიუთითებს, რა თქმა უნდა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგი თანდებულის გარკვეული ბრუნვისადმი ზუსტად მიკუთვნება ძველ ქართულში საზოგადოდ ჭირს და ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

ანტონის აზრით, თანდებული, კონტექსტის მოთხოვნით შეიძლება სხვა მეტყველების ნაწილადაც იქცეს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ თანდებულებთან ანტონმა გააერთიანა ისეთი სიტყვები და ბგერათკომპლექსები, რომლებიც დღეს ზმნიზედებად, ზმნისწინებად, ზედსართავის ხარისხის მაკეთად თუ ნაწილაკებადაა მიჩნეული: უე, უუ, ესი, წარ, უკუ, მე, მი, მო, მოდმი, აღე, მთა, და, გან, თან, თანა, მოდგამ, ცა, მცა, რე, უე, უკვე, ვიეთიმე, ცალ, ზე, ოდენ, სადამე, სამე და სხვა.

თუ ამათ რიცხვიდან ამოვიღებთ რამდენიმე უეჭველად, შემთხვევით მოხვედრილ დამოუკიდებელ სიტყვას, მეტად საინტერესო სურათს ვნახავთ სწორედ თანამედროვე ენათმეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ სტრუქტურულ ენათმეცნიერებას სიტყვა ესმის როგორც მორფემათა რიგი, ერთობლიობა, ჯაჭვი, რომელშიც ერთიმეორეს უპირისპირდებიან ძირეული და აფიქსური მორფემები (ადგილის მიხედვით პრეფიქსურნი და სუფიქსურნი).

თუ სიტყვას, რომელთაც ეს ჩამოთვლილი „მორფემები“ დაერთვიან, ძირეულ მორფემად ჩავთვლით, ფორმალური თვალსაზრისით, ყველა ისინი ზუსტად ერთგვარად დაუპირისპირდებიან ძირეულ მორფემას, განსხვავება მხოლოდ ადგილმდებარეობაში იქნება (ზოგნი პრეფიქსურნი იქნებიან და ზოგნი — სუფიქსურნი).

შემთხვევითი არაა, რომ ამათ რიგში არ მოხვდნენ არც ბრუნვის ნიშნები და არც პირის ნიშნები, არც წარმოქმნის აფიქსები (სახელებში თუ ზმნებში) და ეს ფაქტი, ვიმეორებთ, ფორმალური მიდგომის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა და ყურადღების ღირსი.

და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ქვევით ანტონი ამ მორფე-

მებს სხვა ნიშნის მიხედვითაც აჯგუფებს და ნამდვილ ზმნისწინებზე (წარ, უკუ, შე, მი, აღ, მიდმი, მიმი, შთა, და, გან და სხვა) ამბობს: „ხოლო ესე ვითართა არ შესაძლო თანდებულად თქმაი, თუმცა არ იყვნესმცა სახელთა ზედა დართულ, ხოლო თანდებულნი საკუთრად იგინი არიან, რომელნიცა აღაშენებენ ბრუნუასა, ანუ ითხოვენ“ (გვ. 99).

ამ „ზედდადებულთა ნიშანთა“ როგორც ვნახეთ, იგი ზმნებთან განიხილავდა, მაგრამ აქაც და იქაც განსაზღვრაში დომინანტობს ფორმალური მხარე — „ზედდადებულნი ზმნათა“, „აღმაშენი ბრუნვათა“.

ზმნიზედა

„არიან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწევროან ოხრვითა ჰნიშვნენ გარემოთა არსებისათა ანუ გვართა მოქმედებათა ანუ ვნებათასა. მაგ.: ა ნ ა ზ დ ა დ, ა წ, მ ე რ მ ე, მ ყ ი ს, გ ვ ი ა ნ, ა დ რ ე და სხვანი“ (გვ. 121)

მეორეგან „ზმნიზედა არს ნაწილი სიტყვისა, ცხადმყოფი არსისა რომელობითა ქმნათა მიმართ ანუ ვნებათა.

ჰსთქუ ცხადმყოფი არსისა რომელობითა ქმნათა მიმართ ანუ ვნებათა, ამისათვის ვითარმედ ცხად-ჰყოფს ზმნის-ზედა გარემოთა მოქმედებათა და ვნებათა ზმნათასა და თუ სადამე უკეთუობა რაიმე არს მათ შორის“ (გვ. 207).

მეორე განსაზღვრა ჭეშმარიტია და კამათს არ იწვევს: მართლაც, ზმნიზედა არის მეტყველების ნაწილი, რომელიც გადმოგვცემს მოქმედების ან ვნების რომელობას, რა გვარობას „არსის რომელობითა“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანტონი პირდაპირ მიუთითებს თანდებულებისა და ზმნიზედების მჭიდრო ურთიერთობაზე. 136-ე პარაგრაფში (გვ. 113) იგი საგანგებოდ აღნიშნავს: „არიან თანდებულნი რომელნიმე რომელნიცა ოდესმე არიან თანდებულნი მიიღონ რა ბრუნვანი:

ფ ლ ე რ ულად	მ ი ს ა,	ვ ი დ რ ე	ქ ა ლ ა ქ ად,
ზ ე ს თა	ქ ვ ე ყ ნ ი ს ა,	ვ ი თ ა რ	კ ი ნ ა მ ო ი,
უ წ ი ნ ა რ ეს	ნ ა თ ლ ი ს ა,		
პ ი რ ვ ე ლ	მ ზ ი ს ა,		
შ ე მ დ გ ო მ ად	ვ ა ზ ნ ი რ ა ხ ვ ი ს ა,	ვ ი თ ა რ ც ა	ნ ა თ ე ლ ს ა,
		გ ა ნ კ ი დ ე ბ ულ	უ რ თ ი ე რ თ თ ა გ ან..

ხოლო ოდესმე იქმნებიან ზმნიზედად მოეკიდნენ რა ზმნასა თანა:

ფარულად ზრახვიდა ვიდრე აღასრულებდა,
ზესთა ჰხედვიდა, ვითარ ისწავა,
უწინარეს რბიოდა,
პირველ განეშზადა,
შეშდგომად ეტყოდა, ვითარცა ჰსძლო,
განკიდებულ ჰსჯდა და სხეანი"

ცხადია, რომ მოტანილი მაგალითებიდან ბევრი სიტყვა ხელოვნურად შეთხზულია, ბევრი კი სრულიად დაუსაბუთებლადაა ჩათვლილი თანდებულად, მაგრამ ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს იმ ფაქტის დადასტურება, რომ ანტონს მშვენივრად ესმის ამ ორი მეტყველების ნაწილის ურთიერთმიმართება.

მაგრამ ანტონი უფრო შორსაც მიდის. მან იცის, რომ ჩამოთვლილ წარმოშობით (პირველად) ზმნიზედებს გარდა, გვაქვს მრავლისგან მრავალი ზმნიზედა, რომლებიც იწარმოებიან მეტყველების სხვა ნაწილთაგან.

აი რას წერს ამის შესახებ იგი:

„ზმნიზედათანი ვიეთნიმე მრავალნი არიან, სახენი რომელთანი ვიეთნიმე ითქმიან ვითარებითად, რამეთუ მოკიდებითა ზმნათათა ასაჩინოებენ ვითარებათა და ვითართა ანუ მოქმედებათა ანუ ვნებათა. ხოლო სახელნი იგი, ანუ არსებითნი, ანუ ზედშესრულნი იბრუნონ რა, ანუ ეგნენღა თუ თჳს სახედ, ანუ სხმულ იქმნენ მარცვალთა რაიმეთაგან და ესენი მერმეღა დარაესხნენ ზმნასა ავითარებენ და. ითქმიან ზმნიზედად" (გვ. 99). მაგალითად:

მჯიღით ჭურჭნა დაბრანიხნით

ცრემლით ევედრებოდა;

კაცობრივ შეცდა;

მალიად ვიდოდა..."

ავტორი ზმნიზედათა ხან ოთხ ჯგუფს გამოყოფს, ხან ამ ჯგუფებს. 22-მდე ამრავლებს.

პირველ შემთხვევაში ოთხ ჯგუფს გვაძლევს: 1. ვითარების, 2. რაოდენობის, 3. ოდესობისა და 4. სადაობის ზმნიზედები.

მაგალითებრ:

1. ვითარებისა — „ფრიად იდიდებოდი, თუ სადმე ვეშმარიტებასა შესდგომოდი“;

2. რაოდენობისა — „ეგოდენ სწავებ, რაოდენცა გისწავიეს“;

3. ოდესობისა — „განთიად შეისმინე ხმისა ჩემისა, მეუფეო ჩემო, და ღმერთო ჩემო“;

4. სადაობისა — „იესო ვიდოდა ქალაქით ქალაქად“.

თუ ამ ჯგუფს ნაწარმოებ ზმნიზედებსაც მივუმატებდით, მაშინ ზმნიზედათა რიცხვი 22-მდე ავიდოდა.

1. რაოდენობითი

ეგოდენ ამაღლდა, ორგზის მეფობდა მელიქსედეგ; თვითო-თვითოდ განესაზღვრა: მტკავლელად განეზომა...

2. დროებითი

ოდეს მრხვედ: ძოღან იწყო; შუაღამესა შინა აღსდგა: დრომდე შეიწყნარებს...

3. ადგილობითი

სად ეძიებთა: ზესთა ამაღლდა; შინაგანით დაიდუა; ზესკნელადრე აღვიდა; მაღლით გარდმო მოცა; მარჯულგანამართლებდა...

4. შემკრებლობითი

ერთად სხდეს; ყოველითურთ ამაღლდეს; მრაელად აღმოჩნდეს; გუნდ-გუნდად ფრინავდეს; მწყობრად განვიდეს...

5. განკიდებულებითი

პირდა-პირად შეიმკო; თვითო-თვითოდ აღირიცხეს; ცალკერძ განეშორა; შორით-შორ განარჩია...

6. დამტკიცებითი

ესრეთ ჰსთქვა: ესფერა აღმოიკითხა; ნამდვილ მტკიცედ დაამტკიცა: ამინ, ამინ გეტყვი თქვენ...

7. უკუთქმითი

არ შეიყვარა; ნუ იყოფიან; არცაღა აღმავალ არს.

8. განცხადებითი

ცხადად ისაჩინოვა; გამოცხადებით ვიდოდა; მიმრ-დადებით განფინა; ჩინებულად შეირაცხა...

9. უცხადობითი

საიდუმლოდ ამცნო; მდუმარედ ეგო; დამალვით დაჰშთა;

10. კითხვითი

რაით მოვიდა; რაისთვის წარსრულ არს; ვითარითა-რე გვარით აღეხსნა; ვინმე იყო; ვინ არს...

11. მჰსწრაფლობითი

მსწრაფლ წარილტვოდა; მყისთანად იშვნეს; მსწრაფლ-მსწრაფლ ჰრბიოდა. ადრე, იავარ ჰყო...

12. მხშირობითი

მრავლად აუწყა; სრულიად წარიტყევნა; უმეტეს აღუთქვა; ღვარად ადინებდა...

13. აღსავლობითი

პირველ მიჰმართა ღმერთმა; უწინარეს განეგო; აღსა-სრულსა მოვიდა; თვითოეულად განჰკარგა...

14. ჩვენებითი

აჰა ეგერა გეუბნების; ეჰა რაბამ იუცხოვა...

15. საიჭვო

ნუ თუ ჰქონებდა; ნუ უკვე ირწმუნა; შეჰრაცხე ვი-თარმედ მოკვდა...

16. შემრჩობლებითი

მრჩობლადრე მიღ; მერმე და მერმე იწარმოვა; ორჯერ გაიგონა; დატყუმილ იშვა...

17. წინა-აღრჩევითი

უმჯობეს აღუჩნდა; უპატიოსნეს იდიდა; უმეტესადრე განდიდნა...

18. დაუენებითი

ნუღარა სცოდავ; ნურავინ გინებ; ნურასად დააბრკოლებთ; ნუსადა იგმოს...

19. უთანამდებობითი

ცუდად დაშვრა; ლიტონად ზრახვიდა; უხამსად რბიოდა...

20. ანაზდობითი

ანაზდრე წარვიდა; მყის აღსდგა; მეყსეულად იხილა; მუნთქვესვე გაცოცხლდა...

21. მყუდროებითი

მდოვრად სდიოდა: ჯერეთ ჰსცხოვრობდა; ძნიად გაწერა; უტყვად დადგრა...

22. ნაცუალფიცითი

ესე დაესე მიყოს ღმერთმა...

ზმნიზედათა ეს ჯგუფები თავისთავად მეტყველებენ იმ ფაქტზე, რომ ყოვლად შეუძლებელია ჯერ დაადგინო ჯგუფთა რაოდენობა და შემდეგ სიტყვები აიძულო განლაგდნენ ამ ჯგუფებში. რადგან აუცილებელი იყო შევსებულიყო 22 ჯგუფი, ანტონი იძულებულია ერთი და იგივე ზმნიზედა რამდენიმეში გაიმეოროს, ხოლო ხშირად სრულიად ხელოვნურად შეთხზას ენაში არარსებული ფორმები, ან მეტყველების სხვა ნაწილებს დაესესხოს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ზმნიზედებში მოხვდნენ: **ვინ, ვინმე, რამე, ესე იგი, ნურვინ** და სხვა. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ავტორს ქართულ ენაში არსებული თითქმის არცერთი ზმნიზედა არ გამორჩენია.

ანტონის მტკიცებით, ზმნიზედას აქვს მდეგარი — „ნაკვეთი", მაგ.: ფრიად იქნება მარტივი, ხოლო ჰრთული იქნება ფრიადმჰსთქვად. ზმნიზედის გართულებაში მონაწილეობენ ან კვლავ

ზმნიზედები ან სახელები, სახელზმნები, თანდებულები და სხვა. ზოგჯერ თვით ზმნიზედები გამრჩობლდებიან, ან ჰრთული სახელი გამოიყენება ზმნიზედად („კ ა ც-მ ო უ ვ ა რ ე ბ რ შეჰქმნა").

ანტონი ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ თითქოს ზმნიზედას ჰქონდეს „სახე": „იტყვიან ღრამმატიკოსნი, ვითარმედ რეცა სახეცა იმდეროს ზმნისზედამან, მაგ.: მ ხ ო ლ ო არს პირველი სახე და ჩ ე მ ე ბ რ სხმით-გარდასულითი და სხვანი.

ესენი დაღათუ არიან სახელნი, მაგრა პირველ სახე იგი ხმეულ არს მრავალჯერ სიტყვასა შინა ზმნიზედად და სხმით-გარდასულითი იგი ზმნისზედად კეთებულ არს ებრ თქმისა მიერ. ამისათვის არა ითქმის სახელთაებრ მდევართა შეწყნარებაი ზმნის-ზედათაგან"... (გვ. 208).

კავშირი

კავშირის ანტონისეული განსაზღვრა ასეთია: „არიან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწევრთანი ოხვრითა, დაღა თუ არა თავადსა არსებასა დაჰნიშნვნენ საკუთრად და არც მოქმედებასა არსებისასა, არამედ სიტყვათა ურთიერთისადმი მოკიდებად პირად-პირადითა გვარითა შეერთებასა დაჰნიშვნენ. მაგ.: და, ხოლო, არამედ, ნუ უკვე და სხვანი.

ესე გვარნი ლექსნი იწოდებიან კავშირად მათ, რათა აკავშირებენ ერთმანეთისადმი სიტყვასა" (გვ. 121).

ამ განსაზღვრაში ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ავტორს „ლექსთა" შეერთება რომ არ დავიწყებოდა, მაგრამ ეს ნაკლი მან მეორე განსაზღვრაში გამოასწორა, სადაც ნათქვამია: „კავშირი არს ნაწილი სიტყვისა, რომელი მოჰკიდებს ურთიერთის შეწებით ლექსთა ანუ სიტყვათა სრულთა ანუ არასრულთა" (გვ. 208).

ამ ბოლო განსაზღვრის „კომენტარებში" ანტონი აზუსტებს კავშირის ბუნებას: „ვჰსთქვი მოჰკიდებს ურთიერთარ შეწებით, ესე არს ესე ვითარმედ კავშირი არც არსებასა დაჰნიშნავს, არცა ვითარებათა მისთა ქმნათა მიმართ ანუ ვნებათა, არცა მდევართა რომელთამე არსებისათა და არცაღა მდევართა ვითარებათ მისთასა, ესე იგი ქმნათა და ვნებათა მისთა, არამედ აკავშირებს მათ რომელნიცა არსებათა ანუ ვითარებათ მისთა დაჰნიშვნენ" (გვ. 208-9).

ახლა უკვე ყველაფერია ნათქვამი: ის, რომ კავშირი ცალკე არ აღნიშნავს არც არსებას, არც მის მოქმედებას და ვნებას; არც სახელისა და ზმნის რომელსამე კატეგორიას — იგი ემსახურება არსებისა და მოქმედება-ვნების უთიერთკავშირს, ან აკავშირებს ერთიმეორესთან ორ „სიტყვათა სრულთა ანუ უსრულთა".

ანტონი საგანგებოდ ჩერდება კავშირთა იმ ბუნებაზე, რომ ისინი ფორმით ერთნაირნი ხშირად სხვადასხვა ჯგუფში ექცევიან და სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ, მაგ.: ხოლო კავშირი ხან საერთოწმახნოა (მაერთებელ), ხან განწვალეთი (მაცალკევებელ), ხან გარმიმღეობითი (მაპირისპირებელი).

შეიძლება კავშირმა შეასრულოს ზმნიზედის მოვალეობაცა და პირუკუ.

საგანგებოდაა მითითებული ისიც, რომ კავშირი არც იბრუნვის და არც იუღლება.

კავშირი შეიძლება იყოს ნაცვალსახელიცო („რომელა").

კავშირის ჯგუფებია: 1. საერთ-წმახნო (მაჯგუფებელი) [1] — და, ხოლო, ვალად, გინა. სახელწოდება საერთწმახნო [2] მიიღეს იმის გამო, რომ „...სიტყვასა სხვადასხვა მისივე იდეისასა სწმახნიან ერთად და თანამოკიდებულ-ჰყოფენ ურთიერთსა..." (გვ. 108).

2. საგანწვალონი (მაცალკევებელი). „განწვალება განყოფილების გვარი არს. ვითარცა განიწვალების კაცი წულად და ქალად და განიწვალების კაცი სულად და ხორცად" (საბა). ეს კავშირები „...სიტყვათა სხვათა და სხვათა განწვალვით აკავშირებენ ურთიერთთარს" (გვ. 108). ამ ჯგუფში ერთიანდებიან: **გინა, გინათუ, ანუ, ანუთუ.** „გინა წარსულმან აქაით ისწავე მეცნიერებაი, გინათუ ჩვენთანა დაადგერ, ანუ ჩვენგან, ანუთუ მოწაფეთა ჩვენთაგან ისწავებდ" (გვ. 108).

3. გარმიმღეობითნი (მაპირისპირებელნი). ანტონისეული განმარტება ამ ტერმინისა მეტად ბნელია — „რომელნიმე ითქმიან გარ-მიმღეობითად, რამეთუ მდევართა სიტყვათა წინა-მსრბოლობისათანა რეცა. გარ-მიმღეობითად არიან მონაბამ. მაგ.: **არამედ, გარნა, თვითნიერ, მაგრა, მხოლოდ, მარტოდ, ხოლო მარტოდ, ხოლო მხოლოდ, ხოლო არამედ, გარნა ხოლო".**

ამ განსაზღვრის ზუსტად გაშიფრვა არ ხერხდება. თუ „მდევარი" აქ ნიშნავს „მომდევნოს" („უკან მიმწევნი" — საბა), მაშინ იგი შეიძლება ასე „ითარგმნოს": „კავშირი იწოდება გარ-მიმღეობითად იმიტომ, რომ იგი წინამავალი წინადადების მომდევნოს მობმული აქვს

---

[1] ანტონთან ეს ტერმინი სხვანაირი ორთოგრაფიითაც (საერთწმასნო) გეხვდება. გაიოზთან გვაქვს წმასვნითი; დავითთან — საერთწმახნონი; იოანე ქართველიშვილთან — ორივე. როგორც ჩანს, ისინი სინონიმები არიან.

[2] „წმასნა" საბასთან მეტად შეგრეხას ნიშნავს. აქედან საერთწმასნო ალბათ, ერთიმეორესთან შეერთებული, შეგრეხილი; მაშასადამე, საერთწმასნო კავშირი; ორი სიტყვის ან წინადადების ერთიმეორესთან შემგრეხი, შემაერთებელი, შემაკავშირებელი.

გარ-მიმღეობითად". თუმცა ერთი სრულიად ცხადია, ეს ჯგუფი კავშირთა, დღევანდელი ტერმინით, მაპირისპირებელნი არიან.

4. დაწყებითნი. „რომელნიმე ითქმიან დაწყებითად, რამეთუ დასაწყად წინა-მსრბოლისა იდეასა სიტყვისასა დაწყებულ-ყოფენ თანამდევარნი სიტყვისანი, რამეთუ დამოჰკიდონმცა წარსულსა თანა. მაგ.: აწ, აწუკვე, აწ ვიდრემე, აწ სადამე, ხოლო აწ და სხვანი" (გვ. 109).

ამ ჯგუფის კავშირთა წინადადებაში გამოყენების საილუსტრაციოდ ანტონს ასეთი მაგალითი მოაქვს: „ვინაითგან აღგითქვამს სწავლად აზნაურნი ცნობანი, აწ დრო არს დასასრულისა კეთილისათვის საშუალი მოქმედებად" (გვ. 109).

ამ მაგალითზე დაყრდნობით ზემომოტანილი განსაზღვრა, ვფიქრობთ, ასე უნდა გავიგოთ: „დაწყებითნი კავშირები პირველი წინადადების აზრს გამოხატავენ დამწყებად, ხოლო მომდევნო წინადადებაში გადმოცემულია ამ აზრის შესრულებისათვის საჭირო პირობა. ერთი სიტყვით, საუბარი უნდა იყოს მიზეზ-შედეგობითობაზე.

მაგრამ რაზედაც არ უნდა იყოს ლაპარაკი განსაზღვრაში, იგი მაინც ვერ გადმოგვცემს საქმის ვითარებას, რადგან ერთია განსაზღვრა და მეორეა ამ განსაზღვრის შესაბამისი კავშირების დაძებნა. საქმე ისაა, რომ არც მოტანილი საილუსტრაციო წინადადებით და არც ძველი ქართულის ფაქტიური ჩვენებით არ მტკიცდება, რომ ამ ჯგუფში ჩამოთვლილი სიტყვები (აწ, აწ ვიდრემე, აწ სადამე...) კავშირის როლს ასრულებდნენ"[1].

3. საუსრულონი — „...რამეთუ რომელსაცა ჰაზრსა სიტყვისასა არიან მოკიდებულ ითხოვენ სხვასაცა ჰაზრსა სიტყვისასა (დაღათუ, დაღაცათუ, ღათუ, არათუ, თუმცაღა, უკეთუმცა, ხოლო-თუმცაღა, ხოლო-დაღათუ". „დაღათუ, ჰქონიეს უმეცრებით ხუთ ან ექვს ფურცლედი იგი ღრამმატიკა — ყოფად, მაგრა უმეცრებით სცდებოდეს საცინელი". „...უკე თუმცა საყვარელო ჩემო, სურვიელ-იყავ ქართულისა ღრამმატიკისა სწავლად, ვერ სადმე გეხილვა სავსებით აქამომდე ღრამმატიკაი ქართულად შემდგომად წმიდათა თარგმანთა ჩვენთა. ხოლო თუმცაღა ჰსთქვას ვინ ყოფაი ჰსტყუის. ხოლო დაღათუ იყოფცა, არა ესე-გვარ აღერიამცა ენაი ქართველთა უწვრთნელთა მწერალთა" (გვ. 109).

ამ კავშირების მნიშვნელობა იგივეა, რაც დღეს ე. წ. თუმცაობით დამოკიდებული წინადადების კავშირებისა, ამიტომაცაა ამ ჯგუფში მოქცეული „თუმცა" კავშირიც.

---

[1] იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის (კავშირები და საკავშირებელი სიტყვები), ფბ., 1959 წ.

6. წ ი ნ ა-ა ღ რ ჩ ე ვ ი თ ნ ი — „რომელნიცა ნამყოსა ჰაზრსა სიტყვისასა ასაჩინოებენ წინაისა აღრჩევასა, ვიდრეღა შემდგომთა“ (ვიდრეღა, ვიდრე, ვირე, უკეთუმცა). „უმჯობეს-არს მოკლე-სიტყვაობად წრფელთა, ვიდრე უხვ და შვენიერ მოუბნარობით სიტყვაობა რიტორთა დრკუთა“ (გვ. 109).

განსაზღვრებაცა და საილუსტრაციო მაგალითიც, ვფიქრობთ, აშკარად გვიჩვენებენ, რომ ლაპარაკია ისეთ კავშირზე, რომელიც მიუთითებს მთავარ წინადადებაში გამოთქმული აზრის უპირატესობაზე, ასარჩევითობაზე, იმაზე, რომ საჭიროა ავირჩიოთ მთავარ წინადადებაში გამოთქმული აზრი.

7. მ ი ზ ე ზ ო ბ ი თ ნ ი — „...რამეთუ ზედმოღებით მოკიდებულ არიან მიზეზნი სამიზეზოისათანა“ (გვ. 110): **რამეთუ, ამისათვის, ნაცვალ, წილ, მებრ, ვინაითგან** და მრავალი სხვა.

„...ნუ უკვე ჰგონო შენ ვითარმედ შემდგომად საღმოთოთა თარგმანთა ქართულისამებრ ენისა, ყოფაი ღრამმატიკისა, მაგრა ჰსცთები, რამეთუ არვინ-სადა ჩვენგანთა იხილეს ესე. ნუ უმე მცირედთა მათ ფურცელთა ღრამმატიკისათა, აქა და იქი, ვისგანმე ურთიერთ არს მძღვნებულთა იოცნებენ, რამეთუ იყოსმცა ღრამმატიკაი, არამედ არა არს ნამდვილ“. (გვ. 110).

8. უ კ ე თ უ ო ბ ი თ ი — „...რამეთუ ჰაზრთა ორთა სიტყვისათა დამოკიდებულ ჰყოფენ ურთიერთს: **თუ ხადმე, ხოლო თუ, თუ, მერმეღა, უკეთუ, ხოლო უკეთუ...**“ „...მაღლი იგი ღმრთისა უკეთუ მზა არს, რად არა მოვიღებთ მას, ხოლო უკეთუ მოვიღოთ განვჰსცხოველდეთ, ხოლო უკეთუ არა მოვიღოთ — მოვჰსწყდეთ, უკეთუ არა დაგვიფაროსმცა მანვე“ (გვ. 111).

როგორც ჩანს, ეს კავშირი აწარმოებს პირობით წინადადებას კითხვითი ელფერით.

9. გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი — (მაიგივებელი) ჰქვიათ მათ იმისათვის, „...რომელ წინა-მსრბოლისა თანა სიტყვისა განმარტებით შედრგინებულისა მიერ სიტყვისა ჰსწმახნიან ურთიერთ არს“ (იქვე). **ესე იგი, ესე იგი არს, მაგალითებრ, ვითა.** თანა შთამომავალსა ჩვენდა ძე ღეთისა იესო ქრისტე, ესე იგი მაცხოვარი ცხებული“ (იქვე).

10. ზ ე დ მ ო ღ ე ბ ი თ ი — „...მდევარსა მას სიტყვასა წინა-მსრბოლისაგან სიტყვისა დანიშნულ-ჰყოფენ ურთიერთ არს“... **სადამე, მაშა, სამე, აწ, მაშახადამე, აწ-ხადამე...**

როგორც ვხედავთ, განსაზღვრა მეტად ბუნდოვანია. ვფიქრობთ, აქ უნდა იგულისხმებოდეს, რომ წინამავალი წინადადების აზრი მოითხოვს („დანიშნულ-ჰყოფს“) მომდევნოსთან შეერთებას. „...ვინაითგან

ჯანბანილხარ წმინდითა საბანელითა, გიღირს სადამე შეუმწიკლოდ დაცვაი საბანელისა“ (გვ. 111).

11. მ ე ტ ნ ო ბ ი თ ი — „...რამეთუ არა რაიესა დაჰნიშვნენ სიტყვათა შინა, რომელთაცა აკავშირებენ, გარნა არცა დაისხმიან განრჩეულადრე სახმარებლად, არამედ მეტნობითად ანუ ჩვეულებისათვის ანუ კეთილ-მწერალ-მეტყველებისათვის და ანუ თუ ადვილ დაწყებისათვის სიტყვათა შემდგომათა“: უკვე, ვიდრემე, ვინა, ხოლო, რაღა... „მე უკვე ფრიად ვსწადნოი რათა ზედ მიწევნილ-ვიქმენ საზღვართა ღრამმატიკისათა“ (112).

12. „ს ა ი ჭ ო დ ითქმიან რამეთუ დაკავშირებით ორთა სიტყვათათა ერთბაშად დაღათუ დაჰნიშვნენ სიტყვასა წინა მსრჰბოლსა უფროსმოქენედ შემდგომისაგან, მაგრა მიუწთომობისათვის ხელისა მისდამი, რეცა საჭიროისა მიმართ აღრჩეულოფად ჰჩვენებენ უკვე შემდგომსა მხოლოდ, მაგ.: ნუ უკვე, ნუ უმე, ნუ თუ, ნუ სადა, — „უკეთუ მართლ უბნობად და წესიერ წერად შემძლებელ იქმნე, ნუ უკვე უხე და შვენიერ მოუბნარობადცა შემძლებელ იქმნე“ (გვ. 112).

ამით მთავრდება კავშირების ჯგუფები, რასაც ანტონი ერთ მეტად მნიშვნელოვან განმარტებას დასძენს: „...ხოლო მარცვალნი ესე რომელია მე, ძი, მცა, რე, და ესე გვარნი სხვანი იქმნების, ნუუმე, რამეთუ ანუ სამკაულად ანუ განსავითარებლად დაესხნენ ზმნასა, ანუ სახელსა ანუ რომელთამე ნაწილთა სიტყვისათა“ (გვ. 113).

ეს „მარცვლები“, როგორც ვხედავთ, დღევანდელი ტერმინით ნაწილაკებია და მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფა, თავისთავად მეტად ფასეული ენათმეცნიერული დაკვირვების შედეგია.

შორისხდებული

„შორის დებული არს ნაწილი სიტყვისა ცხად მყოფი ვითარებათა სხვადა სხვათა ფსიხისათა ვნებითთა“ (გვ. 210).

ანტონმა იცის, რომ მკითხველს გაუჭირდება „ფსიხის“ გაგება და სქოლიოში განმარტავს: „ფსიხი ეწოდების სულსა, რომელი არა თვით გვამ იყოს, არამედ სხვისა არსებისა თანა მოეგოს ყოფაი“.

განსაზღვრის დაზუსტებისას ანტონი ამბობს: „ვსთქვი ცხად-მყოფი ვითარებათა სხვა და სხვა ფსიხისათა ვნებითთა. ამისათვის ვითარმედ ვნებანი სულსა შინა კაცობრიესა შესრულნი, რომელნიცა მდგმოებასა მისსა ჰსცუალებენ და დროსა მას მით განსაზღვრებულ ჰყოფენ სხვა და სხვანი არიან, ხოლო სხვაობა მათი იცნობების სიხარულისა მიმართ და მწუხარებისა, განკვირვებისა მიმართ და შიშისა, სიყვარულისა და

სიძულვილისა, შურისა მიმართ და შეწყალებისა, შეებისა მიმართ და გარე მიქცევისა და სხვათა“ (გვ. 210—11).

არავითარი მდევარი არ დევს შორისდებულსაო, რადგან „... არცა ნათესავი აქვს, არცა ნაკვეთი, არცა სახეი, არცა რიცხვი, არცა ბრუნვა, არცა უღლვა, არცა დრო, არცა პირი“.

შორისდებულის ჯგუფებია:

1. სანეტარონი: ნეტარ! ნეტართუმცა! ვაშა! ვაშა! ნეტარ-ძი! და სხვა.

2. განცხრომითნი: იშ! ვახ! და სხვანი.

3. საგანსაკვირვო: მ ი! ეჰა! რაბამ! ეჰა რაბამ! და სხვანი.

4. შეწყალებითნი: საწყალობელი! ვაი! ვაგლახ! და სხვანი.

5. სასალმობად: ჶ ი! ჳჳ ჰ! ვაი ჩემდა! და სხვანი.

6. შინაგან მგზნებარეობითად: ვაიმე! მე! უვე! უ! და სხვანი.

7. ვალებითად: და არიან ისინი შინაგან მგზნებარეობითისა გვარნივე.

8. უხამსობითად: უხამსი, უგვანი, შეურაცხი და სხვანი.

9. ბასრობითი: ეჰა! ჰაჰა! ეიე! ეიეი! და სხვანი.

10. შორის წოდებითად! აჰა! ჰაჰა! ეიეი! და სხვანი.

11. იდუმალებითად: სუ! სუუ! სსუუ! და სხვანი.

12. განმხნობითად: შაბა! შაბა! შაბა! და სხვანი.

ანტონი ერთსა და იმავე დროს შორისდებულს სხვადასხვა ჯგუფში აქცევს რამდენიმეჯერ. იქნებ, ეს სწორიცაა, რადგან ცნობილია, რომ ერთი და იგივე შორისდებული (გარეგნულად, ფორმალურად) მართლაც არაიშვიათად გამოდის რამდენიმე როლში.

მესამე ნაწილი

პირველი და მეორე ნაწილი ანტონის გრამატიკისა ფაქტიურად მორფოლოგიის განხილვაა. პირველ ნაწილში ბრუნებისა და უღლების პარადიგმებია მოცემული. მეორე ნაწილი თეორიულია და მეტყველების ნაწილთა განსაზღვრებასა და მათ ფორმალურ-ფუნქციურ ცვლას გვიჩვენებენ.

მესამე ნაწილი, რომლის სახელწოდებაა: „თვის სინტაქსისა ანუ შეთხზვა ნაწილთა სიტყვისათა და მოქმედებისა მათისა“ ძირითადად წინადადების წევრთა შორის არსებულ ურთიერთობას გადმოგვცემს. ეს ურთიერთობა თანამედროვე სინტაქსის მართვა-შეთანხმების ბადალი ჩანს, რასაც თვით სინტაქსის განმარტებაც გვიდასტურებს:

„სინტაქსი არს განკარგება წესიერ თანხმობითი ნაწილისა ხელოვნებითსა ყოვლადსა შინა". სინტაქსის ამ განმარტებას თან ახლავს ერთობ მხატვრული წიაღსვლა შთაბეჭდილების გასაძლიერებლად:

„ვითარ იგი ნაკვეთნი მარმარილოვანი პორფირისა ანუ ამარტისანი სამეუფოთა პალატთა შინა იატაკად ანუ კედლად ხმეულნი ნაკვეთნი ყვავილედნი ანუ ვაკედნი ერთმანეთისა შესაფერ და თანხმობით განკარგვიან ყოვლადსა შინა თვისსა ანუ ყვავილნი წესიერ თანხმობით განკარგულნი წალკოტსა შინა, ეგრეთცა თანხმობით ნაწილნი თვისნი სიტყვასა შინა და სიტყვანი თავთა შინა და თავნი წიგნთა შინა ჰყოფენ წესიერ სინტაქსსა, მაშასადამე, სინტაქსი სიტყვათა განკარგვა არს წესიერ თანხმობითი ნაწილთა ხელოვნებითსა ყოვლადსა შინა" (გვ. 213).

მესამე ნაწილი 17 თავისაგან შედგება. მათი ჩამოთვლაც კარგად მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა საკითხებს ეთმობა განსაკუთრებული ყურადღება:

1. მეტყველების ნაწილთა ოთხგვარი შეთანხმების შესახებ[1];
2. სახელისა და ზმნის შეთანხმების შესახებ;
3. არსებითისა და ზედსართავის შეთანხმების შესახებ;
4. მიმართებითი (ცვლამოღებითი) ნაცვალსახელისა და მათ წინ მდგომი სიტყვის ურთიერთშეთანხმების შესახებ;
5. კითხვისა და პასუხის თანხმობის შესახებ;
6. წინადადების ნაწილთა და მიღებული ბრუნვების შესახებ ზოგადად (იმის შესახებ თუ რა ბრუნვებს მოითხოვენ წინადადების წევრები ზოგადად);
7. იმის შესახებ, თუ რა ბრუნვებს მოითხოვს კერძოდ მოქმედებითი გვარის ზმნები;
8. იმის შესახებ, თუ რა ბრუნვებს მოითხოვს კერძოდ საშუალო გვარის ზმნები;
9. შემოქმედებით ზმნათაგან ნათესავისაებრ საძიებოდ სახელების მსგავსად სახელ-ზმნის მიღების შესახებ;
10. ზმნებისაგან საძიებოდ თხოვნილ განუსაზღვრებელთა და მიმღეობათა შესახებ;
11. განუსაზღვრებელთა და სახელზმნათაგან მიღებულ (მოთხოვნილ) ბრუნვათა შესახებ;
12. მიმღეობათა მიერ მიღებულ ბრუნვათა შესახებ;
13. ზედსართავი სახელისა და მისგან მიღებული ბრუნვების შესახებ;

---

1 თავთა დასათაურება თანამედროვე ქართულით წარმოვადგინეთ.

14. გრამატიკული ხელოვნების მიხედვით სინტაქსის წესებისამებრ მეტყველების ნაწილთა (წინადადების წევრთა) განკარგვის (განლაგების, ურთიერთშეწყობის) შესახებ რამდენიმე მაგალითის ჩვენებით.

15. სინტაქსში დახელოვნებისათვის ჩვენება გრამატიკული ხელოვნების მრავალ მაგალითთა, სხვადასხვა წერილთაგან ჩვენს მიერ ამოკრეფილთა;

16. სინტაქსის ზოგი გრამატიკული თვისების შესახებ;

17. სინტაქსის ზოგი სხვა გრამატიკული თვისების შესახებ.

პირველ თავში ანტონი ეხება სახელისა და ზმნის ურთიერთობას პირსა და რიცხვში: „ოდეს სახელი, რომელ არს ლექსი მარტივი დაითხზვის ზმნასა თანა შემოქმედებითსა ანუ ვნებითსა და სახელი იგი იქვემდებარების ქმნისა ანუ ვნებისა, მაშინ სათანადო არს ქვემდებარე იგი. რომელია სახელი და ზმნა რომელი შესმენილსა გვიჩვენებს ქვემდებარისასა, რათა თანხმობდნენ ურთიერთარს რიცხვითა და პირითა“ (გვ. 214, ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

ამ ამონაწერში გაუგებარი არაფერია, ლაპარაკია იმაზე, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებთან ქვემდებარე და შემასმენელი ურთიერთს უთანხმდება პირშიაც და რიცხვშიაც, ხაზგასმულ ადგილას კი მეტად ცხადადაა ნათქვამი **ქვემდებარისა და შემასმენლის (შესმენილის)** შესახებ.

ანტონი ქვემდებარესა და შემასმენელს (მასთან შესმენილს) სხვაგანაც არაერთხელ ხმარობს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ტერმინებში მთლად იმ აზრს არ დებს, რასაც დღეს ეგულისხმობთ, განსაკუთრებით არ ნიშნავენ ისინი წინადადების მთავარ წევრებს და საერთოდ ანტონთან წინადადების წევრები დღევანდელი გაგებით არცა გვაქვს. მასთან წინადადების წევრები და მეტყველების ნაწილები გაუდიფერენცირებელია, ხან ერთ ცნებებს ხმარობს და ხან მეორეს. მაგ.: ანტონთან ქვემდებარის ფარდ ტერმინად **„უფალი“** ან **„მმუფლებელი“** მოსჩანს, მაგრამ საპირისპირო წევრი ჩვეულებრივ **„ზმნად“** იწოდება. არც დამატებასა და გარემოებას იცნობს ანტონის გრამატიკა. პირველის ფარდად მასთან **„საძიებო“**, რომელიც ორად იყოფა **„ბუნებითად“** და **„ნათესაობითად“**. **„ბუნებითად საძიებო“** საშუალო გვარის ზმნათა სამოქმედო პირია უპირველეს. ამავე ტერმინით გადმოიცემა დღევანდელი უბრალო დამატებები და ზოგი გარემოება; **„ნათესაობით საძიებო“** უპირველესად მოქმედებითი გვარის ზმნათა სამოქმედო პირია. ამავე ტერმინით გადმოიცემა ვნებით ზმნათა ობიექტებიც. ერთი სიტყვით, ამ ორი ტერმინით გადმოიცემა დღევანდელი დამატებები (პირდაპირი, ირიბი და უბრალო) და გარემოებები

(ყოველ შემთხვევაში ყველა თანდებულიანი წინადადების წევრი). ამათ გვერდით გეხვდება ტერმინი „გამათვიხებელი“, რომელიც თითქმის ზუსტად გადმოგვცემს დღევანდელ განსაზღვრებას. ტერმინი „განსაზღვრებაც“, რა თქმა უნდა, ანტონიდან მომდინარეა, მაგრამ იგი მასთან მეორე მნიშვნელობით — (დეფინიციის გაგებით) იხმარება.

ამავე თავში მეტად ზოგადად მოთხრობილია იმ ურთიერთობაზე, რაც შეიძლება შეთანხმების თვალსაზრისით არსებობდეს: სახელსა და ზმნას შორის (უთანხმდებიან ერთმანეთს რიცხვსა და პირში); სახელსა და ზედსართავს შორის (უთანხმდებიან ერთმანეთს ბრუნვასა და რიცხვში, თუ რიცხვი ნართანიანი მრავლობითითაა გადმოცემული), „რომელიც“ ნაცვალსახელისა და წინმდგომ სახელს შორის (უთანხმდება რიცხვში და არაა სავალდებულო შეთანხმება ბრუნვაში; კითხვასა და მიგებას შორის (თანხმობაა ბრუნვაში, რიცხვში თანხმობა არაა სავალდებულო).

ამ ზოგად განმარტებას მოსდევს კონკრეტული ნაწილი, რომელშიც ბევრი „წვრილმანი“ საკითხია განხილული: სახელისა და ზედსართავის ჩავარდნა წინადადებაში, ზმნის ჩავარდნა, არაა სავალდებულო ზმნისა და სახელის ერთიმეორის გვერდით ყოფნა და სხვა.

უფრო მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ, თუ რამდენიმე სახელი წინადადებაში წარმოდგენილია „უფლად“ ზმნისა (ანუ სუბიექტად, მოქმედად), ზმნა მათ მრავლობითში შეეწყობა, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ **ორმა „უფალმა“ ზმნა მრავლობითში ვერ ჩააყენოს** („ღვინო და ზეთი ჰსჩანს ჭურჭელსა მაგასა ბროლისასა“ გვ. 216). თუ ზმნასთან რამდენიმე პირია დაკავშირებული, იგი ანგარიშს უწევს „უაღრესს“ (პირველსა და მეორესთან — პირველს (მე და შენ წ ა ვ ი დ ე თ) — ზმნა პირველი პირის ფორმითაა; მეორესა და მესამესთან — მეორეს (შენ და ის მ ო ხ ვ ა ლ თ) — ზმნა მეორე პირის ფორმითაა.

შესაძლებელია, სახელის მსგავსად (რომელიც ზმნას უთანხმდება პირსა და რიცხვში) სხვა მეტყველების ნაწილებიც (ნაცვალსახელი, განუსაზღვრელი (მყოფადის დროისა) სახელზმნა და მიმღეობა) ასევე უთანხმდებოდეს ზმნას. არ შეიძლება განუსაზღვრელი (აწმყო დროისა) თანდებული, ზმნიზედა, კავშირი და შორისდებული მოგვეელინონ „მმუფლებელ“ სახელად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი სიტყვის მნიშვნელობით („ლექს ოდენ“) იხმარებიან.

მმუფლებლად ზმნისა გამოიყენებიან სახელები წ რ ფ ე ლ ობითსა, მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ს ა და მ ი ც ე მ ი თ ს ბრუნვებში მდგარნი.

შეუძლებელია, რომ მმუფლებელი ითხოვოს სახელ-ზმნამაც, რო-

გორც ეს პირველი გრამატიკის შედგენისას გვეგონაო, დასძენს ანტონი (გვ. 216—219).

ანტონს აქვე მოაქვს რამდენიმე მაგალითი ძველი გრამატიკიდან და აჩვენებს, თუ რა შეცდომა დაუშვა მაშინ და როგორ უნდა გასწორდეს ის. ერთ მაგალითს მოვიტანთ; „შესვლა პეტრესი ტაძრად იქმნა ნაყოფიერ". მაშინ „პეტრესი" მივიჩნიეთ „შესვლა" სახელ-ზმნის უფლადო. სინამდვილეში „პეტრესი" არის გამათვისებელი (ე. ი. განსაზღვრება) „შესვლა" სახელ-ზმნისა, რომელიც, თავის მხრით, წარმოადგენს ზმნა „იქმნას" საძიებოს (დამატებას?).

ამ მაგალითის ახლებური (ე. ი. გრამატიკის მეორე ვარიანტის მიხედვით) გარჩევა უთუოდ სწორია დღევანდელი თვალსაზრისითაც, ერთი რომ არ იყოს: ანტონს „ნაყოფიერ იქმნა" წარმოუდგენია წინადადების ორ წევრად, სადაც „ნაყოფიერ" არის „უფალი", ხოლო „იქმნა" — მისი ზმნა (გვ. 218).

მიუღებელია ჩვენი ენისათვის, რომ პიროვანი ზმნის მაგიერ „დაიდოს" მიმღეობა, თუმც პირველ გრამატიკაში ასეთი შეცდომაც მჭონდაო და ასახელებს შეცდომების მიზეზებს: 1. ვიყავი სომხური ენის მიმხედი და გამოუცდელი, 2. ვერ მიმნდობელი თავისა ჩემისა, 3. მათი ხათრიც მჭონდა, ვინც სომხური ენიდან ჩვენი ენის გრამატიკის შედგენაში შემეწეოდნენო (გვ. 220).

შეთანხმების მეორე სახედ მიჩნეულია არსებითისა და ზედსართავის ურთიერთობა.

წარმოუდგენელია ზედსართავი იმ არსებითის გარეშე, რომელსაც იგი ეზედსართავება, ხოლო, თუ მაინც სადმე იყოს ზედსართავი უარსებითოდ, იგულისხმეთ, რომ არსებითი ძალით (ე. ი. უჩინრად, გულისხმობთ) არის აუცილებლადო. ზედსართავი ხან წინ დაესმის არსებითს, ხან — უკან და ეთანხმება მას როგორც ბრუნვაში, ისე რიცხვშიო.

შესაძლებელია არსებითსა და ზედსართავს შორის იყოს რომელიმე სხვა სიტყვა.

რამდენიმე ზედსართავი მხოლოობითში მდგარ არსებითს მაინც მხოლოობითში მოითხოვსო.

შეთანხმების შემდეგი სახეა შეთანხმება მიმართებითი (კვლამოღებითი) ნაცვალსახელისა იმ წევრთან, რომელსაც იგი განსაზღვრავს და რომლის შემდეგაც დგას წინადადებაში — ეს ნაცვალსახელია «რომელიც". ანტონს მოაქვს მრავალი მაგალითი იმ ნაცვალსახელის ხმარებისა და დაასკვნის, რომ ჩვეულებრივ იგი რიცხვში უთანხმდება წინამავალ სიტყვას, ბრუნვაში კი — არა. თუმცა ისიც შეიძლება, რომ ბრუნვაშიც შეუთანხმდესო (გვ. 222—224).

დაბოლოს — კითხვა და მიგება.

პასუხი ჩვეულებრივ უთანხმდება კითხვას ბრუნვაში. თუ დაისმის კითხვა ვისი? — ვპასუხობთ: კეისრისა; რაი არს? — დრაჰკანი; სადაით მოიტანეს? — ჰრომით და სხვა. კითხვას ჩვეულებრივ უთანხმდება პასუხი რიცხვში, თუმცა არის პირუკუ შემთხვევებიც.

კითხვაზე „ვინ"? უნდა უპასუხოს ადამიანმა, ხოლო კითხვაზე „რომელი" ერთნაირად პასუხობს სულიერიცა და უსულოც.

ამით მთავრდება ოთხი სახე (ანტონთან გვარი) შეთანხმებისა.

როგორც ვხედავთ, საქმის ვითარება ძირითადად სწორადაა გადმოცემული.

შემდეგი — მეექვსე — თავით იწყება წინადადების წევრთა სხვა ურთიერთობა — მართვა, ანუ ისეთი ურთიერთობა, როცა ერთი წევრი მეორისგან რაღაცას მოითხოვს. მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია წინადადების წევრთაგან მათთან დაკავშირებული ბრუნვადი სიტყვის მიერ გარკვეული ბრუნვის მოთხოვნაზე.

ცნობილიაო, ამბობს ანტონი, რომ წინადადების ნაწილები მოითხოვენ სხვა სიტყვისაგან გარკვეულ ბრუნვაში ყოფნას, ანუ „არიან მძიებნი ბუნებისა და ნათესავისა". როგორც ზემოთაც ვნახეთ, განსაზღვრული ძიების მოთხოვნის უფლება აქვთ: პირიან ზმნას, განუსაზღვრელთ, სახელ-ზმნათ, მიმღეობათ, ზედსართავსა და თანდებულთ, ერთი სიტყვით, წინადადების აღნიშნული წევრები მათთან დაკავშირებულ სიტყვებს ბრუნვაში მართავენ.

სიტყვა, რომელსაც მოითხოვს პირიანი ზმნა „იწოდება საძიებოდ ზმნისა", იგი უნდა შეეწყოს მაძიებლის ბუნებასო.

მოვიტანთ ერთ მაგალითს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ესმის ანტონს წინადადების წევრთა ურთიერთობა „მართვის" თვალსაზრისით: „ალექსანდრემან არ დამტეებელმან დროისამან პირველად შეიყვანა განცხადებული შინა ადგილსა მემშვილდენი, მეშურდულენი და ქვეითნი სუბუქნი". ამას შინა ალექსანდრემან არს სახელი არსებითი და სახელი ზმნისა (ანუ უფალი — ა. ფ.), რომლისა ზედშესრული არს მიმღეობა ესე დამტეებელმან; დროისამან არს სახელი ნათესაობითად ბრუნვილი ძიებული მიმღეობისგან (მართული მიმღეობისგან — ა. ფ.) და განმათვისებელი თვისი (ე. ი. მისი განსაზღვრებაა — ა. ფ.); შეიყვანა არს ზმნა; პირველად არს ზმნის ზედაი; შინა არს თანდებული; ადგილსა არს სახელი არსებითი ძიებული ზედშესრულისგან (ე. ი. მოთხოვნილი, მართული—ა. ფ.), რომელ არს განცხადებულსა და ზედშესრული ესე განმათვისებელიც (ე. ი. განსაზღვრება) არს

ადგილისა და ესენი ძიებული არიან თანდებულისგან და თანდებულთურთ ბუნებისამებრ ძიებული ზმნისგან, რომელი არს შეიყვანა (ე. ი. განცხადებულს ადგილსა შინა ერთად აღებული არის ბუნებით ძიებული ზმნისა „შეიყვანა“ — ა. ფ.), მემშვილდენი, მეშურდულენი და ქვეითნი სუბუქნი არიან ზედშესრული სახელისა ზედა ძალით მყოფსა, რომელ არს მხედარი (ე. ი. მემშვილდენი, მეშურდულენი... არიან ზედსართავები სახელისა მხედრისა, რომელიც იგულისხმება) და მხედარნი არს ძიებული სახელთა მათგან ზედშესრულთა; სუბუქნი არს განმათვისებელი (ე. ი. მსაზღვრელი — ა. ფ.) ქვეითთა და თანაც ესე ყოველნი არიან ნათესავისამებრ ძიებული ზმნისაგან. ხოლო სახელი იგი ძალით მყოფი (ე. ი. რომელიც იგულისხმება — ა. ფ.) არს ბუნებით (ე. ი. წარმოშობით — ა. ფ.) სახელი ზედშესრული და სათანადო არს, რათა არსებითსა ზედა შევიდეს სახელსა, რომელია კაცნი, მაგრამ მრავალჯერ ნაცვლად არსებითისა სახელისა დაიდების ზედ-შესრული და ძიებული იქმნების სხვისაგან ზედშესრულისა (ე. ი. მართული იქნება სხვა ზედსართავის მიერ — ა. ფ.)[1] და განმთვისებელი მისდა (განსაზღვრული მისგან — ა. ფ.).“ (გვ. 227—228) .იქვე ანტონი დაურთავს: მოცემულ მაგალითში შესაძლებლობა არა გვქონდა გვეჩვენებინა, რომ ბრუნვილი სახელის საძიებოდ მიიღებს განუსაზღვრელიც და სახელზმნაცაო და იქვე იძლევა მაგალითს: „...წავიდა ნადირობად ირემთა“, სადაც ირემთა არის განმათვისებელი განუსაზღვრებელისა — ნადირობად — სიტყვისათვის; აგრეთვე შესიტყვებიდან „...დევნითა ირემთა მაშვრალი“, დევნითა არის სახელზმნა ბრუნვაში, რომლის საძიებოს წარმოადგენს ირემთა.

ამას დაერთვის ანტონის კრიტიკული შენიშვნა: „ჰაზრობენ რომელნიმე რათა არსებითმანცა სახელმან ითხოვოს ბრუნვილი მაგალითებრ: სიყვარულსა ღვთისად და წადილი კეთილისად. ხოლო განმარტებენ ესრეთ: ესე გვარსა შინა არიან ზმნანი არსებითნი მაგალითებრ: სიყვარული იგი, რომელი არს ღმერთისად და წადილი იგი, რომელი არს კეთილისად. არსებითი ზმნა („არის“), რომელსაც წინ უძღვის ასეთი სახელი (ე. ი. „სიყვარული“), მიიღებს მიცემითში მდგომ სახელს და, თუ იქნება, სხვა რომელიმე საძიებოს.

---

[1] როგორც ვხედავთ, ანტონის აზრით, ზედშესრულისა და არსებითი სახელის ურთიერთობის დროს, ზედშესრული მოითხოვს არსებითისგან განსაზღვრულ ბრუნვას. ამჟამად ჩვენ პირუკუ გვგონია.

მე თქმულსა მას ჰაზრსა არა ვაყენებ (ე. ი. არა უარვყოფ — ა. ფ.) თვით იციან მეჰაზრეთე ესე გვართა, მაგრა მე თვითონ ასე ვჰსჯი: თქმულსა მას სიყვარული ღვთისად, წადილი კეთილისად არსებითისა და ზმნის უქონლად არ შეუძლია სიტყვის (ე. ი წინადადების — ა. ფ.) შექმნა, ე. ი. საჭიროა არსებითი სახელი და მისი ზმნა, რადგან საჭიროა, იყოს ჯერ რაიმე ზმნა პირიანი, რომელიმე გვარისა, რომელიმე დროისა, როგორც მოითხოვს სიტყვის (ე. ი. წინადადების — ა. ფ.) ბუნება და შემდეგ მათ მოითხოვონ სიყვარული და კეთილი, რომელიც იქნება მისთვის (ე. ი. არსებითისათვის — ა. ფ.) ნათესავისამებრ საძიებო, ხოლო „ღვთისა“ ანუ „კეთილისა“ იქნება ბუნებისამებრ საძიებო „სიყვარულისა“ და „კეთილისთვის“ (გვ. 229).

სახელისგან ბრუნვიანი სიტყვის მართვის მოთხოვნის უარყოფა დღევანდელი თვალსაზრისით მთლად სწორი არ იქნებოდა, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ანტონის მსჯელობის სხვა მხარე — წინადადების სრული სახით ჩამოყალიბების საჭიროება, სადაც ყველა სიტყვას თავისი ადგილი და „მხლებელი“ ექნებოდა, თანაც, როგორც სხვაგანაც ვთქვით, მეტად საინტერესოა ანტონის დამოუკიდებელი მსჯელობა: იგი უკვე თამამად ეკამათება „რომელთამე მეჰაზრეთა“.

ანტონის აზრით, ნათესაობით ბრუნვაში მყოფი სახელები არსებითს განსაზღვრებად (განმათვისებლად) მიიღებენ, უფრო მეტიც, ისინი ზედსართავებსაც განათვისებენ (გვ. 236).

ზემოთ ნათქვამი ეხებოდა ზოგადად წინადადების ყველა წევრს, რომელთაც შეეძლო მასთან დაკავშირებული წევრიდან მოეთხოვა განსაზღვრული ბრუნვით დაკავშირება.

როგორც მაგალითების გარჩევიდან დავინახეთ, ანტონისათვის ძირითადად სინტაგმის წევრთა ურთიერთობაა[1] ანალიზის ობიექტი. ისიც ნათელი იყო, რომ აბსოლუტური უმრავლესობა ანალიზის შემთხვევებისა სწორად და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისადაც კი არის ჩატარებული.

ზოგად ნაწილს მოსდევს კერძო ნაწილი: მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ბრუნვებს მოითხოვს მოქმედებითი გვარის ზმნა. ბრუნვის მიმღებ წინადადების ყველა სხვა წევრთა შორის ზმნის შესახებ ყველაზე ადრე უნდა ითქვას, რადგან ზმნა პიროვანი თავისთავად გულისხმობს უფალსა და ძიებასო (გვ. 231).

---

[1] იხ. მ. მაჭავარიანი, მე-19 ს. ქართველ გრმატიკოსთა შეხედულებანი სინტაქსზე ანტონ პირველის შეხედულებებთან ზეპირისპირებით, სტუდ. შრ. კრებული, თბ., 1948 წ., გვ. 49.

შემოქმედებითი ზმნა თავის სამოქმედოდ მიიღებს სახელებს წრფელობითს, მიცემითსა და შემასმენლობითს (რომელიც იგივე წრფელობითია) ბრუნვებში დასმულთო, რომელთაც ეწოდება ძიება ნათესაისა.

საგულისხმოა ანტონის მსჯელობა ნათესაის საძიებოს ვნებითი გვარის ზმნასთან დაკავშირების თაობაზე: ვნებითი გვარის ზმნა საძიებოს ითხოვს დაწყებით ბრუნვაში დასმულს, რადგან აქ (ვნებით ზმნაში) „უფალი ზმნისა ივნების მოქმედებისგან და თვით ქვემდებარე იქმნების ვნებისა“, ეს ვნება ითხოვს სიტყვას (საძიებოს, ობიექტს) დაწყებით ბრუნვაში მდგომი. მაგ.: „კლიტოსი მოიკლა ალექსანდრესგან“, აქ ალექსანდრე დაწყებით ბრუნვაშია და იგი მიაჩნია ანტონს ნათესაისებრ საძიებოდ. ამას მოსდევს მეტად მნიშვნელოვანი ცნობები იმის შესახებ, თუ მოქმედებითი გვარის ზმნის რომელი დროის ფორმა მოითხოვს საძიებოსაგან წრფელობითსა და მიცემითს ბრუნვებს: „ყოველნი ზმანი შემოქმედებითნი აწმყოს დროსა შინანი ითხოვენ საძიებოთა თვისთა მიცემითად“ (გვ. 232). და იქვე დაურთავს, ზოგ შემთხვევაში ზმნები აწმყოში მოითხოვენ წრფელობითს, მაგრამ მაშინ ზმნებს მაპიროვნებელ აქვთ მ—ნიშანიო („მჰსწამს უფალი“).

„მწამს“ ტიპის ზმნებში მას ობიექტად მიაჩნია სახელობითში დასმული სიტყვა, ე. ი. რეალური ობიექტი.

ასეთივეა მდგომარეობა ნამყო უსრულშიაც (უწყვეტელშიაც — ა. ფ.).

წყვეტილში (ანტონთან ნამყო სრულში) თურმეობით I-სა და თურმეობით II-ში (უსრული და უუსრულესი ანტონთან) შემოქმედებითი ზმნები საძიებოს მოითხოვენ წრფელობითში.

ბრძანებითი სქესის შემოქმედებითი ზმნები საძიებოს მოითხოვენ იმავე ბრუნვაში, რა ბრუნვაშიაც ისინი ფორმალურად დგანან.

მოქმედებითი გვარის ზმნები ნათესაის საძიებოს გარდა მოითხოვენ ბუნებითს საძიებოს. მაგ.: „მეცნიერებით აუწყე სულსა სამწყსოისა შენისასა“. ამასა შინა სიტყვასა სულსა არს საძიებო ბუნებისამებრ — ზმნა „უწყებისა“ ბუნებისაგან თხოვნილი“. როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია ორ საძიებოზე (დამატებაზე? — ა. ფ.) ერთდროულად და ზმნაც ხომ სამპირიანია — აუწყე შენ მას იგი).

ანტონის აზრით, საშუალო ზმნები ცალკე განიხილებიან, ისინი მიიღებენ ბუნებისაძიებოს და არა ნათესაობითს.

აქვე ანტონი ავითარებს მეტად მნიშვნელოვან აზრს, რომლის მი-

ხედვითაც ვნებითების „უფალი“ მუდამ წრფელობითში იგულისხმება: „უმეშვეობითთა ზმნათანი მიიღებენ ბუნებისაებრ და არა ნათესავისა საძიებოდ ბრუნვილთა ამად რომელ ჰსჯული არს ესე უცვალებელი ბრუნვილთ მიღებათა შინა, ვითარმედ ოდეს მოქმედებაი ვისიმე ვისმე მიმართ ქმნილი იმოქმედების, ორნი ქვემდებარენი იცხადებიან, მაშინ ერთი მოქმედებისა, რომელა უფალი ზმნისა შემოქმედებითისა ბრუნვილი წრფელობითად ანუ მოთხრობითად ანუ მიცემითად და საძიებო ზმნისა ვნებითისა ბრუნვილი დაწყებითად და მეორე — ვნებისა, რომელია საძიებო ზმნისა შემოქმედებითისა ბრუნვილი წრფელობითადრე ანუ მიცემითად და უფალი ვნებითის ზმნისა ბრუნვილი წრფელობითად“ (ხაზი ჩვენია — ა. ფ., გვ. 237). შემოქმედებით ზმნის უფალთან სამივე ბრუნვაა ნაჩვენები (წრფელობითი, მოთხრობითი და მიცემითი), ხოლო ვნებითი გვარის უფლად მხოლოდ წრფელობითია დასახელებული. ამას გარდა მოტანილი მაგალითი: „ნერონმან მოკლა დედა თჳისი“ და „დედაი მოიკლა ნერონისაგან“ კარგად მეტყველებს იმ ფაქტზედაც, რომ ანტონს ესმის მოქმედებითისა და ვნებითის ურთიერთდამოკიდებულება, როგორც კონვერსიული ფორმებისა.

საშუალო გვარის ზმნების რიგში ათავსებს ანტონი არსებით („ვარ“, „ვიყავ“, „ვიქნები“) ზმნებსაც, რომელთაც აგრეთვე ყოველთვის წრფელობითში მოუდით საძიებო.

აღსანიშნავია ანტონის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც წინადადებაში „მამა შენი არის მსაჯულად“, სიტყვა „მსაჯულად“ მიცემითში დასმული საძიებოდ უნდა ჩავთვალოთ, ხოლო წინადადებაში „მამა შენი არის ოცი წლის“, „ოცი წლისა“ აგრეთვე საძიებოა, ამჯერად ნათესაობითში დასმული.

ამის შემდეგ ანტონი საგანგებოდ მსჯელობს იმაზე, რომ სახელზმნები ისევე, როგორც სახელები შეიძლება შემოქმედებითში ზმნამ გამოიყენოს ორივეგვარ საძიებოდ, თუმცა, ზოგი გრამატიკოსის აზრით, ასეთი რამ შეუძლებელი არისო. „თქვეს სხვათა ღრამმატიკოსთა უწინარესთა ჩვენთა გვარი ესე, რომელთა მიღება ზმნათაგან ნათესაჲსაებრ საძიებოსა სახელზმნათა დაყენებად (ე. ი. შეუძლებლად — ა. ფ.), ...მაგრამ ჰაზრი ჩვენი არა თანახმა არს ჰაზრისა მათისა, რამეთუ სახელზმნანი არა სახელებრ იქცეოდენმცა ნიადაგ და მარადის სიტყუათა შინა, ესე იგი არა უფლად და საძიებოდ ზმნათა და არა ყოველთა მდევართა სახელისითა შემწყნარებლად, ვინაითგან სახელზმნა შეიწყნარებს ყოველთა მდევართა სახელისათა, მაშასადამე, უფლად იქმნებისცა და საძიებოდაც ზმნათა“ (გვ. 238).

ამ თვალსაზრისით მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები არ სხვაობენო.

სახელზმნისგვარად იქცევა წინადადებაში განუსაზღვრებელი და მიმღეობა. ისინიც ჩვეულებრივ მოუდიან ზმნებს ორიენტირებულ საძიებოდ. ამჯერად შემოქმედებითსა და ვნებითს გვერდით უდგანან საშუალი გვარის ზმნებიც: „შესაძლებელ არს უმეშვეობითგანაც (ე. ი. საშუალოთაგან — ა. ფ.) ზმნათა მიღებად საძიებოდ განუსაზღვრელნი“.

ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად საგულისხმო შენიშვნა იმის შესახებ, რომ შესაძლებელია მთელი წინადადება იყოს ზმნის საძიებო: „შესაძლებელ არს ყოვლადიცა სიტყვაი მიღებად საძიებოდ ზმნისაგან, მაგალითებრ: დაჰსწერა ფიცარსა ზედა და ჰსთქუა: იოანე არს სახელი მისი. ამასა შინა ყოველი სიტყვა არს საძიებო ზმნისა, რომელია ჰსთქუა და სხვა“ (გვ. 240). იგულისხმება ის, რაც თქვა („იოანე არს სახელი მისი“)— ერთად აღებული საძიებოა.

ანტონის აზრით, თავის მხრით, „განუსაზღვრებელი და სახელზმნანი მიიღებენ საძიებოს წრფელობითს, მიცემითს, ნათესაობითსა და სხვათა ფორმით. ეს საძიებონი იქნებიან ხან ნათესავისა, ხან ბუნების“ (გვ. 240—242). „ამათვე მსგავსად, მიმღეობის ყველა სახეც მომთხოვი და მიმღებია ორთავ საძიებოთა“.

მეტად საინტერესოა შემდგომი თავი, რომელშიაც ლაპარაკია ზედსართავის მიერ მოთხოვნილ და მიღებულ ბრუნვათა შესახებ. ავტორი იძლევა ზედსართავის ცნების ბრწყინვალე განმარტებას და, რაც სრულიად მოულოდნელია და არც ერთ სხვა გრამატიკოსთან არა გვაქვს — ამ ცნების შედარებითს, ფილოსოფიურსა და გრამატიკულ განსაზღვრას.

„სახელ ზედშესრულ ზედწოდებულ-ჰყოფთ მას, რომელიცა არა ნივთსა თვით მდგომარესა გვიჩვენებს, არამედ თვით მდგომარესა ნივთსა ზედა შესრულსა რაიმესა .მაგ.: კაცი, ანგელოსი.. ესენი თვით ქვემდებარებენ სიტყვასა შინა... ხოლო რომელნიც არიან ზედშესრული თვით მდგომარეთა ნივთთა ზედა: სასწაული, მართალი...

ზედშესრულთანი ყოველნი მებრ ფილოსოფოსთა, არიან ზედშესრულ, ვითარ იგი თავით თვისით ვერ მდგომარენი, არამედ არსებასა ზედა შესრულნი (ჩემი კატეგორია, § 44, თქმულთათვის), ხოლო გრამმატიკოსთაებრ, მხოლო

იგინი, ოდენ ზედ-შესრულ, რომელნიცა თავით თვისით ვერ მდგომარებენ სიტყვასა შინა. მაშასადამე სახელნი ზედშესრულნი რომელიმე თვით მდგომარებენ სიტყვასა შინა, მაგალითებრ: წინასწარმეტყველი არს ზედშესრული ფილოსოფოსთაებრ, ვითარცა ნივთიერ მდგომარე თავით თვისით, მაგრამ გრამატიკოსთაებრ არა სახელი ზედშესრული, მით რომელ თვით მდგომარებს სიტყვასა შინა" (გვ. 246).


ეს პირველი შემთხვევაა, როცა გრამატიკოსი ცდილობს განასხვაოს გრამატიკული და ლოგიკური (ფილოსოფიური) ცნება, თანაც ასე ნათლად და საფუძვლიანად, რაც აქამდე შეუმჩნეველი დარჩა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

შემდეგ ანტონი ჩამოთვლის ზედშესრულებს და, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ამ ჯგუფში სრულიად სამართლიანად ასახელებს მოგებით (კუთვნილებით) და ჩვენებით ნაცვალსახელებს, მიმღეობებს. ზედსართავები ზოგნი არიან ძირეულნი „ტკბილი" (სიტკბილის გამო), „მწარე" (სიმწარის გამო), ზოგი კი — ნაწარმოები არსებითთაგანო: „ცხენოსანი", „მემშვილდე" და სხვა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ: **მამა, ძე, ცოლი, ქმარი, უფალი, მონა** და სხვა მას მიიჩნია აგრეთვე ზედსართავებად: „იგულისხმებიან რეცა უმეშვეობითად რაისა მიმართთაგან მიღებულნი" (გვ. 247).

ზედსართავს, რომელიც წინადადებაში გამოიყენება, როგორც არსებითი, ე. ი. დამოკიდებულ წევრად შედის მასში, ანტონი უწოდებს **შორისს**. ჩვეულებრივ, შორისად გვევლინებიან მიმღეობები და თვისების აღმნიშვნელი აბსტრაქტული სახელები ფერი, გემო და სხვა. **შორისად** მიაჩნია ანტონს ზოგი სახელზმნაც (**განზრახვა, წყობა, განკარგვა**). ჩვეულებრივ, კი მასთან **შორისი** ყველაზე უფრო შეესაბამება. გასუბსტანტიებულ ზედსართავებს ან მოქმედების გადმომცემ სიტყვებს — ზმნური წარმოშობის მქონეთ და, რადგან მიმღეობა-**შორისი** ზმნისგან ნაწარმოები სახელია, თავის მხრით, მოითხოვს საძიებოს.

ამის შემდეგ ანტონი მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორი თანამიმდევრობითა და ურთიერთშეწყობით უნდა „განიკარგონ" (განაწილდნენ) წინადადებაში მისი წევრები. მოცემული თანამიმდევრობა ასეთ სქემას წარმოგვიდგენდა:



ყოველ სახელს შეიძლება ახლდეს თავისი განმათვისებელი: ანტონმა ისიც იცის, რომ ეს წესი ყოველთვის არ გამოგვადგება, რადგან ყოველი წინადადება მასში გამოთქმული აზრის მიხედვით მოითხოვს წევრების რაოდენობას და მათი ურთიერთშეწყობაც იმაზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს რაღაც აუცილებელი ნორმა, რომელიც საჭიროა წინადადების შესადგენადო. ეს აუცილებელი ნორმაა წინადადების შემდეგი წევრების არსებობა: 1. სახელი ზმნისა, 2. ზმნა, 3. საძიებო ზმნისა (ორივე). დანარჩენები შეიძლება საჭირო იყოს, შეიძლება — არაო.

არის ცდუნება, ეს მოსაზრება გავუთანასწოროთ თანამედროვე ქართულ სინტაქსში გამოთქმულ დებულებას წინადადების მთავარ წევრთა შესახებ, რომლებადაც მიჩნეულია, ქვემდებარე, შემასმენელი და პირმიმართი დამატებები.

დანართში ლაპარაკია შესაბამ წერაზე, უბნობასა და ნაწერის ამოცნობაზე.

„შესაბამ წერა არს შემძლებლობა წერად საჩვეულებოითა და საკუთრითა წიგნითა“ (გვ. 284).

წესიურ უბნობათა სამაგალითოდ მოცემულია თანხმოვანთა წყვილები (ფ//ბ, ბ//პ; ვ//ბ; გ//კ...) და ნათქვამია, რომ ესენი „ადვილ საცვლო არიან ერთმანერთისა, მაგრა ფრიად უხამს არს უშვერ და უგვან“ (გვ. 284).

ამ ბგერათა ურთიერთმონაცვლეობაზე მითითება აშკარად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ანტონს ქვეცნობიერად მხედველობაში აქვს კომბინატორული ბგერათცვლილებები.

შესაბამ წერას ემსახურება ექვსი პირობა: 1. ცნობა ხატთა, ე. ი.

შესახედავთა მნიშვენლთა ასოთასა[1]. 2. ცნობა პროსოდიათა და ნიშვნითთა ღრამთა მათთა; 3. ცნობა თვისებათა ასოთა აღმოოხვრათასა. 4. გამოცდილება ასოთა მეთქვეობისა; 5. საზოგადო ყოფა ნათესავისა — მიმართ წერილთასა; 6. ცნობა ქარაგმათა.

ასოთა შესახედავში გარჩეულია: 1. საზენაო, რომლითაც იწყება საერთოდ წერა; 2. ასომთავრული („სიტყვისა და პერიოდის თავად დაიდების"; 3. მგრგლოვანი; 4. ნოტრი; 1. საზოგადო („რომელიცა მრავალთა წერილთა შინა, ანუ სტამბასა და ანუ კალმით წერილისათა იხმარების"); 6. ყვავის ფრჩხილოვანი; 7. ასომთავრული — თხზული.

შემდეგ ლაპარაკია „პროსოდიაზე", რომელიც „...არს ოხერა რაიმე, წყობითი, გამოღებასა შინა ასოთა მარცვალთა, ლექსთა და სიტყვათა" (გვ. 285).

პროსოდია ბგერათა წარმოთქმაში გაარჩევს: მოხრილს, მახვილს, გრძელს, მოკლეს, ბრჯგუს, ლბილს და ღიტონს.

ბგერათწარმოთქმის ამ სახეობებში ძნელი არაა გავარჩიოთ ბგერის ზოგადი თვისებები: სიმაღლე-სიდაბლე, სიგრძე-სიმოკლე, ხანგრძლივობა და ტემბრი, თუმცა ანტონთან ყველაფერი ნათელი როდია. არც სიგრძე-სიმოკლეა ყოველთვის ზუსტად გამიჯნული. მაგ.: ჱ ხან გრძელია ა, ე, ო, ი, და უ ხმოვნებთან ერთად, ხან — მოკლე ჲ, ჳ, ჴ და ჰ, ჯ მოკლე ხმოვნებთან ერთად (გვ. 286). უფრო ადრე, წიგნის განყოფილებაში კი ა, ე, ო, ი და უ ითვლებოდნენ თვითხმოვნებად და ჱ, ჲ, ჳ, ჴ არათვითხმოვნებად ან „საშუალო ხმოვნებად" (გვ. 116).

რბილებად ანტონი თვლის: დ, ტ, თ, ზ, ს, ც, ძ, წ ბგერებს, ლიტონებად — მ, ბ, პ, ფ, ვ, და ფ-ს, ხოლო ბრჯგუდ — ჭ, შ, ჩ, ჯ, ჯ, გ, კ, ქ, ღ, ყ, ხ, ჯ. ასეთი დაყოფის საფუძველზე მითითება არაა და არც ისაა ნათქვამი, თუ ყველა თანხმოვანი რატომ არ დაექვემდებარა ამ დაჯგუფებებს.

ანტონი იქვე ჩერდება ქარაგმებზე და მკაცრად მოითხოვს, მთარგმნელ მამათგან მიღებული წესების დაცვას.

სასვენ ნიშნებში გამოყოფილია: მ ძ ი მ ე — არასრული წინადადების აღსანიშნად; წ ე რ ტ ი ლ ი — სრული წინადადების აღსა-

---

[1] აქ ასო ნახმარია უკვე დღევანდელი მნიშვნელობით — ყოველი ბგერის ხატის აღსანიშნად. „დანართში" სხვაგანაც, „ახო" ასეთი გაგებითაა ნახმარი, მაგრამ ეს არაეთარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ „ახოს" ასეთი გაგება გავაერთიანოთ გრამატიკაში ნახმარი ამავე ტერმინის მნიშვნელობაზე. იქ, როგორც აღვნიშნეთ (იხ. გვ. 102—106), „ახო" სრულიად სხვა მნიშვნელობითაა ნახმარი. „დანართშიეა" გეხვდება „წიგნი" ტერმინის „ახოს" მსგავსადვე ხმარება.

ნიშნად; ორი წერტილი — წინადადების დასასრულის აღსანიშნად. ამათ გარდა მითითებულია: ფრჩხილი გარემოთხმული. (ე. ი. დეფისი), რომელიც გარჩეულია გადატანის ნიშნის ანუ ქვენაშთისაგან იმით, რომ პირველი ნახევარრკალია ზევით ამობრუნებული, ხოლო მეორე — პატარა სწორი ხაზი, ის, რაც დღევანდელი დეფისია [1].

საკმაოდ დაწვრილებით და სწორად აქვს ანტონს მოცემული სიტყვის დამარცვლისა და სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესები.

როგორც მკითხველიც შეამჩნევდა, „დანართში" განხილული საკითხები ორთოგრაფია-ორთოეპიას ეხება და მათ პირდაპირი კავშირი გრამატიკასთან არა აქვთ, ამიტომაცაა, რომ აქ ანტონი მეტად ზერელედ და ზოგადად მსჯელობს.

[1] ორთოგრაფია-პუნქტუაციის საკითხებზე უფრო დაწვრილებით იხ. ელ. ბაბუნაშვილის შრომა, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები. თბ., 1970 წ., გვ. 28—77.

IV. გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო

გაიოზის ცხოვრება და მოღვაწეობა; ქართული გრამმატიკა: ა. შესავალი; ბ. პირველი ნაწილი — მორფოლოგია; გ. მეორე ნაწილი — სინტაქსი ანუ „ალნაქვსი"; დ. მესამე ნაწილი — ორთოგრაფია — პუნქტუაცია.

გაიოზის პიროვნებას, მის ცხოვრების გზასა და მოღვაწეობას მრავალი მკვლევარი შეხებია, მაგრამ ამ მეტად ფართოდ ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიაში ბევრი გაურკვეველი და სადაო მომენტია ჯერაც.

ზუსტად არ ვიცით დაბადების წელი, ადგილი, მშობლების ვინაობა და წოდებრივი მდგომარეობა. დაბადების ორი სავარაუდო თარიღიდან (1739, 1746 წწ) მკვლევართა მეტი წილი და თვით გაიოზის წერილობითი ჩვენების დასტური მხარს მეორეს (1746 წ.) უჭერს, მაგრამ კვლავ სადაოდ უნდა ჩაითვალოს გვარის საკითხი. მკვლევარები ასახელებენ ოთხ შესაძლებელ ვარიანტს: ბარათაშვილს, თაყაიშვილს, ნაცვლიშვილს, ვაგოშაშვილს.

ელ. ნიკოლაიშვილი აანალიზებს ყველა ამ ვარიანტის დამცველ თუ უარმყოფ საბუთს და წერს: „ამჟამად მკვლევართა შორის უფრო გამტკიცებულია ის აზრი, რომ გაიოზი გვარად ბარათაშვილია, მაგრამ ამ მტკიცებას აძნელებს ანტონ კათალიკოსის წერილი ასტრახანის ეპისკოპოს მეთოდესადმი, მიწერილი 1776 წელს. გაიოზის შესახებ უწმინდესი სინოდის შეკითხვის პასუხად, გაიოზის მოძღვარი და მასწავლებელი ასტრახანის ეპისკოპოსს ატყობინებს: „მე დიაკონის მის აზნაურყოფისა რომელსა ჰსწამებს თავისა თვისისათვის, ესე მიმიღიეს უწყებაი. ვითარმედ დაიჩოქმან რომელიმემან ტფილისელმან, სახელით ზედწოდებულმან ზაქარია, აღზარდა დიაკონი იგი ხსენებული გაიოს შვილად და მემკვიდრედ მცირისა საცხოვრებლისა თვისისა". როგორც ვხედავთ — დაასკვნის მკვლევარი — ანტო-

ნი არ ასახელებს გაიოზის გვარს და მის აზნაურობასაც საეჭვოდ ხდის“ [1].

და რადგან გაიოზის გვარის დადგენა არ მოხერხდა, მას, ჩვეულებრივ, გაიოზ რექტორის სახელით იხსენიებენ, იმ თანამდებობის მიხედვით, რაც მას თელავის სემინარიაში ეჭირა.

დაბადებიდან 1763 წლამდე გაიოზის ბიოგრაფია უცნობია, ამ წელს იგი ანტონს აუყვანია მოწაფედ და უსწავლებია მისთვის „აზნაურნი და თავისუფალნი სწავლანი“.

გაიოზი სწავლობდა იმ სემინარიაში, რომელიც ანტონმა დააარსა 1755 წელს თბილისში და რომლის ხელმძღვანელობაც მან განაახლა რუსეთიდან დაბრუნების (1762 წ.) შემდეგ. 1765 წელს ანტონს გაიოზი ბერად აღუკვეცია; მალე იგი უკურთხებია დიაკვნად და შემდეგ არქიდიაკვნად.

1772 წელს გაიოზს ეხედავთ ანტონისა და ლეონ ბატონიშვილის იმ ამალაში, რომელიც ერკელე მეორემ რუსეთს გაგზავნა გეორგიევსკის ტრაქტატის მოსამზადებლად.

ორი წლის შემდეგ ქართველი დიპლომატები უკან ბრუნდებიან, მაგრამ გაიოზი მათ ამალაში არაა.

საქმე ის იყო, რომ გაიოზმა გადაწყვიტა სასულიერო განათლების მისაღებად რუსეთს დარჩენილიყო. მას ეს გადაწყვეტილება ანტონისათვის უცნობებია, როცა ისინი მოსკოვს მივიდნენ. ანტონი სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა გაიოზის მოსკოვში დარჩენისა, მაგრამ გაიოზს მაინც თავისი გაუტანია და ქართველებს სამშობლოში არ გამოჰყოლია.

რუსეთში დარჩენილს 1774 წელს თხოვნით მიუმართავს ეკატერინე მეორისათვის, რათა სასულიერო აკადემიაში შესვლის ნება დაერთოთ.

აკადემიაში შესვლამდე მისთვის მოსკოვის სასინოდო კანტორას ჩვენება ჩამოურთმევია, რომელშიც გაიოზს აღუნიშნავს, რომ რჩება რუსეთში ლათინურისა და რუსული ენის შესასწავლად და რომ აქვს ამ საქმეზე სიტყვიერი თანხმობა ანტონ კათალიკოსისა.

მოსკოვის სასინოდო კანტორას ამ ჩვენების სისწორის შემოწმება ასტრახანის ეპისკოპოსის მეთოდესთვის დაუვალებია, მაგრამ პასუხის მიღებამდე გაიოზი აკადემიაში ჩაურიცხავთ.

ანტონის ზემოთ მოტანილი წერილი მეთოდესადმი სწორედ ამ საკითხს ეხებოდა და, რომ იგი ადრე მისვლოდათ მოსკოვში, გაიოზს

---

[1] გაიოზ რექტორი, ქართული ლრამმატიკა, თბ., 1970 წ., შესავალი წერილი, გვ. ბ.

აკადემიაში, ალბათ, არც მიიღებდნენ, რადგან ანტონი ხაზგასმით წერდა, რომ გაიოზისათვის მას არ მიუცია მოსკოვში დარჩენის არავითარი ნება. მაგრამ სანამ ანტონის პასუხს მოსკოვში მიიღებდნენ (1777 წელი), გაიოზს აკადემია დაუმთავრებია კიდეც.

1778 წელს გაიოზი ერეკლემ გამოიწვია თბილისში, სადაც მას ქართველებისათვის რუსული სკოლა დაუარსებია.

1779 წელს იგი უკურთხებიათ მღვდელმონაზვნად, ხოლო 1780 წელს გაიოზი კვლავ საქართველოშია მეფე ერეკლესთან რუსეთის მთავრობის დავალებით გამოგზავნილი.

იმავე წელს თელავში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის პირველ რექტორადაც გაიოზი დანიშნეს.

სინამდვილეში იგი სემინარიის რექტორად მხოლოდ ერთი წელი იყო, რადგან 1783 წელს ერეკლემ დანიშნა იმ დელეგაციის წევრად, რომელსაც გეორგიევსკის ტრაქტატის დადება ევალებოდა.

1784 წელს გაიოზი არქიმანდრიტად აკურთხეს პეტერბურგში. მის კურთხევას ეკატერინე მეორე დასწრებია, რაც შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს — რუსული ორიენტაციის მჭონე გაიოზი, რომელსაც საკმაო პატივს სცემდნენ საქართველოში, რუსეთის სამეფო კარისთვის მეტად საჭირო პიროვნება იყო.

ამ წლიდან მოკიდებული გაიოზი საქართველოში აღარ დაბრუნებულა და მთელი შესაძლებლობით ემსახურებოდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გაფართოება-გაძლიერების საქმეს, განსაკუთრებით ჩრდილო-კავკასიაში.

გეორგიევსკში ყოფნისას გაიოზი გასცნობია პ. პოტიომკინს — იმ ხანად კავკასიის ხაზის ჯარების მთავარსარდალს, რომლის წყალობითაც კარგი ურთიერთობა დაუმყარებია იმ დროის უდიდეს სახელმწიფო მოღვაწე გრ. პოტიომკინთან და რომელსაც ჯერ უკრაინაში, ხოლო შემდეგ მოლდავეთში ხლებია, თითქმის მთელი ათი წლის განმავლობაში.

1793 წელს დაარსდა მოზდოკის ეპარქია, რომლის ეპისკოპოსად, როგორც ყველაზე უკეთესი კანდიდატი, გაიოზი დაუნიშნავთ. მან უდიდესი შრომა გასწია ჩრდილო კავკასიის ხალხებში სასულიერო თუ საერთო ცოდნის დასანერგავად.

ასე მოიქცა იგი მოზდოკის ეპისკოპოსად დანიშვნისასაც. მან მაშინვე „ყურადღება მიაქცია სკოლას, რომელიც, მართალია თავისი არსებობის სამ ათეულ წელს ითვლიდა, მაგრამ მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა. გაიოზმა მოაწესრიგა სკოლის მდგომარეობა, მასწავლებლად დანიშნა განათლებული და ამ საქმი-

სადმი თავდადებული პირები და სკოლის მდგომარეობაც ფეხზე დააყენა“ [1].

გაიოზმა რუსულ ანბანზე დაყრდნობით „შეადგინა ოსური ანბანი და გადათარგმნა პირველ-დაწყებითი საქრისტიანო მოძღვრება, რომელიც ამავე ანბანით 1798 წელს დაიბეჭდა მოსკოვში სლავურ-ოსურად და პირველ ოსურ წიგნად ითვლება“ [2].

დიდი განათლებისა და ცოდნის გარდა, გაიოზის რუსი ბიოგრაფები განსაკუთრებით აღნიშნავენ მის რაღაც არაჩვეულებრივ შინაგან ძალას, რომლის საშუალებითაც იგი უმალვე ატყვევებდა გარეშე მყოფთ.

გაიოზი მეტად ლამაზი გარეგნობის, ახოვანი ტანისა და საკვირველად მხიარული ხასიათის პიროვნება ყოფილა და თუ იმასაც დავუშატებთ, რომ მისი სახლის კარი ყოველთვის ღია იყო სტუმრებისათვის, ხოლო მაგიდა — სავსე, რა გასაკვირია იმ ბერძნის ქველმოქმედება, რომელსაც გაიოზის ხათრით 150000 მანეთი შეუწირავს ასტრახანის ტაძრის აღსადგენად[3].

მიუხედავად ფიზიკურად რუსეთში ყოფნისა, გაიოზი მთელი სულითა და გულით საქართველოსთან იყო, მთელი ძალითა და ღონით ქართული კულტურისა და მეცნიერების საქმეს ემსახურებოდა.

მან ქართულ ენაზე თარგმნა და თვითონაც შექმნა უამრავი შრომა (ზოგის აზრით 400-მდე), რომელთა უმეტესობა რუსულიდან გადმოიღო და, მათ შორის, სასულიერო წიგნებს გარდა, ცოტა როდი იყო საისტორიო, საგრამატიკო და სხვა ხასიათის თხზულებანი საქართველოში სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებლად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართული ანბანი“ და „ქართული გრამმატიკა“, რომლებიც გაიოზმა მოზდოკში დაბეჭდა და საქართველოში გამოგზავნა[4]. ამ უკანასკნელით სწავლობდნენ ქართულ ენას მე-19 საუკუნის გარიჟრაჟზე თბილისში დაარსებულ ევროპული ტიპის საკეთილშობილო სასწავლებელში მისი გახსნის პირველი დღეებიდანვე (1804 წ.), ყოველ შემთხვევაში, 1809 წლამდე, ვიდრე ამ სასწავლებლის ქართული ენის პირველმა მასწავლებელმა, პროტოიერეი იოანე ქართველიშვილმა საკუთარი სახელმძღვანელო არ შექმნა.

---

[1] ელ. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა (გაიოზ რექტორი, ქართული გრამმატიკა, თბ., 1970 წ., გვ. 15).

[2] იქვე.

[3] Русский биографический словарь, 1912 г.

[4] ზოგის აზრით, გაიოზმა საქართველოში გამოგზავნა 630 ცალი გრამატიკა, თეითონ გაიოზი იმერეთის დედოფალ ანასადმი მიწერილ ბარათში 700 ცალს ასახელებს. ჩვენი აზრით, ორივე ცნობა გაზვიადებულია.

როგორც ცნობილია, გაიოზის წიგნი იყო პირველი ნაბეჭდი ქართული ენის გრამატიკა ქართულ ენაზე [1].

წიგნის ბოლოში აღნიშნულია: „წელსა 1789, თვესა ოქტომბერსა, კრემენჩუგს“. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ იქ მითითებული იყო წიგნის დაბეჭდვის დრო, ბოლოს დადგინდა, რომ თარიღი მიუთითებს არა დაბეჭდვის დროს, არამედ დაწერისას. დაბეჭდილიყო უნდა იგი მოზდოკს 1796—1804 წლებს შორის.

როცა გაიოზის გრამატიკას განვიხილავთ, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ის გარემოება, რომ: „გაიოზი ანტონ კათალიკოსის მოწაფე იყო, ისმენდა მის ლექციებს თბილისის სემინარიაში, სადაც ანტონი გრამატიკასაც ასწავლიდა. გაიოზი დიდ ხანს იყო ანტონთან დაკავშირებული პირადი ცხოვრებითაც. ცხადია, გაიოზის გრამატიკა ვერ ასცდებოდა ანტონის გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს როგორც გრამატიკისა და მისი ნაწილების განსაზღვრაში, ისე ტერმინოლოგიაში, ცალკეულ საკითხთა გაგებაში და სხვა. გაიოზი პირდაპირ მიუთითებს ხოლმე: „იხილენ ვრცლად დიდსა შინა ღრამმატიკასა ანტონისასა“ (გვ. 141). „იხილე დიდი ღრამმატიკა ანტონისა“ (გვ. 143) და ა. შ. სხვათა შორის გაიოზის დამოკიდებულება ანტონისადმი კარგად ჩანს მის გრამატიკაში მაგალითებად მოტანილი ასეთი ფრაზებიდანაც: „ანტონიმ განაშვენა ღრამატიკაი“ (გვ. 91), „ვის განუშვენებიეს ენა ქართული? — ანტონის“ (გვ. 118) და სხვა.

მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გაიოზი ბრმად როდი მისდევს ანტონის გრამატიკას, — განსხვავდება მისგან როგორც აღნაგობით, ისე ცალკეულ საკითხთა გაგების მხრივაც. გაიოზის გრამატიკაში ბევრი ორიგინალური და საყურადღებო მოსაზრებაა“ [2].

ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრგან გაიოზმა ვერ გაიგო ანტონის გრამატიკის დებულებები და გამოტოვა ისინი, ან არასწორად გაიგო და დამახინჯებულად წარმოგვიდგინა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

გაიოზისა და ანტონის გრამატიკათა უბრალო, გარეგნული შედარებაც კი ცხადყოფს მათ შორის დიდ სხვაობას: თუ ანტონის გრამატიკა მოზრდილი ფორმატის სამასგვერდიანი წიგნია, გაიოზის გრამატიკა გაცილებით მცირეა, იგი ასიოდე გვერდს შეიცავს და, რა-

[1] არსებობს ავტოგრაფი, ხელნაწერი პირიც, რომლის ნაბეჭდისადმი მიმართების შესახებაც იხ. კელაე ელ. ნიკოლაიშვილის წიგნში.

ამ ხელნაწერს გარდა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში ინახება გაიოზის გრამატიკის კიდევ ერთი ხელნაწერი H—2255, რომლის მიმართება ავტოგრაფისა და ნაბეჭდისადმი საკვლევია.

[2] ელ. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორის ქართული გრამატიკა, „მაცნე“, 4. 1965 წ., გვ. 162.

თქმა უნდა, ასეთი წიგნი უფრო კარგად გამოდგებოდა სასწავლო მიზნებისათვის, ამას უნდა მიემატოს სიახლე და თანმიმდევრულობა მასალის დალაგებაში, ნათელი და იოლად გასაგები ენა, რაც, საბოლოოდ, სასკოლო საქმეში მის უთუო უპირატესობას განაპირობებდა.

ანტონის გრამატიკა, როგორც ვნახეთ, მეტად თავისებურად შედგენილი შრომაა. ეს თავისებურება თავის დროზე მარი ბროსემაც შენიშნა[1] და იმაში გამოიხატება, რომ იგი იწყება პირდაპირ სახელთა ბრუნვით, მას მოსდევს ნაცვალსახელი (ბრუნებით), ზმნა (უღლებით) და დანარჩენი მეტყველების ნაწილთა (თანდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული) ჯგუფებით — ამით მთავრდება პირველი თავი.

მეორე თავი ეძღვნება გრამატიკის განმარტებას, მის ნაწილებს (წიგნს, მარცვალს, სიტყვას, წინადადებას), ზოგად განსაზღვრა-დახასიათებას და შემდეგ იწყება, თუ შეიძლება ითქვას, თავიდან, მეტყველების ნაწილთა განსაზღვრა და მათი ფორმალურ-ფუნქციური ცვლილება-თავისებურებების გადმოცემა.

ერთი სიტყვით, ორივე თავი მორფოლოგიას ეძღვნება, თითქოს იმ განსხვავებით, რომ მეორე ნაწილში ფორმასთან ერთად მოცემულია მათი დანიშნულებაცა და გამოყენების ადგილიც, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ერთი ფაქტია, ეს მეორე თავი ბევრ რამეში იმეორებს პირველს.

მესამე ნაწილი ანტონის გრამატიკისა, როგორც ვნახეთ, მთლიანად სინტაქსის საკითხებს ეთმობა და მას მოსდევს დამატება (ორთოგრაფია — ორთოეპიის, პუნქტუაციისა და ქარაგმების საკითხებით).

გაიოზის გრამატიკაში უარყოფილია მორფოლოგიის ორად გაყოფა და შესავლის შემდეგ, რომელშიც მოცემულია გრამატიკის ნაწილები და მათი ზოგადი განსაზღვრა, მოდის ფონეტიკის (პუნქტუაციით) ნაწილი. მას მოჰყვება პირველი ნაწილი (მეტყველების ნაწილთა ფორმალურ-ფუნქციური დახასიათება მთლიანად), შემდეგ მოდის მეორე ნაწილი (სინტაქსი) და — მესამე (რომელშიაც გადმოცემულია მართლკითხვისა და მართლწერის საკითხები).

შესავალი „ღრამმატიკისა“

გრამატიკის განსაზღვრისას გაიოზი ანტონს უახლოვდება („ღრამმატიკა არს სწავლა მართლ-უბნობისა, წერისა, კითხვისა, და

[1] მ. ბ რ ო ს ე, ზემოთ დასახელებული შრომა, გვ. 393.

გულისხმის-ყოფისა მათისა, თვისებისამებრ ხმარებისა ენათასა“; ანტონთან „ღრამმატიკა არს შემძლებლობა მართლ-უბნობად და წესიერ წერად“), თუმცა მაინც განსხვავდება მისგან. რაც შეეხება შემადგენელ ნაწილებს (წიგნი, მარცვალი, ლექსი, სიტყვა) გაიოზი მიუთითებს, რომ ესენი არიან გრამატიკის შემადგენელი ნაწილები და არა ენისა („თქმაობანისა კაცობრივისა“), როგორც ამას ანტონი ამბობდა

ანტონისაგან გადახვევა და მნიშვნელოვანიც იწყება წიგნის განსაზღვრიდან.

წიგნი გაიოზისათვის არის „წ ე რ ი ლ ი რ ა ი მ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ა ს ო ი ს ა“.[1] მეტად საინტერესო განსაზღვრაა, უფრო სწორად ეკლექტიკური შეერთებაა ანტონის გრამატიკებში მოცემული განსაზღვრებებისა. გაიოზმა აშკარად ვერ გაიგო მასწავლებლის მოძღვრების არსი, მაგრამ მიბაძვის სურვილმა აიძულა, მოეცა განსაზღვრის ისეთი ფორმულა, რომელიც ანტონს არც უარყოფდა, მაგრამ არც ემთხვეოდა.

ანტონთან გვქონდა: „წიგნი არს ღრამი, ნაკვეთი რაიმე მნიშვნელად ყოვლისა წერილისა“ (II გრამატიკა); „წიგნი არს ღრამი რაიმე მდგოებულ მნიშვნელად ასოისა“ (I გრამატიკა).. გაიოზს I გრამატიკიდან აუღია „მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ა დ ა ს ო ი ს ა“, მეორედან — „წ ე რ ი ლ ი ს ა“. გადაუსვამს ისინი და მიუღია „წ ი გ ნ ი ა რ ს წ ე რ ი ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ა დ ა ს ო ი ს ა“.

გაიოზმა, რა თქმა უნდა, იცის ამ განსაზღვრის ბუნდოვანება და უმატებს: „...ხოლო ასონი ქართულისა ენისანი არიან ორმეოცნი, რომელთაც უწოდთ ჩვენ ანბანად“ (იქვე). „ასო“ აქ „ბგერის“ ფარდი ცნებაა და შემდგომშიც იგი ასოს მხოლოდ ამ მნიშვნელობით ხმარობს.

როგორც ვხედავთ, გაიოზმა ანტონისგან აიღო წიგნის განსაზღვრის ძირითადი ნაწილი, მაგრამ გაიაზრა იგი სრულიად სხვაგვარად.

თუ ანტონთან „წიგნი“ „ასო“ კი არ იყო, არამედ უმცირესი ნაწილი მნიშვნელობისა, სუბსტანციისა, გაიოზთან იგი უდრის ასოს (გრაფემის მნიშვნელობით), ამიტომაც აქ (გაიოზთან) უკვე აღარაა ლაპარაკი „ს ა ხ ე ლ-მ ო დ გ ა მ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ზ ე“.

„ა ს ო ნ ი“ გაიოზთან განიყოფებიან სამად: ხმოვანებად, ორხმოვანებად და უხმოდ.

ახალია ტერმინი „ო რ ხ მ ო ვ ა ნ ი“. გაიოზის განმარტებით, „ორხმოვანი ეწოდებიან იმისათვის, რომ ...სულისკვეთითა ხმათა

[1] გ ა ი ო ზ რ ე დ ა ქ ტ ო რ ი. ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970 წ., გვ. 49. ქვემოთ ყველგან ამ წიგნზე მივუთითებთ.

შორის გამოჰსცემენ ბრჯგუდ ორხმოვანთა ხმათა; მაგალითი: ჲ—ვითარცა ბრჯგუდ ე-ვე, ჲ — ვითარცა ი ბრჯგუდვე".

აქვეა სქოლიო, რომელშიაც ლაპარაკია „წერილობით ნიშნებზე" (პუნქტუაციაზე — ა. ფ.).

შემდეგ მოდის მ ა რ ც ვ ლ ი ს განმარტება: („...არს მარტივი სულისკვეთითი ხმა. შედგმული ერთისა ანუ მრავალთა ასოთა ძალით"). შემდეგ განსაზღვრულია ლ ე ქ ს ი (ანუ სიტყვა — ა. ფ.):

„ლ ე ქ ს ი არს მარტივი ანუ ჰრთული სულისკვეთითი ხმა შედგმული ერთისა ანუ მრავალთა მარცვალთაგან მნიშვნელად რაისამე ნივთისა ანუ საქმისა" (გვ. 60).

აქაც, როგორც წ ი გ ნ ი ს განმარტებისას, გაჭრა ანტონის სიახლე, კერძოდ, ის, რომ ლ ე ქ ს ი ა რ ი ს ც ნ ე ბ ი ს ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი ნ ი შ ა ნ ი.

ცხადია, გაიოზმა გვერდი აუარა ანტონის სიახლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ გაიგო მისი არსი და აირჩია რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში გაბატონებული განსაზღვრა.

ს ი ტ ყ ვ ი ს (ანუ წინადადების — ა. ფ.) განსაზღვრაში გაიოზი ახლოსაა მასწავლებელთან („სიტყვა არს ხმა მარტივი ანუ შედგმული ლექსთა ძალით, მნიშვნელად ჰაზრისა მისისა, რომელიც უბნობს"), მაგრამ მაინც განსხვავდება მისგან (ანტონი: „სიტყვა არს შეერთება ლექსთა, ცხადმყოფი მოგონებისა").

გაიოზთან განსაზღვრაში ახალი ცნებაა „ხმა მარტივი" და საილუსტრაციო მაგალითებშიც რამდენიმე ცალკე აღებული სიტყვაა მოცემული („ვსწავლობ", „ვლესავ", „მიყვარს") ნამდვილი წინადადების („შვილნი თანამდებ არიან შეყვარებად და პატივისცემად მშობლისა") გვერდით.

წინადადების ამ განსაზღვრებაშიაც იგრძნობა რუსული სიო, რომელიც უფრო გვიან ტრადიციულ განსაზღვრას („სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც გადმოგვცემს დასრულებულ აზრს") დაედო საფუძვლად.

მეტყველების ნაწილები გაიოზთან რვაა და იმავე თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი, როგორც ანტონთან გვქონდა.

I

პირველი ნაწილი

პირველი ნაწილი იწყება სახელის განსაზღვრით: „სახელი არს ნაწილი სიტყვისა, მნიშვნელი ნივთისა ანუ პირისა რაისამე დასახელებით: მაგ.: უფალი, ცა, ქვეყანა, კაცი, ცხენი, თეთრი და სხვა" (გვ. 52).

ანტონის ორი განსაზღვრიდან (1. „სახელად იწოდებიან ლექსნი, რომელნიც ჰნიშვნენ ნიადაგ რაობასა ანუ ვითარებასა ნივთისასა ერთი ნაწევროვანი ოხვრითა“ (გვ. 120); 2. „სახელი არს ნაწილი სიტყვისა გამრჩევი წოდებით თვითოისა მყოფთა არსებისა“) გაიოზი მეორეს ირჩევს და მის რედაქციულ სხვაობას იძლევა, რითაც შუა გზაზე ჩერდება, რადგან ამ განსაზღვრაში აღარ ჩანს ზედსართავის ჯგუფი, რომელიც მაშინ „სახელისაში“ შედიოდა და რომელიც ანტონის პირველ განსაზღვრებაში იგულისხმება („ვითარებასა ნივთისასა“).

გაიოზმა განსაზღვრიდან ზედსართავზე მიმანიშნებელი სიტყვები ამოიღო, ხოლო მაგალითების ჩამოთვლისას „თეთრი“ დაასახელა და წინააღმდეგობაში აღმოჩნდა.

სახელში გაიოზიც ორ ჯგუფს გამოყოფს: არსებითს და ზედსართავს, პირველი, თავის მხრით, სამად იყოფა: საზოგადოდ, სათვითოდ ანუ კერძოობითად და კრებითად.

არსებითს ზედსართავისგან განასხვავებს ის, რომ პირველი იძლევა დამოუკიდებელი არსების დასახელებას, ხოლო მეორე — პირველის ზედშესრულია და მის თვისებას გადმოგვცემს (აგრეთვე ანტონისგან აღებულია — ა. ფ.).

ზედსართავსაც სამ ჯგუფად ყოფს გაიოზი, მაგრამ ტერმინი „უ ა ღ რ ე ს ო ბ ი თ ი თ“, „უ დ ა დ ე ბ ი თ ე ს ს“ ცვლის.

სხვაობაა განმარტებაშიც. მეორე ჯგუფის („შემსგავსებითის“) განსაზღვრისას გაიოზი აღნიშნავს, რომ ამ ჯგუფის საწარმოებლად საჭიროა „დამეტებითა უკანით მარცვალთა ამათ: **ებრ, ებრივი**“ (გვ. 53), რაც ანტონთან არა გვაქვს. „უაღრესობითის“ ჯგუფის განსაზღვრაშიც მეტი სიცხადეა შეტანილი.

ს ა ხ ე ლ ი ს მ დ ე ე ა რ თ ა ჩამოთვლაში გაიოზი, როგორც ელ. ნიკოლაიშვილიც შენიშნავს, ანტონის გრამატიკის პირველ რედაქციას მიჰყვება და ასახელებს ექვსს: ნ ა თ ე ს ა ვ ი, ნ ა კ ე თ ი, ს ა ხ ე. რ ი ც ხ ვ ი, ბ რ უ ნ ვ ა და ბ რ უ ნ ე ბ ა (ეს უკანასკნელი ანტონის გრამატიკის II რედაქციაში არა გვაქვს).

ო თ ხ ს ქ ე ს ს გამოყოფს გაიოზიც (მამრობითი, მდედრობითი, უმეშვეობითი და ზოგებითი (ანტონთან საზოგადო). ყოველი სქესის განსაზღვრაში შემოიტანა სიტყვა „ბუნებითად“, რითაც იმის თქმა სურს, რომ სქესი ფორმით (რაიმე ნიშნით) კი არ გამოიხატება, არამედ არსებობს „ბუნებითად“.

ნ ა კ ე თ ი გაიოზთან სამი გვაქვს (მარტივი, ჰრთული და ზეჰრთული). ანტონთან კი ჩამოთვლისას მხოლოდ ორი იყო დასახელებული (მარტივი და ჰრთული), მაგრამ, როცა საილუსტრაციო მასა-

ლას არჩევდა, იქ სიტყვა „ღმერთ მამა-კაცი“ ზეჰრთულად იყო მიჩნეული.

სქოლიოში გაიოზი, ანტონის მიბაძვით, მაგრამ გაცილებით უფრო ნათლად და გასაგებად მიუთითებს იმაზე, რომ ჰრთული სიტყვები იბრუნვიან ერთ სიტყვად.

სახე აგრეთვე სამშემდგენლიანია და მოიცავს: პირველ სახეს, სხმითს-გარდასვლითსა და მრჩობელ-სხმით-გარდასვლითს. „პირველ-სახედ სახელად იწოდების იგი, ოდესაცა სახელი იგი, თვითნიერ მრავალთა რაიმეთა მარცვალთა დამეტებითა ანუ მიხდითა, ანუ შეცვალებითა, ჰნიშნვიდეს საკუთრად ნივთსა, მაგ.: კაცი, ბრძენი და სხვა“ (გვ. 55). „...სხმით-გარდასვლითი სახელი არს იგი, ოდესაცა პირველ სახესა დაესხმიან ანუ შეეცვალებიან, ანუ მიეხდებიან მარცვალნი რაიმენი და შეჰსცელიან ვითარმე მნიშვნელობასაცა მისსა. მაგ.: კაცება, სიბრძნე, სიწმინდე და სხვა“ (იქვე).

ეს განმარტებები ოდნავი ცვლილებით იმეორებენ ანტონისას, მაგრამ აქ არაა ნათქვამი, რომ ეს მარცვალნი ცალკე არაფერს ნიშნავს, რაზეც ანტონი მიუთითებდა.

ძირითადი სხვაობა ანტონსა და გაიოზს შორის მაინც სხმით-გარდასვლითის ჯგუფების გამოყოფაშია. თუ ანტონთან 18 ჯგუფი გვქონდა, გაიოზთან მხოლოდ 10 გვაქვს: მოგებითნი, ადგილობითნი, ნათესავობითნი, ქონებითნი, აღმატებითნი ანუ არსებითნი, წესებითნი, კნინობითნი, უკუთქმითნი, შეჰმსგავსებითნი, ზმნა-სხმითი ანუ სახელზმნანი; გვაკლია: ზესთაობითნი (უდრის ზედსართავის აღმატებით ხარისხს), შემცველელობითნი, არსებითნი, თანაშეყოფითნი, მდედრობითნი, მფარველობითნი, უღლვითნი, იგივეობითნი და შემადგენლობითნი.

რატომ ამოიღო სხვა ჯგუფები, გაიოზი არ ასაბუთებს.

რიცხვი გაიოზთანაც ორია — მხოლოობითი და მრავლობითი.

მეტი თავისებურებაა ბრუნვებში.

„ბრუნვად სახელისად უწოდებთ მას, ოდესაცა ცუალებითა ანუ დამეტებითა უკანასკნელთა მარცვალთათა ჰსცვალებენ ვითარმე მნიშვნელობისა სახესაცა, რომელთაცა გვაროობანი არიან რვა“ (გვ. 57).

გაიოზის ეს განსაზღვრა არ გამოირჩევა არც ლაკონიურობით და არც ნათელი აზრით. ანტონის „ბრუნვა არს ცვალება მიმოხრითი სხვისა და სხვისა მიმართ მდგმოებისა ერთისა და მისივე სახელისა“ თითქოს უკეთ გადმოგვცემს საქმის ვითარებას.

ბრუნვა რვაა: 1. წრფელობითი, 2. ნათესაობითი, 3. მიცემითი, 4. შემასმენლობითი, 5. დაწყებითი, 6. მოთხრობითი, 7. მოქმედებითი, 8. წოდებითი [1].

შემასმენლობითი ნიადაგ წრფელობითია და მათი განსხვავება ჰხოლოდ სინტაქსში ხდებაო — შენიშნავს გაიოზი.

ბრუნებაო, ამბობს გაიოზი, არის „ბრუნვათა შინა სხვადასხვაობანი უკანასკნელთა მარცვალთანი".

ძირითადი სხვაობა ანტონსა და გაიოზს შორის და, ჩემი აზრით, გაიოზის უკანსკნელა, სახელის ბრუნების თავისებურების გადმოცემაში ელინდება.

გაიოზის აზრით, „ყოველი სახელი ქართულისა ენისა ბრუნვათა შინა ჰმსგავსებენ ურთიერთსა, გარნა სხვაობენ უკვე ნათესაობითსა შინა ბრუნვასა" (გვ. 57).

სხვაობა თავს იჩენს ნათესაობით ბრუნვაში; გაიოზის აზრით, საზოგადო და სათვისო (კერძოობითი) სახელი წრფელობით ბრუნვაში თუ ი, უ და უხმო ასოებზე ბოლოვდება, ნათესაობითში მიიღებს ისა, სა დაბოლოებებს, ხოლო ყოველი კერძოობითი სახელი, რომელიც ხმოვანზე ბოლოვდება — სი მარცვალს. თუმცა ბრუნვათა პარადიგმების ჩამოთვლის შემდეგ ამ განსხვავებასაც უარყოფს: „გარნა მრავალსა შინა ადგილსა სახელნი განურჩეველად იხმარებიან ამათ ბრუნებისა სახეთა შინა: მაგ.: ოქრო-სა ანუ ოქრო-სი, პეტრე-სი ანუ პეტრე-სა და სხვანი (გვ. 60).

ერთი სიტყვით, ქართულში ყველა სახელი, საზოგადო იქნება იგი, თუ საკუთარი, იბრუნვის ერთნაირად, ეს დებულება ანტონის ნააზრევის უარყოფაცაა და ჰეშმარიტების უგულებელყოფაც.

როგორც ვნახეთ, ანტონმა თავის დროზე სახელები დააჯგუფა ფუძეების მიხედვით და თითქმის სრულიად შეუცდომლად მიუთითა მათ ფორმის ცვლაზე ბრუნვებში. ეს იყო მეტად გონებამახვილური მიხვედრა. გაიოზთან ეს აღმოჩენა დაიკარგა. მასთან არაფერია ნათქვამი არც კვეცასა და არც კუმშვაზე.

გაიოზი თვითონ იძლევა ბრუნვის ნიშნებს ცხრილის სახით ორ ჯგუფად:

I. ყველა საზოგადო და საკუთარი სახელი თანხმოვანსა და ი-ზე

---

[1] ელ. ნიკოლაიშვილის აზრით, (იხ. გაიოზ რექტორი, ქართული ღრამატიკა, გვ. 21), „გაიოზი ამ მხრივაც ანტონის გრამატიკის პირველ რედაქციას მისდევს (მეორე რედაქციაში ანტონს ბრუნვათა რიგი ოდნავ შეცვლილი აქვს... 5. მოქმედებითი, 6. დაწყებითი, 7. მოთხრობითი... თუმცაღა პარადიგმებში ბრუნვათა თანამიმდევრობა კვლავ ძველებურია)".

დაბოლოებულნი, აგრეთვე ყველა საზოგადო ხმოვნებზე დაბოლოებული:

მხ.	მრ.
1. წრფელობითი —	ნი, ები
2. ნათესაობითი ისა	ისა
3. მიცემითი ს ანუ სა	ს ანუ სა
4. შემასმენლობითი ი, ჲ	ი, ები
5. დაწყებითი გან	გან
6. მოთხრობითი მან	მან
7. მოქმედებითი ითა	ითა
8. წოდებითი ო	ო

II. საკუთარი სახელები ხმოვნით დაბოლოებულნი:

მხ.	მრ.
1. წრფელობითი —	ნი, ები
2. ნათესაობითი სი	ისა
3. მიცემითი ს	ს
4. შემასმენლობითი ი, ჲ	ნი
5. დაწყებითი გან	გან
6. მოთხრობითი მან	მან
7. მოქმედებითი ით	ითა
8. წოდებითი!	ო

უნდა ვიფიქროთ, რომ გაიოზმა შენიშნა ანტონის გრამატიკაში პრუნვის ნიშანთა მეტისმეტი სიმრავლე და სცადა მისი შემცირება; მაგრამ თავის მხრივაც ბევრი მოუვიდა.

სახელზე მსჯელობას გაიოზი ამთავრებს სქოლიოთი, რომელშიაც საუბარია რიცხვით სახელზე: „ყოველნი რიცხვობითნი სახელნი ანუ არიან მარტივნი — პირველი, ერთი, ასი... ანუ ჰრთულნი, მაგ.: ათერთმეტი, ოთხმეოცი.. ანუ არიან სხმით-გარდასვლითნი, მაგ.: მეორე, მესამე... რომელნიც იბრუნვიან ვითარცა ზემოხსენებულნი სახელნი დაბოლოებისამებრ თვისისა“ (გვ. 60).

ანტონთან შედარებით, აქ მეტია რიცხვითი სახელის წარმოების თავისებურებათა ჩვენება.

როგორც ვნახეთ, სახელთა ბრუნების თავისებურებათა დახასიათე-

ბისას გაიოზი მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის მონაცემებით დაკმაყოფილდა. მასთან სხვა ბრუნვების არც ნიშნებზე და არც ფუნქციებზე საგანგებო მსჯელობა არსად ჩანს, რაც ამ შრომის ნაკლად უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ ანტონთან მიმართებით, არამედ საერთოდ.

ნაცვალსახელის განსაზღვრა გაიოზთან თითქმის ისეთია, როგორიც თანამედროვე სასკოლო გრამატიკებში: „ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც ნაცვლად სახელისა დაიდების სიტყვათა შინა“ (გვ. 61), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თანამედროვე სასკოლო გრამატიკებში „სიტყვის ნაწილები“ „მეტყველების ნაწილებით“ არის შეცვლილი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაიოზმა ეს ფორმულირება ანტონის ნააზრევის მიხედვით გააკეთა. რისთვისაც დასჭირდა ანტონის ორი განსაზღვრა — „ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა განმრჩევი ზედწოდებით არსებისა პირობითად“, და „...ვინაიდგან ნაცვლად სახელისაცა მოიღების...“—გონებამახვილურად შეეერთებინა და მიეღო ლაკონიური და ამავე დროს კატეგორიის არსებითი მხარის გადმომცემი დეფინიცია, რაც უთუოდ მის სასარგებლოდ მეტყველებს.

ნაცვალსახელი, სახელის მსგავსად, განიყოფება ორად: არსებითად და ზედშესრულად.

არსებითნი განიყოფებიან ან არსებითად: „მე, შენ, ის... ან ჩვენებითად: ეს, ეგ, ის“.

ზედშესრულნი არიან: ჩემი, შენი, შენგანი, ზოგი, სხვაი... ზედშესრულიც იყოფა ან მოგებითად: ჩემი, შენი... ან ადგილობითად: ჩემგანი, შენგანი..., ან კვალა-მოღებითად: რომელი, რაი... ან კითხვითად: ვინ? რაი?

მაშასადამე, ნაცვალსახელის ჯგუფებია: 1. არსებითი, 2. ჩვენებითი, 3. მოგებითი, 4. ადგილობითი, 5. კვლა-მოღებითი, 6. კითხვითი.

ანტონთან შედარებით, ზედმეტია ორი ჯგუფი: ადგილობითი და კითხვითი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, მართალია, ანტონს კითხვითი, ცალკე ჯგუფად არ გამოუყვია, მაგრამ მათი ცალკე ბრუნება მოგვცა. ტერმინი „კითხვითიც“ მისი შემოტანილია.

კითხვითი ნაცვალსახელების ცალკე ჯგუფად გამოყოფა გაიოზის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ: აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ, სამაგიეროდ, ნაცვალსახელთა მეორე ჯგუფის (ჩვენებითების) განსაზღვრაში გაიოზმა დაამახინჯა ანტონის აზრი და საქმის ვითარებაც არასწორად წარმოგვიდგინა. ჩვენებითებიო, ამბობს გაიოზი, არიან ისინი, „რომელნიცა აჩვენებენ მახლობელ მდებარეთა ანუ მყოფთა პირთა და ნივთთა, მაგ.: ეს, ეგ, ის“ (გვ. 61).

აქ საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სამივე ეს ნაცვალსახელი მახლობლად მდებარე საგანს, თუ პირს აჩვენებდეს განურჩევლად, მაშინ როცა ანტონის მიხედვით: „რაჟამს იგი ითქვას **ესე** იჩვენების მახლობელ პირისა პირველისა, ე. ი. მეთქვისა და ოდეს ითქვას **ეგე**, იჩვენების მახლობელ პირისა მეორისა, რომლისადმი, არს თქმა და ოდეს ითქვას **ისი** იჩვენების მახლობელ პირისა მესამის; რომლისათვის არს თქმა“ (გვ. 149).

„მდევარნი ნაცვალსახელთანი“ არიან: ნათესავი, ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი და ბრუნვა.

ნაცვალსახელის ნ ა თ ე ს ა ვ ს (სქესს) განსაზღვრავს ის, თუ რა ნათესავის (სქესის) არსებით სახელთანაა დაკავშირებული.

ნ ა კ ვ ე თ ი ორია: მარტივი (მე, შენ), ჰრთული (თვითმე).

ს ა ხ ე აგრეთვე ორია: პირველი სახე (ჩემი, შენი), სხმით-გარდასვლითი (საჩემო...).

რ ი ც ხ ვ ი ც ორია: მხოლობითი და მრავლობითი (მე — ჩვენ, ის — ისინი).

პ ი რ ი სამია: პირველი, მეორე, მესამე.

ბ რ უ ნ ვ ა იმდენია, რამდენიც სახელს ჰქონდა.

ნაცვალსახელთა ბრუნება გაიოზთან ძირითადად ანტონის მსგავსია, თუმცა განსხვავებაც გვქავს, უპირველესად მიცემითში. აქ პირის ნაცვალსახელებთან გაიოზმა მოგვცა ფორმები: ჩემდა, შენდა, მისდა, ჩვენდა, თქვენდა, მათდა, რითაც შესწორება შეიტანა ანტონის ნააზრევში.

გაიოზმა ნაცვალსახელებს მოქმედებით-ში ჩამოაშორა თანდებული „მიერ“, რომელიც პირის ნაცვალსახელთა ბრუნებისას გვქონდა.

გაიოზმა ანტონის დარად აბრუნა პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები (მე, შენ, იგი, ჩვენ, თქვენ, იგინი, ეს, ეგ, ის, ესენი, ეგენი, ისინი,) ყველანი გააერთიანა სახელთა იმ ჯგუფში, რომლებიც ფუძეს იცვლიან („რომელნიცა ჰსცვალობენ სახეთა თვისთა“) და ამის შემდეგ მოგვცა ფუძეუცვლელი ნაცვალსახელების (ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი) ბრუნება.

ჩამოთვლილ ნაცვალსახელთა ბრუნება ემთხვევა ანტონისას და ამაზე აქ აღარ შევჩერდებით.

ანტონთან თავისებურადაა გააზრებული რ ო მ ე ლ ი მ ე, რ ა ი მ ე, ვ ი ნ მ ე, ვ ი ე თ ი მ ე ნაცვალსახელთა ბრუნება. გაიოზმა ამ ფორმებში რატომღაც ორ-ორი ნაცვალსახელი იგულისხმა და ასეთი განმარტება დაურთო: „...გარნა უკანასკნელი ნაცვალსახელი ეგების უბრუნველად და პირველი იგი ნაცვალსახელი მოკიდებული მეორისა თანა იბრუნვის ჩვეულებისამებრ“ (გვ. 64).

გაიოზი საგანგებოდ შეჩერდა „ჰრთული“ ნაცვალსახელების (სხვა რაიმე, ზოგი ვინმე, ყოველი ვინმე) ბრუნების საკითხზე, მაგრამ ბრულიად გამოტოვა ანტონთან ნაბრუნები ვინ, ზოგი, ვიეთნი, თვისი

უნდა აღინიშნოს, რომ გაიოზთან ნაცვალსახელთა ბრუნება უფრო მწყობრ და ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს: აცილებულია გამეორებები, მაგრამ ზოგჯერ მივიწყებულია მნიშვნელოვანი: მაგ.: „ვინ“ ნაცვალსახელის ბრუნებიდან ამოღება ამაზე მეტყველებს. არც იმაზეა მითითება გაიოზთან, რომ „ვ ი ნ“ კითხვად დაესმის ადამიანს და „რ ა“ — დანარჩენს.

არც ფუძის კვეცაზეა ლაპარაკი გაიოზთან, რაც ანტონთან გვქონდა და რაც მეტად მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენაა ქართული ბრუნების თვალსაზრისით.

ზმნას გაიოზთან მეტად დიდი ყურადღება ეთმობა. ამ ნაწილში იგი, ანტონისგან განსხვავებულ ბევრ საინტერესო აზრს გამოთქვამს, თუმცა აქაც ზოგჯერ უგულებელყოფილია ანტონის ბევრი ფასეული შენიშვნა.

სხვაობა თავს იჩენს ზმნის განსაზღვრაშივე: „ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა ჰმნიშნავს ანუ ყოფასა, ანუ მოქმედებასა არსებასა“. თუ ამას ანტონის განსაზღვრებას შევუდარებთ. ვნახავთ, რომ გვაკლია მითითება იმაზე, რომ ყოფასა და მოქმედებასთან ერთად ზმნა გადმოგვცემს ვ ნ ე ბ ა ს და ყველაფერი ეს დროში გაიაზრება.

მართალია, დრო არ არის ზმნურობაზე მიმთითებელი ძირითადი კატეგორია (ასეთად ჩვეულებრივ პირს მიიჩნევენ), მაგრამ როცა სხვა კატეგორიაზე არ ვმსჯელობთ, დროის ფაქტორი, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია.

ყოველი ზმნა — გაიოზთან — ან პიროვანია, ან პირნაკლი. პიროვან ზმნას სამივე პირი აქვს, პირნაკლთ აკლია ერთი ან ორი პირი: „მ ე ტ ყ ვ ი“, „მ ე ტ ყ ვ ი ს“ (აკლია პირველი პირი) „ჴ ე რ ა რ ს“ (აკლია ორი პირი).

ბრძანებითი სქესის ზმნებს აკლიათ პირველი პირი. პირველი და მეორე პირი რომ აკლიათ, ასეთ ზმნად აქ ერთადერთი „**ჰშვენის**“ არის დასახელებული. არაფერია ნათქვამი „თ ო ვ ს“, „თ ე ნ დ ე ბ ა“ ტიპის ზმნებზე, რომლებიც ანტონთან სამართლიანად, ამგვარ ზმნებად იყო მიჩნეული.

ყოველი ზმნა ან კანონიერია, ან უკანონო. კანონიერნი არიან ისეთი ზმნები, „რომელნიცა განვლიან ყოველთა შინა დროთა და ჰსქესთა უცვალებლად, ხოლო უკანონონი იგი, რომელთაცა აკლნ ანუ დრონი, ანუ ჰსქესნი რომელნიმე“ (გვ. 67).

როგორც ვნახეთ, ანტონთან უკანონო ზმნათა არე მეტად ფართე

იყო: აქ შემოდიოდნენ იგივე პირნაკლი „თოვს“ ტიპის ზმნები, აგრეთვე „ხვალ“, „მოვედ“ და მსგავსი ზმნები.

მდევარნი ზმნისანი, ანტონის დარად, არიან რვანი: 1. ნ ა თ ე ს ა ვ ი, 2. ნ ა კ ვ ე თ ი, 3. ს ა ხ ე, 4. რ ი ც ხ ვ ი, 5. პ ი რ ი, 6. ჟ ა მ ი. 7. ს ქ ე ს ი, 8. უ ღ ლ ე ბ ა.

ნ ა თ ე ს ა ვ ი სამია: შემოქმედებითი, ვნებითი და უმეშვეობითი. ანტონთან შედარებით აქ თითქმის არაფერია სიახლე, მაგრამ გაიოზმა უფრო ნათლად მოგვცა ის, რაც ანტონთან ძნელად გასაგები იყო.

ნ ა კ ვ ე თ ი ორია: მარტივი და ჰრთული. „ე ჰ ს წ ა ე ნ დ“ მარტივია: „ვ ბ ო რ ო ტ-ს ი ტ უ ვ ა ო ბ“ — ჰრთული, რთულია „წ ა რ ვ ი კ ი თ ხ ა ე“ ზმნაც, იმის გამო რომ მას ახლავს „მარცვალი“ „წარ“.

ზმნისწინები (გაიოზთან „მარცვლები“), ჩვეულებრივ, ზმნებს „დაესხმიან ნამყოსა და მყობადს დროში და „შესცვლიან ვითარებათა“, თუმცა არაა ნათქვამი „რა ვითარებას“.

საგულისხმოა გაიოზის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ „უკეთუ ოდესმე მოეკიდებიან ზმნათა აწმყოსა დროისათა, მაშინ მნიშვნელობასა მისსა ჰყოფენ მყოობადად“ (გვ. 68). საილუსტრაციოდ მოტანილია „ე ჰ ს წ ე რ“ და „დ ა ე ჰ ს წ ე რ“ ფორმები.

ეს მეტად მნიშვნელოვანი დაკვირვება გაიოზის ორიგინალური მსჯელობის ნაყოფია (ანტონთან მსგავსი არაფერია) და ავტორის დიდ ენათმეცნიერულ ალღოზე მიუთითებს [1].

ს ა ხ ე არის სამი: პირველი სახე, სხმით-გარდასვლითი და

---

[1] ი. ე ე შ ა ი ძ ი ს აზრით: „გაიოზს უფრო ნათლად (ანტონთან შედარებით — ა. ფ.) აქვს მითითებული ზმნისწინის მაასპეკტებელი უნარი“... „ეჰსწერ არის ზმნა აწმყოი, მარტივი საზღვრებითისა სქესისა და უკეთუ მოეკიდოს ამას. ზემოხსენებული იგი მარცუალნი, მაშინ ყოველითურთ ჰსცვლიან ვითარებასა მისსა დროითურთ. მაგ.: დაჰსწერ, რომელიცა არღარა ჰნიშნავს აწმყოსა დროსა, არამედ მყოობადსა და ესრეთ: დაჰსწერ, აღჰსწერ... აქ იმდენად ნათლადაა მოცემული ზმნისწინის მაასპეკტებელი ფუნქცია, რომ მას აღტაცებაში მოუყვანია ალ. ცაგარელი“ („ზმნისწინი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში“, თსუ შრომები, 99, თბ., 1961 წ., ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 9).

ასეთსავე აზრს ავითარებს ელ. ნიკოლაიშვილიც. „გაიოზის ნაკეთში ნაწილობრივ ზმნის უსრული და სრული ასპექტიც იგულისხმება (გაიოზ რეკტორი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970, გვ. 22).

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ გაიოზის მოსაზრება სწორედ ისე უნდა გავიგოთ, როგორც თვითონ აყალიბებს და „ე ჰ ს წ ე რ“//„დ ა ე ჰ ს წ ე რ“ უნდა გავიგოთ დროულ დაპირისპირებად (აწმყო//მომავალი) და არა ასპექტურად, რადგან უნდა გავითვალისწინოთ ის მდგომარეობა, რომ გაიოზის გრამატიკა ანგარიშს უწევს სამეტყველო ქართულსაც და გაიოზის დროის ქართულში („ეჰსწერ“//„დაეჰსწერ“) დაპირისპირება მხოლოდ „დროული“ [illegible]

მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი. ეს ზოგადი ჩამოთვლა ემთხვევა ანტონის ნააზრევს, მაგრამ, როცა გაიოზი კონკრეტულ მაგალითებს ჩამოთვლის აშკარად შორდება ანტონს, რომლისთვისაც „ვ ს ვ ა მ“ პირველი სახეა, „ვ ა ს ვ ა მ“ სხმით-გარდასვლითი, ხოლო „ვ ა ს მ ე ვ ი ნ ე ბ“ მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი. ა აქვს მაკეთად ზმნასა სხმით-გარდასვლითსა და ინებ ჩვეულებრივ მრჩობელ-სხმით-გარდასვლითსა, თუმცა ზოგჯერ ინებ სხმით-გარდასვლითაც აწარმოებს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ა სიტყვის შიგნით ვერ აწარმოებს სხმით-გარდასვლითს. მაგ.: „გ ა ნ ვ ა ს ხ მ ე ვ ი ნ ე ბ“ სხმით-გარდასვლითია, რადგან „გ ა ნ ვ ა ს ხ მ ე ვ ი ს“ ა თავისთავად ვერ აწარმოებს სხმით-გარდასვლითს.

გაიოზისათვის კი „პირველსა შინა სახესა არს ზმნა, მაშინ ოდესცა თავით თვისით ჰნიშნიდეს მოქმედებასა ანუ ვნებასა — მაგ.: ვსწერ, ესჯრი, ვიწერები, ვიჯრები, ხოლო სხმით-გარდასვლითი იწოდების მაშინ ზმნა ოდესცა ხმა მისი ჰნიშნიდეს სხვისა მეორისა მოქმედებასა დასხმითა თავს ა და ბოლოს ინებ. მაგ.: ვაწერინებ, ვიწერინები,.. მრჩობლ-სხმით-გარდასვლითად — მაშინ, ოდეს, სხმით-გარდასვლითს ზმნას დაესხმის კვალად მეორედ მარცვალი ესე ინებ და დაჰნიშნავს სხვისა მოქმედებასა ანუ ვნებასა, მაგ.: „ვაწერინებინებ“ (გვ. 69).

ერთი სიტყვით, გაიოზმა სცადა სამივე ფორმა: პირველი სახე, სხმით-გარდასვლითი და მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი ცალ-ცალკე დაეხასიათებინა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. ძნელი სათქმელია, რას ნიშნავს, ერთის მხრით, „...ოდესცა ხმა მისი ჰნიშნიდეს სხვისა მეორისა მოქმედებასა“ (სხმით-გარდასვლითი) და, მეორე მხრით, „...დაჰნიშნავს სხვისა მოქმედებასა ანუ ვნებასა“ (მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი), ან რით უპირისპირდება ეს ორი განსაზღვრა ერთმანეთს?

რ ი ც ხ ვ ი, რა თქმა უნდა, გაიოზთანაც ორია — მხოლოობითი და მრავლობითი.

პ ი რ ი სამია: პირველი, რომელიც იტყვის („ვ ჰ ს წ ე რ“). მეორე — რომლისადმიც იტყვის („ჰსწერ“) და მესამე — რომლისთვისაც იტყვის („ჰსწერს“).

დ რ ო ც ძირითადად სამია: აწმყო, მყოობადი და ნამყო. ამ უკანასკნელიდან იწარმოებიან — ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი და ნამყო უუსრულესი; აქაც სრული პარალელიზმი გვაქვს ანტონთან.

ს ქ ე ს ი ოთხია და არა ხუთი, როგორც ანტონთან: საზღვრებითი, ბრძანებითი, აპოთეტიკა, ანუ ქებაწყობილებითი და განუსაზღვრელი. გვაკლია ანტონის საწადი (ე. ი. ნატვრითი), რომელიც გაერთიანებულია აპოთეტიკაში.

როგორც ელ. ნიკოლაიშვილიც შენიშნავს[1], სქესის კატეგორია გაიოზს საკმაოდ გონებამახვილურად აქვს გამოყოფილ-განსაზღვრული. განსაკუთრებით კარგადაა დახასიათებული ბრძანებითის ფორმათა წარმოება და ზოგი ორიგინალური მოსაზრებაა გამოთქმული, თუმცა ძირითადად აქაც ანტონს მისდევს.

უ ღ ლ ე ბ ა არის ექვსი:

1. ვაქებ, აქებ, აქებს, ვაქებთ, აქებთ, აქებენ;

2. მღვიძავს, გვღვიძავს, ჰღვიძავს, გვღვიძავს, გღვიძავსთ, ჰღვიძავთ;

3. ვესვრი, ესვრი, ესვრის, ვესვრით, ესვრით, ესვრიან;

4. ვიქმ, იქმ, იქმს, ვიქმთ, იქმთ, იქმან;

5. ვუბნობ, უბნობ, უბნობს, ვუბნობთ, უბნობთ, უბნობენ;

6. ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს, ვჰსწერთ, ჰსწერთ, ჰსწერენ.

უღლების გამოყოფა ხდება პირის ნიშნებზე დაყრდნობით აწმყო დროის საზღვრებით სქესში: „პირველისა უკვე უღლილების შემოქმედებითთა ზმნათა საზღვრებითისა ჰსქესისა აწმყოისა მხოლობითსა დროსა შინა აქვნ მაპიროვნებლად პირველისა პირისა დამწყებელი ლექსისა ასოი ვ და მეორისა პირისა — შემდგომი მისი ა და მესამისა პირისა უკანასკნელი ასო — ს; ხოლო მრავლობითთა მაპიროვნებლად პირველისა პირისა ვ, და მეორისა პირისა შემდგომი მისი ა და მამრავლებლად ორთავე პირთა ბოლოს — თ და მესამისა პირსა მაპიროვნებლად და მამრავლებელად უკანასკნელი ნ და ვნებითთა მისთა მაპიროვნებლად პირველისა პირისა — ვ-ვე და მეორისა პირისად — ი, მესამისად — ბოლოს ს ანუ ა, ხოლო მრავლობითთა ვნებითთა ორთავე პირთა მაპიროვნებლად იგინიე, რაიც მხოლობითთა შინა და მამრავლებლად ბოლოს თ და მესამესა პირსა შინა მაპიროვნებლად და მამრავლებლად — ნ-ვე, ვითარცა შემოქმედებითთა შინა“... (გვ. 71).

თუ ამ მონაცემთა მიხედვით შევადგენდით სქემას, იგი ასეთ სახეს მიიღებდა:

I უღლება

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი	
I ვ	———	I ვ	——— თ
II ა	———	II ა	——— თ
III	——— ს	III	——— ნ

[1] იხ. „მაცნე“ 4, 1965 წ., გვ. 172.


ვნებითი



რადგან მომდევნო უღლებების ფორმათა ჩვენება უკვე მოტანილ მოდელს იმეორებს, ვაჩვენებთ მხოლოდ სქემებს. აქვე შევნიშნავთ, რომ, გაიოზის აზრით, ვნებითის ყველა (ექვსივე) უღლება უკვე ნაჩვენები პირველი უღლების იდენტურია და მათ გამეორებას აზრი არა აქვს.

II უღლება

მოქმედებითი



III უღლება

მოქმედებითი



IV უღლება

მოქმედებითი



V უღლება

მოქმედებითი



მოქმედებითი

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I ვ ———	I ვ ——— თ
II ჰს ———	II ჰს ——— ნ
III ——— ხ	III ——— ნ

თუ გაიოზის ყველა უღლებას ერთ სქემაში გავაერთიანებთ, პირის ნიშანთა ასეთ სურათს მივიღებთ:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I ვ, მ ———	I ვ, გვ ——— თ
II ა, ე, ი, უ, ჰ, გ ———	II ა, ე, ი, უ, ჰ, გ ——— თ
III ჰ ——— ს, ა,	III ჰ ——— ნ, თ

მოვიტანთ ანტონის სქემასაც

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I ვ, მ ———	I ვ, გვ, გუ ——— თ
II ხ, გ. ი, ჰ ———	II ხ, გ, ი, ჰ ——— თ
III ჰ, ჰს, უ, ე ——— ს, ა, ო, ნ	III ჰ, ჰს, უ, ე ——— ნ, ედ, ნედ, ს, ან, ენ, ნენ, ნეს, ყე, უ⊖ნ, შენ.

როგორც ვხედავთ, გაიოზმა გამოტოვა არა ერთი და ორი ნიშანი, რომელიც ნამდვილად ჰქონდა ქართულ ზმნას. სქემიდან ისიც ცხადია, რომ გაიოზი ყველაზე მეტ შეცდომას მაშინ უშვებს (მეორე პირის ნიშნებზე მსჯელობისას), როცა ანტონს სცილდება.

ერთადერთი, რაც გაიოზის ნააზრევიდან აღნიშვნის ღირსია, არის ის, რომ მან მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ნიშნები, სრულიად სწორად, მაპიროვნედაც და მამრავლადაც გამოაცხადა. ანტონისათვის ისინი მხოლოდ მრავლობითი რიცხვის გადმომცემი იყვნენ.

მეტად დიდ ადგილს უთმობს გაიოზი უღლების პარადიგმებს. მოტანილია უღლება ზმნებისა: „ვაქებ“//„ვიქები“; „მიყვარს“, „ვჰსწერ“// „ვიწერები“; „მივიღებ“//„მივიღები“; „ვუწოდებ“//ვიწოდები“; „ვჰსწერ“//„ვიწერები“; სხმით-გარდასვლითისა „ვაწერინებ“//„ვიწერინები“ და მრჩობლ-სხმით-გარდასვლითისა (რომელიც არსად არ იხმარებაო) „ვიწერინებინები“.

ყველა ეს ზმნა ბოლოედება ე და ო ხმოვნებზე.

რადგან მეორე უღლების ზმნები მას უმეშვეობითი სქესისად მიაჩნია, მისი სხვა ფორმები ცალკე არ მოაქვს.

უკანონო ზმნები, რა თქმა უნდა, უღლების ნაჩვენებ ფორმებს არ მისდევენ — მიტომაც არიან უკანონონი. მისი ჯგუფებია: 1. ნაკლოვანნი; 2. ნაკლობითნი; 3. უხვებითნი: 4. პირნაკლნი.

ნაკლოვანია: „ვარ"//„ვიყო"; „ვაძლევ"//„მივსცემ"; „ვეტყვი"//„ვუთხარი"; „ვამბობ"//„ვთქვი";

ყველა აქ პირველად დასახელებულ ზმნას, აწმყოსა და ნამყო უსრულს გარდა. სხვა დრო არა აქვთ და ამ დანაკლისს შეივსებენ მეწყვილე ზმნათაგან.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ „ვარ" ზმნის უღლების დროს ნამყო უსრულში ანტონის „ვიყვი" (ხოლმეობითი) შეცვლილია „ვიყოფოდი" — ნამდვილი უსრულით; „ვიყვი" ფორმა კი საერთოდ არა გვაქვს.

ნაკლობითია ზმნა „ვიცი", რომელსაც აკლია სხვა დროები, მაგრამ შევსების შესაძლებლობა არა აქვს; ნაკლობითია აგრეთვე „ვესაე": „ვჰფლობ"; „ვჰსდგა".

უხვებითნი არიან მეორე უღლების ზმნები, „რომელთაც, ოდენ აქვსთ დრონი აწმყონი და ნამყო უსრულნი, ხოლო სხეათა დროთა შინა აღიესებიან ანუ მეხუთესა უღლეილებისა ზმნათაგან ანუ ვნებითთა ზმნათაგან: „...მახსოვს", „მძინავს", „მესმის", „მღვიძავს" და სხვა (გვ. 105).

პირნაკლი ზმნებია, უპირველესად ყოვლისა, დღევანდელი გაგებით ობიექტური უღლების ზმნები, რომელთაც ან პირველი, ან მეორე პირი აკლიათ.

უღლების ბოლოს საგანგებოდაა მითითებული იმ ფაქტზე, რომ „ყოველნი ზმნანი პიროვანნი შესაძლებელ არიან პირნაკლ-ყოფად (იგულისხმება „მწერ" „გწერ" ფორმები — ა. ფ.), ვინაიდან ქართულსა ენასა აქვს დიდად ნიჭად თვისება ესე, რომლისგანაცა სხვანი მრავალნი ენანნი დაკლებულ არიან"... (გვ. 111).

მკვლევრების აზრით[1], გაიოზმა შემოიღო უღლების ჯგუფებად დაყოფა პირის ნიშანთა მიხედვით და ცალკე უღლების ტიპად გამოყო ის ზმნები, რომლებიც მოქმედებითი გვარის აწმყოს 1 პირში (მხ. რ.) მ- ანით იწყება.

გაიოზმა მართლაც დაყო ზმნები უღლების მიხედვით, პირის ნიშნებზე დაყრდნობით. მაგრამ, როგორც ცნობილია, ყოველი სიახლე

[1] ელ. ნიკოლაიშვილი, არნ. ჩიქობავაზე მითითებით (იხ. „მაცნე", 4, 1965 წ., გვ. 175).

წინსვლას არ ნიშნავს და ამ შემთხვევაშიც მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე.

როგორც ვიცით, ანტონს უღლების რვა ჯგუფი ჰქონდა გამოყოფილი, რის საფუძველსაც, მისი აზრით, ქმნიდა ამ ჯგუფებში შემავალ ზმნათა დაბოლოება. დამაბოლოებელ ნიშნებად იგი მიიჩნევდა ხუთივე ხმოვანს პლუს ჲ (მისი შემოღებული ასო ნიშანი) და ჱ, ჳ.

ეს დაყოფა ცხადია ხელოვნური იყო და საჭირო იყო მისი შეცვლა, მაგრამ განა ნაკლებ ხელოვნურია გაიოზის დაყოფა? იქაც ხომ ჯგუფები — ექვსი ჯგუფი — იმის მიხედვითაა გამოყოფილი, თუ რა, სინამდვილეში არარსებული, ხმოვანი მოუდით მეორე პირში (და არა პირველ პირში, როგორც მკვლევრები ფიქრობენ) მაუღლებლად.

დასახელებული ავტორები ფიქრობენ, თითქოს გაიოზს მ-ანიანი უღლება გამოეყოს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მას უნდა მიეღო ორი უღლება — მ-ანიანი და ვ-ინიანი. მასთან კი გვაქვს ექვსი ჯგუფი, იმის მიხედვით, თუ რა ბგერები (ა, ე, ი, უ, ჲ, ჳ) მოუდით მეორე პირში.

რაც შეეხება გაიოზის მაუღლებელ ბგერებს ე-სა და ო-ს, ისინიც ხელოვნური ჩანან, რადგან ავტორის აზრით, უღლების ყველა ჯგუფს ახლავთ.

სადაა ანტონთან არსებული დანარჩენი მაუღლებელი ნიშნები: უწყვეტელთან — იდ, დი, ოდი, დე, იდე, ი, ივ, ივდე, ოდე; წყვეტილთან— ა, ე, ი; მყოობადის — ა, ო, ე; ნამყო უსრულესის — ეს და ია?

ყველა ჩამოთვლილი ნიშანი, ზოგჯერ სრულიად უცვლელად, ზოგჯერ კი ფონეტიკური ცვლილებებით ნამდვილად. გვქონდა ქართულ ზმნებში და ამიტომ ე და ო-მდე მათი დაყვანა არაფრით არ ჩაითვლება ქართული ზმნის მორფოლოგიის გამარტივებად.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ანტონს ნამყო უსრულესის მაწარმოებელ ეს და ია ფორმებთან აღნიშნული ჰქონდა, რომ ორივეს ხმარება შეიძლება, თუმცა უკეთესია პირველი ვიხმაროთო. გაიოზთან ეს ფორმები სხვადასხვა მწკრივის მწარმოებლადაა მიჩნეული პარადიგმებში და ისინი მონაცვლეობენ ნამყო უსრულსა და უუსრულესს შორის: პირველი — („ესი“) მოუდის უსრულესს, ხოლო „ია“ უუსრულესს. მაგ.: „შ ე მ ი ყ ვ ა რ ე ბ ი ე ს“, „მ ი მ თ ხ ვ ე ვ ი ე ს“ უსრულესია, ხოლო „შ ე მ ი ყ ვ ა რ ე ბ ი ა“, — „მ ი მ თ ხ ვ ე ვ ი ა“ — უუსრულესი, მხოლოდ „ვ წ ე რ“ ზმნა იძლევა „დამიწერია“ ფორმას უსრულესში და „დამეწერა“ ფორმას უუსრულესში. ასევე „ვაქებ“ ზმნა იძლევა „მ ი ქ ი ე ს“ და „მ ე ქ ო ს“. აქაც, როგორც ვხედავთ, გაიოზი ცდება, რასაც ყურადღება არ მიაქციეს მკვლევრებმა.

მომღეობის განსაზღვრა ახალს არაფერს იძლევა: „მიმღეობა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა სახელობით დაჰნიშნავს მოქმედებასა

ანუ ვნებასა, ამისთვის სახელისაცა და ზმნისა აქვნ თვისებანი“ (გვ. 111).

გაიოზი ერთად იძლევა მიმღეობის მდევრებს: ნათესაი, ნაკეთი, სახე, რიცხვი, დრო, ბრუნვა.

ნ ა თ ე ს ა ვ ი (ე. ი. სქესი — ა. ფ.) მიმღეობას, რადგან იგი ზედსართავის მსგავსად იხმარება წინადადებაში, სახელისაებრ აქვს საზოგადო, ხოლო ზმნისაებრ — მოქმედებითი და ვნებითიო. აქ ერთ ტერმინში (ნათესავი), როგორც ვხედავთ, სრულიად გაუმართლებლად გაერთიანებულია ორი სხვადასხვა ცნება: სქესი და გვარი.

დ რ ო სამი აქვს მიმღეობას: აწმყოში მხოლოდ მოქმედებითი მიმღეობა გვაქვს „მარცვალაკებით“ — მე, მმ, მი (თავში) და ლი, ედი (ბოლოში): მ ე ტ ყ ე ვ ე ლ ი, მ მ ე ქ მ ი, მ ო რ ბ ე დ ი; ნამყოსა და მყოობადში ვნებითის მიმღეობებია ნიშნებით — ნამყოში ნა (თავში) და რი, დი, ლი, ი (ბოლოში): ნ ა ქ მ ა რ ი, ნ ა წ ე რ ი, ნ ა მ ზ ა დ ი, დ ა წ ე რ ი ლ ი, ხოლო მყოობადში თავში მიიღებს სა-ს და ბოლოში — ი, ელ, ადი-ს: ს ა ქ ე ბ ი, ს ა წ ე რ ი, ს ა ნ უ კ ვ ა რ ი.

ნ ა კ ე თ ი ორი აქვს მიმღეობასაც: მარტივი — „მ ე ტ ყ ე ე ლ ი“ და ჰრთული — „წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ე ე ლ ი“.

ს ა ხ ე ც ორია: პირველი სახე — „მ ო ქ მ ე დ ი“, „მ ა წ ყ ი ნ ე ბ ე ლ ი“; სხვით გარდასულითი — „მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი“, „მ ა წ ყ ი ნ ე ბ ი ნ ე ბ ე ლ ი“.

რ ი ც ხ ვ ი — მხოლოობითი და მრავლობითი.

დ რ ო — სამი: აწმყო, ნამყო, მყოობადი.

ბ რ უ ნ ვ ა, სახელის მსგავსად, ყველა.

გაიოზი აქაც, როგორც სხვა დროსაც, ანტონთან არსებულ ბევრ შაწარმოებელს გაუმართლებლად უგულებელყოფს.

„თანდებული არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც მოიკიდებს სახელს ბრუნვით და ჰყოფს ცვალებულ მდგომარეობასა მისისა ვითარებასა“ (გვ. 112). მათგან ზოგი წინ დაერთვის სახელს და ზოგი უკან. თანდებულები დაერთვიან შემდეგ ბრუნვებს: ნათესაობითს, მიცემითს და დაწუებითს. აქ სამართლიანადაა უარყოფილი შემასმენლობითი, რომელიც ანტონთან გვქონდა, მაგრამ მოქმედებითის ამოღებას არავითარი საფუძველი არ დაეძებნება.

წინაც და უკანაც შეიძლება დაისვან შემდეგი თანდებულები: **უწინარეს, ქვემო, გარემო, შორის, იმიერ, ახლოს, უკანა, წინა, ამიერ, კერძოდ, გარეგან, წინაშე, ქვეშე, ირგვლივ, შემდგომად, პირისპირ,** ვიდრე და სხვა. ეს თანდებულები მოეკიდებიან როგორც მიცემითს ისე ნათესაობითს.

მარტო უკან „დაიდებიან“ თანდებულები: **ად, დამი, დმი, მდე, და,**

თანა, ამ „თანდებულების“ შესახებ ავტორი შენიშნავს: „მარცვალნი ესე უკე-თუმცა არიან აღრიცხული თანდებულთა შორის, გარნა არიან მაკეთ მიცემითისა ბრუნვისა ნაცვალსახელთასა“ (გვ. 113). გაუგებარია, რა საბუთით შეიტანა გაიოზმა ასეთი შესწორება ანტონის გრამატიკაში, რომელთანაც ად, დ, და მხოლოდ მიცემითის ნიშნად იყო დასახელებული.

თანდებულს აქვს ნაკვეთი: მარტივი — წინა, ად, დმი, ჰრთული — წინარე. მასვე შეიძლება ჰქონდეს სახე: პირველი სახე — „წინარე“ და სხმით-გარდასვლითი „უწინარესი“. დაუსაბუთებელია თანდებულებში ნაკვთისა და სახის გამოყოფაც, თუმცა ის მაგალითები, რომლებიც გაიოზმა ჩამოთვალა, ზოგჯერ კიდეც იძლევა ისეთი დასკვნის უფლებას.

გაიოზი, მსგავსად ანტონისა, შენიშნავს, რომ თანდებულები ზოგჯერ გამოიყენებიან ზმნიზედებადაც.

ზმნიზედის, ცოტა არ იყოს, უცნაური განსაზღვრის შემდეგ („...მოქმედების ზმნასა და განავითარებს მოქმედებასა ანუ ვნებასა მისსა“) გაიოზი იძლევა მის შემდეგ ჯგუფებს:

1. ადგილობითნი: სად, სადმე, ზე, ზემო...
2. დროებითნი: გუშინ, მაზეგ, დროზედ, ჯერეთ...
3. რაოდენობითი: რაოდენ, რაოდენგზისა, ეგოდენ...
4. ვითარებითნი: ეგრეთ, სხვები, სამართლით...
5. კითხვითნი: სად? საით? რისთვის? ნუუმე?..
6. მსგავსებითნი: ვითარცა, ეგრეთ, ეგრეთცა...
7. ხშირობითნი: ფრიად, დიდად, მრავლად, ყოვლითურთ...
8. მიშვებითნი: მცირედრე, ნელა, ნელანელა, თითქმის...
9. დამტკიცებითი: ანუ დაფიცებითი: ჰო, მართლა, უთუოდ...
10. უკუთქმითი ანუ დამაყენებლობითნი: არა, არც, ნუ არაოდენ...
11. იკვნობითნი: ნუუკუცთ, ნუსადამე, ეგების...
12. ჩვენებითნი: აჰა, აჰაესერა, ესევითარითა ხატ~თა.
13. საწადი: ნეტარ, თუმცა, უკეთუ...
14. განმხრობითი: ეგ არის, კარგია, შაბაშ...
15. შემკრებლობითნი: ერთად: გაურჩეველად, ურთიერთარს, მოკლედ...
16. განკერძოებითნი: ქალაქით, ქალაქად, უბანდაუბან, თვითოთვითოდ.
17. წესებითნი: უპირველეს, უკანასკნელ...

როგორც ვხედავთ, ანტონის 22 ჯგუფის ნაცვლად, გაიოზთან გვაქვს 17. უნდა ითქვას, რომ გაიოზი ამჯერად უფრო თანამიმდევრულია, ვიდრე მისი მასწავლებელი.

მოცემულ ჯგუფებში სიტყვების განაწილებისას გაიოზი ძირითადად ანტონს მისდევს, მაგრამ როგორც კი ამჩნევს, რომ მოძღვარი ცდება, ირჩევს საკუთარ გზას. მაგ.: კითხვითის ჯგუფიდან გაიოზმა სრულიად სამართლიანად ამოიღო: **ვინ, ვინემ, რაი, რომელიმე**. ასევე იქცევა იგი სხვა შემთხვევაშიც, თუმცა შეცდომებიდან დაზღვეული, როგორც ვნახეთ, არც მისი ჯგუფებია.

კავშირის განმარტებაში გაიოზი ძირითადად ემთხვევა ანტონს („კავშირი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა მოჰკიდებს ურთიერთს ლექსთა ანუ სიტყვათა", გვ. 117).

კავშირის ჯგუფებია:

1. წ მ ა ს ვ ნ ი თ ნ ი: და, ხოლო, ესრეთვე, ეგრეთვე, ვითარცა, არცა...
2. გ ა ნ წ ვ ა ლ ე ბ ი თ ნ ი: გინა ,გინაე, ანუ, ნუთუ, არამედ...
3. თ უ ო ბ ი თ ნ ი ანუ პ ი რ ო ბ ი თ ნ ი: თუ, ოდესმე, უკეთუ...
4. გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ნ ი: ესე, იგი, ანუ გინა...
5. პ ი რ ი ს პ ი რ ო ბ ი თ ნ ი ანუ გ ა რ მ ი მ ღ ე ო ბ ი თ ნ ი: გარნა, არამედ, ხოლო...
6. მ ი შ ე ვ ე ბ ი თ ნ ი: თუმცა, უკეთუმცა, მართალ არს...
7. მ ი ზ ე ზ ო ბ ი თ ნ ი: რამეთუ, ვინაითგან, ვითარმედ, რაითამცა...
8. კ ი დ უ რ მ დ გ ო ე ბ ი თ ი: მაშასადამე, ეინა, ამისათვის...
9. მ ი მ ყ ო ვ რ ე ბ ი თ ი: გარდა, გარდა ამისა, სხვებრ, კვალად...

თუ ამას ანტონის კლასიფიკაციას შევუდარებთ, დავინახავთ, რომ სხვაობა აქაც საკმაოა. ანტონის 12 ჯგუფს გაიოზთან 9 შეესატყვისება; განსხვავებაა ზოგ დასახელებაშიც.

საინტერესოა გაიოზის ერთი სიახლე. მან ანტონის გარმიმღეობითის გვერდით მოგვცა პ ი რ ი ს პ ი რ ო ბ ი თ ი, რომელიც ოდნავ შეცვლილი სახით (მ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ე ლ ი) დღესაც იხმარება.

შორისდებულიც, იმხანად გაბატონებული აზრის მიხედვით წინადადების (სიტყვის) ნაწილია, „რომელიც მხოლოდ ღონენ ბუნებითთა ნაწევრობითა ხმითა დაჰნიშნავს ვითარსამე ენებითსა მოძრავობასა სულისასა" (გვ. 119).

შორისდებულს, გაიოზთან 8 ჯგუფი აქვს (ანტონთან 12 გვქონდა).

1. გ ა ნ კ ვ ი რ ვ ე ბ ი თ ი: ჰაჲ! ოჰო! აი!..
2. დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ი თ ნ ი: ჰო! აგრე!...
3. ს ა ლ მ ო ბ ი თ ნ ი: ვაი! ვაიმე! უვიუვი!...

4. ღ ა ღ ა დ ე ბ ი თ ნ ი: ოჰო! ი ღმერთო!...
5. წ ო დ ე ბ ი თ ნ ი: ეჰა! ჰა! ეიი!...
6. ქ ი რ დ ე ბ ი თ ნ ი: ჰა! ჰაჰა! ეეი! ეეი!...
7. დ ა დ უ მ ე ბ ი თ ნ ი: სუსუ! ჩუმად!...
8. შ ე უ რ ა ც ხ ე ბ ი თ ნ ი ანუ რ ი ს ხ ვ ი თ ნ ი: ფუ! ფუფუ!...

ანტონის ჯგუფებიდან გაიოზთან, თანაც სხვა რედაქციით, მეორდება მხოლოდ: სალმობითი, განკვირვებითი და წოდებითი.

მეორე ნაწილი

ეს ნაწილი იწოდება „თ ვ ი ს ს ი ნ ტ ა ქ ს ი ს ა ა ნ უ ა ღ ნ ა ქ ვ ს ი ს ა“ [1]. ასეთი თავი ჰქონდა ანტონის გრამატიკასაც, მაგრამ მათ შორის სხვაობა აქვე იგრძნობა. საქმე ისაა, რომ ანტონთან სინტაქსი გრამატიკის ნაწილად არც იგულისხმება, გაიოზისთვის კი იგი „...არის ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიც ასწავებს თანხმობასა შეწყობასა შინა ნაწილთა სიტყვისათა“ (გვ. 120). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესავალის მეორე პარაგრაფში, სადაც ჩამოთვლილია „უმთავრესნი შემდგენელნი ნაწილნი ღრამმატიკისანი“, იქ არც სინტაქსზეა ლაპარაკი და არც სიტყვის ნაწილებზე, არამედ, ანტონისდარად ჩამოთვლილია: წიგნი, მარცვალი, ლექსი და სიტყვა.

სინტაქსი გაიოზთან სამგვარია:

1. მ ა რ ტ ი ვ ი ანუ კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ანუ ს ა ზ ო გ ა დ ო; 2. ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ ი ანუ რ ი ტ ო რ უ ლ ი და 3. უ ხ ვ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ი თ ი ანუ შ ე ვ ნ ი ე რ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ი თ ი.

„მ ა რ ტ ი ვ ი ა ღ ნ ა ქ ვ ს ი არის, რომელიც შეუდგების საზოგადოსა ჩვეულებითსა საუბარსა; ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ ი — კანონთაგან თანხმობისა სიტყვისა ნაწილთასა გარდახდების და ექმნების რაიმე ანუ ძალითად, ანუ მეტნობით, ანუ შეცვალებით: უ ხ ვ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ი თ ი არს, ოდესცა გარდა მართლისა თანხმობისა ანუ ა ღ ნ ა ქ ვ ს ი ს ა ლექსთასა ხმარებულ იქმნების რომელიმე მშვენიერ სიტყვაობითი უხვსიტყვაობა“... (გვ. 120).

„ღრამმატიკის უპირველესი თანამდებობა არისო — განაგრძობს გაიოზი — რათა სვინტაქსსა შინა გარდამოსცეს პირველად მარტივი თანხმობა ლექსთა ხმარებული საზოგადოსა ჩვეულებითსა შინა საუ-

---

[1] როგორც ეხედავთ, „ს ი ნ ტ ა ქ ს ი ს“ შესატყვისად გაიოზს უცდია, ქართული ტერმინი „ა ღ ნ ა ქ ვ ი“ შემოეღო, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ საგრამატიკო ლიტერატურაში იგი ვერ დამკვიდრდა.

ბარსა და მით ორთა მათ უკანონოთა თანხმობითა მეტნი მოსპნეს და ნაკლულოვანნი აღავსნეს და აღრეულნი დააწყვნეს და შესამეცნებლად მოიყვანეს ძნელნი იგი ხვანჯნი“ (გვ. 120).

ეს საკმაოდ ერცელი ამონაწერი დაგვეხმარება საკითხის არსის უკეთ გაგებაში.

საქმე ისაა, რომ ელ. ნიკოლაიშვილის აზრით: „ეს განმარტება მოიცავს მხოლოდ მარტივი წინადადების სინტაქსს და არაფერს გვეუბნება იმაზე, რომ სინტაქსი წინადადებათა ურთიერთდაკავშირების წესებსაც შეისწავლის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს რთული წინადადების საკითხები გაიოზს საერთოდ უგულებელყოფილი აქვს. ერთი მხრივ, წინადადებათა სიმარტივე-სირთულე, მეორე მხრივ კი — სტილისტური ნაირფეროვნება წარმოადგენს სწორედ იმის საფუძველს, რომ გაიოზს აღნაქვსი დაყოფილი აქვს სამ სახედ: 1. მარტივი, ანუ კანონიერი, ანუ საზოგადო; 2. ხელოვნებითი, ანუ რიტორიკული; 3. უხვსიტყვაობითი ანუ შევნიერსიტყვაობითი.

სინტაქსის უპირველეს ამოცანად გაიოზს სიტყვათა მარტივი თანხმობის ე. ი. მარტივი წინადადების შესწავლა მიაჩნია“ [1].

სხვაგან მკვლევარი უფრო აზუსტებს: „დასასრულ, მეორე ნაწილს უკანასკნელი ორი თავი ეძღვნება **მარტივი და რთული წინადადების სინტაქსურ დახასიათებას**“ [2]. სინამდვილეში გაიოზთან მარტივი და რთული წინადადების შესწავლაზე ლაპარაკი არა ჩანს, არც სინტაქსის სამგვარად დაყოფა გულისხმობს „ერთი მხრით, წინადადების სიმარტივე-სირთულეს, მეორე მხრით კი — სტილისტურ ნაირფეროვნებას“ [3].

გაიოზი პირდაპირ ამბობს: „მ ა რ ტ ი ვ ი ა ნ უ კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ა ნ უ ს ა ზ ო გ ა დ ო, რ ო მ ე ლ ი ც შ ე უ დ გ ე ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ს ა ჩ ე უ ლ ე ბ ი თ ს ა ს ა უ ბ ა რ ს ა“ ე. ი. ის, რაც ჩ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ა, ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ა. სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელია. ეს ჩეულებრივი, დამახასიათებელი, ბუნებრივი უპირისპირდება „ხელოვნებითსა“ („რომელიცა კანონთაგან თანხმობისა სიტყვისა ნაწილისათა გარდახდების და ექმნების რაიმე ანუ ძალით, ანუ მეტნობით, ანუ შეცვალებით“) და უხვსიტყვაობითს („...ოდესცა გარდა მართლისა თანხმობისა ანუ აღნაქვსისა ლექსთასა ხმარებულ იქმნების რომელიმე შევნიერსიტყვაობითი უხვსიტყვაობა“).

---

[1] ელ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, გაიოზ რექტორის ქართული გრამატიკა, „მაცნე“, 1965 წ., № 4, გვ. 178.

[2] გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ი, ქართული ღრამმატიკა, გვ. 26; ხაზი ჩვენია — ა. ფ.

[3] იქვე.

გაიოზი ამ უკანასკნელთ „უკანონო თანხმობას“ ეძახის და გრამატიკის „უპირველეს თანამდებობად“ მიიჩნევს სინტაქსში გადმოსცეს „მარტივი თანხმობა ლექსთა ხმარებული საზოგადოსა ჩვეულებითსა შინა საუბარსა და მით ორთა უკანონოთა თანხმობათა მეტნი მოსპნეს და ნაკლოვანნიაღავსნეს“.

ე. ი. სინტაქსის საქმეა არა მარტივი წინადადების შესწავლა, არამედ ჩვეულებრივი, სასაუბრო ენის ლექსთა თანხმობის გადმოცემა, უკანონო თანხმობის კი გასწორება, რათა „შესამეცნებლად მოიყვანნეს ძნელნი იგი ხვანჯნი“. თვითონ ელ. ნიკოლაიშვილიც შენიშნავს, რომ „სიტყვათა რიგის შეცვლა, რაიმეს დამატება ან დაკლება გაიოზს საზოგადო წესის დარღვევად მიაჩნია და ამიტომაც უწოდებს მას „ხელოვნებითს ალნაქვსსო“ (გვ. 183).

ერთი სიტყვით, გაიოზთან არც მარტივ და არც რთულ წინადადებას სინტაქსზეა ლაპარაკი და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

„მარტივი თანხმობის“ გადმოცემას ეძღვნება ექვსი თავი, ხოლო „ხელოვნებითისა“ და „უხვსიტყვაობითისას“ მხოლოდ ორი თავი, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა მიაჩნია ავტორს ძირითადად.

„მარტივი თანხმობა“ მოიცავს იმავე ოთხ ნაირსახეობას, რაც ანტონთან გვქონდა: 1. „ზმნისა სახელისა თანა; 2. „სახელისა სახელისა თანა; 3. „სხვა ნაწილთა სიტყვისათა სახელისათა“ და 4. „კითხვა-მოგებისა თანა“.

გაიოზის აზრით, ყოველი პირიანი კანონიერი ზმნა ორ სახელს შეიწყობს. ერთი, რომელიც პირველად დაიდება, იწოდება უფლად, მეორე, რომელიც ზმნის შემდგომ მოდის — იწოდება ძიებად. პირველი არის მნიშვნელი მოქმედებისა, მეორე — მნიშვნელი ვნებულისა (ე. ი. მოქმედი და სამოქმედო, ანუ სუბიექტი და ობიექტი).

გაიოზი ანტონის მსგავსად ამჩნევს, რომ აწმყოსა და ნამყო უსრულში ყოველი შემოქმედებითი ზმნა პირველის უღლებისა უფალს მოითხოვს წრფელობითში, ნამყოსა და მყობადში — მოთხრობითში, ხოლო უსრულესსა და უუსრულესში — მიცემითში.

ასეთი განაწილება ეხება მხოლოდ მხოლოობით რიცხვს. მრავლობითში მდგომარეობა სხვანაირად ეჩვენება გაიოზს. აწმყოსა და უსრულში აქაც წრფელობითი ბრუნვა გვაქვსო. მაგრამ დანარჩენ ოთხსავე დროში უფლის ბრუნვა მიცემითიაო.

ამ შეცდომის სათავე ნარ-თანიან მრავლობითში მოთხრობით-მიცემითის გარეგნულ დამთხვევაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ საინტერესოა,

რატომ ანტონს არ მიჰყვა ავტორი, ანტონთან ხომ მხოლოობით-მრავლობითის განსხვავებაზე რაიმე მითითება არა გვქონია?

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ გაიოზის ეს შენიშვნა მთლად უსაფუძვლო როდია, თუმცა დასკვნებს სიზუსტე აკლია.

რაც შეეხება „ძიების ბრუნვებს“, მათ გაიოზი სწორად ასახელებს. აწმყოსა და ნამყო უსრულში ძიება მიცემითშია, სხვა დროებში (ე. ი. II და III სერიის დროებში) — შემასმენლობითში.

ბრძანებითისა და აპითეტიკის სქესის (ე. ი. კილოსი — ა. ფ.) ზმნები უფალსა და საძიებოს მიიღებენ მსგავსად საზღვრებითის სქესისა: „ყოველნი ვნებითნი ზმნანი ყოვლისა უღვლილებისანი ყოველთა შინა დროთა მოითხოვენ უფლად წრფელობითად ბრუნვილსა სახელსა და საძიებოდ — დაწყებითს ან მოქმედებითს: ი რ ა კ ლ ი ი დ ი დ ა ს ი მ დ ა ბ ლ ი თ ა და ს ი მ ხ ნ ი თ ა... (გვ. 122).

გაიოზთან, ანტონის მსგავსად, ერთპირიან ზმნას, უფალს გარდა აქვს საძიებო, რომელიც თანამედროვე ტერმინოლოგიით უბრალო დამატების ფარდია. ზემოთ დასახელებულ წინადადებაში საძიებოა ს ი მ ხ ნ ი თ ა და ს ი მ დ ა ბ ლ ი თ ა.

ყველა საშუალი გვარის ზმნა (ხატშემოქმედებითი და ხატვნებითი) ყველა კილოსა და დროში უ ფ ლ ად და ძ ი ე ბ ად მიიღებენ იმავე ბრუნვებს, რასაც სათანადო შემოქმედებითი და ვნებითი მხოლოდ იმ პირობით, რომ ძიება მათთან „ბუნებითია“ და არა „ნათესავისა“.

სხმით-გარდასვლითი და მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი არ განსხვავდებიან თავიანთ პირველსახიდანო.

ყველაფერი ეს ძირითადად ანტონისგან მოდის, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ გაიოზთან იგი გაცილებით უფრო ნათლად და ადვილგასაგებადაა, ვიდრე მის მასწავლებელთან.

ანტონის მსგავსად, გაიოზიც მიუთითებს იმაზე, რომ ორი უფალი ზმნას მრავლობითში მოითხოვს, თუმცა ზოგჯერ მხოლოობითსაც შეეწყობაო, აგრეთვე ორი პირის უფლად გამოყენებისას, უპირატესობა ეძლევა „უპატიოსნეს“პირს. იგულისხმება ისეთი მოქმედება, რომელშიაც მონაწილეობენ I და II, ან I და III, ან II და III პირები, ასეთ შემთხვევებში „უპატიოსნესია“ პირველი და მეორე პირი, მაგ.: მე და შენ მივდივართ — ზმნა პირველ პირშია; მე და ის მივდივართ — ზმნა კვლავ პირველ პირშია; შენ და ის მიდიხართ — ზმნა მეორე პირშია. ერთი სიტყვით, ორი პირიდან ზმნა ერთ-ერთს უწევს ანგარიშს — სწორედ ეს პირია „უპატიოსნესი“.

საინტერესოა გაიოზის მოსაზრება მეორე უღლების ზმნათა („მღვიძავს“ ტიპისა) შესახებაც: „ყოველნი ზმნანი მეორისა უღვლილებისანი

აწმყოსა და ნამყოსა, უსრულსა დროსა შინა მიიღებენ უფლად წრფელობითად ბრუნვილთა სახელთა, ხოლო სხვათა დროთა შინა — მაგ ვითარცა ბრუნვით მიიღებენ უფლად პირველისა უღვლილებისა ზმნანი. ხოლო საძიებოდ არა ნათესავობითსა, არამედ ბუნებითსა, ვინათგან ყოველნი ზმნანი მეორისა უღვლილებისანი არიან უმეშვეობითნი“ (გვ. 124). როგორც ვხედავთ, მეტად კარგადაა ამ ზმნათა ბუნება დახასიათებული.

ყველა დანარჩენი უღლების ზმნები ემთხვევიან პირველი უღლებისას.

უ კ ა ნ ო ნ ო ზ მ ნ ე ბ ი გაიოზს ცალკე თავში აქვს განხილული უპირველესად ლაპარაკია „ვარ“ და მის აღმავსებელ „ვიყავ“ ზმნაზე, რომელიც უფლად ყოველთვის წრფელობითს მიიღებს, ხოლო „ძიებად ბუნებით ოდესმე წრფელობითს, ოდესსმე შემასმენლობითსა, მიცემითსა და სხვა: „ყ რ მ ა ი ყ ო მ ა ხ ვ ი ლ ი ს ა გ ო ნ ე ბ ი ს ა“, „ე გ ე ა რ ა ს ა თ ა ნ ა დ ო ი ყ ო შ ე ნ დ ა“.

როგორც სამართლიანად შენიშნავს ელ. ნიკოლაიშვილი[1], გაიოზ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს თელის ძიებად — შეცდომის საფუძველიც ესაა.

მეტად ფასეულია მკვლევართაგან შეუმჩნეველი გაიოზის ერთი მოსაზრება, რომელიც „ვ ა ძ ლ ე ვ“ და „მ ი ე ჰ ს ც ე მ“ ზმნათა ანალიზის დროსაა გამოთქმული: „ზმნა ესე, რომელ არს ვ ა ძ ლ ე ვ თვისით აღმვსებლით ზმნითურთ, რომელ არს „მ ი ე ჰ ს ც ე მ“, ყოველსა შინა დროსა სქესსა ითხოვენ უფლად ბრუნვასა მას რაისსაცა პირველისა უღვლილებისა კანონიერნი ზმნანი, ხოლო ძიებად ბუნებითად— ორთა ბრუნვათა ესე იგი არს აწმყოსა და ნამყოსა უსრულსა დროსა შინა ორთავე მიცემითად ბრუნვილთა, ნამყოსა და მყოობადსა შინა — ერთსა შემასმენლობითად და მეორესა მიცემითად, ხოლო ნამყოსა უსრულესსა და უსრულესსა შინა — ერთსა შემასმენლობითადვე და მეორესა თანდებულითურთ... მსგავსია ზმნები „ვ ა მ ხ ი ლ ე ბ“, „ვ ა მ ც ნ ე ბ“ და სხვანი“ (გვ. 126).

აქ სრულიად გარკვევით, სათანადო მაგალითების ჩვენებით ლაპარაკია იმაზე, რომ „ვ ა ძ ლ ე ვ“ და მის მსგავს ზმნებს შეეწყობათ სამი პირი, თანაც აბსოლუტური სიზუსტით ჩამოთვლილია ამ პირთა ბრუნვები.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ანტონმაც შენიშნა ზმნის მრავალპირიანობა. მაგრამ ის, რაც ანტონთან მეტად ბუნდოვნადაა ნათქვამი, გაიოზთან ასეთ ნათელ სახეს იღებს.

---

[1] „მაცნე“, 4, 1965 წ., გვ. 180.

ამ თავში მრავალი უკანონო ზმნაა ჩამოთვლილი და გაანალიზებული. მათგან ყურადღებას იქცევს „ვ ზ ი“, „ვ ს დ გ ა“ ტიპის ზმნები, რომლებიც უფლად მიიღებენ წრფელობითს, ხოლო ძიებად მხოლოდ თანდებულიან სახელს („ვ ჰ ზ ი ს ა ყ დ ა რ ს ა ზ ე დ ა“); ხოლო ზმნა „მ ძ ი ნ ა ვ ს“, „მ ღ ვ ი ძ ა ვ ს“ სახელს მიიღებენ მხოლოდ უფლად და არა ძიებად.

რაც შეეხება ისეთ პირნაკლ ზმნებს, როგორიც არიან: „მ ხ ა ტ ა ვ ს“, „გ ხ ა ტ ა ვ ს“, ისინი ემთხვევიან პირველ უღლების მოქმედებითი გვარის ზმნებსო. მაგრამ აქვე გაიოზი ურთავს ასეთ შენიშვნას — II სერიის მწკრივებში ეს ზმნები უფლად წრფელობითის გარდა წოდებითს მოითხოვენო.

როგორც ვნახეთ, ანტონთან ამის მსგავსი არაფერი გვქონდა.

შემდეგი თავი ეთმობა განუსაზღვრელი ზმნის, სახელზმნისა და მიმღეობის შეთანხმებას.

თუ ორი ზმნა ერთიმეორეს უკავშიროდ უერთდება, ერთი, კერძოდ, მომდევნო, გარდაიქმნება განუსაზღვრებლად და იქცევა პიროვანი ზმნის ნათესავის ძიებად. ამასთან შეიძლება მანაც მოითხოვოს საკუთრივ ძიება, რომელიც, ჩვეულებრივ, შემასმენლობითსა და ნათესაობით ბრუნვაშია.

თუ „ერთმანეთთან“ მოვიდა სამი ზმნა, მაშინ პირველს გარდა ყველა განუსაზღვრებლად გადაქეთდებაო.

სახელზმნა განუსაზღვრელის მსგავსად, იქცევა ისე, როგორც სახელი და თვითონაც შეიძლება „მოვიდეს უფლადაცა და ძიებადაც“: მიმღეობა დაექვემდებარება ზედსართავისებრ.

შემდგომი თავი ანტონთან გულისხმობდა მიმართებით ნაცვალსახელსა და მისი წინამავალი სიტყვის ურთიერთობას. გაიოზთან კი ამ თავში იგულისხმება თითქმის ყოველი შესაძლებელი ურთიერთობა, რაც საერთოდ მოსალოდნელია სახელსა და სახელს შორის.

ეს თავი ანტონის გრამატიკის მეექვსე თავს გვაგონებს (ანტონთან — „თვის ბრუნვილთ მიღებითა ნაწილთაგან სიტყვისათა საზოგადოდ“). მასში განხილულია არა მხოლოდ მიმართებითი (კვლამოღებითი) ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობა, არამედ ურთიერთობა საერთოდ სახელებისა და მიმღეობისაც.

გაიოზთან მსჯელობა იწყება სახელთა ურთიერთობით: თუ ორი სახელი ერთსა და იმავე ნივთს აღნიშნავენ, ერთმანეთს უნდა შეუთანხმდნენ ბრუნვითაცა და რიცხვითაცაო („ქ რ ი ს ტ ე-უ ფ ა ლ ი“, „მ დ ი ნ ა რ ე მ ტ კ ვ ა რ ი“...). თუ ორი სახელი ერთიმეორეს უკავშირდება დაწყებითსა და მოქმედებითში, უმჯობესია ჯერ დაიდოს დაწყებითი და მერე მოქმედებითის ნიშნით, შემდეგ ნათესაობითის

(„ხორცნი შეისხა სულისაგან წმინდისა და მარიამისაგან ქალწულისა“).

თუ ატრიბუტული მსაზღვრელი უკავშიროდ უერთდება სახელს, იგი იწოდება შეძინებად. ვარჩევთ მარტივ შეძინებას (სახელს ახლავს ერთი მსაზღვრელი) და რთულს (სახელს ახლავს რამდენიმე) — „ქრისტე უფალი“; „ანტონ კათალიკოსი ყოვლად უსრულესი რიტორი“.

ანტონისაც ტერმინს ხმარობს გაიოზი გენეტიური მსაზღვრელის აღსანიშნავად: „ამას ნათესაობითსა ბრუნვასა ეწოდების განმათვისებლად წინამავალისა სახელისა“ (გვ. 130). იგი მაშინ გვხვდება, როცა ორი არსებითი სახელი სხვადასხვა ნიუთის აღმნიშვნელნი წინადადებაში კავშირების გარეშეა მოცემული.

გაიოზს შენიშნული აქვს, რომ საზღვრულის შემდეგ მოქცეული გენეტური მსაზღვრელი ნათესაობითის ფორმასაც ინარჩუნებს და იმ ბრუნვის ნიშანსაც, რომელშიც დგას[1], ამას „თანხმობა“ ეწოდებაო („სიტყვამან ღმრთისამან აღადგინა ეგე“).

თუ მსაზღვრელად ზედსართავია, აუცილებელია, იგი უთანხმდებოდეს სახელს რიცხვსა და ბრუნვაში.

შესაძლებელია, ერთ სახელს ახლდეს რამდენიმე ზედსართავი და პირუკუც.

ზოგჯერ თვით ზედსართავი მოითხოვს ნათესაობითს ან მოქმედებითს ბრუნვებს. ამ დროს ესენი მისი განმათვისებელიც არიან („ირაკლი არს ჩინებული სიმნითა და ანტონი მდიდარი სიბრძნითა“).

„ზედსართავები უაღრესობითისანი“ ნათესაობით ბრუნვას ითხოვენ. („უავესი შიმშილისა“), ხოლო თუ მათ შეეაერთებთ გარემოებითი კავშირით „ვიდრეღა“ — მაშინ ნათესაობითი შეიცვლება წრფელობითით („სიბრძნე უპატიოსნეს არს, ვიდრეღა ოქრო და ვერცხლი“).

ნაცვალსახელსა და ზმნას შორის ურთიერთობა ისეთივეა, როგორიც სახელსა და ზმნას შორის, მხოლოდ სხვაობა იმაშია, რომ, რადგან ნაცვალსახელს აქვს პირი, ზმნაც იმავე პირში უნდა იყოს; როგორც ითქვა, რამდენიმე ნაცვალსახელთან ზმნა ანგარიშს უწევს „უპატიოსნესსო“.

არსებითი, ჩვენებითი და მოგებითი ნაცვალსახელები მუდამ ეთანხმებიან სახელს რიცხვსა და ბრუნვაში: მოგებითი ჩვეულებრივ გან-

[1] იხ. ელ. ნიკოლაიშვილი, „მაცნე“, 4, 1965 წ., გვ. 181.

მათვისებლად იხმარება: კვლამოღებით ნაცვალსახელი ეთანხმება წინამავალი სიტყვის ბრუნვას და ზოგჯერ რიცხვს.

ერთი მეტად საგულისხმო შენიშვნა აქვს გაიოზს კვლამოღებითი ნაცვალსახელის წინადადებაში გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც აგრეთვე შეუმჩნეველი დარჩათ გაიოზის მკვლევართ.

საუბარია იმაზე, რომ „რომელიც“ ნაცვალსახელი „კვლამოიღებს“ არა მხოლოდ მის წინმავალ სახელს, არამედ მთელ წინადადებას („ე გ რეთვე ყოვლადსაცა სიტყვასა“). მაგ.: „ცხოველი, რომელიც ნიჭებულ არს გულისხმის ყოფითა და ნებითა, წოდებულ არს კაცად“: „გულისხმოს ყოფითა და ნებით ნიჭებული ცხოველი იწოდების კაცად“.

შემდეგი თავი ეთმობა, ერთი მხრით, სახელისა და ზმნის, და, მეორე მხრით, თანდებულის, კავშირის, ზმნიზედისა და შორისდებულის ურთიერთობას.

რადგან ეს მეტყველების ნაწილები არ გადმოგვცემენ რაიმე მნიშვნელობას დამოუკიდებლად, საჭიროა, ვიცოდეთ: „თუ ვითარ გარემოექცევიან ესენი ზემოხსენებულთა ნაწილთა სიტყვისათა (სახელსა და ზმნას — ა. ფ.) სვინტაქსსა შინა“ — თანდებულები „მოეკიდებიან“ არსებითებს, ზედსართავებს, მიმღეობებს, ნაცვალსახელთ, სახელზმნებს და ითხოვენ მიცემითს, ნათესაობითს ან წრფელობითს. როგორც ადრეც ვთქვით, დაეიწყებულია მოქმედებითი.

ზმნიზედები „მოეკიდებიან“ როგორც ზმნებს, ასევე სახელზმნებსა და მიმღეობებს.

შემჩნეულია ორმაგი უარყოფის დადებითი მნიშვნელობა („...რა მეთუ არა ვართ... არა ი წ მ ი ნ დ ი თ მ ქ ა დ ა გ ე ბ ე ლ ნ ი, ეს ე ი გ ი არს: ვ ა რ თ ს ი წ მ ი დ ი თ მ ქ ა დ ა გ ე ბ ე ლ ნ ი“) და რაც აგრეთვე საინტერესოა „თუმცა ქართულს ენასა შინა ხმარებულ არიან ოდესმე ორნი უკუთქმითნი უკუთქმითადვე“ („არა კაცი კაცი არ არის“). ანუ ორმაგი უარყოფა.

კავშირები: „წმასჯნთნი, განწვალვითნი, წინააღმდეგობითნი და უკუთქმითნი გადააბმენ სახელებს ერთსა და იმავე ბრუნვისასა; მიზეზობითი კავშირნი (ვითარმედ, ვითარცა, რაით, რაითამცა) ნამყოისა დროისა ზმნათადმი მოაბმენ ანუ საზღერებითსა აწმყოისა და მყოობადისა და ანუ აპოთეტიკაისა აწმყოისა და მყოობადისა დროისა ზმნათა.

წინააღმდეგობითნი კავშირნი „ჰყოფენ გამოხვებასა ანუ განმართ-

ვასა პირველისა წინადადებისასა"[1]. იმპერატორი მაქსიმილიანე იტყოდა: „უკეთუმცა ვარ ერთსა დღესა ქმნად ასთა კაცთა აზნაურად, გარნა ასსა შინა წელსა ვერცა ერთისა ბრძნისა კაცისა" (გვ. 136-7).

შორისდებული დაწყებითსა და მოქმედებითს გარდა ყველა ბრუნვას მოითხოვსო, წერს გაიოზი, და გაუგებარია, რა საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნას.

თავი (მეექვსე), რომელშიაც გადმოცემულია კითხვა-მოგების საკითხები, უფრო ვრცელიცაა და მეტად დასაბუთებულიც, ვიდრე შესაბამისი თავი ანტონთან.

გაიოზი აღნიშნავს რომ: „კითხვითნი სახელნი მოგებას თანხმობენ ბრუნვაში", მაგრამ რიცხვში ყოველთვის არა, რომ მოგებისას ზმნა და ძიება, ჩვეულებრივ, იგულისხმებიან („მარადის ძალითად მდებარე არს"), რომ ვინ? დაესმის კერძოობითს სახელსა (ანტონთან ფორმულირება უფრო გამოკვეთილი იყო), რა? — საზოგადოს, რომ ზმნები კითხვა-მოგებისას ვალდებულნი არიან დროში თანხმობდნენ, რიცხვსა და პირში — არა.

შემდეგ ჩამოთვლილია კითხვითი სიტყვების ყველა ბრუნვა და მითითებულია, თუ რომელ ბრუნვაში მდგომი ვინ? და რა? რომელი მეტყველების ნაწილს დაერთვის, ან წინადადების რომელ წევრს დაესმის კითხვად; ნათქვამია ისიც, რომ კითხვითი ზმნიზედების პასუხად კვლავ ზმნიზედები უნდა გამოვიყენოთ.

საყურადღებოა ის დებულება, რომ „წოდებითი ბრუნვანი არა ოდეს შემოვალნ თანხმობითთა კანონთა შინა აღნაჩვსთასა. არამედ თავით თვისით მდგომარეობენ აღნაჩვსთა შინა" (გვ. 140).

ამით პირველად ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოჩნდა ნიშნები წოდებითი ბრუნვის საწინააღმდეგო მოსაზრებისა[2].

ამის შემდეგ გაიოზი გვაძლევს იმის მაგალითს, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა განვიხილოთ წინადადების წევრები: ჯერ უნდა დავძებნოთ ზმნა, მერე — „მმუფლებელი" სახელი თვისი განმათვისებლით, მერე—მეორე სახელი ნათესავის მძიები — განმათვისებლით, მერე — მეორე ძიება — ბუნებითი (რომელიც გადმოგვცემს „რით ან სად ქმნული პრს საქმე იგი") თავისი თანდებულით, ზედშესრულით ან


---

[1] პირველადაა ნახმარი „წინადადება" დღევანდელი მნიშვნელობით, იგი რატომღაც არაა შეტანილი გაიოზის „ქართულ ღრამმატიკას" დართულ ლექსიკონში.

[2] ვ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956 წ., გვ. 36—48.

მისი ძიებით, რაც შეეხება ზმნიზედებს და კავშირებს, „ოგინი თვისით ცხადნი არიან ყოველ აღნაქვსში“.

ყველაფერი ეს შეიძლებოდა სქემის სახით ასე წარმოგვედგინა:



ამ სქემაზე ნაჩვენებია ზმნა-შემასმენლის ადგილი და მნიშვნელობა. ისიც მითითებულია, რომ მმუფლებელიცა და ნათესავის საძიებოც (ჩვეულებრივ პირდაპირი ობიექტია, ზოგჯერ — ირიბი ობიექტი) თითქმის ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ; რაც შეეხება ბუნებით საძიებოს (ხან ირიბი ობიექტი, უფრო ხშირად უბრალო დამატება ან გარემოებები). გაუდიფერენცირებლობა რომ არა, ისიც კარგად ჩადგებოდა მმუფლებლისა და ნათესავის საძიებოს რიგში.

კავშირი და ზმნიზედები რომ ერთნაირი ფუნქციისანი ჩანან, ეს ალბათ, მათმა გარეგნულმა მსგავსებამ უფრო განაპირობა.

ამით მთავრდება გაიოზის გრამატიკის (სინტაქსის) ის ნაწილი, რომლითაც ემთხვევა თუ ახლოს დგას ანტონთან.

გაიოზის სინტაქსის ორი დანარჩენი ნაწილი (ხელოვნებითი და შვენიერსიტყვაობითი) რიტორიკის საგანი უფროა, ვიდრე გრამატიკისა და იგი გაიოზის დამოუკიდებელი აზრის ნაყოფია, ანტონთან ეს არა გვაქვს.

სიტყვა (ე. ი. წინადადება) „დაიქსვის“ ორგვარადო, წერს გაიოზი; ამათგან ერთს ეწოდება მარტივი და მეორეს — ჰრთული: „მარტივი არს იგი რომელსაცა შინა იპოვების ერთი ზმნა და ორნი სახელნი. ანუ ძალითად ანუ მოქმედებითად მდებარენი: „უფალმან შექმნა კაცი“... ჰრთული არს ოდეს ორნი მარტივნი სიტყვანი, ესე იგი არს ორნი პიროვანნი ზმნანი, გარდაებმიან ურთიერთისადმი ან კავშირითა, ან კვლამოღებითითა ნაცვალსახელითა: „ვითარიცა ბრძენ იყვნენ ხელმწიფენი, გარნა აქვსთ საჭიროება შემწეობათა შინა“ (გვ. 142).

აღნაქვსი ანუ ლექსთა დათხზვა საჭიროებს პირველად ზმნას, მერმე — საჭიროებს სახელს, რადგან ზმნა „სრულ არს ჰაზრთა შინა და უპყრიეს ძალითად სახელნი“, ამიტომ ყველა ენაზე მას სიტყვას უწოდებენო. მაგ.: „ვჰსწერ“, „ვღაღადებ“. ზმნას იდეათა გამრავლებისათვის სჭირდება სხვადასხვა ლექსი (ე. ი. სიტყვა), სიტყვის ნაწილი (ე. ი. მეტყველების თუ წინადადების ნაწილი) და ასეთ შეერთებას ვუწოდებთ ლექსთა „დაქსვას“.

ლექსთა დაქსვა ნიშნავს ზმნისათვის უფლისა და ძიების მიმატებას („ღრუბელმან დაჰფარა ცაი“) ზედშესრულითურთ („ბნელმან ღრუბელმან დაჰფარა რაბრწყინვალეცაი“), მიმღეობით („ღრუბელმან შესქელებულმან ცვარითა დაჰფარა მზით გაბრწყინებული ცაი“) და ასე შემდეგ.

თუ როგორ შეამოკლებს ან გაამრავლებს აღნაქვსს, ეს დამოკიდებულია რიტორზეო. ამის გამოა რომ ხელოვნებითი აღნაქვსი ეწოდება ისეთ აღნაქვსს, „ოდეს სიტყვა (ე. ი. წინადადება — ა. ფ.) საზოგადოსა კანონის წესიერებას გარდავალს, ოდეს ან დაიტევების რამე, ან შეიცვლების, ან დაემატების“.

1. **დატევება ანუ ძალითად ყოფა (ელიპსის)** არის სიტყვათა დაკლება, მაგ.: მტკვარი (მდინარე მტკვარი); ტფილისი (ქალაქი ტფილისი)...

2. **დამეტება (პლეონასმოს)** არს ერთი და იმავე აზრის მრავალი სიტყვით გადმოცემა, მაგ.: „თვით თვალითა ჩვენითა ვიხილეთ“ ასევე ერთს ძიებასა და ზმნას შორის შემოვა მთელი წინადადება, მაგ.: „ნუ ვითარცა მოძღვარი მოძღვარსა, ნუცა ვითარცა მოწაფე მოწაფესა მწერ, არამედ ვითარცა მოწაფესა მოძღვარმან (რამეთუ შენ ხარ მოძღვარი, ხოლო მე წინააღმდგომ ამისათვის, ვითარმედ შენ სხოლასა შინა იწოდები მოძღვრ'ად და მე ჯერეთ საზრდელსა ვეძიებ), წიგნი წარმომიგზავნე“.

ფრჩხილებში ჩასმული წინადადება მიაჩნია გაიოზს დამეტებად.

3. **შეცვალება** „არს აღრევა ლექსთა ესეთ, რაითა, რომელიცა ჯერ იყო პირველ დადებად, უკანასკნელსა ადგილსა დაიდვას“. ამავე რიგისაა ტმესი („განმეგდებულ ვარ“).

ეს უველაფერი ითქვა „მარტივისათვის აღნაქვსისა სიტყვათასაო“ — წერს გაიოზი (გვ. 144).

ეს საკმაოდ დიდი ამონაწერები კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ მო-

საზრებას, რომ გაიოზთან მარტივი და რთული წინადადების სინტაქსი არ იგულისხმება.

ეს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება აქვე, როცა განვიხილავთ „შვენიერებით აღნაქვსს“ ანუ რთულ აღნაქვსს, „რომელიც იპყრობს თავის შორის ერცელთა დასავსეთა იდეათ“ (გვ. 144).

რთული აღნაქვსი შეიცავს სხვადასხვა პერიოდს: ერთწევროვანს, ორწეროვანს, სამწეროვანს და უმეტესს.

ჩვენ მოვიტანთო მაგალითებს ორგვარი აღნაქვსიდანო: 1. „მარტივისა საუბრისათა“, რომელსაც ელინები (ბერძნები) პროზას უწოდებენ, და მეშაირობის გვარს“, რომელსაც ბერძნები უწოდებენ „პოეტას“.

თუ ერთი „ჰაზრისთვის“ ერთი ზმნაა გამოყენებული. ერთწეროვან პერიოდად იწოდება, თუ „ორთა ანუ მეტთა ჰაზრთა გადაბმულთა ურთიერთისადმი ანუ კავშირითა ანუ სხვითა რომლითამე სიტყვის ნაწილითა ვითარცა კელამოღებითითა ზმნიზედითა და მიმღეობითა, მაშინ იწოდების ორწეროვნად“; მერე — სამწეროვნად და „უმეტესად“ (გვ. 145).

ერთწეროვანის მაგალითია: „სიყვარული მოყვასისა შესძინებს კეთილსა“; **ორწეროვანის** — „მოკიცხარი გლახაკისა განარისხებს შემოქმედსა მისსა, ხოლო მოხარული წარწყმედისათვის არა უბრალო იყოს“; **სამწეროვანის** — „ამისათვის დაიხსნა ჰსჯული და არა წარმოებს სრულებით მჰსჯავრი, რამეთუ უსჯულო აჰკრავებს მართალსა (იქვე).

უნდა აღინიშნოს, რომ ერთწეროვანი პერიოდის მაგალითი მარტივი წინადადებაა, ხოლო ორ და სამწეროვანისა ორი და სამი მარტივი წინადადებისაგან შედგენილი რთული წინადადება, რაც თითქოს იძლევა იმის საბაბს, რომ გაიოზთან ამ წინადადებათა დიფერენციულ განხილვასთან გვჭონდეს საქმე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. გაიოზისათვის, როგორც დავინახეთ, ყველა ჩამოთვლილი პერიოდი, მარტივი წინადადების შემცველიცაა და რთულისაცა, განიხილება ერთიმეორის გვერდით, ერთ სიბრტყეზე. მათ შორის არავითარი თვისობრივი სხვაობა არ არის. და, რაც მთავარია, ერთწეროვანი პერიოდი (თუმცა იგი ემთხვევა მარტივ წინადადებას) არ იწოდება მარტივად და ორწეროვანი — რთულად, ან კი როგორ უნდა წოდებულიყო, თუ ერთწეროვანს მარტივს უწოდებდა, მაშინ ყველა დანარჩენისთვის რთული უნდა ეწოდებინა; გაიოზისათვის კი ერთმანეთს უპირისპირდება არა ერთწეროვანი და დანარჩენი, როგორც ვთქვით,

ბოლოობითი ერთი და მრავლობითი — დანარჩენი; არამედ, ერთწევროვანი უპირისპირდება ორწევროვანს, სამწევროვანს, ოთხწევროვანს და უმეტესს. ასევე ორწევროვანი უპირისპირდება — ერთწევროვანს, სამწევროვანს, ოთხწევროვანს და ასე შემდეგ, ისე როგორც ერთი, ორი, სამი, ოთხი და სხვა უპირისპირდებიან ერთმანეთს.

შვენიერებით აღნაქვსი კანონიერის გარდა შემოიღებს „ვითარსამე შვენიერებას", რომელთაც აქვს საზოგადო და კერძო კანონები.

საზოგადო კანონებია:

1. გამოხატვა ჰაზრისა, პირველთქმისა ანუ დაწერისა;

2. „ჰაზრი ცხადჰყვენ ეგრეთთა ლექსთა მიერ, რამეთუ არა რაიმენი იყვნენ უხმარნი დამეტებულ და საჭირონი მიხდილ;

3. სიტყვანი უკეთუ შესაძლებელ იყოს ამსგავსენ სიტყვათა პეტრიწისა, ეფრემისა და ანტონისა და ჰმსგავსება მათ ხმარებულ ჰყავ.

4. გულისმოდგინედ სათანადო არს შემეცნება, თუ რომელი არს ყოველისა ლექსისა ყოველსა შინა მწერალსა ძალი, შემძლებლობა და საკუთრება.

5. უმეტესღა ლექსნი იგი, რომელნიცა ძველთა ლექსთა თვის ეყვიან, რომელნიცა უხვად არიან პეტრიწისა და რუსთაველისა ენამზეობათა შინა.

6. წესად ლექსთა იწოდებიან იგინი, რომელნიც რომელთამე ნივთთა ცნობილთა ათნებდნენ. ამას უკვე შეემეცნები, უკეთუ გულისმოდგინედ და ხშირად წამკითხველი ექმნები ფრასისთა ეფრემ მთარგმნელისათა.

7. ლექსნი, რომელთაცა დაქსვასა და გამოღება სასმენელთა ათნებენ ურთიერთარსს შორის სათანადო არიან თანხმობად და უკეთუ წინააღმდგომ მოიქცევი, მოაწყენენ სასმენელთა და ესე იქმნების: 1. მაშინ ოდეს განჰყოფ ლექსთა და ბუნებითთა ხმათა მათთა: მაგ.: სვინიდისი მე ანუ საქმე შემასმენდა; იგინივე იყვნენ ზედამხედველებად თანამდებ და მამცნებლად; 2. ოდეს იგინივე ასონი და მარცვალნი ჰრბიან მრავალნი ერთად; მაგ.: მამხილებელობანი სვინიდისისანი შეურაცხებითნი განმვლელნი თვალთა შენთა უსჯულოთთა; 3. ნუ იტყვი: „მე შემდგომად დავლიო წარმოვიდე". არამედ, „მე შემდგომად დავლევ, წარმოვალ" და სხვანი" (გვ. 146).

როგორც ვხედავთ, აქაც არაფერია ნათქვამი არა თუ მარტივსა და რთულ წინადადებებზე, არამედ საერთოდ წინადადებაზე და მის გრამატიკულ მხარეზე. მთელი ეს „კანონნი საზოგადონი" რიტორიკულ-სტილისტურ საქმეს ემსახურება, მაგრამ ამ საკმაოდ დიდი ციტატიდან ზოგი სხვამხრივ საინტერესო აზრს შეიძლება მიექცეს ყურადღება:

1. მისაბაძ მოქართულეთა შორის გაიოზი პეტრიწის, ეფრემ მცირესა და ანტონის გვერდით ასახელებს რუსთაველს და ეს კეთდება სასკოლო სახელმძღვანელოში. თავისთავად ცხადია, ანტონის უახლოესი თანამოაზრე და თანამებრძოლი ამას არ დაუშვებდა, რომ ანტონს ოდესმე რუსთაველის წინააღმდეგ გაელაშქრნა; 2. გაიოზი მჭერმეტყველთ ურჩევს მომავალი დროის აღსანიშნავად იხმარონ არა „დაელიო“ „წარმოვიდე“ მისივე გრამატიკის მიხედვით „მყოობადი“, არამედ ახალი ქართულის მომავლის ფორმა „დაველე“, „წარმოვალ“ და სხვა.

შეენიერებითს აღნაქვსს საზოგადოს გვერდით სათვითო კანონებიც აქვს. სათვითო (ანუ კერძო) კანონებში გაიოზი გაარჩევს იმ წესებს, რომლებიც განაპირობებენ წინადადებაში მეტყველების ნაწილთა გამოყენებას. ასე მაგ.: არსებითი სახელის გამოყენებას აქვს 7 წესი, რომელთაგან პირველი ამბობს, რომ წინადადება უნდა დაიწეროს ბრუნვის ფორმით: მეორე — მრავალმარცვლოვანთ წინ უნდა დაესხას ერთმარცვლოვანი („ხე ნაყოფიერი“...) შეხუთე წესის მიხედვით „ზედშესრულნი არსებითთა წინა უძღვიან, გარნა ზედშესრულნი ნაცვალსახელნი და კერძოობითნი ყოველი, არვინ, არარაიმე და ყოველნი რიცხვობითნი სახელნი არა უშესაბამოდ უკანა დაესხმიან თვისთა არსებითთა, მაგ.: მრავალნი საქმენი; საღმთო გონება; მამა შენი; საქმესა მოგცემ ყოველსა; კაცნი ათნი; წელიწადი ოცდაათი“ (გვ. 147).

ზმნის გამოყენებას 6 წესი აქვს. ამათგან პირველი წესი ამბობს: „უკეთუ ზმნა შემდგომად თვისსა ითხოვს მრავალთა ლექსთა, უმჯობეს არს, რაითა საშუალო ადგილი მიიღოს მაშინ...“

ყველა დანარჩენი მეტყველების ნაწილისათვის განკუთვნილია 12 წესი, რომელთაგან ბევრი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის სიტყვათა სინონიმურ მნიშვნელობებზე: მაგ.: „თანდებულნი შინა და შორის დაიდებიან მრავალგზის ნაცვლად ურთიერთისა“... ლექსნი ეს, ზე დაიდების ნაცვლად დროისა, მაგ.: პონტიელსა პილატეს ზე და მრავალი სხვა.

აქვეა მოცემული წინადადებათა სახეები მოდალობის მიხედვით („სიტყვანი სხვადასხვა გვარისანი“): 1. დამტკიცებითი; 2. უკუთქმითი, 3. კითხვითი; 4. უკუთქმითნი კითხვითნი; 5. განკვირვებითნი.

ამით მთავრდება სინტაქსი გაიოზთან, ის ნაწილი მისი შრომისა, რომელიც ყველაზე უფრო შორდება ანტონის გრამატიკას, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს იყოს თვით გრამატიკის სასარგებლოდ.

წინადადების წევრთა ურთიერთობიდან გაიოზთან გვაქვს **შეთანხმება** (თანხმობა) და **მოთხოვნა** (მიღება), რაც დაახლოებით მართვას უდრის და რომელშიაც ერთიანდება სინტაქსური ურთიერთობა, რომელიც დღეს „მირთვის“ [1] სახელითაა ცნობილი.

მესამე ნაწილი

მართლკითხვისათვის (პროსოდიისა) და წერისათვის (ორთოლრაფიისა)

ამ ნაწილის პირველ თავში განხილულია მართლკითხვის საკითხები. გაიოზს კარგად შეუნიშნავს, რომ ქართულს, ზოგიერთი სხვა ენის მსგავსად, არა აქვს მახვილი და იძლევა მეტად მნიშვნელოვან დაკვირვებას: „ქართულსა ენასა ბუნებითისა ძლით ხმარებისა არა აქვს საჭიროება დადებად კანონთა მართლგამოღებისა მარცვალთასა, ვითარცა სხვათა ენათა, რამეთუ იგინი, თვინიერ ზედ-დასხმისა ნიშანთასა მარცვალთა ზედა, ვერ გამოიღებენ მარცვალთა, თუ სადა ჯერ არს ამაღლებად ხმისა, ანუ წაკვრად ხმისა და ამასთან არიან მრავალნი ესევითარნი ლექსნიცა მათ შორის, რომელნიცა უკეთუ ხმისა აკვრისა ანუ დამდაბლებისა ძალით არა გამოღებულ იქმნენ მარცვალნი მისნი, ვერ მოჰსცემენ მსმენელთა ნამდვილსა შემეცნებასა ლექსისასა“ (გვ. 150).

ამ შენიშვნით გაიოზი სრულიად ნათლად სვამს საკითხს მახვილის ფონოლოგიური ღირებულების შესახებ ზოგ ენაში ალბათ, რუსულის გათვალისწინებით.

გაიოზი იქვე მიუთითებს, რომ, მართალია, ქართულს მახვილი ასეთი ღირებულების არა აქვს, მაგრამ მაინც „უგვან არს და ურჩხ სასმენელთა შინა, უკეთუ ხმა სხვითა ხმოვანითა აჰკრას და არა მით, რომელთაცა, ზედა აქვნ ზემო ნიშნად მახვილნი, მაგ.: მარიამ, პეტრე, ვჰქადაგებ და სხვანი“ (გვ. 150).

მოტანილ მაგალითებში ძირითადად სწორადაა მითითებული ქართული ენის მახვილის ადგილმდებარეობაზე, რაც მეტად მნიშვნელოვან მიგნებად მიგვაჩნია, და სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული არაა.

---

[1] ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის, რას ემყარება ელ. ნიკოლაიშვილის მოსაზრება, თითქოს გაიოზთან „მართვა“ ტერმინის პარალელურად იხმარებოდეს „დაექსვის“ (იხ. გაიოზ რეჭორი, ქართული ღრამმატიკა, შესავალი წერილი, გვ. 27).

მართლკითხვისათვის საჭიროა დაცვა წესისა, რომ ერთი ბგერის ნაცვლად სხვა მსგავსი ბგერა არა ვსთქვათ (მაგ.: ბ-ს ნაცვლად პ...) სიტყვას არ მოეკვეცოს მარცვალი და სხვა არ მიებასო — შენიშნავს გაიოზი.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი ეთმობა მართლწერის საკითხებს. მართლწერის კანონთაგან უნდა ვიცოდეთ ასოების ზუსტი გამოხატვა, გადაბმა, გადატანა და ქარაგმა; წიგნის თავი, აბზაცი და წინადადება (პერიოდი) უნდა დაიწყოს ასომთავრულითო. ლექსის ყოველი ტაეპიც (ალბათ, რუსულის გავლენით — ა. ფ.) ასომთავრულით უნდა დაიწყოთო. ასომთავრულითვე იწყება „მაღალ გვამთა“ ყოველი საკუთარი სახელი, დასახელება ქალაქთა, მდინარეთა და სხვა.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ შ ი საუბარია სტრიქონის ნიშნისა და ქარაგმის შესახებ.

აქ განიხილება: მძიმე, ერთი წერტილი, ორი წერტილი, საკითხავი ნიშანი, განკვირვებითი ნიშანი[1], ფრჩხილი, შემკვრელი, (ორმაგი ფუძისათვის), გადასატანი, სამოწმებელთა გასარჩევი (ანუ ორი მძიმე— დღევანდელი წინწკლები — ა. ფ.). სტრიქონიდან გადატანის ანტონისეულ წესს გაიოზი უმატებს იმას, რომ საჭიროა მწერალმა იცოდეს მაგითარი, მაპიროვნე, მამრაველ და ბრუნვის ნიშნები, რათა სწორად გადაიტანოს ისინი და ძალით არ გაჰკვეთოს სიტყვის ძირიო. არც უმაღლეს პირთა სახელები (იმპერატორი, მეფე) გადაიტანოთ სტრიქონიდან სტრიქონზეო. ქარაგმათა ხმარების შესახებ „იხილეთ ერცლად დიდსა შინა ღრამმატიკასა ანტონისას ნაწ. 3, დამატებაო“ — მიგვითითებს გაიოზი.

წინამდებარე ნაშრომი გამომცემლობაში იყო, როცა გამოვიდა დოც. მ. დ ა რ ჩ ი ა ს წიგნი, გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ი (თბილისი, 1972 წ.). მკვლევარმა ახალი საარქივო მასალები გამოაელინა და წარმოადგინა ბევრი საბუთი იმის სასარგებლოდ, რომ გაიოზი იყო თაყაიშვილთა შტოს წარმომადგენელი ბარათაშვილი, თუმცა თავად ავტორს ეს დებულება გადაჭრით აღარ დაუცავს.

მკვლევარმა გ. შ ა რ ა ძ ე მ უფრო გვიან გამოცემულ წიგნში (თ ე ი მ. უ რ ა. ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, II, თბილისი, 1974 წ.) მ. დარჩიას საბუთებს ზოგი თავისიც მიუმატა და გადაჭრით განაცხადა: „...გაიოზ რექტორი ყოფილა ბარათაშვილ-თაყაიშვილი“ (დას. ნაშრომი, გვ. 126).

მკვლევართა ეს მოსაზრება სარწმუნო ჩანს.

---

[1] ეს ორი უკანასკნელი, ანტონთან არა გვქონდა.

V. ძმების – დავით და იოანე ბაგრატიონების საგრამატიკო მოღვაწეობა

დავითის ბიოგრაფიული ცნობები; დავითის გრამატიკა (დაწერის თარიღი, ცნობები ხელნაწერზე, გრამატიკის აგებულება); იოანეს ცხოვრების გზა; ცნობები იოანეს გრამატიკებზე („კალმასობის" გრამატიკა, მეორე გრამატიკა).

1. დავით ბაგრატიონი

დავით ბაგრატიონის ბიოგრაფია საგანგებოდ არაერის უკვლევია, თუმცა მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს მრავალი მეცნიერი შეეხო. მკვლევართ მეტწილად დავითის ცხოვრება-მოღვაწეობის ან რომელიმე კერძო მხარე აინტერესებდათ, ან იძიებდნენ მე-18 საუკუნის დამლევისა და მე-19 საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიის, მეცნიერული აზრისა და მატერიალური კულტურის საკითხებს. იქნებ ამის გამოა, რომ დავითის ცხოვრების მიმომხილველ მასალებში ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო, ზოგჯერ კი სრულიად დაუჯერებელ ცნობებს შეხვდებით.

ასე, მაგალითად, 1789 წელს დავითის სარდლობით ქართველმა ჯარმა ყარსის საფაშოს საზღვრისპირა სოფლები დალაშქრა, 1500 კაცი დაატყვევა და დიდი ნადავლით დაბრუნდა უკან. ამ ბრძოლებში მოკლეს მოწინააღმდეგის რამდენიმე გამოჩენილი ბელადიც. ზოგმა „ისტორიკოსმა" ეს ფაქტი ისე წარმოადგინა, თითქოს დავითს ყარსის ციხე-სიმაგრე აეღოს. სამწუხაროდ, ყარსის აღების „ისტორიამ" ანარეკლი მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელშიც" პოვა.

საქმის ასეთმა ვითარებამ გვაიძულა საკითხი დამოუკიდებლად გვეკვლია.

დავითი იყო ერეკლე მეორის შვილიშვილი — საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის პირველი შვილი და ამდენად საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე. იგი დაიბადა 1767 წლის 13 მაისს. დავითის დედა — ქიზიყის მოურავის, თავად პაპუნა ანდრონიკაშვილის ასული — ქეთევანი, მეტად სათნო, ლამაზი და ვაჟკაცური შემართების ქალი ყოფილა. მას ერთხელ, თბილისში მო-

მავალს, ექვსასი კაცისაგან შემდგარი ლეკის ჯარი დასხმია თავს. მიუხედავად იმისა, რომ ქეთევანს ამალაში სამასი კაციც არა ჰყოლია, ამ მცირერიცხოვანი მხედრობისათვის უწინამძღოლია, ლეკები სასტიკად დაუმარცხებია და გაუფანტავს.

დავითის ყრმობისა და ჭაბუკობის წლების შესახებ ცნობები მეტად მცირე გვაქვს: ვიცით, რომ იგი უნდა ყოფილიყო დავით რექტორის (დავით ალექსი-მესხიშვილის — თელავის სემინარიის მეორე და უკანასკნელი რექტორის) მეგობართა და აღსაზრდელთა შორის.

დავითის აღმზრდელად ასახელებენ იაკობ (ანტონ) რეინეგსსაც, რომელიც 1779 წელს სტამბულიდან საქართველოში ჩამოვიდა, თუმცა თვითონ დავითი რეინეგსის შესახებ დაწერილ საგანგებო ბარათში ამის თაობაზე არაფერს ამბობს.

უფრო საფიქრებელია, რომ მის აღზრდაში მონაწილეობა მიიღო ავსტრიელმა იოსებ (ოსიფ) გეტიკმა, რომელიც თბილისში 1789 წელს ჩამოსულა; ხოლო დავითის „ვოლტერიანობას", შეიძლება, ხელი შეუწყო გენერალ ტუჩკოვთან ნაცნობობამ[1] და ახლო ურთიერთობამ ჯერ თბილისში, შემდეგ — რუსეთში.

ეს ის ტუჩკოვია, რომლის თხოვნითაც დავითმა დაწერა „Краткая история Грузии" (გამოქვეყნდა 1805 წელს რუსულად).

დავითის შესახებ ერთ-ერთ პირველ ცნობებს ვხედებით გენერალ პ. პოტიომკინის მოხსენებებში. იგი 1784 წელს იყო თბილისში: მისი თქმით: „დავითი 17 წლისაა, ჭკვიანია: ბუნებით ფიცხს სწრაფი მოსაზრების უნარი აქვს და მამაცობისა და ბრძოლისაკენ ლტოლვის განსაკუთრებულ მიდრეკილებას ამჟღავნებს".

ს. ბურნაშოვის აზრით (იგი საქართველოში ჩამოვიდა 1782 წელს პ. პოტიომკინის „კომისიონერად" — რეინეგსის მაგიერ — 1784 წლიდან 1787 წლამდე კი მეთაურობდა რუსეთის ჯარებს), „დავითს აღნიშნული თვისებების გარდა მეტად დიდი სურვილი აქვს მიიღოს ევროპული სამხედრო განათლება".

დავითი ბურნაშოვის ოჯახთან ახლო ურთიერთობაში ყოფილა (იყო ქალიშვილ ანას ნათლია) და ფიქრობენ, რომ სწორედ ბურნაშოვს გაჰყვა იგი პირველად რუსეთში, როცა ეს უკანასკნელი 1787 წელს კავკასიის ხაზზე გაიწვიეს განჯის ლაშქრობიდან.

სწორედ 1787 წლის 27 იანვარს მიმართავს დავითი, უკვე მეორედ, გრაფ ოსტერმანს წერილით რუსეთის სამხედრო სამსახურში ჩარიცხ-

---

[1] იხ. არ ჩ. ბარამიძე, დავით ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა საკითხისათვის, „ცისკარი", 1968 წ., № 11.

ვის თაობაზე. თუმცა არ გვაქვს არავითარი ცნობა, რა უპასუხეს დავითის თხოვნაზე [1].

1789 წელს იგი, როგორც ჯარის მეთაური, სამჯერ მონაწილეობს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. ამ ბრძოლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 16 ოქტომბერს ყარსის საფაშოზე გალაშქრება, რომლის დროსაც აუღიათ სამი სოფელი: ინჯედარა, ჯამუშლი და ფალდერევანი, წამოუსხამთ მრავალი ტყვე და დიდი ალაფით გამობრუნებულან, მაგრამ გზაზე დასწვევიათ თურქთა მდევარი: — გაჩაღებულა ფიცხელი ბრძოლა. დავითს თავისი ხელით მოუკლავს მოწინააღმდეგის ორი გამოჩენილი ბელადი — თიქნისელი ხანი და იშიყბეგი. გაუფანტავთ მდევარი და გამარჯვებული დაბრუნებულან შინ.

განუწყვეტელ ომებშია დავითი 1790 წელსაც: აგვისტოს პირველს ლეკებს ებრძვის თიანეთთან, სექტემბრის 8-ს — მდინარე ილთოსზე ამარცხებს მათ, ხოლო ნოემბრის 26-სს ლაშქრობს ფადარზე და კვლავ დიდი ალაფითა და ტყვეებით ბრუნდება უკან.

1795 წლის ომში აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ დავითი ქართულ არტილერიას სარდლობს. მას სასწრაფოდ მოუხდა თაბორის ბიმართულებით გადაადგილება, რადგან სპარსელებმა, რომლებიც პირველ ბრძოლაში კრწანისის სანახებში სასტიკად დამარცხდნენ და რომლებსაც მეგზურებად თბილისის მიდამოების შესანიშნავი მცოდნე ყარაბაღელი სომხები — მეჯნუნი და აბო — მოუძღოდნენ, ქალაქს კოჯრის მხრიდან მოუარეს.

დავითი აქაც დიდ გმირობას იჩენს, მაგრამ, მტრის ჭარბი ძალების მოწოლის გამო, იძულებულია, ზარბაზნები ხევში ჩაყაროს (მტრებს რომ ხელში არ ჩავარდნოდა) და უკან დაიხიოს.

აღა-მაჰმად-ხანის თბილისიდან წასვლის უმალვე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში ებმება დავითი და სასტიკად ამარცხებს მათ ყარაიაზე.

ხანგრძლივი ლაშქრობა მოუხდათ დავითსა და მის ბიძას ალექსანდრეს 1796 წელს განჯის მმართველის ჯევად-ხანის წინააღმდეგ. ბიძა-

---

[1] ზოგი მკვლევარი საწინააღმდეგო აზრისაა (იხ. ლ ი ლ ი კ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დავით და ივანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967 წ., გვ. 12. ლ ი ა ნ ა კ ე კ ე ლ ი ძ ე, დავით ბაგრატიონის ეპისტოლური მემკვიდრეობა, ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, თბ., 1971 წ., გვ. 215 და შემდეგ), განსაკუთრებით აღგარიშგასაწევია 1792 წელს რეინეგსის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელშიც დავითი სთხოვს, რომ „... მეცა ღირს მყოთ იმისის დიდებულესობის სამსახურში აღრიცხვის" (ლ. კეკელიძე, დას. ნაშრ. გვ. 218), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ დროისათვის (1792 წ.) დავითი რუსეთში ნამყოფი მართლაც არ უნდა იყოს.

ძმისშვილი შუშის ხანის იბრაჰიმის ჯარებთან ერთად ალყას არტყამენ განჯის ციხე-სიმაგრეს და დიდი წარმატებით იგერიებენ ალყაშემორტყმულთა ყოველ გამოხდომას. რამდენიმე თვის უაზრო წინააღმდეგობის შემდეგ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მოალყეებს შემოუერთდა თვით ერეკლე საკმაო მხედრობით, ჯევად-ხანმა იარაღი დაყარა და პატიება ითხოვა. ერეკლემ იგი არ დასჯა (თუმცა კი იმსახურებდა, აღა-მაჰმად-ხანს მიემხრო თბილისის წინააღმდეგ ბრძოლაში და, როგორც მნახველები გადმოგვცემენ, სწორედ განჯელებმა და ერევნელებმა დაარბიეს ყველაზე მკაცრად ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობა), განჯის ხანმა ძველებურად იდვა თავს ხარკის გადახდა.

ამავე 1796 წელს დავითის ხელმძღვანელობით ქართველი მხედრობა კვლავ ლაშქრობს ყარსის საფაშოზე და დიდი ალაფით ბრუნდება უკან.

1797 წლის აგვისტოში დავითი პეტერბურგს მიემგზავრება. რათა პავლე I-ს ტახტზე ასვლა მიულოცოს, უკან ბრუნდება 1798 წლის მაისს-ივნისში უკვე გენერალ-მაიორის ხარისხით (პოლკოვნიკის ხარისხი ადრე ჰქონდა).

რუსეთიდან დაბრუნებულ დავითს საქართველოს ტახტზე მამა დახვდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, გიორგი ავადმყოფი კაცი იყო და სამეფოს კარის ცხოვრებას ძირითადად დავითი განაგებდა.

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა გიორგი XIII და დავითს თითქოს გზა გაეხსნა სამეფო ტახტისაკენ, რადგან ტახტის მემკვიდრედ თვით პავლე I-ისგან იყო დამტკიცებული, მაგრამ მას ტახტზე ასვლის უფლებას არ აძლევენ.

დავითი ექვსიოდე თვეს მაინც მართავდა საქართველოს, როგორც რეგენტი, 1801 წლის სექტემბრის შემდეგ. როცა საქართველოს სამოქალაქო საქმეების მართვა კოვალენსკის, ხოლო სამხედრო უწყების მართვა გენერალ ლაზარევს დაეკისრა, დავითი საბოლოოდ ჩამოაშორეს საქართველოს გამგებლობის ყოველგვარ საქმეს და 1803 წლის დასაწყისში რუსეთს გადაასახლეს.

პეტერბურგში ჩასული დავითი საკმაო პატივში აღმოჩნდა. მას მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება, მისცეს ადგილ-მამული, საკმაოდ დიდი თანხა ერთდროულად და პენსიის სახით, აირჩიეს სენატორად და საცხოვრებლად მიუჩინეს სატახტო ქალაქი, თუმცა დავითის გული რომანოვების „ხელგაშლილობამ“ საბოლოოდ მაინც ვერ მოინადირა. იგი საქართველოს ტახტზე, როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლომდე ოცნებობდა.

რუსეთში ყოფნის 16 წლის განმავლობაში დავითს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია სულიერი სიახლოვე ქართველობასთან და მთელი

მისი მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედის უკეთ წარმართვის დიად მიზნებს დაუმორჩილა. ამაზე კარგად მეტყველებენ მისი შრომები, რომელთა დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია, მაგრამ უმრავლესობა, მათ შორის, „მცირე ღრამმატიკაც“ — გამოქვეყნებას ელის.

1819 წლის 13 მაისს დავითი მოულოდნელად გარდაიცვალა, დაასაფლავეს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

გრამატიკის ხელნაწერებისათვის

დავითის გრამატიკის სულ ექვსი ხელნაწერია ცნობილი. ამათგან ორი ინახება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალში (ყოფილი სააზიო მუზეუმი) [1], ოთხი კი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში [2].

E — 2 (ახალი კატალოგით E—26 [3]) ხელნაწერს არ ახლავს არც დაწერის თარიღი, არც ადგილი და არც მიმართვის ადრესატის დასახელება. როგორც ჩანს, სწორედ ამ ეგზემპლარით სარგებლობდა თავის დროზე აღ. ცაგარელი. ამის გამოა, რომ წერს: „Судя по тому, что он в предисловии обращается к деду (Ираклию), как еще царствующей особе, следует полагать, что эта грамматика не была составлена позже 1798 года, когда умер Ираклий».

ცაგარლის თქმით, გრამატიკაში არც ირაკლია მოხსენებული: «В предисловии своей грамматики автор обращается к царственной особе, которой имени не упоминает, но которого внуком (ძის-ძე) называет себя, следовательно Ираклию II»[4].

ეს ხელნაწერი სხვა მხრივაც არაა მთლად გამართული: ტექსტში (რომელიც ძირითადად მხედრულია) მთავრული ასოებიცაა გამოყენებული, მაგრამ ძალიან ხშირ შემთხვევაში ეს ასოები ჩაწერილი არაა და, ამის გამო ბევრი სიტყვა საწყისი ასოს გარეშეა დარჩენილი.

ხელნაწერი E — 174 — ბროსეს გადაწერილი — პირია იმ ეგ-

---

[1] E-2, E-174 (Р. Р. Орбели. Грузинские рукописи института востоковедения АН СССР. М.-Л., 1956 г.).

[2] S ფონდი, №№ 58, 532, 3719, 3449.

[3] რ. ორბელი ამ ხელნაწერზე დაურდნობით და, ალბათ, აღ. ცაგარლის გავლენითაც დავითის გრამატიკის დაწერის ზუსტ თარიღს ვერ ასახელებს. თუმცა მას ჰქონდა შესაძლებლობა ენახა მეორე ხელნაწერი — E—174, რომელსაც თარიღი ახლავს.

[4] А. Л. Цагарели. О грамм., лит..., გვ. 36.

ზემპლარისა, რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონს პარიზის საზაიო საზოგადოებისათვის უჩუქებია 1832 წელს. ეს პირი მ. ბროსეს თავისი ხელით გადაუღია და რუსეთში ჩამოუტანია. ხელნაწერის დედანი, რომელიც ახლა პარიზის საზაიო საზოგადოებაში ინახება, ავტოგრაფი არ უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს მის ბოლოს მიწერილი ათი რუსული სიტყვა ქართული თარგმანით. თეიმურაზს ეს სიტყვები დაუტოვებია და მათ ქვემოთ ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „ესე მეფის ძის დავითის (sic!) დასახსომებლად ყდაზე მიეწერა ამ ადგილს თვით მისის ხელით და ამისათვის აღარ წავშალე".

ხელნაწერს ახლავს თეიმურაზის შემდეგი შინაარსის ანდერძი: „ღრამმატიკა ესე ვინაითგან არს ქართულსა ენასა შინა ურჩეულესი ამისათვის უძღვნი დიდებულსა პარიჟის ყოვლად ბრძენსა მეაზიელსა საზოგადოებასა, რათა წეერნი მისნი ქართულისა ენისა მეცნიერნი სარგებლობდნენ ამით.

უპატივცემულესად სრულიად ზემოისა საქართველოისა და სხვათა მეფის გიორგი მეათცამეტის ძე თეიმურაზი".

ამას მოჰყვება უკვე დავითის მინაწერი — მიმართვა: „დ ა ვ ი თ ი ს მ ი ე რ დ ა ვ ი თ ი ა ნ პ ა ნ კ რ ა ტ ო ვ ა ნ ი ს ა, ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ი ს ა პ ი რ მ შ ო ძ ი ს გ ი ო რ გ ი ს პ ი რ მ შ ო ს ძ ი ს ა გ ა ნ ხ ე ლ-ხ ე ბ ა ი: წ ე ე ლ ს ა ჩ ღ ე (1790), ს ა მ ე უ ფ ო ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა ტ ფ ი ლ ი ს ს[1].

მ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ო ბ ა ს ს რ უ ლ ი ა დ ზ ე მ ო ი ქ ს ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ი ს მ ე ფ ე ს ა მ ე ო რ ე ს ა ი რ ა კ ლ ი ს, ყ ო ვ ლ ა დ უ მ ა ღ ლ ე ს დ ა მ ო წ ყ ა ლ ე ს ხ ე ლ მ წ ი ფ ე ს:

ვინაითგან კმაი მიზეზი შრომისა ჩემისა ესე არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა იყოსმცა გზაი სვლისა ჩვენისა: ამას გამო აღმძრა ერთგულებითმან სიყვარულმან თქვენმან და ერისა თქვენისამან. ვინაითგან მოუცლელობასა ქვეშე შევრდომილ არიან ერნი თქვენნი. და არა აქვთ მოცალეობაი დროისა ძალით მიზეზისა ერთა ქართლოსიანთა. რათამცა აზნაურებითა ხედვათა გინა ფილოსოფიათა იყვნენ შემეცნებული, ანუ ზედმიწევნილ. ამის გამო ვჰყაე შრომაი. შემოვიხვენ და შევთხზენ ადვილ-გასაგონი ესე ძველთაგან და ახალთა ღრამმატიკათა კითხვა-მიგებითი ესე წიგნი, რომელი არს გზაი სიბრძნისა. გინა კლიტეი მეცნიერებისა, რათა ამისმიერ შეემეცნენ, გინა ზედა-მიწევ-

---

[1] ამ და სხვა (თბილისურ) ეგზემპლარებზე აშკარადაა მოცემული დაწერის თარიღი — 1790 წელი და ადგილი — ტფილისი. ესეც რომ არ იყოს, ხელნაწერი S — 3443 გადაწერილია 1792 წელს და, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, თარიღი 1790 უზის დავითის ავტოგრაფულ ნუსხას — ბროსეს გადაწერილს, ეს თარიღი დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

ნილ-იქმნენ გვართა ოთხთა მოძღვრებითთა და რვათა სიტყვისა ნაწილთა ღრამმატიკისათა და სინტაქსისაებრ თანხმობათა. და აგრეთვე ხუთთაცა მათ მარტივთა ხმათა პორფირიოს ფინიკიელისათა, რომელნიც საჭიროდ ემდევრებიან საზღვართა, რომელიცა არა ჯერ იყო დატევებად გარნა წინაშე უმაღლესობისა თქვენისა კაღნიერ ვიქმნები და ვითხოვ უკეთუ ჰპოვოთ რაიმე შეცდომაი, მაქეს იმედი მოტევებისა ამის გამო. ვინაით-გან ასაკითა სწავლისათა ვარ გამოუცდელი და ამის გამო თუმცა ძალი დამაყენებლობითი მექმნებოდა დაბრკოლებად. გარნა გონებითმან ერთგულებამან თქვენმან და სიყვარულმან ერისა თქვენისამან სძლო დამაყენებლისა ძალსა და ხელ-ვჰყავ შეთხზვად რაოდენ ძალ-მედვა. რომელსაცა ეწოდების საფუძველი სიბრძნისა. გინა კლიტე მეცნიერებისა, რომელიცა არა მცირესა ბედნიერებასა შეატყუბსთ ერთა თქვენთანა. არა თუ მხოლოდ მათ არამედ მეცა. ამისათვის მათ ვინაითგან აჩვენებს გზასა და კარსა აზნაურებითსა ხედვისა და მე ამისათვის ვინაითგან სურვილი სამსახურისა თქვენისა და გულმოდგინება ჩემი ამით აღმოჩენილ იქმნების უმაღლესობისა თქვენისა წინაშე.

მისი უმაღლესობისა და მოწყალის ხელმწიფის უმდაბლესი

მონა მათი ძის-ძე დავით".

ეს გრამატიკა პირველად ალ. ცაგარელმა განიხილა უკვე ნახსენებ წიგნში და მას ორნახევარი გვერდი დაუთმო — სხვა შრომებთან შედარებით საკმაო ადგილი.

ვერ დავეთანხმებით ალ. ცაგარლის აზრს, რომელიც ასეა მასთან ფორმულირებული: „შესავლის შემდეგ იწყება გრამატიკის განხილვა (изложение), რომელიც წინამავალ გრამატიკათაგან არ გამოირჩევა არც მეთოდიკურად, არც გრამატიკული ცნებების განსაზღვრის სიმარტივით და, ბოლოს, არც ენით, რომლითაც იგია დაწერილი" (გვ. 37).

სწორედ არც მეთოდიკურად და არც გრამატიკული ცნებების განსაზღვრებათა სიმარტივით არა ჰგავს დავითის გრამატიკა წინამავალ ავტორთა (ე. ი. ანტონისა და გაიოზის) შრომებს (რაზედაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი), ამიტომაა, რომ ალ. ცაგარლისვე აზრით: «Давид, желая философствовать, только затемняет многие определения, которые «не мудрствуя лукаво» он передал бы понятнее, лучше и проще. Он часто смешивает логические понятия с грамматическим».

სანამ დავითის გრამატიკის დეტალურ განხილვას დავიწყებდეთ, წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ იგი გაკეთებულია ანტონის გრამატიკებისა და „სიმეტნეს" მიხედვით და, როგორც ქვემოთაც ვნახეთ, ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით მისდევს მათ, განსაკუთრებით „სიმეტნეს"; მაგრამ

დავითის გრამატიკას აქვს სხვა წყაროც. ეს არის პორფირიოს ფინიკიელიდან მომდინარე ლოგიკა-ფილოსოფიური მეტად განყენებული მსჯელობანი „გვართა ოთხთა მოძღვრებათა“ შესახებ.

გრამატიკა თავიდან ბოლომდე კითხვა-მიგების წესითაა დაწერილი. და, როგორც ჩანს, სასკოლოდ იყო განკუთვნილი. ამას გვაფიქრებინებს მისი აგების მეთოდი და მასალის გადმოცემის ლაკონიურობაც, თუმცა „ფილოსოფიური“ მსჯელობებით ისეა დატვირთული, რომ ხშირად სრულიად შეუძლებელია რაიმეს გაგება.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს შრომის დასაწყისიდან.

„კითხ.: პირველი დაწყებასა ღრამმატიკისასა რაი სახმარ არს ცნობად?

მიგ.: პირველად ოთხნი იგი გვარნი მოძღვრებითნი, რომელნიცა შეუდგებიან და ემძევრებიან ღრამმატიკასა.

კითხ.: რაი არს სახელები მათი?

მიგ.: პირველსა ვიდრემე ეწოდების განსაზღვრება, მეორეს განწუალება, მესამეს აღმოჩენა და მეოთხეს აღლება გონა უკუნრღეევა.

კითხ.: მეორედ რაი სახმარ არს ცნობად?

მიგ.: ესე ვითარმედ ყოველი რაი არსობით მკითხველი საზღუარისა ეძიებს მიგებად.

კითხ.: მესამედ რაი სახმარ არს ცნობად?

მიგ.: რათა უწყოდეთ სამზღვარსა შინა უნდა ჰსჩანდნენ სამნი რამენი.

კითხ: რომელნი?

მიგ.: სახე, ნათესაი და განყოფილება[1].

ამ „ფილოსოფიიდან“ იმის გაგება შეიძლება, რომ განსაზღვრაში (დეფინიციაში) გამოიყოფა სამი რამ: სახე, ნათესაი და განყოფილება.

თუ როგორ ესმის დავითს განსაზღვრის ასეთი დანაწილება, ჩანს შემდეგი მსჯელობიდან:

„კითხ.: რაი არს ღრამატიკა (ე. ი. მწიგნობრობა)?

მიგ.: ღრამატიკა არს შემძლებლობა მართალ-უბნობად და წესიერ წერად.

კითხ.: რომელი არს იქ საზღვარსა შინა სახე. ნათესაი და განყოფილება?

მიგ.: ღრამმატიკა არს სახედ, შემძლებლობა—ნათესავად; მართლუბნობა განყოფილებად და წესიერ-წერად — შემამტკიცებელ-განყოფილებად“.

დავითი თვითონ მიმხვდარა, რომ „შემამტკიცებელ-განყოფილება“ სრულიად ახალი ცნებაა და ცდილა მის განმარტებას სქოლიოში: შემამტკიცებელ-განყოფილება ეს არს ოდეს იგი

---

[1] ხელნაწერი E—174 (გვ. 6—7). მითითება უველგან ხელნაწერზეა.

უხმდეს განყოფილება ერთი და დაერთოს მას სხვანიცაო" (ხაზი ყველგან ჩვენია -— ა. ფ.).

ამ განმარტების შემდეგ დავითს შემოაქვს ახალი ტერმინები: „საქმითი შემძლებლობანი" და „ხედვითი შემძლებლობანი".

„კითხ.: რომელნი არიან საქმითნი შემძლებლობანი?

მიგ.: ესენი: შეხება ზღუდისა, კვეთა ძელისა, მჭედლობა რვალისა.

კითხ.: რომელნი არიან ხედვითი შემძლებლობანი?

მიგ.: არიან უკვე ესენი: მაგ.: სწავლა სიტყვიერებითი, ცნობა ბუნებისა, მეტყველება ღმრთისა და სხვანი".

საინტერესოა, გრამატიკა რომელ შემძლებლობას განეკუთვნება — საქმითს თუ ხედვითს? დავითის პასუხი ასეთია:

„თქმითა ამით ვითარმედ არს შემძლებლობა ეზიარების ზოგად ყოველთაევე სწავლათა გონებითთა და სიტყვიერებითთა, და თვით მით რიტორებისაგანცა, რამეთუ არს საკეთილმეთქვო. ხოლო ესე მართლუბნობითი და კვალად დართვითა, ვითარმედ არსო შემძლებლობანი წესიერ წერითა. თქმითა ამით გამოვალს ხედვითსა-გან შემძლებლობისა და მივალს გონებითსა შინა და ჰდგას საშუალო ხედვითსა და საქმითსა. ეზიარების ვიდრემე ხედვითსა და განეყოფების საქმითსა მართლ-უბნობითა. ხოლო ეზიარების საქმითსა და განეყოფების ხედვითსა წესიერ-წერითა. მით რომელ წერა არს გონებითი და ესრეთ დაამტკიცებს ვითარმედ ღრამმატიკა ხედვითიცა არს და საქმითიცა და ესრეთ შეამტკიცებს საზღვარსა" (გვ. 8—9).

მოტანილი ადგილი, ვფიქრობთ, ნათელს ხდის იმ დებულებას, რომ დავითი არ იმეორებს წინამავალ გრამატიკებს არც მეთოდიკურად და არც თეორიულად.

რაც შეეხება „წინამავალ გრამატიკებს", ამ გამოთქმას დაკონკრეტება სჭირდება. იგი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში გვექნება ანტონის გრამატიკები, რადგან დავითის შრომაში არც ერთი სხვა გრამატიკის კვალი არ არის.

დავითის ზევით მოტანილი მსჯელობიდან მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ მას კავშირი გრამატიკასთან არა აქვს. ამდენი განსაზღვრის შემდეგ ავტორმა თქვა, რომ „ღრამატიკა არის შემძლებლობა მართლუბნობად და წესიერ წერად". ეს ფორმულირება ზუსტად იმეორებს ანტონს. დავითისეული სიახლე მასში ისაა, რომ სქოლიოში გრამატიკა მწიგნობრობააო თქვა.

დავითი განაგრძობს:

„ღრამმატიკა იწვალების ოთხად ე. ი .წიგნად, მარცვლად ლექსად

და სიტყვად“ „(გვ. 9) —ამას მოსდევს აღლევისა და ასოს განსაზღვრა-განმარტება.

„კითხ.: „აღლევა რომელია (უკუნ-რღვევა) გრამმატიკისა ვითარ იქმნებების?

მიგ.: ესთა ვინაითგან თქმა ესე ღრამმატიკა არს ლექსი რაიმე. ლექსი უკუე განიწუალების მარცვლებად, მარცვალნი ასოებად, ასონი ღრამებად, ღრამნი წერტილებად, წერტილი არარად და ესთა უკუნირღვევის“ (გვ. 10).

ასოს განმარტების დასაზუსტებლად სქოლიოში მოცემულია ასეთი შენიშვნა: „იტყვის არისტოტელი — ეწოდების ასო, რამეთუ წვერმან კალმისა მან დაასო“ — („თითქოს არისტოტელეს ქართულად ელაპარაკოსო“ — შენიშნავს ალ. ცაგარელი).

ამის შემდეგ დავითი გადადის წიგნის განსაზღვრაზე.

„წიგნი ვიდრემე არს ხმაი სახელ-მოდგამი და სახელ-მოდგამთა ხმათა შორის უჯერო არს პირველი გამოძიებისა მოგებაი საზღვრისა“.

ეს განსაზღვრა რომ ძნელი გასაგებია, ავტორიც მიხვდა და ცას ახალი კითხვა მიადევნა:

„კითხ.: სახელი მოდგამთა ხმათა შორის რომელთა ჯერ არს ძიება?

მიგ.: ამათთა ვიდრემე ჯერ არს ძიებაი. პირველად ვიდრემე რაოდენი დამნიშვნელობა აქვს. მეორედ ვისდა მიმართ აქვს ჰაზრი მკითხველსა და მესამედ საზღვარი კითხულისა. ამად რომელ წიგნი ეწოდების ღრამსა წერტილსა უმთავრესთა ნაწილთა ღრამმატიკისათა. მინაწერსა ბარათსა. წიგნსა ყოელადსა, ხატსა და ყოველსავე რაიცაღა კალმით იმოქმედებიან და კაცსაცა ცოცხალი წიგნი ეწოდების და ამად ვერ ძალმიძს შენდამი მიგებად საზღვარი“ (გვ. 10).

შემდეგ, სქოლიოში დავითი იძლევა სახელ-მოდგამის განმარტებას: „სახელ-მოდგამი არს, რომელთა საზღვრითა მიუგესთ განყოფა (განსაზღვრებით — აზრითი სხვადასხვანი არიან — ა. ფ.) და მხოლოდ სახელითა ოდენ ერთ-ყოფა (დასახელებით ერთნაირნი არიან — ა. ფ.), ვითარ იგი ძაღლი. რამეთუ ძაღლი ვარსკვლავიც არს და ცხოველიც. ხოლო ამით უკუე მიუღიესთ სახელთა ერთ-ყოფად და საზღვრითა განყოფა, რამეთუ სხვა არს საზღვარი ვარსკვლავისა და სხვა ცხოველისა“ (გვ. 10).

საკითხავია, რად დასჭირდა დავითს წიგნის განმარტების დროს ამდენი „სახემოდგამი“ და მისი განმარტება?

საქმე ისაა რომ, დავითის გრამატიკას სრულიად აშკარად ეტყობა იმის კვალი, რომ ავტორი ანტონის გრამატიკებს მიმართავს და სურს

შეძლებისდაგვარად ამ გრამატიკების ყოველი მნიშვნელოვანი მხარე გადმოიტანოს.

ზემოთ მოტანილი ადგილი, როგორც მკითხველიც შენიშნავდა, ანტონის II გრამატიკაში მოცემული „წიგნის" განსაზღვრის გამოძახილია. თუ მოვიგონებთ, ანტონი „წიგნს" ასე განსაზღვრავდა: „წიგნი არს ღრამი ნაკვეთი მნიშვნელი ყოველისა წერილისა" და იქვე დაუმატებდა „ხოლო ახალი ესე განსაზღვრება ჩვენი არ შეიწყნარებს ეგფერთა ლექსთა, რომელნიცა სახელ-მოდგმასა ხმასა დაჰნიშვნენ".

დავითმა სცადა არ დაშორებოდა ანტონს, მაგრამ სწორად ვერ გაიგო იგი და იმის მაგიერ, რომ, ანტონის მსგავსად, წიგნის (ფონემის) სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია დაემტკიცებია, თვით სიტყვა „წიგნის" სახელ-მოდგამობა (ომონიმური მნიშვნელობით ხმარებულება) დაამტკიცა.

ამ მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ დავითს სწორად ესმის „სახელ-მოდგამის" მნიშვნელობა, რომ იგი უდრის „ომონიმს".

დავითმა თვითონ დაინახა, რომ ანტონის შორსგამიზნულ სიახლეში გზა ვერ იპოვა, მიანება ყველაფერს თავი და ბოლოს იკითხა: „რაი არს წიგნი იგი რომელსაც ეწოდების ასოი" [1]. და უპასუხა: „ასო არს ოხვრა რაიმე ნაწევრობითი რამეთუ შეიკრების და ენების სხვისა-თანა ასოსა და სრულსა ხმასა გამოიღებს".

აქაც იგივე გამეორდა. ანტონისათვის ასო იყო „წიგნი შემძლებელი ნაწევრობითის ოხვრისა". ცალკე „ასო" ხმოვანს უდრიდა, ხოლო თანხმოვნები წარმოითქმოდნენ ასოსთან, ე. ი. ხმოვნებთან შეერთებით.

დავითმა კი თქვა: — ასო არის რაიმე ნაწევრობითი ოხვრა და სრულ ხმას გამოიღებს მაშინ, როცა სხვა ასოს შეუერთდებაო. თუ სხვა ასოსთან შეერთებაა საჭირო და აუცილებელი, ასო ცალკე დანაწევრებული ოხვრა როგორღაა?

ერთი სიტყვით, ავტორმა ვერ გაართვა თავი ანტონის გრამატიკის სირთულეს.

ოხვრაც ორად „იწვალება" დავითთან: ხმად და არახმად. არახმანი არიან „ფოთოლთ შრიალი", „წყალთა ჩქერანი", „ქუხილთ გრიალი" და სხვა. ხმანი არიან — ხმანი კაცთა და პირუტყუთანი. ხმა იყოფა ნაწევროვანად და უნაწევროდ. უნაწევრონი არ დაიწერებიან, ნაწევროვანნი — კი. ნაწევროვანნი განიყოფიან ნიშნოვნად და უნიშნოდ. უნიშ-

[1] თუმცა ანტონს არსად უთქვამს, „წიგნს ეწოდების ასო"-ო.

ნო არს იგი, რომელიც „დაღაცათუ დაიწერების, მაგრამ არაფერს ნიშნავს (მაგ. ვიპოკენტავრო). ნიშნოვანი კიდეც დაიწერების და რაიმესაც ნიშნავს („ცხენი", „კაც"). თუმცა არიან, რომელნიცა დაიწერებიან, მაგრამ არა ითქმიან ნიშნოვნად. „არამედ ნიშნოვნისა მიმართად, რომელ არიან ესენი: „და", „ხოლო", „რომ" და სხვანი (გვ. 12).

ცხადია, ამ მსჯელობაში ბევრი საინტერესო აზრია.

ასოზე მსჯელობის შემდეგ დავითი გადადის მის დახასიათებაზე: ასო იწვალების ორად — ხმოვნად და უხმოდ. უხმონი არიან ბ, ლ, მ და სხვანი. ხოლო ხმოვანნი — ა, ე, ო, უ და „არიან კვალად თანხმოვანნი: ჱ, ჲ, ჳ, ჴ „...ვითარ იგი კაცი არს შენად სულისაგან და ხორცთა და თვინიერ სულისა ვერ ძალუძს ხორცსა გამოღება ხმისა, ეგფერვე ასონი არიან შენად ხმოვანთა მიერ და უხმოთა და ვერ ძალუძს უხმოსა თვინიერ ხმოვნისა გამოღებად ხმაი და ოდეს და იგი შეიკრვიან და დაეწესებიან ერთმანეთისა თანა მაშინ სრულსა ხმასა გამოსცემენ და ესე არს აღმოჩენა ასოისა" (გვ. 13).

შემდეგ ლაპარაკია მარცვალზე, რომ „მარცვალი არის ხმა რაიმე რომელი ერთითა ოხვრითა გამოიღების პირისაგან კაცისა". მარცვალი შეიძლება იყოს ერთასოიანი და მრავალასოიანი.

მარცელის ეს განმარტება დავითს ანტონის პირველი გრამატიკიდან აქვს აღებული.

უჭრო დამოუკიდებელი დავითი არც სიტყვის (ლექსის) განმარტებისას ჩანს.

„ლექსი არის ხმაი სანიშნო, რომელი ჰნიშნავს ნიადაგ საქმესა რაღესა ანუ მოქმედებასა საქმისასა და ანუ გარემოთა მისთა" (გვ. 14). ანტონთან „ლ ე ქ ს ი ა რ ს ხ მ ა ი ნ ი შ ნ ო ვ ა ნ ი, ე. ი. ვითარმედ ხმა რაიმე არს, რომელი ნიშნავს მ ა რ ა დ ს ა ქ მ ე ს ა რ ა ი მ ე ს ა, ა ნ უ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს ა ს ა ქ მ ი ს ა ს ა, ა ნ უ გ ა რ ე მ ო თ ა, ე. ი. მდევართა მათთა" (I გრამატიკა).

ლექსისა და ასო-მარცელის ურთიერთობა ასე წარმოუდგენია დავითს: „ლექსი არს ხმა სანიშნო, იგინი არ არიან სანიშნო" (გვ. 15).

ლექსი, ერთის მხრით, იწვალების ერთმარცელიანად და მრავალმარცელიანად, მეორე მხრით, „რჯად: სახელად. ზმნად, ნაცვალსახელად და სხვად, „ხოლო ესე გვარსა განწვალებასა ეწოდების ზე-განწვალება" (იქვე).

თავისებურად ესახება ავტორს ლექსის (ე. ი. სიტყვისა — ა. ფ.) და სიტყვის (ე. ი. წინადადების — ა. ფ.) ურთიერთშეფარდება: „ამით

---

[1] პირველად აქ გეხედება ტერმინი „თანხმოვანი", მაგრამ დავიდჟან მას, როგორც ვხედავთ, დღევანდელი მნიშვნელობა არა აქვს.

უკვე არს ლექსი ზიარ სიტყვისა და სხვათა რამეთუ ესეცა უმთავრესი ნაწილია ღრამმატიკისა, ხოლო ამით განყოფილ სიტყვისაგან, რამეთუ ლექსი უკვე არს ხმაი ერთი, ხოლო სიტყვა მრავალი, ვინაითგან არს თხზულება ლექსთა" (გვ. 16).

ანტონის პირველი გრამატიკიდან მოდის სიტყვის (ე. ი. წინადადების) განმარტებაც:

დავითი	ანტონი
„სიტყვა არს თხზულება ლექსთა მასაჩინოე ჰაზრისა (I) კაცისასა" (გვ. 16).	„სიტყვა არს ლექსთა თხზულება მასაჩინოე ჰაზრისა კაცისა გონებისა" (I გრამატიკა).

ის უმნიშვნელო განსხვავება, რომელიც დავითის განსაზღვრებაში შეიმჩნევა, უფრო აბუნდოვნებს აზრს.

ნათქვამს მოსდევს გრძელი მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა არის ამ განსაზღვრაში ნათესავი, განყოფილება; რამდენ სახედ იწვალება ნათესავი (ნაწევროვნად და უნაწევროდ); რამდენ სახედ იწვალება ნაწევროვანი (საჩინოდ და უჩინოდ); „რაი არს უჩინო", „რაი არს საჩინო": რომელია უნაწევრო თხზულება და ასე შემდეგ.

ამ მსჯელობაში ყურადღებას იქცევს ერთი კითხვა-მიგება: კითხ.: „რაოდენად იწვალების სიტყვა"; მიგ.: იწვალების ორად, ე. ი. შინაგან-მდებარედ და წარმოჩენილად"... „შინაგან-მდებარე სიტყვა არს იგი რომელიც უწყის მხოლოდ სულმან კაცისამან და ღმერთმან"... შინაგან მდებარე სიტყვის „წარმოჩენა იქმნების ანუ ხმითა, ანუ წერითა, წამის ყოფითა".

ღმერთი რომ არ ერეოდეს საქმეში, შინაგან-მდებარე სიტყვა ძალიან ჰგავს ჰუმბოლდტის „შინაგანი მეტყველების" ფენომენს.

სიტყვის შემდგომი დაყოფა ეხება მის მოდალობითს მხარეს: საზღვრებითი, ბრძანებითი, საწადი, ვიპოტეტიკა (ანუ უკუთუობითი) და განუსაზღვრელი.

...და აქ უცვლელადაა მოტანილი ანტონის II გრამატიკის 16ბ-ე პარაგრაფის გ, ე, ვ და ზ პუნქტები.

სიტყვის „განწვალება" მისი მეტყველების ნაწილებად დაყოფაა — სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნიზედა, შორისდებული და კავშირი.

„სახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც არსებასა საქმისასა დაჰნიშნავს უპიროდ და უჟამოდ“ (გვ. 21). ეს განსაზღვრა ანტონის I გრამატიკიდან მოდის, იმ განსხვავებით, რომ ანტონთან არა გვაქვს „უპიროდ და უჟამოდ“.

განსაზღვრებას მოჰყვება საკმაოდ ორიგინალური მსჯელობა იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება სახელი ნაცვალსახელის, ზმნის, მიმღეობისა და მეტყველების სხვა ნაწილთაგან.

სახელი ზმნისაგან განსხვავდებაო, წერს დავითი, იმით, რომ „სახელი დაჰნიშნავს არსებასა და ზმნა არსებისა ქმნათა და ვითარებათა“. უცვლელ მეტყველების ნაწილთაგან, რომელთაც დავითი „უნიშნოთ“ უწოდებს (თანდებული, ზმნიზედა, შორისდებული და კავშირი) სახელი იმით განსხვავდება, რომ „სახელი თავით თავადსა არსებასა ჰნიშნავს, ხოლო იგინი არა თუ არსებასა, არამედ არსების გარემოთა“ (გვ. 22).

ეს აზრი ძირითადად სწორია, მაგრამ, რადგან ასეთი მსჯელობა ახლავს მეტყველების ყოველი ახალი ნაწილის განხილვას, იგი შრომას ვერაფერს მატებს.

სახელი „იწვალების“ არსებითად და ზედშესრულად;

არსებითი, თავის მხრით, ზოგებითად, კერძოობითად და შემკვრელობითად.

ზედშესრული სახელიც „იწვალების“ სამად: დადებითად, მსგავსებითად, აღრობითად. (ანტონთან — დადებითად, შემსგავსებითად და ედადებითესად).

თუ არსებითი არის „თავით თვისით მდგომარე“, ზედსართავი არის არა „თავით თვისით მდგომარე“, არამედ „მოსრული არსებასა ზედა („თეთრი“. „შავი“, „გრძელი“, „მოკლე“).

ზოგებითი სახელი „არს რომელიცა ჰნიშნავს ყოვლობითსა არსებასა რაიესა (ანტონი — „საზოგადო არს მნიშვნელი ნივთისა არსებისა საზოგადოდ“). კერძოობითიც (ანტონის მიხედვით — მხოლოობითი, სათვითო) და შემკვრელობითი (ასეა ანტონთანაც) დაახლოებით ისე განისაზღვრებიან, როგორც ანტონთან (II გრამატიკით), განსხვავება მხოლოდ რედაქციულია.

ასევე ანტონს მისდევს ზედსართავის ჯგუფების (დადებითი, შემსგავსებითი) განსაზღვრა, რაც შეეხება აღრობითს იგი დავითთან ასეა ფორმულირებული: „აღრობითი სახელი არს აღმატებითად მნიშვნელი ვითარებისა ერთისა ნივთისა სხვათაგან ნივთთა აღრად ანუ დარედ“.

ანტონთან „აღრად“ ტერმინის მაგიერ გვაქვს „უდადებითესი“ რაც „არს აღმატებითად მნიშვნელი ვითარებისა ერთისა ნივთისა სხვათაგან ნივთთა აღრად ანუ დარედ“. როგორც ჩანს, დავითს ტერმინი „აღრად“ ამ განსაზღვრიდან აუღია. მაგალითებიც ანტონისგანაა მოტანილი.

სახელის მდეერებია: ნათესავი, ნაკვეთი, სახე, რიცხვი, ბრუნვა.

ნ ა თ ე ს ა ვ ი (ანუ სქესი) ოთხია: მამრობითი, მდედრობითი, უმეშვეობითი, ზოგებითი (ანტონთან — საზოგადო).

ნ ა კ ვ ე თ ი ს ა მ ი ა: მარტივი (მარტივი ფუძე), ჰრთული (ორი ფუძის შეერთება) და ზე-ჰრთული (სამი და მეტი ფუძის).

ს ა ხ ე ო რ ი ა: პირველი—სახე და სხმით-გარდასვლითი. „რამეთუ ყოველი სახელი საპირველოსა დანიშვნასა შორის თვისსა არს და შესაძლო მისდა მიღებად თვის ზედა მარცვალი რაიმე სხმით-გარდასვლით-კეთებად, რომლითაცა დანიშნული იქმნების განსხვავებული სხვათა კერპთა. ხოლო რომელსა იგი პირველ დაჰნიშვნიდა ითქმის პირველ სახედ. მაგ.: კეისარ, ეპისკოპოს, ანგელოზ, ხოლო ოდეს რა ესეთითარნი სახელნი მიიღებდნენ სხმით-გარდასვლითად-კეთებადთა, ვითარ კეისრობითი, საეპისკოპო, ანგელოსებაი და მრავალი სხვა“ (გვ. 26).

სხმით-გარდასვლითს აკეთებს მარცვლები „არიან ხმანი, რომელნიმე თავსა შორის თვისსა უნიშნოებენ (ე. ი. მნიშვნელობა არა აქვთ, შეადარეთ ზევით, ზმნიზედა, თანდებული და სხვანიც „უნიშნო“ იყო —ა. ფ.). და გარეშეცული არიან ათრვამეტთა ქვეშე აღალმათა“ (იქვე). — დასახელებულია სახელწარმოების 18 ჯგუფი. ჯგუფთა დასახელება, მათ შორის სახელთა განაწილება და სხვა სიტყვა-სიტყვით მოდის ანტონის II გრამატიკის შესაფერისი ადგილიდან.

ნახსენებია მრჩობელ-სხმით-გარდასვლითი ფორმებიც.

სახელს ორი რიცხვი აქვს: მხოლოობითი და მრავლობითი.

ბრუნვა რვაა:	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
წრფელობითი —	ჯვარი	ჯვარნი
ნათესაობითი —	ჯვარისა	ჯვარებისა
მიცემითი —	ჯვარსა	ჯვარებსა
შემსმენლობითი —	ჯვარი	ჯვარები
დაწყებითი —	ჯვარისგან	ჯვარებისაგან
მოთხრობითი —	ჯვარმან	ჯვარებმან
მოქმედებითი —	ჯვარითა	ჯვარებითა
წოდებითი —	ჯვარო	ჯვარებო

აქ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება, სიტყვა „ჯვარი“ ფორმალურად გავს „ტაძარს“ და, იგულისხმება, უნდა იმეორებდეს ანტონთან.

მოცემული ამ სიტყვის ბრუნების ფორმებს, კერძოდ, საჭირო შემთხვევაში უნდა იკუმშებოდეს, მაგრამ ანტონისგან განსხვავებით. დავითი შეუკუმშავ ორმებს იძლევა[1].

ბოლოთანხმოვნიან სახელთა ბრუნების საილუსტრაციოდ მოტანილია „მარიამ“ და ნათქვამია, რომ ბოლოთანხმოვნიანები მიიღებენ დაბოლოება **ისი** და **ისა**-ს ნათესაობითში (როგორც ანტონთანაა).

ა-ბოლოხმოვნიან სახელთა ბრუნების საილუსტრაციოდ „არსება“ სიტყვაა ნაბრუნები და მითითებულია, რომ საზოგადონი ისპობენ ბოლო **ა** ხმოვანს, ხოლო სათვითოთა (ადრე კერძოობითს ხმარობდა — ა. ფ.) არა ესპობის და, რომ პირველნი მიიღებენ **ისა** და **ს** დაბოლოებას, ხოლო მეორენი — **სი**-ს.

ა-ზე დაბოლოებულთ ჰგავთ ე-ზე დაბოლოებულნიცო.

ი-ზე დაბოლოებული სახელები ზოგჯერ გვიჩვენებენ საშუალ ხმოვნების მერყეობას (ნათელ, ნათლისა; ტაძარი, ტაძრისა), რაც მხოლოდ საზოგადო სახელებს ეხებაო.

ო-ზე დაბოლოებულნი არც საზოგადონი და არც სათვითონი არ ისპობენ ბოლოკიდურ ხმოვანს, „ხოლო მიიღებენ სახელნი საზოგადონი ნიშანთა ნათესაობითის ბრუნვისათა მეოთხესა და მეექვსესა, რომელია **ჲსა, სა**, ხოლო სათვითონი მიიღებს ნიშანსა მეშვიდესა **სი**“ (გვ. 35).

დავითს დაავიწყდა, რომ ამ ნიშნების რიგითი ნომრები (როგორც ეს ანტონთან იყო) ადრე არ მოუცია, ამიტომ დასახელებული „მეოთხე“, „მეექვსე“ და „მეშვიდე“ ცოტა არ იყოს მოულოდნელია მკითხველისათვის, მაგრამ, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ დავითი ანტონს მისდევს და იმასაც გავიხსენებთ, რომ ანტონთან გვქონდა ნათესაობითი ბრუნვის შვიდი ნიშანი (1. **ისა**, 2. **სა**, 3. **ჲსა**, 4. **ჳსა**, 5. **ის**, 6. **სი**, 7. **ს**), ყველაფერი ნათელი გახდება — ზემოთ მოტანილი „მ ე ო თ ხ ე“, „მ ე ე ქ ვ ს ე“ და „მ ე შ ვ ი დ ე“ ანტონის II გრამატიკიდანაა აღებული.

ასეთივე მდგომარეობაა უ-ხმოვნით დაბოლოებულ სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებითაც — ყველაფერი გადმოღებულია ანტონისაგან.

კ ე რ ძ ო ო ბ ი თ ს ა ხ ე ლ თ ა ბ რ უ ნ ე ბ ა.

ეს ქვეთავიც ანტონის მიხედვითაა გაკეთებული და მასში სიტყვა-სიტყვითაა გამეორებული ის განმარტება, რომელიც ანტონმა მას დაურთო.

ამ სიტყვათა ცალკე ბრუნებას ის გამართლება აქვს, რომ 1. „არცა

[1] ეს სახელი ძველ ქართულშიც უკუმშველი იყო. შესაძლოა, ეს იყოს სხვაობის მიზეზი.

ერთსა ზემო-გადმოცემულისა სახელის ბრუნვისადმი აღიყვანებიან და 2. რამეთუ მათ უკვე აკლთ ბრუნვა წოდებითიო“.

ამის შემდეგ დავითი იწყებს ცალკეულ ბრუნვათა ფუნქციებისა და ნიშნების ჩამოთვლას, რითაც იგი ანტონის გრამატიკის აგების გაუმართლებელ სისტემას გაემიჯნა.

ბრუნებასთან ერთად დავითი იქვე იძლევა ბრუნვათა დახასიათებას არსებითი სახელის მონაცემთა გათვალისწინებით და გადადის ახალ მეტყველების ნაწილზე.

როგორც ვიცით, შემდეგი დროის გრამატიკულმა აზროვნებამ, სწორედ ეს გზა აირჩია და ამ თვალსაზრისით დავითის მიგნება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან, ჩვენი აზრით, იგი დავითის დამოუკიდებელი მსჯელობის შედეგია.

ბრუნვათა დახასიათებას დავითი, რა თქმა უნდა, წრფელობითით იწყებს, მაგრამ კითხვას ისე სვამს, რომ მკითხველს (თუ მოსწავლეს) თავიდანვე არწმუნებს— ეს ბრუნვა იგივე სახელობითიაო:

„კითხ.: რაისათვის წოდებული წრფელობითი, ანუ სახელობითი და რაოდენნი არიან ნიშანნი წრფელობითისანი მრავლობითსა შინა?

მიგ.: რამეთუ წრფელ ადრე პირველსა მდგმოებასა შინა არს უცვალებლად და დანიშნავს რომელსამე მყოფისა არს-ყოფას მარტივად (გვ. 37), ანტონი — გვ. 194.

მაგრამ ანტონისაგან განსხვავებით რატომღაც მხოლოდ მრავლობითის ნიშნებს ეხება — „...ნიშანნი არიან ესენი: ა)-ნი, ბ)-ები, გ)ჲბ (მაგ.: „ბ უ ნ ე ბ ა ნ ი“, „ნ ა თ ე ს ა ე ვ ე ბ ი“, „ზ ღ ვ ჲ ბ“ და სხვანი). მეორე ბრუნვა ნათესაობითია რომლის განსაზღვრაც და ნიშნებიც (მხოლობითისათვის— ისი, ისა, სა, სა, სა, ს, სი; მრავლობითისათვის — თა, თ, ებისა, ების, ებთა, ებთ) ანტონისაგანა აქვს აღებული რის შესახებაც იქვე მიუთითებს ფრჩხილებში (ნაწილი ბ, § 197. სიმკაცრ.). ეს მითითება, ზუსტია, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ანტონი არაა დასახელებული და საერთოდ მის წიგნში ანტონი არ იხსენიება.

სხვა ბრუნვათა დახასიათებას, ვფიქრობთ, აზრი არა აქვს, — დავითი, უკვე განხილული ნათესაობითის მსგავსად, სიტყვა-სიტყვით იღებს ანტონისაგან, თუმცა თავისებური შემოკლებებით, რომელთაც ზოგჯერ მეტად ოსტატურად აკეთებს. ერთი მაგალითი —

ანტონი	დავითი
„...მეექვსედ წოდებული დაწყებითი. ამისათვის უკვე ზედწოდებული ბრუნვისა ამის მიმართ დაწყებითი ვი-	„...ამისათვის ვითარმედ არღარა დანიშნავს არსისა არსებასა, არამედ ქვემდება-

ხარმედ იყანკლედების სახელი წრფელობითი მეექვსისა მიმართ ბრუნვისა არღარა დაჰნიშნავს არსისა არსებასა, არამედ ქვემდებარეობასა მისსა რაიედ ე. ი. ანუ წარმოობისა ანუ გამოკრთოლვისა და ანუ აღხოცისა ქვემდებარედ. მაგ.: ა ღ მ ო ს ა ვ ლ ი თ, ნ ა თ ე ს ა ვ ი ს ა გ ა ნ, ს ა ხ ი ს გ ა მ ო და ესრეთ სამართალ წოდებულ არს დაწყებითი“ (II-გვ. 144).

რეობასა მისსა რაიედ, ე. ი. ანუ წარმოობისა, და ანუ აღჰხოცისა ქვემდებარედ. მაგ.: ა ღ მ ო ს ა ვ ლ ი თ, ნათესავისაგან, სახის გამო...“ (გვ. 39).

ამ შემოკლებათა წყაროც, ისევ ანტონია, რომლის „სიმეტნე“ ამის წესანიშნავ მაგალითს იძლევა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ინიციატივა დაეითს ეკუთვნის და ეს მეტად საგულისხმოა.

ნაცვალსახელი

რადგან ნაცვალსახელის ჯგუფებიც (არსებითი. მიგებითი, ჩვენებითი და კვალამოღებითი) და მდევრებიც (ნათესავი. ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, ბრუნვა) კვლავ ანტონიდან მოდის, სიტყვის გაგრძელება აღარ ღირს. ვიტყოდით მხოლოდ იმ გარეგნულ სხვაობაზე, რაც დავითთან მაინც შეინიშნება და იმაში გამოიხატა, რომ ანტონისაგან განსხვავებით ბრუნვათა პარადიგმები მოგვცა არა წყვილ-წყვილად (მე-ჩვენ; შენ-თქვენ), არამედ ჯერ მხოლობითი უველასათვის (მე, შენ, იგი, თვის) და მერე მრავლობითი (ჩვენ, თქვენ, იგინი) და ბოლოს ეგე, ესე.

ზმნა

ზმნა იყოფა: არსებითად, საქმნოდ (შემოქმედებითად — ა. ფ.), ვნებითად და უმეშვეობითად, აგრეთვე კანონიერად და უკანონოდ.

ზმნის დახასიათებაც ზუსტად ანტონის მიხედვითაა გაკეთებული და მდევარიც იმდენი ახლავს ზმნას (ნათესავი, ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, ჟამი ანუ დრო, სქესი, უღლება). რამდენიც ანტონთან ჰქონდა.

ნ ა თ ე ს ა ვ ი ზმნისა არის შემოქმედებითი, ვნებითი და უმეშვეობითი. ეს უკანასკნელი იყოფა ხატშემოქმედებითად და ხატვნებითად (ახლავს თითოეულს ცალ-ცალკე განმარტება ანტონისეული რედაქციით — ა. ფ.).

ნ ა კ ვ ე თ ი ა: მარტივი, ჰრთული და ზე-ჰრთულიც (აქვეა საუბარი ე. წ. ზედდებულებსა ანუ ზმნისწინებსა და ტმესზეც).

სახეცვლია პირველ-სახე და სხმით-გარდასვლითი. პირველი სახეა „ვჰსწრავ", „ვჰსცენდები".

„სხმით-გარდასვლითი არს, რომელიცა პირველი სახეობისგან გარდავალს სხვისა მნიშვნელობისა მიმართ და მოქმედებას აღარ დაჰნიშნავს უსაშველოდ: „ვაჭმევ", „ვაწრთვებ"; ხოლო სხმით-გარდასვლითი იქცევაო მრჩობელ-სხმით გარდასვლითად. „ვასმევინებ".

ა — აკეთებს სხმით გარდასვლითს. (მრჩობელ-სხმით გარდასვლითის ნიშანი, რატომღაც გამორჩა ავტორს — ა. ფ.).

დრო სამია — აწმყო, ნამყო, მყობადი. ნამყო განიყოფება ოთხად: ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი, ნამყო უსრულესი.

სქესი ხუთია: საზღვრებითი, ბრძანებითი, საწადი. ვიპოტეტიკაი (ქვეწყობილებითი), განუსაზღვრებელი ანუ უჩინო.

საზღვრებითს აქვს ყველა დრო. ბრძანებითს — აწმყო და მყობადი; საწადს — სამი. განუსაზღვრებელს სულაც არა აქვს დრო.

უღლება რვაა; მაუღლებელი ნიშნებია: ა, ე, ო. უ. ი, ჱ. ჳ. ჲ.

პირველი უღლება შეიცავს 7 ხატს: „შევკრავ", „აღვსვამ", „ვესავ", „განვასხამ", „განვჰბანო", „ვჰკაფ", „მინდა", მეორე უღლება — ათხუთმეტს; მესამე უღლება — შვიდს; მეოთხე — ათორმეტს, მეხუთე — რვას; მეექვსე — მხოლოდ უმეშვეობით (უფრო სწორად გარდაუვალ ზმნებს), მეშვიდე — მხოლოდ შემოქმედებითს ერთი ზმნისა — ვჰსძარცუ; მერვე — შვიდს.

პირნაკლ ზმნებს (ე. ი. ობიექტური უღლების ზმნებს — ა. ფ.) აქვთ უღლებისას ექვსი ხატი. როგორც ვხედავთ, ყველაფერი ისეა, როგორც ანტონთან გვქონდა.

ამას მოსდევს არსებითი ზმნის („ვარ", „ვიყავ"; „ვიქნები") უღლება ყოველ დროსა და კილოში, აგრეთვე „შევკრავ" და „ვსციქუ" ზმნათა უღლების ყოველგვარი ფორმები.

ზმნის მორფოლოგია მთავრდება ანტონის მიხედვით გაკეთებულ ფორმალური ანალიზით „შევჰკრავთ" ფორმისა — „კრავ" ძირია, მაუღლებელია — ა, მაპიროვნე პირველი პირისა — ვ და მაშრაფლე — თ.

იქვეა შენიშვნა: თუ ზმნას პირველ პირში აპიროვნებს მ, მაშინ მეორე პირში (მხოლოობით რიცხვში) გვექნება გ და მესამე პირში — ჰ და უ. ხოლო მამრავლად და მაპიროვნედ: პირველ პირისა გუ გვ; მეორე პირისა მამრავლად — თ-ანი და მაპიროვნედ — გ-ანი; ხოლო პირსა მესამესა ჰ და უ — მაპიროვნედ, მამრავლად კი — თ-ანი (გვ. 6). აი ყველაფერი, რაც აქ ნათქვამია პირის ნიშნებზე.

სახელზმნა

„სახელზმნა არს განრჩევა წოდებითი მნიშვნელი ქმნისა ანუ ვნებისა“ (გვ. 69).

ეს განსაზღვრებაც იმეორებს ანტონს (იხ. გვ. 197).

აქვეა ლაპარაკი იმაზე, რომ სახელზმნა მიიღებს „სახელთა მდევართაგან ყველას“, გარდა ნათესავისა (სქესისა — ა. ფ.), ზმნათა სქესს (გვარს — ა. ფ.) და ნაკვეთს; აგრეთვე ყოველ ნიშანს „განმათვისებელს ზმნათასა“: „აღ-წერა“, „წარ-სვლა“ და სხვა.

გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ს ა, ე. ი. უ ჩ ი ნ ო ს ქ ე ს ი ს ა თ ვ ი ს.

განუსაზღვრებელი არის იმიტომ, წერს დავითი, რომ „პირსა რომელსამე ვნებისა ანუ მოქმედებისა ქვემდებარედ ვერ განსაზღვრულჰყოფს, მაშასადამე, განუსაზღვრებელ არს; წარმოებს სახელზმნისაგან, რომელიც ესე განიწვალების: აწმყოდ და მყობადად და გვიჩვენებს ესე აწმყოსა შინა დროსა ქმნასა ნიშნითა ამით. რომელია ად („შეყვარებად“, „აღხორცად“), ხოლო ვნებას ასოთი ვ („შეკრვად“: აღხოცვად“)“.

ანტონის კანონიერ და უკანონო ზმნათა შესახებ თხრობა დავითმა გამოტოვა.

დავითმა ვერ შენიშნა ანტონის ბრწყინვალე მიგნება ზმნის მრავალპირიანობის შესახებ.

მიმღეობა

მიმღეობის განმარტებისას დავითი ორიგინალურია: „მიმღეობა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც არსებისა საქმეთა, მერმეცა ქმნათა ანუ ვნებათა არსებათასა ჟამისა ქვეშე დაჰნიშნავს უპიროდ“ (გვ. 71). „მიმღეობა არს ნაწილი სიტყვისა ცხად-მყოფი ნივთის-ყოფისა და ქმნათა და ვნებათა მისთა დროებითად“ (ანტონი გვ. 203).

მიმღეობა „იწვალების“ აწმყოდ. ნამყოდ და მომავლად.

ა წ მ ყ ო ს ნიშნებია: ელი, მმ, ედი, არე, მ-ელი, ული; ნ ა მ ყ ო ს ნიშნებია: ილი, ნა, არი, ული და სხვა; მ ყ ო ბ ა დ ი ს ნიშნებია: ელ. ვლ, არი და სხვ.

მიმღეობას აქვს ექვსი მდევარი: ნათესავი, ნაკვეთი, სახე, რიცხვი, ბრუნვა, ჟამი.

თანდებული

თანდებული სამნაირად „იწვალების: რომელნიმე არიან მ ა კ ე თ ბრუნვათა მ ი მ ღ ე — ბრუნვათა და მ ა მ კ ო ბ ე ლ“.

„არიან თანდებულნი, რომელნიც არა სახელთა ზედა, არამედ სხვათაცა სიტყვის ნაწილთა დაერთვიან: ცა, ღა, მიმო, მუდამ: პეტრეცა, უფროისღა".

თანდებულს, ზმნიზედის, კავშირის და შორისდებულის მსგავსად, არა აქვს არავითარი მდევარი. არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რომელ ბრუნვას რომელი თანდებული მოუდის.

ზმნიზედა

„ზმნიზედა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც სქესსა ზმნათა და ვნებათასა ჰნიშნავს" (გვ. 80).

გაუგებარია საიდან აიღო დავითმა ზმნიზედის ასეთი განსაზღვრა. ანტონთან ნათქვამია: „ზმნიზედა არის ნაწილი სიტყვისა ცხადმყოფი არსისა რომლობითა ქმნათა მიმართ ანუ ვნებათა".

მიუხედავად იმ ბუნდოვანებისა, რაც ანტონის განსაზღვრასაც ახლავს, მასში ზმნიზედის ნამდვილი არსი ზუსტადაა მიგნებული, დავითთან კი საიდან მოვიდა „სქესის გადმოცემა", გაუგებარია.

სამაგიეროდ დავითმა სიტყვა-სიტყვით გადმოწერა ანტონის ზმნიზედათა 22-ვე ჯგუფი თავისი მაგალითებით (იხ. ანტონთან გვ. 99—107).

შორისდებული

ამ მეტყველების ნაწილის განსაზღვრაშიაც და ჯგუფთა ჩამოთვლაშიც დავითი ანტონს იმეორებს.

კავშირი

აქაც დავითი ანტონის დარად ჩამოთვლის კავშირთა 12 ჯგუფს: საერთწმასნო, განწვალვითი, გარმიმღეობითი, დაწყებითი, უსრულობითი, წინა-აღრჩევითი, მიზეზობითი, უკუთუობითი, განმარტებითი, ზედმოღებითი, მეტნობითი, იჴნობითი.

როგორც ვნახეთ, ანტონს კავშირთა ამა თუ იმ ჯგუფის განსაზღვრის თუ ხმარებისას საილუსტრაციოდ მოჰქონდა სხვადასხვა ტექსტი, ზოგი საეკლესიო წიგნებიდან, ზოგს კი თავად თხზავდა.

ერთი ასეთი ტექსტი იყო: „დაღათუ ჰგონიეს უმეცრებით ხუთ ანუ

ექვს ფურცლედი ოგი ღრამმატიკ-ყოფად, მაგრა უმეცრებით სცთებოდეს საცინელი“..« (ანტონი, გვ. 109). ამ ციტატას მოჰყვებოდა ანტონის მსჯელობა იმაზე, რომ ქართველებს მთარგმნელ მამათა მოღვაწეობის შემდეგ გრამატიკა არა ჰქონიათო და მთელი ეს მსჯელობა იმ საქმეს ემსახურებოდა, რომ აშკარა ყოფილიყო ანტონის პრიორიტეტი ქართული გრამატიკის დაწერის საქმეში და რომ მას ხელთ ჰქონია რაღაც ფრაგმენტი ძველი გრამატიკისა, რომელიც, რა თქმა უნდა, არ ჩაითვლებოდა ნამდვილ გრამატიკად [1].

დავითმა კავშირ „დაღათუ“-ს ფუნქციის საილუსტრაციოდ მოიტანა ანტონის ზემოთ ამოწერილი ციტატი, თანაც მისთვის არავითარი დამატებითი ცნობები არ დაურთავს. ამიტომ მკითხველისათვის სრულიად გაუგებარია, თუ რა „ხუთ და ექვს ფურცლედ“ გრამატიკაზეა საუბარი აქ.

ამით მთავრდება დავითის გრამატიკის მორფოლოგიური ნაწილი და იწყება ახალი ნაწილი:

თ ვ ი ს თ ა ნ ხ მ ო ბ ი ს ა ნ ა წ ი ლ თ ა ს ი ტ ყ ვ ი ს ა თ ა

უპირველესად უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ აქამდე დავითი იყენებდა ანტონის გრამატიკებს (მეტწილად მეორეს, ხოლო არა იშვიათად პირველსაც) ამ თავში იგი მხოლოდ და მხოლოდ „სიმეტნეს“ ეყრდნობა.

ეს თავი იწყება კითხვით: „თქმულნი იგი რვანი ნაწილნი სიტყვისანი მოვალნან რა ერთმანეთისადმი შეწყობად სიტყვისა რაოდენითა აღალმითა (ესე იგი გვარითა) ღირს თანხმობაი მათი ურთიერთ არს“ (გვ. 99).

პასუხი ასეთია: „ოთხთა აღალმათა“. პირველად ერთმანეთს შეხვდებიან სახელი და ზმნა — ისინი უთანხმდებიან ერთმანეთს რიცხვითა და პირითა; მეორედ შეხვდებიან არსებითი და ზედშესული — ერთმანეთს უთანხმდებიან რიცხვითა და ბრუნვითა; მესამედ კელამოღებითი ნაცვალსახელი და წინამავალი სიტყვა — ერთმანეთს უთანხმდებიან მხოლოდ რიცხვში; მეოთხედ შეხვდებიან ერთმანეთს კითხვა-მიგება — უთანხმდებიან ბრუნვაში.

წინადადებაში შესაძლებელია ზმნა არც იყოს წარმოდგენილი, ასევე მოსალოდნელია „ძალით“ იყოს სხვა წევრებიც (სახელი, ზედსართავი). არაა აუცილებელი სახელი იდგეს ზმნის წინ — შეიძლება მოსდევდეს მას.

რამდენიმე სახელი მხოლობითის ფორმით, აგრეთვე ზედსართავნიც, თუ იქნებიან ზმნის უფლად, ზმნა უნდა იყოს მრავლობითში და ასეთ შემთხვევაში, როცა ზმნის უფლად რამდენიმე სახელია, ზმნა

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ აქვე, გვ. 50 და შემდეგ.

ანგარიშს უწევს პატიოსან პირს („პირველი პირი უპატიოსნეს არს მეორისა, ხოლო მეორე — მესამისა").

ზმნის უფლად შეიძლება იყოს მიმღეობაცა და სახელზმნაც.

პიროვან ზმნებს უფლად მიეცემათ სახელები „ოთხნი იგი ბრუნვითნი, ესე იგი წრფელობითი, ანუ შემასმენლობითი, მიცემითი, მოთხრობითი, დაწუებითი".

ბრუნვის ეს ფორმები ასე ნაწილდება: „რამეთუ საზღვრებითსა აწმყოსა და უსრულსა შინა დაღათუ სხვანიცა გარნა უფრო ხშირადრე მიეცემიან უფლად შემასმენლობითი და ნამყოსა სრულსა და მყოობადსა შინა მოთხრობითი, ხოლო უსრულესსა შინა მიცემითი და ბრძანებითსა შინა წოდებითი" (გვ. 102).

აქ აშკარა უზუსტობაა, მაგრამ ამაში დამნაშავე დავითი არაა. აქამდე მან უცვლელად გადმოწერა „სიმეტნეს" შესაფერისი ადგილები.

ამის შემდეგ (დავითთან გვ. 102) ტექსტი ოდნავ რედაქციულ სხვაობას გვიჩვენებს, რაც მეტწილად ანტონის მრავალსიტყვაობის თავიდან აცილებას ემსახურება.

ანტონი — „სიმეტნე"

„კითხ.: სახელსა ზედშესრულსა სიტყვასა შინა ჯერ არს სადამე რათა აქუნდეს სახელი არსებითი, ანუ არა?

მიგ.: იქცეოდეს რა ვითარცა ზედშესრული აქვს უკვე საჭიროდ არსებითი, ანუ მოქმედებითი, ვითარცა ყოველი მართალი იშვის ცხოვრებად და ანუ ძალითა, ვითარცა მართალი იშვის ცხოვრებად, ე. ი. ყოველი მართალი.

კითხ.: ვითარ უკვე ნიადაგ ისაჭიროების რათა ზედშესრულნი რიცხვითა და ბრუნვითა ეთანხმებოდნენ თვისთა მათ არსებითთა?

მიგ.: ზედშესრულნი იგი ოდესმე წინ დაეწესებიან არსებითთა თვისთა და ოდესმე ქვედ ხოლო წინ დაწესებაი ზედშესრულისა არა არს ნიადაგ საჭირო. მით როდესმე თანხმობენ და ოდესმე არ თანხმობენ ნებისაებრ რიტორთა და მწერალთასა.

დავითი

„კითხ.: სახელსა ზედშესრულსა სიტყვასა შინა ჯერ არს რათა აქვნდეს სახელი არსებითი ანუ არა?

მიგ.: იქცეოდეს რა ოდესცა სიტყვასა შინა ზედშესრული, აქვს უკვე საჭიროდ არსებითი ანუ ძალითად მართალი იშვის ცხოვრებად.

კითხ.: ვითარ უკვე მარად ისაჭიროების, რათა ზედშესრულნი რიცხვითა და ბრუნვითა ეთან-ხმნენ თვისთა-არსებითთა?

მიგ.: არა არს საჭირო მით რამეთუ ოდესმე თანხმობენ

ეგ სახედვე ქვე დაწესებულნიცა.

კითხ.: ზედშესრულისა მის არსებითსა არს საჭიროი ერთისა ბრუნებისა მიცემაი?

მიგ.: არა მით რომელ ჩვენსა ზედა ენასა არა აქვს საჭიროებაი, ვინაითგან კეთილად მოვალნ ესე გვარნი ლექსნი: კაცისაგან კეთილისა მივიღე, ხოლო იქმნებიცა თანხმობაი, მაგრამ უშვერად კაცისაგან კეთილისაგან მივიღე“.

და ოდესმე არა, ვინაითგან მოვალნნ კეთილად ესე გვარ ლექსნი, მაგ.: კაცისაგან კეთილისა მივიღეთ, ხოლო იქნებისცა თანხმობაი მარა უშვერად. მაგ.: კაცისაგან კეთილისაგან მივიღე“ (გვ. 102).

დავითმა ტექსტი შეამოკლა, აზრი კი იგივე გადმოსცა. რაც ანტონმა. ასეთი რამ ხშირად შეიმჩნევა დავითთან, მაგრამ მეტწილად, იგი მაინც სიტყვა-სიტყვით იწერს ანტონისგან, თანაც ავტორის მიუთითებლად.

რადგან ანტონის მოძღვრების განხილვის დროს „სიმეტნეზე“ საგანგებოდ არ შევჩერებულვართ, რამდენიმე სიტყვას კიდევ ვიტყვით დავითის გრამატიკის ამ ნაწილის მომდევნო საკითხებზე.

შემდეგ ლაპარაკია მოგებით ნაცვალსახელსა (რომელიც წინადადებაში ზედსართავია) და არსებითს შორის ურთიერთობაზე.

„კითხ.: ზედშესრულნი ნაცვალსახელნი ვითარ ეთანხმებიან არსებითთა სახელთა?

მიგ.: მოგებითნი უკეე ნაცვალსახელნი თანხმობენ უმრავლესჯერ და არ თანხმობენმცა. ხოლო თანხმობენ ესრეთ: მამასა შენსა და არა თანხმობენ ესე-გვარ ძესა ჩვენსა მიართვი მოკითხვა. ხოლო ჩვენებითნი ესე ნაცვალსახელნი, რომელა ესე, ეგე, არა თანხმობენ. მაგ.: ესე კაცნი წარვიდეს, ეგე კაცნი მოვიდეს ანუ კაცნი იგი და სხვა“.

კვალამოღებით ნაცვალსახელის წინადადებაში გამოყენებასთან დაკავშირებით დავითი ამბობს, რომ „...გარდასულსა მის და განშორებულსა სახელსა ააწმყოებს, რათა იყოს სახელად ზმნისა, ანუ ძიებად და რომელსაცა შინა ბრუნვას ესახმრების სახელსა იგიცა ბრუნვითა მით იაწმყოების. მაგ.: იგი რომლისაგან ჰსძრწიან ცანი და ქვეყანა, რომელსა თაყვანის-ჰსცემენ ხერუფიმნი და სერაფიმნი მკლავთა თვისთა ზედა, ვინ უკუ განისვენებდა არა თუმცა დედა ღვთისა ქალწული მარიამ, რომელიც ყოველსავე ცხოვრებასა თვისსა სიმდაბლესა ქალწულებისა თანა და ქალწულებისა სიმდაბლეისა თანა აღიქმოდა“ (გვ. 104).

ამ მაგალითიდან და მისი ზემოთ მოტანილი ინტერპრეტაციიდან ძნელია რისამე გაგება.

II გრამატიკაში ანტონმა ეს აზრი სრულიად სხვაგვარად, თანაც გასაგებად გადმოგვცა.

„ნაცვალსახელი ესე, რომელსა ზედწოდებულ ვჰყოფთ კვალამოღებითად სინტაქსსა შინა ღრამმატიკოსობითსა დაიდების ფრიად სახმარ ქმნილი სიტყვათა, მით რომელ სახელთა გარდასულთა წარმოაყენებს თავით თვისით და რომელთაცა ეხმარების სახელთა იქმნების სახელი ზმნისა და ანუ საძიებო და თხოვისაებრ სიტყვის ბუნებისა, შესაბამ ბრუნვილი იდგმოების ნაცვლად სახელთა"... (გვ. 222).

ანტონი ამბობს, რომ „რ ო მ ე ლ იც" ნაცვალსახელი ეწევა წინამავალი წინადადების სახელის მაგიერებას და შეიძლება იყოს ან „ზმნის სახელი", ე. ი. უფალი (ანუ ქვემდებარე), ან საძიებო და ჩვეულებრივ იმ ბრუნვაშია, რომელთაც მოითხოვს წინადადების (ანუ სიტყვის) ბუნებაო.

შემდეგ განხილულია კითხვა-მიგების საკითხი და დასმულია ასეთი კითხვა:

„კითხ.: „ვითარ უკვე იქმაოდენ მიგება კითხვისა-თანა მხოლოდ ბრუნვითა ოდენ თანხმობაი?

მიგ.: კმა იყო, თუ სადამე კითხვა მიგებანი იყვნესმცა მხოლოდ ლექსთა-თვის, არამედ მრავალ ჯერ აქვს ჩვეულებაი სიტყვათა-თვისთა რამეთუ ესახმარა ესე მარად რათა მიგებანი ეთანხმებოდნენ კითხვასა კვალად წყობითა საქმისათა მაგ.:

კითხ.: ვინ არს რომელ გასწავებს? მიგ.: პეტრე.

კითხ.: ვითარი ვინმე არს? მიგ.: მეცნიერი და უბრძნესი.

კითხ.: ვინაით მოსულ არს? მიგ.: პალესტინით.

კითხ.: საით წარმავალს არს? მიგ.: ჰრომად.

ამათ სიტყვათა შინა არა თუ მხოლოდ ბრუნვით არამედ წყობითა საქმისათა ეთანხმებიან მიგებანი სიტყვისა, ხოლო საკითხავსა ამას: ვინ არს, რომელი გასწავებს, თუ სადამე მიეგებოდესმცა მეცნიერი და უბრძენესი არა შეიწყობმცა მებრ საქმისა, დაღათუ შეიწყობის ბრუნვით ვინაითგან მეცნიერი და უბრძენესი იგი იყვნენ სხმით-გარდასვლითნი კითხვისა ამის იქმნებამცა მიგებანი. ვითარის პეტრე იყო არსებითი ესე იგი ქვემდებარე და იყო მიგებაი ვინ კითხვასა.. " (გვ. 106).

მერე მოდის საუბარი იმაზე, რომ კითხვაში არსებული ზმნა შეიძლება მიგებაში არც გამოჩნდეს და, რომ კითხვა რიცხვში ანგარიშს უწევს ზედსართავის რიცხვს და „ვინ", „რომელი" დაესმის არსებასო,. ე. ი. საქვემდებაროსაო, ხოლო „რაბამ", „ვითარ", „რაზომ" — წინადადების სხვა წევრებსაცო.

დავითი განაგრძობს: ორი არსებითი ერთიმეორეს უთანხმდება ბრუნვაში, ასევე — ორი ზედსართავიც.

შემდეგი თავი იწოდება — „თვის ძიებისა მისაღებელთა ნაწილთა სიტყვისათა“.

მასში მსჯელობაა იმაზე, თუ წინადადების რომელი წევრი შეიძლება მოითხოვდეს სხვა წევრს და მართავდეს მას. ასეთებიაო: 1. ზმნანი პიროვანნი, განუსაზღვრებელნი, სახელზმნანი, მიმღეობანი, სახელნი. ზედშესრულნი და თანდებულნი, რასაც მოსდევს წინადადებათა გარჩევა მათი წევრების ფორმალურ-ფუნქციური დახასიათებით: ლაპარაკია ბუნებისა და ნათესაის ძიებებზე, განმათვისებელზე და, რა თქმა უნდა, ზმნასა და მის სახელზე.

გრამატიკის უკანასკნელი თავია „თვის შესახებ წერისა“, რომელიც კვლავ ანტონის ნააზრევს ემყარება და განიხილავს, თუ „რაოდენი არიან ოხვრათა განთვისებანი ქართულთა გვარისანი“.

მითითებულია შვიდ განთვისებაზე შემდეგი თანამიმდევრობით: პირველი მარტივად აღმოსაოხვრელნი: ა, ი, მეორე — ძნელად აღმოსაოხვრელნი: ბ, დ, ხ; მესამე—მოხრილად აღმოსაოხვრელნი: ე, ო: მეოთხე— ბრჯგუდ: ფ, ს, თ, ც, ჩ, ლ, ჭ; მეხუთე — ლიტონად: მ, ვ, ც, ზ, წ, ხ; უგრძესად — უ, ჱ; მეშვიდე — მოკლედ: ჲ, ვ, ჳ.

დავითი იქვე შენიშნავს, რომ ჲ, ვ, უ, ჱ-ს წარმოთქმას განაპირობებს ადგილი და, რომ უ ნაცვლად ო-ნისა იმოქმედების და ვ-ს ნაცვლად ვ-ნისა და ი-ნისა და ოდესმე უ-ნი, ნაცვლად ვ-ინისა და სხვა.

ამით მთავრდება დავითის გრამატიკა, რომელსაც ერთვის თავი — „თ ვ ი ს ხ უ თ თ ა ხ მ ა თ მ ა რ ტ ი ვ თ ა პ ი რ ფ ი რ ი ო ს ი ს ა თ ა“.

ეს ნაწილი მხოლოდ დავითის გრამატიკას ახლავს და არცერთ სხვა გრამატიკასთან არ გვხვდება. იგი ავტორს იმისათვის დასჭირდა, რომ გაემართლებინა სიახლე, რაც მან პორფირის ფინიკიელისაგან გრამატიკაში შემოიტანა ამა თუ იმ გრამატიკული ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით, თანაც ამავე თავში იგი ცდილობს, შეძლებისდაგვარად უფრო გასაგები გახადოს ცნებები: „ნათესავი“, „სახე“ და „განუყოფელება“, რაზეც ზევითაც გვქონდა ლაპარაკი.

სანამ იმის განსაზღვრაზე გადავიდოდეთ, თუ რა არის ნათესავი, სახე და განუყოფილებაო, წერს დავითი, უნდა განვმარტოთ „რაი არს მარტივი ხმაი? და მერე მოვლითი განმარტებითა განგიმარტო რომლისათვის გაქვს კმაი მიზეზი: „...მარტივი ხმა იწვალების მრჩობლად. ე. ი. საყოველთაოდ და სათვითოდ... საყოველთაო არს ვითარცა კ ა ც ი, ც ხ ო ვ ე ლ ი, მგრძნობელი და სხვა... იმისათვის არს საყოველთაო ვინაითგან მრავალთა დამნიშნელ არს... სათვითო ხმა არს ვითარცა განუყოფელი,

ესე იგი იოანე, დავით, პეტრე და სხვა... იმიტომ არს სათვითი გინა კერძოობითი ვითარმედ ერთსა რაიმესა ჰნიშნავს".

ამას მოსდევს ხუთი ხმის ჩამოთვლა: **ნათესავი, სახე, განყოფილება, თვისი, შემთხვევითი...**

„ნათესავი სახელი ესე არს საზოგადო და გარდაეფინების მრავალთა ზედა. მით რამეთუ ნათესავი სამ სახედ ითქმის მ შ რ ო ბ ლ ო ბ ი თ ა დ, ა დ გ ი ლ ი ს ა მ ე ბ რ და ს ა ხ ე თ ა შ ე მ ც ვ ე ლ ა დ" (გვ. 123).

როგორც მოტანილი ციტატებიდან აშკარაა, მას არავითარი კავშირი არა აქვს გრამატიკასთან და ამ ცნებების გრამატიკაში შემოტანით დავითმა უფრო გააბუნდოვნა ისედაც საკმაოდ გაუგებარი განმარტებები, რაც ანტონის გრამატიკებში გვქონდა.

როგორ უნდა შეფასდეს დავითის გრამატიკა?

იგი გაიოზის გრამატიკის გვერდით (დავითს, გაიოზის გრამატიკა არ უნახავს) პირველი ცდაა ანტონის გრამატიკათა შეკუმშულად გადმოცემისა.

მართალია, ასეთი, შეკუმშული თანაც კითხვა-პასუხის სახით, გრამატიკა „სიმეტნეს" სახელით ჯერ კიდევ ანტონის I გრამატიკას ახლდა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, დავითი მეორე გრამატიკიდანაც ბევრს იღებს და საბოლოოდ მაინც დამოუკიდებელი ჩანს ამ საქმეში.

მთავარი დამსახურება დავითის მაინც ისაა, რომ მან მოახერხა, გამიჯნოდა ანტონის გრამატიკათა წყობას და ამით შრომა უფრო მეთოდურად გამართლებული გაეხადა.

მიუხედავად, ერთი შეხედვით, ამ მნიშვნელოვანი სიახლისა, დავითის გრამატიკა უკან გადადგმული ნაბიჯია იმასთან შედარებით, რაც ანტონმა მოგვცა; მის გრამატიკაში შეუმჩნეველი დარჩა ანტონის მეტად ბევრი, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენა.

და მიუხედავად იმისა, რომ დავითის გრამატიკის ანარეკლი კარგად ჩანს იოანეს I გრამატიკაში, ქარფული გრამატიკული აზრის განვითარების საქმეში დავითის გრამატიკას მონაწილეობა არ მიუღია.

2. იოანე ბაგრატიონი

იოანე იყო გიორგი XIII-ის მეორე შვილი, იგი დაბადებულა 1768 წლის 16 მაისს [1].

[1] ი. ბაგრატიონის ბიოგრაფიის შედგენისას ძირითადად ვეყრდნობოდით გ. მიქაძის შრომას „იოანე ბაგრატიონი" (XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები, თბ., 1965 წ.).

1787 წელს იოანემ იქორწინა ზურაბ წერეთლის ასულ ქეთევანზე, რომელთანაც 1790 წელს შეეძინა ერთადერთი ვაჟი გრიგოლი (შემდეგში გრიგოლ გრუზინსკად ცნობილი).

იოანე თავიდანვე გამოირჩეოდა დიდი ნიჭიერებითა და ცოდნით, სახელი გაითქვა, როგორც მამაცმა მეომარმა და წინდახედულმა სარდალმა.

იოანე მეტად ახალგაზრდა ჩაება სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში და დიდი წარმატებითაც მონაწილეობდა რამდენიმე ათეულ მცირე შეტაკებასა თუ ისეთი დიდი მასშტაბის ომში, როგორიც იყო 1795 წლის კრწანისის ომი.

ჯერ კიდევ 1789 წელს ებრძვის იგი ლეკებს ზედაველაზე და გააქცევს მათ.

1790 წელს იოანე იმერეთშია მეტად მნიშვნელოვანი დავალებით — დაიცვას სოლომონ მეორე ტახტის პრეტენდენტთა შემოტევისაგან.

იოანე ბრწყინვალედ ასრულებს დავალებას.

1795 წელს იოანემ, როგორც ქართველთა ავანგარდის სარდალმა, კრწანისის ბაღებში მიიღო მტრის პირველი დარტყმა და სასტიკად დაამარცხა შემტევნი, რის გამოც მტერი იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო და ქალაქისათვის სხვა მხრიდან შემოეტია; მერე კი, ბიძასთან — ვახტანგთან — ერთად გადაარჩინა ერეკლე დატყვევებას.

1796 წელს იოანე შილდაშია და ამ კუთხეს იცავს ომარ-ხანის შემოსევისაგან.

1798 წელს იოანე ლეკებს შეებრძოლა დირბთან და სასტიკად დაამარცხა ისინი. სხვათა შორის ამ ბრძოლაში მოკლეს ლეკების ცნობილი ბელადი ალი-ფოლადი.

იმავე წელს იოანე, დავითთან ერთად, ყარსის საფაშოზე ლაშქრობს, სადაც ძმები დიდ გამარჯვებას აღწევენ.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იოანემ ომარ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში ნიახურასთან, 1800 წლის 7 ნოემბერს, როცა რუსეთის მხედრობასთან გაერთიანებულმა ქართველმა ჯარმა სასტიკად დაამარცხა ხუნძახის ბატონი და საბოლოოდ ააღებინა ხელი საქართველოს ძარცვის სურვილზე.

გიორგი XIII-ის გარდაცვალების შემდეგ იოანე აქტიურად მონაწილეობს დავითისათვის ტახტის შემომტკიცების საქმეში. იგი გენერალ გულიკოვთან ერთად ილაშქრებს იულონ ბატონიშვილის წინააღმდეგ 1801 წლის იანვარში და აიძულებს ამ უკანასკნელს სასწრაფოდ დატოვოს ქიზიყი და გაბრუნდეს ქართლში.

როგორც ცნობილია, დავითის ფორმალური რეგენტობაც ცოტა ხანს გაგრძელდა, მაგრამ უფრო მწარე გამოდგა იოანეს ხვედრი. იგი მოხვდა

მეფის ოჯახის წევრთა სწორედ იმ ჯგუფში, რომელმაც პირველმა დატოვა საქართველო ჯერ კიდევ 1801 წლის მარტში და შემდეგ აღარასოდეს არ დაბრუნებულა უკან.

ამ ჯგუფში იოანეს გარდა შედიოდნენ მისი ძმები მიხეილი და ბაგრატი.

რუსეთის მეფის კარზე ძმები გულუხვად დააჯილდოვეს.

იოანე ჯერ მოსკოვს შეჩერდა, მაგრამ ჩქარა იგი პეტერბურგში გაიწვიეს და 1802 წლის 6 თებერვლიდან იქ დარჩა საბოლოოდ.

1830 წელს იოანე გარდაიცვალა და დატოვა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც მოგვიანებით მისმა შვილიშვილმა იოანე გრიგოლის ძემ გადასცა პეტერბურგის ბიბლიოთეკას — (დღევანდელი ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის წიგნთსაცავი).

იოანე ძალიან ადრე ჩაება თეორიულ და პრაქტიკულ სამეცნიერო მოღვაწეობაში. დავითთან ერთად, 1794—1798 წლებში მას ქართლ-კახეთის აღწერას ავალებენ.

საქართველოში ყოფნის დროს წერს იოანე (1799 წელს) სჯულდებას, რომელიც წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმის პროექტს. პროექტი არ განხორციელდა, საყოველთაოდ ცნობილი მიზეზის გამო — 1801 წელს გაუქმდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო.

რუსეთს დამკვიდრების შემდეგ იოანე მთელი მისი უდიდესი ენერგიით აჩაღებს სამეცნიერო-ლიტერატურულ მუშაობას და წერს არა ერთ და ორ ორიგინალურ შრომას, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა". იგი მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში იწერებოდა — დასრულებულა 1828 წელს.

სწორედ „კალმასობაში" წარმოგვიდგა იოანე პირველად, როგორც გრამატიკოსი.

როდის დაიწერა „კალმასობის" გრამატიკა, ანუ პირველი გრამატიკა, ძნელი სათქმელია. მართალია, იგი მოთავსებულია იმ ამბებთან, რომლებიც 1798—1800 წლებს შორის ხდება, მაგრამ ეს თავისთავად არაფერს ამბობს: რადგან, როგორც ცნობილია, „კალმასობის" წერა იოანეს რუსეთში დაუწყია დაახლოებით 1813 წელს და არ ვიცით ცალკეული ნაწილის დაწერის თარიღი.

უფრო გვიან, 1829 წელს, იოანეს დაუწერია მეორე გრამატიკა, იონა ხელაშვილის შეკვეთით. ამ უკანასკნელს იგი გამოუგზავნია სოლომონ დოდაშვილისათვის, რათა დაებეჭდათ და გამოეყენებინათ ქართულ სკოლებში. მაგრამ სოლომონს ამ დროისათვის უკვე მზად ჰქონდა სა-

კუთარი გრამატიკა (დაწერა 1827 წელს) და, ცხადია,იოანეს შრომას ვეღარ დაბეჭდავდა!

მეორე გრამატიკა დღემდე არ დაბეჭდილა.

პირველი გრამატიკა

როგორც ზემოთ ვნახეთ, ალ. ცაგარელს იოანე ბაგრატიონის გრამატიკული შრომების შესახებ აქვს რამდენიმე ცნობა, პირველი ეხება 1829 წელს დაწერილ გრამატიკას: „შეგრენი ამბობს, რომ მას აქვს ხელნაწერი ქართული გრამატიკა ბატონიშვილის იოანეს მიერ შედგენილი 1829 წელს პეტერბურგში“ [1], — მე არ მინახავს ეს გრამატიკაო, — დასძენს ამ ცნობასთან დაკავშირებით ალ. ცაგარელი და მეორეგან მიუთითებს: „მეტად ვწუხვარ, რომ ხელთ არა მაქვს წიგნი „კალმასობა“, რომელსაც იოანე ბატონიშვილს მიაწერენ და რომელშიაც სხვათა შორის ლაპარაკია გრამატიკის შესახებო [2].

1948 წელს „სახალხო განათლებაში“ დოც. ლ. მეფარიშვილი წერდა, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წიგნთსაცავში ინახება ი. ბატონიშვილის გრამატიკის ხელნაწერი, თავის დროზე იოანე ხელაშვილის მიერ სოლომონ დოდაშვილისათვის გამოგზავნილი.

ლ. მეფარიშვილის აზრით, საინტერესო იქნებოდა ს. დოდაშვილის და ი. ბატონიშვილის ამ გრამატიკების ურთიერთშედარება იმის დასამტკიცებლად, აიღო თუ არა დოდაშვილმა ბატონიშვილისგან რაიმე.

უფრო გვიან, 1962 წელს, საქ. მეც. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბეში“ იბეჭდება ნ. გოგუაძის საგანგებო წერილი „იოანე ბატონიშვილის გრამატიკა“.

წერილში გაანალიზებულია ის გრამატიკა, რომელიც დაიწერა 1829 წელს [3].

ნ. გოგუაძე იქვე იძლეოდა ამ გრამატიკის შედარებით განხილვას ანტონის გრამატიკებთან და იოანესავე პირველ გრამატიკასთან, რომელიც „კალმასობაში“ იყო მოთავსებული, ე. ი. პირველი გრამატიკა მკვლევრისათვის იყო დამხმარე საშუალება საკუთარი საკითხის ძიებისას.

---

[1] Ал. Цагарели. О грамм. лыт., გვ. 41.

[2] იქვე, გვ. 108.

[3] მისი ორი ხელნაწერია ცნობილი. მეორე — ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში ინახება (შიფრი Σ—44). ჩვენ ამ ხელნაწერით ვსარგებლობდით.

1968 წელს პირველ გრამატიკას შეეხო ნ. კოტინოვა „ცისკრის“ ფურცლებზე[1], მაგრამ მისი დეტალური განხილვა არ მოუცია.

ერთი სიტყვით, იოანეს პირველი გრამატიკის შესახებ მნიშვნელოვანი ჯერჯერობით თითქმის არაფერი დაწერილა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გრამატიკის ტექსტი (მართალია, არც თუ მთლად უნაკლოდ, მაგრამ ასე თუ ისე მაინც სრულად) ორჯერ დაიბეჭდა, ჯერ 1862 წელს („ცისკრის“ გამოცემა დ. ბაქრაძის წინასიტყვაობით[2]) და, მეორედ, 1895 წელს (ზ. ჭიჭინაძის გამოცემა — იმავე წინასიტყვაობით[3]).

ამ შრომის ასეთი მივიწყების მიზეზი, ვფიქრობთ, ის უნდა იყოს, რომ ჩვენს დროში „კალმასობის“ გამომცემლებმა[4] გრამატიკული ნაწილი მისგან რატომღაც ამოიღეს, ძველი გამოცემები კი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, რის გამოც ბევრმა საერთოდ არ იცოდა ი. ბაგრატიონის გრამატიკების არსებობა.

ორიოდე სიტყვა გრამატიკის ხელნაწერებზე.

„კალმასობის“ პირველ გამომცემელს ხელთ ჰქონია იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფი, რომელიც ამჟამად თბილისის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში ინახება (Q—720). ეს ხელნაწერი ნაკლულია. აკლია მე-10 რვეული, რომელიც იმავე ფონდშია შიფრით (Q—577)[5].

Q—577 შეიცავს 9 ფურცელს, რომელთაგან სამი, მართალია, „კალმასობის“ ნაწილია, მაგრამ — არაგრამატიკული, ე. ი. გრამატიკული ნაწილი ამ (Q—577) ხელნაწერში 6 ფურცელია და, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რვეული ჩვეულებრივ 8 ფურცლისაგან შედგება, უნდა ვიფიქროთ, 2 ფურცელი სადღაც დაკარგულია.

საქმესთან ახლოს გაცნობაც ადასტურებს ამ მოსაზრებას, რვეულს აკლია ორი ფურცელი — ერთი თავში და ერთი ბოლოში.

ერთი სიტყვით, თუ Q—720-ს მივუმატებთ Q—577-ს ხელნაწერს, ტექსტი აღდგებოდა ორი ფურცლის გამოკლებით და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დაკარგული ორი ფურცლიდან ერთის ტექსტი უკვე დაბეჭდილშია შეტანილი, საბოლოოდ დადგინდება, რომ ხელნაწერს აკლია მხოლოდ ერთი ფურცელი.

---

[1] იხილეთ ზემოთ, გვ. 59—63.

[2] ამ გამოცემას გულისხმობდა ალ. ცაგარელი.

[3] როგორც გამომცემელი მიუთითებს, ტექსტიც პირველი გამოცემიდანაა გადმობეჭდილი.

[4] I ტომი გამოვიდა 1936 წელს, II—1948 წელს კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით.

[5] ამ ხელნაწერთა ურთიერთობა გარკვეული ჰქონდა ნ. გ ო გ უ ა ძ ე ს, რომელმაც მისი შრომის სამეშაო ეგზემპლარი სიამოვნებით დაგვითმო, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ხელნაწერისა და ნაბეჭდის შედარებამ გამოაელინა სხვა ფაქტიც. სახელდობრ: გამომცემლებს ხელნაწერიდან ამოუღიათ ბევრი ადგილი, ზოგან მთელი გვერდები, ზოგან აბზაცები, ან სტრიქონები [1].

ეს გრამატიკა კითხვა-მიგების წესითაა დაწერილი ისე, როგორც მთელი „კალმასობა“.

კითხვაზე, თუ „რაი სახმარ არს ცნობად დაწყებისა ღრამმატიკისა-სა“, იოანე მიუგებს:

— ოთხნი იგი გვარნი მოძღვრებითნი, რომელნიც შეუდგებიან და ემდევრებიან ღრამმატიკას.

კითხ.: რაი არს სახელები მათი?

მიგ.: განსაზღვრება, განწვალება, აღმოჩენა და აღლება.

კითხ.: კვალად რაი სახმარ არს ცნობად?

მიგ.: ესე ვითარმედ ყოველი რაი არსობით მკითხველი საზღვარისა ეძიებს მიგებად.

კითხ.: მესამე რაი სახმარ არს ცნობად?

მიგ.: საზღვარს შინა უნდა ჰსჩნდეს სამნი რამენი, ესე იგი სახე, ნათესავი და განყოფილება.

კითხ.: რაი არს ღრამმატიკა და ანუ განყოფილება მისი?... (გვ. 126).

საკმარისია, მოვიგონოთ დ. ბაგრატიონის გრამატიკის სათანადო ადგილი და დავრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს ტექსტების აბსოლუტურ დამთხვევასთან.

მართალია, იოანე შემდგომში თავისი უფროსი ძმის დებულებებიდან ხშირად გადაუხვევს, მაგრამ საჭიროა ახლავე ითქვას, რომ მისი გრამატიკის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს სწორედ დავითის გრამატიკა. მეორე ძირითადი წყარო იოანეს გრამატიკისა იყო გაიოზის ნაშრომი, რომლისგანაც იგი უფრო დავალებულია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მესამეც — ანტონი — პირველი ორის საერთო სათავე და რომლისგანაც თვით იოანეც სესხულობს დავითისა და გაიოზის გვერდს ავლით.

ყველა ამაზე თავის ადგილას მივუთითებთ, აქ კი ერთ რამეზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ.

გრამატიკის განმარტებისას იოანე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ წინამორბედთა განსხვავებით, არისტოტელესა და ვირგილიუსს იმოწმებს: „გრამატიკა ბერძნული ლექსია, ნიშნავს მწიგნობრობას[2]. არისტოტელე

---

[1] ჩვენთვის საორიენტაციო ნაბეჭდი ტექსტია და მითითებაც მასზე იქნება („კალმასობა“, ზ. ჰიპინაძის გამოცემა, თბ., 1695 წ.), ტექსტში გამოტოვებული ადგილები ხელნაწერის მიხედვითაა აღდგენილი.

[2] ღრამმატიკა მწიგნობრობააო, — დავითიც ამბობდა.

საზღვრავს ესრეთ: ღრამმატიკა არს ცნობა, ვითარცა წერისა, ეგ სახედ უწყება წაკითხულისა და იგი არს ყოველთა ხელოვანთა საფუძველი.

ვირგილია საზღვრავს ეს სახედ: ღრამმატიკა არს უძვირფასესი თითქმის სხვათა ყოველთა თავისუფლებითთა ხელოვნებათა მცნობელობათა ზედა" (გვ. 127). გაუგებარია, საიდან აიღო ეს „ცნობები" იოანემ.

რაც შეეხება გრამატიკის საკუთარ განსაზღვრას, იგი მთლიანად იმეორებს დავითს: „ხოლო ჩვენ ვსაზღვრავთ ესე გვარ, ღრამმატიკა არს შემძლებლობა, მართალ უბნობად და წესიერ წერად" (გვ. 127).

გრამატიკის შემადგენელი ნაწილებია: წიგნი, მარცვალი, ლექსი და სიტყვა.

წიგნისათვის

წიგნის განსაზღვრაში იოანე გაემიჯნა დავითსაც და ამდენად ანტონსაც. მისთვის მისაღები აღმოჩნდა გაიოზის განსაზღვრა: „წიგნი არს წერილი რაიმე მნიშვნელი ასოისა", ხოლო „ასოს" განსაზღვრისას იოანე დავითს დაეყრდნო („ასო არს ოხერა რაიმე ნაწევრობითი რამეთუ შეეკრვისცა და ენების სხვისთანა ასოსა და სრულსა ხმასა გამოიღებს" (გვ. 127).

დავითისგან განსხვავებით (რომელთანაც ასოები ჩამოთვლილი არაა), იოანემ ჩამოთვალა ქართულ ენაში არსებული ორმოცი ასო და დაყო სამ ჯგუფად: ხმოვნად, ორხმოვნად (გაიოზის ტერმინია) ანუ თანხმოვნად (დავითის ტერმინია) და უხმოდ.

მათი განმარტება იოანემ ზუსტად გაიოზის მიხედვით მოგვცა: „...ორხმოვნად ამისთვის იწოდებიან, ვითარმედ სულისკვეთითა ხმათა შორის გადმოჰსცემენ ბრჯგუდ ორხმოვანთა ხმათა (გვ. 128, გაიოზი, გვ. 50). გაიოზისგანაა აღებული ხმოვნისა და უხმოს განმარტებებიც.

ამას მოსდევს კვლავ გაიოზიდან აღებული სქოლიო მართლწერის შესახებ იმ განსხვავებით, რომ გაიოზი მიუთითებს პარაგრაფებს (§ 265, § 266, § 267), მაგრამ არაფერს ამბობს საიდანაა ეს პარაგრაფები (ერთგან ასე დავითთანაც გექონდა), იოანე კი მიაწერს: „მე აღარ განვაგრძობ ამა ნიშანთა ხმარებასა, თუ რაისა შინა ნახმარ არს, იხილე დიდსა ღრამმატიკასა შინა (კათალიკოზის ანტონის მიერ ქმნილსა)" (გვ. 128).

აქედან იოანე კვლავ დავითს უბრუნდება და ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ოხერითი წარმოებული ხმა ორად იცვლება: ხმად და არახმად.

მარცვალი

მარცელის განმარტებისას იოანეს ორივეს განმარტება შეუერთებია და ოდნავ შეუცვლია.

იოანე	გაიოზი	დავითი
„მარცვალი არის მარტივი სულის კვეთითი ხმა რაიმე, რომელი ერთითა ოხერითა გამოიღების პირისაგან კაცისა და არს შედგმული ერთისა ანუ მრავალთა ასოთა ძალით, მაგ.: უ-ფა-ლი, მა-მა, დე-და და სხვა“ (გვ. 129).	„მარცვალი არს მარტივი სულის კვეთითა ხმა შედგმული ერთისა ანუ მრავალთა ასოთა ძალით მაგ.: უ-ფა-ლი: მა-მა, დე-და და სხვ.“ (გვ. 50).	„მარცვალი არს ხმა რაიმე რომელი ერთითა ოხერითა გამოიღების პირისაგან კაცისა“ (გვ. 1).

ასეთ განმარტებას მოსდევს მარცელის ნაირსახეობის აღნიშვნა და შემდეგ რატომღაც ისევ უბრუნდება ასოს და მოაქვს დავითის გრამატიკიდან („ესრეთ ვითარ კაცი არს შედგენილი სულისა და...“) საკმაოდ გაჭიანურებული მსჯელობა.

ლექსი

ლექსის განმარტება მთლად გაიოზიდანაა აღებული: „ლექსი არს მარტივი ანუ ჰრთული სულისკვეთითი ხმა“. და იქვეა მიწერილი გაიოზთან არსებული სქოლიო—„რიცხვნი მარცვალთანი აღირიცხვიან რიცხვთა ძალით ხმოვანთა ასოთა“,—მაგრამ იოანე არ მიუთითებს, რომ ეს სქოლიოა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს წინადადებაც ლექსის განსაზღვრაში შედიოდეს.

შემდეგი კითხვა-პასუხი იოანემ უკვე დავითის მიხედვით ააგო: კითხ.: „რომლითა განეყოფის ლექსი ასოისა და მარცვლისა? მიგ.: „ამითა ვითარმედ ლექსი ხმა არს სანიშნო, ხოლო იგინი არ არიან სანიშნო (იოანე, გვ. 130; დავითი, გვ. 15).

კვლავ დავითის მიხედვითაა გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, თუ რით გვანან და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ლექსი და სიტყვა (წინადადება).

სიტყვა

სიტყვის განსაზღვრაში პირველობა კვლავ გაიოზს ეთმობა: „სიტყვა არს მარტივი ანუ შედგენილი ლექსთა ძალით მნიშვნელად აზრისა

მის რომელიც უბნობს. მაგ.: — შვილნი თანამდებ არიან შეუვარებად და პატივისცემად მშობელთა; ვჰსწავლობ, ვესავ, მიუვარს, ვაქებ და სხვა“ (იოანე, გვ. 131; გაიოზი, გვ. 51).

ამის შემდეგ მოდის ისევ დავითის გრამატიკიდან საკმაოდ ვრცელი ამონაწერი და სრულიად უმნიშვნელო ცვლილებით. აქვეა მსჯელობა დავითის „შინაგან მდებარე სიტყვაზე“.

წინადადების მოდალური სახეობების გამოყოფაშიაც იოანე დავითს ემთხვევა: სიტყვა იყოფა ხუთად — საზღვრებითად, ბრძანებითად, საწადად, იპოტეტიკად ანუ უკეთუობითად, განუსაზღვრებელად. ნათქვამი იმავე მაგალითებითაა ილუსტრირებული, რაც თავის დროზე დავითმა ანტონისგან აიღო.

სახელი

გაიოზთან ეს თავი ასეთი სახელწოდებითაა — „თვის პირველისა სიტყვისა ნაწილისა, რომელ არს სახელი“. იოანემ იგი გადააკეთა — „სახელისათვის რომელ არს პირველი ნაწილი“ — და აზრი გაუგებარი დარჩა.

სახელის განმარტებაც კვლავ ოდნავ შეცვლილი სახით აღებულია გაიოზისგან: „სახელი არს ნაწილი სიტყვისა მნიშვნელი არსებისა გინა ნივთისა, ანუ პირისა რაისამე, მაგ.: უფალი, ცა, ქვეყანა, კაცი, ცხენი, თეთრი და სხვა“ (იოანე, გვ. 133), „...სახელი არს ნაწილი სიტყვისა მნიშვნელი ნივთისა ანუ პირისა რაისამე დასახელებით. მაგ.: უფალი, ცა, ქვეყანა, კაცი, ცხენი, თეთრი და სხვა“ (გაიოზი, გვ. 53).

აქედან მოყოლებული იგი სიტყვა-სიტყვით იმეორებს არსებითისა და ზედსართავის ჯგუფების გაიოზისეულ ინტერპრეტაციას.

იოანე ნაკვეთის განსაზღვრისას ტოვებს გაიოზთან მოცემულ სქოლიოს იმის შესახებ, რომ: თუ ჰრთულნი სახელნი შედგენილნი არიან ორი სახელისაგან ან სახელისა და ზმნისაგან, ბრუნვისას პირველი ნაწილი არ იცვლება და იბრუნვის მეორე ნაწილი (მამაკაც-ი, მამა-კაც-მა, მამა-კაც-ს... თვით-მე, თვით-ჩემი:...), ხოლო თუ არსებითი შეხვდება მიმღეობას ან ზედშესრულს, პირველი იქნება ნათესაობითში, ხოლო მეორე იბრუნვის.

ერთი სიტყვით, ლაპარაკია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაზე, მაგრამ, რადგან ეს წყვილები კომპოზიტადაა ქცეული და ერთ სიტყვად აღიქმება, რა თქმა უნდა, იბრუნვის მისი მეორე ნაწილი, თუმცა, არა გვგონია, იოანემ ეს ადგილი იმიტომ გამოტოვა, რომ მის სისწორეში შეეპარა ეჭვი.

ს ა ხ ე ც სამია და მასში შემოდის სიტყვათწარმოქმნა. აქ იოანე და-

ვითს უბრუნდება და სახის განმარტებაც ამ უკანასკნელის სტილში აქვს მოცემული: „არიან ვინაითგან მარცვალნი ესე ანუ დაემატებიან პირველ სახეთა სახელთა ზედა და ჰსცვლიან ვითარსამე მნიშვნელობასა მისსა, ამისათვის პოვნილ არიან რაოდენიმე გვარობანი სხმით გარდასვლითისანი, რომელთაც უწოდებენ აღლამათა ანუ კერპთა, რომელნიცა აღირიცხვიან ქვემორე“ (იოანე, გვ. 136).

ტერმინი „ა ღ ა ლ მ ა“ გაიოზთან არაა. იგი მოდის ანტონის პირველი გრამატიკიდან და ცვლის მეორე გრამატიკის „ხ ა ტ ს“.

დავითი „ა ღ ა ლ მ ა ს“ რამდენიმე ადგილას განმარტავს და სჭოლიოში წერს: „აღალმა, გვარი, გინა კერპი, გინა ხატი. კერპი არს ნაკვეთი, რომლითაცა სახით სხეული წარმოდგომილ არს და მით დანაკვეთებულთა სახითა იხილვების ვითარ იგი ანდრეანტი სახე კაცისა, რვალისა ქვათა და ეგე ვითართა“ (დავითი ,გვ. 26) .ეს შენიშვნა იოანეს გადმოუღია ოდნავი ცვლილებით, „დავითისგანო“ — მიუწერია.

ანტონმა სიტყვათწარმოების 18 სახე იცოდა: დავითმა იგი უცვლელად გადაიღო, გაიოზმა თვრამეტი 10-ზე დაიყვანა, იოანე ამჯერად არცერთ ავტორს არ გაჰყვა და მოგვცა 13 ჯგუფი.

ანტონი და დავითი	გაიოზი	იოანე
1. მოგებითი	1. მოგებითი	1. მოგებითი
2. ზესთაობითი	2. ადგილობითი	2. ადგილობითი
3. კნინობითი	3. ნათესაობითი	3. ნათესაობითი
4. ნათესაობითი	4. ქონებითი	4. ქონებითი
5. შემცველობითი	5. არსებითი	5. არსებითი
6. არსებითი	6. წესებითი	6. წესებითი
7. თანაშეყოფითი	7. კნინობითი	7. კნინობითი
8. სახელზმნა-სხმითი	8. უკუთქმითი	8. მდედრობითი
9. ქონებითი	9. შემსგავსებითი	9. მფარველობითი
10. აღმატებითი	10. სახელზმნა-სხმითი	10. შემსგავსებითი
11. მდედრობითი		11. საკუთრივ შემსგავსებითი
12. მფარველობითი		12. უკუთქმითი
13. შემსგავსებითი		13. სახელზმნა-სხმითი.
14. უღლვითი		
15. იგივეობითი		
16. წესებითი		
17. შემდგომითი		
18. უკუთქმითი		

იოანე. როგორც ვხედავთ. ძირითადად გაიოზს მიხდევს, თუმცა ანტონ-დავითის ტრადიციასაც არ ივიწყებს. მასთან. გაიოზისგან განსხვავებით, მეტია „მდედრობითი“ და „მფარველობითი“ და ყველასგან განსხვავებით — „საკუთრივ შემსგავსებითი“, რომლის საილუსტრაციოდ (სრულიად გაუმართლებლად) მოაქვს „ქრისტიანე“ (ანე), „ვასილიანე“ (იანე).

თუ „მფარველობითის“ სიაში შეტანას ასე თუ ისე მაინც ჰქონდა გამართლება, „მდედრობითის“ დატოვება იმ შენიშვნის შემდეგ, რაზედაც ქვემოთ იქნება ლაპარაკი, გაუგებარია.

მდედრობითში ანტონს შეჰქონდა ა, ნა („უფალა“, „მთავრინა“), „ამად რომელ მონაბნი სახელთანი დაჰნიშვნენ მდედრობითად: ხოლო კერძოკნი სახელსა თანამოსაბმი, რათა დანიშნოს სახელი მამრობითად-ცა არა სადა იპოების ჩვენისამებრ ენისა“ (გვ. 131). ამ ჯგუფს დაეითმაცოტა სხვანაირი შენიშვნა გაუკეთა: „მამრობითისა კერძოკნი სხმით-გარდასვლითისა ქართულთა-მებრ ენისა არა მოვლენ, არამედ ბერძენთა ენისსა ვიხმეოთ. მაგ.: მატთეოს, და ეგ-სახედ მდედრობითისას მისვე ენისგან მივიღებთ მრავალგზის ვითა ესე ანასტასია, პელაგია და სხვა“ (გვ. 30).

იოანე თავის მხრით უმატებს: „...რომელნიმე ზედწოდებითი სხვათათანა არიან მნიშვნელნი მამრობითისა და მდედრობითისა. უკანასკნელის მარცვლის შეცვალებისა გამო ესრეთ. მაგ.: უფალი არს მამრობითი, უფალა—მდედრობითი და სხვანი. თუმცა არა ხმარობენ ესე გვარ ქართველნი გარჩევით, გარნა ბერძენთა ენისგან არს ძველთა ფილოსოფოსთაგან მოღებული“ (გვ. 137—ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

რიცხვი ორია ყველგან და ყოველთვის.

ბრუნვა რვაა. ყოველი ბრუნვის ფუნქცია და ადგილი გაიოზის მიხედვითაა აღწერილი, მაგრამ ამ უკანასკნელის ერთი შენიშვნა იოანემ მაინც თავისებურად შეაკეთა.

გაიოზი „სჭოლიოში“ ამბობს: „გულისხმა-ჰყავ, ვითარმედ ამათ შორის (იგულისხმება ბრუნვები — ა. ფ) წრფელობითი და შემასმენლობითი ჰმსგავსებენ ურთიერთსა და ჰმსგავსცა არიან და განრჩევასა მათსა მიიღებენ სივნტაქსსა შინა“ (გვ. 57). იოანემ შემასმენლობითს წოდებითიც მიუმატა: „ჩვენს ენასა შინა წრფელობითი ბრუნვა და შემასმენლობითი, ოდესმე წოდებითიც მსგავსს არიან, ვითარცა ზემორე ჩანს (თუმცა ზემორე არაფერი ჩანდა — ა. ფ.) და კვალადცა გვიჩვენებს სინტაქსსა შინა“ (გვ. 139).

იოანესთან ამას მოსდევს ბრუნების დახასიათება და მდგომარეობაც აქ რთულდება, რადგან, როგორც ადრეც ვნახეთ, გაიოზმა ქართული

ენის სიტყვათა ბრუნება ნათესაობითის ისა, ჲსა, სი-ს განსხვავებამდე დაიყვანა, ბოლოს ეს განსხვავებაც გააუქმა და ქართულში ბრუნების მხოლოდ ერთი ტიპი დააწესა, მაშინ, როცა ანტონს (და მის მიხედვით დავითს) ბრუნების ოთხი ტიპი ჰქონდათ.

იოანე ხედავს ამ სხვაობას და ცდილობს, როგორმე გაასწოროს გაიოზის „გ ა დ ა ხ რ ა“ („...რომელნიმე ბრუნვანი საზოგადოისა და სათვითოსანი ჰმსგავსობენ ბრუნვასა წრფელობითსა შინა, ხოლო ნათესაობითსა შინა განიყოფებიან, ვითარცა მარიამ, მარიამისა; არსება, არსებისა, მზე, მზისა. ხოლო ესე განეყოფების ამით ქრისტე, ქრისტესი; ანნა ანნასი და სხვანი მსგავსნი მათნი. ა, ი, უ, ე, და სხვა ხმოვანთა ზედა ანუ უხმოთა დაბოლოებულნიც ესეგვარ იქცენ“ (გვ. 139), მაგრამ ვერ ახერხებს ამას.

იოანე არ ივიწყებს გაიოზის მითითებას რიცხვით სახელებზე, რომ არიან მარტივნი (ერთი, ორი, პირველი, ასი) და რთულნი (ათერთმეტი, ათოთხმეტი)... „და ესრეთ ამათაცა შესაძლებელ არს ბრუნვად, ვითარცა ზემოხსენებულნი სახელნი“ (იქვე).

ნაცვალსახელი

„ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც ნაცვლად სახელისა დაიდების ანუ იხმარების სიტყვისა შინა“ (იოანე, გვ. 141; გაიოზი. გვ. 61).

ნაცვალსახელს ყველა თვისება აქვს, რაც სახელსო, ამიტომ ისინი განიყოფიან არსებითად და ზედშესრულადო — ამბობს გაიოზი. მას ეთანხმება იოანე, მაგრამ განსაზღვრაში კორექტივი შეაქვს დავითის პოზიციებიდან: „ესე არს განყოფილება ნაცვალსახელისა სახელთა თანა, რამეთუ სახელი არსებისა არ არის პირობითად დამნიშვნელი. მერმეცა და არც მიმღეობაი, ხოლო დაკლებითა ჟამისათა განეყოფის ზმნასა. ხოლო სხვაითგან უნიშნოთა ყოვლითურთ გამოსაზღვრებელ არს მათგან“ — (დავითი, გვ. 42; იოანე, გვ. 141).

ნაცვალსახელის ჯგუფებია: არსებითი, ჩვენებითი, მიგებითი, ადგილობითი, კვალამოღებითი და კითხვითი — სულ ექვსი — იმდენი რამდენიც გაიოზთან, ე. ი. ორით (ადგილობითი და კითხვითი) მეტი, ვიდრე ანტონთან და დავითთან. გაიოზთან მათი ცალ-ცალკე დახასიათება ნათლად არაა მოცემული, იოანე თითოეულს ცალ-ცალკე ახასიათებს და, რაც მთავარია, ეძებს ყველაზე უფრო რაციონალურ ნიშნებს ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელს.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ანტონს განსაზღვრაში შემოაქვს მითი-

თება იმაზე. რომ ეს ნაცვალსახელები (ეს. ეგ. ისი) განარჩევენ ნივთის, პირველ, მეორე. თუ მესამე პირთან სიახლოვეს. დავითს ეს გარემოება სრულიად გამორჩა. გაიოზმა კი მხოლოდ ამას გაუსვა ხაზი, იოანეც ერთიც აღნიშნა და მეორეც, ოღონდ არც თუ მთლად ნათლად.

ნაცვალსახელთა მდევარნი ყველა ავტორისათვის ექვსია და არავითარ განსაკუთრებულს არ იძლევა.

ნაცვალსახელის ბრუნვათა პარადიგმების ჩვენებისას იოანემ ანტონს მიჰბაძა და მოგვცა წყვილთა ბრუნება: მე, ჩვენ; შენ, თქვენ: იგი, იგინი; ეს, ესენი: ის, ისინი: ეგ, ეგენი: ჩემი, ჩვენი.

ზმნა

ზმნის განსაზღვრებაშიც იოანემ გააერთიანა გაიოზი და დავითი

გაიოზი	დავითი	იოანე
„ზმნა არს ნაწილი სიტყვისა. რომელიც ნიშნავს ანუ ყოფასა. ანუ მოქმედებასა არსისასა. მაგ.: ვარ, ვმყოფობ, ვჰსწერ, ვჰმართებ და სხვა“ (გვ. 66).	„ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც ჰქმნასა და ვნებასა ჰნიშნავს ქვეშე ჟამისა პირითურთ“ (გვ. 46).	„ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც ნიშნავს ანუ ყოფასა და ანუ მოქმედებასა არსისასა, აგრეთვე ქმნასა და ვნებასა ნიშნვიდეს ქვეშე ჟამისა პირითურთ. მაგ.: ვარ, ვმჰყოფობ, ვჰსწერ, ვჰმართე და სხვ“ (გვ. 147).

იოანემ გაიოზისა და დავითის ნააზრევის ასეთი შეერთებით აღადგინა ის, რაც თავის დროზე ანტონთან იყო.

ამის შემდეგ ლაპარაკია კანონიერ და უკანონო ზმნის მდევრებზე — უველგან გამეორებულია გაიოზი.

მაგრამ როგორც კი საქმე მივიდა ზმნის ნათესავის (გვარის) განმარტება-ილუსტრირებაზე, იოანემ გაიოზის მეტად გონებამახვილურ მოსაზრებას რატომღაც გვერდი აუარა და უკეთესიც ვერ მოგვცა.

გაიოზი წერს: „რამეთუ ყოველი ზმნა, ოდესცა ჰნიშნავს მოქმედებასა რაისამე ვნებულითურთ, ე. ი. არს ნამოქმედებით, იწოდების შემოქმედებით ად. მაგ.: „ვჰსწერ“, „ვჰსჩრი“, მყისვე წარმოვიდგენ გონებასა შინა, ვითარმედ მეტყველი ამისა მოქმედებს „ჩრასა“ და

„ჰსჭრის რაისამე, სადაცა ცხად იქმნების მოქმედება „ჭრისა“ გაჭრილითურთ. ესე იგი არს ვნებულითურთ, ანუ ნამოქმედებით. ესრეთვე ყოველი ზმნა ოდესცა ნიშნავს ვნებასა რაისამე მოქმედებითურთ ითქმის ვ ნ ე ბ ი თ ა დ. მაგ.: „ვიჭრები“, რომელსაც შინა ჰსჩანს მოქმედიცა, ვითარმედ იჭრების ვისგანმე...“ (გვ. 136).

იოანესთვის „შემოქმედებითნი არიან იგინი, რომელნიც მოქმედებასა ვისამე ვნებულისადმი დაჰნიშვნენ. მაგ.: „შეეიყვარებ“, „ვამკობ“, „ვაგებ“ და რომელნიცა ქმნასა „სიყვარულისა“, „მკვისა“ და „ქებისა“ დაჰნიშვნენ ვისამე ვნებულსა მიმართ.

ვ ნ ე ბ ი თ ნ ი არიან იგინი, ოდესცა ნიშნავს ვნებასა რაისამე მოქმედებითურთ, ანუ თვის ზედა, ანუ სხვათა ზედა. მაგ.: „ვიჭრები“. აქ ჩანს მოქმედი სხვაი ვინმე, რომლისგანაც იჭრების ხოლო „ვსჭრი“ აქა აჩვენებს თავსა თვისსა მოქმედსა და მას ჭრილსა ვნებულად“ (გვ. 166).

ვნებითის განსაზღვრაში „ვსჭრი“ ფორმის შემოტანამ გააძნელა საქმის ვითარებაში გარკვევა.

ნ ა კ ე თ ი ს განმარტებისას იოანემ გვერდი აუარა გაიოზის შესანიშნავ მიგნებას ზმნისწინთა ფუნქციის შესახებაც, რომ: „იგი უფროსად და საჭიროდ დაესმიან ზმნათა ნამყოისა და მყოობადისა დროისათა და უკეთუ ოდესმე მოეკიდებიან ზმნათა აწმყოისა დროისათა. მაშინ მნიშვნელობასა მისსა ჰყოფენ მყოობადად“ (გაიოზი, გვ. 68) და ანტონ-დავითის გზას გაჰყვა, თუმცა ტმესის მაგალითი, არასწორად შერჩეული, საკუთარი მოიტანა ვეფხისტყაოსნიდან[1] („რამგამა“).

ს ა ხ ი ს განსაზღვრა-განაწილებაშიც იოანე გაიოზს მისდევს და იმეორებს იმავე შეცდომებს, რაზედაც გაიოზის გრამატიკის გარჩევისას გვქონდა საუბარი (იხ. აქვე გვ. 213).

რ ი ც ხ ვ ი არ იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, იგი ყველასთან ორია.

პ ი რ ი — სამი.

დ რ ო — სამი: აწმყო, ნამყო და მყობადი „ნამყოდან იწარმოების ნამყო სრული (გამორჩა ნამყო უსრული — ა. ფ.), ნამყო უსრულესი და ნამყო უსრულესი, თუმცა ბოლოს მაინც ექვს დროზე ლაპარაკობს.

ს ჭ ე ს ი ს (ანუ კილოს) კატეგორია იოანესთან ხუთია და არა ოთხი, როგორც გაიოზთან იყო.

ამ კატეგორიის განსაზღვრისას იოანე უფრო ანტონ-გაიოზის აზრებით სარგებლობს. ალბათ, იმიტომ, რომ დავითი სქესის განსაზღვრისას მისი თითქმის მხოლოდ ჩამოთვლითა და მაგალითის ჩვენებით კმაყოფილდება. ამ საკითხში ზოგ ორიგინალობასაც იჩენს იოანე: მან საზღვრებითი სქესი გაიოზის დარად განმარტა — „...ნიშნავს მოქმედებას

[1] იოანე პირველი გრამატიკოსია, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ იმოწმებს.

სწორს და განრჩეულსა, მაგ.: ღირს არს მუშაკი სასყიდლისა... ღა მას აქვს ექვსი დრონი“ და აქვე მოიტანა „ვარ“ ზმნის უფლების ფორმები, რაც არც ერთ სხვა გრამატიკოსთან არაა. ბრძანებითი სქესის განმარტებაშიც რედაქციული ცვლილება შეიტანა (გაიოზისგან განსხვავებით) და ისიც „ვარ“ ზმნის ფორმებით განამტკიცა.

სქესის განსაზღვრისა და ილუსტრირების დროს იოანემ საწადი ცალკე კი არ გამოჰყო, როგორც ჩამოთვლისას მოიქცა, არამედ იპოტეტიკასთან გააერთიანა: განუსაზღვრებელი სქესი საერთოდ გამოტოვა და პირდაპირ ზმნის უღლებაზე გადავიდა.

უ ღ ლ ე ბ ა ც გაიოზის მსგავსად განმარტა („კანონიერნი უკვე უღვლებანი ზმნათანი არიან ექვს, რომელნიცა პირველთა, მეორეთა და მესამეთა პირთა შინა საზღვრებითისა სქესისა აწმყოისა დროისაა კანონიერად მიმოხრილნი განირჩევიან (გაიოზი, გვ. 71; იოანე, გვ. 155) და გადავიდა მისი ჯგუფების ჩვენებაზე, ჩამოთვალა ყველა 8 (და არა ექვსი, როგორც გაიოზთანაა) „მაუღლებელი ხმოვანი“ და ყოველი უღლების ხატთა რაოდენობა, მაგალითის ჩვენებით. არ დაივიწყა პირნაკლ ზმნათა უღლება და მასში შემავალ ხატთა რაოდენობა, რაც უკვე დავითის მიხედვით გააკეთა.

აქ იოანე კვლავ ორიგინალობს: თუ გაიოზთან პირის ნიშნები ყოველი უღლების ზმნათა ჩამოთვლისთანავე ხასიათდებოდა და დავითთან კი იგი ძირითადად ზმნის მორფოლოგიური დახასიათების დროს ჩანდა, იოანემ მოგვცა პირის ნიშანთა ჩამოთვლა-დახასიათება გაიოზის მიხედვით. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყველა უღლება აღარ ჩამოთვალა. პირველი და მეორე უღლების დახასიათების შემდეგ თქვა, რომ დანარჩენი უღლება სწორედ ამათ მიჰყვებაო (გვ. 157).

უღლებათა პარადიგმების ჩამოთვლაში იოანემ საკმაო გულუხვობა გამოიჩინა (ასევე გულუხვობს გაიოზიც).

უ კ ა ნ ო ნ ო ზ მ ნ ა თ ა განხილვაც გაიოზის მიხედვითაა შესრულებული და ობიექტური წყობის ზმნათა ქებაც იქედანაა აღებული.

მან დაამთავრა ყველაფერი და კვლავ დავითს დაუბრუნდა: მოგვცა „შევჰკრავ“ (დავითის მაგალითია) ზმნის მორფოლოგიური მოდელის განხილვა: აქვეა ობიექტური წყობის ზმნათა პირის ნიშნების ჩამოთვლა დავითის მიხედვით (იოანეს დაავიწყდა, რომ ამაზე უკვე ჰქონდა საუბარი როცა მეორე უღლების ზმნებს განიხილავდა) და ზმნის უღლების განხილვა დაასრულა რამდენიმე ზმნის მორფოლოგიური ანალიზით.

სახელზმნა

ეს პარაგრაფი დავითის გავლენითაა ცალკე გამოყოფილი და თითქმის სიტყვა-სიტყვით მიჰყვება მას. „სახელზმნა არს განრჩევა წოდებით

მნიშვნელი ქმნისა ანუ ვნებისა და არს საშუალო მდებარე ზმნისა და სახელისა", განსაზღვრის პირველი ნაწილი დავითს ეკუთვნის, დანარჩენი იოანეს დამატებულია.

სახელზმნებია: წერა, კეთება და სხვა.

განუსაზღვრელი ანუ უჩინო სქესი

ეს თავიც დავითის მიხედვითაა შემოტანილი იოანეს გრამატიკაში.

მიმღეობა

მიმღეობის განსაზღვრაში იოანე კომპილაციის მეთოდს მიმართავს: პირველ ნახევარს იღებს გაიოზისგან, მეორეს — დავითისგან: „მიმღეობა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც სახელობით დაჰნიშნავს (გაიოზი) არსებისა საქმეთა ქმნათა ანუ მოქმედებათა გინა ვნებათა არსებითსა ჟამის ქვეშე „უპიროდ" (დავითი) (გვ. 177).

მიმღეობაო, — შენიშნავს იოანე, — „მექონ არს სახელისა და ზმნისა თვისებებისაცა, მაგ.: შემოქმედი, დამგდებელი, ცხოვნებული და სხვა".

იქვე იძლევა იგი დავითის აუცილებელ ფორმულირებას იმის შესახებ, თუ რით ემსგავსება ან რით განსხვავდება მიმღეობა სხვა მეტყველების ნაწილთაგან. მიმღეობის მაწარმოებლები და დროთა მიხედვით დახასიათება გაიოზისას ემთხვევა, გაიოზისგანვე მოდის მიმღეობის სახელთა პირველი ბრუნვისადმი მიკუთვნება.

ამას მოსდევს დავითისგან აღებული მიმღეობის მორფოლოგიური ანალიზი, მაგ.: „ღეთის-მეტყველებულად" ეგე ვიდრემე ჰნიშნავს მიმღეობასა უღლად განკიდურებულსა, რომელიც არს ნათესავისაებრ — ვნებითი, ნაკეთისაებრ — რთული, სახისაებრ-პირველ-სახე, რიცხვისაებრ — მხოლოობითი, ბრუნვისაებრ — მიცემითი, ჟამისაებრ — ნამყო" (იოანე, გვ. 181; დავითი, გვ. 76).

თანდებული

ამჯერად განსაზღვრაში პირველი ნახევარი დავითს ეთმობა: „არს ვიდრემე ნაწილი სიტყვისა, რომელიც ნიშნავს გარემოთა არსებასას (დავითი) და რომელიც მოეკიდების[1] სახელსა ბრუნვითა და ჰყოფს ცვალებულ მდგომარეობასა მისისა. ეედრებასა[2], მაგ.: ცათა შინა და

[1] გაიოზთანაა „მოიკიდებს".

[2] აქ გაიოზის გრამატიკის ტექსტის დამდგენი ელ. ნიკოლაიშვილი ძირითად ტექს-

ქვეყანასა ზედა არს ვედრება მისი“ (გაიოზი). იოანე აქ არ შეჩერდა და ამ მეტყველების ნაწილის განხილვაც ორიენ ავტორს დააკისრა, თუმცა თანამიმდევრობის შეცვლით; ჯერ. გაიოზს მიმართა (გვ. 181—182). მერე — დავითს (გვ. 183—184).

შეიძლება ეს შემთხვევითი არც იყოს.

დავითთან საუბარია იმაზე, რომ „თანდებულთაგან ზოგი არიან მაკეთ ბრუნვათა (გან, გამო, მიერ), ზოგი — მიმღე ბრუნვისა (ზედა, შინა ნაცვლად. მებრ. თურთ); მამკობელ სახელთა ანუ სხვათა ნაწილთა სიტყვისათა“ არიან (ცა, ღა, და სხვანი). ეს უკანასკნელი დღეს „ნაწილაკებადაა“ მიჩნეული და ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფილი. მათი ცალკე ხსენება და გრამატიკაში ადგილის მიჩნევის ცდა საინტერესო ფაქტია და ამიტომ დავითის მოხმობაც უადგილო არ ჩანს (როგორც ადრე ვნახეთ, ამაზე ანტონთანაც იყო ლაპარაკი).

ზმნიზედა

„ზმნიზედა არის ნაწილი სიტყვისა, რომელიც სქესსა ზმნათა და ვნებათასა ნიშნავს (დავითი) და რომელიც მიეკედლების ზმნასა და განავითარებს მოქმედებასა ანუ ვნებასა მისსა“ (გაიოზი).

ზმნიზედათა ჯგუფებიც ორიენ ავტორის მიხედვით შეადგინა იოანემ.

როგორც ადრე ვნახეთ, გაიოზთან გვქონდა 17 ჯგუფი. ამათგან 13 ანტონის ჯგუფებს ემთხვევა და ოთხი (1. მჰსგავსებითნი, 2. მიშვებითნი, 3. საწადი და 4. განმხნობითნი) თვითონ შექმნა. ანტონთან სულ 22 ჯგუფი იყო, ე. ი. ათი ჯგუფით განსხვავებული გაიოზისგან.

დავითთან 22 ჯგუფი გვქონდა, ე. ი. ყველა, რაც ანტონთან.

იოანემ აიღო ანტონ-დავითის 22 ჯგუფი, დაუმატა გაიოზის ოთხი ჯგუფი — მიიღო 26 ჯგუფი.

კავშირი

კავშირის აქ განხილვა თავისთავად ნიშნავს იმას, რომ იოანე მეტყველების ნაწილთა განხილვის თანმიმდევრობაში დავითს (და ანტონის პირველ გრამატიკასა და „სიმეტნეს“). გაემიჯნა. რადგან დავითთან აქ „შორისდებულია“ და სულ ბოლოს „კავშირი“.

ტში „ვითარებისა“-ს წერს, ხოლო სქოლიოში — „ვედრებასა“. სწორედ ეს ხელნაწერი ჰქონია იოანეს.

კავშირის განსაზღვრაში იოანეს საკუთარი წვლილიც შეაქვს. „კავშირი არს ნაწილი სიტყვისა ,რომელიც მოჰკიდებს ურთიერთს ლექსთა ანუ სიტყვათა (გაიოზი) და მით წესიერად აღმოჩენილ ჰყოფს (იოანე)“ კავშირი იყოფა თორმეტ ჯგუფად.

1. საერთწმახნო ანუ წმახვნითი; 2. განწვალებითნი; 3. გარმიმღეობითნი ანუ პირისპირობითნი; 4. დაწყებითნი; 5. უსრულობითნი ანუ მიშვებითნი; 6. წინააღრჩევითნი; 7. მიზეზობითნი 8. უკეთუობითი; 9. განმარტებითი; 10. ზედმოღებით; 11. მეტნობითი; 12. იჩნობითი.

კავშირთა ეს ჯგუფები ანტონთან იღებს სათავეს და დავითის გამოვლით მოხვდნენ იოანესთან, მაგრამ იოანემ გაიოზიც არ დაივიწყა და მისი დაჯგუფებიდან სამი დასახელება მაინც შემოიტანა პარალელური ფორმების სახით: „წმახვნითი“, „პირისპირობითი“ და „მიშვებითი“.

როცა საკითხი კავშირების ჯგუფებში განაწილებაზე მიდგა, იოანემ ჯერ გაიოზის ცხრილი ამოწურა და მერე დავითს მიმართა. ასე მაგ.: წმახვნითი კავშირებია: და, ხოლო, ესრეთვე, ეგრეთვე, ესრეთ, ვითარცა, არცა, ვერცა, ცა, უკვე (გაიოზი), კვალად, მერმე, მერმეცა, მერმეღა, გინა, ანუ (დავითი).

უფრო რთული იყო ყოველი ჯგუფის კავშირთა წინადადებაში გამოყენების ილუსტრირება, რადგან ასეთი გაიოზს საერთოდ არა ჰქონდა, დავითთან კი ცოტა იყო, თუმცა, როგორც ჩანს, იოანეს ისინიც არ მოეწონა და იძულებული გახდა საკუთარი მაგალითები დაეძებნა.

შორისდებული

„შორისდებული არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც მხოლოდ ოდენ ბუნებითისა ნაწევრობითა ხმითა დაჰნიშნავს ვითარსამე ვნებითსა მოძრაობასა სულისასა“ (გაიოზი, გვ. 119; იოანე, გვ. 200).

იოანემ იცის, რომ ანტონთან და დავითთან შორისდებულთა 12 ჯგუფი გვქონდა. ჯგუფთა ამ რაოდენობის შენარჩუნების მიზნით 8-ს იღებს გაიოზის გრამატიკიდან, დანარჩენ ოთხს კი — სრულიად ნებისმიერად ანტონ-დავითის კლასიფიკაციიდან: 1. განკვირვებითი; 2. დამტკიცებითი; 3. სალმობითი. 4. ღაღადებითი; 5. წოდებითი; 6. ბასრობითი; 7. დადუმებითი; 8. შეურაცხებითნი — გაიოზის შრომიდანაა აღებული. დანარჩენი ოთხი: 9. განხმობითი: 10. უხამსობითი; 11. შეწყალებითი; 12. სანეტარო — როგორც ითქვა, დამატებულია. თუმცა ისიც არ უნდა

დავივიწყოთ, რომ თვით გაიოზის ჯგუფებიც არაა სულ ახალი, მათგან სალმობითი და წოდებითი ანტონ-დავითთანაც გვქონდა. მაგრამ ამ კლასიფიკაციებს დიდი მნიშვნელობა საერთოდ არ უნდა მიეცეს, რადგან იშვიათად გადმოგვცემენ საქმის ნამდვილ ვითარებას და ხელოვნურად არიან შედგენილნი.

ამით მთავრდება მორფოლოგიური ნაწილი იოანე ბაგრატიონის I გრამატიკისა.

სინტაქსი ანუ აღნაქვსი

თვით ეს დასახელება იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი გაიოზს ემყარება ძირითადად, რადგან, გარდა გაიოზისა, ტერმინი „აღნაქვსი" არავისთან გვხვდება[1].

სინტაქსის განსაზღვრაც (რომ იგი გრამატიკის ნაწილია) და მისი ნაწილებად დაყოფაც (მარტივი, ხელოვნური და უხვსიტყვაობითი) გაიოზისგან მოდის.

პირველი თავი: თვის თანხმობისა ნაწილთა სიტყვისათა მეტად „ორიგინალურად" აქვს გაკეთებული ავტორს.

იწყებს დავითის გრამატიკიდან აღებული კითხვით: „ზემოხსენებულნი უკვე რვანი სიტყვის ნაწილნი მოვლენან რა ერთმანეთისადმი შეწყობად სიტყვისა, მაშინ რაოდენითა აღლამითა ანუ გვარითა ღირს თანხმობაი მათი ურთიერთისად? (დავითი, — გვ. 99; იოანე — გვ. 202) და პასუხობს: „ოთხითა უკვე გვარითა, ესე იგი პირველად ზმნისა სახელსათანა და ამით ჯერ არს ვიდრემდე თანხმობაი ურთიერთისა რიცხვითა და პირთა. მაგ.: მე ვჰსწერ თქვენ აღმოიკითხავთ და იგინი ისმენენ ანუ ესრეთ: ვისწავეთ თქვენგან სიბრძნეი აჰა აქა, უკვე შეისწავეების ძალითად ნაცვალსახელი ესე ჩვენ.

მეორედ შეხვდების უკვე სახელნი სახელისთანა და სახელნი არსებითნი და ზედ შესრულნი ურთიერთ არს. (დავითი) ხოლო ყოველნი პიროვანი ზმნა კანონიერი, ითანხმებს ორთა სახელთა: ერთსა წინარე დადებით, ხოლო მეორესა—შემდგომად; მაგალ. მდაბალი შეიძინებს მეგობართა. მართალი დაიმკვიდრებს სასუფეველსა (გაიოზი) და ესთავე სათანადოა თანხმობა რიცხვთა და ბრუნვათა. მაგ.: შეუდეგ კეთილთა საქმეთა, ანუ ესრეთ: მაგ.: მეფე ირაკლი გვირგვინი თვისთა (დავითი. გინა ესრეთ: კაცი ბედნიერ იქმნების სწავლულებისგან" (გაიოზი), (იოანე, გვ. 203).

---

[1] ანტონთან გვაქვს „ჰსვა", „დაჰსოვა", მაგრამ „აღნაქვსი" არა.

როგორც ვხედავთ, ერთ აბზაცში დავითი და გაიოზი ოთხჯერ შეენაცვლენ ერთმანეთს.

თუ ასეთი შენაცვლება ზოგჯერ აზრის უფრო სრულად გადმოცემას ემსახურება, მეტწილად იგი მრავალსიტყვაობას იწვევს მხოლოდ და ზოგჯერ ბუნდოვნებასაც.

ვფიქრობთ, საკმარისად ითქვა იოანეს წერის მეთოდზე. ამიტომ უმჯობესია, ჩამოითვალოს საკითხები, რომლებსაც ავტორი ეხება და სიახლის შემთხვევაში საგანგებოდ აღინიშნოს.

სახელი არსებითისა და ზედსართავის ურთიერთობის განხილვის შემდეგ იოანე წინადადების მთავარი წევრების (უფლისა და ძიების) განსაზღვრაზე გადადის; მერე — კვლამოღებითი ნაცვალსახელისა და წინამსრბოლი სიტყვის ურთიერთობაზე და შემდეგ — კითხვა-მიგებაზე, ე. ი. იმ თანმიმდევრობით, როგორც დავითთან გვქონდა.

ზმნას სახელი ყოველთვის მოქმედებით არა აქვსო (ე. ი. ყოველთვის წარმოდგენილი არა აქვს — ზოგჯერ იგულისხმება) და არც ყოველთვის სახელი უსწრებს წინ ზმნას. თუ ზმნასთან მრავალი სახელია დაკავშირებული, იგი მრავლობითშია; ზმნა ანგარიშს უწევს „უპატიოსნეს“ ნაცვალსახელს. ზმნის სახელად (ე. ი. უფლად), სახელსა და ნაცვალსახელს გარდა, შეიძლება შეეწყოს მიმღეობა და სახელზმნა.

ზმნას უფლად მოუდის წრფელობითი ანუ შემასმენლობითი, მოთხრობითი, მიცემითი; ბრძანების ფორმებს — წოდებითი.

ზედშესრულს შეიძლება ყოველთვის არც ჰქონდეს სახელი, ისინი (ზედშესრული და არსებითი) არ თანხმობენ რიცხვსა და ბრუნვაში. ორ არსებით სახელთან ზედსართავი მრავლობითშია. თუ ორი ზედსართავი უძღვის არსებითს, არსებითთან შეთანხმება რიტორის მჭერმეტყველებაზეა დამოკიდებული.

კვლამოღებით ნაცვალსახელი გარდასულსა და განშორებულ სახელს „აწარმოებს“. კვლამოღებითი ნაცვალსახელიც არაა ყოველთვის მოქმედებითად.

იოანე განასხვავებს „რომელიც“ ნაცვალსახელის სამ მნიშვნელობას: კვლამოღებითს, კითხვითს და ზედსართაულს.

ჩვენებითი ნაცვალსახელიანიც და ადგილობითნი ზმნიზედანიც ასრულებენო კვლამოღებით ნაცვალსახელის როლს.

იოანე აქამდე (გვ. 209) სიტყვა-სიტყვით მიჰყვებოდა დავითს, აქედან იწყება გაიოზი (გვ. 210—პარაგ. 174).

ბრძანებითისა და აპოტეტიკის სქესის ზმნანი ყოველ დროში უფლად და ძიებად მიიღებენ იმავე ბრუნვებს, რა ბრუნვებსაც საზღვრებითი სქესიო (თუმცა ადრე ითქვა, ბრძანებითს უფლად წოდებითი აქვსო — ა. ფ.).

„ყოველი ვნებითნი ყოველსა დროსა შინა უფლად ითხოვენ წრფელობითს და მარად დაწყებითს ან მოქმედებითსო“.

უმეშვეობითნი ზმნანი მოითხოვენ ბუნების ძიებასა. სხმით გარდასვლითნი და მრჩობელი-სხმით-გარდასვლითნი ისევე მოითხოვენ, როგორც შემოქმედებითნი და ვნებითნი. შემდეგ საუბარია უკანონო ზმნებზე და ზმნიზედის, კავშირის, თანდებულისა და შორისდებულის წინადადებაში ხმარებაზე (გაიოზის მიხედვით).

შემდეგი თავია—თვის ძიებისა მისაღებელთა ნაწილთა სიტყვისათა. რომელი ცდავითისგანაა აღებული. (იოანე, გვ. 219, 227; დავითი, გვ. 109—118). და რომელშიც ლაპარაკია ზმნის მიერ უფლისა და სხვადასხვა ძიების (ბუნების და ნათესაობის) მიღებაზე, უფრო სწორად, უნდა იყოს ამაზე ლაპარაკი, სინამდვილეში აღებულია საკმაოდ დიდი წინადადება და გარჩეულია ამ თვალსაზრისით.

შემდეგი თავი — კანონი აღნაქვსთა და ხელოვნებათა მისთა, გაიოზისგან არის აღებული (იხ. მასთან გვ. 141—144; იოანე გვ. 227—237). და მისგანვე მოდის თავი — მართლკითხვისა (პროსოდიისა) დაწერისათვის (ორთოგრაფიისა), ასოსა ანუ წიგნთა თვის.

რაც შეეხება თავს — თვის ნიშანთა სტრიქონთასა და ქარაგმათა შესაბამების წერისათვის — დასახელება გაიოზისას მიაგავს, მაგრამ ტექსტში ძირითადი მოსაზრება დავითიდანაა აღებული. ხოლო შემდეგი თავი — თვის განყოფილებისა ნიშნისა — მთლიანად გაიოზისგან მოდის. .

დაბოლოს — სხვადასხვა შენიშვნა, რომელიც საჭირო არს ესე ჰსწავლად ღრამმატიკასა შინა — იოანემ გაიმეორა ყველაფერი ის, რაც დავითმა თქვა თავისი შრომის დასაწყისში ასოს და წიგნის განსხვავებასთან დაკავშირებით და ისიც არ გამოტოვა, რომ „არისტოტელემ თქვა წვერმან კალმისამან დაასოო“, იმასთან ერთად, რაც დავითთან ნათქვამი იყო „სახელმოდგამისა“ და „წიგნის“ ურთიერთობაზე.

მეორე გრამატიკა

როგორც ითქვა, ამ გრამატიკის შესახებ პირველი ცნობა ა. შეგრენმა გამოაქვეყნა, მერე ლ. მეფარიშვილის წერილში იყო იგი, რა თქმა უნდა, მეტად მოკლედ დახასიათებული და, ბოლოს, ნ. გოგუაძემ განიხილა იგი ვრცლად და „კალმასობის“ გრამატიკულ ნაწილთან (პირველ გრამატიკასთან) შედარებით. ნ. გოგუაძე ასკვნის: „კალმასობის“ არცერთი დებულება მასში გადმოტანილი არაა და რომ ეს არის გრამატიკა

ანტონის მეორე გრამატიკასა და „სიმეტნეს“ შორის — ერთზე მოკლეა და მეორეზე ვრცელი [1].

იოანეს II გრამატიკის აღნიშნულ შრომებთან შეპირისპირებით შესწავლამ სხვაგვარ დასკვნამდე მიგვიყვანა: გაირკვა, რომ ავტორს შრომის შედგენის დროს უსარგებლია არა უშუალოდ ანტონის გრამატიკითა და „სიმეტნეთი“, არამედ დ. ბაგრატიონის გრამატიკით და ეს „სარგებლობა“ ხშირად იქამდე მიდის, რომ იოანე აბსოლუტური სიზუსტით იმეორებს მთელ გვერდებს (შედ. დავითი გვ. 86—98, იოანე, გვ. 65—76 და მრავალი სხვა)[2].

შრომა აგებულია დავითის გრამატიკის მიხედვით და მას ემთხვევა თავების დასათაურებაც.

დ ა ვ ი თ ი	ი ო ა ნ ე
1. თვის ღრამმატიკისა და ნაწილთა მისთა; თავი ა	1. ღრამმატიკა; თავი ა
2. თვის სახელისა და მდევართა მისთა, ე. ი. გარემოთა; თავი ბ	2. თვის სახელისა და მდევართა მისთა, ე. ი. გარემოთათვის: თავი ბ
3. თვის ბრუნვათა სახელებთა კერძოობითთა; თავი გ	3. თვის ბრუნვათა სახელებთა კერძოთათა; თავი გ
4. ნაცვალსახელისა და წვალებისა მისისა და მდევართა მისთა; თავი დ	4. თვის ნაცვალსახელისა. და წვალებისა და მდევართა მისთა; თავი დ
5. თვის ზმნისა; თავი ე	5. თვის ზმნისა; თავი ე
6. თვის სახელზმნისა; თავი ზ	6. თვის სახელზმნისა; თავი ზ
7. თვის განუსაზღვრებელისა, ე. ი. უჩინოსა სქესისა; თავი ჱ	7. თვის განუსაზღვრებელისა ანუ უჩინოსა სქესისა; თავი ჱ
8. თვის მიმღეობისა; თავი თ	8. თვის მიმღეობისა; თავი თ
9. თვის თანდებულისა; თავი ი	9. თვის თანდებულისა; თავი ი
10. თვის ზმნიზედისა; თავი ია	10. თვის ზმნიზედისა; თავი ია
11. თვის შორისდებულისა; თავი იბ	11. თვის შორისდებულისა; თავი იბ
12. თვის კავშირისა; თავი იგ	12. თვის კავშირისა; თავი იგ

[1] ნ. გ ო გ უ ა ძ ე, იოანე ბატონიშვილის „გრამატიკა“, საქართველოს სსრ, მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 4, 1962 წ., გვ. 88.

[2] ჩვენ ვსარგებლობდით ლენინგრადის აღმოს. ინსტიტუტის ხელნაწერით, E—44 (E—127).

13. თვის თანხმობისა ნაწილთა სიტყვისათა: თავი იდ

14. თვის ძიებისა მისაღებელთა ნაწილთა სიტყვისათა: თავი იე

15. თვის შესაბამ წერითა: თავი ივ.

13. თავი იდ

14. თვის თანხმობისა ნაწილთა სიტყვისათა: თავი იე

15. თვის გვარნი წინადადებისანი გამოსაცდელად მოსწავლეთა კითხვა მიგებით: თავი ივ

16. თვის ძიებისა მისაღებელთა ნაწილთა სიტყვისათა; თავი იზ

17. თვის შესაბამ წერისა; თავი იჱ.

როგორც ვხედავთ, იოანე იმდენად მინდობით მისდევს დავითს, რომ ამ უკანასკნელის მექანიკური შეცდომაც კი ვერ შეუნიშნავს და თავის წიგნში ისეე გადმოუტანია — დავითს თავების დანომრვისას ჴეექვსე თავის ნომრად ვ-ს მაგიერ ზ ასო დაუწერია — იოანეც ზუსტად ასე ნომრავს თავებს.

მაგრამ ისიც შეიმჩნევა, რომ იოანე მაინც ცდილობს საკუთარი აზრის გამოთქმას, რაც გამოიხატა ორი — მეცამეტე და მეთხუთმეტე — თავის დამატებაში.

მ ე ც ა მ ე ტ ე თავში (რომელიც ადრეეე დაშვებული შეცდომის გამო იდ-ითაა დანომრილი) მოცემულია უკვე განხილულ მეტყველების ნაწილთა ურთიერთშედარებითი დახასიათება: თუ რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როგორც ვიცით, ასეთი დახასიათება დავითთან ყოველი მეტყველების ნაწილს ახლდა.

დამატებულ (მეთხუთმეტე) თავში („თ ვ ი ს გ ვ ა რ ნ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ა ნ ი გ ა მ ო ს ა ც დ ე ლ ა დ მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა კ ი თ ხ ვ ა მ ი გ ე ბ ი თ, თ ა ვ ი ივ—უ ნ დ ა ი ყ ო ს იე — ა. ფ.) მოცემულია ყოველი მეტყველების ნაწილის საილუსტრაციოდ თითო სიტყვა და დახასიათებულია მორფოლოგიურად: ვთქვათ, „სკამი“: „...არს სახელი არსებითი, ნათესაისამებრ — უმეშვეობითი, ნაკეთისამებრ — მარტივი, სახისამებრ — პირველი სახე, რიცხვისამებრ — მხოლობითი და ბრუნვისამებრ — წრფელობითი“ (გვ. 95) ანდა ზმნა „გ ა მ ა კ ე“ „...არს უკვე ზმნაი „პირნაკლი“, პირველისა ხატისა, რომელსა აკლს პირი მეორე, ხოლო არს ესე ნათესაისამებრ — შემოქმედებითი, ნაკეთისამებრ — მარტივი, სახისამებრ — პირველ სახე, რიცხვისამებრ — მხოლობითი, პირისამებრ — პირველი, დროისამებრ — ნამყო სრული,

სქესისამებრ — საზღვრებითი, უღელილებისამებრ — მეხუთისა უღელილებისა, რომელ არს „გამკობ“ (გვ. 97).

მეტყველების ნაწილთა ასეთი დახასიათება გვაქვს ანტონთანაც, მაგრამ მას დაეითმა უფრო გამოკვეთილი სახე მისცა და ყოველი კატეგორიის შემდეგ ასეთი დახასიათებაც მოგვცა.

იოანემ, მეცამეტე თავის მსგავსად, იგი ცალკე თავად გამოყო, კვლავ საკითხის უფრო ნათელსაყოფად.

იმის დასამტკიცებლად, რომ იოანემ II გრამატიკაში აზრები ანტონის მეორე გრამატიკიდან და „სიმეტნედან“ აიღო, პატ. ნ. გოგუაძეს მოაქვს ანტონის დასახელებული შრომებისა და იოანეს გრამატიკის პარალელური ტექსტები. ჩვენ ამ ტექსტებს დაეითის შესაბამისი ტექსტიც მივუმატეთ და საკითხი სრულიად ნათელი გახდა — იოანე ემთხვევა სწორედ დაეითს (იხ. აქვე გვ. 242—3,4).

გასარკვევი რჩება მეორე საკითხი: რა ურთიერთობაშია იოანეს II გრამატიკა მის პირველ („კალმასობაში“ არსებულ) გრამატიკასთან. გამოიყენა თუ არა მან იგი მეორე გრამატიკის შედგენისას; თუ, როგორც ნ. გოგუაძე ფიქრობს, არაფერი არ აიღო მისგან?

როგორც ზემოთ ვფიქრობთ, საკმაო სიცხადით ვაჩვენეთ, იოანემ I გრამატიკა გაიოზისა და დაეითის გრამატიკების უშუალო გამოყენებით შეადგინა.

იოანეს მუშაობის მეთოდი ასეთი იყო:

1. ან მხოლოდ დაეითს მიჰყვებოდა, ან — მხოლოდ გაიოზს.

2. ორიევეს აზრს აერთებდა ოდნავი რედაქციული ცვლილებებით:

3. ჯერ ერთის განსაზღვრას იძლეოდა მთლიანად და მერე მეორისას, აგრეთვე მთლიანად.

ზემოთ მოტანილი მაგალითების შემცველი ადგილები I გრამატიკაში იოანეს პირწმინდად გაიოზიდანა აქვს აღებული, ამიტომ აქ (II გრამატიკაში) განსხვავებული საკითხები გვაქვს და ერთი შეხედვით, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ იოანემ თავისივე პირველი გრამატიკიდან არაფერი აიღო. სინამდვილეში კი, მას ძალიანაც რომ მოენდომებინა, პირველ გრამატიკას გვერდს ვერ აუვლიდა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პირველი გრამატიკის ერთ-ერთი წყარო იყო ის (დაეითის) გრამატიკა, რომელიც ერთადერთი წყარო იყო მეორე გრამატიკისათვის. მოვიტანთ ორიოდე მაგალითს.

კითხვაზე — „სულისკვეთითი, ანუ ოხვრითი წარმოებული ხმა რაოდენად იცვლება“ — იოანეს პასუხი ასეთია: „ორად, ხმა და არა ხმად. ხმანი არიან კაცთა და პირუტყუთანი, არახმანი არიან უსულოთა მიერ გამოცემულნი, ესე იგი ფოთოლთ შრიალი, ქუხილთ გრიალნი, ზართა ბგერანი, წყალთა ჩქერანი და მსგავსნი ამათნი.

დავითი

1. „...რომელნიმე ზედწოდებული აღმატებითად. ამად რომელ მონაბნი სახელსა-თანა განმრჩევსა წოდებითად ქვემდებარესა შინა. თვითოისა მყოფთა არსებისასა. ესე გვარჰყოფენ რათა დაჰნიშნოომცა არსებაი მყოფისა აღმატებულად და კიდეგანად ქვემდებარისა თვისისა: ხოლო თავით თვისით ქვე-მდებარებენ ვითა არსებითნი რაიმენი და ქვეშე ამისა არიან ესენი ება, ობა, სი. მაგ.: ხატება, აობა, სიმართლე და სხვ. (გვ. 29).

იოანე, II გრ.

1. რომელნიმე იწოდებიან აღმატებითად ამად რომელ მონაბნი ანუ მოკიდებულნი სახელნი თან, გამრჩევნი არსებისანი ესე გვარჰყოფენ განრჩევასა არსისასა, რათა დანიშნონმცა არსება მყოფისა აღმატებითად კიდეგან ქვემდებარისა თვისისა და რომელ თავით თვისით ქვემდებარეობენ ვითა არსებითნი რაიმენი და ქვეშე ამისა არიან: ესენი ება, ობა, სი; მაგ.: ხატიხატება, მყოფი-მყოფობა, აობა, მართალი-სიმართლე და სხვანი. (გვ. 27—28).

ანტონის II გრამატიკა

1. „...რომელნიმე ზედწოდებულ აღმატებითად ამად რომელ მონაბნი სახელისა თანა განმრჩევსა წოდებითად ქვემდებარესა შინა თვითოისა მყოფთა არსებისასა, ესე გვარ ჰყოფენ, რათა დაჰნიშნოსმცა არსებაი მყოფისა აღმატებულად და კიდეგანად ქვემდებარებისა თვისისა. ხოლო თავით თვისით ქვემდებარებენ, ვითარცა არსებითნი რაიმენი. მაგ.: ება, ობა, სი, ხატება, აობა, სიმართლე. ხოლო ეიცით ესე გულისხმის ყოფით, რამეთუ ხატი სახელი დაჰნიშნავს შესახედავისა რომელსამე, ე. ი. არსებასა შესახედავისასა.

„სიმეტნე“

1. აღმატებითი და ქვეშე ამისსა არიან ესენი: სი, ება, ობა. ვითარ, წმიდა-სიწმიდე, არსი-არსება, აობა და მებრ სხვანი.

გარნა მისდამი მოკიდებული კერძოკი ესე ე ბ ა დაჰნიშნავს არსებასა შესახედავისასა აღმატებულად ხატისაგან და იქმნების ხ ა ტ ე ბ ა, მდგომარედ თავით თვისით და არა სხვისა შორის“. (გვ. 131).

2. „კ ა ნ ო ნ ი ე რ (ზმნად) იწოდებიან იგინი, რომელნიც მიმოხრათა შინა ჰგიან უცვალებელად. ე. ი. არცაღა ერთსა დროსა შინა ნამყოსა, ანუ მყობადსა, და ანუ სქესთა შინა რომელთამე და დროთა მისთა სხვათა ზმნათაგან დამჭირე არიან აღვსებისა. მაგ.: ვჰზი ანუ პირებთა დაკლებასა არა შეიწყნარებს, ვითარ იგი არიან ზმნანი პირნაკლნი

2. „კანონიერ ზმნადა იწოდებიან იგინი, რომელნიცა მიმოხრათა შინა ჰგიან, უცვალებლად, ე. ი. არცაღა ერთსა დროსა შინა ნამყოსა ანუ მყობადსა და ანუ სქესთა შინა რომელთამე და დროთა მისთა სხვათა ზმნათაგან დამჭირვე არა არიან აღვსებისა ყოფად ვითარცა ზმნა ესე მაგ.: ვზი, ანუ პირებთა დაკლებასა არა შეიწყნარებს ვითარ იგი

2. „კანონიერ იზედწოდებიან იგინი, რომელნიცა მიმოხრათა შინა ჰგიან უცვალებელად. ესე იგი, არცაღა ერთსა დროსა შინა ნამყოსა ანუ მყობადსა და ანუ სქესთა შინა რომელთამე და დროთა მისთა სხვათა ზმნათაგან დამჭირველ არიან აღვსებისა მაგალითებრ: ვჰზი, ანუ პირებთა დაკლებასა არა შეიწყნარებდეს, ვითარ იგი არიან

2. „იგინი არიან რომელნი“ ჟამითა და პირითა და სქესითა შესრულდებიან ხუთთა ქვეშე უღელებათა“.

დავითი	იოანე, II გრ.	II გრამატიკა	„სიმეტნე“
და ანუ განმაპიროვნე იგი მათი ნიშანი სხვითა რაითამე ნიშნითა უჩვეულითა არ წარმოადგენს და ანუ უჩვეულსა შესახედავს არ შეიწყნარებდეს დროებითად მნიშვნელობათა შინა“ (გვ. 48).	არიან ზმნანი პირნაკლნი და ანუ განმაპიროვნე იგი მათი ნიშანი სხვითა რაითმე ნიშნითა უჩვეველითა არა წარმოდგეს და ანუ უჩვეველისა შესახედავსა არ შეიწყნარებდეს დროებითად მნიშვნელობათა შინა.	ზმნანი პირნაკლნი. და თუ განმაპიროვნე იგი მათი ნიშანი სხვათა რაიმეთა უჩვეულითა ნიშნითა არა წარმოდგეს და ანუ უჩვეველსა შესახედავსა არა შეიწყნარებდეს დროებითად მნიშვნელობათა შინა. ესენი კანონიერ იწოდებიან.	
3. ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა რომელი განრჩეულსა პირსა არსებათასა დაჰნიშნავს უჟამოდ, მაგ.: მე, შენ, იგი“ (გვ. 4).	3. ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელი განრჩეულს პირსა არსებათასა დაჰნიშნავს უჟამოდ, მაგ.: მე, შენ, იგი.	3. ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა განმრჩევი ზედ-წოდებით არსებისა პირობითად, ამისთვის რომელ გვესმოდენრა. მე, შენ, იგი პირობითად ზედწოდებით განირჩევის არსება და ცხადიქმნების სამობით ქვემდებარება არსებისა.	3. ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელი განრჩეულსა პირსა არსებათასა, დაჰნიშნავს უჟამოდ რომელი არიან მე, შენ, იგი.

ხმანი იცვლებიან ნაწევროვნად და უნაწევროდ; ნაწევროვანი ხმანი არიან კაცთანი ვინაითგან დაიწერებიან. უნაწევრონი ხმანი არიან პირუტყვთა და ფრინველთა, ამად რომელ არა დაიწერებიან. ნაწევროვანი ხმანი იყოფიან ორად, ნიშნოვნად და უნიშნოდ. ნიშნოვანი არს, რომელიც დაიწერება, ვითარცა ცხენი, ლომი, კაცი და სხვანი. უნიშნო არს, რომელი თუმცა დაიწერება, მაგრამ ნიშნავს არა ხმას...“ (I გრამატიკა გვ. 128—129). მეორე გრამატიკაში ეს აზრები ასეა გადმოცემული: „ოხვრა გაიყოფების ორად: 1. ხმად და 2. არახმად: ხმა არს კაცთა და პირუტყვთაგან ყვირილი ანუ ძახილი; ხოლო არახმა არს ქუხილი, ფოთლის შრიალი, ჭრიალი და რახუნი; რომელ ესენი უსულოთგან არიან და ამისათვის არახმა ეწოდება. ხმა კვალად განიყოფება ორად; ნაწევროვნად და უნაწევროდ. ნაწევროვანია კაცთა ხმანი, რადგან დაიწერებიან; ხოლო უნაწევრონი არიან პირუტყვთა და ფრინველთა, რადგან არა დაიწერებიან; ნაწევროვანი ხმა განიყოფება ორად: ნიშნოვნად და უნიშნოდ. ნიშნოვანია — ლომი, ცხენი, კაცი; ხოლო უნიშნო არს (იპოკენტავრო), რომელ თუმცა დაიწერება, მაგრამ არ გვაგონებს“ (გვ. 3-4).

სხვა მაგალითი, I გრამატიკა: „კვალად სიტყვა განიყოფების ორად: წარმოჩენილად და შინაგან მდებარედ. წარმოჩენილი სიტყვა არს, უბნობა ცხადად ანუ საიდუმლოდ ჩვენთა, ხოლო შინაგან მდებარე სიტყვა არს რომელსა გონებით ვჰმსჯელობთ და ესე მხოლოდ უწყის სულმან კაცისამან და ღმერთმან“ (გვ. 132). II გრამატიკა: „კვალად სიტყვა იწვალების ორად (ესე იგი) შინაგან მდებარედ და წარმოჩენილად: შინაგან მდებარე სიტყვა არს ესე, რომელი იცის სულმან კაცისამან და ღმერთმან, ხოლო წარმოჩენილი სიტყვა ესე, რაისაცა იტყვის ცხადად ანუ დასწერს რასმე, ანუ ნიშანს მისცემს ვისმე რითმე“. (გვ. 6).

როგორც ვხედავთ, იოანე გვერდს ვერ უვლის I გრამატიკაში გამოთქმულ აზრებს და გადმოაქვს იგი II გრამატიკაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ცდილობს როგორმე გადააკეთოს, გადაასხვაფეროს ეს აზრები, რისთვისაც ხან სიტყვებს აჯგუფებს სხვაგვარად, ხან მათ თანამიმდევრობას ცვლის.

ორივე მოტანილი ადგილი მხოლოდ დავითის გრამატიკაშია და იქედან მოხვდნენ ისინი ჯერ I-სა და მერე II გრამატიკაში.

ერთი სიტყვით, იოანეს II გრამატიკის და I („კალმასობის“) გრამატიკების ურთიერთობის საკითხი გარკვეულია, ამდენად ნათელია ისიც, თუ რა ურთიერთობა აქვს ამ II გრამატიკას ანტონის შრომებთან.

მაგრამ გაურკვეველი რჩება საკითხი: II გრამატიკაში იოანემ რატომ აუარა გვერდი გაიოზის შრომას — პირველი გრამატიკის ერთ-ერთ კომპონენტს. ამაზე დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, ისე კი ბევრი აზრი შეიძლება გაუჩნდეს კაცს.

როგორც გრამატიკის მიძღვნიდან ჩანს, იგი იონა ხელაშვილის თხოვნით შეუქმნია იოანეს და სასწავლებელში სახმარად გაუმიზნავს:

„პატიოსანო მღვდელ მონაზონო იონაე ხელაძევ;

მოწყალეო უფალო

სურვილისამებრ თქვენისა ღირსებისა ხელ-ვჰყავ და შემოკლებით შევაწყე ღრამმატიკა ესე, ამისათვის რომელ, თუმცა ახალთა მოსწავლეთა და განსწავლულთა, რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა შეეწყოთ ღრამმატიკა. გარნა უფრორე, მრავალი რუსულსა გვარზედ დაედოთ, ვითარცა ფირალოვსა გოდერძის, და სხვათა; და ამით ღრამმატიკა ქართულის ენის სასწავლებლად არ იყო საკმაო და მე თხოვისაებრ თქვენისა ჰსწორედ ქართულის გვარზედ შევაწყე, რომლითაც ადვილ შესაძლებელ არს კანონიერად ჰსწავლა ენისა და მოწაფეთა თვისცა ადვილად შესამეცნებელი და ამისათვის მოკლედ და სრულიად შევაწყე ძალისამებრ ჩემისა. თუმცა მათს უწმიდესობას ღმრთისადმი განსვენებულის კათალიკოსის ანტონის პირველისა, მეფის ძის მიერ არის ქმნილი დია ვრცლად ღრამმატიკა, გარნა მოსწავლეთა მისთა თითქმის მოუნდებათ სამი ოდენ წელიწადი, რათა ისწავლონ იგი სრულებით და ამაში დაეკარგებოდათ დრო სხვათა სწავლათა; და ესე ამისთვის მოკლედ შევამზადე, რომ ადვილადაც დაისწავლიან ზეპირ და ყოველსავე გვარსა ღრამმატიკასასა ასწავებს.

და სხვაებრ ვსასოებ ამას ზედა ვითარცა თქვენ მიიღებთ ამას ჩემეულად სურვილით ეგრეთვე საქართველოისა შინა. მოსწავლენი არა უგულებელსა ჰყოფენ და მით ვიქმნები მათგანაც დაუვიწყებელი.

სხვებრ დავშთები თქვენისა ღირსებისა მარჯვენეს მეამბორე მეფის ძე იოანე.

სექტემბრისა 6 წელსა 1829 სანკპეტერბურღსა შინა აღვსწერე".

რადგან გრამატიკა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში უნდა ესწავლებინათ, სადაც ქართულის სწავლება გაიოზის გრამატიკით დაიწყო და რომელსაც თბილისის წრეებში კარგად იცნობდნენ, იქნებ, ამის გამო, საგანგებოდ ამოიღო იოანემ თავისი გრამატიკიდან გაიოზის აზრები.

ერთი კი ცხადია, I გრამატიკის აგების პრინციპი (კომპილაციურობა, გაჭიანურებული თხრობა, ისეთ საკითხებზე საუბარი, რასაც შესასწავლ ობიექტთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა) II გრამატიკაში უნდა ამოღებულიყო, ამიტომ — სიმოკლისა და იოლად დასწავლის მიზნით — საჭირო იყო კომპილაციას გვერდი აელოდა. ამას გარდა, იქნებ, იოანემ გადაწყვიტა პროპაგანდა გაეწია თავისი ძმის იდეებისათვის, თუმცა, ალბათ, თვითონაც ხედავდა, რომ ზოგჯერ ჰეშმარიტების წინაშე ცოდავდა.

ასეა თუ ისე, ფაქტი ნამდვილად უცნაურია — სხვადასხვა დროს დაწერილი ორი გრამატიკის ავტორი პირველში აუცილებლად მიჩნეულ მასალას მეორე შრომიდან საგანგებოდ აძევებს და არც ერთხელ საბუთს არ ასახელებს.

რაც შეეხება საკითხს, იოანე ბაგრატიონის ამ (მეორე) გრამატიკისა და სოლომონ დოდაშვილის გრამატიკის ურთიერთობის შესახებ (რაც ლ. მეფარიშვილმა წამოჭრა), მასზე სრულიად დაბეჯითებით უპასუხა ნ. გოგუაძემ, — „ამ გრამატიკებს შორის თითქმის არაფერია საერთო, ს. დოდაშვილს იოანესგან არაფერი აუღია.

რადგან დავითისა და თვით იოანეს პირველ გრამატიკებზე საკმაოდ ვილაპარაკეთ, ვფიქრობთ, საჭირო არაა დეტალურად განვიხილოთ მეორე გრამატიკა. მაგრამ ორიოდე რამ შეიძლებოდა თქმულიყო ზოგადად მისი შეფასების თვალსაზრისით.

რადგან ეს გრამატიკა სახელმძღვანელოდ იყო დაწერილი ამ საქმისათვის იგი, მართლაც, უკეთ გამოდგებოდა, ვიდრე დავითის შრომა, ან იოანესავე პირველი გრამატიკა, რომელსაც ასეთი პრეტენზია არც ჰქონია.

ამ ვამოსადეგობას განაპირობებდა შრომის მსუბუქი და შედარებით იოლად გასაგები ენა: მოკლე და სხარტი განსაზღვრებები, სამეტყველო ენიდან აღებული საილუსტრაციო მასალა და მრავალი სხვა.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დროს, როცა ეს გრამატიკა დაიწერა (1829 წელს) ქართული გრამატიკული აზრი გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე იოანეს შრომაში იყო წარმოდგენილი. ქართულ სკოლებში ოცი წლით ადრე ხმარებაში იყო ი. ქართველიშვილის გრამატიკა, რომელშიც შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იყო ანტონისა და გაიოზის გრამატიკების დადებითი მხარეები. სწორედ ამის გამო იყო, რომ ი. ქართველიშვილის გრამატიკა დაედო საფუძვლად ჯერ სოლომონ დოდაშვილის, ხოლო შემდეგ, პირდაპირ თუ ამ უკანასკნელის მეშვეობით, პ. იოსელიანის გრამატიკას.

იოანე ბაგრატიონის გრამატიკებმა ვერ იქონიეს გავლენა ქართული გრამატიკული აზრის განვითარებაზე.

VI. ვარლამ ერისთავის მოკლე ქართული გრამატიკა რუსულ ენაზე

ვარლამ ერისთავის ვინაობა;
ვარლამის გრამატიკის მიმოხილვა.

ვარლამის ბიოგრაფია თითქმის უცნობია.

უველაზე ადრინდელი ცნობა მისი ბიოგრაფიიდან 1791 წლით თარიღდება, როცა იგი მცხეთის არქიმანდრიტი ყოფილა [1].

1794 წელს ვარლამი დაუნიშნავთ ახტალის ეპისკოპოსად.

ერთი ცნობის მიხედვით [2], იგი იმავე წელს გამგზავრებულა რუსეთში და იქ დაუნიშნავთ უწმინდესი სინოდის წევრად. 1808 წელს დაბრუნებულა საქართველოში, სადაც 1811 წელს, ანტონ II-ის (ერეკლეს შვილის) საქართველოს კათალიკოსობიდან გადაყენების შემდეგ (რაც ფაქტიურად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაც იყო), დაინიშნა ეგზარქოსად, ჯერ ქართლისა და უფრო გვიან იმერეთისაც. 1817 წელს ისევ გაიწვიეს რუსეთში და 1825 წლამდე რაიმე საგანგებო სამსახური არა ჰქონია, ითვლებოდა წმინდა სინოდის წევრად.

1825 წელს დაინიშნა მოსკოვის დანილოვის მონასტრის გამგებლად, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე — 1830 წლამდე.

ვარლამის ბიოგრაფიის ამ ცნობებს იმეორებს კირიონ ეპისკოპოსიც [3], მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რუსეთში გამგზავრების თარიღად იგი 1801 წელს ასახელებს.

კირიონისაგე თქმით, ვარლამს აქვს წვლილი ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში, თუმცა უფრო მეტი ძალა მან ქართული ეკლესიის რუსულთან შეერთებას მოახმარა.

ვარლამს ერისთავთა წარჩინებული გვარის შვილად მიიჩნევენ ბიოგრაფები და სწავლა-განათლებაც მას შესაფერისი უნდა მიეღო, ჯერ საქართველოში [4] და მერე, ალბათ, რუსეთში.

---

[1] იხ. ი. ქართველიშვილი, მემუარები, თბ., 1952 წ., გვ. 67—68.

[2] რა დროიდან ინიშნებოდნენ ჩვენში ეგზარხოსები, „მწყემსი", 1896 წ., № 7.

[3] Е. Кирион. Краткий очерк исторiи грузинской церкви и экзархата за XIX столетiе. Тб., 1902 г.

[4] კ. კეკელიძე მას ანტონის მოწაფეთა შორის ასახელებს, იხ. „ქართ. ლიტ. ისტორია", ტ. I, თბ., 1941 წ., გვ. 351.

რუსეთში უოფნის დროს, 1802 წელს ვარლამი ბეჭდავს ქართული ენის გრამატიკას, რუსულ ენაზე, რომელსაც წამძღვარებული აქვს ავტორის მეტად „პატრიოტული" წინასიტყვაობა: „მართალია, ქართულ ენას არა აქვს ისეთი მიმზიდველობა, რომ შესწავლის მიზნით ვისიმე ყურადღება მიიქციოს, მაგრამ იმ მომავალ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამყარდეს რუსეთ-საქართველოს შეერთების გამო, შეიძლება თამამად ითქვას, ეს კილო საზოგადოებრივ მმართველობასთან დაკავშირებით რუსეთის მცხოვრებთათვის ამჟამად არც თუ უსარგებლოა; განსაკუთრებით იმათთვის, რომელთაც რუსეთის უოვლისშემძლე მონარქიამ იქ სასამართლოსა და უოველგვარი სიკეთის გარიგება დაავალა.

ამ საბაბით გადავწყვიტე გამომეცა ეს მოკლე გრამატიკა. თანაც ვცდილობდი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მომეცა უველაფერი, რაც ქართული ენის სწორად გაგებისათვის იყო საჭირო..."[1].

ვარლამის გრამატიკა, როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ პირველი ქართული გრამატიკაა რუსულ ენაზე და ალბათ ქართული ენის დღემდე არსებულ გრამატიკათა შორის უველაზე უფრო მოკლეა. შეიცავს მეტად ზოგად ცნობებს ფონეტიკიდან, ორიოდ ცნობას მარცვალსა და სასვენ ნიშნებზე, შედარებით ვრცლად იხილავს მეტყველების ნაწილებს და გვაძლევს სიტყვათთხზვის რამდენსამე წესს, ამიტომ იგი უველაზე უფრო ნაკლებ გამოდგებოდა იმ მიზნისათვის, რისთვისაც განკუთვნილი იყო.

ანტონის მსგავსად, გრამატიკის ნაწილებად ვარლამსაც წიგნი, მარცვალი, ლექსი და სიტყვა მიაჩნია.

ასოების შესახებ[2] (ნაწილში) ავტორი მიუთითებს, რომ ქართულს აქვს 39 ასო, (გვაკლია ანტონის შემოღებული მეორმეცე — ჳ — ა. ფ.), რომლებიც იყოფიან გრძელხმოვნებად, მოკლეხმოვნებად და უხმოებად (долгогласные, краткогласные, безгласные).

მარცვლის ზოგადი განსაზღვრისა და სასვენი ნიშნების ჩამოთვლის (მძიმე, წერტილი, ორწერტილი, კითხვითი, ფრჩხილი, მახვილი, გარემორთხმული, ქვენაშთი, კლებული, ბრჭყე) შემდეგ ნათქვამია, რომ მარცვალთაგან შედგება ლექსი (ანუ სიტყვა—ა. ფ.), რომელიც ქმნის მეტყველების ნაწილებს (Части речи).

---

[1] Краткая грузинская грамматика сочинения на российском языке. СПб., 1802 г. ეს წინასიტყვაობა კარგად მეტყველებს ვარლამის ორიენტაციაზე. ავტორის გვარი და სახელი წიგნზე მითითებული არაა. წინასიტყვაობას ხელმოწერა ინიციალებით ახლავს. В. А. Г. (Варлам Архиепископ Грузин).

[2] «Буквы суть известные знаки, из которых письменно составляются слова»; გვ. 5, როგორც წესი, უველგან ლაპარაკია მხოლოდ ასოზე (буква).

ჰეტყუელების ნაწილებია: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული — ამათგან პირველი ოთხი ფორმაცვალებადია, რადგან: სახელი, ზედსართავი და მიმღეობა ბრუნვის მიხედვით, ხოლო ზმნა უღლების მიხედვით იცვლიან თავიანთ ბოლო ასოებს. დანარჩენი ოთხი მეტყუელების ნაწილი — ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული — უცვლელია (გვ. 9).

მეტყუელების ნაწილთა დაყოფა ცვალებად და უცვალებელ ნაწილებად არ იციან არც ანტონმა და არც გაიოზმა: განსხვავებულია ვარლამთან მეტყუელების ნაწილთა რიგიც. მასთან მიმღეობას მოსდევს ზმნიზედა, პირველებთან კი თანდებული მოსდევდა — ბერძნულ-ლათინურ ტრადიციისამებრ.

სახელი ვარლამისთვის გამოხატავს „სახელდებას ან ნივთობრივ საგანს და გრძნობით გასაგებს[1] — „სახელი", „სიბრძნე", „გონიერი".

სახელს ყოფენ არსებითად და ზედსართავადო: პირველი იყოფა საკუთრებითად (собственный), საზოგადოდ და კრებითადო.

ზედსართავი, თუმცა თვითონ არაფერს ნიშნავს, მაგრამ სახელი არსებითთან კავშირში გადმოგვცემს ხარისხს, ნიშანს ან თვისებას.

ზედსართავი იყოფა დადებითად, შედარებითად და აღმატებითად, აღმატებითი ხარისხი იწარმოება უ ან უუ თავსართისა და ესი ბოლოსართის ან თანდებულების (ულად, დიდად, ფრიად) დამეტებით. არსებითი და ზედსართავი განარჩევენ: სქესს, ნაკვეთს, სახეს. სქესი არის ოთხი: მამრობითი, მდედრობეთი, საზოგადო და უმეშვეობითი.

ნაკვეთი არის მარტივი — „სახელი", და, რთული — „ვერცხლისმოყვარე".

სახე არის ორი: პირველსახე და სხმით-გარდასვლითი (производный) — მეფე-სამეფო.

რიცხვი ორია — მხოლობითი და მრავლობითი.

ქართულში ითვლება რვა ბრუნვა: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი (сложно-именительный) მოქმედებითი, წოდებითი.

ამას მოსდევს საკმაოდ ბუნდოვანი განცხადება: «Имена нарицательные, кончающиеся на ა и ე переменяют в родительном падеже на ის, пример: მამა, მამისა Отец, отца; ელვარე, ელვარისა — блистательный (გვ. 14).

მსგავსი „განმარტება" მოსდევს ო და უ ხმოვნებზე გათავებულ ფუძეთა ბრუნებასაც: «Имена собственные и нарицательные, кон-

[1] Имя обозначает название или предмет — «вещественный и чувствами понимаемый».

чающиеся на о и у без перемены после литеры склоняются, например: ოქრო, ოქროისა — золото; ცრუ, ცრუისა лживый" (გვ. 15).

ვფიქრობთ, ავტორს სურს თქვას, რომ ა-სა და ე-ზე ფუძედაბოლოებულნი ბოლო ხმოვანს იკვეცენ და ო-სა და უ-ზე კი — არა. ასეთი დასკვნის გაკეთება იმიტომაცაა შესაძლებელი, რომ პარადიგმებში ბრუნება ამ წესის მიხედვითაა მოცემული. რატომღაც „კ ვ ე ც ა ზ ე" ავტორი საგანგებოდ არაფერს ამბობს, „კ უ მ შ ვ ა ზ ე" კი ჩერდება: „Некоторые нарицательные кончающиеся на и среднюю гласную литеру опускают, например: ტაძარი, ტაძრისა" (გვ. 19). თუმცა ყველა ფუძე არ იკუმშება და საერთოდ არ იკუმშება საკუთარი სახელებიო.

როცა ბრუნვის ნიშნებს ეხება, ვარლამი, საგანგებოდ მხოლოდ ნათესაობითის ნიშანს იხილავს, ა და ე ბოლოხმოვნიანებისათვის გამოჰყოფს ის ა დაბოლოებას, ხოლო „უკვეცელთათვის", რომელთა ჯგუფს აქ მხოლოდ საკუთარი სახელები (ანდრია, ზებედე) ქმნიან — ს ი-ს. ამის გვერდით ო და უ ბოლოხმოვნიანთათვის ის ა ნიშანია მითითებული, თუმცა პარადიგმებში ყველგან ა ს ა—არის ნახმარი, გარდა ერთი შემთხვევისა. რაც, ალბათ, კორექტურის ბრალია.

საინტერესოა. ისიც, რომ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად, გარდა ორიოდე შემთხვევისა, ყველგან ნახმარია მხოლოდ ე ბ სუფიქსი. მხოლოდ ორ შემთხვევაში („ს ა უ დ ა რ ი" და „ტ უ ე" სიტყვების ბრუნებისას (ისიც მხოლოდ ნ-არიანი) ფორმით (წრფელობითსა, შემასმენლობითსა და წოდებითში) გამოყენებულია „ძველი" მრავლობითი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორი ცდილობს რამდენადაც მოსახერხებელია, მისი გრამატიკა სამეტყველო ქართულის ნორმებს გადმოსცემდეს.

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი იყოფა არსებითად, მოგებითად, ჩვენებითად, კელამოღებითად. ნაცვალსახელს ახლავს: ნათესავი, ნაკვეთი, სახე, პირი, რიცხვი, ბრუნვა.

სქესის შესახებ ნათქვამია, რომ ნაცვალსახელს აქვს საზოგადო და უმეშვეობითი სქესი და, რომ საზოგადოს განეკუთვნებიან სულიერი საგნის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები, ხოლო უმეშვეობითს — უსულო საგნისანი (გვ. 23).

როგორც ალ. ცაგარელიც მიუთითებს, ყველაფერი ეს ხელოვნურია და მხოლოდ და მხოლოდ ვარლამის ფანტაზიის ნაყოფია. არც ანტონს და არც გაიოზს მსგავსი არაფერი ჰქონიათ.

ზ მ ნ ა არის ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი მეტყველების ნაწილი, რომელიც გვიჩვენებს მოქმედებას ან ვნებას: „ვცემ", „ვკითხულობ".

ზმნები არიან კანონიერნი და უკანონონი. ამათ გარდა ზმნები არიან:

პირიანი და უპირონი, ნაკლობითნი[1] და უნაკლო (достаточный и недостаточный).

პიროვან ზმნას აქვს სამივე პირი, უპიროა (безличный) იგი, რომელსაც არა აქვს ყველა პირი (ე. ი. სამივე) და იუღლვის მხოლოდ მესამე პირში. მხოლოობით რიცხვში, ყველა დროში. ასეთი ზმნის მაგალითად დასახელებულია „თოვს“.

უნაკლოდ იწოდება ისინი, რომელთაც აქვთ ყველა კილო, დრო და პირი; ნაკლობითია, რომელთაც არა აქვთ ყველა კილო, დრო და პირი.

„მდევარი ზმნათა არს: ნათესავი, ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, დრო, სქესი, უღლვა“.

სქ ე ხი (залог) ზმნას აქვს სამი: შემოქმედებითი ვნებითი და უმეშვეობითი (средний).

ნ ა კ ვ ე თ ი ზმნას ორი აქვს: მარტივი („ვცოცხლობ“) და რთული („ხიტყვასვუგებ“).

ს ა ხ ე ც ო რ ი ა: პირველ სახე („ვსვამ“), სხმითგარდასვლითი („ვისმევინები“).

რ ი ც ხ ვ ი ო რ ი ა (მხოლოობითი და მრავლობითი), პირი კი— სამი.

ს ა მ ი ა დ რ ო ც: აწმყო, ნამყო და მყობადი. ქართულში გვაქვს ოთხი წარსულის დრო: ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი და ნამყო უსრულესი.

კ ი ლ ო. ხ უ თ ი ა: საზღვრებითი, ბრძანებითი, საწადი, ვიპოტეტიკა, განუსაზღვრებელი.

უ ღ ლ ე ბ ა ს უ ლ შ ვ ი დ ი ა, მაგრამ აქ შემოკლებისათვის ჩვენ მხოლოდ სამი მოგვაქვსო, — შენიშნავს ავტორი.

პირველად ნაუღლებია ზმნა „ვარ“ მისი ტერმინოლოგიით вспомогательный.

უღლების პარადიგმები ხან მიჰყვება ანტონს, ხან — არა.

ასე მაგალითად, ნამყო უსრული ანტონს ხოლმეობითის ფორმითა აქვს ნაწარმოები: ვიყჳ, იყჳ, იყჳს, ვიყჳთ, იყჳთ, იყჳან, გაიოზი ნამდვილ უწყვეტელს ხმარობს: ვიყოფოდი, იყოფოდით, იყოფოდის, ვიყოფოდით, იყოფოდით, იყოფოდიან.

ამ მწკრივში ვარლამი გაიოზს მისდევს (ალბათ, შემთხვევით მსგავსებასთან გვაქვს აქ საქმე). სამაგიეროდ ნამყო სრული მას ანტონის მსგავსად აქვს გაკეთებული (ვიყავ, იყავ, იყო; ვიყვენით, იყვენით, იყვნენ) და არა გაიოზის მიხედვით, რომელთანაც გვქონდა (ვიყავ, იყავ, იყო, ვიყავით, იყავით, იყვნენ).

---

[1] ეს ტერმინი გაიოზთანაც გვხვდება, სხვა ავტორებთან იგი არა გვაქვს.

რაც შეეხება ნამყო უსრულესს (თურმეობითი 1 — ა. ფ.), ვარლამი ორივესგან განსხვავებულია:

ანტონი:		გაიოზი:	
მხ.	მრ.	მხ.	მრ.
1. ყოფილ-ვარ	ყოფილ-ვართ	ვყოფილ-ვარ	ვყოფილ ვართ
2. ყოფილ-ხარ	ყოფილ-ხართ	ყოფილ ხარ	ჰყოფილ ხართ
3. ყოფილ-არს	ყოფილ-არიან	ყოფილ არს	ყოფილ არიან

ვარლამი:

1. ვყოფილვარ	ვყოფილვართ
2. ყოფილხარ	ყოფილხართ
3. ყოფილარს	ყოფილარიან

ნამყო უსრულესის წარმოებისას ვარლამი ანტონს მიჰყვება და მრავლობითში მის მსგავსად „ყ ო ფ ი ლ ვ ი ყ ვ ე ნ ი თ“, „ყ ო ფ ი ლ ი ყ ვ ე ნ ი თ“, „ყ ო ფ ი ლ ი ყ ვ ე ნ“ ფორმებს გვთავაზობს, გაიოზის „ვ ყ ო ფ ი ლ ვ ი ყ ა ვ ი თ“... ფორმების მაგიერ.

მყობადი კი მან კვლავ ორიგინალურად აწარმოვა: (მხედველობაში გვაქვს მრავლობითი) ანტონისა და გაიოზის — „ვ ი ყ ო თ“, „ი ყ ო თ“, „ი ყ ვ ნ ე ნ“-ის ნაცვლად — „ვ ი ყ ვ ნ ე თ“: „ი ყ ვ ნ ე თ“, „ი ყ ვ ნ ე ნ“. ბრძანებითში იგი კვლავ ანტონს მისდევს.

როგორც ვიცით, გაიოზმა „ვარ“ ზმნის უღლება მხოლოდ საზღვრებითსა (თხრობითი) და ბრძანებითში მოგვცა, სხვა კილოებს აღარ მიმართა, ვარლამმა კი ანტონის გზა აირჩია და ბოლომდე გაჰყვა მას.

პირველი უღლების მაგალითად ვარლამს მოტანილი აქვს იგივე ზმნა, რაც ანტონს („შევჰკრავ“, მაგრამ ზედმეტი „ჰაეს“ გამოკლებით, „შ ე ვ კ რ ა ვ“, თუმცა ამავე „ჰაეს“ მაინც იმეორებს („შევკრა“, „შეჰკრა“: „შეჰკრას“, „შევკრათ“, „შეჰკრათ“, „შეჰკრავენ“) თხრობითის მყობადში და ბრძანებითის აწმყოსა და მყობადში. სხვა მხრივ კი იგი ანტონს ემთხვევა.

ანტონის მსგავსადვე ნაუღლები აქვს იგივე ზმნა ვნებითის ფორმით. „შევიკრჳ“, მაგრამ აქა-იქ გაპარვია სამეტყველო ქართულთან მიახლოებული თუ მსგავსი ფორმები („შევიკრვოდი“, „შეიკრვის“), რაც ანტონთან არ გვქონდა.

მეორე უღლების მაგალითად აღებულია ზმნა „ვაჩუქებ“, ხოლო მესამე უღლებისად — „ვასწავლი“.

ვარლამს საერთოდ გამოუტოვებია ანტონის საწადისა და ჰიპოტე-

ტიკის ფორმები და სრულიად სამართლიანად აკეთებს შენიშვნას, რომ ამ სქესის ფორმები იგივეა, რაც თხრობითისა, მხოლოდ მათ ერთვით „ვაშათუ“ ან „უკეთუ“ ნაწილაკები (Частицы).

ერთი სიტყვით უღლება ვარლამთან სავსებით მიჰყვება ანტონის გრამატიკის ნორმებს.

მ ი მ ღ ე ო ბ ა არის ზმნისაგან ნაწარმოები (От глагола произведенное) მეტყველების ნაწილი და აქვს მისი (ზმნის) ბევრი თვისება, მაგრამ, რადგან ზედსართავის ძალისაა, იცვლება ბრუნებისა და რიცხვის მიხედვით. თანაც გადმოგვცემს ზოგ დროულ მნიშვნელობას: აწმყოს (პატივსაცემელ), ნამყოს (გაგზავნილი) ან მყობადს (სასმენელი).

ზ მ ნ ი ზ ე დ ა გადმოგვცემს მდგომარეობას ან ვითარებას და აქვს 12 ჯგუფი:

1. ვ ი თ ა რ ე ბ ა: კეთილად, ავად...
2. რ ა ო დ ე ნ ო ბ ა: მცირედ, მოკლედ, გრძლად...
3. დ რ ო: აწ, ხვალ, ახლა, გუშინ, ადრე...
4. ა დ გ ი ლ ი: აქა, იქა, ყოველგან, შორს, ახლოს...
5. შ ე მ კ რ ე ბ ლ ო ბ ა: ერთად, შეერთებულად...
6. დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა: ეგეთ, ჰეშმარიტად, სწორად, მართლად...
7. უ კ უ თ ქ მ ა: არა, არ...
8. კ ი თ ხ ვ ი თ ა დ: ვითარ, რისთვის....
9. ს წ რ ა ფ ლ ო ბ ი თ ა დ: ახლავე, მოულოდნელად, ერთბაშად...
10. ა ღ ს ა ვ ლ ო ბ ა ანუ წ ე ს ი: პირველად, შემდგომად, მასუკან...
11. ჩ ვ ე ნ ე ბ ა: ეს, აი...
12. ი ჭ ვ ე ბ ა: შესაძლებლად, ეგების.

თორმეტიე ეს ჯგუფი ალებულია ანტონისაგან.

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ს ღებულობენ ნათესაობითი („ზედა“, „მიერ“, „შორის“; „წინაშე“, „წინ“) და მიცემითი („შინა“, „მებრ“, „მდე“, „მიმართ“).

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ა: ს ა ე რ თ წ მ ა ს ნ ო ნ ი („და“, „ვე“); გ ა ნ წ ვ ა ლ ე ბ ი თ ა დ („ანუ“, „შინა“); მ ი ზ ე ზ ო ბ ი თ ა დ („ვინაითგან“, „რადგან“, „უფროისღა“, „რომ“); ზ ე დ მ ო ღ ე ბ ი თ ა დ („და“, „ესრეთ“, „ამისებრ“, „მაშა“, „მაშასადამე“); გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ა დ („ესე არს“, „მაგალითად“); გ ა რ მ ი მ ღ ე ო ბ ი თ ა დ ანუ წ ი ნ ა ღ მ დ ე გ ო ბ ი თ ა დ („არამედ“, „მაგრამ“); ს ა ი ჭ ვ ო დ („უკეთუ“).

შ ო რ ი ს დ ე ბ უ ლ ი გადმოგვცემს სხვათა ენებას — იყოფა ჯგუფებად: 1. გ ა ნ ც ხ რ ო მ ი თ ა დ („ნეტართუ“, „ეჰა“, „ვაშა“); შ ე წ ვ ა ლ ე ბ ი თ ა დ ანუ შ ი ნ ა გ ა ნ მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე ბ ი თ ა დ („ეაი“, „ოი“); ს ა გ ა ნ კ ვ ი რ ვ ო დ („ოჰ“, „ეჰარაბამ“); უ ხ ა მ ს ო ბ ი თ ა დ ანუ ბ ა ს რ ო ბ ი თ ა დ („ეე“, „უუ“); შ ო რ ი ს დ ე ბ ი თ ა დ („ოკი“,

„ჰაი“); იდუმალებითად („სუ“, „დუმენ“); განმხნობითად („გაგაგა“).

ყველა ეს ჯგუფი მაგალითებითურთ აღებულია ანტონისაგან.

ამით მთავრდება ძირითადად ვარლამის გრამატიკა, რადგან შემდეგი ნაწილი, სიტყვათა თხზვა წარმოდგენილია მხოლოდ უბრალო წესების სახით.

სულ შვიდი წესია:

1. ზედსართავი და არსებითი ერთმანეთს უთანხმდებიან სქესში, ბრუნვასა და რიცხვში.

2. როცა ორი ან სამი არსებითი შეერთებულნი არიან კავშირით, მათი ზედსართავი უნდა იდგეს მრავლობითში: „სწავლულება და შრომა სასარგებლონი არიან“.

3. კითხვისა და მიგების სიტყვები უნდა იდგეს ერთ ბრუნვაში.

4. მიმითებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ წინმავალ სიტყვას ეთანხმება რიცხვში და არა სქესში.

5. ყოველი მოქმედებითი ზმნა, სახელობითს გარდა, მოითხოვს შემასმენლობითსა და მიცემითს: „ღმერთმა შეიყვარა კაცი, აღვავლენ ღმერთისადმი მხურვალესა ლოცვასა“ (ალბათ, უნდა ეთქვა, მოთხრობითს — ა. ფ.).

6. ვნებითი ზმნები მოითხოვენ ნათესაობითს თანდებულით განსემირამიდა მოიკლა შვილისაგან თვისასა.

7. მიმღეობა და სახელზმნა ღებულობენ ნათესაობითს ბრუნვას: „ერო ჩემნო, მნატრულნი თქვენნი გაცდუნებენ თქვენ“.

ამით მთავრდება ვარლამის გრამატიკა.

ამ გრამატიკის პირველი და, ვგონებ, დღემდე უკანასკნელი განხილვა ალ. ცაგარელის წიგნშია მოცემული.

ალ. ცაგარელს ჯერ მოაქვს ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი შესავალი, შემდეგ კი გრამატიკის შესახებ წერს: „ეს გრამატიკა, — საკმაოდ კარგი შემოკლებაა გაიოზის გრამატიკისა — შეიცავს ეტიმოლოგიისა და სინტაქსის უმნიშვნელოვანეს წესებს, შედგენილია იმავე რიგის მიხედვით, რა რიგითაც გაიოზის გრამატიკა (ხაზი ჩვენია — ა. ფ.). ვარლამის აზრით, ქართულში გვაქვს 39 ასო და არა ორმოცი, როგორც ეს გვჭონდა ანტონთან, გაიოზთან და დავით ბატონიშვილთან. ბრუნვა არის 8, ბრუნება — 5 დამაბოლოებელი ხმოვნების მიხედვით.

ვარლამის მიხედვით, ქართულ ნაცვალსახელებს აქვთ ორი სქესი (?) საშუალო და საზოგადო. პირველებს ქმნის ნაცვალსახელები, რომლებიც ცვლიან უსულო საგნებს, ხოლო მეორეებს — სულიერ საგანთა შემცველნი. ეს წესი ხელოვნურია და ნებისმიერად შედგენილი.

დრო ვარლამის მიხედვით შვიდია. უღლებაც შვიდი. სიტყვათა შეერთების შესახებ ამ ნაწილში იგი იძლევა შვიდ უმნიშვნელოვანეს სინტაქსურ წესს“ [1].

აი ყველაფერი, რაც ვარლამის გრამატიკაზე უწერია ალ. ცაგარელს. იმის გარდა, რომ ეს ცნობები მეტად მცირეა, მათში უზუსტობაცაა. არაა სწორი, თითქოს ვარლამის გრამატიკა წარმოადგენდეს გაიოზის გრამატიკის შემოკლებას[2].

როგორც ზემოთაც ვნახეთ, ვარლამთან არც ერთი გრამატიკული კატეგორიის არც განსაზღვრა, არც ილუსტრირება გაიოზიდან არ მოდის. ვარლამის გრამატიკა არა თუ შემოკლებაა გაიოზის გრამატიკისა, არამედ სრულიადაც არა ჩანს იმის კვალი, რომ მის ავტორს საერთოდ ენახოს გაიოზის გრამატიკა.

ამის გამო არც ისაა სწორი, რომ თითქოს ვარლამის გრამატიკა აგებულებით ჰგავს გაიოზის გრამატიკას.

ვარლამის გრამატიკა მიჰყვება იმ დროის რუსული გრამატიკების მოდელს. მასში ბევრი განსაზღვრაც რუსულის მიხედვითაა გაკეთებული. მაგ., ზმნა ვარლამთან არის: „ცვალებადი მეტყველების ნაწილი, რომელიც გადმოგვცემს მოქმედებას ან ვნებას“ (გვ. 26).

ვარლამის ეს განსაზღვრა ანტონის განსაზღვრისგანაც განსხვავდება. სხვაობას ქმნის განსაზღვრაში ცნების „ცვალებადობის“ შემოტანა— ეს კი აშკარად რუსული გრამატიკული ტრადიციიდან მოდის.

ვარლამის გრამატიკა უპირველესად და მხოლოდ და მხოლოდ ანტონის გრამატიკიდან მოდის. ამას თვითონ ალ. ცაგარელიც წერდა იმავე წიგნში: „ანტონის უახლოესი მიმდევრები (დროის მიხედვით) გაიოზი, დავითი, ვარლამი მკაცრად მისდევენ მის გრამატიკას ტერმინოლოგიით, განსაზღვრებებითა და ზოგადი გეგმით“[3].

ამას გარდა, ალ. ცაგარელმა დაუშვა ფაქტობრივი ხასიათის რამდენიმე უზუსტობა: მისი აზრით, ვარლამი იძლევა ბრუნების ხუთ ჯგუფს სიტყვის დამაბოლოებელი ხმოვნების კვალად, რაც აგრეთვე არაა სწორი. ვარლამი არსად არ ასახელებს ბრუნების რაოდენობას. მასთან ბრუნება არც ცალკე „მდევარია“ სახელისათვის დამახასიათებელი, რაც გაიოზთან, მართლაც, ცალკე გვქონდა. ხოლო ბრუნების პარადიგმების ჩვენების დროს მას მოცემული აქვს ა, ე, და ი-ზე ფუძედამთავრებულე-

[1] Ал. Цагарели. О грамм. лит., გვ. 39.

[2] ეს აზრი, ალ. ცაგარელზე დაყრდნობით, ელ. ნიკოლაიშვილმაც გაიმეორა (იხ. გაიოზ რექტორი — ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე „სკოლა და ცხოვრება“, 1971 წ., № 11).

[3] Ал. Цагарели, О грамм. лит., გვ. 34—35.

ბი ცალ-ცალკე, ხოლო ო-სა და უ-ზე — ერთად, ე. ი. სულ ოთხი და არა ხუთი.

ჩვენთვის გაუგებარია ისიც, თუ საიდან აიღო ალ. ცაგარელმა, თითქოს ვარლამთან 7 დრო გვქონდეს. მასთან და არა მარტო მასთან (ეს უკვე კანონადაა საკვლევი პერიოდის ყველა გრამატიკოსთან) მხოლოდ ექვსი დროა სრულიად ნათლად მითითებული. ისიც გასაკვირია, რა „უმნიშვნელოვანეს სინტაქსურ წესებზე" შეიძლება ლაპარაკი ამ გრამატიკის მიხედვით, თუ ამ „წესებს" მეტად მცირე ფორმატის წიგნში სულ ორი გვერდი ეთმობა?

თუ ვარლამის გრამატიკის წყაროს საკითხი ეჭვს არ იწვევს — ასეთად ანტონის გრამატიკა უნდა იქნეს მიჩნეული — უფრო ბუნდოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია ვარლამის გრამატიკამ მომდევნო გრამატიკულ ლიტერატურაზე, რადგან არც ამისი პირდაპირი კვალი ჩანს.

ღა ვინმე ისარგებლებდა ვარლამის გრამატიკით, უნდა ესარგებლნა მის თანამედროვესა და მოწაფეს იოანე ქართველიშვილს.

იქნებ იოანემ, მართლაც, აიღო ზოგი რამ ვარლამისგან: 1. უპირველესად ეს ეხება ტერმინოლოგიას და ერთ შემთხვევაში მეტყველების ნაწილთა განსაზღვრას, კერძოდ, მათს დაყოფას შ ე ც ვ ა ლ ე ბ ი თ ად და ა რ შ ე ც ვ ა ლ ე ბ ი თ ად.

2. იოანესთან გვაქვს ს ა თ ვ ი თ ო ს გვერდით ტერმინი ს ა კ უ თ ა რ ი, რომელიც რუსული собственный-ს თარგმანი ჩანს. ვარლამთან სწორედ ეს ტერმინი გვქონდა.

3. სხმითგარდასავლითი იოანესთან **„წარმოებითითაა"** შეცვლილი, ვარლამთანაც მისი რუსული შესატყვისი **„производный"** — გვაქვს.

შეიძლება ყველა ეს ტერმინი იოანესთან ვარლამის გზით მოხვდა, თუმცა უფრო შესაძლებელია, ისინი იოანემ რუსული გრამატიკული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ შემოიტანა თავის გრამატიკაში; — აკი მიუთითებს: „ხელმწიფემან აღწერად ამისსა ვიმეცადინე მსგავსად ყოფად სისტემაი მისი როსსიულისა ღრამატიკისა თანა, ხოლო სხვაი კანონი... დაცდე ვითარცა მოითხოვდა თვისება ქართულისა ენისაო" [1].

---

[1] ი. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ღრამმატიკა, წინასიტყვაობა (საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—4432).

VII. იოანე ქართველიშვილის გრამატიკა — ახალი ეტაპი ქართული გრამატიკული აზრის განვითარების გზაზე

იოანეს ბიოგრაფია; იოანე ქართველიშვილის ავტორობის საკითხი და მისი ხელნაწერი და ნაბეჭდი გრამატიკების ურთიერთმიმართება; ი. ქართველიშვილის გრამატიკის ორი რედაქცია.

იოანე ოთარის ძე ქართველიშვილი დაბადებულა[1] 1772 წელს. ქართლში, სოფ. ფხვენისში.

1784 წელს მიუბარებიათ კალოუბნის ეკლესიაში, სადაც უსწავლია „წიგნნი საეკლესიონი“.

1788 წელს უკურთხებიათ მთავარდიაკვნად სიონის ტაძარში.

1791 წელს გადაუწყვეტია სამეცნიერო წიგნების შესწავლა და დახმარებისათვის საქართველოს მაშინდელ კათალიკოს ანტონ მეორისათვის მიუმართავს, რომელმაც იგი თავის არხიმანდრიტს — ვარლაჰ ერისთავს[2] მიაბარა.

1792 წელს ანტონთან კურთხეულა მღვდლად. „ამასვე წლისა სივრცესა შინა ვკითხულობდი და ვისწავლე ახსნით ვარლამისაგან წიგნნი ესენი: ღრამმატიკა, რიტორიკა, კატიღორია, ლოღიკა და მეტაფისიკა გარდავსწერეცა წიგნნი ესენი თვინიერ კატეღორიისაო“,—წერს იოანე[3].

1794 წელს იგი პროტოპოპ იოანე ოსიძესთან სწავლობს ფიზიკასა და იოანე დამასკელის საღმრთო წიგნებს. იმავე წელს შვილების აღმზრდელად მიუწვევია მეფის-ძეს იულონს.

1795 წელს, როცა თბილისს აღა-მაჰმად-ხანი შემოესია, იოანე,

---

[1] ი. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ბიოგრაფია მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდეც კარგადაა ცნობილი იმ „მემუარებიდან“, რომლის პირველი ნაწილი ი. ქართველიშვილს 1801 წელს დაუწერია ქუთაისში ყოფნისას, ხოლო მეორე ნაწილი — თბილისში საკეთილშობილო სასწავლებელში მუშაობის დროს (იხ. ი. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, ავთ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1952 წ.).

[2] შემდგომში საქ. ეგზარქოსი, ზემოთ განხილული გრამატიკის ავტორი.

[3] მემუარები, გვ. 70.

იულონის სახლობასთან ერთად, ცოლშვილითურთ მთიულეთს გაიხიზნა და ჯერ დუშეთს შეჩერდა, მერე კი — ცხაოტს.

14 სექტემბერს იქ მიბრძანებულა მეფე ერეკლე და, რადგან იქ სხვა მღვდელი არავინ იყო, „მუნ ვეულოცე ცისკარი და მწუხრი თვინიერ ყოველისა ცერემონიისაო“, — წერს იოანე.

აღა-მაჰმად-ხანის საქართველოდან წასვლის შემდეგ იოანე კვლავ იულონის ოჯახშია.

როგორც ცნობილია, იულონი იყო ერეკლე მეფის მეორე ვაჟი (გიორგის მომდევნო) და ერეკლეს ანდერძის (ყალბის თუ ნამდვილის) თანახმად გიორგის შემდეგ ტახტის მემკვიდრე. ამიტომაც იყო, რომ გიორგი XIII-ის სიკვდილის უმალ იულონი გაეშურა ქართლიდან (სადაც მისი მამულები იყო) ქიზიყს, რათა იქაური მცხოვრებლები ერთგულებაზე დაეფიცებინა. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, მას ფეხდაფეხ მიჰყვა იოანე და რუსის ჯარის ნაწილები, რის გამოც იულონი სასწრაფოდ იხევს უკან გორში და ჩქარა იძულებულია ქუთაისში გადავიდეს.

ამ დროს მას განუშორებლად ახლავს იოანე ქართველიშვილი, თუმც ამ უკანასკნელს იმერეთში ცოლ-შვილი არ წაუყვანია, რა მიზეზითაც 1802 წელს ბრუნდება იმერეთიდან და... სამსახურს იწყებს დედოფალ დარეჯანთან (დარიასთან) [1].

1803 წელს დედოფლის რუსეთში წასვლის შემდეგ იოანე სეეტი-ცხოვლის საკათედრალო ტაძარშია, საიდანაც 1804 წლის მაისში პ. ციციანოვის — საქართველოს მაშინდელი მთავარმართებლის — თხოვნით გადმოიყვანეს თბილისს ახლადგახსნილ საკეთილშობილო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად.

იგი ამ სასწავლებელში მასწავლებლად ჩანს 1812 წლამდე.

იოანე გარდაიცვალა 1816 წელს („მემუარები“, შესავალი წერილი, გვ. 26).

როგორც ზევით უკვე ვთქვით, კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენა პირველად გაიოზ რექტორის გრამატიკით ისწავლებოდა, მაგრამ 1809 წელს იოანეს თვითონ შეუდგენია გრამატიკა, რომლისთვისაც შემდეგი შინაარსის „წინათუწყება მკითხველთათვის“ წაუმძღვარებია:

„თუმცა ცნობა კანონთა ღრამმატიკასათა კმად აღწერილ არს განსვენებულისა საქართველოს კათალიკოს პატრიარხისა ანტონისაგან მის მიერ ქმნილსა ღრამმატიკასა შინა, გარნა ვინაითგან სივრცისაგან მისა არა ადვილ ძალუძსთ ჰსწავლად იგი მცირეწლოვანთა ყრმათა, ამისათვის

[1] დარეჯანი იყო ერეკლე მეორის უკანასკნელი მეუღლე და ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იმ ჯგუფისა, რომელიც იბრძოდა დავით ბაგრატიონის ტახტზე ასვლის წინააღმდეგ...

და გულმოდგინებისა ძალითაც თანამდებობისა ჩემისადმი, ეგრეთვე სასარგებლოდაცა ყრმათა თანამემამულეთა ჩემთათა დაუშვერ შეთხზვასა შინა წინამდებარისა ამა წიგნისასა. ხელმწიფემან აღწერად ამისა ვიმეცადინე მსგავს ყოფად სისტემაი მისი როსიულისა ღრამმატიკისა თანა, ხოლო სხვანი კანონი ლექსთწარმოებისა და ლექსთთხუზულებისანი დავსდე ყოველნივე ესრეთნი, ვითართაცა მოითხოვდა თვისება ქართულისა ენისა. ამას შინა ხმარებულნი წოდებანი რომელთამე სიტყვის ნაწილთ მდევართანი, ეგრეთვე განყოფილებანი მათნი და სხვანი, თუმცაღა არიან სახელდებულნი ახალითა გვარითა, გარნა არ ეწინააღმდეგებიან სხვათა ღრამმატიკათა ქართულს ენას ზედა ქმნილთა. არამედ შსუბუქ და უსრულეს ცნობისათვის ხელოვნებისა ამის ყრმათა მიერ როსიულისა ენის მოსწავლეთა.

გჰსასოებ რომელ გულისმომდგინებელი ამისადმი შეძლებულ იქნების მოპოებად სარგებლობისა მცირისა ამის შრომის ჩემისაგან: ხოლო უსრულესად მეცნავი ამის ხელოვნებისა, უკეთუ ჰპოებს მას შინა ნაკლოვანებასა რასამე არა გიებულმყოფს მე მისთვის, არამედ თვით იმეცადინებს სრულყოფად მისსა".

მალე, დაახლოებით 1814 წლისათვის, იოანეს მოუცია ამ გრამატიკის მეორე რედაქცია. იგი საკითხთა განხილვისა და დალაგების თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია. მის ბაზაზე 1817 თუ 1818 წლებში, თბილისში, იბეჭდება ანონიმური გრამატიკა, რომელიც მკვლევართა ვარაუდით, 1826 წელს მეორედ გამოდის მოსკოვში.

ი. ქართველიშვილის გრამატიკა თავის დროზე ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და პოპულარული უნდა ყოფილიყო, რაზედაც მეტყველებს ხელნაწერთა სიმრავლე: მეტად თუ ნაკლებად სრული თერთმეტი— ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში; ორი — ლენინგრადში (ერთი — სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის იოანესეულ ფონდში, ხოლო მეორე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ბროსესეულ ფონდში); ერთიც — გორის ისტორიულ მუზეუმში. სულ — თოთხმეტი და მრავალი ფრაგმენტი. ამ გრამატიკის პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ ამ შრომამ დიდი გავლენა იქონია შემდეგი დროის გრამატიკულ აზრზე.

და მიუხედავად იმისა, რომ ორი ხელნაწერის (თბილისურის S—4432-ისა და ლენინგრადულის) ყდაზე ნათლადაა წარწერა: „ქართული ღრამმატიკა შეთხზული თბილისის საკეთილშობილო სასწავლებლის მოძღვრის პროტოპოპის იოანე ქართველიშვილისაგან სახმარად მისსავე სასწავლებელსა 1809 წ., თბილისში", ამ გრამატიკას თითქმის დღემდე ზოგი მეცნიერი იესე ჩუბინაშვილს მიაწერდა, რის გამოც იძუ-

ლებული გაეხდით საგანგებოდ გვეკვლია იოანე ქართველიშვილის ხელნაწერი და ნაბეჭდი გრამატიკების ურთიერთობის საკითხი [1].

ჩვენს წიგნთსაცავებში ინახება სამ ათეულამდე ცალი ხუცური შრიფტით დაბეჭდილი გრამატიკა. ტექსტი ყველა ეგზემპლარისა ერთია, თუმცა აშკარად შეიმჩნევა, რომ საქმე გვაქვს ორ ხხვადასხვა გამოცემასთან. დათარიღებული არაა არც ერთი გამოცემა. უცნობია წიგნის ავტორიც, გამოცემის წელიც, ადგილიცა და გამომცემელიც.

პირველი მკვლევარი, რომელმაც ეს წიგნი განიხილა, ალ. ცაგარელი იყო. იგი წერდა: „გრამატიკა იესე ჩუბინოვისა ქართულ ენაზე, ნაბეჭდი საეკლესიო ანბანით, უთავფურცლო, უავტოროდ (ყოველ შემთხვევაში არა აქვს პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის იმ ეგზემპლარს, რომლითაც მე ვისარგებლე. თუმცა ეგზემპლარი სრულიად ახალია) გამოცემის ადგილისა და დროის მიუთითებლად“[2].

ალ. ცაგარელი ამ ცნობის წყაროდ ასახელებდა ა. შეგრენის წერილს, რომელიც გამოქვეყნდა 1838 წელს ჟურ. „Literarisshe Anzeige“ № 97-ში. შეგრენის სტატიაში წიგნის დაბეჭდვის თარიღად მიჩნეული იყო 1818 წ.

აკად. ა. შეგრენის ეს წერილი იყო რეცენზია მ. ბროსეს იმ შრომებზე, რომლებიც ქართული ენის საკითხებს ეხებოდა. რეცენზიის ავტორი აღნიშნული გრამატიკის გარდა ასახელებდა სოლ. დოდაშვილისა და იოანე ბატონიშვილის გრამატიკებს და მიუთითებდა, რომ ამ შრომების უქონლობამ ავტორი (მ. ბროსე) დიდად დააზარალაო“[3].

უნდა ვიფიქროთ, რომ ანონიმური გრამატიკის ავტორად იესე ჩუბინაშვილის დასახელების შესაძლებლობა ა. შეგრენს იმავე მ. ბროსემ მისცა, რადგან სწორედ მ. ბროსემ 1838 წელს პეტერბურგში ფრანგულ ენაზე გამოსცა თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის წიგნების აღწერილობა, შედგენილი თეიმურაზისვე . ხელით 1835 წელს. ბროსეს კატალოგში 118-ე ნომრად (აგრეთვე თეიმურაზის აღწერილობაშიც) შეტანილია გრამატიკა ი. ჩუბინოვისა.

რა წყაროებს ეყრდნობოდა თ. ბაგრატიონი, უცნობია.

თუ აქ ალ. ცაგარელი, შეგრენზე მითითებით, გრამატიკის გამოცემის თარიღად 1816—17 წწ. გულისხმობდა, სხვაგან, როცა იგი ჩუბინიშვილების ოჯახის ისტორიას ეხება, იესე ჩუბინაშვილს მიაწერდა საეკლესიო შრიფტით დაბეჭდილ გრამატიკას, რომელიც გამოიცა თბილისში

---

[1] იხ. ალ. ფ ო ც ხ ი შ ვ ი ლ ი, „ანონიმური გრამატიკის ავტორი იოანე ქართველიშვილია. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1971 წ., № 1.

[2] Ал. Ц а г а р е л и. О грамм. лит., გვ. 39—40.

[3] იხ. იქვე, გვ. 29—30.

1818 წელს საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს წინადადებით სასულიერო სასწავლებელში სახელმძღვანელოდ.

ალბათ, ალ. ცაგარელი ამ უკანასკნელშიც ა. შეგრენის მიერ მითითებულ გრამატიკას გულისხმობს.

დიმიტრი ყიფიანი, უთუოდ ალ. ცაგარელის გაელენით, წერდა: „ღრამმატიკა დეკანოზის იესე ჩუბინოვისა, ხუცურად დაბეჭდილი. როდის და სად არა სჩანს, მაგრამ ჩემს დროს სასწავლებელი წიგნი ეს იყო სასულიერო და საერო სასწავლებელში“ [1].

მაგრამ ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევი მაინც ნიკო ჩუბინაშვილის თხოვნაა ობერპროკურორ გოლიცინის სახელზე, რომელშიც იგი აცხადებს, რომ საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს დავალებითა და სახსრებით მას შეუდგენია რუსულ-ქართული სალაპარაკო, ხოლო მის ძმას—პროტოიერეი იესეს—ქართული გრამატიკა; რომ ეს წიგნები დაბეჭდილია თბილისში და იყიდებოდა ავტორთა სასარგებლოდ. მეორედ ეს სახელმძღვანელოები დაიბეჭდა მოსკოვში 1826 წ. საქართველოს ეგზარქოსის სურვილით. ნ. ჩუბინაშვილი სთხოვს გოლიცინს, გასცეს განკარგულება, რათა ამ წიგნების შემოსავლის ნაწილი გადაეცეს პროტ. იესეს შვილების — დავითისა და ევგენიას — სასარგებლოდ [2].

1967 წელს ჟურნ. „მაცნეში“ გამოქვეყნდა ნ. აბესაძის სტატია „მასალები ერთი ნაბეჭდი ქართული გრამატიკის ავტორის საკითხისათვის“. წერილში, ზემოთჩამოთვლილ ავტორთა გარდა, მითითებულია იმაზედაც, რომ დ. ჩუბინაშვილის წიგნების კატალოგებშიც აღნიშნული გრამატიკა იესე ჩუბინაშვილის სახელზეა აღწერილი [3].

ნ. აბესაძე დაასკვნის: „ვფიქრობთ, ანონიმური გრამატიკის ავტორი განხილული მასალების მიხედვით ი. ჩუბინაშვილი უნდა იყოს“ და იქვე აღნიშნავს, რომ გრამატიკის ორივე გამოცემა „ქართულ წიგნში“ ი. ქართველიშვილზეა შეტანილი, რომ ამავე ავტორზეა იგი აღწერილი ბიბლიოთეკების კატალოგებში და ამჟამად მას ავტორები ი. ქართველიშვილისად მიიჩნევენო“ [4].

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნულ გრამატიკას ყველანი

---

[1] დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, პეტერბურგი, 1888 წ., გვ. 7.

[2] Ал. Цагарели. Свед. о памятн. груз. письм., т. I, вып. III, СПб., 1894 г.

[3] აქვე უნდა ითქვას, რომ დავითის კატალოგში იესე ჩუბინაშვილი კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული. ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორი აღდგენილია, რაც თავისთავად საეჭვოდ ხდის იესეს ავტორობას, რადგან არა გვგონია, შვილს არ სცოდნოდა, რომელი შრომების ავტორი იყო მამამისი, მით უფრო თუ მამას ბევრი შრომა არ დაუტოვებია.

[4] ნ. აბესაძე, მასალები..., „მაცნე“, 1967 წ., № 1, გვ. 239.

ი. ქართველიშვილისად არ მიიჩნევენ; რაც შეეხება „ქართულ წიგნს“. იქ მართლაც ი. ქართველიშვილია მითითებული.

რას ემყარებიან ჩუბინაშვილის მომხრეები?

როგორც ზემოთაც ვნახეთ, ნ. აბესაძის აზრით, ანონიმური გრამატიკის ავტორად ი. ჩუბინაშვილი უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ ჩამოთვლილი ავტორები ასე ფიქრობენ, მაგრამ რატომ „ქართული წიგნის“ ცნობას არ უნდა გავუწიოთ ანგარიში, ამაზე ავტორი არას ამბობს, თუმცა მან ისიც იცის, რომ „აღნიშნულ გრამატიკას ბევრი საერთო აქვს ი. ქართველიშვილის ხელნაწერ გრამატიკასთან (S—4432), კიდევ მეტიც, იგი (ე. ი. წიგნი) ქართველიშვილის გრამატიკის მიხედვითაა შედგენილი და კომპილაციური ხასიათისაა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საბუთი იმისა, რომ გრამატიკის ავტორად ი. ქართველიშვილი გამოცხადდეს (ხაზი ჩვენია — ა. ფ.). თითოეულ ამ გრამატიკას თავისი შეფასება უნდა მიეცეს“ [1]. სქოლიოში კი ავტორი ასეთ შენიშვნას აკეთებს: „აქ არ ვეხებით კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ გრამატიკას S—1545, რომლის ტექსტი ემთხვევა ნაბეჭდი გრამატიკის ტექსტს (სამართლიანად მიუთითებენ, რომ იგი წარმოადგენს კომპილაციას ი. ქართველიშვილის გრამატიკიდან — (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, გვ. 1), ასეთივე ხასიათისაა სხვა ხელნაწერებიც (S—148, 243, H—1217). არ ვეხებით აგრეთვე ი. ჩუბინაშვილის ხელნაწერ გრამატიკას (C 148, B 112), რომელიც დოც. ანტ. კიზირიამ მიაკვლია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში. ეს გრამატიკა სხვა შედგენილობისაა, გრამატიკის მეორე ნაწილში განხილულია სინტაქსის საკითხები (იხ. ანტ. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი, 1963, გვ. 4).

ანტონ კიზირიას ცნობის მიხედვით, მისი ტექსტი განსხვავდება ნაბეჭდი გრამატიკის ტექსტისაგან“ [2].

ჩვენი აზრით, ავტორის დასადგენად სწორედ ხელნაწერი დედნისა და ნაბეჭდი წიგნის შედარებით უნდა დაგვეწყო.

ჩვენც ასე მოვიქეცით: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული 11 ხელნაწერი (S—1545, 148, 1618, 3724, 2850, 2585, 5177, 4432, H—1217, 239, Q—732) შევისწავლეთ ძირფესვიანად, შევუდარეთ ერთმანეთს, შემდეგ — ნაბეჭდს და დავადგინეთ... რის შესახებაც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

ნ. აბესაძემ, როგორც ვნახეთ, ხელნაწერი S—1545 მიიჩნია ნაბეჭ-

---

[1] ნ. აბესაძე, მასალები... „მაცნე“, 1967 წ., № 1. გვ. 239.

[2] იქვე.

დის წყაროდ. „S—1545-ის ტექსტი ემთხვევა ნაბეჭდი გრამატიკის ტექსტსო“ და ფრჩხილებში შენიშნავს: „სამართლიანად მიუთითებენ, რომ იგი წარმოადგენს კომპილაციას ი. ქართველიშვილის გრამატიკიდან“.

მაშასადამე, S—1545 ი. ქართველიშვილის გრამატიკის (იგულისხმება ხელნაწერი — S—4432-ის) კომპილაციაა. იგი ემთხვევა ნაბეჭდის ტექსტს, ე. ი. ნაბეჭდი კომპილაციაა ი. ქართველიშვილის გრამატიკისა.

კომპილაციაზე ნ. აბესაძე, ხელნაწერთა აღწერილობის გაევლენიო უნდა ლაპარაკობდეს, რადგან ასე წერს ფონდის 111 ტ. აღმწერი მ. შანიძე.

კომპილაციურიაო ნაშრომი, ამბობენ იმ შემთხვევაში, როცა იგი რამდენიმე სხვა ნაშრომის ბაზაზეა შედგენილი. ჩვენ შემთხვევაში კი მხოლოდ ერთ წყაროზე — ი. ქართველიშვილზე მიუთითებენ, ამიტომ კომპილაციაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება[1].

არც ისაა სწორი, თითქოს ხელნაწერი S—1545 ემთხვეოდეს ნაბეჭდს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ საქმე გაგვიიოლდებოდა, ნაბეჭდის ხელნაწერი დედანი ხელთ გვექნებოდა და მისი ავტორის დადგენაც დაგვრჩებოდა საძიებელი. უნდა შევნიშნო ისიც, რომ ნ. აბესაძე ცდება ხელნაწერთა დაჯგუფებაში. მან S—1545 ნაბეჭდსდამთხვეულ ხელნაწერად მიიჩნია და აქვე შენიშნა: „ასეთივე ხასიათისაა ხელნაწერებიც S—148, 248, H—1217)“, ხოლო, როცა ხელნაწერ S—4432-ს იხილავს, სქოლიოში მიუთითებს: „ამ გრამატიკის რამდენიმე ხელნაწერია დაცული თბილისში (S—1618, 2585, 2850, 3724, H—239, Q—732)“.

სინამდვილეში საქმის ვითარება ასეთია:

ხელნაწერი S—243, რომელიც ალექსანდრე ჩიქოვანის გადაწერილადაა მიჩნეული, სრულიად უნდა ამოვიღოთ ამ სიიდან. იგი საერთოდ განსხვავება ყველა სხვა შრომისაგან და როგორც შემოწმებამ დაადასტურა, წარმოადგენს, ერთი მხრით, ანტონისა და, მეორე მხრით ი. ქართველიშვილის გრამატიკის (S—4432) დებულებებზე აგებულ სახელმძღვანელოს.

აი, სად უნდა ვილაპარაკოთ კომპილაციაზე!

ეს ხელნაწერი ერთადერთია და იგი გადაწერილი კი არაა ჩ-ქოვანის მიერ, არამედ სწორედ მისი შედგენილია. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ხელნაწერის გარეკანზე ალექსანდრე ჩი-

---

[1] თუმცა ასეა ნათქვამი S—1545-ის აღწერილობაშიც: „1545—იოანე ქართველიშვილის გრამატიკა. 1816... შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს კომპილაციას იოანე ქართველიშვილის „ქართულ გრამატიკიდან“. შდრ. ხელ. S—4432“.

ქოვანი ისეთი ფორმითაა წარწერილი, როგორც სწორედ ავტორს შეეფერება და არა გადამწერს [1].

ვერც S—148 ამოუდგება გვერდით S—1545-ს, რადგან იგი გაცილებით მცირე მოცულობისაა. აკლია მთელი 58 პარაგრაფი ბოლოში და დაახლოებით 8 გვერდი შუაში, 30-ე გვერდის შემდეგ [2].

დაგვრჩა H—1217. ამ ხელნაწერის მართლაც ყოველი პარაგრაფი ემთხვევა S—1545-ს.

მაგრამ მათ შორისაც დიდი განსხვავებაა: H—1217 გაცილებით დიდი და სრულია, ვიდრე S—1545. იგი 1824 წელზე ადრე არაა გადაწერილი (ჭვირნიშანი ყველგან 1824 წლისაა), იგულისხმება, რომელიღაც სხვა დედნიდან მოდის. ზუსტად ამავე ხასიათისაა ხელნაწერი S—2585, თუმცა ეს უკანასკნელი H—1217-ზე უფრო სრულია და მასში მოთავსებულია ბრუნვის ნიშნების სქემა, რომელიც მხოლოდ S—4432-ში და მის ზუსტ პირში H—239-შია. ამათ გვერდით უნდა დადგეს ხელნაწერი S—1618 [3]. იგი წარმოადგენს H—1217-ის იმ ნაწილს, რომელიც სწორედ S—1545-ს აკლია.

ნათქვამის მიხედვით ხელნაწერთა ეს ჯგუფი ასე განაწილდა: ცენტრშია S—1545, მის დასაწყისს წარმოადგენს S—148, გაგრძელებას — S—1618, ხოლო ორივეს — ერთად აღებულს (S—1545 და S—1618-ს) უდრის H—1217 და S—2585.

მაშასადამე, ნ. აბესაძის S—1545, 148, 243; H—1217-ის ნაცვლად გვექნება ასეთი რიგი S—1545, 148, 1618, 2585; H—1217.

ამ ხელნაწერების გვერდით გვაქვს ხელნაწერთა მეორე ჯგუფი, რომელთა ცენტრში დგას S—4432 [4].

ამ ხელნაწერის ზუსტი პირია H—239 [5], მასვე გვერდით უდგას Q—732, რომელსაც აკლია მხოლოდ ბრუნვის ნიშნების სქემა. ამავე რიგისაა ხელნაწერები: S—2850 (წარმოადგენს S—4432-ის მეორე ნაწილს) და S—3724 — წყდება 90-ე პარაგრაფზე. მანამდე კი ზუსტად ემთხვევა მას.

---

[1] საჭიროა გასწორდეს აღწერილობის შესაფერი ადგილი, S ფ. ტ. I.

[2] აღწერილობაში არც ამაზეა არაფერი ნათქვამი, იხ. ტ. I.

[3] აღწერილობაში მიუთითებენ ივ. ქართველიშვილის გრამატიკაზე და 1815 წელზე, რაც არაა სწორი. საქმე ისაა, რომ, თუ აღწერი ნაბეჭდ გრამატიკას გულისხმობს, მასში ეს ნაწილი არაა შესული, ხოლო, თუ ხელნაწერზე მიუთითებს, იგი ხომ 1809 წელსაა შესრულებული. აღწერაში არც ჭვირნიშანზეა ლაპარაკი, რაც (1813) ხელნაწერის ქაღალდს აშკარად ატყვია.

[4] აეთ. იოსელიანის აზრით (იხ. ივ. ქართველიშვილის მემუარები, გვ. 28), იგი ავტოგრაფი არ უნდა იყოს, მაგრამ ხელნაწერის ხასიათი (ჩასწორებები, დამატებები, მინაწერები) სწორედ ავტოგრაფობას ამტკიცებს.

[5] თუმცა ნაკლული და აკინძვისას აღრეული.

ხელნაწერი S—1577 რამდენიმე გვერდია შემონახული და მასზე შეჩერება არ ღირს.

ამრიგად, ნ. აბესაძის S—4432, 1618, 2528, 2850, 3724; H—239, Q—732-ის ნაცვლად გვექნება: S—4432, 2850, 3724, H—239, Q—732.

რა ურთიერთობაა ამ ორი ჯგუფის ხელნაწერებს შორის?

როცა S—1545 შევუდარეთ S—4432-ს აღმოჩნდა, რომ ისინი თითქმის ემთხვევიან ერთმანეთს: განსხვავება იმაშია. რომ ზოგი პარაგრაფი, რაც S—4432-ში პირველ თავშია, S—1545-ში ბოლოშია გადატანილი, ან, ჩვეულებრივ, აღრეულია პარაგრაფებად დაყოფა. ზოგად თავების დასახელებაშიაც და ტექსტშიაცაა განსხვავება, მაგრამ მეტად უმნიშვნელო.

მაშასადამე, ხელნაწერთა ერთი ჯგუფი (S—4432-ის რიგისა) ი. ქართველიშვილისეული ორიგინალის ზუსტი პირია, მეორე — (S — 1545-ის რიგისა) მისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული. — ასეთი იყო დასკვნა — ხელნაწერთა შესწავლის შემდეგ.

ჩატარებული მუშაობის შედეგები მოვახსენეთ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა 33-ე სამეცნიერო სესიას (თეზისები დაიბეჭდა) 1968 წლის 23 აპრილს.

მოხსენებაში (რომლის დედანიც იმავე ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ინახება) ვამბობდით: „ხელნაწერების ამ ორ ჯგუფს შორის სხვაობა იმდენად მცირეა, რომ ვფიქრობთ, რედაქციულ სხვაობადაც ძლივს ჩაითვლება, რაც იმის უფლებას გვაძლევს, რომ ყველა ხელნაწერის ავტორად ი. ქართველიშვილი ჩავთვალოთ, მაგრამ, რადგან ნაბეჭდი გრამატიკა სავსებით არც ერთ ხელნაწერს არ ემთხვევა, უნდა ვიგულისხმოთ, მას ვიღაცამ „რედაქცია“ გაუწია და გამოსცა. ეს პირი, ალბათ, იესე ჩუბინაშვილია“ [1].

ვარაუდი სავსებით გამართლდა.

1969 წლის აგვისტოში ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა იოანე ბატონიშვილისეულ ფონდში ვიპოვეთ ხელნაწერი გრამატიკის ნასწორები ეგზემპლარი, რომლის წინასიტყვაობასა და დასასრულს ხელს აწერს ი. ქართველიშვილი, მსგავსად თბილისის S—4432 ხელნაწერისა.

---

[1] ხელნაწერისა და ფოტოპირის შედარებით ანალიზში მონაწილეობა მიიღეს ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე მ და მეცნიერ თანამშრომელმა ც. ჭ ა ნ კ ი ე ვ მ ა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მათ.

ხელნაწერის ფოტოპირისა და ი. ქართველიშვილის მემუარების (A—1190) ხელის შედარებითმა ანალიზმა ცხადყო[1], რომ ლენინგრადულ ხელნაწერი ავტოგრაფია და, რადგან ნასწორებისა და დედნის ხელიც ერთია, უეჭველია ჩასწორებებიც ი. ქართველიშვილს ეკუთვნის.

როცა ჩასწორების შემდეგ მიღებული ტექსტი გამოვყავით და ცალკე წავიკითხეთ, იგი დაემთხვა S—1545 ხელნაწერს.

მაშასადამე, ეჭვმიუტანლად დადგინდა, რომ ყველა ხელნაწერი ეკუთვნის ი. ქართველიშვილის კალამს, მაგრამ მათ შორის არის რედაქტორული და, ალბათ, ქრონოლოგიური სხვაობაც.

საქმის ვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

1E09 წელს ი. ქართველიშვილი წერს ქართული ენის გრამატიკას, ასწავლის მას სამი-ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ თვითონვე ხედავს ამ გრამატიკის შეცვლის საჭიროებას და უკეთებს ახალ რედაქციას.

ახალი რედაქცია უნდა დაწერილიყო არა უგვიანეს 18i6 წლისა, რადგან S—1545 სწორედ ამ წელსაა გადაწერილი, მაგრამ იგი პირველი რედაქციის დაწერიდან (1809 წ.) სამი-ოთხი წლის გასვლის შემდეგ უნდა შექმნილიყო.

მეორე რედაქციის ერთ-ერთი ხელნაწერი (შეიძლება სწორედ S—1545) დასდებია საფუძვლად ნაბეჭდ ტექსტს. შეიძლებაო, ვამბობთ იმიტომ, რომ ნაბეჭდსა და S—1545-ს შორისაც სხვაობა არის. მართალია, ეს სხვაობა გაცილებით მცირეა, ვიდრე სხვაობა პირველსა და მეორე რედაქციებს შორის, მაგრამ ფაქტია და გვერდს ვერ ავუვლით. მაგალითისათვის მოვიტანთ პარალელურ ტექსტებს.

ნ ა ბ ე ჭ დ ი	S — 1 5 4 5
თავი პირველი	თავი პირველი
„ასოთა განყოფისა თვის მარცვალთა და ლექსთა თვის“ (გვ. 2). (ასოთა სახელწოდებებია — ა. ფ.)	„ასოთა თვის მარცვალთა და ლექსთა“ (ფ. 2)... (ასოთა სახელწოდებები არაა — ა. ფ.).
—·—	—·—
„ხმოვნად იწოდებიან იგინი“...	„ხმოვანი ასონი არიან...“ (ფ. 4).
—·—	—·—
„ორხმოვნად იწოდებიან იგინი, რომელნიცა გამოთქმათა შინა აწა-	„ორხმოვანიცა არიან ხუთნივე... რომელნიც გამოთქმასა შინა აწარ-

[1] ალ. ფ ო ც ხ ი შ ვ ი ლ ი, XIX საუკუნის ერთი ნაბეჭდი ანონიმური გრამატიკა, თსპი XXXIII სამეცნიერო სესია, თბ., 1968 წ., გვ. 95.

მოებენ ბრჯგუდ ორთა ხმათა მიღებულთა სხვათა ასოთაგან და არიან ხუთნიენ...“ (გვ. 3).

—·—

„...ხოლო მარცვალნი არიან ერთითა განხმითა ბაგეთათა წარმოებულნი ხმანი მარტივნი ანუ შედგმულნი ხმოვანთა და უხმოთა ასოთაგან“ (გვ. 4).

—·—

მაგალითები: „პატივ-სადები“...

—·—

მე-8 გვერდზე მიდის სქოლიო: „აღმნიშვნელად პირისად... ხოლო აღმნიშვნელად ნივთისად იწოდებიან იგინი, რომელნიც ცხად ჰყოფენ არსებათა უსულოთა ანუ გონებასა შინა წარმოდგენილთა საგანთა“. (გვ. 6).

მოებენ ბრჯგუდ ორთა ხმათა მიღებულთა ხმოვანთა ასოთაგან“ (ფ. 4).

—·—

„...ხოლო მარცვალნი არიან გამოთქმასა შინა ერთითა განხმითა ბაგეთათა წარმოებულნი ხმანი, ანუ მარტივნი და ანუ შედგმულნი ხმოვანთა და უხმოთა ასოთაგან“ (ფ. 4).

—·—

მაგალითები: „პატივის-მოყუარე“

—·—

სხოლიო გადატანილია ორი განსაზღვრის შემდეგ... ხოლო აღმნიშვნელად ნივთისად იწოდებიან იგინი, რომელნიც ცხად ჰყოფენ არსებათა უსულოთა“ (§ 7).

აქედან (დაბეჭდილში გვ. 8, ხოლო ხელნაწერში ფ. 7) ტექსტების ურთიერთობა სხვადასხვანაირია. ნაბეჭდში ჯერ ლაპარაკია არსებით სახელზე, მის დაყოფაზე სამად (საკუთრებითად, საზოგადოდ და შემკრებლობითად) და მოცემულია თითოეულის განსაზღვრა-დახასიათება. ხელნაწერში კი ზემოთ მოტანილი სქოლიოს შემდეგ მოდის ზედსართავის განმარტება, შემდეგ რიცხვითისა და მხოლოდ აქედან იწყება არსებითის დახასიათება.

განსხვავებაა თითოეული მეტყველების ნაწილთა განსაზღვრაშიც.

ნ ა ბ ე ჭ დ ი

„ზედშესრული სახელი აჩვენებს ვითარებასა პირისა ანუ ნივთისა და იცნობის კითხვისამებრ ვითარი?“ (გვ. 10).

S — 1545

„...ზედშესრული სახელი აჩვენებს ვითარებასა ანუ თვისებასა პირისა ანუ ნივთისა, რომლითაცა მიუცემლად არა შესაძლო არს გულხმებად იგი და იცნობვის კითხვისამებრ ვითარი?“ (7) (ფ. 7).

„...რიცხვითი სახელი აჩვენებს რიცხვსა ანუ რაოდენობასა პირისა ანუ ნივთისასა და იცნობვის კითხვათამებრ რავდენი? ანუ მერავდენე?“ (გვ. 14).

(საკუთარი სახელის მაგალითები: „ალექსანდრე, ტფილისი, როსსია, მტკუარი, კავკასია“—ა. ფ.)

„...რიცხვითი სახელი დანიშნავს რიცხვსა ანუ რაოდენობას ნივთთასა და იცნობვის კითხვისამებრ რაოდენი? ანუ მერაოდენე?“ (ფ. 7).

(საკუთარი სახელის მაგალითები: „ანდრეა, ალექსანდრე, მცხეთა, ტფილისი, მოსკოვი, ქართლი, კახეთი, როსსია, ფრანცია; მდინარენი: მტკუარი, არაგვი, არეზი, ბეთანი, სინა მთა, კავკასია და სხვანი“ — ა. ფ.)

ტექსტების თანამიმდევრობა ამის შემდეგაც შეცვლილია: ნაბეჭდი უბრუნდება არსებით სახელს და გადმოგვცემს, რომ „ნათესავნი არსებითისა სახელისანი არიან ოთხნი: მამრობითი, მდედრობითი, საშუალო და უმეშვეობითი“. ამას მოჰყვება თითოეულის დახასიათება და იწყება რიცხვითი სახელი. ხელნაწერში კი რიცხვითი სახელი სწორედ ზემოთ მოტანილი პარალელური ტექსტის შემდეგაა.

რიცხვითი სახელის განსაზღვრა-დახასიათებაშიც განსხვავება უმნიშვნელოა.

აქ ორივე ტექსტში თავდება მესამე თავი და იწყება — მეოთხე, რომელშიც დახასიათებულია ბრუნვები და მოცემულია კანკლედობის სახეობები. ტექსტი ემთხვევა ერთმანეთს, გარდა ორიოდე მაგალითისა.

კანკლედობა ორივე სახელმძღვანელოში „მარიამ“-ით იწყება.

ნაბეჭდში ნათესაობითსა და მიცემითში მოცემულია მხოლოდ გავრცობილი ფორმები (ისა, სა), ხელნაწერში კი ორივე ფორმა (ის, ისა; სა, ს), მოქმედებითი ნაბეჭდში თავისებურადაა წარმოდგენილი: საკუთარი სახელები — ნათესაობითის ფორმითა და „მიერ“ თანდებულით (პეტრეს მიერ, მარიამის მიერ), საზოგადო სახელები მხოლოდ — ითა ფორმით (კაც-ითა, არსებ-ითა), ხელნაწერში ორივე ფორმაა ნაჩვენები (მარიამ-ითა, მარიამისა მიერ; არსებ-ითა, არსებისა მიერ).

სამაგიეროდ ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნების საილუსტრაციოდ ხელნაწერში მხოლოდ ა-ფუძიანი სახელების მაგალითებია ნაჩვენები, (არსება და ანნა), ნაბეჭდში კი არსება და პეტრე არის ნაბრუნები; რითაც, ერთი შეხედვით, ორივე ხმოვანს

ეწევა ანგარიში. ორივე გრამატიკაშია საკუთარ სახელთა მრავლობითი, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ ხელნაწერი მიცემითში გაუვრცობელ ფორმებს („ა ნ ნ-ა თ", „ა ნ ნ-ე ბ ს"; არსებ-ათ, არსებ-ებს) წარმოგვიდგენენ, თუმცა გავრცობილი ფორმითაა წარმოდგენილი ამავე ბრუნვაში „კაც-ი", „ანტონი" და „მოგვ" — ფუძეები („კაც-თა", „ანტონ-თა", „მოგვ-თა").

„კაცი" და „ანტონი" ხელნაწერში მხოლოდ ნათესაობითშია წარმოდგენილი გავრცობილი ფორმით, ნაბეჭდში კი, როგორც ვთქვი, ყველგან გავრცობილი ფორმაა.

ნაბეჭდში ორივე ფუძე („ნჯთელი" და „პეტრე") მეტია, რითაც საქმის ვითარება უფრო ნათელი ხდება.

ამავე თავში, იქ, სადაც ლაპარაკია მრავლობითის წარმოებაზე ხელნაწერის, ვფიქრობთ, მექანიკური შეცდომა ნაბეჭდში აღარ მეორდება. ხელნაწერი: „ყოველითა გვარითა მრავლობითისა რიცხვისითა დაბოლოებულნი სახელნი ჰმსგავსობენ სამთა ბრუნვათა შინა (ესე იგი) ნათესაობითსა შინა მიცემითსა და მოთხრობითსა" (ფ. 21). ნაბეჭდი: „პირველისა ნიშნითა მრავლობითისა რიცხვსათა (იგულისხმება ნ-არ თ-იანი მრავლობითი — ა. ფ.) დაბრუნებულნი სახელნი ჰმსგავსებენ სამთა ბრუნვათა..." (გვ. 34).

ამით მთავრდება კ ა ნ კ ლ ე დ ო ბ ა (ბრუნება), რასაც მოსდევს თავი მ ე ხ უ თ ე — ს ი ტ ყ ვ ა თ წ ა რ მ ო ე ბ ა, თავი მ ე ე ქ ვ ს ე — ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს ჯგუფები და ბრუნება, რომელთა ტექსტიც აბსოლუტურად თანმხვეულია.

მეშვიდე თავი ეთმობა ზმნას.

პარაგრაფთა ნომრები ორივეგან ერთნაირია — 37, მაგრამ ტექსტის შინაარსში, დასაწყისშივე შეინიშნება სხვაობა.

მერვე თავი ზმნის მდევართ ანუ გარემოებათ ეხება და ორივე გრამატიკის ტექსტში ძირითადად ერთნაირია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საილუსტრაციო მაგალითებს.

პირთა განსაზღვრას ნაბეჭდში მოსდევს პირნაკლ ზმნათა დახასიათება, სადაც უკანონო ზმნებზეა მსჯელობა.

შემდეგ გრამატიკები კვლავ ემთხვევიან ერთმანეთს უღლებამდე.

უღლება ორივე ტექსტში „ვარ" ზმნით იწყება და, ამ მხრივ, რა თქმა უნდა, სხვაობა არაა, მაგრამ განსხვავებები გვაქვს ძირითადად უღლებათა განსაზღვრებებში.

ნ ა ბ ე ჭ დ ი	S — 1545
„ზმნანი პირველისა უღლილებისანი არიან იგინი, რომელნიცა	„ზმნანი პირველისა უღლილებისანი არიან იგინი, რომელნიცა

აწმყოსა შინა დროსა მხოლოობითსა რიცხვსა პირველსა შინა პირსა განჰპიროვნდებიან ასოთა ამით ვ და მეორესა შინა პირსა შემდგომითა მისითა ხუთითა ამით ასოთა რომელი არიან ა, ე, ი, უ, და ჰ, ხოლო მესამესა შინა პირსა დასასრულ ლექსისა განკიდურებულთა ასოთა ამით ს...“ (გვ. 67).

აწმყოსა შინა დროსა პირველსა შინა პირსა განჰპიროვნდებიან ასოთა ამით ვ, ხოლო მეორესა შინა პირსა შემდგომითა მისითა ასოითა (ესე იგი) ანუ ა, ანუ ე, ანუ ი, ანუ უ და ანუ ჰ და მესამესა შინა ასოითა ამით ს...“ (ფ. 41).

შემოქმედებითი ზმნების უღლება ნაბეჭდში „ვაშენებ“ ზმნით იწყება, მაშინ როცა ხელნაწერები აგრძელებენ ტრადიციებს და ყველგან „ვადიდებ“ ზმნა გვაქვს. ზმნათა უღლების სახეები განსხვავებას არ გვიჩვენებენ, მაგრამ განსხვავება გვაქვს განსაზღვრებებსა და სქოლიოებში, რასაც აქვე მოვიტანთ.

„სხოლიო: უკეთობითი და საწადის სქესი არღარა დადებულ არს მიმოხრათა შინა ვინაითგან თავით თვისით ვერ ჰყოფენ იგინი ვითარსამე შეცუალებასა ზმნათა შორის, არამედ ეზიარებიან აწმყო და მყოფად დროდ ზმნანი ბრძანებითისა სქესისა მყობადისა დროისანი, ხოლო ნამყო უსრულად, ნამყო სრულად და უსრულესად ზმნანი საზღვრებითისა სქესისანი, თანდართვითა ვითარითამე უკუეთობითა ანუ საწადთა ნაწილთაგანთა. ამის პირველისა ხატისა ზმნანი ყოველნივე არიან შემოქმედებითნი და აწარმოებენ მათგან ვითარცა ენებითნი აგრეთვე პირნაკლიცა პირველისა და მეორისა გვარისანი...“ (გვ. 75—76).

„სხოლიო: ამასვე მაგალითსა შეუდგებიან ყოველნი ზმნანი შემოქმედებითნი და უმეშვეობითნიცა: ხატ შემოქმედებითნი პირველი უღლილებისანი, მაგალითებრ: „ვ ე ს ვ რ ი“ „ვიქებ“, „ვუბნობ“ და სხვა. სქესი საწადი და ვიპოტეტიკა არღარა დადებულ არს მიმოხრათა შინა ამისათვის რომელ ვერ ჰყოფენ იგინი თავით თვისით ვერავითარსამე შეცუალებასა ზმნათა შორის, არამედ იხმარებიან აუცილებლად ზმნანი, ანუ საზღვრებითისა სქესისანი და ანუ ბრძანებითისა სქესისანი, თანმოკიდებითა რომელთამე უკეთუობითთა ანუ საწადთა ნაწილთათა...“ (ფ. 46—47).

პარალელური ტექსტების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნაბეჭდში ტექსტი თითქოს საგანგებოდ შებრუნებულადაა წარმოდგენილი: ის რაც ხელნაწერში ბოლოშია, აქ — თავშია და — პირუკუ.

ასეთი რედაქციული ცვლილებები გრძელდება შემდეგაც. გადაადგილებულია მიმოხრები, შეცვლილია დასათაურებანი (მაგ.: ნაბეჭდში: „მიმოხრა ზმნისა პირველისა უღლილებისასა მეხუთისა ხატისა საზღვრებითისა სქესისა", ხელნაწერში: — „უღვლილება სხმით-გარდასელითისა შემოქმედებითისა ზმნისათა") და სხვა.

რაც შეეხება მეცხრე თავს, (რომელიც ნაბეჭდში იწოდება: „შემეცნებანი შეცუალებათათვის დაბოლოებათა ზმნათათა სხვა და სხვა დროთა შინა". ხოლო ხელნაწერში:—„შეცუალებათათვის და დაბოლოებათა ორთავე უღვლილებათა სხვათა და სხვათა დროთა შინა და სქესთა"). ძირითადად ემთხვევიან ერთმანეთს.

თავი მეათე ხელნაწერში დაუსათაურებელია, ნაბეჭდში იგი იწოდება: „ზმნათა მაპიროვნებელთა და მამრავლებთა ასოთათვის პირველსა შინა უღვლილებასა". ამ თავშიაც პრინციპული სიახლე არაფერია. ნაბეჭდში მისი მოცულობა უფრო მცირეა, რადგან ზოგი რამ მეცხრე თავში იყო, რაც ხელნაწერში არაა მოცემული.

თავი მეთერთმეტეც ხელნაწერში დაუსათაურებელია, ნაბეჭდში იგი იწოდება: „უკანონოთა ზმნათათვის", ტექსტებს შორის განსხვავება აქაც რედაქციულია და ძირითად საილუსტრაციო მასალას ეხება.

დაწყებული მიმღეობიდან (ნაბეჭდში გვ. 133-დან ბოლომდე — 144-ე გვერდამდე), ტექსტები სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ერთმანეთს, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, ხელნაწერს ახლავს მესამე ნაწილიდან — „ლექსთთხზეიდან", ანუ „სინტაქსიდან" რამდენიმე პარაგრაფი, ნაბეჭდში კი მიმღეობის შემდეგ მოცემულია ზმნიზედის, თანდებულის, ქავშირისა და შორისდებულის განსაზღვრა-დახასიათების, ანუ მხოლოდ მეორე ნაწილის სრული ტექსტი.

როგორც ვხედავთ, ნაბეჭდსა და S—1545 ხელნაწერს შორის განსხვავება არის.

ვინ არის ამ ცვლილების შემტანი ნაბეჭდში?

თუ ამ ცვლილებებსაც ი. ქართველიშვილს მივაწერთ, რაც მეტად ლოგიკური ჩანს, რადგან მან უკვე ერთხელ მოგვცა განსხვავებული რედაქცია, საკითხი საბოლოოდ გადაწყდება და ი. ჩუბინაშვილი სრულიად გამოირიცხება. როგორც რაიმე ურთიერთობის მქონე ამ გრამატიკასთან, მაგრამ მაშინ პასუხს მოითხოვს სხვა საკითხი: საიდან გაჩნდა ი. ჩუბინაშვილის ავტორობის ტრადიცია ან ნ. ჩუბინაშვილს როგორ შეეძლო ოფიციალურად მოეთხოვა ჰონორარი ი. ჩუბინაშვილის სასარგებლოდ, თუ ამ უკანასკნელს წიგნის ბეჭდვაშიც კი არავითარი მონაწილეობა არ მიუღია?

ამას გარდა არსებობს კიდევ ერთი გასათვალისწინებელი მდგომარეობა: დღემდე არსებული ყველა მოსაზრებით გრამატიკა არ უნდა დაბეჭდილიყო 1817 წელზე უადრეს, ამ დროს კი ი. ქართველიშვილი ცოცხალი არაა [1].

მაშასადამე, ნაბეჭდში შეტანილი ცვლილებები ეკუთვნის არა ი. ქართველიშვილს, არამედ ვიღაც სხვა პირს და ეს პირი, ჩვენი აზრით, სწორედ ი. ჩუბინაშვილია.

მდგომარეობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: **ი. ჩუბინაშვილმა აიღო ი. ქართველიშვილის გრამატიკის მეორე რედაქციის ტექსტი, შეიტანა შიგ უმნიშვნელო ცვლილებები და მიიტანა დასაბეჭდად. მან სასტამბო ეგზემპლარს თავისი გვარი მიაწერა, რითაც ჰონორარის აღების უფლება მოიპოვა, მაგრამ წიგნზე იმავე გვარის მოუწერლობით სხვისი შრომის მითვისების ბრალდება აიშორა.**

ჩემოთ ნათქვამის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, ნაბეჭდი გრამატიკის ავტორი ი. ქართველიშვილია და სრულიად სწორად მოიქცა „ქართული წიგნის" I ტომის შემდგენელი ქრ. შარაშიძე, როცა ეს გრამატიკა ი. ქართველიშვილზე აღწერა, აგრეთვე სწორია ბიბლიოთეკათა აღწერილობები, რომელთა კატალოგებშიც ავტორად ი. ქართველიშვილია მითითებული.

კიდევ ერთი საკითხი: როგორც ნ. აბესაძეც აღნიშნავდა, იმავე ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (ყოფილი სააზიო მუზეუმის) ქართულ ხელნაწერთა ფონდის მ. ბროსეს არქივში პროფ. ანტ. კიზირიამ რამდენიმე წლის წინათ იპოვა ხელნაწერი გრამატიკა, რომლის თავფურცელზეც ავტორად ი. ჩუბინაშვილი იყო მითითებული და 1837 წლით თარიღდებოდა.

ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ეს გრამატიკაც და აღმოჩნდა, რომ იგი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ქართველიშვილის გრამატიკის პირველ რედაქციას, ოღონდ სრული არაა (შეიცავს მხოლოდ მორფოლოგიას).

როგორც გამოირკვა, 1837 წელი ნაშრომის დაწერის თარიღი კი არაა, არამედ ამ წელს მ. ბროსეს გადაუწერია იგი, რუსეთში წამოსვლის წინ, პარიზის სააზიო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში არსებული დედნიდან. ეს უკანასკნელი იქ მოხვედრილია 1835 წელს შულცის სხვა ქაღალდებთან ერთად.

აქ დედნის ავტორად საიდანღა გაჩნდა ი. ჩუბინაშვილი?

ვფიქრობთ, ეს მინაწერი მ. ბროსეს რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ

---

[1] იხ. აეთ. იოსელიანი, ი. ქართველიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (ი. ქართველიშვილის მემუარები, თბ., 1952, გვ. 26).

უნდა გაეკეთებია, კერძოდ, მას შემდეგ, რაც იგი თეიმურაზ ბაგრატიონის კატალოგს გაეცნო, რომელშიც ნაბეჭდი გრამატიკის ავტორად ი. ჩუბინაშვილი იყო მოხსენებული.

არსებობს მეორე შესაძლებლობაც: იმავე ხელნაწერის მეორე ნაწილს წარმოადგენს „ლოგიკა“; შესაძლებელია ამ „ლოგიკის“ [1] ავტორი ი. ჩუბინაშვილი იყო და ამ არგუმენტით მიიჩნიეს გრამატიკის ავტორადაც, თუმცა პირუკუც საფიქრებელია: არც „ლოგიკა“ ეკუთვნის ი. ჩუბინაშვილს და „ლოგიკის“ ავტორადაც მხოლოდ მ. ბროსეს მინაწერის მიხედვით გამოაცხადეს.

ასეა თუ ისე, ი. ქართველიშვილია ავტორი ყველა იმ ხელნაწერი გრამატიკისა, რომლებიც მისი, თუ ი. ჩუბინაშვილის სახელითაა ცნობილი, მასვე ეკუთვნის ტექსტი ნაბეჭდი გრამატიკისა, რომლის გამომცემელიც — ი. ჩუბინაშვილია. ი. ქართველიშვილისვე აღმოჩნდა შემოწმების შემდეგ, ანონიმური ხელნაწერი გრამატიკა, რომელიც გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გარსევანიშვილების ფონდში ინახება.

არსებობს კიდევ ერთი საბუთი, რომლის გაშიფვრაც ჩატარებული შრომის შემდეგ მოხერხდა და რომლის მიხედვითაც ნაბეჭდი გრამატიკის ავტორად ი. ქართველიშვილი იგულისხმება.

1839 წელს პლ. იოსელიანი მ. ბროსესადმი მიწერილ ერთ წერილში წერდა: „...წიგნი № 118 ეკუთვნის საკეთილშობილო სასწავლებლის ყოფილ მოძღვარს მღვდელს იოანე ქართველიშვილს, რომელისაცა შავად აღწერილი საკუთარი ხელწერილი მე მაქვს დღეს, მასვე უწერია სხვა წიგნნი, რომელნიც დღეს მე მაქვანან მოშოვნილნი — არა ჯერ არს, რათა დაეკარგოს თავისი კაცსა ღირსსა და ისტორიულსაცა გვამსა უკანასკნელთა დროთა ქართველთა...“ [2]

როგორც კვლევა-ძიებამ დაადასტურა პ. იოსელიანს მხედველობაში ჰქონდა მ. ბროსეს მიერ გამოცემული თ. ბაგრატიონის კატალოგის ფრანგული თარგმანი, სადაც 118-ე ნომრით არის გრამატიკა, რომლის ავტორადაც მითითებულია ი. ჩუბინაშვილი.

ეს ის კატალოგია, რომელზედაც წინამდებარე შრომის დასაწყისში მივუთითებდით და რომელმაც შეცდომაში შეიყვანა ჯერ ა. შეგრენი და მერმე ალ. ცაგარელი და მასზე დაყრდნობით — შემდგომი დროის არა ერთი მკვლევარი.

---

[1] Гр. Каландаришвили. Очерки по истории логики в Грузии, Тб., 1955 г., გვ. 134—141.

[2] პ. იოსელიანის წერილები მ. ბროსესადმი, სპ. ყუბანეიშვილის რედაქციით და შენიშვნებით, ბათუმი, 1941 წ., გვ. 157—158.

პლ. იოსელიანის ამ ცნობის შემდეგ (რომ ი. ქართველიშვილს „უწერია სხვა წიგნი") იქნებ საჭიროა გადაისინჯოს ზემოთ დასახელებული „ლოგიკის" ავტორობის საკითხიც და მის ავტორადაც ი. ქართველიშვილი მივიჩნიოთ; მით უფრო, რომ ი. ჩუბინაშვილს „ლოგიკის" ავტორად არსად არავინ არ გულისხმობს (მისი ძმაც ხომ მხოლოდ „გრამატიკას" ასახელებს), ი. ქართველიშვილის სხვა შრომა კი აღმოჩენილი არაა.

ქართული გრამატიკა

როგორც შესავალშიც ითქვა, ი. ქართველიშვილმა თავის გრამატიკაში შეძლებისდაგვარად გადმოიტანა ანტონისა და გაიოზის გრამატიკების დადებითი დებულებების თითქმის უმეტესი ნაწილი. ამიტომაცაა, რომ იოანე ხან ერთს მიმართავს, ხან — მეორეს. ასე მაგალითად: თუ ბრუნება ანტონის მიხედვით გააწყო, უღლებაში უფრო გაიოზს მიემხრო; ბევრ რამეში კი ორივესგან აიღო ცოტ-ცოტა.

პირველი ნაწილი

გრამატიკის საგნის განსაზღვრაში[1] იოანე ქართველიშვილი, თუმცა მცირედი ცვლილებით, მაგრამ ძირითადად მაინც წინამორბედებს ემთხვევა: „ღრამატიკა არს ჰსწავლა ხელმძღვანელი კანონიერ უბნობისა და მართლწერისადმი".

მართალია, განსაზღვრიდან „ხელოვნება" ამოღებულია და იგი შეცვლილია „სწავლით", მაგრამ საქმის ვითარება მაინც ძველებური რჩება: მიზანი იგივეა — „კანონიერი უბნობისა" და წესიერ წერის სწავლა.

გრამატიკის ნაწილებად დაყოფა უკვე ახლებურია. იგი იყოფა სამ ნაწილად: მართლწერად, ლექსთწარმოებად და ლექსთთხზულებად.

მეორე რედაქციაში იოანე ამ თანამიმდევრობას ცვლის:

---

[1] როგორც უკვე ვთქვით, არსებობს იოანე ქართველიშვილის გრამატიკის ორი რედაქცია: I—1809 წლისა და II, ვარაუდით, 1814 წლისა. საანალიზოდ აღებულია I რედაქცია (იხ. S-4432), მნიშვნელოვანი სხვაობის შემთხვევაში მითითებულია მეორე რედაქციაზეც (ხელნაწ. S—2585 — უეცლაზე სრული). გზადაგზა აღნიშნულია ბევდურის თავისებურებებიც, როშელსაც მეორე, სავარაუდო, მოსკოვის გამოცემიდან ეუთითებთ, რადგან იგი უფრო იოლად იკითხება, ტექსტი კი ორივესი ერთია. სადაც ნაბეჭდზე საგანგებოდ ლაპარაკი არ იქნება, იგულისხმება, იგი ემთხვევა II რედაქციას.

„ღრამმატიკა განიყოფების სამთა ზედა ნაწილთა: 1. ეტიმოლოგიასა ზედა ანუ ლექსთწარმოებასა, 2. სინტაქსთა ზედა ანუ ლექსთთხზულებასა; 3. ორთოღრაფიასა ზედა ანუ მართლწერასა“, რითაც იგი უფრო თანმიმდევრული გახდა — გრამატიკაში პირველ პლანზე განიხილა სწორედ გრამატიკული საკითხები — ეტიმოლოგია (ანუ მორფოლოგია) და სინტაქსი.

ახალმა დაყოფამ, როგორც ვხედავთ, შეცვალა ქართული გრამატიკული აზრისათვის ტრადიციული: წიგნი, მარცვალი, ლექსი, სიტყვა და გრამატიკის ობიექტი უფრო ვიწროდ შემოხაზა.

რადგან გრამატიკის დარგებს შორის პირველად მართლწერა დაასახელა, ავტორი იქვე იძლევა მისი ობიექტის განსაზღვრას: მართლწერა გვასწავლის „1. დანაკვთებასა ასოთა და თვისებათა მათთა, 2. კანონიერს მათგან შედგენას მარცვალთა და ლექსთა. 3. წესიერ ხმარებას ტრიქონთ შინათა და ტრიქონთზენათა ნიშანთა“ (გვ. 3).

პირველ თავშივე — „ასოთათვის და განყოფილებათა მათთა“ — „ასო“ ნახმარია როგორც „ასოს“, ისე „ბგერის“ მაგიერ და „ა ს ო ს ა“ და „წ ი გ ნ ი ს“ ის რთული ურთიერთობა, რომელიც ანტონთან გვქონდა თავისთავად მოხსნილია.

აქ აღარაა ანტონის შემოღებული მეორმოცე ѳ ნიშანი და ასოთა რიცხვი 39-მდეა დაყვანილი.

ისინი იყოფიან სამ ჯგუფად: ხმოვნებად (ა, ე, ი, ო, უ); ორხმოვნებად (ѵ, ѧ, ჯ, ჰ, ჶ) და უხმოდ, რომელთაც წარმოადგენენ დანარჩენი თანხმოვნები და რომელთაც უხმო იმ ნიშნის გამო ეწოდება, რა ნიშნითაც ეს სახელები მათ ანტონმა შეარქვა („ვერ შემძლებელ არიან გამოღებად ხმათა უბნობათა შინა თავით თვისით თვინიერ შეერთებისა ხმოვანთა ასოთათა“).

ორხმოვნები, ქართველიშვილის აზრით, მათ იმიტომ ეწოდათ, რომ გამოთქმაში ორი ხმოვნის ასოს ბრჯგუდ წარმოთქმით ხასიათდებიან: მაგ.: ѵ წარმოითქმის, როგორც ეე, ჯ — როგორც ვი, ѧ — როგორც იე, და სხვა.

ტერმინი „ორხმოვანი“ გაიოზთან გამოჩნდა. თავის ადგილას ვთქვით, რომ მისი განსაზღვრა მეტად ბუნდოვანია. იოანემ გაიოზისაგან ისესხა ტერმინიცა და განსაზღვრაც.

ქართველიშვილმა საგანგებოდ გამოთქვა აზრი ѵ ბგერის მიმართ და ანტონთან შედარებით ჰეშმარიტებასაც დაშორდა. ანტონი ამბობდა: „ვსთქვათ ასოისა ამისთვისცა, რომელა ѵ. ესე ოდეს იგი გაბრჯგუნვების უ. დაკვეთებითა ამისითა და მსგავსად ვ. გამოიღების ვითამე მაშინ ѵ. ასოისა მისგან რამეთუ უ. ესოდენსა მიიღებს ძალსა, ვითარმედ თვით

იქმნების მაკეთ მარცვლისა და არღარა უ, მაგალითებრ: კუნთა" (გვ. 118).

აქ ნათქვამია, რომ როცა ნ-ის დართვით უ გაბრჯგუნდების, მარცვლის მკეთებლის როლს კისრულობს ე, რადგან უ ვ-ინად გადმოიცემის (გამოითქმისო). იოანემ ეს აზრი ისე გაიგო, თითქოს ნ ბგერა იხმარებოდეს მხოლოდ უ-ს შემდეგ (გვ. 82).

მარცვლებს ასოები „აკეთებენ". ისინი ან მარტივნი არიან — მარტო ხმოვნები, ან თანხმოვანთან ერთად „შედგმულნი".

მარცვალთაგან წარმოდგებიან ლექსნი, „რომელნიც აღნიშნავენ მოგონებათა ჩვენთა უბნობათა შინა".

განსაზღვრაში „მოგონებისა" გამოჩენა გულისხმობს იმას, რომ იოანე ანტონისაკენ იხრება, თუმცა ანტონის დებულება, რომ ლექსი არის „მოგონებისნებისმიერი ნიშანი" აქ უგულებელყოფილია.

„ლექსთაგან წარმოებს სიტყვა, რომელიც არის ლექსთა მიერ შედგმული გამოთქმა უბნობასა შინა". რატომ მხოლოდ „უბნობასა შინა" და არა საერთოდ, გაუგებარია.

I რედაქციაში აქ მოდის მესამე თავი, რომელშიაც ლაპარაკია „ნიშანთათვის ტრიქონთ შინათა და ტრიქონთ ზენათა", რომელიც II რედაქციაში წიგნის ბოლოსაა გადატანილი.

ჩამოთვლილია ნიშნები: მძიმე, წერტილი, ორი წერტილი, წერტილ-მძიმე, საკითხავი, განსაკვირვებელი, ფრჩხილი, შემკვრელი, გადასატანი, სამოწმებელი, ბრჯგუ, მრთელი, კლებული, ჭარაგმები (საუფლო, სასამთავრო, საზოგადო).

უფრო დაწვრილებით მათზე გრამატიკის ბოლოს შევჩერდებით, რადგან მაშინ უფრო იოლი გახდება მათი „გულისხმობის ყოფაო" — შენიშნავს ავტორი.

მეორე რედაქციასა და ნაბეჭდში აქ (ე. ი. შრომის დასაწყისის თავში, იგი საერთოდ არაა და რადგან ნაბეჭდი მხოლოდ მორფოლოგიას (ლექსთწარმოებას) მოიცავს, იგი მასში სულ აღარ შევიდა.

მეორე ნაწილი

მეორე ნაწილი მოიცავს ლექსთწარმოებას (ეტიმოლოგიას, ანუ მორფოლოგიას).

ლექსთწარმოება არის „ნაწილი ღრამმატიკისა, რომელსა შინა იჩვენების წარმოებანი, შეცვალებანი და ვითარებანი, ლექსთანი" (ფ. 72).

თუ ტერმინის გამოუსადეგობას არ მივიღებთ მხედველობაში (იგი მიუთითებს მხოლოდ სიტყვათწარმოებაზე) განსაზღვრაში კარგადაა

მოცემული დღევანდელი სასკოლო გრამატიკის ამ ნაწილის (მორფოლოგიის) საზღვრები — იგი ხომ სკოლის სინამდვილეში ლექსიკოლოგიასაც მოიცავს.

ამ ნაწილში იოანესთან, და ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში პირველად, მეტყველების ნაწილებად დაიყოფიან ლექსები (ე. ი. სიტყვები — ა. ფ.) და არა სიტყვის ნაწილები, თუმცა ცალ-ცალკე განსაზღვრისას ისინი მაინც სიტყვის ნაწილებად ითვლებიან. აქვე გამოჩნდება ძირითადი სიახლე მეტყველების ნაწილთა ზოგად დახასიათებაში:

მეტყველების ნაწილთაგან **ოთხი** (სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა და მიმღეობა) იწოდებიან შ ე ც ვ ა ლ ე ბ ი თ ად, ვინაითგან შეიცვლიან თავიანთ დაბოლოებას და დანარჩენი (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული) — ა რ ა შ ე ც ვ ა ლ ე ბ ი თ ად. რადგან არ იცვლიან დაბოლოებებს.

რვასავე სიტყვის ნაწილს აუცილებლად აქვთ „ორნი შეხდომანი“ — ს ა ხ ე და ნ ა კ ვ ე თ ი.

ს ა ხ ე განიყოფება პირველ სახედ და ნაწარმოებად; ნ ა კ ვ ე თ ი — მარტივად და რთულად.

პირველსახეობითი ლექსი არის იგი, რომელიც „არავითარისგანმე სხვისა ლექსისა არ წარმოებს“, წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი კი „წარმოებს პირველსახეობითისაგან“.

ანტონისა და გაიოზის განსაზღვრასთან შედარებით იოანემ „სახის“ განსაზღვრა შეამოკლა, უფრო ლაკონიური გახადა, მაგრამ, სამაგიეროდ, გააბუნდოვნა მისი არსი.

ნაკვეთის არც განმარტება და არც მაგალითები ახალს არაფერს იძლევა.

ამის შემდეგ გაიოზთან (იქნებ უფრო ლოგიკურად) მოდიოდა სიტყვათწარმოების ჯგუფები, ქართველიშვილი კი პირდაპირ არსებითი სახელის განხილვაზე გადადის და მასთან ეს პირველი თავი (მეორე ნაწილისა) იწოდება „ს ა ხ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს და გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა თ ა მ ა თ თ ა“, რომელიც მეორე რედაქციაში შეცვლილია სახელწოდებით — „გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ლ ე ქ ს თ ა ს ა რ ვ ა თ ა ზ ე და ნ ა წ ი ლ თ ა ს ი ტ ყ ვ ი ს ა თ ა“, თუმცა შინაარსი იგივეა დატოვებული.

სახელი

სახელის განმარტება იოანესთან ორიგინალურია და იმ სიახლეს ითვალისწინებს, რაც მეტყველების ნაწილში ახალი ჯგუფის — რიცხვი-

თი სახელის გამოყოფამ გამოიწვია: „სახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომლითა იწოდებიან ყოველნი პირნი ანუ ნივთნი, აგრეთვე ვითარებანი მათნი და რაოდენობანი (ფ. 10). აქვეა სქოლიო, რომელშიც ნათქვამია, რომ პირის აღმნიშვნელად სულიერი სახელებია, ხოლო ნივთისად— უსულონი ანუ გონებაში წარმოდგენილნიო.

თუ გაიოზთან სახელის განსაზღვრისას — მხოლოდ არსებითს ეწეოდა ანგარიში („სახელი არის ნაწილი სიტყვისა აღმნიშვნელი ნივთისა ანუ პირისა რამესა დასახელებით") — ახლა ანგარიში ეწევა ზედსართავსაც და რიცხვითსაც (საილუსტრაციო მაგალითებიც ამაზე მიუთითებენ. „კაცი გულისხმიერი", „ქვეყანა ნაყოფიერი", „ორი დღე").

აქედან გამომდინარე სახელი განიყოფების სამთა ზედა: 1. არსებითსა ზედა; 2. ზედშესრულსა ზედა; და 3. რიცხვითსა ზედა (ფ. 10).

„არსებითი აღნიშნავს პირსა ანუ ნივთსა და იცნობვის კითხვითა-მებრ ვინ? რაი? მაგ.: „კაცი", „მოციქული".

როგორც ვხედავთ, განსაზღვრაში შემოვიდა ახალი კომპონენტი— კითხვა.

ზედსართავის განმარტების დროსაც აუცილებელია კითხვა — ვითარი?

ზედსართავი აღნიშნავს: „ვითარებას ანუ მდგომარეობას პირისა ანუ ნივთისა", განსაზღვრა, რა თქმა უნდა, უფრო ზუსტია, ვიდრე ანტონ-გაიოზისა, რომელიც ხაზს უსვამდა იმას, რომ ზედსართავს დამოუკიდებლად („თავით თვისით") არ შეუძლია გადმოგვცეს ნივთისა და პირის გაგება.

„რიცხვი აღნიშნავს რიცხვსა და რაოდენობასა ნივთისასა და იცნობვის კითხვათამებრ: რაოდენი ანუ მერაოდენე („ორი", „სამი", „პირველი", „მეორე"...)".

საჭიროა აქვე ითქვას, რომ ტერმინი „რიცხვითი", ანტონის მიერ შექმნილი ტერმინების მოდელის მიხედვითაა გაკეთებული და ი. ქართველიშვილს ეკუთვნის. ანტონთან გვქონდა „ერთის" ბრუნება და ნათქვამი იყო: „...იქმნების უკვე სახელებრ, ბრუნვაი რიცხვთაცა". თვით ტერმინზე არაფერი იყო ნათქვამი. გაიოზთან გვქონდა „რიცხვობითი", რაც, ალბათ, დაედო საფუძვლად ქართველიშვილის ტერმინს „**რიცხვითი**".

იოანე უბრუნდება არსებით სახელს და იძლევა მის ჯგუფებს: 1. საკუთრებითი ანუ სათვითო; 2. საზოგადო და 3. შემკრებლობითი. არაა მთლად ზუსტი საკუთარი არსებითი სახელების განსაზღვრა: „არს წოდება ცნობილისა პირისა ანუ ნივთისა, რომელსაც გამოთქმა ეთვისებების", უფრო ზუსტია განსაზღვრა II რედაქციაში („...არს წოდება ერ-

თისა პირისა ანუ ერთისა ნივთისა.... ვითარცა არიან სახელნი ყოველთა კაცთანი და წოდებანი ქალაქთა, მდინარეთა".

საზოგადო სახელთა განსაზღვრაც ვერაა უნაკლო „...არს წოდება საზოგადოდ მრავალთა პირთა ანუ ნივთთა".

ზედსართავი სახელის დაყოფაში I გრამატიკა თითქოს უფრო თანმიმდევრობას იჩენს. გამოყოფილია ორი ჯგუფი: 1. დადებითი და 2. აღმატებითი ანუ უაღრესობითი. დადებითიდან განსხვავებით აღმატებითს დაესმის თავს უ ან უუ და ბოლოს — ესი. („ძლიერი — უძლიერესი"). ავტორი იქვე შენიშნავს, რომ „ზოგჯერ წინარე ზედშესრულისა სახელისა დაიდებიან ზმნიზედანი ესე: „ყოვლით", „ფრიად". „მრავლად" და „ოდესმე უდიდესისათვის ძალის მიცემისა", ერთად დაისმის ეს ზმნისზედებიცა და უ ანუ უუ და ესი („ფრიად უმშვენიერესი")".

II რედაქციაში ეს ბოლო ჯგუფი, ისე როგორც ანტონთან და გაიოზთან ზედსართავის მესამე ნაწილადაა მიჩნეული.

რიცხვითი ორ ჯგუფს იძლევა: რაოდენობითსა და წესებითს[1].

რაოდენობითი რიცხვითი გვიჩვენებს რაოდენობას, ხოლო წესებითი „წესს, რომელთა პირი ან ნივთი ერთიმეორესა შეუდგების".

შემდგომი თავი — „თვისებისათვის ანმდევართა სახელისათა" მოიცავს ყველა იმ ფორმალურსა და სიტყვათწარმოებითს ცვლილებებს, რაც ტრადიციულად გვქონდა.

თვისებანი ან მდევარნი სახელისანი არიან ექვსნი: „ნათესავი, სახე, რიცხვი, ბრუნვა, კანკლედობა ანუ მიდრეკილება[2].

სქესი (ანუ ნათესავი), რომელიც ქართულმა გრამატიკამ ვერაფრით ვერ მოიშორა, ოთხია. მაგრამ, ანტონისა და გაიოზის მიბაძვით, აქაც კეთდება შენიშვნა, რომ „ქართულ ენას არა აქვს საჭიროება განრჩევად სახელთა ნათესავთა ვითარცა სხვათა ენათა ევროპიულთა ვინაითგან ზედშესრული სახელნი ყოველთა ნივთისანი იქმნებიან ერთითა დაბოლოებითა და არცაღა განირჩევიან"... და მაინც რჩება იგი გრამატიკაში. თუმცა იმის საგანგებო აღნიშვნა, რომ ზედსართავი სახელები ყოველთვის ერთ დაბოლოებას გვიჩვენებენო, ანტონის დებულებათა გადასინჯვის ცდაა, რადგან სწორედ ანტონი ამბობდა: „...ხოლო ზედშესრულთა სახელთა მდედრობითად აქვს, რომელთამე დაბოლოებული ა".

---

[1] ტერმინი „წესებითი" რუსული „порядковый"-ს თარგმანი ჩანს, რაც რუსულშიც „რიგსაც" ნიშნავს და „წესსაც".

[2] „კანკლედობა" ანტონთან გვქონდა და აქ იგი ჩვეულებრივია, მაგრამ „მიდრეკილება" საიდან გაჩნდა გაურკვეველია.

შემდეგ ერთხელ კიდევაა ნახსენები ნაკვეთი და ნათქვამია, რომ „ორლექსიანნი იწოდებიან ჰრთულად, ხოლო სამლექსიანნი ზედჰრთულად".

სახეც კვლავ ორია (პირველსახე და წარმოებითი). პირველსახე ისევე განისაზღვრება, როგორც ზევით იყო, წარმოებითი კი — „არს იგი რომელიც წარმოდგების პირველსახეობითისა სახელისაგან და რომელიც დამატებითა ანუ შეცვალებითა მარცვალთა შეცვლის მნიშვნელობას თვისსა". ხაზგასმული ადგილი სრულიად ახალია და იგი ქართველიშვილს ეკუთვნის და საქმის ვითარებასაც სწორად ასახავს.

წარმოებითნი იქმნებიან შემდეგ გვარად:

1. მოგებითნი — სა-ე, ო, -ითი, -ეთი, (სამეფო, ბუნებითი, სპარსეთი);

2. ნათესაობითნი — იანი, იონი (დავითიანი, ბაგრატიონი);

3. ადგილობითნი — ელი, ური, ული, იერი (მცხეთელი. ტფილისური, ქართული, ციერი);

4. ქონებითნი — ოვანი, იანი, ოსანი, მო, მე, ური, ელი, ევანი (სხეულოვანი, ხორციელი, გონებიანი...);

5. არსებითნი ანუ აღმატებითნი — სი-ე, სი-ო, ება, ობა, (სითეთრე, სითბო, კაცობა, კაცება);

6. მდედრობითნი — ა, ნა; (მეფა, მთავრინა) [1];

7. თანშეყოფითნი — იან, ოვან (წყლიანი, ზეთიანი);

8. კნინობითნი — კი (ბრძენკაი, გლახაკი);

9. შემდგომობითნი — ან, ანე (ქრისტიანე, ვასილიანი):

10. უღვლითნი — მე-ე, მე-ვე (მეწყლე, მეგზავე);

11. უკუთქმითნი — უ-ო, უ-ი, უ- (უგნური, უსიტყვო);

12. შემსგავსებითნი — ებრ, ებრივი, (ლომებრი, კაცებრივი):

ყველა ეს ჯგუფი, როგორც ვიცით (სხვა ექვსთან ერთად), გვქონდა ანტონთან (გაიოზთან სხვანაირი დაჯგუფება იყო).

რიცხვი ორია: მხოლობითი და მრავლობითი.

ბრუნვა რვაა — ბრუნვათა დასახელება, რა თქმა უნდა, ანტონიდან მოდის, თითოეული დახასიათებულია, ანტონის დამატებულია მხოლოდ კითხვები:

2. წრფელობითი — **ვინ? რა?**

2. ნათესაობითი — **ვისი? რისა?**

3. მიცემითი — **ვის? რისა?**

4. შემასმენლობითი — **ვინ? რა?**

---

[1] სქესზე იმ შენიშვნის შემდეგ თითქოს ზედმეტი იყო ამ ჯგუფის დასახელება.

5. დაწყებითი — ვისგან? რისგან?
6. მოთხრობითი — ვინ? რაიმან?
7. მოქმედებითი — ვის მიერ? რაისა მიერ, რათა?
8. წოდებითი — არავითარი კითხვა არ დაესმის.

სახელთა ბრუნების (კანკლედობის) საკითხში ი. ქართველიშვილი სრულიად სამართლიანად ანტონს გაჰყვა და მის მსგავსად დააწესა ოთხი ბრუნება: 1. ყოველი სახელი (განურჩევლად საზოგადოისა და კერძოისა) უხმოზე დაბოლოებული; 2. ყოველნი სახელნი ა, ე, უა, უჱ-ზე დაბოლოებულნი. 3. ყოველნი სახელნი ი, ჳ-ზე დაბოლოებულნი და 4. ყოველნი სახელნი ო და უ-ზე დაბოლოებულნი.

პირველი კანკლედობის მაგალითად დასახელებულია მარიამ, რომელიც ასე იბრუნვის:

მხ.	მრ.
1. წრფელობითი —	ნი — ები
2. ნათესაობითი — ის, ისი	თა — ებისა
3. მიცემითი — ს, სა	თ — ებს
4. შემასმენლობითი — ი	ნი — ები
5. დაწყებითი — ისგან	თაგან, ებისგან
6. მოთხრობითი — მან	თა — ებმან
7. მოქმედებითი — ითა	თამიერ, ებითა
8. წოდებითი — მარიამ!	ნო, ებო

იოანე ქართველიშვილი პირველი გრამატიკოსია, რომელმაც ერთიმეორის პარალელურად მოგვცა მრავლობითი რიცხვის ნართანიანი და ებიანი სახეობა, რითაც, საბოლოოდ სწორ საფუძველზე დააყენა მრავლობით რიცხვში ბრუნვის ნიშანთა საკითხი, თუმცა ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები მაინც ვერ დააცალკევა.

თავისებურია იოანეს ბრუნების (კანკლედობის) ჯგუფში შემავალ ფუძეთა გამოყოფა დაბოლოებათა მიხედვით.

მასთან ა და ე ხმოვნებზე დამთავრებულ ფუძეებს ემატება უა და უჱ-ზე დამთავრებული ფუძეები, აგრეთვე ი-ზე დამთავრებულ ფუძეებთან ჳ-ზე გათავებული ფუძეცაა მოცემული.

ეს სიახლე საქმის ვითარებას ფაქტიურად არ ცვლის, მაგრამ განსხვავება ფაქტია და უნდა აღინიშნოს.

ი. ქართველიშვილი საბოლოოდ აზუსტებს მხოლოობით რიცხვში ფუძის კვეცის არეალს (იგულისხმება მეორე კანკლედობა):

ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებულ საზოგადო სახელებს კვეცა მოსდით ნათესაობითს, მოქმედებითსა და დაწყებით ბრუნვებში (მრავლო-

ბითზე არაფერია ნათქვამი). აქვეა მითითება იმაზე, რომ სათვითონი არ იკვეცენ ფუძეს არც ერთ ბრუნვაში და სქოლიოში შენიშნავს, რომ ეს არ ეხება ბევრ სახელს, ნივთის აღმნიშვნელს; მაგალითისათვის მოტანილია მ ც ხ ე თ ა, რომელიც იკვეცს ბოლო ხმოვანსო. კვეცა ეხება იმ ფუძეებსაც, რომლებიც ბოლოვდებიან უა და უო ხმოვნებზე.

მესამე კანკლედობის საილუსტრაციოდ მოტანილია, ერთი მხრით, კ ა ც ი, ა ნ ტ ო ნ ი, მეორე მხრით, მ ო გ ვ-.

რადგან ი' ფუძისეულ ხმოვნადაა გაგებული, ნათქვამია ისიც, რომ მხოლოობითის მიცემითში, მოთხრობითსა და წოდებითში ი იკვეცება, იკვეცება იგი მრავლობითის რვასავე ბრუნვაში, თუ მრავლობითი „ებიანია".

აქვეა ლაპარაკი კუმშვაზე და დადგენილია (უკვე სრულიად ზუსტად) მისი მოქმედების არე — მხოლოობითში: ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი, მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი, დ ა წ უ ე ბ ი თ ი. მრავლობითში — ყ ვ ე ლ გ ა ნ[1].

მეოთხე კანკლედობის საჩვენებლად, რატომღაც მხოლოდ ო-ზე (ო ქ რ ო, ა ბ ო) დაბოლოებული სიტყვებია მოტანილი, თუმცა იქვეა მითითებული, რომ ასევე იბრუნვიან ყოველნი სახელნი უ — ბოლოხმოვნიანებიცო.

მეტად საინტერესოა იოანეს შენიშვნები საზოგადოდ ოთხიე კანკლედობისათვის: 1. სათვითო ანუ საკუთარ სახელთა წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი და მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი (მხოლოობით რიცხვში) ემთხვევიან ერთმანეთს— ჰ რ ქ უ ა ი ე ს ო მ ო წ ა ფ ე თ ა თ ვ ი ს თ ა (ე. ი. შემჩნეულია ძველ ქართულში საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურება); 2. მრავლობითის წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი და წ ო დ ე ბ ი თ ი (ცალავ საკუთარ სახელებში) ემთხვევიან ერთმანეთს; 3. ყოველგვარი სახელი მრავლობითის ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ს, მ ი ც ე მ ი თ ს ა და მ ო თ ხ რ ო ბ ი თ შ ი) იგულისხმება ნარ (თანიანი მრავლობითი) აგრეთვე ემთხვევიან ერთმანეთს; 4. შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ბრუნვა ოთხსავე კანკლედობაში ემსგავსება წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ს; 5. დაწყებითი მიიღება ან ნათესაობითი ბრუნვიდან — გან თანდებულით, ან მოქმედებითიდან მიერ თანდებულით. 6. მოქმედებითი ბრუნვა დაწყებითის აზრს თუ გადმოგვცემს, არ მიიღებს — გან თანდებულს, განსაკუთრებით, თუ მეორე სიტყვას — მდე თანდებული ახლავს — ქალაქ-ით, ქალაქად-მდე.

---

[1] რაც ანტონთან არ იყო.

სქემა კანკლედობისა ოთხისავე უოველთა სახელთა არსებითთა და ზედშესრულთა

რიცხვი მხოლობითი

ბრუნვანი	კანკლედობა პირველი	კანკლედობა მეორე	კანკლედობა მესამე	კანკლედობა მეოთხე
წრფ.	უოველნი უხმონი ასონი	ა, ე, უა, ჭ	ი, ჯ,	ო, უ,
ნათ.	ისა, ისი	ისა, სი, ჯსა	სა	ჲსა, სი
მიც.	სა, ს, დ-ად	სა, ს, დ,	სა, ს, დ, ად	სა, ს, დ
შემას.	ი ———	ჲ———	ი———	ჲ ———
დაწ.	ისგან, ითგან			
მოთხ.	მან ———	საზოგადოდ ოთხსავე კანკლედობათა		
მოქმ.	ითა ———	ითა, თა	თა, თ	თა ———
წოდ.	ჯ!———	ო! ვ	ო, ვ.	ო! ვ———

მრავლობითი რიცხვი

წრფ. ნი, ები
ნათ. თა — ებისა
მიც. თა — ებს
შემას. ნი — ები
დაწ. თაგან — ებისგან
მოთხ. თა — ებმან
მოქ. თამიერ — ებითა
წოდ. ნო — ებო

საზოგადოდ ოთხთავე შინა კანკლედობასა უოველთა სახელთათა

ეს სქემა ი. ქართველიშვილის ხელითაა შედგენილი და შესანიშნავად მეტყველებს იმაზე, რომ მისი ავტორი ბრწყინვალედ იცნობს ქართული ენის სახელთა ბრუნვის უველა საკითხს.

ამ სქემაზე (მხოლობითი რიცხვის უკვე განხილულ ფორმათა სრულად წარმოდგენის გარდა) უურადღებას იქცევს წოდებითის ორი ნიშანი ო და ვ, რაც მხოლოდ ქართველიშვილთანაა მოცემული და მანამდე არავისთან. თუმცა პარადიგმებში იოანემ ეს სიახლე მხოლოდ „ა ნ ნ ი ს“ ბრუნებისას გამოიყენა, ამავე პრინციპით იგი მოსალოდნელი იყო „ა რ ს ე ბ ა“ სიტყვის ბრუნების დროსაც.

პრინციპულად სხვანაირადაა გადაწყვეტილი განსახილველ საკითხთა განლაგება მეორე რედაქციაში (და იქედან ნაბეჭდში), რომელშიც

პირველი თავი — „თ ვ ი ს ე ბ ა თ ა თ ვ ი ს ა ნ უ მ დ ე ვ ა რ თ ა ს ა ხ ე ლ ი ს ა თ ა“ — შეცვლილია დასათაურებით: „მ დ ე ვ ა რ თ ა თ ვ ი ს ა ნ უ თ ვ ი ს ე ბ ა თ ა გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ თ ა ყ ო ვ ე ლ თ ა ს ა ხ ე ლ ი ს ა დ მ ი“.

ამ თავში განხილულია „წმინდა“ მორფოლოგიური კატეგორიები: რ ი ც ხ ვ ი, ბ რ უ ნ ვ ა და კ ა ნ კ ლ ე დ ო ბ ა. შემდეგ მას მოსდევს ახალი თავი — „წ ა რ მ ო ე ბ უ ლ თ ა ა ნ უ ს ხ მ ი თ გ ა რ დ ა ს ე ლ ი თ თ ა ს ა ხ ე ლ თ ა თ ვ ი ს“. სწორედ ამ თავშია განხილული სახელთა წარმოების ის თორმეტი ჯგუფი, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. ჯგუფთა დასახელება-განსაზღვრაში არავითარი ცვლილება არაა.

ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ი თ, სრულიად სამართლიანად გამიჯნულია სხვადასხვა დონის საკითხები, რაც მეტად მნიშვნელოვან მიგნებად უნდა ჩაითვალოს.

/

ნაცვალსახელი

პირველ რედაქციაში მოცემული განსაზღვრისას — „ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც სიტყვათა შინა იხმარების ნაცვლად სახელისა“ — მეორე რედაქციაში ემატება „ანუ დაიდების მისთანა“, რითაც განსაზღვრის ხარისხი სულაც არ გაუმჯობესებულა, მით უფრო რომ ავტორი არ მიუთითებს, რას ნიშნავს „მისთან დადება“.

ნაცვალსახელთა მნიშვნელობითი ჯგუფები ორივეგან ერთია: 1. არსებითი; 2. ჩვენებითი; 3. მოგებითი; 4. კვლამოღებითი; 5. კითხვითი; 6. განუსაზღვრებელი ანუ კერძოობითი.

პირველ რედაქციაში ნათქვამია, რომ ესენი ძირითადად იყოფიან ორ ჯგუფად, ერთი მხრივ, ა რ ს ე ბ ი თ ა დ, რომელიც არსებით სახელს ენაცვლება, დანარჩენები „იქნებიან ზედშესრულად“. მეორე რედაქციაში ამაზე ლაპარაკი აღარაა და მოცემულია თითოეული ნაცვალსახელის განსაზღვრა-ილუსტრირება. ისე, როგორც ეს პირველ რედაქციაში იყო: 1. ა რ ს ე ბ ი თ ი ა იგი, რომელიც იხმარება „ნაცვლად სახელისა პირის მნიშვნელისა სამთა შინა პირთა განრჩევით“ (მე, შენ, იგი): 2. ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი აჩვენებს „პირსა ანუ ნივთსა მახლობელ მდებარესა ანუ მყოფსა“ (ეს, ეგ, ის)“.

აქ არის ცდა გათვალისწინებულ იქნეს ანტონის ცნობილი დებულება ჩვენებითი ნაცვალსახელების დაჯგუფებისა იმის მიხედვით, თუ რომელ პირთან სიახლოვეს გადმოსცემს, მაგრამ განსაზღვრის მეტისმეტად ლაკონიურობამ აზრი გააბუნდოვნა და ნათქვამი თითქმის გაუგებარი გახადა. 3. მ ო გ ე ბ ი თ ი (დღევანდელი, კუთვნილებით) და

4. კ ვ ლ ა მ ო ღ ე ბ ი თ ი ტრადიციულიდან განსხვავებას არ იძლევა. 5. კ ი თ ხ ვ ი თ ი. როგორც ვნახეთ, გაიოზთანაც გვქონდა. იოანესთან ახალია 6. გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი თ ი „რომელნიცა აღნიშნავენ რაიმესა განუსაზღვრებელად ანუ უსახელოდ—რომელიმე, ზოგი. ვიეთიმე, ვინმე“ (22 r).

აქ, პირველ რედაქციაში, ლაპარაკია იმაზე, რომ „თვისებანი ანუ მდევარნი ნაცვალსახელთანი არიან ხუთნი: ნათესავი, სახე, რიცხვი, პირი და ბრუნვა“.

„ვინაითგან ნაცვალსახელი სიტყვათა შინა იხმარების ნაცვლად სახელისა, ამისათვის რომელისაცა ნ ა თ ე ს ა ვ ი ს ა არს სახელი არსებითი ნაცვლად მისა მდებარე ნაცვალსახელიცა იქნების მასვე ნათესავსა“.

სახე ნაცვალსახელისა არს ორი — პირველი სახე და წარმოებითი: პირველ-სახე — ჩემი, შენი, მისი; წარმოებითი — საჩემო, საშენო, ჩემებრ და სხვანი (22v).

მთელი ეს მსჯელობა მეორე რედაქციიდან ამოღებულია.

ორივე რედაქციაში ლაპარაკია ნაცვალსახელის პირისა და რიცხვის შესახებ ტრადიციული ფორმულით.

ნაცვალსახელთა ბრუნების საილუსტრაციოდ მოტანილია: — **მე, ჩვენ; შენ, თქვენ; იგი, იგინი; ესე, ესენი; ეგე, ეგენი; ისი, ისინი; ჩემი, ჩემნი; ჩვენი, ჩვენნი; რომელიმე, ვინ, ვინმე** — ნაცვალსახელები და მათი ბრუნების ფორმები მთლიანად აღებულია ანტონისგან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მიცემითში პირის ნაცვალსახელთა ბრუნებისას ანტონის ფორმების პარალელურად წარმოდგენილია, გაიოზისგან აღებული **მისდა, მათდა,** და მოქმედებითი ბრუნვის **მიერ** თანდებულიანი ფორმები.

საბოლოოდ ქართველიშვილთან ნაცვალსახელთა ბრუნებამ ასეთი სახე მიიღო (ვიღებთ ნებისმიერ მაგალითებს).

წრფ.	მე	იგი	თქვენ
ნათ.	ჩემი	მისი	თქვენი
მიც.	ჩემდა-მე	მას-მისდა	თქვენდა-თქვენ
შემას.	მე	იგი	თქვენ
დაწყ.	ჩემგან	მისგან	თქვენგან
მოთხრ.	ჲე	მან	თქვენ
მოქ.	ჩემ-მიერ-ჩემით	მის-მიერ-მით	თქვენ-მიერ-თქვენდა
წოდ.	———	———	———

როგორც მოსალოდნელიც იყო, აქაც ზმნას ყველაზე მეტი ადგილი ეთმობა.

„ზ მ ნ ა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც აჰღნიშნავს ანუ ყოფასა, ანუ მოქმედებასა და ანუ ვნებასა პირისა ანუ ნივთისა“ (24 v).

ეს განსაზღვრა თითქოს საშუალოა ანტონისა და გაიოზის განსაზღვრათა შორის, იმ განსხვავებით, რომ ანტონთან დროის ფაქტორი იყო გათვალისწინებული, რომელიც გაიოზმაც გამოტოვა და ჭართველი-შვილმაც, სამაგიეროდ აქ დამატებულია იმის აღნიშვნა, რომ ზმნა გადმოგვცემს „პირისა და ნივთის მოქმედებას, ყოფას, თუ ვნებას“.

ზმნა, უპირველესად ყოვლისა, იყოფა ორად: კანონიერად და უკანონოდ.

კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ა ზ მ ნ ა, „რომელიც არა ვითარიმე დროთა სქესთა შინა არ შეიცვლის თვისებათა თვისთა“, უკანონო კი, „რომელიც ვითართამე დროთა და სქესთა შინა შეჰსცვლის თვისებათა თვისთა“ (25r).

მნიშვნელობის მიხედვით ორივე ჯგუფი ზმნებისა იყოფიან 1. არსებითად; 2. შემოქმედებითად; 3. ვნებითად და საშუალოდ [1] ანუ უმეშეეობითად.

არსებითი ზმნა აჩვენებს ნივთის ან პირის მყოფობას: „სოფელი ესე მყოფს ანუ ჰგიეს“.

„შემოქმედებითი ზმნა არს იგი, რომელიც აღჰნიშნავს მოქმედებასა პირისა ანუ ნივთისა სხვასა მეორესა ზედა პირსა ანუ ნივთსა და რომლისა მიერცა ცხად იქნების მოქმედება ბრუნვათა შინა ანუ წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ს ა ანუ მ ი ც ე მ ი თ ს ა ანუ მოთხრობითსა, ხოლო ვნება ბრუნვათა შინა ანუ მიცემითსა და ანუ შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ო ბ ი თ ს ა. მაგ.: მ ზ ე გ ა ნ ა ტ ფ ო ბ ს პ ი რ ს ა ქ ვ ე ყ ნ ი ს ა ს ა: ც ო დ ვ ა მ ა ნ დ ა ჰ-ს ა ჯ ა პ ი რ ე ე ლ ი კ ა ც ი; მ ა დ ლ ს ა ღ მ ე რ თ ი ს ა ს ა უ ხ ს ნ ი ე ს ი გ ი სასჯელისაგან“ (25 v).

ეს განსაზღვრა თითქმის სრულიად ახალია. აქ ცხადადაა ნათქვამი, რომ შემოქმედებითი ზმნა გადმოგვცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც გადადის სხვა პირზე ან ნივთზე. ამის გამოა, რომ განსაზღვრაში შემოდის როგორც მოქმედის, ისე სამოქმედოს ბრუნვები. თუმც ავტორი მთლად გასაგებად და ცხადად ამის თქმას ვერ ახერხებს. მასთან საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს „მოქმედება“ იქნება წარმოდგენილი დასახელებულ ბრუნვებში და არა „მოქმედი“ და „ვნებული“.

---

[1] გამოჩნდა ტერმინი „საშუალო“, თუმც როგორც ვნახეთ, მისი რუსული შესატყვისი „средний“ უფრო ადრე ვარლამთან გვქონდა.

ასეთივეა განსაზღვრა ვნებითი ზმნისაც.

— ვნებითი ზმნა არს იგი, რომელიც აჰღნიშნავს ვნებასა, წარმოებულსა სხვისგან მეორისა პირისა ანუ ნივთისა და რომელიცა ცხადჰყოფს ვნებასა წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ს ა შინა ბრუნვასა, ხოლო მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს ა დაწუებითსა შინა ანუ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ს ა — „ც ო დ ვ ი ლ ი დ ა ი ს ჯ ე ბ ი ს ღ მ ე რ თ ი ს ა გ ა ნ“ (იქვე).

აქ მეტად კარგადაა გადმოცემული ძველი გრამატიკოსების შეხედულება ვნებით გვარზე, რომლის მიხედვითაც ამ გვარის ზმნის მიერ გადმოცემული მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ც უ ნ დ ა გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ დ ე ს მ ო ქ მ ე დ პირს [1].

რაც შეეხება საშუალო ზმნას, იგი ქართველიშვილისათვის ისე, როგორც ანტონისა და გაიოზისათვის, საშუალოა „...ორთა თვისთა მიზეზთა გამო 1. მისთვის რომელ ანუ ცხადჰყოფენ მხოლოდ მოქმედებასა და არ აღნიშნავენ ვნებასა სხვისა მეორისა პირისა ანუ ნივთისასა, მაგ.: ვ ა ლ, ე ი ხ ა რ ე ბ, ე ჰ ს წ უ ხ ანუ ცხადჰყოფენ ვნებასა პირისა ანუ ნივთისასა. რომელიც იწარმოების სხვისგან მეორისა პირისა ანუ ნივთისა, მაგ.: გ ა ნ ე ჰ ს ც ხ რ ე ბ ი, ე ჰ ს თ ვ რ ე ბ ი, ე ჰ შ თ ე ბ ი (ეს ერთი მიზეზი, ახლა—მეორე —ა. ფ.); 2. მისთვის, რომელ ზმნათაგან შემოქმედებითთა არა შესაძლო იქმნების წარმოებად პირველსა სახესა შინა ვნებითი მაგ.: „მ ი ყ ვ ა რ ს“, „მ რ წ ა მ ს“, „მ ა ქ ვ ს“ და სხვანი (იქვე. 25 v).

უმეშვეობითი, პირველი მიზეზის გამო, იყოფა ორად: ხატშემოქმედებითადა და ხატვნებითად.

ანტონისა და გაიოზისგან განსხვავებით, აქაც სრულიად სწორად მითითებულია ზმნასთან შეწყობილი სახელის ბრუნვებზე.

„ხ ა ტ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ზმნა არს იგი, რომელიც აღნიშნავს მოქმედებასა, პირისა ანუ ნივთისა ბრუნვათა შინა ანუ წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ს ა, ანუ მ ი ც ე მ ი თ ს ა, და ანუ მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ს ა და არა აჩვენებს ვნებასა სხვისა მეორისა პირსა ანუ ნივთისასა მაგ.: ი ხ ა რ ე ბ ს ს უ ლ ი ჩ ე მ ი. ხატვნებითი ზმნა არს იგი, რომელიც აღნიშნავს ვნებასა ანუ ვნებითს მდგომარეობასა პირისა ანუ ნივთისა წრფელობითსა შინ ბრუნვასა. გარნა არა იწარმოების სხვისგან მეორისა პირისა ანუ ნივთისა მაგ.: დავსწევ ცხედარსა ზედა“ (25 v, 26 r).

---

[1] თუ, ვთქვათ, თანამედროვე გრამატიკებში ზმნა „ვისჯები“ ვნებითია და მასთან მხოლოდ „მე“ — ერთი პირი იგულისხმება, რომელიც სუბიექტადაა გამოცხადებული, ძველ გრამატიკებში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ „მე“ ამ შემთხვევაში განვიცდი ვნებას და ეს ვნება მომდინარეა მოქმედი პირისაგან ვთქვათ „ღმერთისაგან“ — რომელიც, ჩვეულებრივ დ ა წ უ ე ბ ი თ ა ნ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ბრუნვაში დგას.

მეორე მხრითო, სამართლიანად შენიშნავს ქართველიშვილი, რომ საშუალო ზმნები გადმოგვცემენ მოქმედებას სხვა პირზე ან ნივთზე. მაგრამ არ შეუძლიათ აწარმოონ იმავე ზმნიდან ვნებითნი, მაგ.: „მ ი უ ვ ა რ ს კ ე თ ი ლ, მ ა ქ ვ ს ს ა ს ო ე ბ ა“.

საინტერესოა ისიც, რომ. ი. ქართველიშვილი ერიდება ტერმინს „ნათესაური“.

ნ ა კ ვ ე თ ი, ტრადიციისამებრ, ორია: მარტივი და რთული. მარტივის განსაზღვრა ახალს არაფერს იძლევა, მაგრამ რთულისას მოემატა ზოგი რამ. რთულია ზმნა, „რომელიც მოიკიდებს მარცვალს ან ლექსს“— გ ა რ დ ა ვ ჰ ს წ ე რ, კ ე თ ი ლ ს ვ მ ე ტ ყ ე ე ლ ე ბ.

მარცელის (ამ შემთხვევაში ზმნისწინის) მიმატება ზმნას რთულად ვერ ხდიდა აქამდე. რისთვის დასჭირდა ის იოანეს, ძნელი სათქმელია. იქნებ იმის საკომპენსაციოდ, რომ იქვე, ქვემოთ, ზმნისწინების განხილვისას არ აღნიშნა მათი ფუნქცია — ახალი ზმნების წარმოქმნისა.

გაიოზის მსგავსად, იოანეც ჩამოთვლის ზმნისწინებს, რომელიც მასთან იწოდება „ზედდადებულად ანუ თანდებულად“ და აღნიშნავს, რომ ისინი აწმყოდან მომაეალს აწარმოებენო.

ს ა ხ ე ს ა მ ი ა: პირველსახე, სხმით-გარდასავლითი და მრჩობლ-სხმით-გარდასავლითი.

სახის განსაზღვრაში იოანე გაიოზს მისდევს კვალდაკვალ. მისთვის პირველსახეა ვწერ, სხმით-გარდასავლითი — ვა-წერ-ინებ და მრჩობლსხმით გარდასავლითი — „ვ-ა-წერ-ინ-ებ-ინ-ებ“. სახის დახასიათებას მოსდევს სქოლიოში შენიშვნა, რომ უმეშვეობითი ზმნა, რომელიც სხმით გარდასავლითად ან მრჩობლ-სხმით-გარდასავლითად გადაიქცევიან, ხდებიან შემოქმედებითად და მათგან შეიძლება ვნებითის წარმოება „ვალ“//„ვავლინებ“, „ვიხარებ“//„ვახარებ“; აქედან ვნებითები „ვივლინები“, „ვიხარები“.

„ვიხარებ“-ის შუალობით (ე. ი. სხმით-გარდასავლითი) რომ „ვახარებ“ ფორმაა ეს ზემოთქმულიდან არ გამოდის, მაგრამ, რადგან იოანე ამაშიაც გაიოზს მიჰყვება, ეს საკითხი მასთან აღარ ისმის.

რ ი ც ხ ვ ი ორია;

პ ი რ ი — სამი;

დ რ ო — სამი; 1. აწმყო; 2. ნამყო, 3. მყობადი. ნამყო განიყოფება ოთხად: უსრულად, სრულად, უსრულესად და უუსრულესად, ე. ი. დრო სულ ექვსია.

ს ქ ე ს ი ა რ ი ს ო თ ხ ი: 1. საზღვრებითი, 2. ბრძანებითი, 3. ვიპოტეტიკა ანუ უკეთუობითი, ანუ საწადი და 4. განუსაზღვრებელი.

გაიოზის გავლენით იოანე აქაც ურთავს ერთ შენიშვნას: „სქესი უკეთუობითი ანუ საწადი ქართულსა ენასა არა აქვს საკუთრებით,

არამედ საზღვრებითისა ანუ ბრძანებითისა სქესისათა ზმნათა დაესხმით, ვითარმე უკეთუობითნი ანუ საწადელნი შემდგომთა ნაწილთაგანი: უკეთუ და სხვანი: მაგ.: „უკეთუ გნებავს შესვლად ცხოვრებასა შინა საუკუნოსა, დაიძრნენ ცნებანი“ (გვ. 28).

თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ გაიოზი არსად ამბობს, თითქოს ქართულს არ ჰქონდეს უკეთუობითი (ანუ ვიპოტეტიკა).

უღლება ზმნისა ი. ქართველიშვილთან სრულიად ახლებურადაა წარმოდგენილი.

აი, ვისთანაა ზმნის უღლების დაყოფა მოცემული პირის ნიშნებზე დაყრდნობით და გამოცალკევებული ე. წ. მ-ანიანი და ვ-ინიანი უღლებები.

„უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი ზ მ ნ ი ს ა ნ ი ა რ ი ა ნ ო რ ნ ი.

ზმნანი პირველისა უღვლილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოს შინა დროსა პირველსა შინა პირსა გაპიროვნდებიან ასოთა ამით ვ, ხოლო მეორესა პირსა შინა შემდგომითა მისითა ასოითა, ე. ი. ანუ ა, ანუ ე, ანუ ი, ანუ უ, ანუ ჰ და მესამესა პირსა ასოითა ამით ს. მაგ.: ვაქებ, აქებ, აქებს, ვესვრი, ესვრი, ესვრის; ვიქებ, იქებ, იქებს; ვუქებ, უქებ, უქებს; ვჰსწერ, ჰსწერს და სხვანი.

ზმნანი მეორე უღვლილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოსა შინა დროსა, მხოლოობითსა შინა რიცხვსა პირველსა შინა პირისა გაპიროვნდებიან ასოთა ამით მ. მეორესა შინა პირსა ასოითა ამით ვ; ხოლო მესამესა შინა პირსა ანუ ჰ ანუ უ და ანუ მეორე პირისა მაპიროვნებლისა გ — შემდგომითა ასოითა მაგ.: მ-რწამს, გ-რწამს, ჰ-რწამს, მ-იყვარს, გ-ი-ყვარს, უ-ყვარს, მ-აქვს, გ-აქვს, აქვს და სხვანი“ (28v).

ზმნის უღლება I რედაქციაში „ვადიდებ“-ით იწყება, II-ში — „ვარ“-ით. მეორე რედაქციის სქოლიოში მითითებულია, რომ „მიმოხრა „ვარ“ ზმნისა დაიდების წინარე სხვათა მისთვის, რომელ შევალს იგი მიმოხრასა შინა სხვათა ზმნათასა“ (გვ. 57).

„ვ ა რ“ ზმნის უღლების ფორმათა ჩვენებისას შეიმჩნევა გაიოზის გზით სვლა. იოანემ ნამყო უსრულში, გაიოზის მსგავსად, „ვიყოფოდი“ აირჩია, ხოლო, რაც შეეხება მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლებას მესამე სერიის მწკრივებში, აქ იგი ანტონს გაჰყვება და ჰეშმარიტებასაც აღადგენს: ნამყო უსრულში (თურმეობითი I) იძლევა პარალელურ ფორმებს: I — მიდიდებ-იეს||ია

II — გიდიდებ-იეს||ია

III — უდიდებ-იეს||ია

ნამყო უსრულესში კი, როგორც მოსალოდნელი იყო:

I მედიდა

II გედიდა

III ედიდა

ფასეულია ი. ქართველიშვილის შენიშვნა მეორე უღლების ზმნათა მიმართ, რომ „დრონი ნამყო სრულ, უსრულესი და უუსრულესი და მყობადი არა აქვსთ ზმნათა მეორისა უღლილებისათა". იგულისხმება „მიყვარს" ტიპის ზმნები. შ ე ვ ი ყ ვ ა რ ე ბ, შ ე ვ ი ყ ვ ა რ ე, შ ე ვ ი ყ ვ ა რ ო სრულიად სამართლიანად მას სხვა ზმნად მიაჩნია, ამიტომ მათ უღლება სხვანაირად აქვთო.

ამით მთავრდება მსჯელობა კანონიერ ზმნათა უუღლებაზე და მოდის თავი — „შ ე ც ვ ა ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ბ ო ლ ო ე ბ ა თ ა ზ მ ნ ა თ ა ო რ თ ა ვ ე თ ა უ ღ ე ლ ი ლ ე ბ ა თ ა თ ა ს ხ ვ ა თ ა დ ა ს ხ ვ ა თ ა დ რ ო თ ა შ ი ნ ა დ ა ს ქ ე ს თ ა". შეცვალება ზმნათა იცნობვისო, უკანასკნელისა დაბოლოებისა მათისა საზღვრებითისა სქესისა აწმყოსა დროსა შინა. „ყოველნი ზმნანი დაბოლოვდებიან ან ხმოვნებით: ა, ე, ჱ, ი, ო, უ, ჳ, რომლებიც ხან ერთ უხმო ასოს ღებულობენ, ხან — ორს. მაგ.: შ ე ვ კ ა რ, შ ე ვ ი ყ ვ ა რ ე ბ, ვ კ ვ ჱ თ, ვ ჰ ს ჯ ი, ვ ჰ ს წ ო ნ, ვ ჰ ს ც უ რ, ვ ჰ ს ძ ა რ ც ჳ, ვ ჰ ნ ე რ გ და სხვა.

ამავე ზმნების ვნებითად ქცევისთვის საჭიროა მეორე პირის ასო შეიცვალოს ი ხმოვნით და დაბოლოება — „ებ"-ით. ამ კანონს არ ექვემდებარება ზმნა „გ ა ნ ვ ბ ა ნ", რომელიც ა-ს არ ისპობს და ისე ხდება ვნებითად „გ ა ნ ვ ი ბ ა ნ ე ბ ი". ბოლო ხმოვანს იკვეცს ი-ზე დამთავრებული ზმნები („ვ ს ჯ ი" — „ვ ი ს ჯ ე ბ ი"), აგრეთვე ცვლილებას განიცდის ჳ-ზე დამთავრებული ზმნები, რომლებიც ჳ-ს შეიცვლიან ვ-ზეო: „ვ ჰ ს ძ ა რ ც ჳ" — „ვ ი ძ ა რ ც ვ ე ბ ი".

უსრულში შემოქმედებითი ზმნები მიიღებენ დაბოლოებად მარცვალს დი, ხოლო ვნებითში — ოდ-ის. აქვეა გამოთქმული შეტად მნიშვნელოვანი მოსაზრება: „ზმნათა მეორისა უღლილებისათა ნამყოსა უსრულესსა დროსა შინა ხატშემოქმედებითთა დაესმის მარცვალი ესე — და, ხოლო ხატვნებითთა — ოდა და ისპობენ, ბოლოს, რომელსამე ასოს მაგ.: „მ ი ყ ვ ა რ ს"//„მ ი ყ ვ ა რ დ ა", „მ წ ყ უ რ ს"//„მ წ ყ უ რ ო დ ა". ამ კანონისგან გამოირიცხვიანო ზმნები „მ ძ ი ნ ა ვ ს", „მ ღ ვ ი ძ ა ვ ს", „ძ ა ლ მ ი ძ ს. ვინაიდან ნამყოსა უსრულსა დროსა შინა მიმოიხრებიან ესე: „მ ე ძ ი ნ ა", „მ ე ღ ვ ი ძ ა", „ძ ა ლ მ ე დ ვ ა" (27 v).

არაა გამორჩენილი ხოლმეობითის ფორმებიც: „იქმნების უკვე მიმოხრა ზმნათა შემოქმედებითთაცა და ვნებითთა ნამყოსა უსრულსა დროსა შინა კვალად სხვაგვარი დაბოლოებითა ი-ზედა და ჳ-ზედა მაგ.: შ ე ვ ჰ კ რ ი (შ ე ვ ი კ ვ რ ჳ, შ ე ვ ი ყ ვ ა რ ი, ვ ჰ კ ვ ე თ ი//ვ ი კ ვ ე თ ი; ე ჰ ს ძ ა რ ც ჳ და სხვ. გარნა არს უკანონოო" (284).

მითითებულ დროთა საილუსტრაციოდ ავტორს ჩამოთვლილი აქვს შემდეგი ზმნები:

აწმყო	ნამყო	მყობადი
1. შევჰკრავ	შევჰკარ	შევჰკრა
2. აღვიხვამ	აღვიხუ	აღვიხუა
3. ვჰკაფ	ვჰკაფე	ვჰკაფო
4. დავსდგამ	დავსდგი	დავსდგა
5. შევსწირავ	შევსწირე	შევსწირო
6. დავიცავ	დავიცევ	დავიცუა
7. აღვჰფრინავ	აღვჰფრინდი	აღვჰფრინდე
8. შევიყვარებ	შევიყვარე	შევიყვარო
9. ვჰკვეთ	ვჰკვეთე	ვჰკვეთო
10. განვჰსწმედ	განვჰსწმიდე	განვჰსწმიდო
11. აღვჰლეკ	აღვლიე	აღვლიო

ამ მაგალითების მიხედვით ნამყოს (წყვეტილის) დამაბოლოებლად გვეელინება ე, ი, და 0; ხოლო მყობადისა — ა, ო, ე.

ქართველიშვილს შეუნიშნავს, რომ ნამყო უსრულესში (თურმეობითი I) ა-ხმოვნიან ზმნებს (ვკვრავ, ვსვამ) ემატებათ დამაბოლოებელი თანხმოვანი ს (შემიკრავ-ს, შემიწირავ-ს), მაგრამ ამ თანხმოვნის ფუნქციაზე არაფერს ამბობს. ეს თანხმოვანი თავის დროზე, რა თქმა უნდა, ნაჩვენები ჰქონდა ანტონსაც, მაგრამ რადგან ქართველიშვილი საგანგებოდ მხოლოდ ავ და ამ-იან ზმნებს გამოყოფს ცალკე (სხვა ხმოვნებზე დაბოლოებულთ ყველას პარალელური ფორმები ოეს//ოა ჰქონდათ) და მათთვის ს თანხმოვანს აუცილებლად მიიჩნევს, ამით უკვე ფაქტიურად ისაა ნათქვამი, რომ თურმეობით I-ში ავ-იან და ამ-იან ზმნებს ავ-ი და ამ-ი გადაჰყვებათ ს-ს მიმატებით [1].

ნამყო უსრულესში ყოველი ზმნა ღებულობს ან ა-ს, ან ო-ს („განმესაჯა“, „მეყო“...).

ამრიგად, დროთა მიხედვით დამაბოლოებელ ნიშანთა ასეთი სურათი გვექნებოდა:

1. **აწმყო** — ა, ე, ო, უ, ი, ე, ∅, ჯ — ამ ხმოვნებს ახლავს ან ერთი, ან ორი თანხმოვანი;

2. **ნამყო უსრულო** — დი, ოდი, და, ოდა (მიყვარდა, მწყუროდა...) ი (შევჰკრი).

---

[1] ასეთსავე დასკვნას აკეთებენ ანტონის მიმართაც. იხ. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, გვ. 170.

3. ნამყო სრული — ე, ი.

4. მყობადი — ა, ო, ე.

5. ნამყო უსრულესი — იეს, ია, ს

6. ნამყო უუსრულესი — ა, ო.

თუ აწმყოს დამაბოლოებელ (ტრადიციულიდან მომდინარე) ხმოვნებს არ მივიღებთ მხედველობაში, დანარჩენ დროთა (მწკრივთა) დამაბოლოებელი ნიშნები მეტწილად შეუცდომლად გადმოგვცემენ საქმის ვითარებას. ეს ნიშნები (თითქმის ყველა) გვქონდა ანტონთანაც, მაგრამ იოანეს დამსახურება ის არის, რომ მან გაიოზისგან განსხვავებით, ანტონის ეს ბრწყინვალე მიგნება გადაიტანა თავის გრამატიკაში.

შემდეგი თავის სახელწოდებაა: „მ ა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ე ლ თ ა თ ვ ი ს და მ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა ზ მ ნ ა თ ა ნ ი“.

აქაც ნიშნები დანაწილებულია დროთა მიხედვით:

. ა წ მ ყ ო. პირველი უღლების ზმნებს მხოლოობითი რიცხვის პირველ პირში მოუდით ვ („ვაქებ“, „ვესვი“...), მეორე პირში ესპობის ჳ და აპიროვნებს მისი შემდგომი ასოები (ა, ე, ი, უ, ჲ), ხოლო მესამე პირში დაესხმის ბოლოდ ს. მრავლობითში პირველსა და მეორე პირს აპიროვნებს იგივე ასოები და დაესხმით — თ, ხოლო მესამე პირში დაესხმით ი-ზე დაბოლოებულთ — ან, სხვებს — ენ.

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი ს პირველსა და მეორე პირში გვაქვს იგივე ნიშნები, ხოლო მესამე პირში მხოლოობითში დაესხმის ან ა, ან იხ; მრავლობითში — ენ, ან, იან (ა ქ ე ბ დ ა//ა ქ ე ბ დ ი ს; ა ქ ე ბ დ ე ნ// ა ქ ე ბ დ ი ა ნ).

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი ს პირველსა და მეორე პირში დაესხმიან იგივე ასონი. მესამე პირში მხოლოობითში ბოლოს ა ან ო, მრავლობითში — ეს.

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი ს მრავლობითის პირველ პირში დაესხმის მი, მეორეში — გი და მესამეში — უ („შ ე მ ი-კ რ ა ვ ს“, „შ ე-გ ი-კ რ ა ვ ს“, „შ ე-უ-კ რ ა ვ ს“).

მრავლობითში პირველ პირში დაესხმით გჳ (გჳ), ხოლო მეორესა და მესამე პირში აპიროვნებენ იგივე ასოები, რომლებიც მხოლოობითში, თანაც მამრავლად მოუდით თ.

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი ს პირველ პირს აპიროვნებს მე, მეორეს გა, მესამეს — უ („შ ე-მ ე კ რ ა“, „შ ე-გ ე-კ რ ა“, „შ ე-ე-კ რ ა“; „მ ე-ქ ო“, გ ე-ქ ო“, ე-ქ ო“). მრავლობითის პირველ პირში მაპიროვნებელია გჳ („შ ე გ ჳ კ რ ა“), ხოლო მეორესა და მესამე პირს აპიროვნებენ იგივე ასოები, რაც მხოლოობითში, მამრავლად ბოლოდ მოუდით თ („შ ე-გ ე-კ რ ა-თ“, „შ ე-ე -კ რ ა-თ“).

მყობადის მაპიროვნებელ და მამრავლებელ პირველსა და მეორე პირში გვაქვს იგივე ასონი, რაც აწმყოში. მხოლოდ მესამე პირში მამრავლებელ გვექნება ნ (ვ-აქ-თ“, „ა-ქ-თ“, „აქ-ნ“).

ვნებითი გვარის ზმნაც ისე გაპიროვნებიან და იმრავლებენ, როგორც მოქმედებითისანი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზოგჯერ მესამე პირში, შეიძლება გექონდეს ის და ა-ც („-იქებისა“, „იქ-ებ-ა“).

მეორე უღლების ზმნებს აწმყოსა და ნამყო უსრულესში ძხ. რიცხვის პირველ პირში აპიროვნებს მ, მეორეში — გ და მესამეში — ჰ, ან უ. ან შემდეგ გ-ანისა მდებარე ასო. მრავლობითში კი მათ აქვთ I პირში გუ ან გჳ, მეორესა და მესამეში იგივე ასოები, რომლებიც მხოლოობითში „გარნა მამრავლად დაესმის თ“.

აქ აზრს მოსდევს მეტად მნიშვნელოვანი გამონათქვამი: **ხათანადო არს ცნობად, რომელ არს ჩვეულებაი ქართულისა ენისა ვითარმედ ზმნათა პირველისა უღვლილებისათა აწმყოისა და ნამყო უსრულსა დროისა, ხოლო მეორისა უღვლილებისა აწმყოისა დროისაცა გარდა დაესხმის მარცვალი ესე „ან“ ან „ნ“ მაშინ ოდესცა ერთი მოქმედისაგან ქმნილ არს მრავალნი საქმენი რაიმენი“** (მაგალითები მოგვაქვს სრულად).

პირველი უღლება

ნამყო სრული

აღვიხუმ-ნ,	აღიხუმ-ნ,	აღიხუ-ნ-ა
ვაკურთხე-ნ,	აკურთხე-ნ,	აკურთხ-ნ-ა

ნამყო უსრულესი

აღმიხუამ-ნ,	აღგიხუამ-ნ,	აღიხუამ-ნ
მიკურთხებია-ნ,	გიკურთხებია-ნ,	უკურთხებია-ნ

ნამყო უუსრულესი

აღმეხუ-ნ-ა	აღგეხუ-ნ-ა,	აღეხუ-ნ-ა
მეკურთხ-ნ-ა	გეკურთხ-ნ-ა	ეკურთხ-ნ-ა

მყობადი

აღვიხვ-ნ-ე	აღიხვ-ნ-ე	აღიხვ-ნ-ეს

მიყვარ-ან	გიყვარ-ან	უყვარ-ან
მაქუ-ნ	გაქუ-ნ	აქუ-ნ

რ ო გ ო რ ც ვ ხ ე დ ა ვ თ, დ ა ს მ უ ლ ი ა ს ა კ ი თ ხ ი ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა ში წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს რ ი ც ხ ვ ი ს ა, ი ს ი ც ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ო ა, რ ო მ ძ ი რ ი თ ა დ ა დ ს წ ო რ ა დ ა ა მ ი თ ი თ ე ბ უ ლ ი მ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი ც..

თუ პირის ნიშნების შესახებ ნათქვამს სქემის სახით წარმოვადგენთ ასეთ სურათს მივიღებთ (სქემა იხ. აქვე, 296-ე გვ.-ზე):

გაიოზის მსგავსად ქართველიშვილმაც ვერ გაიგო ანტონის გრამატიკაში მოცემული მრავალი მაპიროვნე ნიშნის ნამდვილი საჭიროება და ისინი არ შეიტანა თავის შრომაში; თანაც, თავის მხრით, სცადა ბევრი ახალი ნიშანი მოეცა (იხ. ნამყო უსრულესი და ნამყო უუსრულესი), მაგრამ მეტწილად უშედეგოდ, თუმცა ვნებითის ე-ს გამოცალკევებაც საყურადღებო ჩანს.

უ კ ა ნ ო ნ ო ზმნებში ქართველიშვილმა, გაიოზის მსგავსად, გამოყო სამი ჯგუფი: 1. ნაკლობითნი, 2. ნაკლულევანნი და 3. პირნაკლნი — (გვაკლია გაიოზის უ ხ ვ ე ბ ი თ ნ ი).

ნაკლობით ზმნებს აკლიათ რამდენიმე დრო და ისინიც აღიესებენ სხვა რომელიმე ზმნისგან („ვფლობ", „ვუწყი", „ვესჳ"...).

პ ი რ ნ ა კ ლ ნ ი ყ ო ფ ი ა ნ: 1. **რომელთაც აკლიათ პირველი პირი: „მ ა ქ ე ბ", „მაქებს"; 2. რომელთაც აკლიათ მეორე პირი: „გ ა ქ ე ბ", „გ ა ქ ე ბ ს"; 3. რომელთაც აკლიათ ორივე პირი: „ჯ ე რ ა რ ს", „ჰ შ ვ ე ნ ი ს", „ჰ ხ ა მ ს", „შ ე ჰ გ ა ვ ს", „ს ა თ ა ნ ა დ ო ა რ ს".**

სქოლიოში ავტორი განმარტავს, რომ ყოველი პიროვანი ზმნა შეიძლება იყოს პირნაკლად პირველსა და მეორე პირშიო.

ამას მოჰყვება მეორე უღლების ზმნათა უღლების პარადიგმები. აქვეა ნაუღლები «ვალ" ზმნა, როგორც უკანონო, რომელსაც, თუმცა არ აკლია დრო, მაგრამ მაინც უჩვეულოდ წარმოგვიდგებაო.

უკანონო („მ ა ქ ე ბ" ტიპის) ზმნებს არა აქვთ: განუსაზღვრებელი, მიმღეობა და სახელზმნა და პიროვან ზმნათაგან „იხმარებენო".

პირველი უღლება

აწმყო

მხ.	მრ.
1. ვ — — —	ვ — — — თ
II. ა, ე, ი, უ, ჲ —	ა, ე, ი, უ, ჲ,—თ
III. — — — ს	— — — ან, ენ

ნამყო სრული

მხ.	მრ.
1. ვ — — —	ვ — — — თ
II. ა, ე, ი, უ, ჲ —	ა, ე, ი, უ, ჲ,—თ
III — — — ა, ო	— — — ეს

ნამყო უსრული

მხ.	მრ.
I. მე — — —	გუმ — — —
II. გე — — —	გე — — — თ
III. ე — — —	ე — — — თ

ნამყო უსრული

მხ.	მრ.
1. ვ — — —	ვ — — — თ
II. ა, ე, ი, უ, ჲ —	ა, ე, ი, უ, ჲ—
III — — — ა, იხ,	— — — ენ, იან

ნამყო უსრულესი

მხ.	მრ.
I. მი — — —	გვ — — —
II. გი — — —	გი — — — თ
III. უ — — —	უ — — — თ

მყოობადი

მხ.	მრ.
I ვ — — —	ვ — — — თ
II. ა, ე, ი, უ, ჲ —	ა, ე, ი, უ, ჲ—თ
III. — — — ხ	— — — ნ.

მეორე უღლება

აწმყო და ნამყო უსრული

მხ.	მრ. ∑
I. მ — — —	გუ, გვ — — —
II. გ — — —	გ — — — თ
III. ჲ, უ, — —	ჲ, უ — — თ

მიმღეობა

მიმღეობა ზმნათაგან იწარმოება და იხმარება ზედსართავის მაგიერ. რადგან ზმნათაგან იწარმოება, შესაძლებელია იყოს: არსებითი, შემოქმედებითი, ვნებითი და უმეშვეობითი, სამს დროში — აწმყოს, ნამყოსა და მყოფადში.

არსებითი მიმღეობაა — „მყოფი“, „გებული“; შემოქმედებითს — მხოლოდ აწმყო აქვს; ხოლო ნამყოსა და მყოფადში ვნებითია —. „შემყვარებელი“, „შეყვარებული“, შესაყვარებელი. უმეშვეობითია — „მსველელი“, „მსასოებელი“, „მღვიძარე“.

აწმყოს მიმღეობას აწარმოებს სახელზმნაზე დართული შემდეგი მარცვალნი ან მარცვალაკნი: თავად:მ, მმ და ბოლოდ: ელი, ედი, რი, რე, ლი, ლე, ული („მ-ჰსჯ-ელ-ი“; „მ-ო-ქმ-ედ-ი“; „მმ-ცხ-ოვ-რ-ი“; „მ-ცხ-ინ-ვა-რ-ი“ ან „მ-ცხ-ინ-ვა-რ-ე“; „მ-ტ-ირ-ალ-ი“; „მ-ძ-ინ-არ-ე“, „მ-ო-ხ-არ-ულ-ი“).

ნამყო დროისანი არიან: ბოლოდ — ილი, ული („ქმნილ-ი“ ან „ქმნულ-ი“); თავს ნა და ბოლოში: ი („ნა-ქებ-ი“, „ნა-წერ-ი“, „ნა-მზად-ი“).

მყოფადი დროისანი: თავად: სა და ბოლოში: ელი, ი და დი („სა-ქებ-ელ-ი“, „სა-ქებ-ი“, „ქებ-ად-ი“).

მიმღეობანი იბრუნვიან ზედსართავის მსგავსად.

თანდებული

თანდებული დაერთვის სხვა სიტყვის ნაწილს გამოყოფილად ან შეერთებულად და „ჰყოფს ცვალებულ შესახედავსა მდგომარეობას მათისა“ (50r), განყოფად დართულნი თანდებულნი ხან თავში დაესხმიან, ხან — ბოლოში: **შინა, ზედა, მიერ, გამო, შორის, თჳის.** თანდებულთა ერთი ჯგუფი შეერთებულად „დაესხმიან“ და იწოდებიან „ზედადებულად“: **აღ, შთა, წარ, უკუ, მიმო, მი, მიდამო, შემო, და, განგარდა, გარდამო** და სხვანი.

ზმნიზედა

ზმნიზედა არის ნაწილი სიტყვისა, რომელიც „დაესხმის წინარე ზმნათა ანუ სახელთა და ცხადჰყოფს ვითარებასა ანუ სხვასა გარემოებასა მდგომარეობისა და მოქმედებისა მათისა“ (50r).

მეორე რედაქციაში მიმღეობა „დაესხმის" არა მხოლოდ ზმნებსა და სახელებს, არამედ მიმღეობებსაც და სახელზმნებსაც. სხვა მხრივ განსხვავება არაა.

ი. ქართველიშვილი ცდილობს, რომ ზმნიზედათა ჯგუფების გამოყოფაში ორიგინალური იყოს. გამოყოფს 19 ჯგუფს, მაშინ, როცა ანტონს 22 ჯგუფი ჰქონდა, გაიოზს კი — 16.

აი, ეს ჯგუფებიც:

1. ვითარებითნი: კარგად, ცუდად, გონიერად;
2. რაოდენობითნი: მრავლად, საკმაოდ, ესოდენ;
3. დროებითნი: აწ, დღეს, გუშინ, მყის, საუკუნოდ;
4. ადგილობითნი: სადა, აქა, გარეგან, საშუალ;
5. რიცხვითნი: ერთგზის, სამგზის;
6. წესებითნი: პირველად, უკანასკნელი;
7. დამტკიცებითნი: ეგრეთ, მხოლოდ;
8. უკუთქმითნი: არა, ნურასოდეს, ნუ;
9. კითხვითნი: რად, ვითარ, ვითარითა ხატითა;
10. საიჭვონი: ნუთუ, ეგების;
11. მსწრაფლობითნი: მსწრაფლ, მყის, მეყსეულად;
12. კავშირობითნი: ფრიად, მრავლად, ჰხშირად;
13. შემკრებლობითნი: ერთად, განურჩევლად, საზოგადოდ;
14. განკერძოებითნი: ცალკე, თვითეულად;
15. ჩვენებითნი: აჰა, აჰაეგერა, მუნ;
16. საწადნი: ნეტარ, ნეტარძი;
17. შემრჩობლობითნი: მრჩობლად, მერმე და მერმე;
18. თანამდებობითნი: ცუდად, ამად, უჯერად;
19. მყუდროებითნი: მყუდროდ, ნელიად, მდოვრედ.

იოანემ გაიოზის ჯგუფებიდან გამოტოვა: 1. მსგავსებითნი, 2. მიშვებითნი, და 3. განმხნობითნი; მასთან არც ხშირობითნი გვაქვს, მაგრამ ჯგუფი კი დარჩა კავშირებითის — სახელწოდებით.

იოანემ ანტონისაგან ზოგი ჯგუფი ისეთი შემოიტანა, რომლებიც თავის დროზე გაიოზმა გამოტოვა: 1. შემრჩობლებითნი, 2. უთანამდებობითნი (იოანესთან თანამდებობითნი); 3. მყუდროობითნი; 4. მსწრაფლობითნი და 5. აღსავლობითი (თუმცა ეს სახელწოდებაც წესებითით შეეცვალა).

ქართველიშვილმა ერთი საკუთარი ჯგუფიც დაუმატა, ესაა ნომრით მეექვსე — რიცხვითი.

ავტორი იმაზედაც მიუთითებს, რომ „რიცხვსა შორის ზმნიზედათა დაიდებიან სახელნი არსებითნი და ზედშესრულნიც ოდეს დაესხმით მარცვალი ესე ად, ანუ მოეკიდებიან ვითარსამე თანდებულსა ანუ დაიდებიან მხოლოდ მოქმედებითსა ბრუნვასა შინა და ანუ შეცვლილნი ვითარიმე სხვაგვარ აჰღნიშნავდნენ ვითარებასა მოქმედებისა ანუ ვნებისა: სახელად, წრფელად, სისწრაფობით, სახლში, კარზე“ (51v).

კავშირი

„არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც აჰღნიშნავს შეერთებას ლექსთა ანუ სიტყვათა ურთიერთს შორის“ (იქვე).

მნიშვნელობის მიხედვით კავშირის ჯგუფებია:

1. წმასვნითი: და, ხოლო, ვითარცა, ესრეთ;

2. განწვალებითნი: ანუ, ნუთუ, განა, განათუ;

3. უკუთუობითნი: უკუთუ, ხოლოთუ, ოდეს;

4. მიშევებითნი ანუ ნებართვითნი: თუმცაღა, უკეთუმცა, დაღათუ;

5. მიზეზობითნი: ვინათგან, რომელ, მით რომელ, მისთვის ვითარმედ;

6. კიდურმდგომობითნი: მაშ, მაშასადამე, ვინა, ამისათვის:

7. გარემიმღეობითნი ანუ დამყენებლობითნი: ხოლო, არამედ, გარნა;

8. განმარტებითნი; ესე იგი, ესე იგი არს, რომელ არს;

9. მეტნობითნი: უკეთუ, ხოლო, ვიდრემე.

ეს ჯგუფები იოანეს მთლიანად გაიოზიდან აუღია, განსხვავება მხოლოდ მე-9 ჯგუფშია, რომელიც ანტონისგან მოდის. ამ ჯგუფის მაგიერ გაიოზთან მიმყოვრებითი („გარდა“, „გარდა ამისა“ და სხვები) გვქონდა.

იოანემ არ იხმარა გაიოზის პირისპირობითიც და მის მაგიერ გამოიყენა დამაყენებლობითი.

მეორე რედაქციაში ცოტა სხვანაირადაა საქმე: აქ კავშირთა პირველი ორი ჯგუფის სახელწოდებები შეცვლილია და ძველი სახელწოდებების პარალელურად მოცემულია: 1. შემასმენლობითნი//წმასვნითნი), 2. განმყოფელნი//განწვალებითნი).

შორისდებულის დაჯგუფებისას ქართველიშვილი ორიენ ავტორს ეყრდნობა:

1. განკვირვებითნი: ოჰ, უჰა...
2. სალმობითნი: ვაი, ვაიმე, ჰი...
3. შვებითნი: იშ, ვახ...
4. კითხვითნი: აჰაჰა, ცი...
5. შეურაცხებითნი: ფუ, ფუფუ...
6. იდუმალებითნი: სუ, სუსუ, ჩუმათ...
7. რაცხვითნი: აი, აიაი, გადი:...
8. წოდებითნი: ეი, ეიეი...
9. ღაღადებითნი: ოჰ, ...
10. შეწყალებითნი: ვა, გლახ, საწყალ...
11. განმხნობითნი ანუ მოწოდებითნი: შაბაშ, შაბაშ, შაბაშ...
12. ნატვრითნი: ნეტარ, ვაშა.

გაიოზთან გვქონდა 8 ჯგუფი, ანტონთან — 12, იოანე ორიენსგანაა დავალებული. ანტონთან მას საერთო აქვს: განკვირვებითი (გვაქვს გაიოზთანაც), სალმობითი (გაიოზთანაცაა), იდუმალებითი (გაიოზთან — დადებითი), განმხნობითნი ანუ მოწონებითი, შეწყალებითი და წოდებითი (ანტონთან „შორს წოდებით“). მხოლოდ გაიოზთან გვქონდა და იოანესთანაც გვაქვს „ღაღადებითი“.

იოანეს გაიოზთან აერთებს 5 ჯგუფი, ანტონისაგან კი მას უშუალოდ აღებული აქვს — შეწყალებითი და განხნობითნი.

მესამე ნაწილი

ლექსთთხზულება ანუ სინტაქსი

ლექსთთხზულება არს ნაწილი მესამე ღრამმატიკისა, რომელიც ასწავებს კანონიერსა შეერთებასა სიტყვის ნაწილთასა ურთიერთსა შორის“ (52v).

ეს განსაზღვრა თითქმის იგივეა, რაც გაიოზთან გვქონდა, მაგრამ იმ განხსვავებით, რომ ქართველიშვილი აღარ ხმარობს ტერმინ — „აღნაქვს“ (რომელიც გაიოზთან „სინტაქსის“ სინონიმად იხმარებოდა), არც სინტაქსის სამ ნაწილად დაყოფას იძლევა, გაიოზის მსგავსად. არც გაიოზის თანამიმდევრობას მისდევს. სანამ პირდაპირ

საკითხს შეეხებოდეს, ქართველიშვილი აღნიშნავს, რომ: „საფუძვლად სიტყვისა ჰმსახურებენ პიროვანი ზმნა და სახელი, უფალი და ძიება მისი მდებარენი ესევითართა შინა ბრუნვათა, ვითართაცა ითხოვს ზმნა, რომელთაცა ზედა მოკიდებული იქნებიან ჩვეულებისამებრ სხვანი ნაწილნი სიტყვისანი“ (53v).

აქვე რატომღაც მოცემულია ბრუნვათა გამოსაცნობი კითხვები: **ვინ? რა?** წრფელობითსა და შემასმენლობისათვის: **ვისი? რაისა? რომლისა? ვითარისა?** — ნათესაობისათვის და ა. შ.

პირველად განხილულია არსებითის არსებითთან შეთანხმება.

თუ ორი, ან რამდენიმე არსებითი ერთისა და იმავე პირის ან ნივთის აღმნიშვნელნი ერთმანეთთან დაიდებიან უკავშირო, მაშინ ისინი ერთმანეთს შეუთანხმდებიან ბრუნვასა და რიცხვში: „ქალაქი ტფილისი“, „პეტრე მოციქული“.

თუ ერთ არსებით სახელს მიეწერება ორი ან უმეტესი, იგი მრავლობითში დაისმის: „პეტრე და პავლე მოციქულნი“...

ორი არსებითი უკავშიროდ, როცა სხვადასხვა პირს თუ ნივთს აღნიშნავენ, სხვადასხვა ბრუნვაში გვხვდებიან. ასეთ შემთხვევაში მომდევნო სახელი დაისმის ნათესაობითში („სიყვარული მოყვრისა“, „აღსრულება სჯულისა“), რომელსაც ეწოდება განმათვისებელი წინამავალისა სახელისა და ეთანხმება წინამავალსა სახელსა თვისი ბრუნვის ფორმის შენარჩუნებით („ძენი ისრაელისანი“, „ძემან ისრაელისამან“) ე. ი. დარჩებიან ნათესაობითშიაცა და მიიღებენ წინამავალი სიტყვის ბრუნვასაც (ლაპარაკია მართლ-შეთანხმებულ მსაზღვრელზე — ა. ფ.).

ზედშესრული სახელი ძიებად (რომელიც მისი განმათვისებელიცაა) მიიღებს ხან ნათესაობითს („ბნელი უმეცრებისა“), ხან მოქმედებითს („მდიდარი სიბრძნითა“).

თუ ზედშესრული უაღრესობითს ხარისხშია, სახელს მოითხოვს ნათესაობითში („უძვირფასესი სიმრთელისა“), მაგრამ, თუ იგი ვიდრეღა კავშირს დაირთავს — დადგება წრფელობითში („სიბრძნე უპატიოსნეს არს ვიდრეღა ოქრო“) არსებითსა და ზედშესრულს შორის შეთანხმება, უპირველესად, გვაქვს ბრუნვასა და რიცხვში („კეთილი კაცი“,) ასეთსავე სურათს გვაძლევენ **რიცხვითები, მიმღეობები და ზედშესრულ-ნაცვალსახელები.**

ერთი ზედშესრული ორ მხოლოობითში მყოფ არსებითთან დგას მრავლობითში.

ნაცვალსახელნი, კვლამოღებითს გარდა, თანხმობენ სახელსა მისთა, რომელთანაც ან რომლის ნაცვლადაც მდებარენი არიან.

კვლამოღებითი ნაცვალსახელი ეთანხმება წინამავალს რიცხვში ყოველთვის, ბრუნვაში კი — ზოგჯერ.

კვლამოღებით ნაცვალსახელს („რომელიც“, „რაი“) ზოგჯერ ენაცვლება ადგილობითი ზმნიზედანი („სად“, „მუნ“). ნაცვალსახელი „თვით“ ჩვეულებრივ სხვა ნაცვალსახელთან იხმარება („თვით მე ვიხილე“, „თვით მან აღიარა“).

ნაცვალსახელი „თვისი“ ისე იქცევა, როგორც მოგებითი ნაცვალსახელები და მუდამ მესამე პირს მიეწერება („მან იხმია ძალი თვისი ანუ მისი“).

როგორც ვხედავთ, აქ ზოგი რამ განსხვავებულადაა, ვიდრე ანტონთან და გაიოზთან გვქონდა.

სხვანაირადაა წარმოდგენილი ქართველიშვილთან სახელისა და ზმნის შეთანხმებაც. მისი აზრით, პირიანი ზმნები მიიღებენ ორ სახელს: ერთს წინიდან, ერთს — შემდგომად. პირველს ეწოდება უფალი, მეორეს — ძიება ზმნისა.

უფლად მუდამ **წრფელობითი, მიცემითი ან მოთხრობითია**, რომელიც ეთანხმება ზმნას პირსა და რიცხვში: („მე ვჰსწერ“, „შენ წაგიკითხავს“, „მან განსაჯოს“).

რამდენიმე არსებითი უფლად ზმნას მრავლობითში მოითხოვს, მაგრამ შეიძლება მხოლობითშიც იყოს და აზრი არ დაირღვევა („განცხრომა და უქმობა მოაუძლურებენ სულსა“ „საუმელი და სასმელი ზრდის სხეულსა“).

ზმნა ჩვეულებრივ ანგარიშს უწევს უალრეს პირს. ძიებანი ზმნისანი იქმნებიან ორგვარად: ძიება ნათესავის, ძიება ბუნებისა.

ნათესავის ძიება მიიღება შემოქმედებითი და ვნებითი ზმნებიდან. შემოქმედებითში იგი აღნიშნავს სამოქმედოს, „რომელიცა იმოქმედების“, ხოლო ვნებითში „რომლისგანაც იმოქმედების რაიმე“.

ბუნების ძიება „აჰღნიშნავს საშუალებასა მას რაითაღაცა იმოქმედების საქმე, ანუ ვისდა მიმართ არის იგი, ანუ სად ქნულ არს და მიიღების ძიებად საზოგადოდ ყოველთა ზმნათაგან“ (56 v).

შემოქმედებითნი და ვნებითნი მიიღებენ ორივე ძიებას, უმეშვეობითნი — მხოლოდ ბუნებითს.

შემოქმედებითის ნათესავის ძიებად მუდამ **შემასმენლობითი ან მიცემითია**, ვნებითისა — **ან ნათესაობითი ან მოქმედებითი**.

როგორც ვხედავთ, ყველაფერი ეს ძირითადად ანტონისგან მოდის. ყოველნი ზმნანი კანონიერნი პირველისა უღვლილებისანი აწმყოსა

და უსრულში მიიღებენ უფლად **წრფელობითს**; ძიებად ნათესავისა — **მიცემითს** („განათლება შეამკობს სახელმწიფოს"). ნამყოსა და მყოფადში მიიღებენ უფლად **მოთხრობითს**, ძიებად ნათესავისა **შემასმენლობითს**, ხოლო ნამყო უსრულსა და უსრულესში — უფლად **მიცემითს**, ხოლო ძიებად ნათესავისა **შემასმენლობითსვე**.

აქ ერთი საინტერესო შენიშვნა გაუკეთებია ავტორს: „კანონის ამისგან გამოირიცხვიან ზმნანი პირველის უღლილებისანი გაპიროვნებულნი მეორესა შინა პირსა ასოისა იმით ე, რომელნიმე ვითარიც არიან: ვეედრები, ევედრები და სხვანი მსგავსნი ამათნი; ვინაითგან ყოველთა შინა დროთა ითხოვენ უფლად ბრუნვასა **წრფელობითსა** და ძიებად **მიცემითსა** მაგ.: „მე ვეედრები მას", „იგი ემთხვია ხატსა" (57გ).

აქ, შეიძლება ითქვას, ძალიან ცოტა მანძილია დარჩენილი ენიანი ვნებითების მიგნებამდე, მაგრამ საბოლოოდ ავტორი ამას ვეღარ ახერხებს, ალბათ, იმიტომ, რომ ვნებითობის ნიშანი ე პირის ნიშნად გაუგია, ზმნა კი მოქმედებითი გვარის ჰგონია.

მეორე უღლების ზმნები უფლად მუდამ მიცემითს ითხოვენ. ამათ ბუნების ძიება აქვთ სხვადასხვა ბრუნვაში, მაგ.: „მე მძინავს ცხედარსა ზედა"; „მას ეშინის სასჯელისაგან". სხვა შემთხვევაში იგივე უღლების (მეორესი) ზმნები ძიებად მოითხოვენ **შემასმენლობით** ბრუნვას: „მამას უყვარს ძე", „ანგარსა არა აქვს განსვენებაი".

ბრძანებითი და ვიპოტეტიკის სქესის ზმნები მიიღებენ იმავე ბრუნვაში უფალსა და ძიებას, რა ბრუნვაშიც საზღვრებითის სქესისანი, რომელთაგანაც იგინი იწარმოებიან.

რაც შეეხება განუსაზღვრებელ სქესს, ესენი თვით მიიღებიან ძიებად „ზმნათაგან პიროვანთა საზღვრებითი და ბრძანებითის სქესისათა და თვით ითხოვენ ძიებად ნათესავისა ბრუნვასა ნათესაობითსა ანუ შემასმენლობითსა („სათანადო არს შეუვარებად ღმერთი ან ღმრთისაგან").

აქვეა ლაპარაკი იმაზე, თუ როდის მოითხოვს **ნათესაობითს** განუსაზღვრელი სქესის ზმნა და, როდის — **შემასმენლობითს**, აგრეთვე იმაზედაც, რომ „ნაცვლად განუსაზღვრებელისა ზმნისა შესაძლო არს დადებად სახელზმნა".

ვნებითი ზმნის უფალი ყოველთვის **წრფელობითშია**, ხოლო ძიება ნათესავისა — **დაწყებითს** ან **შემოქმედებითში** („კოდვილი დაისჯებს სინდისისგან თვისისა").

ყველა **უმეშვეობითი ხატშემოქმედებითი** პირველის უღლებისა იმავე ბრუნვაში მოითხოვს **უფალს**, რომლებშიც მოქმედებითი გვარის ზმნები და ძიებად სხვადასხვა ბრუნვას, „რადგან არ ითხოვენ ძიებას ნათესავისა, არამედ ბუნებისა“.

უმეშვეობითნი ხატვნებითნი პირველის უღლილებისანი ყოველ დროში ითხოვენ **უფლად წრფელობითს**, ხოლო ძიებად — სხვადასხვა ბრუნვას.

სხმით-გარდასვლითი და მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი ზმნები მოითხოვენ იმავე ბრუნვაში უფალსა და ძიებას, რომელ ბრუნვაშიც პირველსახენი.

არსებითი ზმნა უფლად მუდამ **წრფელობითს** მოითხოვს, ხოლო ვიცი და ვუწყი ზმნები აწმყოსა და ნამყო უსრულში უფლად მიიღებენ მოთხრობითს და ძიებად — შემასმენლობითს.

პირნაკლი ზმნები, რომელთაც აკლიათ ან პირველი, ან მეორე პირი (ლაპარაკია ობიექტური წყობის ზმნებზე — ა. ფ.), მოითხოვენ უფალს და ძიებას იმავე ბრუნვაში, რომელშიაც მოითხოვენ მათიჴე პიროვანნი ზმნები.

მიმღეობასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ისინი: „სიტყვათა შინა იხმარებიან მსგავსად ზედშესრულთა სახელთა და მიიღებენ აწმყოში ძიებად ნათესავისა ნათესაობითში: („ღმერთ არს შემოქმედი ყოვლისა“), ხოლო წარსულში — ბუნების ძიებას სხვადასხვა ბრუნვაში: („მომავალი გზასა ზედა“, „მტირალი შვილთათვის“).

თანდებულები ხან წინ დაესხმიან და ხან უკანო სახელებს (ასეთებს განეკუთვნება: **შორის, საშუალ**... რომლებიც პირველ შემთხვევაში მოითხოვენ „ნათესაობითს“, **მეორეში** — „მიცემითს“), თუმცა ზოგი მათგანი (**მებრ, თვის, საშუალ, ამიერ, იმიერ, გარეგან**) მუდამ ნათესაობითს ითხოვენ.

თანდებულები **დმი, მიმართ, გან, გამო, მიერ მოითხოვენ** მუდამ **ნათესაობითს** და დაესხმიან მხოლოდ ბოლოში. თანდებული **მდე** მოეკიდება **ად** და **დ** ნიშნიან **მიცემითს** და მოითხოვს მის წინ დაწყებითად ბრუნვილ სახელს: „კიდით კიდემდე“, „აღმოსავლით აღმოსავლეთამდე“.

თანდებული **ურთ** მოეკიდება მხოლოდ **„მოქმედებითს“**.

იოანე იმეორებს ცნობილ დებულებას იმის თაობაზე, რომ თანდებულები ზმნიზედებადაც გამოიყენებიან.

ზმნიზედები, ჩვეულებრივ, მოეკიდებიან პიროვან ზმნებს და მათ მოქმედებას ან ვნებას გადმოგვცემენ; ისინი მოეკიდებიან აგრეთვე განუსაზღვრელ ზმნებს, მიმღეობებსაცა და სახელზმნებს.

ორი უკუთქმითი ზმნიზედა აღნიშნავს დადებით იდეას, თუმცა უარყოფითსაც, თუ ერთი მიეწერება სახელს, მეორე — ზმნას: „არცერთი გარდამავალი სჯულისა არ იქნებისა ქებული“.

კავშირები, როგორც ვნახეთ, ქართველიშვილთან ცხრა ჯგუფს ქმნის. აქედან შემაერთებელნი ანუ წმასვნითნი და განუყოფელნი ანუ განწვალებითნი მოითხოვენ, რომ მათგან გადაბმულნი სიტყვები (სახელები) იყვნენ ერთ ბრუნვაში ან ზმნები ერთ დროსა და პირში.

მოშვებითნი და დამყენებლობითნი კავშირები იხმარებიან მეტწილად ერთად. პირველები გადმოგვცემენ: „თანხმობას, მისთვის რაისაც პირისპირ შესაძლო არს ქმნად წინააღმდგომ თქმობაი“, ხოლო „მეორენი — ჩვენებისათვის წინააღმდგომ დამდებლობისა და სხვადასხვაობისა სიტყვათა შინა ანუ ოდეს იქმნების სწორად წინააღმდგომ თქმობა პირისპირ რაისამე, მაგ.: „თუმცაღა სწავლა ძნელ არს, გარნა ნაყოფნი მისნი ტკბილ არნ“ (— მეორე რედაქციაში — გვ. 130 — ეს საკითხი უფრო ნათლადაა წარმოდგენილი და გადაჭრილიც).

უკეთუობითი კავშირები „იხმარებიან შეერთებისათვის ორთა ანუ უმეტესთა უკეთუობითთა წინადადებათა (ქართველიშვილთან „წინადადება“ აქ გამოჩნდა პირველად — ა. ფ.): „უკეთუ დაჰშვრები სიყრმესა შინა, მაშინ გაქვნდების განსვენება მოხუცებულობისა შინა და სხვა“.

მიზეზობითი კავშირნი „მოჰკიდებს მიზეზსა წინადადებისთანაო“ და როცა წინადადება ვინაითგან კავშირით დაიწყება, მეორე წინადადებას ამისათვის სიტყვა ეწინამძღვრება: „ვინაიდგან დრო ძვირფას არს და არა რაითმე შესაძლო არს უქუ მოქცევად მისსა, ამისათვის განუფრთხილებლობა მისი ცუდ არს, ხოლო ბოროტცხოვრება უცუდეს მისსა“ (მეორე რედ., გვ. 131).

კვლამოღებითნი კავშირნი იხმარებიან: „შეერთებისათვის და დამტკიცებისა ჰაზრისა, რომელიც გამოიყვანებიან სხვისაგან მეორისა ჰაზრისა“: სოფელსა ამას არა ძალუძს თავათ თავით თვისით ყოფად, მაშასადამე მიუღიეს მას ყოფაი სხვისგან არსებისა, რომელსაცა შეუქმნიეს იგი“.

განმარტებითნი კავშირნი მოეკიდებიან წინადადებისთანა განმარტებასა მისსა: „კეთილ მოქმედ ვანი

კაცი ნაცვალგებულ იქმნების, ესე იგი მიიღებს ღმრთისაგან საუკუნოვანსა ნეტარებას".

მეტნობითი კავშირი დაესხმის სიტყვის ნაწილს უკან, რომელთაც მიეწერებიან ისინი: „მწუხარება შეაიწროებს სულსა, შვება უკვე მხიარულ ჰყოფს მას".

როგორც ვხედავთ, იოანეს გრამატიკაში მრავლისგან მრავალ შემთხვევაში არა მარტო სიახლესთან გვაქვს საქმე, არამედ აქ საანალიზო ფორმებიც მეტად სრულად და საფუძვლიანადაა დახასიათებული. **განსაკუთრებით საინტერესოა კავშირების თითოეული ჯგუფის ცალცალკე დახასიათება, რითაც შექმნილია წინაპირობა რთული წინადადების სინტაქსის უკეთ გასარკვევად.**

ამის გამო სწორედ ი. ქართველიშვილთან შეიძლება თანამედროვე სინტაქსის ელემენტების ძებნა, რასაც კიდევ უფრო დაამტკიცებს ე. წ. პერიოდების განხილვა.

„შორისდებულნი იხმარებიან გამოთქმისათვის სულთა ძალთასა და მათგანნი რომელნიმე შეითხზიან ბრუნვათა თანა წრფელობითთა ანუ წოდებითთა, მაგ.: „აჰა გზა მიმყვანებელი ნეტარებაში", „ჵ ღმერთო"; ზოგიც დაერთვის მიცემითსა ბრუნვას: „ვაიმე, ცოდვილსა, ჵ მე უბადრუკსა და სხვა".

ამით მთავრდება I რედაქციის გრამატიკული ნაწილი და მოდის „დამეტება", რომელშიაც ანტონის გრამატიკის მსგავსი ნაწილისდაგვარად განხილულია ძირითადად პუნქტუაციისა და ორთოგრაფია-ორთოეპიის საკითხები. მეორე რედაქციაში კი ზემოგანხილულ საკითხებს მოჰყვება ახალი თავი: **„საზოგადოთა კანონთათვის ლექსთთხზულებისადმი მისაწერთა".**

ამ თავში განხილულია საკითხთა წყება, რომელიც ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მანამდე თითქმის არ ყოფილა და რომლისგანაც ძირითადად სათავეს იღებს მსგავსი თავი სოლ. დოდაშვილის გრამატიკაში.

აქ, პირველად, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში საუბარია წინადადების განსაზღვრაზე: **„ოდეს ვითარისამე ჰაზრსა ჩვენსა განვუცხადებთ სხვასა და გამოვსთქვამთ მას ორთა, სამთა ანუ რაოდენთამე ლექსთა მიერ, ესრეთ რომელ იწარმოების მათთაგან მთელი ჰაზრი, მაშინ ესევითარი გამოთქმა ჰაზრთა ჩვენთა იწოდების წინადადებად,** მაგ.: „ხელმწიფე არს მამა ქვეშემრდომთა თვისთა; მცონარეობა მოაუძლურებს ხორცსა და სულსა და სხვა".

ეს განსაზღვრა, მართალია, სხვანაირი რედაქციითა და ფორმით, მაგრამ ზოგადად მნიშვნელობით იგივეა, რაც ტრადიციული განსაზღვ-

რა: „წინადადება არის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც გადმოგვცემს დასრულებულ აზრს".

წინადადებასო — ამბობს ქართველიშვილი — აქვს სამი შემადგენელი ნაწილი: ქვემდებარე, შესმენილი და კავშირი.

„ქვემდებარედ იწოდება თვით ნივთი იგი, რომლისთვისაცაა მოთხრობის რაიმე, ესე იგი უფალი ზმნისა".

„შესმენილად იწოდება იგი, რაიცა დაიმტკიცების ანუ უკუითქმის ქვემდებარისათვის". ესე იგი ძიება ზმნისა.

„კავშირად შემაერთებლად ანუ განმყოფელად მათდა იქმნების ზმნა ესე არს. მაგ.: „ხელმწიფე არს მამა ქვეშემდომთა თვისთა". ამის შინა ხელმწიფე არს ქვემდებარე, მამა ქვეშევრდომთა თვისთა შესმენილი, ლექსი ესე „არს" კავშირია" (გვ. 132).

წინადადების წევრთა ასეთი განსაზღვრა და, მით უფრო, მოტანილი მაგალითის ანალიზი კარგად მეტყველებს იმაზე, რომ ეს მოსაზრება სათავეს იღებს ლოგიკური ქვემდებარე-შემასმენელ-კოპულას განსაზღვრიდან.

წინადადება შეიძლება იყოს მარტივი და რთული, რაც დამოკიდებულია ქვემდებარესა და შესმენილზე. მარტივი წინადადება ერთი ქვემდებარისა და ერთი შესმენილისაგან შედგება, რთული — „ორთა ანუ მრავალთა ქვემდებარეთა და შესმენილთაგან შეერთებულთა ვითარითამე კავშირთა მაგ.: „განცხრომა და უქმება მოაუძლურებენ ხორცსა და სულსა და ჰყოფენ კაცსა არარაისადმი ღონის მექონ" (გვ. 133).

წინადადებათა შეერთებისაგან მიიღება პერიოდი. პერიოდისთვის დამახასიათებელია ის, რომ „წარმოსდგების მათგან მთელი განსჯა".

პერიოდი შეიძლება იყოს ერთწევროვანი, ანუ ერთი წინადადებისაგან შემდგარი, „უკეთუ შეადგენს იგი მრთელსა და სრულსა სიტყვასა გავრცელებულსა შესაფერთა ლექსთა მიერ და განდიდებულსა ვითართამე გარემოებათა მიერ" (გვ. 134).

პერიოდი აგრეთვე შეიძლება ორწევროვანი, სამწევროვანი და ა. შ.

როცა პერიოდი მრავალი წინადადებისაგან შედგება: „გარნა ერთი ამით წინადადებათაგანი იქმნების მარადის უმთავრესი, რომელიც იპყრობს თვისში ცნობილსა საგანსა, რომლისადმიცა, მისდრკების სიტყვა ჩვენი, ხოლო სხვანი ყოველნივე მოკიდებულნი მისდამი იწოდებიან დამეტებულად ე. ი. იქმნებიან ესე ვითარნი, რომელნიც ჰმსახურებენ დამტკიცებად ანუ განცხადებად უმთავრესისა წინადადებისა მაგ.: 1. „მცონარესა არ ძალუძს მიღებად საწადელ დახას-

რულ მოქმედებათა თვისთა; 2. ვინაითგან ყოველი ჩვენ მიერ დაწყებული საქმე მოითხოვს შრომასა და ძალოვნებასა" (გვ. 134).

ამ პერიოდის პირველი წინადადება მთავარია, ხოლო მეორე — დამეტებულიაო; თუმცა მთავარი წინადადება თავშია, მისი ადგილი შეიძლება ბოლოშიც იყოსო, — შენიშნავს ავტორი.

ამას გარდა (ე. ი. „დამეტებულის" გარდა) ქართველიშვილი იცნობს ე. წ. შემოტანილ ან „შემოხმულ" წინადადებებს. ამ სახელწოდებაში იგულისხმება: „ყოველი იგი, რომელნიც მოკლედ შემოხმულ იქმნებიან ვითარსამე სიტყვასა შინა ანუ პერიოდსა, მაგ.: „კაცი (რომელიცა განატარებს ცხოვრებასა თვისსა უქმობასა შინა) მოიძებს პირველ დასჯად თვისად მას რომელ ყოველთაგან შეუდგების მას მოწყინება; მშობელნი თანამდებ არიან შვილთა თვისთადმი (ოდესცა მოიწევან იგინი მდგომარეობასა შინა მიღებად მოძღვრებათა) უწინარეს ყოვლისა მეცადინეობად, რაითამცა მეტყველებდნენ იგინი მარადის მართალსა" (გვ. 134).

ზემომოტანილი განსაზღვრის მიხედვით „შემოტანილი" თუ „შემოხმული" წინადადება დღევანდელი ჩართული წინადადების ფარდი ჩანს, შაგრამ საილუსტრაციო მაგალითები ჩვეულებრივი დამოკიდებული წინადადებებია.

ქართველიშვილის აზრით, პერიოდშიცა და წინადადებაშიაც საჭიროა დავიცვათ წინადადების წევრთა (სიტყვის ნაწილთა) განლაგების გარკვეული წესი: პირველ ადგილზე უნდა იყოს ქვემდებარე ანუ უფალი თავისი დამხმარე სიტყვებით, შემდეგ (ე. ი. მეორეზე) უნდა იყოს ზმნა (ზმნიზედებით და სხვა სიტყვებით), მის შემდეგ უნდა მოდიოდეს შესმენილი ანუ ძიებაზმნისა (ე. ი. დამატებები — ა. ფ.) მათზე დამოკიდებული სიტყვებით.

თუ წინადადება კითხვითია, ან ზმნიზედით იწყება, მაშინ ქვემდებარე მოსდევს ზმნას, ასეევე ქვემდებარის წინ დაისმის ზმნა ბრძანებითის სქესისა.

აშკარაა, რომ ყველაფერი ეს განსხვავებულია იმისაგან რაც მანამდე გვქონდა გრამატიკაში და ისიც ფაქტია, რომ ამ მოსაზრებებში უნდა ვეძიოთ დღევანდელი რთული წინადადების სინტაქსის ფესვები, ამაზე მიუთითებენ ტერმინებიც: „მთავარი და „დამატებული".

რა თქმა უნდა, ეს მოსაზრებები ი. ქართველიშვილს არ ეკუთვნის. ზოგი მათგანი, თანაც სხვაგვარი ინტერპრეტაციით, უკვე შეგვხვდა გაიოზის გრამატიკაში, მაგრამ ბევრის წყარო საძიებელი იყო და ამ მიზნით მოგვიხდა მთელი რუსული გრამატიკული ლიტერატურის (რითაც კი ი. ქართველიშვილს შეეძლო ესარგებლა) განხილვა; და მი-

უხედავად იმისა, რომ მსგავსი მასალა რამდენიმე გრამატიკაში აღმოჩნდა, უეჭვო პირველწყაროს დადგენა არ მოხერხდა.

მეოთხე ნაწილი

ეს ნაწილი მთლიანად მართლწერისა და მართლწარმოთქმის საკითხებს ეთმობა.

მართლწერის განსაზღვრაშივე ჩანს ის სიახლე, რასაც ამ თავში შეხვდება მკითხველი. აქ პირველადაა ნათქვამი რომ: „მართლწერა (ორთოგრაფია) ასწავებს ვითარ ჯერ არს კანონიერ წერად თვითეული ლექსი“ და ამის შემდეგაა მოცემული ტრადიციული მითითება იმაზე თუ „სად ჰხამს დასმად სხვადასხვა ტრიქონთშინანი და ტრიქონთზენანი ნიშანნი“ (გვ. 135).

ეს ნაწილი შედგება ორი თავისაგან, რომლებიც თავის მხრივ შედგებიან სამ-სამი ქვეთავისაგან.

პირველსავე ქვეთავში ლაპარაკია იმაზე, თუ სად იწერება ასომთავრული ასოები და საქმე წარმოდგენილია რუსული ენის კანონების მიხედვით (დაახლოებით ასე იყო გაიოზთანაც) მეორე ქვეთავში ხმოვნების ხმარების წესებია მოცემული; ნათქვამია: უბრჯგუ გამოითქმის „საშუალ უ და ვ-სა“ („ს ი ტ უ შ ა“, „ტ უ შ ი“, ს ი ქ უ დ ი ლ“). ი ასო მუდამ იწერება გაბრჯგუებულ შ-ს შემდეგ ვ-ს ნაცვლად და გამოითქმის „უმოკლეს მისსა“, მაგ.: ტ უ შ ი.

ანტონის მსგავსად, ქართველიშვილი ამჩნევს შა, უი კომპლექსის ჯ-ით შეცვლას ნათესაობითსა და მოქმედებითში.

„ჲ არსად დაიდების სიტყვის დასაწყისში და იშვიათად იხმარების სიტყვის შუაშიც“. იგი ჩვეულებრივ გვხვდება ნათესაობით, მოქმედებითსა და დაწყებით ბრუნვებში საზოგადო სახელთან, როცა ისინი უ და ო-ზე ბოლოვდებიან (სრულიად ახალი აზრია — ა. ფ.). იგივე ჲ გვხვდება შემასმენლობით ბრუნვაში ხმოვან ფუძიან სახელებთან, გარდა ი-სა და ჯ-ზე დაბოლოებულებისა.

ჰ — ასო დაიწერება პირველი უღლების ზმნების სამსავე პირში; თუ მაპიროვნებელ ასო ვ-ს მოსდევს თანხმოვანი, მათ გაჰყრის ჰ—ასო. ეს ასო აგრეთვე გვხვდება მეორე უღლების ზმნათა მესამე პირში, ისიც ზოგ შემთხვევაში. („ჰ რ წ ა მ ს“ „ჰ ს უ რ ს“). ეს ბოლო შენიშვნა სრულიად სწორია. სწორია ისიც, რომ მეორე პირში პირველი უღლების ზმნებთან ხმოვნის წინ ჰ საერთოდ იკარგეოდა, მაგრამ ჰ-ს თანხმოვანთგამყრელი ფუნქცია რა საფუძვლით მიაწერა აეტორმა, არსაიდან ჩანს.

მესამე ქვეთავი ეძღვნება უხმოთა (თანხმოვანდა — ა. ფ.) ხმარებას. ესინი დაიწერებიან თავიანთ ადგილას და არ იხმარებიან ერთიმეორის მაგიერ.

ამ ქვეთავში ქართველიშვილი საგანგებოდ ჩერდება ასო ფ-ზე და მიუთითებს, რომ იგი ბერძნულია და იხმარება ფ-ს მაგიერ უცხოური ენიდან შემოტანილ სიტყვებშიო.

საგანგებო შენიშვნას აკეთებს იოანე ხ და ჯ ბგერების ხმარებასთან დაკავშირებითაც: „ხ და ჯ-ს აქვთ განყოფაი ურთიერთისგან, ვინაითგან ხ გამოითქმის მჭისედრე ხმარებითა ენის მწვერვალისითა და ჯ შინაგანთა ხორხთა მიერ, გარნა მრავალნი ჰსწერენ მათ განურჩევლად, თუმცა ჯერ არს შერჩევად. რაითამცა იხმარებოდეს თვითეული საკუთარსა შინა ადგილსა თვისსა. ვინაითგან ოდესმცა განასხვაებენმცა მნიშვნელობასა ლექსისასა მებრ ოდეს დაიწერის ხელი ჰნიშნავს გიჟსა ანუ გონება ნაკლულოვანსა, ხოლო ოდეს დაიწეროს ჯელი მაშინ ჰნიშნავს ორღანოსა ასოსა კაცისასა სხეულისსა ჯელსა. გარნა ვერ შესაძლო არს დასხმად კანონნი წერისათვის მათისა არამედ სათანადო არს ჩვევად“ (გვ. 136).

არც ამაზე იყო აქამდე მითითებული და მით უფრო მნიშვნელოვანია ეს გარემოება, რომ იგი მხოლოდ მეორე რედაქციაშია შეტანილი და ქართველიშვილის დამკვირვებლობის უნარზე მიუთითებს.

მეორე თავში განხილულია: მძიმის, წერტილის, წერტილ-მძიმის, ორწერტილის, კითხვითი ნიშნის (გაიოზთან გვქონდა „საკითხავი ნიშანი“), განსაკვირველი ნიშნის, შემპყრობის (ფრჩხილის), გადასატანის, შემაერთებლის (დეფისი — რთული სიტყვის ნაწილთა შესაერთებლად — ა. ფ.), აღმნიშვნელი ნიშნის (სქოლიოს მიმთითებელი — ა. ფ.), სამოწმებელი ნიშნის (იგულისხმება წინწკლები — ა. ფ.) ხმარება-გამოყენების წესები და კანონები, ერთი სიტყვით, პუნქტუაცია-პთოსოდიის საკითხები.

ყველაფერი ეს, სქოლიოს მიმთითებელის გამოკლებით გვაქვს I რედაქციაშიც.

შემდეგ ლაპარაკია სტრიქონთზედა ნიშანთა ხმარებაზე. მოცემულია ბრჯგუს, მახვილის, კლებულის, ქარაგმათა (რომელიც სამად იყოფა: საუფლო, საასომთავრულო და საზოგადო) ხმარება-გამოყენების წესები და აქვეა მითითება იმაზე, რომ „უჩვეულო ლექსებს არ უნდა დავაწეროთ ქარაგმები“.

როგორც მკითხველიც მიხვდება, ქართველიშვილს გრამატიკული ჰოსაზრებების ანალიზისას ძირითად I (S—4432-სა) და II (S—2585) რედაქციებზე მივუთითებდით. ანალიზის დაწყებისას ისიც ვთქვით, რომ, თუ საგანგებოდ არ აღვნიშნეთ, იგულისხმება, I რედაქცია ემთხვევა მეორეს და ამდენად ნაბეჭდსაც-მეთქი. მაგრამ ნაბეჭდზედაც რომ წარმოდგენა ჰქონდეს მკითხველს, მოვიტანთ განხილულ საკითხთა სიას, ისე როგორც ავტორთანაა დასათაურებული.

ქართული გრამმატიკა (ნაბეჭდი)

1. ლექსთწარმოება
2. ლექსთთხზულება
3. მართლწერა

პირველი ნაწილი

თავი I — ასოთა განყოფისათვის მარცვალთა და ლექსთათვის;

თავი II — განყოფისათვის ლექსთასა რვათა ზედა ნაწილთა სიტყვისათა;

თავი III — სახელისათვის და განყოფილებისათვის მისსა — არსებითი, ზედშესრული. რიცხვითი; არსებითი (საკუთარი, საზოგადო, კერძო): ზედშესრული. (დადებითი, შეთანასწორებითი, აღმატებითი); ნათესავი არსებითისა (მდედრობითი, მამრობითი, საზოგადო, უმეშვეობითი); რიცხვითი (რაოდენობითი, წესებითი).

თავი IV — თვისება ანუ მდევართა სახელისადმი განკუთვნილთა; რიცხვი, ბრუნვა, კანკლედობა; რიცხვი (მხოლოობითი, მრავლობითი); ბრუნვა; კანკლედობა — 4.

თავი V — წარმოებულთა ანუ სხმითგარდასვლითთა სახელთათვის;

თავი VI — ნაცვალსახელთათვის;

თავი VII — ზმნისათვის; (კანონიერი, უკანონო, არსებითი, შემოქმედებითი, ვნებითი, უმეშვეობითი, ხატშემოქმედებითი, ხატვნებითი).

თავი VIII — მდევართა ანუ გარემოებათათვის განკუთვნილთა ზმნათადმი;

თავი IX — შემეცნებანი შეცვალებათათვის დაბოლოებათა ზმნათა სხვადასხვა დროთა შინა.
თავი X — ზმნათა მაპიროვნებელთა და მამრავლეთა ასოთათვის.
თავი XI — უკანონო ზმნათათვის;
თავი XII — მიმღეობისათვის;
თავი XIII — თანდებულისათვის;
თავი XIV — ზმნიზედასათვის;
თავი XV — კავშირისათვის;
თავი XVI — შორის დებულებისათვის.

VIII. იოანე ქართველიშვილის გზის გამგრძელებელნი

1. სოლომონ დოდაშვილი

ბიოგრაფიული ცნობები;
გრამატიკის აგებულება.

სოლომონ ივანეს-ძე დოდაშვილი დაიბადა 1805 წელს, 17 მაისს, სოფ. მაღაროში (აქედან მისი რუსული ფსევდონიმი — „მაგარსკი), სიღნაღის რაიონში.

სწავლისადმი ტრფიალი სოლომონს ადრე გამოაჩნდა და მამამ, რომელმაც ორი სხვა შვილიც სემინარიაში გამოზარდა, იგი 1818 წელს სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ორი წლის შემდეგ სოლომონი თბილისის სასულიერო სემინარიაში გადაჰყავთ. მაგრამ სასწავლო კურსს არ ამთავრებინებენ და 1822 წელს უკანვე გზავნიან სიღნაღში უკვე მასწავლებლად. თავად სწავლას მოწყურებულ სოლომონს აქ დიდხანს დარჩენა არ შეეძლო, 1823 წელს თავს ანებებს მასწავლებლობას და ერთი წლის შემდეგ მიემგზავრება რუსეთში.

1824 წელს სოლომონი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე და საოცარი ენერგიით იწყებს სწავლას.

პეტერბურგში ყოფნის დროს სოლომონ დოდაშვილი ახლო ურთიერთობაშია იქ გადასახლებულ ბაგრატიონების ოჯახებთან, განსაკუთრებით ბაგრატთან, რომლის ოჯახშიც ბავშვების აღმზრდელადაც მუშაობდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სოლომონისა და აგრეთვე სიღნაღელის (სოფ. ვაჭირიდან) იონა ხელაშვილის ურთიერთობა. იონა ხელაშვილმა სასულიერო განათლება ერეკლე II-ის ხელშეწყობით მიიღო და ამის გამო იგი სამუდამოდ დაუკავშირდა გიორგი XIII ოჯახს, რომლის შვილებს, პეტერბურგში გადასახლების შემდეგ, გაჰყვა კიდეც და ათეული წლების განმავლობაში ასრულებდა ბატონიშვილების კარის მღვდლის მოვალეობას.

იონა ყოველმხრივ უწყობდა ხელს სოლომონის ლტოლვას სწავლა-

განათლებისადმი და, რაც მთავარია, დიდ ეკონომიურ დახმარებას უწევდა ხელმოკლე და სუსტი ჯანმრთელობის მქონე სტუდენტს.

1825 წელს, დეკაბრისტების გამოსვლამ, რომლის მხილველიც სოლომონი იყო, უდიდესი გავლენა მოახდინა მის მსოფლმხედველობაზე, განსაკუთრებით სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამის გამო იყო, რომ მოგვიანებით, როცა სოლომონი დააპატიმრეს, მისი ბინის ჩხრეკისას, იქ აღმოაჩინეს დეკაბრისტთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის — რილეევის — სიკვდილის წინ ცოლისადმი გამოგზავნილი ბარათის ასლი.

უნივერსიტეტში ყოფნისას უნიჭიერესმა ახალგაზრდამ მიიღო ბრწყინვალე განათლება ფილოსოფიასა და ლოგიკაში, რაც კარგად გამოჩნდა 1827 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოცემული „ლოგიკის მოკლე კურსში“. ამ წიგნმა მაშინდელ პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. იგი აღიარეს ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად.

1827 წელს ბრუნდება სოლომონი თბილისში და ჩამოსვლისთანავე აჩაღებს სამეცნიერო-პედაგოგიურ და ჟურნალისტურ მუშაობას: ამავე წელს ინიშნება მასწავლებლად კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. სხვა ბევრ გამოჩენილ ქართველ ახალგაზრდასთან ერთად ამ გიმნაზიაში სოლომონის მოსწავლე იყო ქართული პოეზიის სიამაყე — ნიკოლოზ ბარათაშვილი.

1827 წლიდან სოლომონი ჯერ რედაქტორია, შემდეგ კი რედაქტორ-გამომცემელი ჟურ. „თბილისის უწყებებისა“, რომელსაც 1832 წელს დაერთო ლიტერატურული ნაწილი (კელავ სოლომონის რედაქტორობით) და რომელმაც, მიუხედავად ოთხიოდე ნომრის გამოსვლისა, უდიდესი როლი შეასრულა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში.

სამწუხაროდ, ხუთიოდე წელიც არ დასცალდა სოლომონს თავისუფლად ემოღვაწნა; როგორც ცნობილია, იგი იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე 1832 წლის შეთქმულებისა, რომლის გამოაშკარავებისთანავე, ამავე წელს, დააპატიმრეს და დასაჯეს ყველაზე მკაცრად — გადაასახლეს რუსეთის ერთ ყველაზე უშორეს და მივარდნილ ვიატკის გუბერნიაში, სადაც შიმშილით, სიცივითა და ხელმოკლეობით შეწუხებულმა ოთხი წელიც ვერ გაძლო, დაავადდა ჭლექით და 1836 წელს გარდაიცვალა.

ეცნობით სოლომონის მემკვიდრეობას, რომლის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, დაკარგულია და გაოცებთ მრავალფეროვნება, სიმრავლე და სიღრმე იმ საკითხებისა, რომელთაც მისი კალამი შეხებია.

იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ ერთ წერილში სოლომონი წერდა:

„1. შეეარდგინე ქართული ღრამმატიკა სასწავლებლისათვის;

2. სრულვყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა;

3. ვჰსთარგმნე, რწმუნებისაებრ მთავრობისა სჯულ ვალდებულებანი სასამართლოებისნი;

4. ვსთარგმნე ბრძანებითა მთავრობისათა ცხენის სრბოლისათვის წიგნი;

5. შეეარდგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასამდე: ვისგან, სადა და ოდეს! და თვითეული რას იპყრობს თეის შორის;

6. შეეარდგინე სხვადასხვანი ზნეობითნი ნაწყვეტობანი (ოტრივკი) შესხმანი, ავთრათნი და სხვანი;

7. შეეარდგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალანი საზღერებითა და განყოფილებითა მისთა;

8. ისტორიული აღწერა ვიწყე, რომელთამე მწერალთა და რომელთამე სრულვყავ".

ეს წერილი დათარიღებულია 1829 წლით, ე. ი. აქ ჩამოთვლილი შრომები ავტორმა ორი წლის განმავლობაში დაწერა და თუ ამას მივუმატებთ სხვა სამუშაოებს, რომლებსაც სოლომონ დოდაშვილი ამ პერიოდში ასრულებდა, ნათლად წარმოგვიდგება ის უზარმაზარი შრომა, რომელიც მას უხდებოდა.

„ქართული ღრამმატიკა" სოლომონმა 1830 წელს დაბეჭდა, თუმცა, როგორც იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილი ერთი წერილიდან ირკვევა, წიგნი დაწერილი იყო 1827 წელს ოქტომბრისათვის. ამ წერილის მიხედვით ისიც ირკვევა, რომ გრამატიკის პირველ ვარიანტში (თუ ხელნაწერ ვარიანტში) ავტორს დაწყებითი ბრუნვა არა ჰქონია: „დაწყებითი ბრუნვა განუტევე დამტკიცებითა, რომელ არ არის საჭირო ცნობისათვის ცვლილებათა ლექსთათა".

რადგან ნაბეჭდში დაწყებითი ბრუნვა მაინც შეიდა, უნდა ვიფიქროთ, რომ 1827 წელს ხელნაწერი ავტორს დაბეჭდვის წინ გადაუმუშავებია.

კვლევის შედეგად სრულიად აშკარად დადგინდა, რომ სოლომონმა თავისი შრომის დაწერის დროს ძირითად წყაროდ აიღო ი. ქართველიშვილის გრამატიკა, რომლის ზოგ პარაგრაფს იგი უცვლელად მიდევს, ან იმეორებს იმავე აზრს, ოღონდ უფრო შემოკლებული რედაქციით. ისიც გამოვლინდა, რომ შემოკლებები მეტ შემთხვევაში აზრის უკეთ

გაგებას ემსახურება და სამეტყველო ენასთან მიახლოების მიზნითაა გაკეთებული.

ეს ჩანს სოლომონის გრამატიკის პირველი პარაგრაფიდანვე — თვით გრამატიკის საგნის განსაზღვრიდან, რომელიც მასთან ასეთი რედაქციითაა: „ქართული ღრამმატიკა ასწავებს კანონიერსა უბნობასა და წერასა ქართულად“, იოანესთან კი „ღრამმატიკა არს ჰსწავლა ხელმძღვანელი კანონიერისა უბნობისა და მართლწერისადმი“.

შემდეგი პარაგრაფი — „ჩვენ ვუმბობთ საშუალობითა—ლექსთათა, რომელნიც მდგომარეობენ მარცვალთა და ასოთაგან“ — სოლომონის დამოუკიდებელი აზრის ნაყოფია და ყველა წინამავალ გრამატიკოსთაგან განსხვავებული.

თავისებურად გამოხატავს სოლომონი „ასოს“-აც — „არს გამოხატვა აღმოოხვრის, რომელიც შეარდგენს ლექსსა“ [1].

ასოების ხმოვნებად, ორხმოვნებად და უხმოებად დაყოფა და მათი განსაზღვრა თითქმის ემთხვევა ი. ქართველიშვილისას:

ი. ქართველიშვილი	ს. დოდაშვილი
„უხმო ასონი არიან იგინი, რომელნიცა ვერ შემძლებელ არიან გამოთქმად ხმათა უბნობათა შინა თვით თავით თვისით თვინიერ შეერთებისა ხმოვანთა ასოთა თანა“[2].	„უხმო ასო არის იგი, რომელიც ვერ შემძლებელ არს გამოთქმად ხმათა, თვითნიერ შეერთებისა ხმოვანთა ასოთა თანა“ (გვ. 99).

სოლომონის განსაზღვრა მოკლეცაა და უფრო გასაგებიც. სამაგიეროდ, მარცვლის განსაზღვრისას იოანესგან გადაუხვია და აზრიც გააბუნდოვნა.

ი. ქართველიშვილი	ს. დოდაშვილი
„მარცვალნი არიან გამოთქმასა შინა ერთისა განხმითა ბაგეთათა წარმოებულნი ხმანი ანუ მარტივნი ანუ შედგმულნი ხმოვნითა და უხმოთა ასოთაგან“ (იქვე).	„მარცვალი არის შეერთება უხმოთ ასოთა ხმოვნისა თანა... თითოეულისა მარცვალისა შინა უნდა იყოს ხმოვანი ასო“ (იქვე).

[1] ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1960 წ., გვ. 99. შემდგომში ყველგან ამ გამოცემაზე მივუთითებთ.

[2] ი. ქართველიშვილი, ქართული ღრამმატიკა, II რედაქ., ხელნაწერი, ნ—2585, გვ. 3.

სოლომონისეულ განსაზღვრაში მარცვალი და უხმო ასო ემთხვევა ერთმანეთს, რადგან უხმოსთვისაც აუცილებელი იყო ხმოვანთან შეერთება და იგი აუცილებელია მარცვლის შედგენისთვისაც.

სრულიად ახლებური და ყველა გრამატიკოსთაგან განსხვავებულია ლექსის განმარტება დოდაშვილთან: „ლექსი არს ხმაი, რომლითაც გამოითქმის ვითარიმე შემეცნება ანუ გრძნობელობა“ (გვ. 99).

„შ ე მ ე ც ნ ე ბ ა“, ალბათ, ც ნ ე ბ ი ს ბადალია და ეს სიახლეს იმდენად ვერ ქმნის,, მაგრამ „გრძნობელობის“ განსაზღვრაში შემოტანა სრულიად ახალია და უჩვეულოც.

შემდეგი პარაგრაფები დოდაშვილთან ლექსის თვისებებს (სახე, ნაკვეთი) ეთმობა და კვლავ ოდნავი ცვლილებით იმეორებს ქართველიშვილს. ამ უკანასკნელთან ახლოა იგი ლექსის მეტყველების ნაწილებად დაჯგუფებასა და მისი ფორმის განსაზღვრაშიც.

ი. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

„ყოველნი ლექსნი ქართულისა ენისანი განიყოფიიან რვათა ზედა სახეთა ანუ ნაწილთა სიტყვისათა, რომელნიც არიან: 1. სახელი, 2. ნაცვალსახელი, 3. ზმნა, 4. მიმღეობა, 5. თანდებული, 6. ზმნიზედა, 7. კავშირი, 8. შორისდებული.

ამათგანნი პირველნი ოთხნი, ესე იგი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა და მიმღეობა იწოდებიან შეცვალებითად, ვინაითგან შეცვლიან იგინი დაბოლოებათა თვისთა, ხოლო მეორენი ოთხნი; ესე იგი თანდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული იწოდებიან არაშეცვალებითად, ამისათვის რომელ არ შეცვლიან იგინი დაბოლოებათა თვისთა“ (II, გვ. 5).

ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი

„ყოველნი ლექსნი ქართულისა ენისანი მნიშვნელობისადმი თვისისა განიყოფიან რვათა ზედა სახეთა ანუ ნაწილთა სიტყვისათა, რომელნიც არიან: 1. სახელი, 2. ნაცვალსახელი, 3. ზმნა, 4. მიმღეობა; 5. თანდებული, 6. ზმნიზედა, 7. კავშირი, 8. შორისდებული.

ამათგანნი პირველნი ოთხნი ნაწილნი სიტყვისანი იწოდებიან შეცვალებითად, ვინაითგან შესცვლიან დაბოლოებათა თვისთა, ხოლო შემდგომნი ოთხნი იწოდებიან შეუცვალებითად, ამისათვინ რომელ არ შესცვლიან იგინი დაბოლოებათა თვისთა“ (გვ. 106).

ლექსთწარმოების (ეტიმოლოგიის) მნიშვნელობაც ერთნაირად ესმით ავტორებს:

სახელის განსაზღვრაში დამოუკიდებელი ჩანს სოლომონი, თუმცა ის რაც იოანემ განსაზღვრაში შეიტანა — რომ სახელი გადმოგვცემს

ან სულიერს ან უსულოს — სოლომონმა ცალკე პარაგრაფად გამოჰყო და მათ დაუმატა „გონებითნი“: (ე. ი. აბსტრაქტულნი — ა. ფ.). „რომელთაცა ხილვა არ ძარლგვიძს, არამედ გამოვხატავთ მხოლოდ გონებასა შინა ჩვენსა, მაგ.: სული, სიტკბოება, სურვილი...“ (გვ. 101).

სოლომონმა რატომღაც არც კითხვები (ვინ? და რა?) შეიტანა სახელის განსაზღვრაში. იოანესთან კი გვქონდა.

სახელის ჯგუფების (არსებითი, ზედშესრული, რიცხვითი) გამოყოფასა და პირველის ორ ქვეჯგუფებად დაყოფაშიც იოანეს მისდევს სოლომონი, მაგრამ რიცხვითების დაყოფა მასთან ორიგინალურადაა. გამოყოფილია ოთხი ჯგუფი: 1. რაოდენობითი, 2. წესებითი, 3. დანაწევრებითი („მეოთხედი“, „ნახევარი“) 4. შემკრებლობითი („წყვილი“, „უღელი“).

სახელთა თვისებებიც (ნათესავი, რიცხვი, ბრუნვა, კანკლედობა) სოლომონთან ტრადიციულია, მაგრამ თუ ნათესავი (ე. ი. სქესი) სხვა ავტორებთან გარკვეული შენიშვნის შემდეგ შემოჰქონდათ ქართულში, სოლომონმა იგი ყოველგვარი შენიშვნის გარეშე დააწესა, რითაც, რა თქმა უნდა, ნაბიჯი გადადგა უკან. განსაკუთრებით გასაკვირია ეს სოლომონისგან, რომელმაც რუსული განათლება მიიღო და შესანიშნავად უნდა სცოდნოდა ნამდვილი სქესის ბუნება.

ბრუნვათა განსაზღვრა (ახლა სოლომონმა ყოველი ბრუნვის კითხვაც მოგვცა), ბრუნება ანუ კანკლედობა (ოთხ ჯგუფად), ბრუნვის ნიშნები და ბრუნებასთან დაკავშირებული ყოველი შენიშვნა კვლავ ოდნავი რედაქციული ცვლილებით იოანესგან აიღო, მოვიტანთ ერთ მაგალითს:

ი. ქართველიშვილი

„სათვითონი სახელნი დაბოლოებულნი მათვე ასოთა ზედა არა ისპობენ თვისთა დამაბოლოებელთა ასოთა არცა ერთსა შინა ბრუნვასა, რიცხვთასა, მაგ.: იერემია, იერემიასი, ალექსანდრე, ალექსანდრესი და სხვანი.

სხოლიო: კანონსა ამისგან გამოირიცხვიან სახელნი სათვითონი აღმნიშვნელნი ნივთთანი და-

ს. დოდაშვილი

„სათვითონი სახელნი აღმნიშვნელნი სულიერთა საგანთანი დაბოლოებულნი მათვე ასოთა ზედა, არა ისპობენ დამაბოლოებელთა ასოთა არც ერთსა შინა ბრუნვასა ორთავე რიცხვთასა, მაგ.: იერემია, იერემიასი; ალექსანდრე, ალექსანდრესი და სხვანი. ხოლო აღმნიშვნელნი უსუ-

ბოლოებულნი მათვე ასოთა ზედა, ვინაითგან არიან მომსპობნი კიდურთა ასოთანი და. იბრუნეიან მსგავსად საზოგადოთა სახელთა, მაგ.: მცხეთა, მცხეთის და სხვა“ [1].

ლოთანი ისპობენ კიდურთა ასოთა და იბრუნეიან მსგავსად საზოგადოთა სახელთა, მაგ.: მცხეთა, მცხეთის“ (გვ. 106).

სოლომონმა რატომღაც გრამატიკიდან საერთოდ ამოიღო სიტყვათწარმოებითი ჯგუფები და ამდენად მათი მაწარმოებლებიც, რითაც, რასაკვირველია, საკმაოდ დააკნინა თავისი გრამატიკის ის ნაწილი, რომელსაც ეტიმოლოგია ანუ სიტყვათწარმოება ერქვა და რომელიც თვით მისივე განსაზღვრით უპირველეს შეისწავლიდა „წარმოებათა... ლექსთა“.

ნაცვალსახელის ექვსი ჯგუფი მოგვცა სოლომონმა: 1. პ ი რ ი თ ი, 2. ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი, 3. მ ო გ ე ბ ი თ ი, 4. კ ვ ლ ა ვ-მ ო ღ ე ბ ი თ ნ ი, 5. კ ი თ ხ ვ ი თ ი, 6. გ ა ნ უ ს აზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი თ ნ ი.

ექვსივე ეს ჯგუფი იცის ქართველიშვილმაც. მაგრამ დოდაშვილს მათში შეაქვს ზოგი შესწორება: უპირველესად „პ ა რ ს ე ბ ი თ ს“ ცვლის ტერმინით „პ ი რ ი თ ი“, რაც საბოლოოდ დამკვიდრდა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. მეორეც ჩვენებითი ნაცვალსახელის განსაზღვრას უმატებს სიტყვას „შორს“, რის შემდეგაც განსაზღვრა აზრობლივად დახვეწილ სახეს ღებულობს: „ჩვენებითი ნაცვალსახელნი არიან იგინი, რომელნიცა აჩვენებენ საგანსა მახლობელ ან შორს მდებარესა“; იოანესთან კი ჩვენებითი ნაცვალსახელი აჩვენებდა საგანს რატომღაც მხოლოდ „...მახლობელ მდებარესა ან მყოფსა“.

დოდაშვილმა მოკლედ გადმოგვცა ნაცვალსახელთა ბრუნება; აბრუნა შემდეგი ნაცვალსახელები: მე, ჩვენ, შენ, თქვენ; იგი, იგინი; ეგე, ეგენი; ესე, ესენი; ისი, ისინი; ჩემი, ჩემნი; ჩვენი, ჩვენნი; ვინ, რა, რომელი, რომელიმე.

ერთი თავისებური სქოლიოც დაურთო მან ნაცვალსახელთა ზოგად დახასიათებას: „ნაცვალსახელსა ამას „თვით“ არა აქვს ბრუნვა და რიცხვი და ამის გამო ლექსი ესე უმჯობეს არს მივუწეროთ ზმნიზედებს“ (გვ. 112).

თუ წმინდა ფორმიდან ამოვედით, ნაცვალსახელი „თვით“ მართლაც. უფორმოა და დოდაშვილის შენიშვნაც მართებულია, მაგრამ, ამის გამო, ზმნიზედებში მისი გადარიცხვა, რა თქმა უნდა. სწორი არ იქნებოდა. ისევე, როგორც ამავე ნიშნით, არ შეიძლება ზმნიზედებში

[1] ი. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ნაბეჭდი გრამატიკა, გვ. 25.

გადავრიცხოთ ნაცვალსახელი „მე“, რომელიც აგრეთვე არ იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით.

შემდეგი თავი (მესამე) ეთმობა ზმნას. გადმოცემულია მისი განსაზღვრა („ზმნა არის ნაწილი სიტყვისა, რომელიცა აჩვენებს მოქმედებასა, ანუ მდგომარეობასა საგნისა, მაგ.: ვაქებ, ვჰსწერ, ვიყვარები და სხვ.), დანაწილება (ოთხად: არსებითად, მოქმედებითად, ვნებითად და უმეშვეობითად) და თითოეულის განმარტება-დახასიათება.

არსებითი ზმნა გადმოგვცემს ყოფას — „ვარ“, „ვმყოფობ“;

მოქმედებითი — აღნიშნავს „მოქმედებასა სხვასა საგანსა ზედა გადასრულსა — „მოწაფე კითხულობს წიგნს“, „მზე ატყობს ქვეყანასა“. „ვნებითი — აღნიშნავს „ვნებასა საგნისასა სხვისა სხვისა საგნისაგან წარმოებულსა — „ბოროტი დაისჯების“, „გამოხსნილ ვარ“. უმეშვეობითი „აჩვენებს ანუ მოქმედებასა და არა სადა ვნებასა“ და არა მოქმედებისაგან წარმოებულსა (ვჰსტირ, ვიცინი და სხვა). ამისა გამო უმეშვეობითი ზმნა იქმნების ხატშემოქმედებითი და ხატვნებითი. ხატშემოქმედებითი უმეშვეობითი ზმნა აღნიშნავს მოქმედებასა ანუ მოქმედებითსა მდგომარეობასა საგნისასა და არა აჩვენებს ვნებასა სხვისა საგნისასა. მაგ.: ვჰგალობ, ვჰხმობ, ვილოცავ და სხვა. ხატვნებითი უმეშვეობითი ზმნა აღნიშნავს ვნებასა ანუ ვნებითსა მდგომარეობასა საგნისასა, გარნა არა იწარმოების იგი სხვისა მეორისა საგნისაგან, მაგ.: ვჰსწვები, ვშვრები და სხვ. (გვ. 113).

დოდაშვილი აქაც ძირითადად ქართველიშვილს მისდევს, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქართველიშვილი ჯერ ზმნათა „კანონიერად და უკანონოდ“ დაყოფას იძლევა, რაც დოდაშვილს ზმნის განმარტების ბოლოში გადაუტანია (განსაზღვრა კი ზუსტად გაუმეორებია), ხოლო ზმნათა „მნიშვნელობისამებრ“ დაყოფა მომდევნო აბზაცში მოუცია.

განსხვავება არის ზოგ ტერმინშიც, მაგ.: დოდაშვილმა ქართველიშვილის „საშუალოს“ ისევ „უმეშვეობითი“ ამჯობინა.

შვიდი კუთვნილება აქვს ზმნასო, — წერს დოდაშვილი. ესენია: ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, დრო, სქესი და უღვლილება.

ყველაფერი ასეევა ქართველიშვილთანაც, ოღონდ აქ ზოგი განსაზღვრა ვრცელია, მაგრამ ზუსტია და ნათელი:

---

[1] პირველად აქ გამოჩნდება ტერმინი „მოქმედებითი“, შემოქმედებითის მაგიერ.

ს. დოდაშვილმა სცადა ზმნის უღლებაშიც შეეტანა ცვლილება, რაც მხოლოდ ფორმალურ მხარეს შეეხო:

ქართველიშვილი

„უღლვილებანი ზმნისანი არიან ორნი: ზმნანი პირველისა უღლვილებისანი არიან, იგინი, რომელნიცა აწმყოსა შინა დროსა პირველსა შინა პირსა განპიროვნდებიან ასოითა ამით ვ, ხოლო მეორესა შინა პირსა. შემდგომთა მისთა ასოითა, ე. ი. ანუ ა, ანუ ე, ანუ ი, ანუ უ, და ანუ ჰ და მესამესა შინა პირსა ასოითა ამით ს. მაგ.: ვაქებ, აქებ, აქებს; ვესვრი, ესვრი, ესვრის; ვიქმ, იქმ, იქმს, ვუმბობ, უმბობ, უმბობს. ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს და სხვანი (II, გვ. 52).

ს. დოდაშვილი

„უღლვილებანი ზმნისანი არიან ორნი:

ა. ზმნანი პირველისა უღლვილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოსა შინა დროსა პირველსა პირსა შინა გაპიროვნდებიან ასოისა ამით ვ, ხოლო მეორესა შინა პირსა შემდგომთა მისთა ასოითა ანუ ა, ანუ ე, ანუ ი, ანუ უ და ანუ ჰ და მესამესა შინა პირსა ბოლოს ლექსისა მოეკიდების ესე ს. ამის გამო **ზმნანი პირველისა უღლვილებისანი იქმნებიან ხუთ ხატად.** მაგ.: ვაქებ, აქებ, აქებს; ვესვრი, ესვრი, ესვრის; ვიქმ, იქმ, იქმს; ვუბნობ, უბნობ, უბნობს; ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს" (გვ. 115).

ხაზგასმული ადგილი დოდაშვილის ჩამატებულია. იგი, რა თქმა უნდა, საქმის ვითარებას სრულიადაც არ ცვლის. ვფიქრობთ, მასში ანტონის მიერ უღლების ხატებად დაყოფის ანარეკლი მოჩანს.

მეორე უღლების განსაზღვრაც და ილუსტრირებაც სიტყვა-სიტყვით იმეორებს ქართველიშვილს.

უღლების პარადიგმები ორივე ავტორთან „ვარ" ზმნით იწყება და ავტორები ერთმანეთს მიჰყვებიან საზღვრებითი სქესის მყობადამდე, რომელიც დოდაშვილს რატომღაც გამოუტოვებია (თუ გამორჩენია).

მერე მოდის „ვადიდებ" ზმნის უღლება და აქაც დამთხვევა სრულია ორ — საზღვრებით და ბრძანებით — სქესში. საწადი დოდაშვილსაც გამოუტოვებია, „ვიპოტეტიკის" პარადიგმები კი მოუტანია.

შემდგომში განსხვავება უფრო დიდია: ქართველიშვილი აუღლებს „ვიდიდები" ზმნას, ე. ი. მოქმედებითის გვერდით მოცემულია ვნებითიც და მას მოჰყვება სხმით-გარდასვლითი „ვწერ" ზმნისა („ვაწერინებ") „ვიწერინები" ვნებითითურთ. ამას მოსდევს „მიყვარს" ზმნის უღ-

ლება და იწყება თავი: **„შეცვალებისათვის დაბოლოებათა ზმნათა ორთავ უღლვილებათათვის სხვათა და სხვათა დროთა და სქესთა“.**

დოდაშვილთან კი „ვადიდებ“ ზმნის უღლებას მისივე ვნებითი კი არ მოსდევს, არამედ „ვჰსწერ“ და „ვიკვრი“ ზმნების უღლება, ამას მოჰყვება „ვაწერინებ“ და „ვიწერინები“ ზმნები და იწყება მეორე უღლება „მიყვარს“ ზმნის ფორმათა ჩვენებით; ამას მოსდევს „ვალ“ ზმნის უღლების პარადიგმები და მთავრდება კანონიერი ზმნები.

უკანონო ზმნებად აღებულია „მაქებ“ და ნაუღლებია ფორმები: „მაქებ“, „გაქებ“ სამსავე სქესში.

მართალია, ამ გზით დოდაშვილმა მოახერხა ზოგი ზედმეტობისათვის თავი დაეღწია, მაგრამ ამ შემოკლებებმა და გამოტოვებებმა ის გამოიწვია, რომ არაფერი ითქვა ზმნების მაპიროვნებელ ნიშნებზე, რაც ქართველიშვილთან ცალკე გექონდა.

ერთი სიტყვით, შემოკლება, აშკარად, საქმის საზიანოდ მოხდა.

ზმნის უღლების დასრულების შემდეგ დოდაშვილმა მოგვცა, როგორც ჩანს ანტონის უშუალო გავლენით, თავი „სახელ ზმნისათვის“. მაგრამ ანტონისგან განსხვავებით, მას მეტად მცირე ადგილი დაუთმო: „სახელზმნა არს ლექსი ზმნისაგან წარმოებული, რომელიცა აჩვენებს თვით თავით თვისით მოქმედებასა ანუ მოძრაობასა საგნისასა: ქება, წერა, წარსვლა ანუ განვლა, აშენება და სხვა.

სახელზმნა შეიწყნარებს ყოველსა თვისებასა არსებითის სახელისასა და იბრუნვის დაბოლოებისამებრ მათისა, ვითარცა სახელნი. ესენი არ არიან საკუთარნი სიტყვისანი, არამედ შეადგენენ სახელთა არსებითთა“ (გვ. 135—136).

აი, ყველაფერი, რაც სახელზმნაზეა ნათქვამი. აშკარაა ეს მეტად ცოტაა და თანაც ზოგ რამეში არასწორიც, მაგ.: სოლომონმა გამოტოვა ანტონის მითითება, რომ სახელზმნა შეიწყნარებს სახელის ყველა მდევარს გარდა სქესისა. ანტონმა მიუთითა იმაზეც, რომ სახელზმნას აქვს ზმნური ნიშნებიც, ამის გამო „სამართლიანად იზედწოდა ჩვენგან სახელზმნადო“. სოლომონი სახელზმნის არც ამ ფუნქციებზე ამბობს რამეს.

მიმღეობის განსაზღვრაც და ფუნქციებიც სოლომონს ქართველიშვილისგან აქვს აღებული, თანდებულის განსაზღვრაში კი იგი ორიგინალური ჩანს:

განსაზღვრის საილუსტრაციო მაგალითები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ დოდაშვილი ცდილობს თანდებულიანი სახელის ფუნქციაზედაც. ილაპარაკოს. ამასვე ამტკიცებს განსაზღვრის ის ნაწილი. სადაც ლაპარაკია საგანთა თვისებისა და მოქმედების მიმართებებზე.

თანდებულების მიერ „მოთხოვნილ" ბრუნვებზე ლაპარაკია გრამატიკის მეორე ნაწილში.

ზმნიზედის ჯგუფებიც განსაზღვრებაცა და სიტყვათა ჯგუფებში განაწილებაც დოდაშვილს მთლიანად ქართველიშვილისგან აუღია, რაც შეეხება კავშირებს, მასში მხოლოდ ზოგიერთი რედაქციულ-ტერმინოლოგიური ცვლილებაა შეტანილი.

ქართველიშვილი	ს. დოდაშვილი
1. შეერთებითნი ანუ წმ̇ხვნითნი;	1. შეერთებითნი
2. განმყოფელობითნი ანუ განწვალებითნი	2. განყოფითნი
3. უკეთუობითნი	3. უკეთუობითნი
4. მიშვებითნი ანუ ნებართვითნი	4. წინააღმდეგობითნი
5. გარემიმღეობითნი ანუ დამყენებლობითნი	5. ნებართვითნი
6. მიზეზობითნი	6. მიზეზობითნი
7. კიდურმდგმოებითნი	7. კიდურმდგმოებითნი
8. განმარტებითნი	8. განმარტებითნი
9. მეტნობითნი	9. მეტნობითნი

შორისდებულთა ჯგუფებიცა და მათი განსაზღვრა-ილუსტრირებაც მთლიანად ქართველიშვილისგან მოდის.

ამით მთავრდება პირველი ნაწილი დოდაშვილის გრამატიკისა.

მეორე ნაწილი — ლექსთ თხზულებისათვის — ძირითადად წინადადების წევრთა „თანხმობისა და შეერთების კანონებს" ეთმობა და აქაც დოდაშვილისათვის მთავარი წყარო ი. ქართველიშვილია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მეტწილად დოდაშვილი ლაკონიურობასთან ერთად აზრის უფრო ნათლად გადმოცემასაც აღწევს. ასე მაგ.: ქართველიშვილის აზრით, „თანხმობასა შინა ორთა ანუ უმეტესთა სახელთასა ბრუნვითა და რიცხვითა სათანადო არს ცნობად, რომელ უკეთუ თანხმობა იყოს დაწყებითითა ანუ მოქმედებითითა ბრუნვითა, მაშინ ერთი სახელი ჯერ არს დადებად ბრუნვითა მით, ხოლო სხვანი ნათესაობითითა, მაგალითებრ: სიბრძნისა, სიმხნისა და თანხმობისაგან აღჰყვავდების სამფლობელო..." (II, გვ. 112).

სოლომონი ამავე აზრს ასეთი რედაქციით გადმოგვცემს „ოდესცა

თანხმობასა შინა რაოდენთამე სახელთასა ბრუნვითა და რიცხვითა მოუვიდეს თანდებული. მაშინ ერთსა მათგანსა მოეკიდების იგი, მაგ.: სიბრძნისა, სიმხნისა და თანხმობისაგან აღყვავდების სამფლობელო“ (გვ. 140).

აშკარაა, დოდაშვილმა გაცილებით მოკლედ, მეცნიერული სიზუსტითა და გასაგებად გადმოსცა სათქმელი.

სამაგიეროდ დოდაშვილს თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოაქვს ქართველიშვილის გრამატიკიდან თავი „შეთხზვისათვის ზმნისა საბუღისა თანა“, რომელსაც იოანესთან ეწოდება: „შეთხზვისათვის ზმნისა სახელთათანა და ბრუნვის მიღებისათვის მისისა“.

ოდნავი ცვლილებით იმეორებს ქართველიშვილს იგი მიმღეობისა და თანდებულის წინადადებაში გამოყენების განხილვისასაც, თუმცა ერთი განსხვავება მაინც იპყრობს ყურადღებას: მდე თანდებულის განხილვისას დოდაშვილმა აზრის საზიანოდ გადაუხვია ქართველიშვილისგან:

ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

„თანდებული მდე მოეკიდების ბრუნვასა მიცემითსა დაბრუნებულსა ად ანუ დ ნიშნითა და იქმნების წინარე თჳისსა ანუ ძალითად და ანუ მოქმედებითად სახელი, რაიმე დაწყებითად ბრუნვილ, მაგალითებრ: მოელეს მოციქულთა სოფელი კიდით კიდემდე; განითქვა ქება მათი აღმოსაველეთით-დასავლეთადმდე“ (II, გვ. 127).

ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი

„თანდებული მდე მოეკიდების ნათესაობის ბრუნვის (!) ნაცვლად ისა, ად ანუ დ ნიშნითა. მაგ.: კიდით კიდემდე. აღმოსაველეთითაღმოსაველეთადმდე“ (გვ. 145).

აქ შეიძლებოდა „ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი“ მიცემითის მაგიერ და „ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი თ“ ნაცვლად „დ ა ს ა ვ ლ ე თ ი თ“-ისა, „ლაფსუს კალამად“ ჩაგვეთვალა, მაგრამ განსაზღვრა სხვა მხრივაც არაა ფასეული — შემოკლებებისადმი ლტოლვა ამჯერადაც აზრის საზიანოდ წარიმართა.

ამის გვერდით დოდაშვილთან გაცილებით უკეთაა ზმნიზედათა წინადადებაში გამოყენების საკითხები ფორმულირებული:

ი. ქართველიშვილი

„ზმნიზედანი უხშირეს მოეკიდებიან ზმნათა პიროვანთა და ცხადყოფენ ვითარებასა მოქმედებისა ანუ ვნებისა, მაგ.: ცუდად დაჰშვრა იგი ჰსწავლასა შინა, ვინათგან არა მოქმედებდა სათანადოდ ღმრთისად და სხვანი. ოდესმე მოეკიდებიან ზმნათა განუსაზღვრებელისა სქესისასა მაგალითებრ: **ურმა თანამდებ არს ფრიად გულისმოდგინებად ჰსწავლათადმი** და სხვანი: ოდესმე მოეკიდებიან მიმღეობათა, მაგ.: **უხშირესად აღმასრულებელი კეთილმოქმედებისა სათნო ეყოფვის ღმერთსა**“ და სხვა.

ოდესმე მოეკიდებიან სახელზმნათა მაგალითებრ: **უხვად მიცემა ჯილდოისა ხელმწიფისაგან საქებელ არს და სხვანი**“ (II, გვ. 128).

ს. დოდაშვილი

„ზმნიზედანი იხმარებიან სიტყვათა შინა ზმნისა თანა ესრეთ ვითარცა ზედშესრულნი არსებითისა სახელისა თანა და აღნიშნავენ ვითარებას მოქმედებისა და ვნებისასა, მაგ.: **ხმოვნად მეტყველებს მასწავლებელი ჰეშმარიტების სიბრძნისასა**: ოდესმე მოეკიდებიან მიმღეობათა, მაგ.: **უხშირესად აღმასრულებელი კეთილმოქმედებისა სათნო ეყოფვის ღმერთსა** და სხვანი.

ოდესმე დაიდებიან სახელზმნისა თანა **უხვად მიცემა ჯილდოისა ხელმწიფისაგან საქებელ არს**“ (გვ. 146).

კავშირისა და შორისდებულის წინადადებაში გამოყენების საკითხშიც დოდაშვილი ქართველიშვილს მისდევს.

ამით მთავრდება წინადადების წევრთა ურთიერთშეწყობისა და წინადადებაში მათი გამოყენების კანონთა განხილვა დოდაშვილთან.

ამის შემდეგ დოდაშვილს განსახილველი მასალის თანამიმდევრობა შეუცვლია: ჯერ განუხილავს მართლწერის საკითხები, შემდეგ კი — „საზოგადოთა კანონთათვის“.

პირველ საკითხში, რომელშიაც ერთიანდება: „1. მართლწერა, 2. კანონიერისა ხმარებისათვის ასოთა, 3. ხმარებისათვის სტრიქონთა შინათა ნიშანთა საწერელთა შინა, 4. ხმარებისათვის სტრიქონთა ზენათა ნიშანთასა“ — დოდაშვილი სიტყვა-სიტყვით მისდევს ქართველიშვილს და ამიტომ აქ ამაზე აღარ შევჩერდებით.

რაც შეეხება თავს „საზოგადოთა კანონთათვის“, რომლის ბადა-

ლად ქართველიშვილთან გვქონდა „საზოგადოთა კანონთათვის ლექსთთხზვისადმი მისაწერი“, იგი მხოლოდ ამ ავტორებთან გვაქვს, თანაც ურთიერთისგან განხსვავებულად და მასზე უფრო დაწვრილებით უნდა ვისაუბროთ.

რადგან ასეთი თავი პირველად ი. ქართველიშვილთან გამოჩნდა, მოსალოდნელი იყო, დოდაშვილი მასაც უცვლელად გადაიტანდა თავის გრამატიკაში, მაგრამ ასე არ მოხდა.

იოანე და სოლომონი ზოგადად ერთმანეთთან ახლო არიან, მაგრამ ზოგი კერძო საკითხის გაშუქებისას ერთმანეთს მაინც შორდებიან. ორივე ავტორთან მოცემულ ამ თავისებური თავის შესწავლამ ნათელი გახადა მათი ერთი წყაროდან წარმომავლობა. ეს წყარო გახლავთ რიტორიკის ყოველ სახელმძღვანელოში არსებული განყოფილება „პ ე რ ი ო დ თ ა შ ე ს ა ხ ე ბ“, რომელიც ამ დროისათვის უკვე გრამატიკაში იყო გადმოსული.

ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა მაშინდელი რუსული გრამატიკები, რომელთა უმეტესობა „პ ე რ ი ო დ თ ა შ ე ს ა ხ ე ბ“ მსჯელობას აუცილებლად შეიცავს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია დასმულიყო კითხვა: საიდან აიღეს ჩვენმა ავტორებმა პერიოდების შესახებ მოცემული მსჯელობა, რუსული გრამატიკული ლიტერატურიდან თუ ქართული რიტორიკულიდან? ამ კითხვაზე პასუხი ძნელი გასაცემია. ერთი კი ცხადია, რაშიაც ავტორები ერთიმეორეს ჰგვანან (ასეთი ადგილები კი გაცილებით ბევრია ამ თავში), საერთო წყაროდან (რიტორიკიდან) მომდინარეა, განსხვავება კი, ალბათ, იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა ავტორების შრომებიდან უსარგებლიათ.

ქართველიშვილის მსგავსად, დოდაშვილთანაც პირველსავე პარაგრაფში ლაპარაკია სჯაზე საერთოდ და რომ „სჯა, ლექსთა მიერ გამოთქმული, იწოდების წინადადებად“.

წინადადებას აქვს სამი ნაწილი: ქვემდებარე, შესმენილი და კავშირი. ქვემდებარე არს საგანი, რომლისთვისაც მოითხრობის წინადადებასა შინა; შესმენილი არს თვისება, რომელიც მიეწერება ქვემდებარეს, კავშირი კი აერთებს შესმენილსა და ქვემდებარეს.

„წინადადება განსჯისადმი ქვემდებარისა და შესმენილისა განიყოფების მარტივად და რთულად“ (გვ. 156).

მარტივი წინადადება შედგება ერთი ქვემდებარისა და შესმენილისგან, რთული — „მრავალი ქვემდებარისა და შესმენილისგან“.

რთულში შემავალ მარტივ წინადადებებში ერთი იქნება „უმთავრესი, მეორე ზედსართაეთი ანუ დამეტებული“.

მოთავარი და დამოკიდებული წინადადებების განსაზღვრაც დოდა-შვილთან ტრადიციულია, რაც, როგორც ადრეც ვნახეთ, იოანესთან არა გვქონდა.

იოანემ მარტივი და რთული წინადადება მხოლოდ პერიოდის შიგნით იცოდა.

იქვე ეხებოდა იოანე ე. წ. „შემოხმულ“ წინადადებას, რაც დოდა-შვილთან არა გვაქვს.

სამაგიეროდ დოდაშვილი იძლევა ყველა პერიოდის იმ სახეს, რომელიც რუსული გრამატიკული ლიტერატურის მსგავსად, დამოკიდებული წინადადებებისა და მათი შემაერთებელი კავშირების წყალობით დგინდებოდა:

1. მ ი ზ ე ზ ო ბ ი თ ი „...ზედდართული წინადადება იპყრობს თავის შორის მიზეზსა დამამტკიცებელსა უმთავრესისა წინადადებისასა“. მისი კავშირებია: ვინაითგან, რადგან, ამისათვის... კრებასა მეფესა ღილდიისასა. მფლობელსა უთვალავისა საუნჯისასა არა ძალედა ბედნიერებად წოდება, ვინაითგან კაცობრივი ბედნიერება არა მდგომარეობს კეთილთა შინა დროებითთა და გახრწნადთა“ (გვ. 157).

2. „შ ე თ ა ნ ა ს წ ო რ ე ბ ი თ ი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა ზედდართვით წინადადება მიიღებს შემსგავსებასა ანუ შეთანასწორებასა და შეერთდების უმთავრესისთანა კავშირითა ამათ მიერ: ვითარ, ეგეთ, ვითართა ხატითა. ვითარცა მზე გაზაფხულს განაცხოველებს ქვეყანასა, მიანიჭებს სითბოსა და ნაყოფიერებასა, აგრეთვე ბრძენი მოძღვარი განანათლებს გონებასა და განავითარებს გულსა თვისთა აღსაზრდელთასა“ (იქვე).

ამათ მსგავსადაა დახასიათებული სხვა პერიოდებიც: წინააღმდეგობითი, ნებართვითი, პირობითი, აღუვანებითი, შეერთებითი, განმარტებით, განყოფითი, შედგმობითი და ხარისხობითი.

დოდაშვილი აქვე შენიშნავს, რომ პერიოდით სრულდება გრამატიკა, ხოლო „სხვანი საშუალებანი და კანონნი განკარგულებისანი და აღრჩევანი ლექსთანი გამოღებისათვის აზრთა ჩვენთასა ეკუთვნის რიტორიკასა“ (გვ. 159).

ამით მთავრდება ს. დოდაშვილის გრამატიკა. როგორც ნათქვამიდან აშკარაა, იგი წარმოადგენს ქართველიშვილის გრამატიკული ნააზრევის სრულად ათვისებისა და აქა-იქ უმნიშვნელოდ გადაკეთების თავისებურ ცდას.

2. პლატონ იოსელიანი

ბიოგრაფიული ცნობები; ნაბეჭდი და ხელნაწერი გრამატიკები; ნაბეჭდი გრამატიკის აგებულება.

პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი დაიბადა 1809 წლის 18(30) ნოემბერს, თბილისში. მისი მამა — ქართული მწერლობის მოყვარული და საკმაოდ განათლებული პიროვნება — ერეკლე მეორის ოჯახთან **დაახლოებული და გიორგი XII-ის კარის მღვდელი იყო.**

მამის ასეთი მდგომარეობის გამო, პლატონი ძალიან ახლოს ჰყო ბაგრატიონთა სამეფო წრესთან, განსაკუთრებით შინაურულად გრძნობდა იგი თავს გიორგი მეცამეტის ვაჟიშვილებს შორის პეტერბურგში ყოფნისას. პირადად იცნობდა იოანეს, უახლოესი მეგობრობა ჰქონდა თეიმურაზსა და მის მეუღლესთან, ხოლო მიხეილის ოჯახში ცხოვრობდა მთელი ერთი წლის განმავლობაში.

1829 წელს პლატონ იოსელიანს წარჩინებით დაუსრულებია თბილისის სასულიერო სემინარია და იმ წელსვე შესულა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. საქართველოში იგი 1835 წელს დაბრუნებულა და განუწესებიათ თბილისის სემინარიაში ფიზიკისა და ფილოსოფიის მასწავლებლად.

როგორც ვიცით, პეტერბურგში ყოფნისას იგი ბატონიშვილების წრეში ტრიალებდა და ბევრი რამ მოისმინა საქართველოს უკანასკნელი მეფისა და სამეფოს დასასრულის შესახებ, რამაც ასახვა ჰპოვა მის ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის თხზულებაში — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“.

პ. იოსელიანის თბილისში დაბრუნება დაემთხვა აკად. ანდრია მიხეილის ძე შეგრენის პირველ ჩამოსვლას ჩვენს ქალაქში. პლატონსა და შეგრენს შორის ახლო მეგობრული ურთიერთობა დამყარებულა, რასაც კარგად მოწმობს ის წერილები, რომლებიც იოსელიანს შეგრენისათვის გაუგზავნია[1].

შეგრენს იოსელიანისათვის შთაუგონებია საქართველოს წარსულის შესწავლის აუცილებლობა, დაუვალებია ლიტერატურის ისტორიის შედგენა, ნუმიზმატიკური მასალების დაგროვება და სხვა ხასიათის ისტორიულ ეთნოგრაფიული ძიებანი.

---

[1] ლენინგრადში არსებული მიკროფილმებიდან (დედანი ჰელსინკში იმყოფება) ჩვენ გადმოვიღეთ ამ წერილების პირი და მომზადებული გვაქვს გამოსაცემად. შემდგომში, როცა პლატონისა და შეგრენის მიმოწერაზე იქნება საუბარი, იგულისხმება ეს წერილები.

ამ შიმართულებით ძოღვაწეობის პირველი შედეგი იყო შავთელისა და ჩახრუხაძის პოემების დაბეჭდვა, რომელიც პ. იოსელიანმა 1838 წელს განახორციელა. მას მოჰყვა 1840 წელს გამოქვეყნებული გრამატიკა[1], იმავე და მომდევნო წლებში „საქართველოს კალენდარი", 1843 წელს — „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია" და სხვანი.

აქედან მოკიდებული, სიკვდილის უკანასკნელ დღემდე, პლატონ იოსელიანს კალამი ხელიდან არ გაუგდია და მეტწილად რუსულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდა მრავალი სტატია საქართველოს წარსულის საკითხებზე.

სემინარიაში პ. იოსელიანს დიდ ხანს არ უნდა ემუშავნა. 1842 წელს იგი უკვე სინოდალური კანტორის პროკურორის თანაშემწეა. 1845 წელს კი — „ზაკავკაზსკი ვესტნიკის" რედაქტორიც.

გარდაიცვალა პლატონ იოსელიანი 1875 წელს.

პლატონ იოსელიანის მოღვაწეობა ემთხვევა XIX საუკუნის იმ პერიოდს, როცა ასპარეზზე გამოვიდნენ თერგდალეულები. ამ უკანასკნელთა ენობრივ ლიტერატურული და პოლიტიკური შეხედულებები დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა იოსელიანის კრედოს, თუმცაღა თერგდალეულთა წინააღმდეგ მას აშკარად არასდროს გაულაშქრია: პირიქით, იგი „ახალი თაობის" ენის პროპაგანდისტადაც კი გვევლინება გ. ერისთავის „გაყრის" წინასიტყვაობაში: „ქართველთა გვაქვს მრავალთა მწერალთა სხვადასხვა გვარნი თხზულებანი ლექსად და პროზად. საფილოსოფოსნო, ღვთისმეტყველებითნი, ისტორიულნი, ზნეობითნი — მიხედვით სხვათა ხალხთა, ევროპისა და აზიისა, ვიტყვით გაბედვით, მეცხრამეტე საუკუნემდე ქართველნიცა მდიდარნი იყუნენ მწერლობითა — მაგრამ მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირედთა სხვათა. არა იყო ჩვეულებითი საუბრისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა (ხაზი ჩვენია — ა. ფ.). დამწერმან ამა პირველისა ქართულისა ენასა ზედა კომედიისა თავადმან ვორგი დავითის ძემან ერისთავმან დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის. სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთვე ძიიღო ღირსება, რომლისთვისაც ეკვირვებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატინს, პლავტს, ტერენციოსსა, მენანდრესა და სხვათა.

---

[1] პ. იოსელიანი, პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა, 1840 წლის 26 მარტი; მეორედ გამოვიდა 1851 წელს; მესამედ—1863 წ. ყველა გამოცემა სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს. ჩვენ ვსარგებლობთ 1863 წლის გამოცემით.

ჰაქვს იმედი, რომ ესრეთსა ჩემგნითს ახლისა გვარის მწერლობის პოწონებას არავინ მიიღებს პირმოთნეობით თქმულად და თვითეული კეთილგანმზრახი ქართველი სიხარულითა და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიას და სხვანიცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისს“ — წერდა პ. იოსელიანი სამართლიანად.

პროფ. ა. გაწერელია ამის თაობაზე შენიშნავს: „როგორც ამ წერილიდან ჩანს, „წინასიტყვაობის“ ავტორის არჭაისტული პოზიცია საერთოდ ცნობილი ყოფილა. რეაქციონერი ენის საკითხში, პლატონ იოსელიანი, ძალაუნებურად ანგარიშს უწევს ახალი მეტყველების ისეთ ფაქტებს, რომლებიც მის გრამატიკულ ნორმებს არსებითად ეწინააღმდეგება. ერთი მხრით, ამ წერილში პირდაპირ გვხვდება მოწოდება ახალი გვარის მწერლობისადმი მიბაძვისა, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონ მოწოდების „წინასიტყვაობის“ ენა ლაპარაკობს გამოთქმული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ. ამ კომპრომისს არსებითად არაფერი შეუცვლია პლ. იოსელიანის შეგნებაში. პირიქით — ეს წერილი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს იმ სარედაქციო მუშაობას, რომელმაც ქართული ლიტერატურა XIX საუკუნის პირველ ნახევარში უაღრესად არქაული თხზულებებით გაავსო“ [1].

მკვლევრები პლატონ იოსელიანს ჩვეულებრივ არქაისტის ეპითეტით ამკობენ. ეს ზედწოდება იქნებ დაიმსახურა კიდეც, მაგრამ, როცა მას რეაქციონერად თვლიან, სწორი არ არიან.

პლატონ იოსელიანი, როგორც XIX საუკუნის შუა წლების მოღვაწე, წარმოგვიდგება ტიპურ მეცნიერად, რომელსაც თითქოს არაფერი აინტერესებს გარდა საკელევი საგნისა. იგი იმდენად ჩაიძირა საქართველოს წარსულში, რომ წარსულის წარმომადგენლად დარჩა თავის თანამედროვეთა შორისაც. იგი საოცარი უდარდელობით უცქეროდა მე-19 საუკუნის აზრთა ჭიდილს, თითქოს ყოველივე ეს მას არც ეხებოდა. როგორც გადმოგვცემენ, პლატონს არავითარი აზრი არ გამოუთქვამს ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით. 1832 წლის შეთქმულებაც თითქოსდა უარყოფითადაა შეფასებული მის ნააზრევში. მაგრამ, საკმარისია, გულდასმით წავიკითხოთ მისი ისტორიული ნარკვევები თუ წერილები ქართული კულტურისა და ლიტერატურის საკითხებზე, რომ ჩვენს თვალწინ წარმოსდგება მეტად საინტერესო ფიგურა უაღრესად დიდი პატრიოტისა, რომელიც თავისი ქვეყნის სიყვარულს მისი წარსულის დაუცხრომელი შესწავლითა და გამომზეურებით ამტკიცებს.

---

[1] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936 წ., გვ. 17—18.

პლატონ იოსელიანის „პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა“ 1840 წლის 25 მარტს გამოქვეყნდა. მაგრამ ჩვენ დაგვაინტერესა წიგნის დაწერის თარიღმაც.

საქმე ისაა, რომ პროფ. ალ. ცაგარელმა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა განიხილა პლატონის გრამატიკა, ავტორს, სრულიად სამართლიანად, ქართულში სქესის გამოყოფა ნაკლად ჩაუთვალა.

ცაგარელი წერდა: „მასში (გრამატიკაში) მეორდება ყველა ის მნიშვნელოვანი შეცდომა, რაც წინა ავტორებს ჰქონდათ, მაგალითად, ისევ ის საბედისწერო ოთხი სქესი, თუმცაღა ავტორს შეეძლო ჩაეხედა ბატონი ბროსეს გრამატიკაში და აღმოეფხვრა ქართველ გრამატიკოსთა ეს საერთო შეცდომაო“ [1].

შეეძლო კი ჩაეხედა იოსელიანს ბროსეს გრამატიკაში?

თუ გრამატიკას 1838 წლის შემდეგ დაწერდა — კი, თუ ადრე — არა.

ამ-ს გარდა საყურადღებოა კიდევ ერთი საკითხი, პ. იოსელიანის არქივში ინახება 1840 წელს დაწერილი „პასუხი“ მ. ბროსეს კრიტიკულ შენიშვნებზე და გამოსარკვევია ბროსეს „შენიშვნები“ პლატონის ნაბეჭდ გრამატიკას ეხებოდა, თუ არა [2]. ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ „პასუხში“ პ. იოსელიანი სქესის შესახებ წერს: „სრულიად სწორია ბროსეს ეს შენიშვნა. მე უკვე ვთქვი, რომ ქართულში სქესი არა გვაქვს, მაგრამ ის 10 სტრიქონი, რაც ამის შესახებ გრამატიკაშია, იმიტომ შევიტანეთ, რომ რუსმა მკითხველმა არა სთქვას, „სადაა სახელთა სქესიო“ (ხაზი ჩვენია — ა. ფ.). ხაზგასმული ადგილი კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რად დასჭირდა ავტორს რუსი მკითხველის მოშველიება? ქართულ გრამატიკას რატომ უნდა გაეწია ანგარიში არაქართველ მკითხველისათვის? თუ არსებობდა პ. იოსელიანის მეორე გრამატიკა რუსი მკითხველებისათვის განკუთვნილი, რომლის კრიტიკული განხილვაც მოცემული იყო ბროსეს წერილში?

ამ საკითხების სწორად გადაწყვეტაში, ვფიქრობთ, სიცხადე შეაქვს პ. იოსელიანისა და აკადემიკოსების ა. შეგრენისა და მ. ბროსეს [3] მიმოწერას.

1838 წლის 14 აპრილს პ. იოსელიანი გულდაწყვეტილი წერს აკად. ა. შეგრენს: „ჩემი ქართული გრამატიკა რუსული თარგმნით აგერ

---

[1] А. Цагарели. О грамм. литер. груз. языка, СПб., 1873 г., გვ. 57.

[2] ბროსეს „შენიშვნები“ აღმოჩენილი არ არის.

[3] პ. იოსელიანის წერილები მ. ბროსესადმი, გამოსცა სოლ. ყუბანეიშვილმა, ბათუმი, 1941 წ.

ერთი წელია უძრავად დევს ეგზარქოსთან, ამის შესახებ ადრეც გითხარით თქვენს თბილისში ყოფნისას. რას იზამ? ხელქვეითის ცილია სდუმდეს და ემორჩილებოდეს უფროსის ნება-სურვილს".

„გრამატიკა რუსული თარგმნით" მოხსენებულია სხვა ადგილზედაც. იმავე შეგრენისადმი მიწერილ წერილში 1839 წლის 9 მარტს პ. იოსელიანი წერს: „ჩვენმა ეგზარქოსმა მაჩვენა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის დიპლომი და თქვენი წერილი მისადმი. აკადემიამ სწორედ რომ კარგ დროს მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, იგი ჩემთვისაც სასარგებლო გამოდგა, ახლა ეგზარქოსი უფრო ყოჩაღად მოქმედებს აკადემიისა და მეცნიერების სარბიელზე. ამ დროიდან გაიღვიძა მის კაბინეტში ზუსტად ორი წლის ძილის შემდეგ ჩემმა გრამატიკამაც რუსული თარგმნით". და სრულიად მოულოდნელად 1842 წლის 14 აპრილის წერილში მ. ბროსესადმი პ. იოსელიანი წერს: „გრამატიკა რუსულისა თარგმნითურთ გავათავე, თუმცაღა რამდენსავე ჰაზრებში არა ვარ თქვენთან თანახმა, მაგრამ მაინც არა ვჰგონებ, ვჰსცდებოდე. ერთი კვირის შემდგომად გამოვგზავნი არზასა ობერპროკურორთან, რომ ნება მომცენ სამი თვით პეტერბურღს მოსვლისა უფრო ღრამატიკისათვის, რომ პირდაპირ მოვიაზროთ, ამასაც სხვათაშორის დავსწერ არზაში, თუ ნება მომცა, უთუოდ გნახავთ ზაფხულსა და ესე დიდად იქნება ჩემთვის სასიამოვნო".

ამაზე არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1840 წელს პ. იოსელიანი წერს მ. ბროსეს შენიშვნების „პასუხს".

ამათ გვერდით გვაქვს სხვა ცნობებიც.

1839 წლის 26 ოქტომბერს მ. ბროსესადმი გაგზავნილ წერილში პ. იოსელიანი იტყობინება: „ღრამატიკის ამბავი სრულიად არ არის ჩემთვის საწყენი. მე თვით ვიცოდი მისი ნაკლოვანება. მე კრიტიკისათვის, დიახ, ვიქნები მადლობელიცა. ეს უნდა უწყოდეთ, რომ: 1. ღრამმატიკა გავაკეთე აგერ არის 4 წელიწადი და მიმოვიდოდა აქა-იქა; 2. მას ჟამსა სრულად არ მაქვნდა თქვენი ლითოღრაფიისა ღრამმატიკა; 3. იყო მიზეზიცა, სხვა უმეტესი ამათისა, რომელიც ადრევე შეგრენისა აქ ყოფნაში საჩივარი იყო და სანანელი ჩემთვის. შეგრენსაც შევჩიოდი.

ამა ყოველთა თვისსა დროსა ჰსცნობთ ნათლად. დრომდე იყოს ესე დაფარული. სჯობს მე ვიყო ბრალეული. კრიტიკული რაპორტი თქვენი ჯერეთ არ მომსვლია და იყვენით დარწმუნებული შევუდგებით ჰეშმარიტთა დარიგებათა და შენიშვნათა თქვენთა, ესრეთ ვი-

თარცა ეკადრების ჰსწაელათა მოყვარე[ს]ა“ [1]. როგორც ვხედავთ, აქ „რუსულ თარგმანზე“ ლაპარაკი არაა.

ასევე უბრალოდ გრამატიკა ნახსენებია იმავე 1839 წლის ნოემბერში გაგზავნილ წერილშიც: „ღრამმატიკის პასუხი ჯერ არ მოგვსელია. ვეცდებით, თუ მეცე მომანდეს, პლანისამებრ თქუენისა შედგენასა“ [2].

1840 წლის თებერვლის 23-ს პ. იოსელიანს მიუღია გრამატიკა და ნეორე დღეს წერს მ. ბროსეს ამის შესახებ. „ღრამმატიკა მომიცილდა (თვე. 23-ს) დიდად მადლობელი ვარ შემეცნებათათვის, რომელთაგანი ჴამდენნი არიან და სხვათათვის უნდა ჩემი რეზონები მიღლოთ, რომ უკეთესი რამე ვაჰქმნათ შემდეგ ვაუწყებთ ამათთვის“ [3].

ეს ამ წერილების შინაარსის მიხედვით აღვადგენთ სიტუაციის ხუთრათ საქმე ასე უნდა წარმოგვიდგეს: 1838 წელს, როცა ეგზარქოსი (იგულისხმება ეგზარქოსი ევგენი ბაჟანოვი) აირჩიეს აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, მან პლატონის გრამატიკას (რუსული თარგმანით), ბისცა მსვლელობა, ალბათ, გაუგზავნა პეტერბურგის რომელიღაც დაწესებულებას, იქნებ პირდაპირ აკადემიას. დასკვნისათვის. აქ იგი გადასცეს ბროსეს სარეცენზიოდ. ბრომელმაც გამოუგზავნა უკან შენიშვნებით 1840 წელს თებერვლის პირველ რიცხვებში ან იქნებ, ცოტა უფრო ადრე. გრამატიკა პლატონს მოსვლია 1840 წლის 23 თებერვალს. ბის ნაბეჭდ გრამატიკას კი თარიღად უზის 1840 წლის 25 მარტი. თავისთავად ცხადია, წიგნს პლატონი ერთ თვეში ვერ დაბეჭდავდა. მაშასადამე, მან დაბეჭდა არა ის გრამატიკა, რომელიც 1840 წლის 23 თებერვალს მიიღო ბროსესგან შენიშვნებით, არამედ სხვა, რომელიც, ალბათ, ამ დროს დიდი ხანია სტამბაში იყო. 1840 წელს დაწერილი „პასუხი“ კი სწორედ ამ გრამატიკის („ქართული გრამატიკა რუსული თარგმანით“) მიმართ გაკეთებული, მ. ბროსეს შენიშვნების განხილვა. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, პლატონისათვის დაუკვალებიათ ამავე გრამატიკის ახლებური ვარიანტის დაწერა, რომელიც დაუმთავრებია 1842 წელს და, რომლის თაობაზე იგი ბროსეს წერს, რომ „პეტერბურგს ვაპირებ ჩამოსვლასო“. ამ გრამატიკის II ვარიანტი არსად ჩანს. რაც შეეხება I ვარიანტს იგი უნდა იყოს პ. იოსელიანის არქივში (№ 37) არსებული ხელნაწერი გრამატიკა — **„პირველ დაწყებით კანონნი ქართულსა ღრამმატიკისანი რუსულისა თარგმანითურთ შედგენილნი სახმრად სასულიეროთა სახწავლებელთა შინა საქართველოს სემინარიისთა მასვე სემინარიასა შინა ფილოსოფიისა მახწავლებლისა**

---

[1] პ. იოსელიანის წერილები მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1941 წ., გვ. 171.

[2] იქვე, გვ. 173.

[3] იქვე, გვ. 175.

ღვთისმეტყველების კანდიდატის პლატონ იოსელიანის მიერ, 1837 წ., 29 აპრილი, თბილისი".

ეს გრამატიკა, ქართული ენისა რუსული თარგმანითურთ, არ დაბეჭდილა.

პლატონ იოსელიანის წერილებში ლაპარაკია სხვა გრამატიკაზედაც. ასე, მაგალითად, 1838 წლის 10 ნოემბერს შეგრენისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერს: „ჩქარა. დავბეჭდავ ქართული ენის გრამატიკასო", ხოლო 1840 წლის 10 ოქტომბერს მასვე წერს: „გამოგიგზავნეთ ჩემი დაბეჭდილი გრამატიკა ბროსეს მეშვეობით, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიმიღია". 1840 წლის 11 აპრილს მარი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში კი უკვე ნათლადაა ლაპარაკი ორ გრამატიკაზე: „გრ.მატიკა ქართული დავბეჭდე. ვჰგონებ მოიწონოთ, შემეცნებათა თქვენთა ვერ მოუსწრეს დასაბამსავე ბეჭდვისა. ამისათვის ვიეთნიმე ადგილნი არიან გასასწორებელნი. პირველი ნაწილი გამოვუგზავნე ობერ-პროკურორს ღრაფს პროტაროვს, მეორესა და მესამეს ორს კვირას შემდგომად გამოვუგზავნი. მე ვსთხოვე მას, რათა ინებოს და დრომდე გასწორებისა და გამართვისა ქართულისა ღრამმატიკის (С русским переводом), იხმარებოდეს სემინარიისა შინა"[1].

ერთი სიტყვით, „ქართული გრამატიკა" სხვაა და „ქართული ღრამმატიკა „С русским переводом" — სხვა. ორივე გრამატიკა დასრულებული ჩანს 1837 წელს მაინც. ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე პ. იოსელიანი მ. ბროსეს გრამატიკულ შრომებს გაეცნობოდა. თუმცა დაბეჭდვამდე მას დრო ჰქონდა, საჭიროების შემთხვევაში ხელნაწერში ცვლილებები შეეტანა და, რადგან ეს არ გაუკეთა. ალბათ, ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა ბროსეს.

ისე, როგორც არ უნდა იყოს, ბროსეს „შენიშვნები" პლატონ იოსელიანის გრამატიკული ნააზრევის პირველი კრიტიკულ-მეცნიერული განხილვაა, ჯერ კიდევ 1840 წელს[2].

სხვა საკითხთან დაკავშირებით იოსელიანის გრამატიკას დაეთ. ყიფიანიც შეეხო „საქართველოს მოამბეში" 1863 წელს, იგი. წერს: „ქართული ენის გრამატიკათაგან პირველია ანტონ კათალიკოსისა, რა. საკვირველია, იმის დროს, რომ ენა იხმარებოდა — მაღალი წერა — იმ ენისა არის. გაიოზისა — ანტონის გრამატიკის შემოკლებული მიბაძვაა. აგრეთვე უ. დოდაევისა — უ. პლატონ იოსელიანისა ენის არევ-

[1] პ. იოსელიანის წერილები მ. ბროსესადმი, ბათუმი, 1941 წ., გვ. 177.

[2] მართალია, „შენიშვნები" ეხებოდა გრამატიკას „ს რუსკიმ პერევოდომ, მაგრამ ეს საკითხს არ ცვლის; რადგან მისი ქართული ნაწილი და ნაბეჭდი ქართული გრამატიკა ერთნაირია.

ნარევია, მაგრამ უფრო ძველებური ენისა, რომელიც ეხლა იბმარება თვით პლატონ იოსელიანისა და ორიოდე იმ. გვარი მეცნიერისგან. ეს გრამატიკები რუსულ გრამატიკებს მოგვაგონებენ, იმავე დაწყობ-ლებითა, იმავე განსაზღერებებითა“ [1].

ათი წლის შემდეგ პლატონის გრამატიკა განიხილა პროფ. ალ. ცაგარელმა. მაგრამ, ეს განხილვა ვერ აკმაყოფილებს მკაცრ მეცნიერულ მოთხოვნებს. ამის მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ გრამატიკა განხილულია წიგნის ერთნახევარ გვერდზე. ამიტომაც ალ. ცაგარელი კმაყოფილდება უფრო ზოგადი ხასიათის შენიშვნებით, რომლებიც ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს შეიცავენ.

ასე, მაგ.: „ეს გრამატიკაო — წერს ალ. ცაგარელი — გადმოგვცემს მხოლოდ ეტიმოლოგიას. მაგრამ არც მასალის და არც ფორმის მხრით არ წარმოადგენს რაიმე განსხვავებულს მის წინამორბედ შრომათაგან: ასევე არაფერს იძლევა ახალს არც ენის, არც გრამატიკული მასალის განაწილების, არც შინაგანი ღირსების მხრით, როგორც ელემენტარული სახელმძღვანელო მშობლიური ენის შესასწავლად. მასში მეორდება ყველა წინამორბედი ავტორის შეცდომაო“ [2]. აქ ლაპარაკია უკვე ნახსენებ სქესის კატეგორიაზე ქართულში.

ამის გვერდით ალ. ცაგარელი წერს: „47-ე გვერდზე იოსელიანი აკეთებს სწორ შენიშვნასო... რომ, თუმცა ორი უღლება მთლად ზუსტად ვერ იძლევა ქართული ზმნის უღლების სწორ სურათს, მაგრამ იგი მაინც უკეთესია, ვიდრე 10 უღლება ანტონისა და 6 გაიოზისა. რომელთა შესამცირებლად ნიადაგ ზრუნავდნენ შემდგომი დროის გრამატიკოსები“... „საგანგებო შენიშვნები ქართული ზმნის შედგენილობის შესახებ, შეიცავენ მრავალ საყურადღებო მოსაზრებას... და... სქოლიოებშიც ავტორი გვაძლევს ზოგ საკმაოდ სწორ დებულებას ქართული ენის თავისებურებებისა და მისი გრამატიკული ფორმების შესახებ. **ყოველივე ეს კი წარმოადგენს სახიამოვნო გადახვევას წინა გრამატიკების მიერ დადგენილი რუტინისაგანო**“ [3].

როგორც ვხედავთ, პლატონ იოსელიანის გრამატიკაში ბევრი რამ ყოფილა ისეთი, რაც წინა გრამატიკებში არ გვქონია, თუმცა თავში ავტორი გვეუბნებოდა: არაფერი განსხვავებული წინამორბედი გრამატიკებიდან ამ წიგნში არააო.

დასანანია, რომ პ. იოსელიანის გრამატიკაზე ასეთი აზრი გამოთქმულია სპეციალისტის მიერ საგანგებოდ დაწერილ შრომაში, თორემ

---

[1] „საქ. მოამბე“, 1863 წ., № 3, გვ. 101.

[2] Ал. Цагарели. О грамм. лит., გვ. 44.

[3] Ал. Цагарели. О грамм. лит., გვ. 45.

რა გასაკვირია პროფ. აკ. გაწერელიას უარყოფითი შეხედულება პლატონის ენასა და გრამატიკაზე[1]: რამეთუ, ჯერ ერთი, აკ. გაწერელია იოსელიანის გრამატიკის შეფასებისას ეყრდნობოდა და იმეორებდა სპეციალისტთა შენიშვნებს, რომლებიც „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ იყო გამოთქმული. მეორეც, აკ. გაწერელიას იოსელიანის ენობრივი მოსაზრებები აინტერესებდა სულ სხვა პრიზმაში. ამასთან, იგი არ იყო ვალდებული იოსელიანის გრამატიკა შეედარებინა რუსი, თუ ქართველ გრამატიკოსების შრომებისათვის, რათა დაედგინა მითითებულ ავტორთა აზრის სისწორე.

პლატონ იოსელიანის გრამატიკას (ბრუნების საკითხთან დაკავშირებით) შეეხო ილ. ცერცვაძეც 1942 წელს. გამოქვეყნებულ წერილში, ილ. ცერცვაძემ სწორად აღნიშნა პლატონის დამსახურება ბრუნვათა რიგიდან „შემასმენლობითისა“ და „დაწყებითის“ ამოღების საქმეში; აგრეთვე სწორად მიუთითა იმაზეც, რომ „დაწყებითის“ ამოღების არგუმენტაცია ვერაა სწორად დასაბუთებული, მაგრამ ილ. ცერცვაძე ცდება, როცა აღნიშნავს: „წრფელობითის“ ნაცვლად ტერმინი „სახელობითი“ პირველად პლატონ იოსელიანმა შემოიღო[2]: ეს ტერმინი სწორედ ამავე მნიშვნელობით გვაქვს ანტონთან, რომელიც წერს: „დასაბამ ბრუნვათა არს **წრფელობითი**, რომელსაცა უფრორე სამართალ არს რამეთუ ეწოდებოდესცა **სახელობითი**“[3].

უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, არა ტერმინ „**სახელობითზე**“, არამედ ბრუნვათა სისტემაში მის შეტანაზე, ვინაიდან ბრუნვათა რიგში „სახელობითი“ ქართულ გრამატიკაში პირველად მართლაც პლატონ იოსელიანმა შეიტანა.

მეტად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ პ. იოსელიანს თავისი გრამატიკის შედგენისას დოდაშვილისა და ი. ქართველიშვილის მოსაზრებებს გარდა, მთლიანად გამოუყენებია ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონის“[4] წინასიტყვაობაში გამოთქმული საგრარატიკო შენიშვნებიც.

---

[1] იხ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936 წ., აკ. გაწერელიას რედაქციითა და წინასიტყვაობით.

[2] ილ. ცერცვაძე, ბრუნვათა საკითხი მე-18 და მე-19 სს. ქართ. გრამატიკოსებთან. სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში. თბ., 1956 წ., გვ. 461.

[3] ანტონი, I გრამატიკა, თბ., 1885 წ., გვ. 134, ხაზი ავტორისაა.

[4] გამოსცა, რედაქცია გაუკეთა და შენიშვნები დაურთო პროფ. ალ. ღლონტმ.

იოსელიანის გრამატიკა საგნის განსაზღვრით იწყება. „ღრამმატიკა ქართული ასწავებს კანონიერსა უბნობასა და წერასა ქართულად. ჩვენ ვუბნობთ ლექსთა საშუალებით, რომელნიც შესდგებიან მარცვალთაგან, ხოლო ესენი ასოთაგან“ (გვ. 3).

ეს განმარტება და მისი მომდევნო პარაგრაფები, რომლებიც „ასოთა“ დახასიათებას შეეხება, პირდაპირ გადმოწერილია ს. დოდაშვილის გრამატიკიდან. ოდნავი განსხვავება იწყება მარცვლიდან, რომელიც პლატონთან საერთოდ არაა განმარტებული („ასოთაგან ერთისა ანუ რაოდენთა შედგებიან მარცვალნი“ (გვ. 6). მარცვლებისგან შედგება ლექსი. „ლექსისგან შედგების სიტყვა მთელის ჰაზრისა მექონი“ (იქვე). ამას მოჰყვება ლექსის ჯგუფები წარმოების მიხედვით: პირველსახენი, წარმოებულნი, მარტივი, ჰრთული, კნინობითი და შემდეგ მეტყველების 8 ნაწილი (სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული, რომელთაგან ოთხი პირველი, ცვალებადია, ოთხი, უკანასკნელი — უცვლელი. აქაც კვლავ სიტყვა-სიტყვით განმეორებულია დოდაშვილი, რომელიც, თავის მხრით, ოდნავი ცვლილებებითა და პარაგრაფების, გადაადგილებით იმეორებს ი. ქართველიშვილს.

მეტყველების ნაწილთა („სიტყვით ნაწილთა“) ჩამოთვლას მოჰყვება გრამატიკის დარგებად დაყოფა და საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ უნდა ვიფიქროთ, პლატონ იოსელიანი გრამატიკის ობიექტს მეტყველების ნაწილია განხილვით შემოფარგლავს — „ნაწილნი ესე სიტყვისანი განიხილებიან შემდგომთა შინა სამთა სახეთა, რომელნიცა არიან:

1. **ლექსთ-წარმოება (ეტიმოლოგია)**
2. **ლექსთ-თხზულება (სინტაქსი)**
3. **კანონიერ-წერა (ორთოგრაფია)** (გვ. 7)“.

იოსელიანის ეს ფორმულირება ზოგ რამეში (დასაწყისში მაინც) ემთხვევა დოდაშვილს, ხოლო შემდეგ იმეორებს ქართველიშვილს.

ქართველიშვილი	დოდაშვილი
„ღრამმატიკა იყოფა სამსა ზედა ნაწილთა: ა. ლექსთწარმოებასა ზედა, რომელი არს ეტიმოლოგია:	„ნაწილნი ესე სიტყვისანი განიხილებიან შემდგომსა სამთა ნაწილთა შინა ღრამმატიკისითა:

ბ. ლექსთთხზულებასა ზედა, რომელ არს სინტაქსი;

გ. მართლწერასა ზედა, რომელ არს ორთოგრაფია“ [1].

1. პირველსა ნაწილსა შინა იჩვენების თვისება ნაწილთა სიტყვისათა, წარმოება და შეცვალებანი მათნი (ლექსთ-წარმოებისათვის);

2. მეორესა ნაწილსა შინა ვარდამოიცემიან კანონნი შეერთებისა და თანხმობისათვის ნაწილთა სიტყვისათა ურთიერთა შორის (ლექსთ-თხზულებისათვის);

3. მესამესა ნაწილსა შინა აღირიცხებიან კანონნი შეუცნობელად წერისათვის ქართულად (მართლ-წერისათვის) [2].

გრამატიკის პირველი ნაწილი

გრამატიკის პირველი ნაწილი (ლექსთ-წარმოება) იწყება სახელით. მისი განსაზღვრა ემთხვევა დოდაშვილისას, სხვაობა მხოლოდ საკითხთა განხილვის თანამიმდევრობაშია: პლატონთან განსაზღვრას მოსდევს ცნობა იმის შესახებ, რომ სახელი იყოფა სამად — არსებითად, ზედშესრულად და რიცხვითად. ამას მოჰყვება არსებითის განხილვა. იგი იყოფა: საკუთრებითად, საზოგადოდ და შემკრებლობითად. მერე მოდის ზედსართავი ჯგუფებით: დადებითი, შეთანასწორებითი და აღმატებითი. ამას მოსდევს რიცხვითი (რაოდენობითი, წესებითი, დანაწევრებითი, შემკრებლობითი).

დოდაშვილთან კი სახელის განსაზღვრის შემდეგ მოდის ცნობა იმის შესახებ, რომ მათ აქვთ ჯგუფები: სულიერნი, უსულონი[3] და გონებითნი, რასაც მოჰყვება სახელთა ჯგუფებად დაყოფა.

სახელს ახასიათებს: ნათესავი, რიცხვი, ბრუნვა და კანკლედობა.

ნათესავი (ანუ სქესი) ოთხია: მამრობითი, მდედრობითი, საზოგადო და საშუალო (დოდაშვილთან უმეშვეობითი).

შენიშვნაში პლატონი წერს: „ვინაითგან ნათესავნი ესენი არსები-

---

[1] ი. ჭ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ნაბეჭდი გრამატიკა, გვ. 1.

[2] ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, თბ., 1961 წ., გვ. 100.

[3] სულიერნი და უსულონი პ. იოსელიანთან საერთოდ არაა. იგი აქაც ქართველიშვილთანაა უფრო ახლოს.

თისა სახელისა იცნობებიან მნიშვნელობისა გამო მათისა და არა დაბოლოებითა მათთა, ამისათვის ნათესავნიცა სახელთა ზედშესრულთა რიცხვითთა და ნაცვალსახელთა და მიმღეობითა შეიმეცნებიან კუთვნილებისაგან, რომელსამე ნათესაისა არსებითთა სახელთა და არა დაბოლოებათა რაიმეთაგან“ (გვ. 12).

ამ განმარტებით ცდილობს პ. იოსელიანი თავი გაამართლოს მ. ბროსეს უკვე ნახსენებ შენიშვნებზე 1840 წელს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულ გრამატიკაში შეიტანა სქესი, მაგრამ ამას ვერ ახერხებს. რადგან, თუ რუსებისათვის დაწერილ გრამატიკაში მართლაც საჭირო იყო სქესზე რაიმე თქმულიყო, რა საჭირო იყო იგი ქართველებისათვის დაწერილ წიგნში? მაგრამ, ეთქვათ, პირველ გამოცემაში გაებარა ეს შეცდომა, მეორე და მესამე გამოცემაში ხომ შეიძლებოდა მისი გასწორება.

არას ვამბობ იმაზე, რომ თითონ ეს განმარტება თითქმის ზუსტად იმავე რედაქციით უკვე ი. ქართველიშვილის გრამატიკაშია[1] და პ. იოსელიანსაც უთუოდ იქედან აუღია. მაგრამ იოსელიანი რომ დოდაშვილს არ გაჰყვა (რომელსაც სქესი აქვს ყოველგვარი შენიშვნის გარეშე), თავისთავად მაინც მიღწეულა.

რიცხვითი სახელის განსაზღვრა არაფერს იძლევა ახალს, გარდა იმისა, რომ „მრავლობითი რიცხვი აჩვენებს ორთა ანუ მრავალთა“ და „სახელნი საეკლესიოთა წიგნთა იხმარებიან მრავლობითად, მაგ.: დავითნი, მარხვანი...“ (გვ. 13).

ამ სწორად შენიშნული ფაქტით პირველად პ. იოსელიანის გრამატიკაში ჩნდება ნ. ჩუბინაშვილი.

იქვეა მეორე შენიშვნა კვლავ ნ. ჩუბინაშვილისგან, რომელიც მცდარ მოსაზრებას ეყრდნობა: ორივე ავტორს „ფ რ თ ი ა ნ ი“, „ფ ე ხ ი ა ნ ი“, „ღ ი ლ ი ა ნ ი“ და სხვა ფორმები შეცდომით, მრავლობითი ჰგონიათ.

ბრუნვათა განსაზღვრა-განხილვა პ. იოსელიანის გრამატიკის ის ნაწილია, რომელიც თითქმის ყველაზე უფრო დიდ მოწონებას იმსახურებს.

პ. იოსელიანი პირველი ქართველი გრამატიკოსია, რომელმაც ბრუნვათა რიგიდან განდევნა: წრფელობითი (შეცვალა სახელობითით), შემასმენლობითი და დაწყებითი, რითაც ყველაზე უფრო კარგად გადმოგვცა ქართული ენის ბრუნვათა წყება თითქმის მე-19 საუკუნის 90-იან წლებამდე[2].

---

1 უფრო ადრე ანტონთან, გვ. 125.

2 იოსელიანის ეს დამსახურება შეუნიშნავი დარჩა აღ. ცაგარელს.

როგორც ვხედავთ, აქ გვაკლია მხოლოდ დღევანდელი ვითარებითი, თუმცა მისი ნიშნები (დ. ად, და), რომლებიც ჯერ კიდევ ანტონის გრამატიკაში იყო მოცემული და მიცემითი ბრუნვისათვის მიწერილი, პლატონმაც კარგად იცის. საინტერესოა. იქვე მოცემული რამდენიმე სხვა ხასიათის შენიშვნაც.

„წერილთა შინა ჰხშირად იხმარების ლექსი მრავლობითსა შინა ბრუნვასა მიმატებით ერთისა ანუ ორთა მარცვალთა: თა, ნი, ნო, და სხვ. მაგ.: ხელითა მოციქულთათა, სულნი წარმართთანი, ძენო კაცთანო. გარნა ესე ვითარი ადვილ დასატევებელი არს, არცა არს ესე მოთხოვნილება ენისა თვისებისა და არცა ეხმარების. მარტივსა საუბარსა შინა, **ამასთანავე ადვილცა შესაძლებელ-არს, რათა სიტყვისა შეწყობისა უჯ-სა უკუ-ექცეს ესე ვითარსა ლექსთა შექსოვასა. მაგ.: ნაცვლად ხელითა მოციქულთათა. ითქვას მოციქულთა ხელითა და სხვა**“ (გვ. 15, ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

აგრეთვე სწორია იოსელიანის შენიშვნა მოქმედებითი ბრუნვის ნიშანთა შესახებ: „მოქმედებითისა ბრუნვისა დაბოლოებანი არიან: ითა, თა, ჯთა, მიღებული ანტონისა მიერ კათალიკოზისა დაბოლოება მიერ, მაგ.: მზისა მიერ არს უკანონო. იგი შემდგარ არს ნათესაობითისაგან ბრუნვისა და თანდებულისა მიერ“ (გვ. 16).

სწორი მსჯელობაა, მაგრამ სამწუხაროდ, პლატონმა იგი საქმედ ბოლომდე ვერ აქცია — ეგეგე მიერ დატოვა მრავლობითში. არაა სწორი პლატონის დაჟინებითი მოთხოვნა, რომ თითქოს ნათესაობითის დაბოლოება. ისი, ის და მიცემითის ს „არიან წინააღმდეგ ენისა“.

იოსელიანთანაც, მსგავსად წინამორბედებისა, ბრუნვის ნიშნები და მრავლობითის ნიშნები გაუდიფერენცირებელია, რაც ილ. ცერცვაძესაც შენიშნა.

კანკლედობა იმეორებს დოდაშვილის გრამატიკის სურათს უმნიშვნელო განსხვავებით, კერძოდ, ქართველიშვილის მსგავსად, აღინიშნა, რომ ზოგი საკუთარი სახელი („მ ც ხ ე თ ა“, „ა ზ ი ა“, „ე ვ რ ო პ ა“) იკვეცება საზოგადო სახელის მსგავსად.

საინტერესო და ფასეულია იოსელიანის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ზოგი სიტყვა, რომელიც „სხვისა და სხვისა ჰაზრისანი არიან“ (ომონიმები) პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარნი არ იკუმშებიან („თ ვ ა ლ ი“, „თ ვ ა ლ ი ს“ — ადამიანის მხედველობის ორგანო). ხოლო „მეტაფორულისა მნიშვნელობისა შინა“ იკუმშებიან („თ ვ ა ლ ი“, „თ ვ ლ ი ს“—უ რ მ ი ს თ ვ ა ლ ი, მ ზ ი ს თ ვ ა ლ ი, პ ა ტ ი ო ს ა ნ ი თ ვ ა ლ ი). სწორადაა მითითებული „ხუცესის“ ბრუნების თავისებურება, თუმცა ყველა ეს შენიშვნა კვლავ ნ. ჩუბინაშვილის აზრის ნაყოფია („ლექ.“ გვ. 109—110). პლატონის დამოუკიდებელი მსჯელობა

იქვე აღნიშნულ „ღ მ ე რ თ“ სიტყვას ეხება მხოლოდ. რაც აგრეთვე უმნიშვნელო არაა.

ნაცვალსახელთა ბრუნებაშიც თავისებური სიახლე აქვს შეტანილი იოსელიანს. განსაკუთრებით ყურადსაღებია მისეული სამ ჯგუფად დაყოფა ნაცვალსახელთა ბრუნებისა: 1. ზ ო გ ა დ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს თ ა ნ ა მაგ.: ჩემი, შენი, თვისი, ჩვენი, თქვენი და სხვ. 2. ს ა კ უ თ ა რ ი მ ხ ო ლ ო დ ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ თ ა: მაგ.: მე, შენ, ჩვენ, თქვენ და სხვა. 3. შ ე რ ე უ ლ ი: მაგ.: იგივე, ეგევე, რომელიც, ვინც, ნურვინ, ნურც და ვინ.

ზოგი დაზუსტების შემდეგ ნაცვალსახელთა ეს ჯგუფები კარგად გამოდგებოდა საქმის ნამდვილი ვითარების გადმოსაცემად.

ნაცვალსახელთა ჯგუფებშიც ცვლილებაა შეტანილი. ი. ქართველიშვილისგან მომდინარე ტრადიციული ექვსი ჯგუფი (პ ი რ ი ს, ჩ ე ნ ე ბ ი თ ი, მ ო გ ე ბ ი თ ი, კ ვ ლ ა მ ო ღ ე ბ ი თ ი, კ ი თ ხ ვ ი თ ი, გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ე ლ ი) შეავსო კიდევ სამი ჯგუფით: უ კ უ ქ ც ე ვ ი თ ი (თვისი), ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი (თვით) და ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ნ ი (ჩვენებური, თქვენებური) და სხვ.

ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი (განსაზღვრებითი) და უ კ უ ქ ც ე ვ ი თ ი[1] ნაცვალსახელები როგორც ცნობილია, მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ საგრამატიკო ლიტერატურაში. რაც შეეხება ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ს იგი, როგორც ვნახეთ, პირველად გაიოზმა შემოიღო. გაიოზთან ამ ჯგუფში ერთიანდებიან: „ჩემგან“, „შენგანი“ და სხვა, რომლებიც ვერ გადმოგვცემენ „ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი ს“ შინაარსს. პლატონის „ჩვენებური“ და „თქვენებური“ მართლაც ნიშნავს იმ კაცს, რომელიც ჩვენი ან თქვენი მხრიდანაა და მისი შეტანა ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოში ჯერაც არაა გვიანი.

არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი შენიშვნა აქვს გაკეთებული პლატონს ნაცვალსახელის ხმარებისა და გაგების თაობაზე სკოლიოში. მაგრამ უმრავლესობა ამ შენიშვნათაგან ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის სფეროს უფრო განეკუთვნებიან ,ვიდრე გრამატიკისას.

ძალიან საინტერესო ჩანს ძველ ქართულში ცნობილი ძი-ნაწილაკის მნიშვნელობის განსაზღვრა.

ავტორი იხილავს იგი ნაცვალსახელსა და წერს: „იგი ხშირად იხმარების ნაცვლად კაეშირისა ცა, სხვათათანა ნაცვალსახელთა: რომელი, ვიეთნი, ვინ, რაი და კვალად. ზმნისზედათა თანა მაგ.: ვითარცა, რაოდენ, სადა, ოდეს და სხვ. განსარჩევლად კითხვითისაგან ნაცვალსახელისა: მარტივად თქმა მათი ჰნიშნავს კითხვასა, მაგ.: რომელი მოვიდა?

[1] ა ს. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953 წ. გვ. 43.

ვინ მოვიდა? ხოლო სიტყვათა შინა: რომელი იგი მოვიდა. ვინ იგი მოვიდა, ანუ რომელიცა, ვინცა მოვიდა. არღა-არს კითხვითი, არამედ კვლავ-მოღებითი საცნაურისა პირისა. აგრეთვე: რა-იგი, რაიცა, ვიეთნი იგი, ვიეთნიცა, ანუ ვითარი-იგი, რაოდენ-იგი, რაოდენიც, სადა-იგი. არღა არიან კითხვანი, არამედ განუსაზღვრებელნი. ხოლო რაჟამ ჰაზრი არცა კითხვითი არს, არც განსაზღვრებით საცნაური, მაშინ ნაცვლად იგი და ცა იხმარებიან თუ და ძი, მაგ.: არა კაცი თუ ვინ მოვალს? განიგდეს წილი ვინძირაღიღოს" (გვ. 31—32).

უეჭველია, აქ „ძი" ნაწილაკი გათანაბრებულია „თუ" კავშირთან.

ძი-ს ფუნქციის ასეთი დახასიათება მოგვცა პროფ. ვ. თოფურიამაც წერილში: „ძი ნაწილაკი ქართულში" „....ჩანს მართლაც. თავისი ადგილმდებარეობითა და ფუნქციით ძი სხვა არაფერია, თუ არა დამოკიდებული წინადადების კავშირი თუ... მაშასადამე ლექსიკოგრაფთა (იგულისხმება: იუსტ. აბულაძე, კ. ჭიჭინაძე, გ. ჯაკობია, ნ. ბერძენიშვილი — ა. ფ) ზევით წარმოდგენილი თარგმანი ნებისმიერია, გარდა იმ ნაწილისა, სადაც ძი გაგებულია თუ კავშირად (დ. ჩუბინიშვილი, ილ. აბულაძე)[1]...

როგორც ეხედავთ, პ. იოსელიანისა და ვ. თოფურიას დასკვნები ერთნაირია. მაგრამ პ. იოსელიანის ეს სწორი დაკვირვება შეუმჩნეველი დარჩენია პატივცემულ მეცნიერსაცა და სხვა წინამორბედ ავტორებსაც.

პ. იოსელიანმა კარგად იცის, რომ „რა" ნაცვალსახელი ყოველთვის კითხვის გამომხატველი არაა. მაგ.: „მოწაფეთა იხილეს რა უფალი" „ვსთქვი რა სიტყვა" იგი „ემსგავსების რუსულისა ენისა სქესსა, რომელსაც ეწოდების დეეპრიჩასტიე" და.. არს შემოკლებული ანუ კვეცილი რაჟამს" (გვ. 32).

ზმნის განმარტებაში იოსელიანი თითქოს შუაზე დგას ქართველი-შვილსა და დოდაშვილს შორის:

ი. ქართველიშვილი	ს. დოდაშვილი	პ. იოსელიანი
„ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც აჩვენებს ყოფასა, ანუ მოქმედებასა, ანუ ვნებასა პირისა ანუ ნივთისა დროთა ქვეშე" (გვ. 50).	„ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც აჩვენებს მოქმედებასა, ანუ მდგომარეობასა საგნისა" (გვ. 112).	„ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც აღჰნიშნავს პირისა, ანუ ნივთისა მოქმედებასა, ანუ ვნებას" (გვ. 33).

[1] ენიმკ-ის მოამბე. XIV, 1944 წ. გვ. 174—175.

ზმნის თვისებებს (ანტონის მიხედვით, მდევრებს, დღევანდელ კატეგორიებს — ა. ფ.) პლატონი ორიგინალურად განიხილავს. იგი ჩამოთვლის რვა თვისებას (ნათესავი, სახე. ნაკვეთი, დრო, პირი, რიცხვი, სქესი და უღლვილება). ეს რვა თვისება აღებულია ანტონისაგან (თუ გაიოზისაგან), მაგრამ თანმიმდევრობა, მათთან შედარებით, ოდნავ შეცვლილია. ქართველიშვილ-დოდაშვილთან ზმნის შვიდი თვისება გვაქვს დასახელებული, მერვე — „ნათესავი" (ანუ გვარი) ამ თვისებებთან ერთად არაა. იგი მანამაა აღნიშნული. სანამ საერთოდ დაიწყებოდეს ლაპარაკი თვისებებზე.

იოსელიანი თვისებათა ჩამოთვლის შემდეგ იწყებს ზმნის ნათესავით (ანუ გვარით) „ნათესაისებრ ზმნანი იქმნებიან შემოქმედებითი, ენებითი და საშუალონი" (გვ. 34). ამ ტერმინის განსაზღვრაშიც იგი ქართველიშვილსა და დოდაშვილს შორისაა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათი ტერმინი „უმეშვეობითი", ქართველიშვილის მსგავსად, შეცვალა „საშუალოთი". ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, დამკვიდრდა ქართულ საგრამატიკო ლიტერატურაში.

საშუალო ზმნების გამოყოფისას პ. იოსელიანი შეძლებისდაგვარად თანმიმდევრულად მორფოლოგიურ პრინციპს ემყარება: „საშუალონი ზმნანი დაბოლოებისამებრ მათისა მიმოიხვრიან. ორგვარად, ე. ი. დაბოლოებულნი მსჰგავსად ენებითა მიმოიხვრიან ვითარცა ენებითნი, მაგ.: ვჰსცხოვრობ, ვჰსწვები, ვჰსჯდები და სხვანი" (გვ. 34).

სახე ზმნისა სამგვარია: პირველსახე, სხმით-გარდასელითი, მრჩობლ-სხმით-გარდასელითი.

როგორც ყველა სხვა გრამატიკაში, სახეში აქაც იგულისხმება კონტაქტის კატეგორია: პირველსახე — ეწერ; სხმით-გარდასელითი — ვაწერინებ; მრჩობლ-სხმით-გარდასელითი — ვაწერინებინებ. აქვე ნათქვამია, რომ ასეთივე ზმნები აქვს არაბულსა და ებრაულსო, (მითითებულია Грамматика еврейского языка, Павского, — ა. ფ.) იგივე შენიშვნა, მხოლოდ მარტო ებრაულ ენაზე აპელაციით და გრამატიკის მიუთითებლად აქვს ნ. ჩუბინაშვილსაც („ლექ." გვ. 117—118).

ნაკვეთის მიხედვით ზმნები იყოფიან მარტივად („ვჰსწერ", „ვალ") და რთულად („ქეთილ-ვდღეობ").

ყველა წინამორბედ გრამატიკოსთაგან განსხვავებით დრო პლატონთან ხუთია და არა ექვსი.

წინა გრამატიკოსებთან გვქონდა: აწმყო, ნამყო და მყოფადი, ნამყო იყოფოდა ოთხ დროდ: ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი, ნამყო უსრულესი, ე. ი. სულ—ექვსი. პლატონთან დროებმა საჭელწოდებებიც შეიცვალეს: „აწმყო" იქცა „აწმდგომად"; „ნამყო უსრული" — „ქმნილ უსრულად". „ნამყო

სრული" — ქმნილ სრულად; „ნამყო უსრულესი" — „ქმნილ უსრულესად". მყობადი — „ქმნადად"; გვაკლია — ნამყო უსრულესი.

როგორც ვხედავთ, სიახლე არის, მაგრამ იგი არც უკეთესობის მაუწყებელია და არც იოსელიანის აზრის ნაყოფი — ნ. ჩუბინაშვილის კუთვნილებაა [1].

დროს მოჰყვება პირის კატეგორია. „პირი არის სამი: პირველი, მეორე და მესამე. პირველი პირი არის იგი, რომელიც უბნობს, მაგ.: „ვასწავებ". „ვჰკითხულობ" და სხვა. მეორე პირი არის იგი, რომლისადმი არის უბნობა: „ასწავებ". „ჰკითხულობ" და სხვა. მესამე პირი არის ის, რომლისთვისაც არის უბნობა, მაგ.: „ასწავებს", „ჰკითხულობს" (გვ. 37).

აქვე ლაპარაკია პიროვანსა და უპირო ზმნებზე. „პიროვანი ზმნა არის იგი, რომელსაც აქვს სამივე პირი (მაგ.: ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს). უპირონი ანუ პირნაკლნი ზმნანი არიან იგინი, რომელთაც აკლიათ პირნი ანუ პირველი, ანუ მეორე, ანუ ორივე, მაგ.: მეტყვი, ეტყვი; გეტყვი, გეტყვის; ჯერ-არს" (გვ. 37).

სწორედ აქ, პირებთან დაკავშირებით, პირველად ქართულ საგრამატიკო ლიტერატურაში ჩნდება ტერმინი მიჩემებითი, რომელიც თანამედროვე „ქცევის" ბადალია: „...პიროვანნი ზმნანი დაიწუებიან ასოითა ვ, ხოლო მიჩემებითა სხვათა პირთადმი შეიცვლებიან სხვადა სხვად, რომელთაცა მნიშვნელობა სხვათა, ენათა ზედა ცხად იქმნების მხოლოდ შეწევნითა ნაცვალსახელისა, მაგ.: ოდეს მოქმედება მიეჩემება პირველსა პირსა და მისთვის არს მოქმედება, ითქმის: „ვიშენებ", „ვიწერ" (строю себе или для себя...) ოდეს მოქმედება არს მესამისა პირისათვის ითქმის „ვუშენებ", „ვუწერ" (строю, пишу ему или для него)"[2].

ეს მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენა ქართული ზმნის თავისებურების შესახებ აგრეთვე ნ. ჩუბინაშვილისაგან[3] მოდის. პ. იოსელიანის გრა-

---

[1] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961 წ., ალ. ღლონტის რედაქციით და გამოკვლევით, გვ 114.

[2] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კატეგორია შენიშნული აქვს ჯერ კიდევ ი. ქართველიშვილს, მაგრამ მის განსაზღვრას აკლია სიცხადე „...მესამისა ამისა ხატისა ზმნანი (ლაპარაკია აღიშენე ზმნის უღლებაზე—პ. ფ.) არიან შემოქმედებითნი მნიშვნელნი რომელნიმე საქმისა შესახვედრისა მოქმედისა პირისა ანუ ნივთისადმი არიან ხატშემოქმედებითაცა და ჰირნაკლიაზმნანი, გიშენებ, გიშენებს, გიწერ, გიწერს" (ი. ქართველიშვილი, ნაბეჭდი გრამატიკა. გვ. 81).

[3] საენათმეცნიერო ლიტერატურაში 1962 წლამდე, სანამ პროფ. ალ. ღლონტის წერილი გამოქვეყნდებოდა (ზმნის მიჩემებითი ფორმების შესწავლის ისტორიისა-

ძმატიკაში. აი, რას წერს ნ. ჩუბინაშვილი: „...აქ საკუთრად პიროვანთა ზმნათათვის ჯერ არს შესწავება, ვითარმედ იგინი ქართულსა ზედა ენასა ნიადაგ დაიწყებიან ასოითა ვ და უკეთუ ლექსიკონსა შინა დაწერებოდენ პიროვნად, მაშინ სრულიად შემოვლენ ამას ასოსა შინა ვ. გარნა ვინაითგან თვისებისამებრ ქართულისა ჴნისა საქცევი პიროვანთა ზმნათანი მიჩემებისა. ძლით არიან მრავალგვარნი, ამად პიროვნნადცა დაწერა მათი თვით ასოსაცა შინა ვ შეხვდების სხვადასხვა ადგილსა, ვითა იხილვების შემდგომადისგან აღრიცხვისა ზმნათა მიჩემებისაა, რომელიც იქმნების.

1. რა ჟამს მოქმედება მიეჩემების თვით მოქმედსა პირსა მაგ.: ვაშენებ, ვსწერ. ეს ითქმის საზოგადოდ — строю, пишу, вообще; ხოლო მიჩემებითა მოქმედება პირისათა ითქმის: **ვიშენებ, იშენებ, იშენებს,** строю, **-ишь. -ит для себя; ვიწერ, იწერ, იწერს, пишу, -ешь, -ет для себя.**

2. რა ჟამს მოქმედება მიეჩემების მესამესა საცნაურსა პირსა, მაშინ ითქმის: **ვუშენებ, უშენებ, უშენებს,** строю — **ишь, ит для него. ვუწერ, უწერ, უწერს** — пишу **-ешь, -ет для него относительно к третьему известному лицу»**[1].

იმავე სქოლიოში, სადაც მიჩემებითს ფორმებზეა ლაპარაკი, გაწბილულია ქართული ზმნის კიდევ ერთი თავისებურება (ცქლავ ნ. ჩუბინაშვილისაგან მომდინარე) თვითნებითად წოდებული, მოგვაქვს პარალელური ტექსტები:

თვის. თსუ შრომები, № 99, თბ., 1962, გვ. 231—235), დასახელებული არ იყო არცერთი აქ მითითებული აეტორი. პროფ. აღ. ღლონტი წერდა: „ზემოთქმულის შემდეგ ჩვენი დასკვნა თავისთავად ნათელია. ზმნის მიჩემებითი ფორმები პირველად შენიშნა და თავისებურად ახსნა მე-19 საუკუნის I ნახევრის ენათმეცნიერმა ნ. ჩუბინაშვილმა. მკვლევარის დაკვირვებებმა და ამ ფორმების შესახებ გამოთქმულმა შენიშვნებმა პირველი გამოძახილი ჰპოვა პროფ. დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაში და ლექსიკოგრაფიულს თხზულებებში, საიდანაც მათ გზა გაიკვლიეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სხვა გრამატიკოსთა ნაშრომებში. ქართული ზმნის მიჩემებითი ფორმების მონოგრაფიულად შესწავლა, ქცევის მორფოლოგიური კატეგორიის ცალკე გამოყოფა და მისი სტრუქტურული ფუნქციების დადგენა ა. შანიძის დამსახურებაა".

ეს უველაფერი სწორია, მაგრამ, ამას, უნდა დავმატოთ ზემოთ ქართველოლოგიაზე ნათქვამი და ისიც, რომ ნ. ჩუბინაშვილის აზრებმა პირველად პ. იოსელიანის გრამატიკაში ჰპოვეს ასახვა; იხ. ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954 წ. გვ. 246.

[1] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961 წ., გვ. 115. ხაზი ჩვენია — ა. ფ.

ნ. ჩუბინაშვილი

„რომელთამე ვნებითფა ზმნათა შორის შეისწავების თვითვნებითი, глаголъ возвратный. ხოლო ზმნა თვითვნებითი არს, რაჟამს მოქმედი თვითვე ივნებდეს მაგ.: „ვაბამ“— привязываю. „ვამზადებ“ — готовлю. „ვსწერ“ — пишу და სხვ. ესენი არიან ზმნანი შემოქმედებითნი—„глаголы дѣйствит. ხოლო „ვიბმი“, „ვიმზადები“, „ვიწერები“, бываю. привязываем. готовим. пишем. ესენი არიან ვნებითნი — глаголы страдательные. ამათგან ზმნანი: „ვებმი“, „ვემზადები“, „ვეწერები“, привязываюсь. готовлюсь, пишусь. ესენი არიან ზმნანი თვითვნებითნი глаголы возвратные“ (გვ. 116).

პ. იოსელიანი

„....ენასა შინა ქართულისა იპოვებიან ზმნანი, რომელნიც აღნიშნავენ პირის ვნებულისა თვითვნებასა, მაგ.: მოქ. და ვნებითი: „ვაბამ“, „ვიბმი“, თვით-ვნებითად ითქმის: „ვებმი“ და სხვ. (გვ. 38).

საინტერესო დაკვირვებაა და ტერმინიც შესაფერი [1].

არაფერია ახალი რ ი ც ხ ვ ი ს კატეგორიის განსაზღვრაში.

ძირითადად ჩვეულებრივია განსაზღვრა სქესისა (კილოს კატეგორიისა), სხვაობა მხოლოდ ტერმინოლოგიური ხასიათისაა: ის წინამავალ ავტორებთან (ანტონი, გაიოზი, დოდაშვილი) ვიპოტეტიკა ანუ უკეთუობითი სქესია; ქართველიშვილთან — უკეთუობითი და საწადისი; ნ. ჩუბინაშვილთან და იოსელიანთან სათუო სქესია. დანარჩენი სამი (საზღვრებითი, ბრძანებითი და განუსაზღვრელობითი) ძველი ტერმინითა და მნიშვნელობითაა შემორჩენილი.

პ. იოსელიანი სათუო სქესს თავისებურად განსაზღვრავს. „სათუო სქესი არს იგი რომელიცა აღჰნიშნავს მოქმედებასა ანუ ვნებასა საიჭვოდ, უცნაურად, მაგ.: მეცლო და სხვა“.

სქოლიო, რომელშიც გადმოცემულია სათუო სქესის თავისებურებები, ბრძანებითი სქესის ხმარებისას არ და ნუ ნაწილაკების გამოყენება

[1] შეადარეთ ვეფხისტყაოსნის: „უხვი ახსნილსა დაბამს, იგი თვით ების, ვინ ებნეს (იხ. ამ სტროფის თეიმურაზ ბაგრატიონისეული განმარტება. თ. ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960 წ., გვ. 13) თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნ. ჩუბინაშვილისა და პ. იოსელიანის ეს აზრი რუსული გრამატიკული ლიტერატურის გაელენის შედეგი უნდა იყოს.

განუსაზღვრელი სქესის ლათინურ გერუნდიეთან გათანაბრება და სხვ., სიტყვა-სიტყვითაა გადმოტანილი ნ. ჩუბინაშვილისგან (იხ. ლექსიკონი, გვ. 114. ჰ. იოსელიანი, გრამატ. გვ. 39—40).

უღვლილება (მსგავსად ქართველიშვილისა და დოდაშვილისა) ორია: 1. „ზმნანი პირველისა უღვლილებისნი აწმდგომსა შინა დროსა პირველსა შინა პირსა განპიროვნდებიან ასოითა ვ; მერმესა პირსა ასოთა მიერ შემდგომთა მისთა, რომელნიც მარადის დასხდებიან ანუ ა, ანუ ე, ანუ ი, ანუ უ, ანუ ჰ, ხოლო მესამესა ბოლოს ასოსა ს. მაგ.: ვაქებ, აქებ, აქებს: ვესერი, ესერი, ესვრის: ვიქმ, იქმ, იქმს; ვუამბობ. უამბობ, უამბობს; ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერ და სხვ.

2. ზმნანი მეორისა უღვლილებისანი აწ-მდგომსა შინა პირველისა პირისა, დროსა მხოლოობითსა რიცხვსა აქვს განმაპიროვნებელი ასო მ. მეორესა შინა პირსა გ. ხოლო მესამესა შინა პირსა უ, ა, ჰ, ე და ანუ მეორესა პირსა მაპიროვნებელსა გ-სა შემდგომი ასოი მაგ.: მრწამს, გრწამს. ჰრწამს. მიყვარს გიყვარს. უყვარს, მაქვს, გაქვს, აქვს და სხვ“. (გვ. 41).

სქოლიოში ავტორი შენიშნავს: „...უღვლილება ესე მიღებული რომელთამე ღრამმატიკათა შინა არს უმჯობესი სხვათა ყოველთა ამ გვართა, თუმცაღა არცა ესე არს სრულიად კმაყოფილი. ანტონი მომღები ათთა, გაიოს — ექვსთა უღვლილებათა განაძნელებენ მით განარჩევას, ბათსა: **ამისათვის ყოველთა ღრამმატიკისა მწერალთა დაუშბებათ შემდგომად ზრუნვა შემოყვანისთვის ყოველთა ქართულსა ენისა ზმნათა უფრორე მარტივსა სქემასა შინა“** (გვ. 41).

პლატონი სრულიად სამართლიანად მიუთითებს ანტონისა და გაიოზის სქემათა სირთულეზე, მართლაცდა. ორი უღლება უფრო მარტივია, ვიდრე გაიოზის ექვსი ან ანტონის 8 (და არა ათი. როგორც იოსელიანს აქვს), მაგრამ სიმარტივე ხომ რაოდენობის სიმცირით არ განისაზღვრება მხოლოდ, საჭიროა იგი კარგად გადმოგვცემდეს თავის დანიშნულებას ამ მხრივ კი იოსელიანის ორი უღლებაც ვერაფრით სჯობია მისი წინამორბედებისას, რადგან იგი სრულიადაც ვერ გვაახლოებს ქართული ზმნის უღლების ჰეშმარიტი სურათის ასახვასთან.

ქართველიშვილის გრამატიკიდან მომდინარე ეს ორი უღლება ზმნათა, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, სუბიექტური და ობიექტური წყობისად დაუოფა უფროა, ვიდრე ნამდვილი უღლების გამომხატველი.

ქართველიშვილმა, რომელმაც პირველმა შემოიღო ორკგუფიანი უღლება, პირის ნიშნებისათვის საგანგებო თავი გამოჰყო და შეძლებისდაგვარად ყველა ნიშანი ჩამოთვალა.

დოდაშვილმა ქართველიშვილიდან აიღო ორჯგუფიანი უღლება, მაგრამ სრულიად გამოტოვა თავი პირის ნიშნებზე.

პ. იოსელიანმა პირწმინდად გაიმეორა დოდაშვილის ეს შეცდომა. და... რა მივიღეთ? — ანტონის გრამატიკის ბრწყინვალე ადგილები პირისა და რიცხვის ნიშნების შესახებ, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ზმნის (განსაკუთრებით ქართული ზმნის) სტრუქტურის სწორი ანალიზისათვის, თითქმის სრულიად განიდევნა გრამატიკიდან.

ამ შეცდომამ, უნდა ითქვას, გააუფერულა ის ზოგი გონებამახვილური დაკვირვება, რომელიც იოსელიანის გრამატიკის ამ ნაწილში აქა-იქ უთუოდ არის.

უღლებას მოსდევს ზმნათა დაყოფა კ ა ნ ო ნ ი ე რ ა დ და უ კ ა ნ ო ნ ო დ, რის საფუძველსაც შეადგენს უღლების საზოგადო კანონისადმი დამორჩილება და დაუმორჩილებლობა.

აქვეა სქოლიო რომელშიაც საუბარია სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი განცხადების შესახებ პ. იოსელიანის მიერ ყველა ქართული ზმნის თითქოსდა უკანონოდ მიჩნევის თაობაზე. **„ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონი, თვითეულსა ზმნას აქვს თვისება ვარდაკეთებისა სხვად ზმნად მიმატებითა რომელთამე მარცვალთა, მრავალთა სხვათა სიტყვის ნაწილთა ძალუძსთ გარდაქცევა ზმნად, აქედან გამოვალს სიძნელე კანონთა მიღებისა მათთვის და ვჰსცნობთ, რომელ თვისება ესე ენისა არს დიდი სიმდიდრე და უხვება“ (გვ. 43).**

აშკარაა, არც ისეა საქმე, როგორც წარმოგვიდგენდნენ. აქ „უკანონო“ ქართული ზმნის ფორმისა და შინაარსის საოცარი მრავალფეროვნების გამომხატველია მხოლოდ, თანაც ხაზი ესმის იმ გარემოებას, რომ ქართულში თითქმის ყოველი მეტყველების ნაწილი, მართლაც. შეიძლება ზმნად იქცეს, რაც ავტორის აზრით, ქართული ენის „სიმდიდრე და უხვება არის“. არა გვგონია, პირნაკლებობა სიმდიდრედ და უხვებად მიეჩნია ავტორს. ამას გარდა, როგორ შეეძლო მას ქართულის ყველა ზმნა უკანონოდ მიეჩნია იმის შემდეგ, რაც ზევით მათ ორ დიდ ჯგუფად (კანონიერ და უკანონო უღლების მქონედ) ჰყოფდა.

ავტორი „ნამდვილ“ უკანონო ზმნებში გამოჰყოფს ჯგუფს რომლებიც: 1. „აღივსებიან სხვათა ზმნათაგან“: „ვარ-ვიყავ: ვაძლევ-მივეცემ, ველი-მოვუცადე; ვალ-ვიდოდი, 2. ნაკლობითს, რომელთაც აკლიათ რაიმდენიმე დრონი და არღა აღივსებიან სხვათა ზმნათაგან: ვიცი. ვესავ, ვჰფლობ: 3. პირნაკლნი, რომელთაცა აკლიათ ანუ პირი პირველი, მაგ.: მწერ, მწერს, ანუ მეორე, მაგ.: გწერ, გწერს, ანუ პირველი და მეორე ჯერ-არს ჰშვენის (!) და სხვა“ (გვ. 44).

მეტად მნიშვნელოვანია პლატონ იოსელიანის (თუმცა, სრულიად ცალკე მდგომი) შენიშვნა იმის თაობაზე, რომ უსრული დროის სრუ-

ლად და ქმნადად შესაცვლელად გამოიყენებიან ზმნისწინები. ჩამოთვლილია ყველა ზმნისწინი (მისი ტერმინით „მარცვალნი“) წერილობითი და მდაბიური:

ქმნადი სრული

წერილობითი	მდაბიური	წერილობითი		მდაბიური
აღ	ა	აღვალ	-ვედ	ავალ
აღმო	ამო	აღმოვალ	-ვედ	ამოვალ
გან	გა	განვალ	-ვედ	გავალ
გამო	—	გამოვალ	-ვედ	—
გარდა	გადა	გარდავალ	-ვედ	გადავალ
გარდამო	გად	გარდამოვალ	-ვედ	გადმოვედ
და	—	დავალ	-ვედ	—
მი	—	მივალ	-ვედ	—
მო	—	მოვალ	-ვედ	—
მიმო	მიმოდა	მიმოვალ	-ვედ	მიმოდავალ
შე	—	შევალ	-ვედ	—
შემო	—	შემოვალ	-ვედ	—
—	ჩა	მთავალ	-ვედ	ჩავალ
მთამო	ჩამო	შთამოვალ	-ვედ	ჩამოვალ
წარ	წა	წარვალ	-ვედ	წავალ
წარმო	წამო	წარმოვალ.	-ვედ	წამოვალ

სქემაზე ერთადერთი ფორმაა (მიმოდავალ) ცოტა უჩვეულო, თორემ სხვა მხრივ ერთი ყველაზე უფრო ზუსტი და მეცნიერულად დასაბუთებულია, ყველა სხვა სქემასთან შედარებით, თუმცა ესეც მთლიანად პ. იოსელიანის დამსახურებად ვერ ჩაითვლება. ეს სქემა ოდნავი ცვლილებით აგრეთვე ნ. ჩუბინაშვილისგანაა აღებული [1].

ასევე ნ. ჩუბინაშვილისგან მოდის პლატონის გრამატიკაში შენიშვნები: ზმნისწინების სიტყვათმწარმოებელი ფუნქციის, ზმნის წინსა და ფუძეს შორის სხვა მარცვლის ჩასმის შესაძლებლობის, „თურმესა“ და „ხოლმეს“ ხმარების, რთულ ზმნებთან დაკავშირებული საკითხების, ი სუფიქსიანი ზმნების ხმარებისა და სხვათა შესახებ (გვ. 64—65) [2].

[1] მაშასადამე, სრული და უსრული ასპექტის წარმოების საკითხი დ. ყიფიანამდე დასმული ყოფილა ნ. ჩუბინაშვილის მიერ და გრამატიკაში შეტანილი პ. იოსელიანისაგან. საწინაღმდეგო შეხედულება (იხ. აკ. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 86—87).

[2] ამ შენიშვნის შესახებ იხ. აგრ. ივ. ქავთარაძე. ზმნის ძირითადი კატეგორიები ძველ ქართულში, თბ., 1954 წ., გვ. 6—7.

მე-10 შენიშვნა პ. იოსელიანს დამოუკიდებლად გაუკეთებია. იგი ეხება ხ-პირის ნიშნის ხან ნ და ხან (ბრძანებითში) ედ-იდ (?) აფიქსებით შეცვლის შემთხვევებს.

ეს ერთადერთი შემთხვევაა მთელს გრამატიკაში, როცა პირის ნიშნებზე საგანგებოდაა ლაპარაკი.

იოსელიანთან ალბათ, კვლავ დოდაშვილის მიბაძვით, არაფერია ნათქვამი ზმნის დამაბოლოებელ ნიშნებზე, რაც აგრეთვე ცალკე თავად იყო გამოყოფილი ქართველიშვილთან.

ამით მთავრდება ზმნა.

როგორც ვხედავთ, იოსელიანი ძირითადად დოდაშვილს მიჰყვება, ხშირად ემყარება ნ. ჩუბინაშვილის მოსაზრებებსაც და არაიშვიათად თავის საკუთარ დებულებებსაც გადმოგვცემს.

მ ი მ ღ ე ო ბ ი ს განხილვისას იოსელიანმა კვლავ დოდაშვილს მიმართა, გადმოიღო მისგან ზოგადი დებულებები და საკითხიც თითქოს და გადაჭრა, მაგრამ, როგორც კი საქმე მიმღეობის წარმოებასა და მაწარმოებლებს შეეხო. მან შესაბამისი პარაგრაფი დოდაშვილის გრამატიკისა გადააკეთა თავისებურად და მრავალი მაწარმოებელი (თავსართი: მ, მმ, მო; ბოლოსართი: ულ, დი, რი, რე ლე, ლი), სრულიად გამოტოვა. დაასახელა მხოლოდ პრეფიქსები: სა, და ნა; სუფიქსები ი (წერად-ი), ლი (წ ე-რ ი-ლ ი), რითაც, რა თქმა უნდა, ჰეშმარიტებას დიდად დაშორდა.

მიმღეობას ქართულ გრამატიკებში, ჩვეულებრივ, თანდებული მოსდევდა. მეტყველების ნაწილთა ჩამოთვლის დროს პლატონიც ამავე თანამიმდევრობას იცავდა (გვ. 7), მაგრამ, როცა მეტყველების ნაწილები განიხილა, თანამიმდევრობა შეცვალა და მიმღეობას მიაყოლა ზმნისზედა. იქნებ ვ ა რ ლ ა მ ი ს გრამატიკის გავლენით, თუმცა ვარლამი უფრო თანამიმდევრულია, მას ყველგან (ჩამოთვლის დროსაცა და განხილვის დროსაც) მიმღეობის შემდეგ ზმნიზედა აქვს მიდევნებული, როგორც ეს რუსული გრამატიკული ლიტერატურის ტრადიციებს შეეფერებოდა.

ზმნიზედის განსაზღვრას („...არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც აჩვენებს მოქმედებისა ანუ ვნებისა ვითარებასა, რაოდენობასა, დროსა და ადგილს მაგ.: დიდად მწარე, ჩქარად ვალს, მშვენიერად მწერალი და სხვ.“ გვ. 67). მოჰყვება მისი ჯგუფების ჩამოთვლა: 1. ვითარების, 2. რაოდენობის, 3. დროის, 4. ადგილის, 5. უკუთქმითნი, 6. მჰსწრაფლობითნი, 7. შემკრებლობითნი, 8. განკერძოებითნი, 9. საწადნი, 10. ჩვენებითნი, 11. საზღვრებითნი; 12. საიჭვონ; 13. შემსგავსებითნი.

ზმნიზედათა ეს ჯგუფები არც რიგისა და არც რაოდენობისა (თუ შეუგენილობის) მიხედვით არ იმეორებენ არც ერთ წინამორბედ გრამატიკას.

თუ მოვიგონებთ, ანტონთან გვქონდა მხოლოდ ოთხი ჯგუფი, გაიზთან — 17; ქართველიშვილთან და დოდაშვილთან — 19. ჯგუფების დასახელებაში იოსელიანი ათ შემთხვევაში იმეორებს ანტონს: ერთი („მჰსწრაფლობითი") საერთო აქვს ქართველიშვილ-დოდაშვილთან ერთი („მჰსგავსებითი") — გაიოზთან, ხოლო ერთი — საზღვრებითი („აქამდე", „ვინაიდან") თავად მას ეკუთვნის.

წინამავალი გრამატიკოსების მსგავსად, ზმნიზედის ჯგუფების გაბოყოფისა და ამ ჯგუფებში მასალის გადანაწილების საქმეში ბევრი ნაკლი შეიმჩნევა იოსელიანის გრამატიკაშიც.

სწორი და ორიგინალურია იოსელიანის შენიშვნა: „ოდესმე ზმნიზედანი გასაძლიერებლად. ჰაზრისა მიიღებენ სხვათა ზმნიზედათა. მაგ.: საკმაოდ კეთილად, დიდად უსიამოვნოდ და სხ." (გვ. 69).

თავი მეექვსე ეთმობა თანდებულს, იგი გვიჩვენებს: „ურთიერთარსა რაისა-მიმართობასა შორის საგანთა და ვითარებასა ანუ მოქმედებისა მათისა, მაგ., სარბიელსა ზედა" (გვ. 70). ჩამოთვლილია თითქმის ყველა თანდებული — სულ 44. ზოგი მათგანი, შეიძლება არ მივიჩნიოთ თანდებულად, მაგრამ დიდი უმრავლესობა სწორადაა გამოყოფილი. ამ მხრივ, ეს თავი ერთი უკეთესთაგანია მთელს წიგნში და საერთოდ ვახტანგისეულ გრამატიკათა მსგავს თავებს შორის.

მეტად ფასეულია ის შენიშვნებიც, რომლებიც ამ თავს ერთვის იმის შესახებ, რომ 1. ქართულში შეიძლება იბრუნოს თანდებულდართული სიტყვა მაგ.: **კაცებმაერი, კაცებსებრმა**[1] და სხვა: 2. „რამდენიმე ზმნიზედანი ცა შეიქმნებიან თანდებულად, მაგ.: **წინახწარ, უკანახკნელ, გარეგან, შინაგან** და სხვ. ესე ვითარნი ოდესმე დაესხმიან ზმნათა ანუ მიმღეობათა, მაშინ „არიან ზმნიზედანი" (გვ. 72). სამაგიეროდ, ანტონისაგან განსხვავებით, მას არაფერი უთქვამს იმაზე, თუ რომელი თანდებული რომელ ბრუნვას ერთვის — ამჯერად უკვე, ალბათ, ქართველიშვილ-დოდაშვილის გაგლენით.

კავშირების განხილვისას პლატონი კვლავ ორიგინალობას იჩენს. წინააღმდეგ ყველა წინამორბედი გრამატიკოსებისა, იგი არ გაჰყოფს ცალკე ჯგუფებს, გაუგებარია რა საფუძველზე მიიჩნია ეს ნაწილაკები (ვე, ვი, კი, მე, რე, ღა, ცა, ცალა, ველა, მცალა) პლატონმა კავშირებად (იხ. გვ. 74).

შორისდებულთა ჯგუფები გამოყოფილი არაა. ისე კი, უმეტესობა შორისდებული სწორადაა ნაპოვნი. აქაც, უკვე სხვათაგან და-

[1] მართალია, ეს შენიშვნა ანტონისგან მოდის, მაგრამ იგი არა აქვთ არც გაიოზს და არც ქართველიშვილსა და დოდაშვილს.

მოკიდებლად ნათქვამია, რომ „შორისდებულნი რამენიმე გარდავლენ სხვად ნაწილად სიტყვისა და იბრუნვიან. მაგ.: ვაი, ვაება, ვეება: ვაშა—ვაშასა უძღვნიან მძლეველისა; ფუფუს ეტყვის“ (გვ. 75 — ხაზი ჩვენია — ა. ფ.) და სხვა.

მეორე ნაწილი

იოსელიანის გრამატიკის მეორე ნაწილი — ლექსთთხზულებისათვის (სინტაქსი) — გაცილებით უფრო ორიგინალური შრომაა.

ლექსთთხზულების განსაზღვრის შემდეგ (იგი „არს ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს სიტყვის ნაწილთა კანონიერსა შეწყობასა, გამოხატვისათვის სრულისა ჰაზრისა“ (გვ. 76). ავტორი პირველსავე თავში („საზოგადოდა კანონთა-თვის ლექსთა-თხზულებისა“) ლაპარაკობს სჯაზე, წინადადებაზე, მის წევრებზე („ქვემდებარე“, „შემასმენელი“, „კავშირი“), წინადადების სახეებზე („მარტივსა“ და „რთულზე“, რა თქმა უნდა, არა დღევანდელი გაგებით) და წინადადების წევრთა ურთიერთობაზე.

შემდეგ ლაპარაკია ბრუნვათა გამოცნობაზე კითხვების დახმარებით და მას მოჰყვება ჩვენთვის უკვე ცნობილი, სიტყვის ნაწილთა ურთიერთშეწყობის (შეთხზვის) წესები: სახელის შეწყობა სახელთან; სახელისა ზედსართავთან და რიცხვითთან; ნაცვალსახელის შეთხზვა სახელთან; ზმნისა სახელთან; მიმღეობათა, ზმნიზედათა, თანდებულთა, კავშირთა და შორისდებულთა შეთხზვისათვის.

ამით მთავრდება ეს ნაწილი.

აქ, რატომღაც, ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები პერიოდები, რომლებიც ასე რელიეფურად იყო მოცემული ს. დოდაშვილთან და ი. ქართველიშვილთანაც.

სჯა და წინადადების წევრები იოსელიანთან ისეევა, განსაზღვრული, როგორც დოდაშვილთან. მაგრამ შემდგომ იოსელიანი ცდილობს ორიგინალობას და აშკარად მცდარ დებულებებს გვაწვდის. მისი აზრით, „ქვემდებარე და შემასმენელი იქმნებიან ანუ მარტივი ანუ ჰრთული; პირველი შეიცავს ერთსა საგანსა ანუ ვითარებასა, ხოლო მეორე მრავალთა საგანთა ანუ ვითარებათა — ამათგანვე წარმოსდგების წინადადება“. (გვ. 77).

ავტორმა, როგორც ჩანს, დოდაშვილის აზრი („წინადადება განსჯისაებრ ქვემდებარისა და შესმენილისა განიყოფების მარტივად და ჰრთულად“) გადააკეთა და მიიღო, რომ თვითონ ქვემდებარე და შემასმენელი იქნებიან მარტივი და რთული. არც ისაა გასაგები, რას ნიშნავს: „ამათ-

განვე წარმოსდგებიან წინადადება". რისგან? მარტივი ან რთული ქვემდებარისა და შესმენილისგან, თუ სხვა რამისგან? თუმცა ცალკე აღებული მარტივი წინადადება (არის „ოდეს მას შინა იპყრობის ერთი ქვემდებარე და ერთი შესმენილი") და ასევე რთულიც („ოდეს იპოვებიან ორნი ანუ მრავალნი წინადადებანი") ზუსტად დოდაშვილისებურად განსაზღვრა.

წინადადების საშუალებით ხერხდება სიტყვათა „ურთიერთ-შეთანხმავებაო" — გვეუბნება იოსელიანი და გვაწვდის „შეთანხმავებათა" შემდეგ წესებს: ქვემდებარე. შესმენილი და კავშირი „დაიდებიან ერთსა რიცხვსა და პირსა შინა", არსებითი, ზედშესრული. რიცხვითი, ნაცვალსახელი და მიმღეობა ერთიმეორეს შეეთხზვიან „ერთითა რიცხვითა და ბრუნვითა": რამდენიმე ქვემდებარესთან კავშირი (რომელიც ჩვეულებრივ „არის" ზმნითაა წარმოდგენილი) მრავლობითშია: ზედშესრული და ზედშესრულად გამოყენებული სხვა მეტყველების ნაწილები. თუ ორ ან მეტ სახელს განსაზღვრავს, მრავლობითშია: სახელები და მიმღეობები გამოიცნობიან ბრუნვის მიხედვით.

თუ როგორ ხდება გამოცნობა, ავტორი იქვე განმარტავს: „სახელობითი იცნობების კითხვითა ვინ? რაი? რომელი? ვითარი? რაოდენი ანუ მერავდენე? ვინ მოვიდა? პეტრე: რაი? ნივთი: რომელი იტყოდა? ესე: ვითარი არს კაცი? კეთილი: რავდენი გაქვს საქმე? შვიდი: მერავდენი რიცხვი არის თეისა? მერვე და სხვა" (გვ. 78—79).

ასეთი მეთოდით ჩამოთვლილია ყველა ბრუნვა. რომელთაც გზადაგზა ახლავს საინტერესო შენიშვნები: „მოთხრობითი ოდესმე მხოლობითსა შინა ბრუნვასა მოისპობს მარცვალსა **მან** და მიიღებს კლებულსა ნიშანსა" (გვ. 79). ამ წესის საილუსტრაციოდ მოტანილია — „**ჰრქუა იესო მოწაფეთა თვისთა**".

როგორც ვხედავთ, ლაპარაკია საკუთარ სახელთა ბრუნებაზე და მითითებულია, რომ მოთხრობითში ისინი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ. მაგრამ ავტორმა საქმე ისე წარმოგვიდგინა, თითქოს მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს მუდამ ე. წ. კლებული (0) ცვლიდა, სინამდვილეში იგი ანტონის შემოღებულია და ძველ ტექსტებში არ გხვდება.

მეორე „სქოლიოში" საუბარია იმაზე, რომ ზოგჯერ გვაქვს დაბოლოება **ვ** და „**ჳ** არა ყოველთვის მოებმის წოდებითსა ბრუნვასა". იქვეა ნათქვამი, რომ „მხოლობითსა შინა რიცხვსა საკუთრებითნი სახელნი მოქმედებითად (ე. ი. მოქმედებით ბრუნვაში — ა. ფ.) იშვიათად იხმარებიან (გვ. 80).

ახლებურია წინადადებათა განსაზღვრა მოდალობის მიხედვით: „ყოველი წინადადება იქმნებიან სამგვარნი: მოთხრობითნი (ე. ი. თხრობითნი — ა. ფ.). კითხვითნი და ბრძანებითნი" (გვ. 82).

მეორე თავი იწყება სახელთა შეთხზვით.

აქაც ბევრი რამაა ახალი, თუმცა ძირითადად მაინც ნაცნობ წესებსა და კანონებს ეხვდებით: თუ ორი არსებითი უკავშიროდ გადაებმის ერთმანეთს, ერთი იხმარება ნათესაობითში (**კიდე მდინარისა ანუ მდინარის კიდე; თხზვა ლექსთა ანუ ლექსთა თხზვა**); რომ, ასევე ნათესაობითშია წარმოდგენილი, როცა ერთი საკუთრებას აღნიშნავს (ნატეხი პურისა); რომ გაორკეცებული სიტყვის მხოლოდ მეორე ნაწილი იბრუნვის (ფარ-ხმალი, ფარ-ხმალმა...); თუ შემკრებლობითი ახლავს საზოგადოს, ხან მხოლოობითშია, ხან—მრავლობითში; თუ კითხვაზე ეპასუხობთ, საჭიროა მიცემითი ბრუნვა და მრავალი სხვა.

ზედშესრულის სახელთან შეთანხმებასაც რამდენიმე წესი ახლავს: ისინი უთანხმდებიან ერთმანეთს ბრუნვაში; ზედსართავი ხან მოქმედებითს მოითხოვს და ხან ნათესაობითს (**კაცი ჩინებული სიმხნითა, მოქმედი კეთილისა**) და სხვა.

ზედსართავის ხარისხებთან დაკავშირებით პლატონი, პირველი გრამატიკოსთა შორის, უკუაგდებს აღმატებითი ხარისხის უუ მაწარმოებელს, რადგან „ძველთა მწერალთა შორის არახმარებულ არს“ (გვ. 86).

აქვე აღნიშნავს იოსელიანი, რომ ზედშესრული არსებითის წინ, მდაბიურ ენაში, ზოგჯერ ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება („ე ლ ი ნ უ რ ი ხ ა ე ნ ი თ ა ი ტ ყ ო დ ა“), თუმცა არ არს ესე კანონიერ“-ო, მაგრამ იმას აღარ გვეუბნება როგორ უნდა იყოს „კანონიერად“.

იოსელიანი ისეთ შემთხვევებსაც გვიჩვენებს, როცა აღნიშნული წესთაგან გადაუხვევიათ ავტორებს: ზოგჯერ ზედშესრული და არსებითი რიცხვში ერთმანეთს არ ეთანხმებიანო — („ჩ ე მ ი ყ ო ვ ე ლ ი ს ა ქ მ ე ნ ი გ ა ც ო დ ნ ი ა ნ“ — **„ვეფხისტყაოსნიდან“**). ასევე, ნათესაობითის ნაცვლად ზოგჯერ მიცემითი უხმარიათ „უმეტესად უცხოთა ენათაგან თარგმნილთა წერილთა შინაო“: („გ ო ნ ე ბ ა ს ა მ ი ს ს ა უ მ ე ც ა რ ვ ა რ თ“) კანონიერად: „გ ო ნ ე ბ ი ს ა მ ი ს ი ს ა უ მ ე ც ა რ ვ ა რ თ“ და სხვანი (გვ. 87).

ზოგჯერ ზედსართავი შეიქმნების არსებითადო: (ბ ე დ ნ ი ე რ ი მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი, ცხადი ტ ყ უ ი ლ ი): „ბრძენი“, „გონიერი“ შეიძლება იყოს ადამიანი, ხოლო ნივთზე ითქმის „ბრძნული“, „გონივრული“: „უ ა ღ რ ე ს ს ა“ და „უ პ ი რ ა ტ ე ს ს“ მხოლოდ შეთანასწორებითი და აღმატებითი ხარისხი აქვთ, დადებითი — არა.

რაც ზედშესრულზე ითქვა, იგივე უნდა ითქვას რიცხვით სახელებზეო, ამბობს ავტორი და იქვე დაუმატებს ზოგ წესს: ჰასაკის დასახელებისას საჭიროა ნათესაობითი ბრუნვა (**ყ რ მ ა ი ე რ თ ი ს ა წ ლ ი ს ა**); რთულ რიცხვითი სახელის ბრუნებისას იბრუნვის ბოლოკიდური (**ა ს ო ც-დ ა-ხ უ თ ი, ა ს ო ც-დ ა-ხ უ თ მ ა...**).

ნაცვალსახელის შეთხზვის წესებს პლატონი რატომღაც ქართულში არარსებული კანონით იწყებს: „ნაცვალსახელნი არსებითნი: მე, შენ, იგი, ჩვენ, თქვენ, იგინი დაიდებიან ყოველთა კნინღა დროთა შინა ზმნათა თანა განსაძლიერებლად სიტყვისა მაგ.: მ ე ა ღ ე ს დ ე გ. შ ე ნ ა ღ ს დ ე გ, ი გ ი ა ღ ს დ გ ა“ (გვ. 89).

„თვისი“ სამსავე პირთან იხმარება კუთვნილების გადმოსაცემად, ხოლო „თვით“ დაერთვის აზრის გასაძლიერებლადო.

ნაცვალსახელები, არსებითები, ჩვენებითები და მოგებითები სახელთანხმობენ რიცხვსა და ბრუნვაში.

შემდეგი (მეოთხე თავი) ეხება ზმნისა და სახელების ურთიერთშეთხზვას.

ყოველი პიროვანი შემოქმედებითი ზმნა ორ სახელს ითანხმებს — უფალსა და ძიებას, რომელთაგან უფალი არის მოქმედი, ხოლო ძიება — ვნებული. ასევე ორ სახელს ითანხმებენ ვნებითნიც. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ უფალი არს ვნებული, ხოლო მოქმედი არს ძიება, მაგ.: (ქვეყანა განათლდების მზით). ამ მაგალითში ქვეყანა არის ვნებული — უფალი, ხოლო მზე არის მოქმედი — ძიება (გვ. 94).

აქვეა საკმაოდ დიდი სჭოლიო იმის დასამტკიცებლად, რომ ქართულში არაა საჭიროება შემასმენლობითი ბრუნვისა, რომლის გამორიცხვის შემდეგ უფლისა და ძიების ბრუნვები ასე განაწილდებიან: უფალი მოითხოვს ნიადაგ სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს, ხოლო შემოქმედებითი ზმნის ძიებად ნიადაგ სახელობით ან მიცემითია, ვნებითისა — ნათესაობითი გან თანდებულით და მოქმედებითი საშუალო ზმნები. „შეეთხზიან თვითოთა სახელთა, რომელნიცა მათი უფალნი არიან“ (გვ. 96).

ძ ი ე ბ ი ს ო რ ი სახე იცის იოსელიანმა: ნ ა თ ე ს ა ე ბ ი ს ა და ბ უ ნ ე ბ ი ს ა, რომელთაგან პირველი მოქმედებით და ვნებით ზმნებს ახლავთ, ხოლო მეორე „აღნიშნავს მოქმედების საშუალებასა — ანუ გარემოსა. მაგ.: „ქ ა რ მ ა ნ ა ღ გ ა ვ ა მ ტ ე ვ რ ი პ ი რ ი ს ა გ ა ნ ქ ვ ე ყ ნ ი ს ა: ქ ა რ ი არს უფალი, მ ტ ვ ე რ ი — ნათესაისა ძიება, „პ ი რ ს ა გ ა ნ ქ ვ ე ყ ნ ი ს ა — ძიება ბუნებისა“.

შემოქმედებითი და ვნებითი ღებულობს ზოგჯერ ორივე ძიებას, საშუალონი — მხოლოდ ბუნების ძიებას.

ყველაფერი ეს ტრადიციული წესებია. იმ განსხვავებით, რომ ბუნების ძიება იოსელიანთან, თითქოს უფრო მკვეთრად გამოხატული სახითაა მოცემული, როგორც უბრალო დამატებისა და გარემოების მომცველი.

შემდეგ ავტორი ჩერდება სხვადასხვა სქესის (ე. ი. კილოს — ა. ფ.)

ზმნათა მიერ უფლისა და ძეებისგან მოთხოვნილ ბრუნვებზე და გადმოვცემს ტრადიციულ წესებს.

„არის“ და „იქმნების“ ზმნებთან ორ-ორი სახელობითია ხშირად შეთანხმებულიო, — წერს ავტორი და მოაქვს ასეთი მაგალითი: „დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა“ — ზოგჯერ ერთი მათგანი ჰყარგავს ი ასოს: „ღმერთი წარმართთანი ეშმაკ არიან“.

აქ ყველაფერი გასაგებია, ორი სახელობითიდან ერთი უფლისაა, მეორე — შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია და ეს რომ ავტორმა არ იცის, დანაშაული არაა. მაგრამ სრულიად გაუგებარია, რის თქმა სურს ავტორს, როცა მოტანილ მაგალითების შემდგომ აცხადებს: „თანასწორ ამისა იქცევიან შემდგომნი ზმნანი: ვასწავებ, ვაძლევ: მაგ.: მოძღვარი ასწავებდა ღრამმატიკასა მოწაფეთა თვისთა, მოძღვარმან ასწავა ღრამმატიკა მოწაფეთა თვისთა... ღმერთი აძლევდა საზრდოს გლახაკთა... ღმერთსა მოუციეს საზრდო გლახაკთათვის“ (გვ. 102).

სრულიად ცხადია, რომ „ვასწავებ“ და „ვაძლევ“ ზმნებს არაფერი საერთო და „სათანასწორო“ არა აქვთ „არისა“ და „იქმნებისა“ ზმნებთან.

მეტად საინტერესოა პ. იოსელიანის მოსაზრება რუსული „დეეპრიჩასტიეს“ მსგავსი ფორმის ქართულში არსებობის თაობაზე: ჯდომელა (сидя), დგომელა (стоя), ან უკუთქმითად — უსვენებლივ (не отдыхая), ამ ფორმას იგი „ნაკლ-მიმღეობითს სქესს“ ეძახის.

პლატონი არაიშვიათად ეკამათება ძველ მწერლებს, რომელთა „წერილთა შინა იპოებიან ზმნაში შეთანხმავებულნი ნათესაობითისა ბრუნვისა თანა წინაალმდეგ ენისა თვისებისა“,—მხედველობაში აქვს ფორმა „მიეალ მამისა“. აქ აშკარაა აქლია თანდებული -მდი. უნდა იყოსო „მიეალ მამისადმი“. ასევე ზოგჯერ, სახელობითის ნაცვლად, ნათესაობითს ეთანხმება ზმნები. მაგ.: დაიწყეს უფლისა, ნაცვლად — დაიწყეს უფალი! „მწერალთა უხმარიათ ესე სურვილისამებრ თვისისა და მიუხედველად ენისა თვისებისა“ (გვ. 114).

შემდეგი პარაგრაფი ეძღვნება სახელობითში დასმული დამატების ძრავლობითში გამოხატვას: აწმდგომ დროში „მიყვარან“. „გკონან“; ქმნილს უსრულში, „შეიყვარნი“, „შევკრნი“; ქმნილს სრულში, „შეიყვარნა“, „აკურთხნა“ და სხვა.

ასეთი ფორმები შესაძლებელია საზღერებითს, ბრძანებითს და სათუო სქესშიც.

მიმღეობასთან დაკავშირებით ავტორი ამბობს, რომ იგი იქცევა ზედშესრულისა მსგავსად და შეეთანხმება სახელს ბრუნვასა და რიცხვში.

საინტერესო ჩანს პლატონის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მიღეობაში ზოგჯერ ერთიანდება ზმნა და კილამიმღეობითი ხაცვალსახელი — რომელი. ასე, მაგ.: „მკითხველი" ანუ რომელიც კითხულობს, „შემწირველი" ანუ რომელიც იქმს შეწირვას.

პლატონის აზრით, ზმნიზედად გამოიყენება ყველა სიტყვა, მიცემითში დასმული (ად, დ ნიშნებით), რომლებიც პასუხობენ კითხვებზე: სად? რად? მცხეთად, სიტყვად. ზმნიზედად გამოიყენება ზოგჯერ „დღისი" სიტყვაც: „დღისიხმავჰყავ შენდამი დაარა ისმინე ჩემი დაღამე არა იღვაწე ჩემთვის" (ფსალ. 21. 2).

თანდებულები „მოეკიდებიან" სახელებს, ნაცვალსახელებს, მიმღეობებს და ითხოვენ ბრუნვებს ნათესაობითსა და მიცემითს, თანაც ჩვეულებრივ ორივესთან შეიძლება შეხვდეთ ერთსა და იმავე თანდებულებს, მაგ.: ახლოს, წინაშე, შორის, თუმცა ზევით განაცხადა თანდებულები „მოეკიდებიან" ნათესაობითსა და მიცემითსაო. შემდეგ საუბარია თურთ თანდებულზე, რომელიც ერთვის მოქმედებითს და ჩამოკვეცს ბრუნვის ნიშნის ა-ს; შემდეგ კი — ორი თ ერთიმეორის გვერდით ვერ ძლებს და ერთი იკარგება. კერძოდ რომელი? — ამაზე არას ამბობს.

აქვე ლაპარაკობს უ-ესი თავსართ-ბოლოსართის საკითხზე, თანაც ასეთი განმარტებით: „თუ უ მოუვა თავში და არ ახლავს ესი, სიტყვა ნიშნავს უკუთქმასა (უბიწო, უცნობი). ხოლო ესითურთ ნიშნავს შეთანასწორებითს ან აღმატებითს". იმას გარდა, რომ აქ უადგილო ჩანს ამ საკითხზე საუბარი, ავტორი ანგარიშს არ უწევს „უბიწო-ს" ბოლო ო-ს. რომელიც უ-ს ახლავს ყოველთვის მსგავსი წარმოებისას.

დმი, მიმართ, გან, გამო თანდებულები ნათესაობითს მოითხოვენ და თანაც დმი და მიმართ ერთმანეთს ენაცვლებიან.

თანდებული ვიდრეს ზოგჯერ ცვლის მი, მო, გარ — „მიერთამდე", ე. ი. „ვიდრე ერთამდე", „მიდღეინდელად დღედმდე", ე. ი. „ვიდრე დღეინდელად დღემდე". თან ხან თავში იხმარება: თანამდები, თანაშემწე, ხან ბოლოში: კაც-თანა, ჩემთანა, ჩემის თანა და გადმოგვცემს აზრს — ჩემებრივი, მისებრივი;

ებრ თანდებული ხან წინ დაესმის სიტყვას და ხან — უკანო. „მდა-

პირ მეტყველებაში" მას სცელის **ებური**: ჩვენებური (გვ. 108—111).

პლატონთან ყველაზე მდიდრად კავშირთა ჯგუფი გამოიყურება. აქ კავშირებს (უკეთ, ოდეს, თუმცა, ეგრეთცა, არათუ-ოდენ, არამედ, ანუ, ანუთუ, ესრეთვე, ეგრეთვე, ვითარცა, ვითარმედ, რათა, რაითამცა, რამეთუ, ხოლო, თუ ამისათვის) ემატებათ მი, თურმე, ღა, თქო, მეთქი.

„თქო" და „მეთქისთან" დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს: „თქო იხმარების ხშირად საუბარსა შინა და წერილსაცა, ოდეს სხვისა პირითა შევუთვლით ანუ დავაბარებთ რასამე სათქმელად მესამისადმი პირისა, მაგ.: „გამიკეთეთქო, წაიღეთქო (სქოლიოში ნათქვამია — თუმცა თქო არს მესამე პირი ზმნისა, გარდაკეთებული ზმნისაგან ჰსთქო, გარნა ხშირმან ხმარებამან მისმან დაბადა ენასა შინა საკუთარი მნიშვნელობა, რომელიცა ეკუთვნის აწ სამართლით კავშირსა). ეგრეთვე მეთქი, ქმნილი ზმნისაგან მე ვჰსთქვი იხმარების ოდეს თვისსა საკუთარსა ნათქვამსა მოუთხრობდეს ვინმე; მაგ.: „მე უთხარი მეთქი, ხოლო თვისსა ნათქვამზე იხმარების ო, რომელიცაა ბოლოისა ლექსისა მარცელისა თანა შეერთდების მაგ.: მე ვსთქვი სიტყვაო" (გვ. 113).

ეს ამონაწერი, ვფიქრობ, კომენტირებას არ საჭიროებს, აქ ზედმიწევნით ზუსტადაა დახასიათებული არა მხოლოდ ფუნქცია ამ ნაწილაკებისა, არამედ მათი წარმომავლობაცა და მართლწერაც.

„თუ" კავშირზე პლატონი შენიშნავს, რომ იგი **ხან განწვალებითად იხმარება („თეთრი თუ შავი"), ხან — უკეთუობითად (ჭეშმარიტად თუ სიმართლესა იტყვით, სიწრფოებასა ჰსჯიდით), ხან -ძი ნაწილაკის ნაცვლად.**

ნაჩვენებია ცა//ც, მე, მცა, ვე, რე და ღა ნაწილაკთა ხმარების მაგალითები და ნათქვამია, რომ ყველა ესენი „საუბარსა ენასა შინა ოდესმე იბრუნვიან სახელთა თანაო" (გვ. 115). აქვეა მითითება იმაზე, რომ კი იხმარება **ხოლოსა და გარნას** ნაცვლად და „ყე ანტონის მიერ შემოტანილი წერილსა შინა სრულიად არს უქმი ენასა შინა; ნაცვლად მისა იხმარების უკეთესად ღა".

ავტორის აზრით, შორისდებულებიც განსაკუთრებულ ბრუნვებს მოითხოვენ; ესენია: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი და წოდებითი.

ამით მთავრდება გრამატიკის მეორე ნაწილი, რომელშიაც, როგორც ვნახეთ, წმინდა სინტაქსურ საკითხებს გარდა, განხილული იყო სტილისტიკის, მართლწერის, ეტიმოლოგიისა და, ასე განსაჯეთ ფონეტიკის საკითხებიც კი. ამის მიზეზი ისაა, რომ იმ დროისათვის ენათმეცნიერე-

ბის არც ერთი ეს დარგი, სინტაქსს გარდა, ცალკე გამოყოფილი და მკვეთრი საზღვრებით შემოფარგლული არ იყო. აქ მოტანილ მრავალ შენიშვნათაგან (ყველა, რა თქმა უნდა, არ მოგვიტანია) უმეტესობა პირველად გვხვდება გრამატიკაში და მათი აღმოჩენა პლატონ იოსელიანის დამსახურებაა.

მაგრამ უფრო მეტი სიახლე მაინც მესამე ნაწილში მოუცია პლატონს.

ეს ნაწილი, რომლის სახელწოდებაა „ქ ა ნ ო ნ ი ე რ-წ ე რ ი ს ა თ ვ ი ს“, ანტონის შემდეგ, ოდნავი ცვლილებით, მეორდებოდა ყველა გრამატიკაში და, როგორც წესი, ახალს არაფერს შეიცავდა. უფრო მეტიც, მომდევნო გრამატიკებში იმაზედაც არ იყო საუბარი, რაც ანტონთან თავის დროზე ზოგი ფონეტიკური მოვლენის ინტუიციურ წვდომად მივიჩნიეთ.

თუ მოვიგონებთ, ანტონი, როცა ასოთა ხმარებას იხილავდა, გვაფრთხილებდა ფ არ გეხმარა ბ-ს მაგიერ, ან ქ — გ-ს მაგიერ და სხვა. ამ წესით ჩამოთვლიდა თითქმის ყველა ბგერას და მიუთითებდა იმ ბგერებზე, რომლებშიც შეიძლებოდა ისინი არეოდათ.

პლატონს, ვფიქრობთ, ანტონის გავლენით, აუღია ანბანის ყველა ასო (გამორჩენია: ე, ნ, პ, ქ, ღ) რიგზე და იქვე მიუწერია ის ფონეტიკური მოვლენები, რომლებშიაც ამ ასოებმა შეიძლება მონაწილეობა მიიღონ. რა თქმა უნდა, ფონეტიკური პროცესები (ასიმილაცია, დისიმილაცია, შენაცვლება) პლატონისათვის უცნობია და მასთან ამა თუ იმ პროცესის თეორიული გააზრება არა გვაქვს, მაგრამ იმდენი ენობრივი ფაქტია შენიშნული და ნაჩვენები, რომ მეტად კარგად მეტყველებს პლატონის ენათმეცნიერულ ალღოზე:

1. ა > ე (ახლა, ეხლა; შამოიტანე, შემოიტანე);

2. ბ > მ, პ, საერთოდ სიტყვის თავში (ბრუდე, მრუდე: ბრპენი, პრპენი; ბზინვარე, მზინვარე: ჟირი, ბჟირი...) არ უნდა ვწეროთ ფ ბ-ს მაგიერ (ვასრულებ, ვასრულეფ);

3. გ ნაცვლად ქ, პ, ღ (გურკა, კურკა: ადეგ, ადექ: გრძილი, ღრძილი);

4. დ > თ (კარგად, კარგათ);

5. ვ ჩნდება სიტყვის თავში (იწრო, ვიწრო: იგრი, ვიგრი), თანაც იკარგვის აგრეთვე თავში (ვუწერ, უწერ, ვუბნობ, უბნობ...);

6. ზ > ს, წ (მსგავსი, მზგავსი; მისდევს, მიზდევს: ბუწუკი, ბუზუკი);

7. ჱ არასდროს იხმარება სიტყვის თავში;

8. თ განშორებული (ალბათ, გამრჩობლებული — ა. ფ.) დაიდების ლექსთა შინა თთუჱ;

9. ი არ უნდა დავწეროთ ჲ-ს ნაცვლად, რადგან ჲ სიტყვაში ხეჲ გამოითქმის „საშუალო რაიმე შორის ი და ჱ“;

10. ⰽ ნაცვლად ⰳ. ⰿ (ყურდღელი. კურდღელი);

11. ⰾ>ⰽ (ლაგაზი. ნაგაზი. ბალანი. ბანალი) „ოდეს ლექსსა შინა დახვდებიან ორნი ⰾ. მაშინ პირველი ⰾ შეიცვლების ⰻ“ (ლბილი, რბილი: წვლილი. წვრილი: ლელწამი. ლერწამი: ცალიერი. ცარიელი („ოდეს ერთსა ლექსსა შინა დახვდებიან ორნი ⰻ, მაშინ უკანასკნელი ⰻ შეიცვლების ⰾ ზედა (მარგალიტი. მარგარიტი; ორჯერ, ორჯელ...).

12. ⰿ>ⰽ (მუგუზალი, ნუგუზალი: მანგალი. ნამგალი): ⰿ ხშირად დაერთვის თავად სახელსა (სხალი. მსხალი; სუბუქი. მსუბუქი: შვენიერი. მშვენიერი...);

13. ⰰ იხილეთ ზემოთ;

14. ⰾ „რაოდენთამე ძველთა ხუცურთა წიგნთა შინა ხმარებული ნაცვლად ⰱ იწერების აწცა ლექსთა შინა (დედაუფალი. დედოფალი),

15. ⰳ — იხმარების ნაცვლად ⰶ (ქინი. ჯინი...);

16. ⰻ „შთაიმეტების მდებიურად ორთა ხმოვანთა შორის (ბუჯი. ბრუჯი. ბჭე. ბრჭე: ვეცხლი. ვერცხლი...), ხოლო ციოთთამე ლექსთა შინა სრულიად დაიტევების (ზრდა, ზდა: ფერხი, ფეხი: წარსულა, წასულა...);

17. ⰽ დაერთვის თავად რომელთა ლექსთა (პილენძი. სპილენძი. ტრიქონი. სტრიქონი...): „უკეთუ ლექსთა შინა იპოების ასონი ⰱ. ⰳ. ⰶ. მაშინ თავად მდებარე ასოი ⰽ შეიცვლების ⰱ ზედა (სინჯი. შინჯი: სიმშილი, შიმშილი: საჭამადი, შაჭამადი) ⰽ>ⰻ-ს (ჰსცხვენის, ჰრცხვენის);

18. ⰵ ნაცვლად ⰳ (ხვეტა. ხვეჭა);

19. ⰶ, ⰶა ხშირად იხმარების და საჭიროა არს ხმარება მის ნაცვლად ⰷ-სი ოდესცა ლექსისა გამოთქმის ჟამსა ბაგეთა შინა ისმის ნახევრად ⰷ და ნახევრად ⰶ მაგ.: ⰶⰱⰱⰴⰻⰴⰻⰵⰱⰰ. ⰿⰻⰽⰶⰱⰽⰽⰽⰵⰱⰰ და სხვ.;

20. ⰶ ბგერა მისი ბაგეთა შინა არს საშუალ ⰻ და ⰱ, თავში არაოდეს იხმარების დაიდვის სიტყვის ბოლოს, როცა ლექსნი დაბოლოვდებიან მარცვლითა ⰶა;

21. ⰴ ნაცვლად ⰿ, ⰰ (მხალი, ფხალი: ფალანი, პალანი);

22. ⰱ ნაცვლად ⰽ-სი (იხ. ზევით);

23. ⰱ ნაცვლად ⰽ (იხ. ზევით) და ⰻ-სი (შვიდმეტი, ჩვიდმეტი, შთამოვიდა. ჩამოვიდა...);

24. ⰻ ნაცვლად ⰷ-სი (ჩოჩვა. ცოცვა: ჩუდ-ყვავილა, ცუდ-ყვავილა);

25. ⰷ ნაცვლად ⰻ-სი;

26. ⰸ ნაცვლად ⰶ-სი (აჯეჯი, აძეძი);

27. ⰴ ნაცვლად ⰳ და ⰵ-სი (წმახი, ჴმახი; ხიწვი, ხიჭვი);

28. ⰳ ნაცვლად ⰶ-სი (ჴინჭველი, ჯინჭველი):

29. ⰶ, ⰽ ბგერებზე პლატონს მეტად ფასეული დაკვირვება მოუცია, მოვიტანთ სრულად: „ⰶ სრულიად არს უხმარ. ხორხისა ძალდატანებითა

გამოთქმა მისი შეუძლიანთ დიახ მცირედთა ქართველთა, რომელთაგან ბიზიყელნი უმეტესად იხმარებენ და არს იგივე ხ. მაგ.: კ ა რ ი ‖ხ ა რ ი; მ კ ა რ ე ‖მ ხ ა რ ე; კ ე ლ ი ‖ხ ე ლ ი და სხვა. მიუღიათ ასო სათვალისა, მიზეზისათვის. რომელითაცა დაინიშნების 7000. ამისათვის უმჯობეს არს შეერთება ორთავე ასოთა ხ და კ ერთ ასოდ ანუ იხმარონ „ნაცვლად ერთისა მეორე, ვისაცა ვითარ ენების“ (გვ. 121):

30. ჯ ნაცვლად უ, ძ, ჭ-სი (იხ. შესაფერისი ადგილები):

31. ჰ იხმარების ზმნათა შინა, რომელთაც პირველს პირსა შინა შემდგომად ვ აქვს რომელიმე უხმო ასო ვჰსჯი, ვჰსწერ...):

32. ჭ შემოტანილია სათვალავისთვის 10 000. იგი ჩვენს ენას არ აქვს და შემოტანილია ბერძნულიდან:

33. ფ ასევე არაა ჩვენს ენაში. ამის შესახებ საბა ორბელიანი ამბობს, რომ თითქოს ძველ მწერლებს ეხმაროთ იგი და შემდგომი დროის მწერლებს უარეყოთ „მე მექონმან და მნახველმან მრავალთა ძველთა წიგნთა ვერსადა ვპოვე იგი და არც ხმარებულა იგი სათვალავსა შინა“ (გვ. 122), ნაცვლად მისი ძველად უველგან უხმარიით ფ ასო;

წინააღმდეგია პლატონი ღ ასოს ხმარებისა სიტყვებში ყღრმიზი, ბღღისი, როგორც ანტონი მოითხოვდაო „გარნა უმჯობესია დაიწეროს ქართულად — ყირმიზი, მიღდისი“.

ამით მთავრდება ბგერათა ცალ-ცალკე დახასიათება, რასაც მოსდევს საინტერესო შენიშვნა: „ასონი ეკლესიურნი უხმარიათ ორ-გვარად: ასომთავრულად და ლიტონად. ხოლო სამოქალაქოსა ანუ მხედრულსა წერილსა შინა არა ჰსჩანს, რათა ეხმაროსთ ძველად ასო-მთავრული. ამისა მიზეზისათვის არ არს საჭირო, რათა მხედრულთა ასოთა წერასა ჟამსა ვჰსწერდეთმცა ასომთავრულითა ჯეროვანთა ადგილთა შინა“ (გვ. 123). სამაგიეროდ ასეთი საჭიროება არის ხუცური წერისას და ჩამოთვლილია ჩვენთვის უკვე ცნობილი წესები ასომთავრულის ხმარებისა.

შემდეგ თაში ლაპარაკია: მარცვალზე (უფრო სწორად სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესებზე), სასვენ ნიშნებზე, ქარაგმებზე და პროსოდიაზე, რაც ნიშნავს „თუ რომელთა მარცვალთა შინა ჯერ არს გამოღება გრძელად რომელზე მოკლედ“.

პლატონი იძლევა ქართული მახვილის ხმარების შემდეგ წესებს: „ერთ მარცვლოვანი, სიტყვებში ჩვეულებრივ გრძელია. ორმარცვლოვანსა და სამმარცვლოვან სიტყვებში „პირველი არის გრძელი და სხვანი მოკლენი“.

„ოთხმარცვლოვანთა, ხუთმარცვლოვანთა, ექვსმარცვლოვანთა და უმეტესთა ლექსთა შორის აღირიცხვიან მარცვალნი ბოლოდგან და. მესამე მარცვალი დასასრულიდგან არს ნიადაგ გრძელი“ (გვ. 128).

როგორც ვიცით, ქართული მახვილის ბუნება ფაქტიურად ასევე დაახასიათა გაიოზმაც. მათი ეს აზრი შემდგომში დაადასტურა ექსპერიმენტულმა კვლევამ[1].

სრულიად აშკარაა, რომ პლატონის ამ დაკვირვებებში მოცემულია ქართული ენის ფონეტიკის, თუმცა ინტუიციური, მაგრამ ფაქტებზე მყარად დაფუძნებული ბევრი ჭეშმარიტი დებულება და ამდენად არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ **იგია ქართული ენის ფონეტიკური მოვლენების შესწავლის პიონერი ჩვენში.**

[1] იხ. ს. ე ღ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956 წ., გვ. 270—280.

IX. ცნობები ზოგი სხვა ხელნაწერი გრამატიკის შესახებ

რადგან შრომის მიზანი ქართული გრამატიკული აზრის განვითარების გზების ძიება იყო, კვლევის ორბიტაში უპირველესად ყოელისა, შემოვიდა ის, უკვე განხილული შრომები, რომლებიც, როგორც ითქვა, ქართული გრამატიკული მოძღვრების მთლიან ჯაჭვში ქმნიდნენ დიდს თუ მცირე რგოლს.

ამის გამო შეიძლებოდა თქმულით დავკმაყოფილებულიყავით, მაგრამ საკვლევი პერიოდის საგრამატიკო აზრი მთლიანად არ იქნება დახასიათებული, თუ არ შევეხებით კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებულ ოთხ ხელნაწერ გრამატიკას (ორს ავტორიანს და ორსაც — ანონიმურს).

ნიკო დადიანის გრამატიკა (1818 წ.)[1]

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ნ. დადიანს ეს გრამატიკა შეუდგენია თავისი ძმისშვილის — ანტონისათვის, რაც კარგად ჩანს ტექსტის ბოლოს დართული იამბიკოდან.

ამავე იამბიკოდან იმის გაგებაც შეიძლება, რომ ნიკოსათვის საორიენტაციო ანტონის გრამატიკა ყოფილა:

„...გახსოვდეს შენი მოსახელე ანტონი,
სიბრძნის უფსკრული და წყარო რიტორებისა;
ლამპარი შორის მღვდელთა, საჩინო მნათი.
ნუ ემსგავსები მხოლოდ სახელით ოდენ,
არამედ საქმით და ხედვით, აღცოცხლებით.
მან ვრცელ უფსკრულმან, მომრწყველმან სიბრძნის
წყაროთ ორანტი! ჩემი გვალეულის გულისანი
დაათრო სული დოღმატ-მჭევრობით (?)
მას გადმოვსცემ შენდა სიხარულით“.

გარდა ერთი პარაგრაფისა, რომელიც ნიკოს გაიოზის გრამატიკიდან აუღია, მისი გრამატიკა სიტყვა-სიტყვით იმეორებს ანტონის II გრამატიკის დებულებებს, უფრო სწორად წარმოადგენს ამ გრამატიკის კვთილსინდისიერად და ნიჭიერად შესრულებულ კონსპექტს.

---

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A — 1019.

შრომის მცირე მოცულობა (46 გვერდი) ავტორს არ აძლევდა საშუალებას გრამატიკის ყველა საკითხი მიმოეხილა, მაგრამ მაინც ცდილა მნიშვნელოვანი არ გამოეტოვებია, თუმცა ეს საკითხები მასთან ხშირად მხოლოდ დეფინიციით იფარგლება. მიუხედავად ამისა, რადგან შრომაში **გრამატიკის სრული კურსია გადმოცემული**, მისი საშუალებით მაინც მოხერხდებოდა ზოგადად **ქართულ გრამატიკასთან** გაცნობა.

ერთი უცნაური დამთხვევა იქცევს ამ გრამატიკაში ყურადღებას: „ლექსს“ ნიკო ასე განსაზღვრავს **„ლექსი არს მოგონებისაებრ ჩვენისა“**. აშკარაა ამ განსაზღვრას რაღაცა აკლია და საინტერესოა, რომ ასე ნაკლულია იგი ანტონის გრამატიკის ნაბეჭდ ეგზემპლარებშიც, თუმცა ოდნავი სხვაობით **„ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ებრ ჩვენისა“**, ხელნაწერებში ეს განსაზღვრა სრულადაა: **„ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩვენისა“**.

თუ აქ შემთხვევითობასთან არა გვაქვს საქმე, უნდა ვიფიქროთ, რომ ნაბეჭდის გამომცემელ რ. ერისთავსა და ნ. დადიანს ხელთ ერთი და იგივე დეფექტური ტექსტი ჰქონდათ და ნაბეჭდის შეცდომა დედნიდან მომდინარეა.

ალექსანდრე ჩიქოვანის გრამატიკა (1892 წ.)[1]

ამ გრამატიკაზე ჩვენ უკვე შევჩერდით, როცა ი. ქართველიშვილის გრამატიკის ხელნაწერების საკითხს ვიხილავდით და, იგი მივიჩნიეთ არა ალ. ჩიქოვანის მიერ გადაწერილად, როგორც ეს ფონდის აღმწერს ჰგონია, არამედ თვით ალ. ჩიქოვანის შედგენილად, ალბათ, სკოლაში სახმარად (როგორც ცნობილია, იგი ასწავლიდა ჯერ სიღნაღში და მერე თბილისში). ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს თვით გრამატიკის გარეკანის გაფორმება, რომელზედაც სწორედ, როგორც ავტორს შეეფერება, თავში მთელს სიგანეზე, მრგლოვანი ასოებით აწერია „ალექსანდრე ჩიქოვანი“. ქვემოთ, ფურცლის შუა ადგილას, კი მხედრულით „ქართული ღრამმატიკა“, თანაც ორივე სიტყვა მოხატული ასომთავრულით იწყება; ამის დაბლა, სამკუთხედის ფორმით, მოდის მხედრული წარწერა „ქართული ღრამმატიკა ეკუთვნის ალექსანდრე ჩიქოვანს“.

ალექსანდრე ჩიქოვანი სხვაგანაცაა მოხსენებული ნაშრომში. პირველი ნაწილის დასასრულს (46-ე გვერდზე) ვკითხულობთ: „დასრულდა პირველი ნაწილი ღრამმატიკისა. ალექსანდრე ჩიქოვანის მიერ აღწერილი არს“. 47-ე გვერდზე კი წერია: „აღმწერი ესე პირველი ნაწი-

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S — 243.

ლის ღრამმატიკისა თავადი ალექსანდრე ჩიქოვანი წელსა 1822. ხოლო ქართულსა ზედა ფი: თვესა დეკემბერსა რიცხვსა 27-სა".

არა გვგონია თავადს ასე რიხით მოეწერა თავისი სახელი და ტიტული შრომაზე, რომლის მხოლოდ გადამწერი იყო.

მართალია, ალ. ჩიქოვანის შრომა გაცილებით მცირე მოცულობისაა, ვიდრე ი. ქართველიშვილის გრამატიკა, მაგრამ მაინც საკმაოდ ვრცელია.

I ნაწილი მოიცავს გრამატიკის ზოგად განმარტებას. ეტიმოლოგიის ცნებებს: წიგნის, მარცვლის, ლექსის, სიტყვის ზოგად მიმოხილვას და მეტყველების ყველა ნაწილს. ამ ნაწილს ეთმობა ჩვეულებრივი ფორმატის ქაღალდის (16×18) 46 გვერდი; მეორე ნაწილში განხილულია: „შეერთებისათვის ნაწილთა სიტყვისათა ურთიერთისთანა" (უჭირავს 19 გვერდი), ხოლო — მესამე ნაწილი მოიცავს ორთოგრაფიას.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ალ. ჩიქოვანის გრამატიკა კომპილაციაა ანტონისა და ი. ქართველიშვილის გრამატიკათა ძირითადი დებულებისა და თუ არ ჩავთვლით ორიოდ შემთხვევას, როცა. ჩიქოვანი გაიოზს ესესხება, ყველა სხვა შემთხვევაში ან ერთს ემთხვევა, ან — მეორეს.

გრამატიკის განსაზღვრა („ღრამმატიკა არს ჰსწავლა ხელმძღვანელი კანონიერ უბნობისა და მართალ წერისადმი") და მისი სამ ნაწილად დაყოფა (ეტიმოლოგია, ლექსთთხზულება და ორთოგრაფია) ალ. ჩიქოვანს ი. ქართველიშვილისგან აუღია, მაგრამ შემდეგი თავი, რომელსაც ჰქვია — „წიგნისათვის" — უკვე კომპილაციურადაა შედგენილი: განსაზღვრა ანტონისაგანაა აღებული („წიგნი არის ღრამი ნაკვეთი რაიმე მნიშვნელი ყოვლისა წერილისა"), ხოლო მისი დანაწილება (ხმოვნად, ორხმოვნად და უხმოდ) და თითოეულის დახასიათებისა ქართველიშვილისაგან მოდის, ასე მაგ.: „უხმონი არიან ოცდაცხრანი და იმისათვის იწოდებიან უხმოდ, რომელ ვერ შემძლებელ არიან გამოთქმად ხმათა უბნობათა შინა თვით თავით თვისით თვინიერ შეერთებისა ხმოვანთა ასოთა თანა".

ეს აზრი ქართველიშვილთან ასეთი რედაქციითაა: „სხვანი დაშთომილნი ოცდაცხრანი ასონი იწოდებიან უხმოდ, ვინაითგან თვით თავით თვისით ვერ შემძლებელ არიან წარმოებად ხმათა გამოთქმათა შინა თვინიერ შეერთებისა ხმოვანთა თანა".

ალ. ჩიქოვანი მიუთითებს იმაზე, რომ: „ხმანი არიან ორგვარნი „ნაწევროვანი და უნაწევრონი" და უნაწევროთა სამაგალითოდ მოაქვს „ხმანი ქუხილისანი", წყალთა ჩქერანი, პირუტყუთ ღრიალი; რაც არცერთ გრამატიკოსს (ვგულისხმობთ ანტონსა და იოანეს) არა აქვთ. თუ მოვიგონებთ, მსგავსი ადგილი გვქონდა დავითთან და იქედან იოანე ბაგრატიონთან.

თუ ეს დამთხვევა შემთხვევითი არაა. მაშინ, თუმცა მხოლოდ ამ ერთ ადგილას. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს დავითის (თუ იოანეს) კვალიც ჩიქოვანის გრამატიკაში.

ლექსის და სიტყვის განსაზღვრაც ანტონის გრამატიკიდან მოდის, მაგრამ, როცა სიტყვის ნაწილებს (ე. ი. მეტყველების ნაწილებს) ჩამოთვლის, იძლევა ცნობილ განმარტებას, ქართველიშვილისგან მომდინარეს, „ამათგან სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა იწოდებიან შეცვალებითად... და დანარჩენი არ იწოდებიან შეცვალებითადო".

შემდეგი თავის („მდევართა ანუ თვისებათათვის განკუთვნილთა სახელთადმი") დასახელება აგრეთვე ემთხვევა ი. ქართველიშვილის შრომის შესაბამის ადგილს, მაგრამ საკითხთა განლაგების მიხედვით ჩიქოვანი უფრო გაიოზის გრამატიკისკენ იხრება.

ქართველიშვილისგან მოდის წარმოქმნილ სახელთა ჯგუფებიც, თუმცა რატომღაც 12-ის მაგიერ თერთმეტი მოუცია — გვაკლია მე-12 „შემსგავსებითი".

კანკლედობა (ხან ბრუნებასაც ეძახის — ა. ფ.) ჩიქოვანთან მეტად უფერულადაა წარმოდგენილი. მან ვერ შენიშნა ქართველიშვილის ბევრი მიგნება. კერძოდ, მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ორივე ნიშნის დიფერენციაცია, წოდებიოს მწარმოებლად ვ (წოდებით ბრუნვათა ჩამოთვლისას არც კი დაასახელა, პარადიგმებში კი შეიტანა) და სხვა. არც კუმშვა-კვეცაზე თქვა საგანგებოდ რაიმე, თუმც ბრუნებისას „არსება" შეკვეცილია.

ნაცვალსახელის ჯგუფებით (არსებითი, ჩვენებითი, მოგებითი, კვლა-ამოღებითი, კითხვითი, კერძოობითი) ჩიქოვანი ქართველიშვილს ეკედლება, თუმცა განსაზღვრებებში თითქოს უფრო ანტონისკენ იხრება:

ნაცვალსახელები ჯგუფების მიხედვით განაწილებულია, მაგრამ მათი ბრუნება მოცემული არ არის, განზრახვა კი ჰქონია, რაც იქიდან ჩანს, რომ ამ ადგილას ხელნაწერის 3 გვერდი დაუწერელია.

ზმნის განსაზღვრა და ზოგადი დახასიათება იოანესგან მოდის, თუმცა იგი მხოლოდ ერთ გვერდზეა მოცემული. ზმნის უღლებაც ძირითადად იოანეს მისდევს. ნაუღლებია ზმნები: „შ ე მ კ რ ა ვ". „თ ო ვ ს", „ვ ს ჯ ი", „ვ ა ლ", „ვ ი ხ ა რ ე ბ".

სახე (ანუ კონტაქტი— ა. ფ.) ალექსანდრეს ანტონის მიბაძვითა აქვს გაკეთებული. თუმცა კვლავ მეტად მოკლედ და ზერელედ. პირი, დრო, რიცხვი და ზოგი სხვა კატეგორია მხოლოდ ჩამოთვლილია.

დანარჩენ მეტყველების ნაწილთა განსაზღვრა-გადმოცემის დროსაც ანტონისა და იოანეს დებულებათა შეჯვარების თუ მათ შორის შუა ხაზის პოვნის ცდაშია ჩიქოვანი. მისთვის ძირითადი და მთავარია ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის დეფინიციებზე და არა ის, თუ როგორ და

რით გადმოიცემა იგი ქართულში — ყველგან შეინიშნება საილუსტრაციო მაგალითების სიმცირე. თუმცა, ვინ იცის. იქნებ გაკვეთილის პროცესში აესებდა ამ ნაკლს მასწავლებელი ალ. ჩიქოვანი.

სინტაქსის ნაწილშიც ეს შრომა ქართველიშვილის გრამატიკის სათანადო ადგილებს იმეორებს და ძირითადად წინადადების წევრთა ურთიერთობას ეხება. აქ არაფერია ნათქვამი ქართველიშვილის „პერიოდებზე“.

ბოლო ნაწილი ეხება ორთოგრაფიის საკითხებს და შემოკლებით გადმოცემულია ქართველიშვილის გრამატიკის სათანადო დებულებები.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც. ვფიქრობთ, აშკარაა, რომ ალ. ჩიქოვანის გრამატიკა მეცნიერულადაცა და მეთოდურადაც სუსტი ნაშრომია და შემთხვევითი არაა, რომ იგი უყურადღებოდ დარჩენილა დღემდე.

უცნობი ავტორის გრამატიკა[1]

შრომა შესრულებულია ჩვეულებრივი მოცულობის ცისფერ ქაღალდზე (ცვირნიშანი მეტწილად 1803 წლისა) და ხელის მიხედვით მე-19 საუკუნის ოციან წლებს უნდა ეკუთვნოდეს.

ნაშრომის ნაწილია შემორჩენილი (საწადი სქესის ზმნათა უღლებამდე), მაგრამ მისი მოცულობა (88 გვერდი) აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ეს გრამატიკა მეტად ფართოდ ჩაფიქრებული შრომა ყოფილა.

გრამატიკის ტექსტში ასომთავრულია გამოყენებული და დაცულია მისი გამოყენების წესები: ხუცურითაა ყველგან სიტყვა „სხოლიო“, ალბათ, ძირითადი ტექსტიდან თვალნათლივ გამორჩევის მიზნით და ამის გვერდით გაკვირვებას იწვევს შრომის მრგლოვანი წარწერა. უცნაური შეცდომით „შესავალი ღრამმატიკჳა“, რაც თავის მხრივ, იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ ნაშრომის ტექსტი ავტოგრაფი არაა.

გრამატიკის ავტორი მეტად განათლებული და საქმის მცოდნე პირი ჩანს, მას შესანიშნავად შეუთვისებია ანტონისა და გაიოზის საგრამატიკო შეხედულებები და მეტად გონებამახვილურად იძლევა მათს კომპილაციას, უფრო მეტად კი გაიოზს ეყრდნობა.

შრომა იწყება საგნის განსაზღვრით: „ღრამმატიკა არის ჰსწავლა მართლ-უბნობისაჲ, წესიერ წერისა; კითხვისა და გულისხმისყოფისა, მათისა“. ეს განსაზღვრა იგივეა, რაც გაიოზისა, მაგრამ გვაკლია ბოლო სამი სიტყვა „თ ე ი ს ე ბ ი ს ა ე ბ რ ხ მ ა რ ე ბ ი ს ა ე ნ ა თ ა ს ა“.

ამ განსაზღვრას მოსდევს სქოლიო იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს „ღრამმი“ (აღებულია გაიოზიდან), მისგანვე მოდის მომდევნო სქოლიოც იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს „წერა“ და „კითხვა“.

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. H — 3726.

აქვეა ავტორის „შენიშვნა“ ...ესე ნივთნი ღრამმატიკისანი არიან თქმაობანი კაცობრივნი. რომელნიცა განიყოფების საუბრად და წერად“ „თქმაობანი კაცობრივნი“ მეორდება იქაც, სადაც საუბარია გრამატიკის ნაწილებზე: უმთავრესი ნაწილნი ღრამმატიკისანი შემადგენელნი კაცობრიეთა თქმაობათანი არიან ოთხნი, ესე იგი 1. წიგნი, 2. მარცვალი, 3. ლექსი, 4. სიტყვა“.

ყველაფერი ეს გაიოზისგან მოდის და ის, რაც მასთან არა გვაქვს,— „თქმაობანი კაცობრივნი“ — ანონიმს ანტონისაგან აუღია.

„წიგნის“ განმარტებაში ანონიმი ორიგინალობს. „წიგნი არს ღრამწერილი რაიმე ვითარიმე დანაკეთებული მნიშვნელი ასოისა“, მაგრამ მის დაყოფაში (ხმოვნად, ორხმოვნად და უხმოდ) გაიოზს მიჰყვება.

შემდეგ მოდის ორთოგრაფია-პუნქტუაციის საკითხები კვლავ გაიოზის მიხედვით გაკეთებული, თუმცა გზადაგზა არც ანტონია დაეიწყებული.

პირველი ნაწილი იწყება სახელებით (არსებითი და ზედსართავი) და ჩამოთვლილია არსებითისა (საზოგადო, სათვითო ანუ კერძოობითი და შემკრებლობითი) და ზედსართავის (დადებითი; შემსგავსებითი და უაღრესობითი) ჯგუფები. აქაც გაიოზია ძირითადი წყარო, მაგრამ თანამიმდევრობაა შეცვლილი.

ნათესავიც, ნაკვეთიცა და სახეც გაიოზის მიხედვით დაუმუშავებია ანონიმს, მხოლოდ ჯგუფებშია სხვაობა, გაიოზის ათის ნაცვლად გვაქვს 14 ჯგუფი: 1. მოგებითი, 2. ზესთაობითი, 3. კნინობითნი, 4. ნათესაობითნი, 5. თანაშეყოფითნი, 6. სახელზმნასხმითნი, 7. ქონებითნი, 8. აღმატებითნი ანუ არსებითნი, 9. მდედრობითნი, 10. იგივეობითნი, 11. წესებითნი, 12. შედგომებითნი, 13. უკუთქმითნი, 14. შემცველობითნი.

ეს ჯგუფები აღებულია ანტონისგან, ოღონდ თანამიმდევრობაა შეცვლილი.

ბ რ უ ნ ვ ა ანონიმს ანტონისა და გაიოზის დებულებათა შეერთებით მოუცია.

ბრუნების საილუსტრაციოდ მოტანილი „მარიამის“ ბრუნება ასეთ სურათს იძლევა.

სახ.	მარიამ	მარიამნი
ნათ.	-ისა	-ებისა
მიც.	-ს	-ებს
შემას.	-ი	-ნი
დაწყ.	-ისგან	-ებისგან
მოთ.	-მან	-ებმან
მოქ.	-ითა	-ებითა
წოდ.	მარიამ	-ნო

ცალკეულ ბრუნვათა განსაზღვრისას ანონიმი გაიოზის დებულებებს იმეორებს, მაგრამ, როცა ბრუნების ტიპებზე გადადის, ანტონის გრამატიკის დებულებებს მიჰყვება, ამიტომაც მასთან ნათესაობითს ექვსი ნიშანი აქვს: **ისი, ისა, სა, ძსა, ჯსა, სი.**

ავტორს კვეცა და კუმშვაც არ გამორჩენია.

მეტად საინტერესოა ანონიმის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ მავრცობი ანუ „მარცვალთღიაობის“ ა შეიძლება მოესპოთ და ისე „თქვნენ ქსოვასა შინა“, მაგ.: მ ა რ ი ა მ ი ს, ა რ ს ე ბ ი ს, მ ზ ი ს დ ა ს ხ ვ ა. ასეთი შენიშვნა ახლავს ყველა სხვა შემთხვევაშიც, როცა მოსალოდნელია პარალელური ფორმები.

ამის გვერდით უნდა მოვიგონოთ ავტორის კიდევ ერთი შენიშვნა წოდებითი ბრუნვის ნიშნებთან დაკავშირებით: როცა ჯ და ო ნიშნებს განიხილავს, დაუმატებს: „არს კვალად სხვაიცა ნიშანი ბრუნებასა ხმარებული, რომელ ვ მაგ.: ხელმწიფევ, მოწყალევ, და სხვანი. დაღათუ არსადა იხილვების წერილთა შინა ჩვენთან ბრუნებულთა წოდებითად უხმოითა ამით რომელა ვ, მაგრამ ხმარობს საზოგადოება აწინდელი ენისა ჩვენისა ურთიერთთა ლაპარაკსა და მიწერ-მოწერასა შინა ამისათვის მოვიხსენიე აქ“ (გვ. 29).

როგორც ვხედავთ, ავტორი ორივე შემთხვევაში ანგარიშს უწევს სამეტყველო ენას და ეს სიახლეა არა მხოლოდ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურისათვის, არამედ საერთოდ ენათმეცნიერების ისტორიაში. რადგან ამ დროისათვის ო. ე ს პ ე რ ს ე ნ ი ს თქმით, თვით მე-19 საუკუნის შუა წლებამდეც კი ენათმეცნიერება ძირითადად მხოლოდ დამწერლობის ენას იკვლევდა [1].

ამას გარდა ავტორი შენიშვნას ურთავს საკუთარ სახელთა მოთხრობითში ბრუნვის საკითხს. „შეხვედების რამეთუ არა მიიღოს ნიშანი, ესე სახელმან (იგულისხმება მან) და ანუ დაიდვას სიტყვასა შინა ნაცვლად მოთხრობითისა წრფელობით, ანუ მიცემით მრავლობითი, მაგ.: „ჰრქუა იესო მოწაფეთა თვისთა“, „თქვეს ქართველთა და სხვანი“ (გვ. 28). მათ გასარჩევად უნდა დაიდოს კლებულიო.

ერთი სიტყვით, შენიშნულია საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურება და ისიც, რომ მრავლობითში მოთხრობითი და მიცემითი ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ საკვირველია, რატომ მოხვდა აქ წრფელობითი და სადაა ნათესაობითი?

ნაცვალსახელთა ჯგუფების ჩამოთვლისას ანონიმი ასახელებს ანტონის ოთხ ჯგუფს, თუმცა იქვე შენიშნავს, კიდევ სხვა ნაცვალსახელებიც არიან, რომლებიც საკითხავად გამოიყენებიანო (**რომელიმე, ვინ, ვინმე**)..

---

[1] იხ. В. Томсен. История языковедения. М., 1938 г., გვ. 53.

შრომაში ნაჩვენებია ნაცვალსახელთა ბრუნების ყველა თავისებურება. რაც კი ანტონთანაცაა და გაიოზთანაც.

ზმნის განსაზღვრისას იგი ორივე ავტორს მისდევს და აქა-იქ კვლავ საინტერესო შენიშვნებს დაურთავს. ასე მაგ.: სახის განსაზღვრისას ნათქვამია: „პირველ-სახე არს ზმნაი შემოქმედებითი და ენებითი, მაშინ ოდესცა ჰსჩანან ზმნათა შინა ერთი მოქმედი და ერთი ენებული, მაგ.: ვჰსწერ. ვჰსცემ. ზმნანი უმეშვეობითნი მარადის არიან პირველ სახენი... სხმით-გარდასვლითად იქმნების ზმნაი მაშინ ოდეს-ცა შემოქმედებითთა ზმნათა შინა ჰ ს ჩ ა ნ ს ო რ ი მ ო ქ მ ე დ ი და ერთი ენებული (გვ. 37).

როგორც ვთქვით, გრამატიკის ნაწილია შემორჩენილი და ზმნის უღლებაზე მთავრდება. თორემ, საფიქრებელია, კიდევ ბევრ საინტერესო დებულებებს წამოაყენებდა ავტორი.

ნათქვამი კი, უთუოდ, მეტყველებს ამ გრამატიკის მნიშვნელობაზე და აცხოველებს ინტერესს მისი ავტორისა და დაწერის თარიღის დადგენის მიმართ.

ორივე ეს საკითხი ჯერ-ჯერობით ღიად რჩება. განსაკუთრებით არაფრის თქმა არ შეიძლება ავტორზე. გრამატიკას არ ახლავს არავითარი მინაწერი, რომელიც ამ საკითხს რაიმე შუქს მოჰფენდა, როგორც ვთქვი, იგი ავტოგრაფიც არ უნდა იყოს.

ჰართალია, ხელნაწერი S—3726 შრომათა კრებულია და მასში ამ გრამატიკის გარდა ბევრი სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის შრომებია მოცემული (მათ შორის ერთი ექვსგვერდიანი გრამატიკის ფრაგმენტიც, რომლის რუსული მინაწერი: „Сия грузинская грамматика принадлежит Алексеев" (!) აღმწერს ზემოთ განხილული შრომის მინაწერად ჩაუთვლია, რადგან ვერ შეუმჩნევია, რომ ორ სხვადასხვა შრომასთან გვაქვს საქმე). მაგრამ არცერთი ეს შრომა (რუსულ-ქართულ სალექსიკონო მასალა, რუსული ენის გრამატიკა, რიტორიკა, ბევრი ფრაგმენტი სასულიერო შრომათაგან, წერილები პ. ციციანოვის მისამართით და მრავალი სხვა) არავითარ ცნობას არ იძლევა ანონიმური გრამატიკის ავტორისა და დაწერის თარიღის გარშემო. თუმცა შრომის დაწერის თარიღის დაახლოებითი საზღვრების დადგენა მაინც ხერხდება.

იგი არ შეიძლება დაწერილიყო 1789 წელზე ადრე, ვიდრე გაიოზის გრამატიკა დაიწერებოდა. მაგრამ არა უგვიანეს 1816 წლისა, სანამ ი. ქართველიშვილის გრამატიკა დაიბეჭდებოდა, რადგან აშკარაა ავტორი ამ უკანასკნელს არ იცნობს.

შეიძლება ამ თარიღების დაკონკრეტება.

გაიოზის გრამატიკა საქართველოში მიიღეს 1804 წელს. თუ ანონიმი ამის შემდეგ გაეცნო მას, ქვედა თარიღი გადმოიწევს მთელი 15 წლით

დ. თუ იმასაც დავუშვებთ, რომ ანონიმს შეეძლო იოანე ქართველიშვილის გრამატიკა ხელნაწერშიეე ენახა, რადგან იგი მეტად გავრცელებული იყო, ზევითა თარიღმაც უკან უნდა გადმოიწიოს არა ნაკლებ ექვსი წლით და გრამატიკა დაწერილად უნდა ჩავთვალოთ 1804—1810 წლებში, ე. ი. იგი დაწერილია ი. ქართველიშვილის გრამატიკაზე ან ცოტა აღრე, ან მის პარალელურად.

მაინც ვინ შეიძლება ვიგულისხმოთ გრამატიკის აეტორად?

როგორც ზემოთ ვნახეთ, ზ. ჭიჭინაძე ასახელებდა დავით რექტორს— დავით ალექსი-მესხიშვილის გრამატიკას. საკუთარ გრამატიკაზე მიუთითებდა თეითონ დავით რექტორიც. ეს გრამატიკა მიკელეული არაა.

იქნებ სწორედ ამ გრამატიკასთან გვაქვს საქმე? გადაშრით, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვიტყვით.

უცნობი ავტორის გრამატიკა[1]

ეს გრამატიკა ი. ქართველიშვილის გრამატიკების ტიპის ნაშრომია, იწყება ლექსის განსაზღვრით (ალბათ, თავში რამდენიმე ფურცელი აკლია) და მთავრდება სინტაქსის იმ ნაწილით, რომელიც ეხება ნაცვალსახელთა და არსებითთა ურთიერთშეთანხმებას.

ნაშრომი სხვადასხვა ფერის მოდიდო ფორმატის ქაღალდზეა შესრულებული და შეიცავს 74 გვერდს, რომელთაგან ექვსი გვერდი 11—16 რომელიღაც სხვა გრამატიკის (კითხვა-მოგების წესით დაწერილის) ფრაგმენტია.

ნაწერის ხელი (თუ იგი ავტოგრაფია) და ხელნაწერის საერთო მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ იგი მოსწავლის შედგენილი კონსპექტი (ან იქნებ კარნახით ჩაწერილი) სასკოლო გრამატიკა უნდა იყოს.

ნაშრომის ყველა დებულება ძირითადად ი. ქართველიშვილის გრამატიკის II რედაქციას მისდევს. ეს კი იმისი ნიშანი უნდა იყოს, რომ იმ მასწავლებელს, რომლის კარნახით, თუ ხელშეწყობით ეს შრომაა შესრულებული, ხელთ ჰქონდა ი. ქართველიშვილის გრამატიკის სახელმძღვანელო და, როგორც მასწავლებლებს სჩვევიათ ხოლმე, სიტყვა-სიტყვით კი არ იმეორებდა მას, არამედ უმნიშვნელო კორექტივებს უკეთებდა: ზოგჯერ პარაგრაფებს უცვლიდა ადგილს, საგანგებოდ ამოკლებდა განსაზღვრებს, ამცირებდა საილუსტრაციო მაგალითებს და ამჭიდროვებდა ტექსტს.

რადგან ხელნაწერის ქაღალდს ჰვირნიშნად რამდენიმე ადგილას

---

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 1054.

1825 წელი აქვს. იგულისხმება იგი ამ თარიღზე ადრე ვერ გადაიწერებოდა. სხვა არაფერი ვიცით არც მის ავტორზე და არც დაწერის თარიღზე.

უცნობი ავტორის გრამატიკის ფრაგმენტი[1]

იგი 26 გვერდს შეიცავს და ეძღვნება გრამატიკის მეორე ნაწილს სახელწოდებით — „ჰსწავლა ლექსთთხზულებისათვის საზოგადოდ“.

ეს შრომაც ი. ქართველიშვილის გრამატიკის სათანადო ადგილის მიხედვითაა შედგენილი და დებულებათა განსაზღვრა-ილუსტრირების თვალსაზრისითაც ძირითადად მას მიჰყვება, ოღონდ მაინც იგრძნობა სხვისი ხელი, რომელიც ადგილებს უცვლის პარაგრაფებს და დეფინიციების რედაქციულ სხვაობასაც გვთავაზობს.

შრომის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში მოცემულია ბრუნვათა ცალ-ცალკე დახასიათება და მათ ფუნქციებზე მსჯელობა, რაც ი. ქართველიშვილის გრამატიკის ტიპის შრომებში ჩვეულებრივ ამ ნაწილში არ გვხვდება, მეცნიერული და მეთოდიკური თვალსაზრისით შრომა რაიმე სიახლეს არ იძლევა.

ამათ გარდა ჩვენ ხელნაწერების ინსტიტუტში ინახება უცნობი ავტორების გრამატიკათა ფრაგმენტები, რომელთა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ისინი ქართველიშვილის გრამატიკათა გავლენით არიან შექმნილნი და ძირითადად მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედს განეკუთვნებიან.

ამ ფრაგმენტთაგან ყველაზე ვრცელი 20 გვერდს არ სცილდება, ხოლო მცირე — 4 გვერდს შეიცავს და მეცნიერული თვალსაზრისით არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ, აი, ეს ხელნაწერებიც: S—1419, 1420, 1441 ა. 4919, 5067, 5177; H—271, 351, 719, 1096, 2710, 2739, 2957; A—698, 747.

*

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 1106.

X. ზოგადი დასკვნები

1. მე-10 საუკუნემდე ქართულ ენაზე გრამატიკული ნაშრომის არსებობის კვალი არა ჩანს.

2. მე-10—12 საუკუნეებში, როცა ორიგინალური და თარგმნილი შრომების წყალობით ქართული მეცნიერება მეტად მაღალ დონეზე იდგა, როცა საქართველოში სასწავლო დაწესებულებების ფართედ გაშლილი ქსელი ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, ქართული გრამატიკული ლიტერატურის არსებობა ეჭვს არ იწვევს. ამ ვარაუდს მხარს უმაგრებს ანტონ ბაგრატიონის გრამატიკაში მოცემული ცნობებიც.

3. დღემდე მიკვლეული არაა მე-18 საუკუნეზე ადრინდელი არცერთი გრამატიკული შრომა.

4. პირველი ქართული გრამატიკის ავტორია მე-18 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ბურჯი, ჩვენში ევროპული სწავლა-განათლებისა და ახალი ქართული მეცნიერების ფუძემდებელი, ანტონ იესეს ძე ბაგრატიონი — ანტონ I, კათალიკოსი.

5. ანტონის გრამატიკის ორივე რედაქცია (პირველი — 1753 წ., მეორე — 1767 წ.) სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკული ფორმების ანალიზს იძლევა; მასში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ქართული დამწერლობითი ძეგლების ენის თორმეტსაუკუნოვანი ხანა.

6. ანტონ ბაგრატიონს ქართული გრამატიკის შექმნის გზაზე წინამორბედი არა ჰყოლია. ეს გარემოება მეტად მძიმე და რთულ პირობებში აყენებდა ავტორს. იგივე გარემოება გვაძლევს საფუძველს იმისას, რომ პირველი ქართული გრამატიკის ასეთ მაღალ დონეზე შემსრულებელი უდიდეს მოაზროვნედ მივიჩნიოთ და ქართული ენათმეცნიერების წინაშე მისი დამსახურება ძვირფას განძად დავსახოთ.

7. სრულიად გაუმართლებელია ანტონის გრამატიკაზე უცხო ავტორებისა თუ გრამატიკების გავლენის ძიება. ანტონის გრამატიკა, ისე როგორც ყველა ევროპული და არა მხოლოდ ევროპული ენის გრამატიკა, დაფუძნებულია ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრების მიერ შემუშავებულ ზოგად-საგრამატიკო მოდელზე. ამ მოდელს ანტონი ლათინური და სომხური ენების მეშვეობით გაეცნო. ამის გამო და „გამოუცდელობის გამო", ზოგჯერ იგი ანგარიშს უწევდა ლათინურ-

სა და სომხურ გრამატიკებს, რაც უეჭვო შემთხვევაში მხოლოდ შეცდომებისა და არასწორი მსჯელობების მიზეზი იყო.

8. ჩვეულებრივ ანტონი საკუთარ — პირდაპირ განსაცვიფრებელ-ენობრივ ინტუიციასა და შვიდი ენის (ბერძნულის, ლათინურის, სომხურის, რუსულის, გერმანულის, ფრანგულის, იტალიურის) გრამატიკული წყობის საფუძვლიანად შესწავლის შედეგად მიღებულ ზოგადენათმეცნიერულ ცოდნას ემყარება. ამას ემატება ანტონის ღრმა განსწავლულობა ფსიქოლოგიისა და ფილოსოფია-ლოგიკის სფეროში, რომელსაც ეფუძნება განსაკუთრებით მეორე გრამატიკაში მოცემული ნიშნის საკითხთან დაკავშირებული ზოგადენათმეცნიერული მსჯელობანი. უველაფერმა ამან განაპირობა თავის დროზე ერთ-ერთი უბრწყინვალესი გრამატიკული ნაშრომის შექმნა.

9. ანტონის უახლოესი მოწაფე და მიმდევარი გაიოზ რექტორი იყო, მართალია, გაიოზმა ბევრი მნიშვნელოვანი დებულება ანტონის გრამატიკიდან საკუთარში აღარ შეიტანა, მაგრამ ნაშრომის ენის გამარტივებითა და მასალის ოპტიმალური დალაგებით იგი მეტად მოხერხებული გახადა სკოლაში სასწავლად. გაიოზმა თავის მხრივაც ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე მოგვცა.

10. გაიოზის მიერ გაწეული შრომის ერთგვარი გაგრძელება და განზოგადება იყო იოანე ქართველიშვილის გრამატიკა. იოანე ქართველიშვილმა თავადაც არა ერთი და ორი სიახლე შეიტანა ქართული გრამატიკული აზრის განვითარების საქმეში.

11. ქართული გრამატიკა დაწერა სოლომონ დოდაშვილმაც. იგი ძირითადად იოანე ქართველიშვილის გრამატიკულ პრინციპებს მიჰყვებოდა, მაგრამ მანაც ზოგი საინტერესო საკითხი წამოჭრა და გადაწყვიტა.

12. ქართული ენის გრამატიკის შესწავლის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა ნიკო ჩუბინაშვილმა. მისმა გრამატიკულმა შენიშვნებმა პირველად გამოხატულება ჰპოვეს პლატონ იოსელიანის ნაშრომში.

13. თავად პლატონ იოსელიანი იოანე ქართველიშვილის გზის გამგრძელებელია. მის გრამატიკაში აისახა სოლომონ დოდაშვილისა და ნიკო ჩუბინაშვილის გრამატიკული მოსაზრებების გვერდით ბევრი მნიშვნელოვანი ორიგინალური მიხვედრა თვითონ ავტორისა, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაკვირვებები სახელთა მორფოლოგიისა და ფონეტიკის საკითხებზე.

პლატონ იოსელიანის გრამატიკით თავდება ქართული გრამატიკული აზრის განვითარების პირველი პერიოდი. იგი მოიცავს ასწლოვან ხანას— ანტონის პირველი გრამატიკის დაწერიდან მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი
I. ქართული გრამატიკული აზრის შესწავლის ცდები
II. ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან
III. ანტონ ბაგრატიონი — ქართული გრამატიკული (resp. ენათმეცნიერული) აზრის ფუძემდებელი
IV. გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო
V. ძმების — დავით და იოანე ბაგრატიონების საგრამატიკო მოღვაწეობა
   1. დავით ბაგრატიონი
   2. იოანე ბაგრატიონი
VI. ვარლამ ერისთავის მოკლე ქართული გრამატიკა რუსულ ენაზე
VII. იოანე ქართველიშვილის გრამატიკა — ახალი ეტაპი ქართული გრამატიკული აზრის განვითარების გზაზე
VIII. იოანე ქართველიშვილის გზის გამგრძელებელნი
   1. სოლომონ დოდაშვილი
   2. პლატონ იოსელიანი
IX. ცნობები ზოგი სხვა ხელნაწერი გრამატიკის შესახებ
   1. ნიკო დადიანის გრამატიკა
   2. ალექსანდრე ჩიქოვანის გრამატიკა
   3. უცნობი ავტორის გრამატიკა
   4. უცნობი ავტორის გრამატიკა
   5. უცნობი ავტორის გრამატიკის ფრაგმენტი
X. ზოგადი დასკვნები

АЛЕКСАНДР ПАНТЕЛЕЙМОНОВИЧ
ПОЦХИШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ГРАММАТИЧЕСКОЙ МЫСЛИ

(на грузинском языке)

ИБ № 469

რედაქტორი პროფ. თ. უთურგაიძე

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ბოჭორიშვილი
მხატვრული რედაქტორი ე. ქიშმარაია
ტექნიკური რედაქტორი ნ. ძნელაძე
კორექტორი მ. მაისურაძე
უფ. კორექტორი ლ. გაგნიძე
გამომშვები პ. გუნიავა

გადაეცა წარმოებას 10/XI-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/III-79 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 2, ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆,
ნაბეჭდი თაბახი 23,5, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21,24
უე 00337 ტირაჟი 1.000 შეკ. 2034

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили. 5.
1979

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Тип. Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.